

ა რ ჩ ი ლ ჩ ა ჩ ი ბ ა ნ ი ა

## ქართული საბავშვო ლიტერატურა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური  
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე  
სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის

მეორე უეცხებული გამოცემა

ნაშრომში განხილულია ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, კერძოდ, ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის ძირითადი პრობლემები XIX საუკუნის II ნახევარში, მისი იდეურ-ესთეტიკური თავისებურებანი, სახეთა სისტემა, სტილი, ეანრობრივი მრავალფეროვნება.

ახლებურად არის წარმოდგენილი ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის საწყისები, მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები, საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ფორმირება, თეორიული, ესთეტიკური, ეთიკური პრობლემები და აგრეთვე საკითხები ფოლკლორისა და საბავშვო ლიტერატურის, მენტორულ-დიდაქტიკური და საბავშვო ლიტერატურის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, საბავშვო ლიტერატურის როლი ახალი თაობის კრიტიკული და მხატვრული აზროვნების განვითარებაში, მსოფლიო და რუსული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები. გაშუქებულია ეროვნული საბავშვო ლიტერატურის პროგრესული ტრადიციების გამოყენებისა და ნოვატორობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ქართულ საბავშვო მწერლობაში.

რეკენზენტები: პროფ. ე. შუშანიძე, დოც. ტ. სულაბერიძე

## წი ნ ა ს ი ტ ჯ მ ა ო ბ ა

ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან. ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ განვითარების მეტად რთული და მრავალმხრივ საინტერესო გზა განვლო.

ქართული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემების მეცნიერულად შესწავლა და განზოგადება განაირობებელია იმ დიდი ისტორიული ხვედრით, რომელიც საბავშვო ლიტერატურას, კერძოდ კი სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას დაეკისრა ახალი თაობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საპატიო საქმეში.

მხატვრული სიტყვის ქეშმარიტი ოსტატი მშობლიური ხალხის სულიერი სამყაროს დიდი მხატვარია; გამარჯვება თუ დამარცხება, მწუხარება თუ სიხარული, მწარე სინამდვილე თუ ოცნება ქეშმარიტი შემოქმედების მხატვრულ სახეებში ისეა ხორცშესხმული, რომ მკითხველში დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის და მომავალი თაობისათვის შთამაგონებელ წყაროდ იქცევა. მხოლოდ ასეთი ნაწარმოებია ხალხისათვის სასიყვარულო და მარადიული ისე, როგორც მარადიულია თვით ხალხი.

აქედან გამომდინარე, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობაც ქართველი ხალხის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ეს თანაბრად ვრცელდება, როგორც წარსული საუკუნეების, ისე თანამედროვე მწერლობის იმ შესანიშნავი ნაწარმოებების, იმ გამოჩენილი მწერლების მიმართ, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან ქართველი ერის სულიერი კულტურის საგანძურს. ასეთი ნაწარმოებები ახალ თაობას სიზღავსე, იტაცებს. აყვარებს სამშობლოს, ცოცხლად წარმოუდგენს, უჩვენებს. მტრებთან გამირული ბრძოლის შთამაგონებელ სურათებს, ვადაუშლის ხალხის შრომით ცხოვრებას, უმაღლეს ადამიანურ გრძნობებს, მაღალ იდეალებს. მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები სცილდება ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საგანძურში საპატიო ადგილს იკავებს.

რეალიზმის პრინციპებზე შექმნილი ყოველი მხატვრული ნაწარმოები ორი სიცოცხლით ცოცხლობს: პირველ სიცოცხლეს მას თვით.

მწერალი ანიჭებს, როდესაც ნაწარმოებს ქმნის — მხატვრულ სახეებს ჰემმარიტი შემოქმედის ხელით ძერწავს, ხოლო მეორე სიცოცხლეს კი ხალხი აძლევს მაშინ, როდესაც მას შეიყვარებს და მიიღებს, როგორც შთაგონების უკვდავ წყაროს.

თუ ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეთა სისტემაში როგორც წარსულ საუკუნეებში, ისე დღესაც შთამაგონებლად ჩაქსოვილი ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებანი, ქართველი ხალხის ცხოვრების უტყუარი სურათები, მაღალი ადამიანური ხასიათები, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, გმირობისა და მეგობრობის, ხალხთა შორის სოლიდარობის უკეთილშობილესი გრძნობები, ეს იმის შედეგია, რომ ქართველი ერის საუკეთესო შვილები — მწერლები, პედაგოგები, საზოგადო მოღვაწენი ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის პრობლემებისადმი; მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა, მათ წინ წამოწიეს მოწინავე საბავშვო მწერლობისათვის დამახასიათებელი მაღალი იდეალები, მარადიული საკაცობრიო თემები. მართალია, ამ პრობლემების გადაწყვეტა წარსულის შავბნელ დროში ზოგიერთ მწერალს სიცოცხლის ფასად უჯდებოდა, მაგრამ ეს მძიმე ხედრი მათ არ აშინებდათ; უანგარო მოღვაწეობის შედეგად ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურა თემატურად ვითარდებოდა და ეანრობრივად მრავალფეროვანი ხდებოდა.

ამის გამო ქართული საბავშვო ლიტერატურის. სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის მეცნიერულად შესწავლა, მისი წარმოშობისა და განვითარების ობიექტური კანონზომიერების გარკვევა, ესთეტიკური და უტილიტარული ნიშნების განსაზღვრა, განსაკუთრებული მეცნიერული კვლევის საგანია.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ამ ბოლო ათეულ წლებში, შეიქმნა მნიშვნელოვანი შრომები ქართული საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთ პრობლემატურ საკითხზე, დაიწერა აგრეთვე მონოგრაფია ზოგიერთ ქართველ საბავშვო მწერალზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ერთ მთლიან სისტემაში მოყვანილი ის ხანგრძლივი და უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განზოგადებული ამ პროცესების კონკრეტული შედეგები, კერძოდ, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციები, მისი თეორიული, ესთეტიკური და ეთიკური პრობლემები, ხოლო ზოგიერთი საკითხები, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის საფუძველზე, საჭიროებს დაზუსტებას, შესწორებასა და ახლებურად გააზრებას.

ეს გარემოება მოითხოვს სათანადოდ შევისწავლოთ და მეცნიერულად განვაზოგადოთ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები. საბავშვო ლიტერატურა, საერთოდ, და კერძოდ კი თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის პრობლემატიკა, რომელიც სათავეს იღებს ჩვენი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების შორეულ წარსულში და განვითარების რთულ პროცესებში გამდიდრებულა ეპოქისეული იდეურ-მხატვრული თავისებურებებით, დღეს, როგორც არასდროს, მოწინავე პროგრესულ ქვეყნებში. განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა.

წინამდებარე ნაშრომი ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდის — მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის კლასიკური ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ძირითადი პრობლემების მეცნიერული შესწავლისა და განზოგადების ცდას წარმოადგენს. გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მეცხრამეტე საუკუნის II ნახევარი ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის აყვავების სამაგალითო პერიოდია, ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში იგი კლასიკური საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ხანაა, რომელიც ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის კანონზომიერი ისტორიული პროცესების ბუნებრივი შედეგია, ორგანულად დაკავშირებულია ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან.

ვფიქრობთ, ეს შრომა მოკრძალებული წვლილი იქნება მდიდარი ქართული საბავშვო ლიტერატურის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

სიტყვაპაჯოგმული საბავშვო მწერლობის  
ისტორიული დანიშნულება

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქართული სიტყვაპაჯოგმული საბავშვო მწერლობის  
პრობლემატიკის კვლევის მიზანი და ამოცანები

„საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში, ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა“.

გ ა გ ე ბ ა შ ე ი ლ ი

„ნურაჲის ჰგონია, ადვილი იყოს საბავშვო ლექსისა და მოთხრობების დაწერა. ყველაზე ძნელი სწორედ ესაა და თუ არა სულით მდიდარს, სხვას არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი“.

გ ა ე ა

საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაპაჯოგმული საბავშვო მწერლობის უმთავრესი პრობლემები ყოველთვის იყო გამოჩენილი პოეტების, მწერლების, მეცნიერების, პედაგოგების, მოწინავე საზოგადო მოღვაწეების განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების არეში.

ეს ბუნებრივია, რადგან ზრუნვა მოზარდ თაობაზე განუყოფელია მშობლიური ქვეყნის, მშობლიური ხალხის სიყვარულისაგან, მისი მომავლისაგან. ეს ქეშმარიტებაა, რადგან „ახალგაზრდა თაობა აწმყოს სტუმარი და მომავლის ბატონ-პატრონია, ეს მომავალი კი უძველესი თაობიდან მემკვიდრეობით მიღებული მათი აწმყოა. ყოველი ახალი თაობა არის მომავლის ჩანასახი, რომელიც აწმყოდ უნდა გადაიქცეს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი, რჩ. პედ. თხზულებანი, თბილისი, 1950, გვ. 9.

უანგარო მოღვაწეობა მშობლიური ხალხის შვილთა სულიერი სა-  
შყაროს გამდიდრებისათვის, ცხოვრების რთულ პროცესებზე ხალხის  
ინტერესების შესაბამისად სწორი შეხედულებების ფორმირებისა და  
საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩაბმისათვის, ადამიან-  
ის უმაღლესი და უწმინდესი მოვალეობაა.

ეს გრძნობა ამოქმედებდათ მხატვრული სიტყვის ოსტატებსაც  
მრავალფეროვანი, მრავალჯანროვანი საბავშვო ლიტერატურის შე-  
საქმნელად, რომელიც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მშობლიუ-  
რი ქვეყნის შვილთა გონებრივი, მორალური, ესთეტიკური და მაღალი  
კულტურული იდეებით აღზრდისათვის.

და აი დღესაც, იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დაკავ-  
შირებულია სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარე-  
ბული, იდეურად და მორალურად გამოწრთობილი ახალი თაობის აღ-  
ზრდასთან, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას ერთ-ერთი უმნიშვნე-  
ლოვანესი როლი აკისრია.

საბავშვო და ახალგაზრდობის სიტყვაკაზმული მწერლობის უმნიშ-  
ვნელოვანესი როლი გაპირობებულია შესაბამისი შემეცნებითი და  
აღმზრდელი ფუნქციით; იგი მოზარდ თაობას აცნობს საზოგადო-  
ებრივი ცხოვრების რთულ პროცესებს, არკვევს ამ პროცესის მიზნებ-  
სა და შედეგებს, აცნობს საზოგადოებრივი თვალსაზრისით, რომელი  
მოვლენაა დადებითი, კარგი, სასარგებლო და რომელია უარყოფითი,  
მავნე: „მხატვრულ ნაწარმოებს ჩვენ უნდა ვუყურებდეთ როგორც  
ფანჯარას, საიდანაც შეგვიძლია დავანახოთ ბავშვებს ხალხის ცხოვრე-  
ბის ესა თუ ის სახე. მაგრამ არც ის კმარა, რომ ბავშვებ-  
მა გაიგონ ამგვარი ნაწარმოები, არამედ საქი-  
როაკიდევატ, რომ მათ იგრძნონ იგი“<sup>1</sup> (ხაზი ჩვე-  
ნია — ა. ჩ.).

რასაკვირველია, ყოველივე ეს ორგანულად უკავშირდება ობიექ-  
ტური სინამდვილისადმი საბავშვო მწერლის დამოკიდებულებას.  
მწერლის დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისადმი უდრეს სა-  
ფუძვლად მწერლის ჩანაფიქრს პატარა თუ დიდი საბავშვო ნაწარმო-  
ების შექმნის პროცესში. რა თქმა უნდა, საბავშვო მწერლის ჩანაფიქ-  
რის განმსაზღვრელია თვით მწერლის იდეური ტენდენცია, ღოლო  
იდეური ტენდენციის მიხედვით ჩანაფიქრის ხორცშესხმა მხატვრულ  
გადაწყვეტაზეა დამოკიდებული. გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ,  
ხელოვნების ყოველ ნაწარმოებში, დიდსა თუ პატარაში, ყველაფერი,

<sup>1</sup> კ. უმინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1950, ტ. II,  
33-18.

უკანასკნელ წვრილმანამდე, დამოკიდებულია ჩანაფიქრზე<sup>1</sup>, ნაწარმოების შექმნის მიზნობრივ განზრახვაზე, მწერლის იდეურ ტენდენციასზე.

საბავშვო მწერლის (და არა მარტო საბავშვო მწერლის) ჩანაფიქრი, მისი მიზნობრივი სწრაფვა ნაჩვენებია ნაწარმოების მხატვრულ სახეებში, რომელიც ხელს უწყობს მოზარდს ჩასწვდეს პოეტურ სიტყვებში ჩაქსოვილ ცხოვრების მართალ სურათებს, ეპოქის ცხოველმყოფელ იდეებს. ამით იგი ობიექტური სინამდვილის კრიტიკული თვლით განჰყვრეტის, გაგების, განსჯის, შეფასებისა და სათანადო დასკვნების გამოტანისათვის უმნიშვნელოვანესი საშუალება ხდება. ეს კი საბავშვო ლიტერატურას მეტად დიდი ისტორიული ამოცანების წინაშე აყენებს.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობამ უარყო შეხედულება, თითქოს საბავშვო ლიტერატურა როგორც, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურიდან განსხვავებული თავისებურებით ნიშანდებული, არც კი არსებობს და მოსაზრება მისი დამოუკიდებლად არსებობის შესახებ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. მაგალითად, ჰენრიხ ვოლგასტი<sup>2</sup> იშველიებს ჰერდერის მოსაზრებას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ საბავშვო წიგნის დიდი უმრავლესობა განეიხილოთ, როგორც პედაგოგიური ზემოქმედების საშუალება და საბავშვო ლიტერატურას დამოუკიდებლად არსებობის უფლება არც კი აქვს.

ასეთი შეხედულების მცდარობა თანდათან ცხადი იმითაც გახდა, რომ შეიქმნა საბავშვო ლიტერატურის თეორია და კრიტიკა, ინტენსიური მუშაობა დაიწყო როგორც ჩვენში, ასევე დასავლეთ ევროპაშიც. საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შესაქმნელად, დაიწერა მონოგრაფიები საბავშვო მწერლებზე, საბავშვო ნაწარმოების ენის, საბავშვო ლიტერატურის კითხვის პრობლემატიკაზე, საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიურ-მხატვრულ საფუძვლებზე, მის სპეციფიკაზე და ა. შ.

დროთა ვითარებაში, მხატვრული სიტყვის დიდოსტატებთან ერთად გამოჩნდნენ, როგორც პროფესიონალი, ისე არაპროფესიონალი საბავშვო მწერლების სახელები, როგორიცაა: კამპე, დე ბომონდი, ბეჩკენი, ბლანშარი, ედევორტი, ლუი ბიუსნერი, ესოპე, ლაფონტენი, შარლ დე კოსტერი, ედ. ლობულე, ჟანლისი, სტივენსონი, ანდერსენი, ვალტერ სკოტი, თეკერეი, ჯეკ ლონდონი, პროსპერ მერიმე, ეიულ ვერნი, ვიქტორ ჰიუგო, ბიჩერ-სტოუ, კიპლინგი, ასტრიდ ლინ-

<sup>1</sup> Гете, Статьи и мысли об искусстве, Москва, 1936, гл. 328.

<sup>2</sup> Вольгаст, «Проблемы детского чтения», Петербург, 1912, гл. 27.



დგრენი, ნოვიკოვი, კრილოვი, პუშკინი, პერო, ლერმონტოვი, ტოლსტოი, ნეკრასოვი, ერშოვი, ოდოევსკი, შევჩენკო, ფრანკო, ოვანეს თუმანიანი, შოთა რუსთაველი, დ. გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, შიო მღვიმელი და სხვ.

ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახალი თაობის კითხვის ინტერესის სფერო ძლიერ გაფართოვდა. ამასთან საბავშვო ლიტერატურის ამოცანები თანდათან იმდენად მნიშვნელოვანი, ისტორიული ხასიათის მქონე შეიქნა, რომ მწერლობის საუკეთესო ძალების კონსოლიდაცია აუცილებელი გახდა მაღალიდებური საბავშვო მწერლობის შესაქმნელად. ამან გამოიწვია გამოჩენილი მწერლებსა და პროფესიონალი საბავშვო მწერლების მკიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა.

ეს შემოქმედებითი თანამშრომლობა როგორც შესანიშნავი ტრადიცია, თანამედროვე საბავშვო მწერლობაშიც თავისი კარგი შედეგებით გრძელდება და თვისებრივად და იდეურად ვითარდება, რასაკვირველია, განსხვავებულად, ახალი სოციალისტური საზოგადოების იდეების შესაბამისად.

ეს ბუნებრივი, ეპოქის შესაბამისი ლიტერატურული პროცესების ლოგიკური თანამიმდევრობას ფრიად სასარგებლო, კანონზომიერი შედეგია.

საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის განვითარების ისტორიული გზა, დიდი ხნის განმავლობაში რეაქციულ და პროგრესულ შეხედულებათა შორის ბრძოლითა და ისტორიული აუცილებლობის კანონზომიერებით მიემართებოდა მოწინავე, მსოფლიოში ყველაზე იდეური, ყველაზე მრავალფეროვანი თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის მწვერვალებისაკენ.

საბავშვო ლიტერატურის მოწინავე, პროგრესული წარმომადგენლები ამას კარგად გრძნობდნენ და ისტორიულ აუცილებლობად მიანდნათ ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერი პროცესი მოითხოვდა ადამიანთათვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნას. მათ კარგად იცოდნენ, რომ „ადამიანს უნდა ბედნიერება, მას ამაზე უფლებაც აქვს, იგი უნდა მოიპოვოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს“.<sup>1</sup>

ამ მიზნით წარმოებული ბრძოლის რთული პროცესებიდან როგორც საერთო, ისე საბავშვო მწერლობა არასდროს არ ყოფილა განზე გამდგარი; მოწინავე მწერლობა ყოველთვის დიდ შთამაგონებელ ძალად ევლინებოდა ხალხს, მებრძოლ გმირებს დიადი ოცნების, ხალხთა ინტერესების ხორცშესხმისათვის მძაფრ ბრძოლებში.

<sup>1</sup> Д о б р о т а ю б о в, ПСС, М., 1936, т. I:1, გვ. 228.

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიულ გზაზე შეუპოვარი იდეური ბრძოლის პროცესში დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა სხვადასხვა შეხედულება, მათ შორის ყალბი თეორიები საბავშვო ლიტერატურაზე, საბავშვო მწერლობის შინაარსზე, მიზნებსა და ფორმებზე რელიგიურ-ფილოსოფიური, რელიგიურ-ესთეტიკური, ეთიკურ-ეპოტეტიკური, ობიექტურ-პროგრესული, მენტორულ-დიდაქტიკური, დიდაქტიკურ-სანტიმენტალური (დიტრიხი, ტეგენი, ვოლგასტი, ვეისე, მიულერი, დრიუ, ფოა, ბერტე, ლინტვარკი, ბერგეტი და სხვ.). ეს შეხედულებანი თუ თეორიები მეტად უმწეო აღმოჩნდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური კონცეფციის წინაშე.

ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის დიდი დამსახურება რუსული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვი-კაზმული მწერლობის წინაშე იმაშიც გამოიხატება, რომ მათ ზემოხსენებულ შეხედულებებთან, ყალბ თეორიებთან ბრძოლაში ჩამოაყალიბეს რუსული რეალისტური საბავშვო ლიტერატურის განვითარების ძირითადი პრინციპები, განსაზღვრეს მისი მიზნები და ამოცანები, მხატვრული რეალიზმის პოზიციებიდან გადაწყვიტეს საბავშვო ლიტერატურის სტილისა და ჟანრის პრობლემები, რაც ისტორიული კანონზომიერებით შემდეგში გახდა დიდი საბავშვო ლიტერატურისათვის ბრძოლის საფუძველი. ამავე პერიოდში, საქართველოში მხატვრული რეალიზმის პრინციპებზე ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინება და შემდგომი განვითარება სისხლხორციულად დაუკავშირდა ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავისა და სხვათა სახელებს.

ისტორიულად ცნობილია ისიც, რომ საბავშვო ლიტერატურას ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეექმნა ყველა პირობა განვითარების ახალ სიმაღლეზე აყვანისათვის.

ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია, ახალი ეპოქა თავისებურად, შესაბამისი ამოცანების საფუძველზე განსაზღვრავდა როგორც საერთოდ ხელოვნების, ისე საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის განვითარებას, მის მეთოდოლოგიურ საფუძველებს, პრინციპებსა და ამოცანებს.

სოციალისტური ქვეყნის წინაშე დაყენებული ამოცანების შესაბამისად, პირველ რიგში, დადგა ახალი სამყაროს მშენებელთა, ახალი ცხოვრების შემოქმედთა ყოველმხრივ განვითარებული კადრების აღზრდის პრობლემა, რომელიც სხვა პრობლემათა შორის ყველაზე აქტუალური გახდა, რადგან ახალი იდეების საბოლოო გამარჯვება, მოწინავე კაცობრიობის საუკეთესო შვილთა საოცნებო, თავისუფალი და

ბედნიერი სამყაროს შექმნა, მხოლოდ ახალი თვისებების მქონე ადამიანებს შეუძლიათ.

სხვა საშუალებათა შორის, რომლებიც სკოლას გააჩნია ახალი თაობის აღზრდისათვის, თანამედროვე საბავშვო ლიტერატურას, საბავშვო მწერლობას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ თანამედროვე ლიტერატურა, რომლის მხატვრულ სახეებში ნაჩვენებია ყველა ას ძვირფასი თვისება, რაც ნიშნეულია პროგრესული საზოგადოების ადამიანებისათვის, შეუცვლელი მაგალითია ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

თანამედროვეობა, რომელიც ყოველთვის იყო პროგრესული მწერლობის ასახვის უმთავრესი საგანი, თანამედროვეობა, რომელიც უნდა ჩანდეს საბავშვო მწერლობის ენარობრივ მრავალფეროვნებაში წარმოსახული მხატვრული სახეებით, თავის მხრივ, მეტად დიდმნიშვნელოვანია; თანამედროვეობაზე შექმნილ მაღალიდებურ მხატვრულ ნაწარმოებში შეკრებილია, განზოგადებულია ეპოქისათვის, თავისი დროისათვის უმთავრესი, საინტერესო, მნიშვნელოვანი, ტიპური მოვლენები. ეს კი საგრძნობლად უწყობს ხელს ახალ თაობას გაერკვეს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარე პროცესში, გაიგოს ის უმთავრესი განმავითარებელი დვრიტა, რომელიც ეპოქის პროგრესული მისწრაფების, მისი ობიექტური მიმართულების სასიცოცხლო წყაროა. ეს საბავშვო მწერლობის ისტორიული დანიშნულების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია.

საბავშვო მწერლობის ისტორიული დანიშნულების მეორე არსებითი ნიშან-თვისებებია ის უმთავრესი წარმმართველი ძალაა, რომელიც თავის თავში იტევს იმ ერთობლიობას, რაც წარსულში შექმნილია როგორც მოწინავე, პროგრესული, ცხოველმყოფელური და რაც დღეს ობიექტური სინამდვილის საფუძველზე იქმნება, როგორც ახალი ადამიანური გრძნობები, ხასიათები, განწყობილებანი და მიზანსწრაფვანი.

საბავშვო მწერლობაში უმთავრესია არა მარტო გამომსახველობით საშუალებათა გარეგნული მხარე, მისი ფორმები, არამედ მასთან ერთად აუცილებელია ეპოქის თავისებურება ჩანდეს მაღალიდებურ შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებში, ჩანდეს ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმის სიდიადე, რომლის „ეთიკური საფუძვლები დღეს

კლასიკურ ლიტერატურაში, გადის ის ობიექტები და საფორმეო-ფორმული რეკლუციონი და სრულყოფის იღებს კომუნისტური რეკლუციონის დიდ საკაცობრიო ეტიკაში“.

ახალი თვისებები წარმოიშვა და განვითარების მაღალ დონეზე აიყვანა ახალმა სოციალისტურმა საზოგადოებამ, რადგან მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება «Производит богатого и всестороннего глубокого во всех его чувствах и восприятиях человека»<sup>1</sup>.

მრავალფეროვანი, მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე საბავშვო ლიტერატურა სოციალისტურ საზოგადოებაში იქცა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საქმედ; ლიტერატურა ბავშვთათვის და ახალგაზრდობისათვის არ შეიძლება იყოს მხოლოდ საბავშვო მწერლობის შემოქმედების საქმედი<sup>2</sup>.

საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი წერდა, რომ უკვე დროა საბავშვო ლიტერატურის საკითხი დავაყენოთ მთელი სერიოზულობით, ისე როგორც ჩვენთან, საბჭოების ქვეყანაში, დგება ყველა მსხვილი საკითხი, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ გადაჭრას. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის კლასიკური და თანამედროვე საბავშვო მწერლობის ურთიერთობის ისტორიულ როლს ჩვენი ეპოქისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ახალი თაობის აღზრდა უბირეველი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ამოცანაა: «Жизнь и литература вместе учат его как существовать в обществе людей — взаимопроникновенные и взаимопомощь двух способов познания мира — через жизнь и через литературу — создают в юном уме и в юной психике нравственные начала, на основе которых впоследствии сложатся взгляды и облик этого крохотного еще человека»<sup>3</sup>.

ეს ისტორიული ამოცანა მოითხოვს კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული მწერლობის მეცნიერულ შესწავლას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე საბავშვო მწერლობაში ისეთი ახალი

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, М., 1956, стр. 594.

<sup>2</sup> «Правда». 1960, 18/XII.

<sup>3</sup> А Соболев. Сб., Ком. воспитание и совр. лит. для детей, М., 1961, стр. 10.

მხატვრული სახეების შექმნას, რომლებიც ისევე უკვდავხი ძეიძლება გახდნენ, როგორც თვით ბავშვები არიან.

\* \* \*

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის განვითარების ფაქტორ პერსპექტივები უშუალოდ დაკავშირებულია ისეთი თაობის აღზრდასთან, რომელთა მაღალი მორალური ჩვევები პარმონიულად უკავშირდება მათს ფართო გონებრივ განათლებას და მგზნებარე პატრიოტული სულიკვეთება — ინტერნაციონალურ სოლიდარობას.

ობიექტური სინამდვილის თემატიკური და ქანობრივი მრავალფეროვნებით ახახვა, დადებითი ხასიათების, გმირობის, შრომისმოყვარეობის, მეგობრობის, პატიოსნების, სიძნელეთა დაძლევის უნარის მქონე ტიპების ჩვენება და ამ მხრივ შთამაგონებელი მხატვრული სახეების შექმნა ყოველთვის იყო პროგრესული მწერლობის უპირველესი ამოცანა.

მთელი სერიოზულობით დაისვა საკითხი საფუძვლიანად შევისწავლოთ საბავშვო მწერლობის ისტორიული განვითარების პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, ობიექტურად შევაფასოთ ამ დარგში არსებული ლიტერატურული მემკვიდრეობა და ახალი საბავშვო ლიტერატურის ეპოქისეული ამოცანების შესაბამისად განვითარებისათვის შემოქმედებითად გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც წარსულ ლიტერატურულ სამყაროში პროგრესულია.

ამ შემთხვევაში სახელმძღვანელო დებულებად გვევლინება ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამოწვევა, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე მოჩმახულია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ“<sup>1</sup>.

ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, ამ შემთხვევაში XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურისადმი და, კერძოდ, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისადმი ლენინური დამოკიდებულების საფუძველზე იმის გარკვევა, თუ კლასი-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები, თბილისი, 1958, გვ. 10.

კური საბავშვო ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობაში რა ეპოქისეული პრობლემები გვხვდება, როგორ მოხდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ჩამოყალიბება, როგორ წარიმართა მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები, ყოველზე ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კურსის შესაქმნელად.

კლასიკური მხატვრული ლიტერატურა თავისი პოეტური ოსტატობით დაუსურვეტელი წყაროა, საუკეთესო ნიმუშია ახალი ადამიანის მომხიბვლელი, მხატვრულად სრულყოფილი და შთამაგონებელი სახის შესაქმნელად; ამ შემთხვევაში ქართული პოეტური სიტყვის უკვდავ ოსტატების მიერ XIX საუკუნის II ნახევარში და შემდეგ პერიოდშიც შექმნილი საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის, ადამიანთა ფსიქოლოგიურ სამყაროში ღრმად ჩაწვდომის, მდიდარი ხალხური ენის გამოყენებისა და მხატვრული განზოგადების ოსტატობის ისეთი ფასდაუდებელი ნიმუშია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობისათვის.

ამრიგად, ქართული კლასიკური მწერლობის მემკვიდრეობის ღრმად, მეცნიერულად შესწავლა და განზოგადება, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიულ პროცესებში მომხდარი იდეური ბრძოლების, სოციალურ ძალთა დაჯახების, კლასობრივი ბრძოლის დაუვიწყარი სურათების ასახვისათვის მათ მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხებისა და გამოსახვის საშუალებათა ანალიზი აშკარად ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

კლასიკური მწერლობის უკვდავი ქმნილებები, ლიტერატურული მემკვიდრეობის მთელი საგანძური, რომელიც ჩვენს სიამაყეს წარმოადგენს «Есть то, что не отошло в прошлое, что принадлежит будущему»<sup>1</sup> და ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატების ესთეტიკური კონცეფცია საბავშვო ლიტერატურისადმი, კერძოდ კი სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობისადმი მათი დამოკიდებულება, მოთხოვნა, მათ მიერ შექმნილი საბავშვო ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული თავისებურებანი, ის მტკიცე ფუნდამენტია, რომელიც დღესაც უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის.

საბავშვო მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებების მალამხატვრულ ღირებულებას ყოველთვის განსაზღვრავდა არა მხოლოდ ისტო-

<sup>1</sup> В. И. Ленин, Соч. т. 16, М., 1930, в. 297.

არიული ვითარებით გაპირობებული თემატიკური მრავალფეროვნება, არასდეს ის უმთავრესი მხატვრული გამომსახველობითი საშუალებაა, ხატოვანი ენა, ემოციური ძალა, ჩვენებისა და წარმოსახვის ოსტატობა, რომელიც მწერლის მიერ შექმნილ სახეებშია მოცემული. საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული სინამდვილის მრავალფეროვანი ნიშან-თვისებანი, სირთულე, წინააღმდეგობა, თავის მხრივ, ძველისა და ახლის, მომავლადვისა და მზარდის ურთიერთ მწვავე ბრძოლის პროცესშია გამოვლინებული, რომელიც გარკვეულ მიმართულებას აძლევდა და აძლევს საბავშვო მწერლობის განვითარებას, მის ტენდენციებსა და პრობლემატიკას.

ამ თვალსაზრისით ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის მდიდარ ისტორიაში შეიძლება გამოიკვეთოს არა ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, ეტაპები, ლიტერატურული პროცესები.

ჩვენი კვლევის საგანია ახალი ქართული საბავშვო ეროვნული მწერლობა, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიული პირობების შესაბამისად განვითარდა.

წინა ეპოქებისაგან განსხვავებულ ისტორიულ პირობებში განვითარებული ქართული საბავშვო მწერლობა (და ლიტერატურა ფართო გაგებით) იდეურად მჭიდროდ დაუკავშირდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავალ პროცესს, ხელოვნებისა და ლიტერატურის მეცნიერულ, რევოლუციურ-დემოკრატიულ გაგებას.

XIX საუკუნის II ნახევარში, ქართული კლასიკური ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარება ძირითადად შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა:

1. საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულმა ვითარებამ,
2. თანადროულმა ლიტერატურულმა ცხოვრებამ, მისმა ლიტერატურულმა იდეალებმა და
3. ეპოქის პედაგოგიკურმა იდეებმა.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ჯერ კიდევ არ დაწერილა სპეციალური მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან სრულყოფილად იყოს მოცემული, ახსნილი და განზოგადებული, თუ როგორ მიმდინარეობდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ფორმირება, რა ფაქტების საფუძველზე ხდებოდა XIX საუკუნის II ნახევარში ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში ამ დროისათვის მეტად დიდი და მნიშ-

ენელოვანი პრობლემების მხატვრული გადაწყვეტა; ეს პრობლემებია სოციალური უთანასწორობა, ჰუმანიზმი, თავისუფლებისა და ხალხთა მეგობრობის იდეა, საზოგადოებრივისა და პიროვნულის ურთიერთობის თავისებურება, რომლებმაც, თავს მხრივ, განსაზღვრეს თვით ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის დანიშნულება, განვითარების გზები და მისი პროგრესულობა. დაზუსტებას მოითხოვს სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავე, სპეციალურ შესწავლას საჭიროებს ქართული საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის პრინციპების ჩამოყალიბება, ის პროგრესული ტრადიციები, ის მხატვრული ფორმები, რომლებიც ბუნებრივად ერწყმიან თანამედროვეობას.

ჩვენი ძირითადი მიზანი და ამოცანაა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე ამ პრობლემატიკის გაჩვენება XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ეროვნულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში;

მაგრამ ვიდრე ამას გავარკვევდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ რიგში, ზოგიერთ ისეთ პრობლემას შევეხოთ, რომლის მეცნიერულ ახსნას საკვლევი თემისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს პრობლემები შემდეგია:

1. განსაზღვროთ საბავშვო მწერლობისა და საბავშვო ლიტერატურის არსი;

2. გავარკვიოთ ზოგადი (საერთო) და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულება და მათი გავრცელების ფორმები და საზღვრები, სხვა მოვლენებთან კავშირი;

3. დავაზუსტოთ საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) კლასიფიკაცია;

4. გავარკვიოთ მენტორული, დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულება ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით;

5. დავადგინოთ საბავშვო ლიტერატურის ასაკობრივი კლასიფიკაციის საზღვრები და სხვ.

ამ პრობლემების წინასწარი შესწავლა და მიღებული შედეგების განზოგადება, იმითაც არის ნაკარნახევი, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შეგვექმნეს ნათელი წარმოდგენა ქართული საბავშვო მწერლობის ჩასახვის, განვითარების და აყვავების რთულ პროცესზე, რადგან ამ პროცესებმა განსაზღვრა XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის თვითმყოფადობა, მისი პროგრესული მნიშვნელობა.



**ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის  
პრობლემატიკის კვლევის ძირითადი პრინციპები**

„თანდათან ძლიერდება საკუთარის წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერაფერს ვერ უარაყოფს, რადგან ის მწერლობა უქმი და ზევდრად შობილა, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა დაუდგია...“

„...ძველი თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გაელენა იქონია ახალზე“.

26

ი ლ ი ა

მდიდარი ქართული კლასიკური და თანამედროვე სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სრული, მეცნიერული ისტორია, როგორც უკლები აღვნიშნეთ, ჯერჯერობით არ დაწერილა. მის შესაქმნელად, რათქმა უნდა, აუცილებელია მეცნიერულად შევისწავლოთ და შევეცნოთ ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც თავისებურ განვითარებას პოულობს თანამედროვე მოწინავე საბჭოთა სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში, როგორც პროგრესული, სასიცოცხლო შენაკადური ძალა და ორგანულად მასთან დაკავშირებული იდეურ და მხატვრულ საშუალებათა ფერუცვლელი სიმდიდრე.

ეს მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტია, რადგან, ერთი მხრივ, ყოველივე ის, რაც ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში საუკეთესო ქმნილების სახითაა შექმნილი, მხოლოდ დღეს ხდება ხალხის ნამდვილი კუთვნილება. ასეთი ნაწარმოებების იდეურ-ემოციური ძალა მეტად დიდია; მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები ამდიდრებს მოზარდი თაობის სულიერ სამყაროს, უვითარებს კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარს, უქმნის ცხოვრების რთულ პროცესებზე სწორ წარმოდგენას, ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას, აღძრავს სამართლიანობისათვის ბრძოლისა და გამარჯვების რწმენას, ხოლო, მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესი წყაროა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად, თვისებრივად ახალი სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის შემდგომი განვითარებისათვისაც.

მარქსისტულ-ლენინური მითოიოლოგიის სათაძირზე ქართუ-

ლი საბავშვო მწერლობის მეცნიერული ისტორიის სისტემატური კურსის შექმნისათვის აუცილებელი წინაპირობაა, როგორც საბავშვო მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მაღალხარისხოვანი მონოგრაფიების შექმნა, ისე საბავშვო მწერლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემატიკის გარკვევისას მეტაფრასტული კრიტიკის, თეორიული დაუსაბუთებლობისა და ფილოსოფიური სიღრმის უქონელი ნააზრვის წინააღმდეგ ბრძოლა; მათი უსუსურობის გამოვლინება უნდა მივიჩნიოთ იმას ერთ-ერთ პირობად, რომ უშეცდომოდ მოხდეს იმ ძირითადი პრობლემების შესწავლა და მეცნიერულად გადაწყვეტა, რომელიც სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის იდეურსა და მხატვრულ წარმატებებთან თუ წარუმატებლობასთან.

ისტორიულ ვითარებებთან შეპირობებული ეპოქის, საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური მოთხოვნები ახალ ამოცანებს უყენებს როგორც მოწინავე მეცნიერული აზრის განვითარებას, ისე მწერლობას ფართო გაგებით და მასთან ერთად სიტყვაკაშმულ საბავშვო მწერლობასაც, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო აბსტრაქტული, ცხოვრებისეული საკითხებიდან მოწყვეტილი ნაწარმოებების შექმნის წინააღმდეგ ბრძოლა.

რა თქმა უნდა, ეს უპირველესი ამოცანა იყო, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონზომიერების მხატვრულ სახეებში ჩვენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მოზარდ თაობაში მოწინავე შეხედულებათა ფორმირება, მხოლოდ მოწინავე იდეურ საფუძვლებზე შეიძლებოდა განვითარებულიყო პროგრესული საბავშვო მწერლობაც, მისი რეალისტური სიღრმე და სიმართლე, მაღალი მხატვრული ოსტატობა; ეს კი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ახალ თაობას გაეგო ცხოვრებისეული სიმართლე, ჭეშმარიტება, ახალგაზრდა მკითხველები დამტკბარიყვნენ პოეზიის ენით, ხელოვნების ფერებით.

უდავოა ის ჭეშმარიტება, რომ იდეურად და მხატვრულად მაღალი საბავშვო ნაწარმოებები ეხმარება ახალ თაობას შეიცნოს საზოგადოებრივი ურთიერთობა, ცხოვრება მთელი თავისი სირთულით. ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც დაინტერესებს ბავშვებს, ამავე დროს მათ აიძულებს „ნათლად და ღრმად განიცალონ მოქმედი პირობის ზნეობრივი საკციელი და გრძნობები“<sup>1</sup>, ამა თუ იმ ცხოვრებისეულ საკითხზე გარკვეული შეხედულების გამომუშავებაში იქნება ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი, გაუმდიდრებს წარმოდგენებს ადამიანთა ურთიერთობაზე და სხვ.

<sup>1</sup> К. Д. Ушницкий. Избр. пед. соч. М., 1948, т. I, гл. 45.

ასეთი ნაწარმოებების ღირებულების განსაზღვრა ექვემდებარება ჩელოკნებისა და ცხოვრების ობიექტური ურთიერთობის სწორ გაგებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იმ ჰუმანიტებიდან გამომდინარეობს, რომ მაღალი იდეურმხატვრული ლიტერატურული მოვლენა იქმნება სწორედ ისტორიული პროცესების რთულ ურთიერთობაში.

საბავშვო მწერლობის ფორმირება-ჩამოყალიბება და მისი უმნიშვნელოვანესი პრობლემები უნდა შევისწავლოთ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში, ქვეყნისა და ხალხის ისტორიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, თუ მწერლის ინდივიდუალური თავისებურება ექსოვება მხატვრულ აღმოჩენას, რომელიც მან თავისი ნაწარმოებით მოახდინა ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ფენებიდან ახალი ხასიათების დახატვით, ახალი გმირების სულიერ თუ მატერიალურ, მორალურ თუ ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ჩვენებით, რეალისტურმა კრიტიკამ უნდა გვიჩვენოს, შეაფასოს ნაწარმოებში ჩაქსოვილი მხატვრული სიმართლე; ამისათვის გამოსავალი წერტილი უნდა იყოს დიალექტიკური მატერიალიზმის თეორია მხატვრული ნაწარმოების რთული მოვლენების ახსნა-გაგებისათვის.

ქართული საბავშვო მწერლობის იდეური არსის, სტილის, ჟანრების, სიუჟეტის, ლექსიკური ფონდისა და შედგენილობის თავისებურება, სახეთა სისტემა, შემოქმედებითი მეთოდების სხვადასხვაობა და ა. შ., რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული ვითარების საფუძველზე მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი შემეცნების მთლიან სისტემაში შემავალ იდეოლოგიურ ფორმებთან, გადაჭრით მოითხოვს მეცნიერულად ახსნას ის კანონზომიერება, რომელმაც განსაზღვრა ამა თუ იმ საბავშვო მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში ან კიდევ თვით საბავშვო მწერლობის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მხატვრული პრინციპებისა და შემოქმედებითი მეთოდების ნიშან-თვისებანი, საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

ქართული საბავშვო მწერლობის მეცნიერული ისტორიის კურსის შექმნასთან დაკავშირებით, ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის პრობლემის მეცნიერულად სწორად გადაჭრისათვის, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბებისა და ფორმირების, მისი განვითარების უმთავრესი გზებისა და ეტაპების, თემატიკურ და ჟანრობრივ თავისებურებათა სპეციფიკის მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან შესწავლისათვის აუცილებლად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლევის პროცესში სათანადოდ გამოვიყენოთ როგორც

შედარება-შეპირისპირების ხერხი, ისე პედაგოგიური პრინციპები სიტყვაჯამული საბავშვო მწერლობისადმი მიმართებაში დასმული პრობლემათიკის სწორად გადასაწყვეტად.

აღნიშნული პრობლემების სრულყოფილად და მეცნიერულად სწორად წარმოდგენა მტკიცედ მოითხოვს საკითხები შევისწავლოთ და განვიხილოთ არა იზოლირებულად ქართული ზოგადი (საერთო) მხატვრული ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესებიდან, ამასთან, რაც მნიშვნელოვანია, აგრეთვე მსოფლიო, რუსული საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპებიდან, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე წამოჭრილი აქტუალური პრობლემებიდან, არამედ აუცილებელია საჭიროების მიხედვით ყოველივე ეს საფუძვლიანად შევისწავლოთ მათთან სათანადო შედარება-შეჯერების, მათთან ბუნებრივი ურთიერთობისა თუ განსხვავებულობის ჩვენებით, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) თვითმყოფადობა სწორად იქნეს გაგებული, შეფასებული და ნაჩვენები.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავების, აღმავლობისა და მისი შემდგომი განვითარების ძირითადი ტენდენციების განხილვა გამოთიშულად იმ დიდი ლიტერატურული პროცესებიდან, რომლებიც გვხვდებოდა ამ პერიოდის საბავშვო ლიტერატურაში დასაველეთ ევროპასა და განსაკუთრებით კი მეფის რუსეთის იმპერიაში, იქნებოდა ცალმხრივი და ამდენად გაუმართლებელი.

ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „რუსული მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა“, ხოლო რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა პროგრესულ იდეებთან ქართველი სამოციანელების ურთიერთობა, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია და მეცნიერულად დადასტურებული, მეტად აქტუალური ხასიათისა იყო. ამიტომ, როდესაც ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აღორძინების ისტორიულ თავისებურებებს ვიხილავთ, რომელთანაც სათანადოდაა დაკავშირებული იმდროინდელი ქართველ საბავშვო მწერალთა ესთეტიკური კონცეფცია, რუსული საბავშვო მწერლობის განვითარების ეტაპებზე წარმოქმნილი პრობლემების შესწავლაც აუცილებელია და ბუნებრივი „მხოლოდ იმ პირობით, რომ

რაც შეიძლება მეტი ძალღონე მოვახმაროთ ჩვენს მწერლობას და საკუთარის ვითარების შესწავლა გავიხადოთ ქვაკუთხედად ყოველივე ცოდნისა“.

ეს გარემოება ბუნებრივად მოითხოვს, გამოვიყენოთ მოკლე ისტორიული ექსკურსი საბავშვო ლიტერატურის იდეური და მხატვრული განვითარების საკითხებზე არსებული თეორიული დებულებების შედარება-შეჯერებით სათანადო დასკვნების გამოსატანად. მაგრამ ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების ისტორიული კანონზომიერების განმსაზღვრელი ფაქტორები თვით ქართული საბავშვო მწერლობის ეროვნულ თავისებურებაში უნდა ვეძიოთ.

ეროვნული თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, იმ ისტორიულ პირობებით უნდა აიხსნას, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ქართველი ხალხი როგორც შრომითი და შეზოქმედებითი ტრადიციების განვითარების, ისე გარეშე მტერთა თავდასხმების, აზიების, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლების შედეგად; ამ ვითარებაში პიროვნული გმირობის გამოჩენასთან ერთად, საოცარი ძალით ვლინდებოდა მასობრივი გმირობაც (სამასი არაგველი და სხვ.) როგორც ეროვნული სტიქია. ეს დიდი სახალხო ძალა და მისი შედეგები კარგად იხანს ხალხურ თქმაში „ჩვენს წინაპრებს ისე უცხოვრიათ, რომ ქამარშიც კი ჭეჭილი ამოსვლიათ“.

ამ სიტყვებში საუცხოოდ ჩანს ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიული, ეროვნული თავისებურება,— კალოზე ჭურის ლეწვა, ტანგაუნდელი შრომითი საბრძოლო ცხოვრება, მტკიცე გმირული ნებისყოფა და მშფოთვარე დღეების სისასტიკე. — ხალხის ამ თქმაშია ჩაქსოვილი, ამგვარმა ცხოვრებამ, ისტორიული ვითარების შესაბამისად, ბუნებრივად შექმნა მოთხოვნა ახალი თაობისათვის სათანადო სულიერი საზრდოს შესაქმნელად.

ცარიზმის სუსხიანმა რეჟიმმა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა კიდევ უფრო გააძლიერა, ილიასა და აკაკის მეთაურობით აფრიალდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დროში. ქართული მხატვრული სიტყვა ამ ბრძოლის ქარცეცხლში გამოიწრთო. ამ ბრძოლის პროცესს შეესისხლბორცა ქართული ეროვნული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობაც, ოდესღაც „რუსი, უკრაინელი და რუსეთის სხვა ხალხების უბოროტესი მტერი იყო მეფის თვითმპყრობელობა. ეყრდნობოდა რა ადგილობრივ ფეოდალებისა და ბურჟუაზიის მაღალ ფენას, ცარიზმი ატარებდა არარუსი ხალხების ნაციონალურ-კოლონიალური ჩავერის მკაცრ პოლიტიკას.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> Тезисы о 300 летии воссоединения Украины с Россией (1654—1954), М., 1954, з. 12.

ილიასა და აკაკის მიერ საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და მათთან ერთად ამ ისტორიულ ბრძოლაში იაკობ გოგებაშვილის დაუღალავი პრინციპული და უმწიკვლო მოღვაწეობა, როგორც სახალხო განათლების დარგში, ისე ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავების, აღმავლობისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში იყო მკვიდრი საფუძველი ახალი თაობისათვის შესაფერისი სულიერა საზრდოს შექმნა-განვითარებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობა — პოეზია, პროზა, დრამატურგია არ აღორძინებულა სათანადო თეორიისა და კრიტიკის გარეშე. ამის გამო, ქართული საბავშვო მწერლობის იდეურ-მხატვრული ღირებულების მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპების პოზიციებიდან ჩვენებას ორგანულად უნდა დაუკავშირდეს ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის თეორიისა და კრიტიკის ფორმირება-ჩამოყალიბება, რომელიც ბუნებრივად ექსოვება იმდროინდელი საქართველოს სოციალურ, პოლიტიკური და კულტურული ვითარების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიულ ამოცანებს.

ზემოაღნიშნული საკითხების ისტორიულ ასპექტში განხილვა, საჭიროების მიხედვით, ობიექტურად უნდა -- დაუკავშირდეს აგრეთვე მსოფლიო საბავშვო ლიტერატურაში, მისი განვითარების სწვადასხვა მიმართულების წარმოშობა-განვითარების სათანადო პრობლემებს, რა თქმა უნდა, მათთან შეპირისპირების საფუძველზე განსხვავებულობისა თუ შეხვედრების ჩვენებითა და შეფასებით.

დასაყვამთავე ეუროპისა და რუსეთის საბავშვო ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა მიმართულების წარმოშობა-განვითარება, ერთის შეცვლა მეორეთი, უფრო პროგრესულით, — ისტორიული კანონზომიერებით იყო გამოწვეული. იგი ორგანულად უკავშირდებოდა ცხოვრებისეული საკითხების ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მიხედვით იდეურ გააზრებასა და ბრძოლას.

ამ ბრძოლაში წარმოქმნილი ობიექტური ჰეგმონია, ამ ჰეგმონიების მისტიკურ-იდეალისტური დამახინჯება, სიმართლისა და სიკრულის. უსამართლობისა და სამართლიანობის, პროგრესულსა და რეაქციულს შორის მწვავე. პრინციპული შეჯახება უშუალოდ გამოძღვინარეობდა თვით ცხოვრებისეული პრობლემიდან, როგორცაა ეთიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ესთეტიკური. ყველა მათგანი თავისთავში იტევდა ობიექტურისა და სუბიექტურის დიალექტიკურ მთლიანობას.

ამის შესაბამისად ლიტერატურული პროცესების, მიმართულებათა წარმოშობის, განვითარებისა და მათი შეცვლის არსი, რეალური სამ-

ყაროს მხატვრული შეცნობის, აღქმის პროცესები ინტელექტუალურ-რასა და ემოციურის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ხორციელდებოდა, რაც უპირატესად ექსოვებოდა ეპოქის მოთხოვნილებების მიხედვით სიახლის გამარჯვებას, პროგრესულის შეუჩერებელ აღმავლობას. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) და, კერძოდ, საბავშვო სიტყვიერებაში მწერლობის განვითარების ისტორიული გზები.

•

ცნობილია, რომ კლასიციზმის მიმდევრები ანტიკურ კლასიციზმს, კერძოდ, ძველ ბერძულსა და რომაულს, თვლიდნენ მისაბაძად, მაგრამ მოგვიანებით კლასიციზმის პრინციპები შვედარ დოგმად იქცა. იგუ, რასაკვირველია, ხელს უშლიდა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას, აყვავებას, ხოლო ამან კი ისტორიული აუცილებლობის გამო ბუნებრივად მოითხოვა მისი პრინციპების გადასინჯვა.

აქედან გამომდინარე, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, სწორედ ამის გამო, დაწყებული შარლ პეროდან შეიქმნა სათანადო საფუძველი ახალი საბავშვო ნაწარმოებების შესაქმნელად<sup>1</sup>.

ამჟამად დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთანაა ორგანულად დაკავშირებული დანიელ დეფოს, კალტერ სკოტის, ჯონათან სვიფტისა და სხვათა შესანიშნავი ნაწარმოებების შექმნა ევროპაში, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ იდეურ-მხატვრული ღირებულება და მტკიცედ დამკვიდრდნენ მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში, როგორც მხატვრული სიტყვის ძვირფასი ძეგლები.

ასევე რუსეთში მოწინავე პროგრესული საბავშვო მწერლობის განვითარება დაკავშირებულია თავადაზნაურულ-რეაქციული, სანტიმენტალური და „გონებრივი დიდაქტიზმით“ დატვირთული საბავშვო მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის კორიფეების საბავშვო მწერლობაზე პროგრესულ შეხედულებათა განმტკიცებასთან, მათ მიერ იდეური საბავშვო მწერლობის, მისი მხატვრული სახეებისა და გამომსახველობით საშუალებათა სრულყოფის აუცილებლობის ხალხურობის პრინციპების მტკიცე მოთხოვნასთან.

ასეთივე ტენდენცია ფეხს იკიდებს, ღოლო შემდგომში შეცხიერუ-

<sup>1</sup> О. В. Алексеева, Е. П. Брандис и др. Детская литература, М., 1959, гл. 40.

ლად პედაგოგიურად მხატვრული რეალიზმის საფუძველზე არგუმენტირებულ საბრძოლო შემოქმედებით პრინციპებად ყალიბდება XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოშიც ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობის და სხვათა აქტიური მონაწილეობით, რაც ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) შესაქმნელად და შემდგომი განვითარებისათვის მტკიცე საფუძველს შეადგენდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სურათების თემატიკური და ეპიკური მრავალფეროვნებით ასახვის მოთხოვნამ, ენის სიწმინდემ და ხალხურობამ, პატრიოტიზმის, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა ისტორიული განვითარების, ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა.

ასე, რომ ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი, რომელსაც ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში დიდი უღელტეხილი შეიძლება ეწოდოს, ამიტომაცაა მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი. განსაკუთრებული ყურადღებისა და ინტერესის შემცველია იგი იმდროემ, რომ სწორედ ამ პერიოდში აყვავდა და განვითარდა კლასიკური ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა, შეიქმნა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკა, საფუძველი ჩაეყარა ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

ამ პერიოდიდან საბავშვო მწერლობა მტკიცედ უკავშირდება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მის ბრძოლას ცხოვრების გარდასაქმნელად, მის პატრიოტულ გზნებასა და თავისუფლებისათვის დაუცხრომელ ლტოლვას, რომელიც ახალი თაობის პროგრესული იდეებთან აღზრდისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა.

მართალია, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის სპეციალური მეცნიერული კურსი ჯერ არ არის დაწერილი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული მეცნიერული აზრი, ლიტერატურული კრიტიკა მას ჯერ არ შენებოდეს.

განსაკუთრებით ამ ბოლო ათეულ წლებში გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, ლიტერატურათმცოდნეები, კრიტიკოსები ქართული ლიტერატურის პრობლემატიკის მეცნიერულად შესწავლისას ეცნობიან ქართველი საბავშვო მწერლების შემოქმედებას ან კიდევ აღდგენ ცალკე საბავშვო ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ღირებულების ღრმა ანალიზს; ისინი თანდათან აქტიურად ჩაებნენ ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის მეცნიერულად შესწავლის უმნიშვნელოვანეს საქმეში, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ეროვნული საბავშვო მწერლობის აღმავლობაში.



საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის საკითხების შესწავლა უმთავრესად ოთხი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. ქართული ლიტერატურის ისტორიის შესაბამის პერიოდში მეცნიერ-მკვლევარები ეხებიან საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთ საკითხს, არჩევენ ყრმათა საკითხავ წიგნებს, ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, პოეტურ ხერხებს, ენას;

2. დაიწერა სპეციალური მონოგრაფიები ზოგიერთ გამოჩენილ ქართველ საბავშვო მწერალზე, ქართველი კლასიკოსების საბავშვო ნაწარმოებებზე, რომლებიც საკითხის მეცნიერული კვლევისა და განზოგადების თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენაა;

3. სისტემატურად ან კიდევ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნის დროს ქვეყნდებოდა უმნიშვნელოვანესი ნარკვევები, წერილები, ცალკეული ძიებანი კლასიკური და თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის, საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე;

4. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ უმნიშვნელოვანეს პერიოდზე დაიწერა ნაშრომი, რაც თავის მხრივ პირველი ცაა სათანადო მეცნიერული საფუძვლებს შესაქმნელად. ქართული საბავშვო ლიტერატურის სრული ისტორიის დასაწერად.

\* \* \*

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით და, კერძოდ, ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა არ შეიძლება სპეციალური მეცნიერული კვლევის საგანი არ იყოს დღესაც, რადგან ეპიზოდური კვლევანი, როგორი ინტენსივობითაც არ უნდა წარმოებდეს, არ იქნებოდა ამომწურავი იმ პრობლემატიკის სრულყოფილად გადასაწყვეტად, რაც ჩვენი ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის წინაშე არის დაყენებული და, რაც მთავარია, იგი არ იქნებოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის თანამიქმედრული, მეცნიერული ისტორიული კურსის პრეტენზიის შემცველი.

ვფიქრობთ, ამ მხრივ მეცნიერული აზრის, სპეციალური მეცნიერული კვლევა-ძიებისა და განზოგადების ობიექტი — ქართულ კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა კვლავაც საჭიროებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონეზე უფრო ინტენსიურ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას იმ ახალი მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც იბადებიან და ფორმირდებიან ჩვენი ეპოქის ისტორიულ პროცესებში.

საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბების პროცესებისა და მისი განვითარების ეტაპების ჩვენებასთან ერთად კონკრეტული კვლევის ობიექტი უნდა გახდეს ქართული საბავშვო ლიტერატურის ის პროგრესული ტენდენციები, რომლებიც ახალი ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაში შემდგომ გაგრძელებასა და ახალ იდეურ სიმაღლეზე შესაფერის განვითარებას პოულობენ; სანამ ტრადიციებისა და თანამედროვეობის პრობლემას გავარკვევდეთ, საჭიროა ამ ტრადიციების სათავეები შესაბამისად შევისწავლოთ, დავახუსტოთ მათი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ნიშან-თვისებანი, თავისებურებანი.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ არ იქნებოდა სწორი, ეს მხოლოდ საბავშვო პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის სფეროში კვლევით განგვესაზღვრა და სპეციალური კვლევის სფეროა გარეთ დაგვეტოვებინა საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიის საკითხები.

ასეთ ვითარებაში საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკას ისტორია, ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე საგნის, ამ შემთხვევაში საბავშვო მწერლობის თეორიისა და კრიტიკის ჩამოყალიბების პროცესი ჩამოცილებული იქნებოდა თვით საბავშვო მწერლობის განვითარების რთული და საინტერესო პროცესებიდან, რაც დაუშვებელია.

სახელმძღვანელო დებულებად უნდა მივიჩნიოთ ნ. ჩერნიშევსკის სატყეები: «*Без истории предмета нет теории предмета. И то и без теории предмета нет даже мысли об его истории, потому, что нет понятия о предмете, его изучении и границах*». ამის გამო აუცილებელი ხდება ქართული საბავშვო მწერლობის თეორიისა და კრიტიკის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლაც, მისი პრინციპების ნათლად ჩამოყალიბება ერთს მთლიან სისტემაში და იმის გარკვევა, თუ როგორ უწყობდა იგი ხელს ქართული საბავშვო ლიტერატურის, ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის აღმავლობასა და განვითარებას, რა პრობლემებს აყენებდა საბავშვო მწერლობის წინაშე, რა ამოცანებს, რა მიზნებს უსახავდა მას, როგორ განსაზღვრავდა მის სპეციფიკურობას.

\* \* \*

ქართული საბავშვო პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის თემატიკური მრავალფეროვნება მისი შემეცნებითი ღირებულების მაჩვენებელია. თემის ხასიათი განსაზღვრავს ნაწარმოების ღირებულებას და მწერლის ოსტატობაზე მიგვანიშნებს. თემა იდეური ჩანაფიქრის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ლიტერატურის ისტორიაში კარგადაა ცნობილი, რომ თემის სიღრმე, მისი სოციალური დანიშნულება, მისი შე-

საბამისობა ხალხის ინტერესებთან, ეროვნულ თავისებურებასთან, კაცობრიობის მაღალ იდეალებთან იყო, არის და იქნება ის საფუძველი, რომელზედაც ბევრად იყო, არის და იქნება დამოკიდებული მხატვრული ნაწარმოებებით საზოგადოების დაინტერესება. ეს განპირობებულია იმით, რომ მასში პოულობს გამოხატულებას ცხოვრების გარკვეული მხარე, რომელიც მწერლის იდეურ გააზრებასთანაა დაკავშირებული, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი თვით კონკრეტულ ნაწარმოებში პოეტური სიტყვის ოსტატობიდან უნდა მომდინარეობდეს.

ასეთი მხატვრულად გაცოცხლებული თემები მსოფლიო ლიტერატურაში მარადიულობას ინარჩუნებენ, თაობიდან თაობაზე გადადიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძლიერი პოეტური სიტყვის ემოციური ზეგავლენის შემცველია, ან კიდევ მიმზიდველი მხატვრული ფორმათაა წარმოდგენილი, არამედ ამასთან ერთად ისინი შეიცავენ თავისებური გააზრებით უდიდესი ცხოვრებისეული პრობლემების — ეთიკურის, პოლიტიკურის, ფსიქოლოგიურისა და ფილოსოფიურის გადაჭრას.<sup>1</sup>

კლასიკური საბავშვო მწერლობის თემატიკური, იდეური და მხატვრული ღირებულების საფუძვლიანად ჩვენება არა მარტო საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შექმნის ინტერესებთანაა დაკავშირებული და ამდენად აუცილებელი, არამედ ეს იმიტომაც არის საჭირო და გადაუდებელი, რომ კლასიკური საბავშვო მწერლობის ღირსეულ მემკვიდრეს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობა წარმოადგენს, ხოლო ეს უკანასკნელი კი ჩვენი ეპოქის შესაბამისად გამდიდრებულია ახალი მოტივებითა და თემებით, ახალი იდეური შინაარსითა და მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით, რითაც ტრადიციისა და თანადროულობის პრობლემა მეტად საინტერესოდ არის გადაჭრილი.

ამ უმნიშვნელოჯანესი პრობლემის განხილვა-გადაწყვეტა, რასაკვირველია, მოითხოვს იმ უპთავრესის კონკრეტულად ჩვენებას, რაც თანამედროვე საბავშვო ლიტერატურას ისტორიულ ასპექტში შეერთვის, სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს, ზრდის მის შემეცნებითსა და აღმზრდელიობითს ფუნქციებს. ყოველივე ეს აუცილებელს ხდის კვლევის პროცესში სათანადოდ გამოვიყენოთ შედარება-შეპირისპირების ზერხი ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.



საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის თავისებურებას მოზარდი თაობის ასაკობრივი ინტერესები, მათი ფსიქოლოგიური შეპირობებულობა განსაზღვრავს. რანაკვირველია, ეს თავის მხრივ, ცნობილი პედაგოგიური პრინციპის — ნაცნობიდან, ასლობლიდან, უცნობზე და შორეულზე — ოსტატურად გამოყენებას მოითხოვს.

სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ასახვის უმთავრეს ობიექტს, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენს ოჯახური წრე, ბავშვისათვის ჩვეული გარემო, ბავშვის ხასიათი, მისი მორალური ჩვევები, ქცევა, მისი ოცნება და გატაცება, მისთვის ნაცნობი ცხოველები, ფრინველები და მცენარეები.

მოწინავე პროგრესული მწერლები და პედაგოგიკური აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის იცავდნენ ამ აზრს. მაგალითად, დიდი ილია სამართლიანად აქცევდა ყურადღებას გარემოს ფაქტორს და წერდა, რომ „იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველდღიდანვე ტრიალებს“, ადამიანის მომავალზე მეტად დიდი გავლენა აქვს, რადგან „ბავშვის ნორჩი სული ძალიან მგრძნობიარეა“ და ამის შედეგად „მაღლე დამჩნევი ავისა და კარგისა“. დიდი აკაკიცი ამავდენ აზრს იცავდა, როცა წერდა „ყმაწვილის ტვისსა და გონებას ავარჯიშებს მისთანა საგნებზედ, რომელიც მის ახლოს, მის გარშემო არის, რომელსაც ის კარგად იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლიან სჯა“.<sup>1</sup>

გამოჩენილი რუსი მწერალი გოგოლი გარკვევით ამბობდა, რომ ბავშვი ყველაფერს მოითხოვს, მას სურს ყველაფერი გაიგოს, მაგრამ მისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, პირველ რიგში ბავშვებს უნდა მიეაწოდოთ, ის, რაც მასთან ახლოსაა, რის გარეშე არ შეიძლება გაიანჯროს მეორე. ბავშვი უნდა აიყვანოს კიბეზე მისი პირველი საფეხურიდანვე და არ გადაანტუნო რამდენიმე საფეხურზე ერთად.

არ არის სადავო ის ჭეშმარიტება, რომ ბავშვისათვის ნაცნობი გარემოდან აღებული თანამედროვე საკითხები, რაც მის სულთან და გულთან ახლოს დგას, მისი დაინტერესების, ცნობისმოყვარეობის სფეროშია მოქცეული, ის, რაც საბავშვო მწერლის მხატვრული განსხეულების საგნად იქცევა კონკრეტული ნაწარმოების სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სიცოცხლისუნარიანი, როდესაც იგი ბავშვს გაიტაცებს შინაარსისა და ფორმის ჰარმონიული მთლიანობით. ეპოქის შესაბამისი აზრის ბავშვის ცნობიერებამდე დაყვანა მხატვრული სი-

<sup>1</sup> „დროება“, 1875 წ., № 35.

ტყვის გამოყენებით მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიღწეული, როდესაც ნაწარმოების ორი ელემენტი — ფორმა და შინაარსი საბავშვო მწერლის მიერ ჰარმონიულ მთლიანობაში იქნება მოცემული: „რა მშვენიერი აზრებითაც არ უნდა იყოს აღსავსე ლექსი, რა მძლავრადაც უნდა გაისმოდეს მასში თანამედროვე საკითხები, თუ მასში პოეზია არ არის, მასში არ შეიძლება იყოს არც მშვენიერი აზრები და არც სარაფთარი საკითხი, და მასში შეიძლება შეამჩნიოთ მხოლოდ ჩინეზული განზრახვა, ისიც ცუდად შესრულებული“.<sup>1</sup>

ბავშვთათვის უკვე ცნობილი კონკრეტული სახეების სიტყვის ხელოვნების გამოყენებით დახატვისას, მწერალი არა მშრალი დიდაქტიზმის გზით, არამედ ემოციურად, მხატვრულად, ამ სიტყვის მაღალი გავებით, უნდა აღწევდეს საუკეთესო თვისებების აღზრდისათვის საჭირო მასალების ოსტატურად გამოყენებას, რამაც სადა, გასაგები ენითა და სიუჟეტური სიმძაფრით ბავშვებში უნდა გამოიწვიოს არა მარტო დაინტერესება, არამედ მორალური ზეგავლენაც. საბავშვო ნაწარმოების სრულყოფილმა ანალიზმა უნდა ცხადყოს ყოველივე ეს.

სწორედ ამ ნიშნით უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ როგორც რევოლუციამდელი, ისე თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის ნიმუშები, მათი ჟანრობრივი ონტოგენეზისი, რომლებიც ბუნებრივად უკავშირდება როგორც ზოგადს (საერთო)<sup>2</sup>, ისე საბავშვო მწერლობის მარად უქცნობ ტრადიციებს, კლასიკური მწერლობის დიდ მიღწევებს.

ეს მეტად რთული პრობლემაა, რადგან ეს უკანასკნელი ბუნებრივად უკავშირდება მწერლის ღრმა ინდივიდუალობას, ეროვნულსა და კლასობრივ-ისტორიულ თავისებურებას, რითაც განპირობებულია თვით მწერლის მსოფლმხედველობა, სტილი, გამომსახველობით საშუალებათა ნოვატორობა.

ყოველივე ამის ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საბავშვო მწერლობის მეცნიერულად შესწავლის შედეგად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც, რომ ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითადი ტენდენციების განსაზღვრისათვის მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან შეიძლება აიხსნას საბავშვო მწერლობის თავისებურების, ესთეტიკური კრიტიკის, პედაგოგიკური აზროვნების ინ-

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1928, გვ. 680.

<sup>2</sup> „ზოგადი (საერთო) ლიტერატურა“ აქ და შემდეგშიც ნახმარია, როგორც მსოფლიო საბავშვო ლიტერატურიდან, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობიდან განსხვავებულობის შემცველი პირობითი ცნება.

ტორიაში მოწინავე იდეების მხატვრულ შინაარსში ხორცშესხმა და ქართული საბავშვო მწერლობის ჩამოკალიბების ისტორიული კანონ-ზომიერება.

ცნობილია, რომ კლასიკური მხატვრული ლიტერატურა იქმნება გა-  
ნუემორებელი რეალისტური ძაღათა და მხატვრული ოსტატობით,  
რომელსაც ამშვენებს აზრის სიცადე და სიმდიდრე, სიღრმე და სია-  
ხლე, გრძობათა და სახეთა მრავალფეროვნება. ი. გოგებაშვილი ეხე-  
ბოდა რა სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის საკითხებს, სამართლი-  
ანად აღნიშნავდა, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საბავ-  
შვო ნაწარმოებების როგორც გარეგანი სიმშვენიერის გამოხატვა, ისე  
თვით შინაარსი, მისი დედააზრის გამოთქმის სიცხადე, რამდენადაც  
ნაწარმოების ეს ორი მხარე ერთიმეორეს შეერწყმის, იმდენად ნაწარ-  
მოები იქმნება მაღალი ღირსების შემცველი.<sup>1</sup> ასეთ მხატვრულ სახე-  
ებშია გამოხატული კლასიკურ საბავშვო მწერლობაში თანადროულო-  
ბის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მოწინავე იდეები, ობიექტური  
პეშმარიტება.

ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ყურადღების  
საგანია სახე-პერსონაჟთა მიზანსწრაფვის ახსნა-გაგებისათვის, მათ მი-  
ერ გარე სამყაროს გარდაქმნისათვის ბრძოლის შეფასებისა და სწორა  
დასკვნების გამოსატანად და ამის შესაბამისად ახალ თაობაში სათახა-  
ლო შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად.

ყოველივე ეს მოცემული კლასიკური ლიტერატურის (როგორც  
ზოგადისა, ისე საბავშვო მწერლობის) მხატვრულ შინაარსში მოქმედ  
პირთა ქცევებსა და მისწრაფებებში, მათ მიერ ცხოვრების საფუძვლი-  
ანად შეცნობისა და მის გარდაქმნისათვის სწრაფვაში, ერთ-ერთი უმ-  
ნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან «Сознание человека не только  
отражает объективный мир, но и творит его»,<sup>2</sup> ხოლო კლასიკურ  
ლიტერატურაში ამის ნათელსაყოფად ოსტატურად შექმნილ ხაწარ-  
მოებებში სათანადო სიტუაციები, გამოძერწილი სახეები დიდი მხიშ-  
ვნელობის მქონეა თანამედროვე მწერლობისთვისაც.

როგორც ზოგადი (საერთო) ლიტერატურა, ისე სიტყვაკაზმულ  
საბავშვო მწერლობა გამოხატავს საზოგადოებრივ ცხოვრებას ტი-  
პურ სახეებში და მის იდეურ მიმართებას საფუძვლად ედება მწერ-  
ლის მსოფლმხედველობა. იგი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი ფორ-  
მაა, რომელსაც მხატვრულ სახეებში გადატანილ უდიდესი ემოცი-  
ური ზეგავლენის ძალა აქვს. სწორედ ამიტომ საჭიროა მისთვის კუთვ-  
ნილი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციები ერთი-

<sup>1</sup> „ივერია“, 1974, № 10, გვ. 3.

<sup>2</sup> В. И. Ленин. Полн. собр. соч. Т. 14, 1959, გვ. 194.

მეორისაგან გაუთიშველად გვქონდეს წარმოდგენილი და გამოყენებული.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ერთ-ერთი საგულისხმო ფაქტორი, როგორცაა საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიკასთან მჭიდრო კავშირი; პედაგოგიკური მეცნიერება ყოველთვის იცავდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირებით გარკვეული სოციალური წრის, კლასის აღმზრდელობითს იდეალებს. ამის შესაბამისად ეპოქების მიხედვით იქმნებოდა ახალი თაობის აღზრდის გარკვეული სისტემა, რომელშიც, რასაკვირველია, ყოველთვის ისაგბოდა გაბატონებული კლასის, სოციალური ჯგუფის მისწრაფებანი; ინტერესები, იდეები. პრაქტიკულადაც ბრძოლა წარმოებდა შისი განხორციელებისათვის თვით მხატვრული სიტყვის ეფექტურად გამოყენების გზითაც.

საბავშვო მწერლობაში ასახული მშობლიური ქვეყნის ბუხებუ, ესა თუ ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, საზოგადოება, ბავშვთა ცხოვრება, რომელიც პედაგოგიკურ პრინციპებს დაქვემდებარებულ შინაარსსა და ფორმებს შეიცავდა, ბავშვთა გონებრივი განვითარებისა და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა საფუძველზე სელმეშყობაში უნდა ყოფილიყო მათი შეხედულებების ფორმირების, მათი საუკეთესო გრძნობების აღზრდისა და მტკიცე ნებისყოფის გამოძეშვებისათვის.

საბავშვო ლიტერატურის უანრობრივად მრავალსახოვანი საწარმოებები, პლუხანოვის გამოთქმა რომ ვისმართო, „სინამდვილის შოლაპარაკე ფაქტებია“, ბავშვთა და ყრმათა გონებრივი მომზადებისა და ასაკობრივი თავისებურების საფუძველზე ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანის ბედის (ამასთან ბავშვთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების) ჩვენებისათვის.

ჯერ კიდევ ადრე ბელინსკი აღნიშნავდა, რომ ბავშვთათვის კარგა და სასარგებლოა მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელსაც წაიკითხავენ მონრდილებიც და მათ მოსწონთ იგი არა როგორც საბავშვო, არამედ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები.

ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამენ იმ დროის ქართულ საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაშიც: „რაც კარგია და სახალისო, გასართობი და სასარგებლო ხელოვნებაში ყმაწვილებისათვის, ის შეუძლებელია იმავე დროს კარგი არ იყოს და გულს-მოსასხვედრი დიდებისათვის“.<sup>1</sup>

გორკი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ბავშვთათვის ვწეროთ იმაზე, რაზედაც იწერება საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაში, მაგრამ სხვაგვარად.

<sup>1</sup> „მოამბე“, 1899, № 3, გვ. 25.

ყოველი საბავშვო ნაწარმოები უნდა შეიცავდეს კონკრეტულ სრულფასოვან მხატვრულ სახეს, რომელსაც შეუძლია ბავშვის გოხება გაიტაცოს, სათანადო გრძნობები აღუძრას; ამბის დინამიკურად თბრობამ დაინტერესოს, იყოს ღრმა ემოციური; ასეთმა ნაწარმოებმა მძაფრი კონფლიქტების საფუძველზე უნდა უჩვენოს გმირთა გახცდები, სურვილები, ოცნებანი, სიძნელის დაძლევის უნარი, კეთილის გამარჯვება ბოროტზე, სამართლიანობისა — უსამართლობაზე. „საგნები ბავშვებისათვის იგივეა, რაც მოზრდილი ადამიანისათვის, მხოლოდ გადმოცემული უნდა იყოს მათი შემეცნების შესაბამისად. ამაში ძდგომარეობს ამ საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე“<sup>1</sup>.

ცხადია, ასეთი საბავშვო ნაწარმოებებისადმი უპირველესი მოთხოვნაა ბავშვებში ზრდიდეს პატრიოტიზმის, შრომისადმი სიყვარულის, მეგობრობის, ინტერნაციონალიზმის კეთილშობილურ გრძნობებს.

ყოველივე ეს უნდა იყოს გადმოცემული მოწინავე საბავშვო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ყანრობრივი მრავალფეროვნებით, დაწერილი მდიდარი ემოციური ენით, რაც თავის მხრივ ძოზარდი თაობის ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების უშრეტეი წყაროცაა.

საბავშვო ლიტერატურის თავისებურებათა გარკვევისას, პირველ რიგში, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის მხატვრული თავისებურება და ამასთან დაკავშირებით მოწინავე საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების საფუძველზე დამკვიდრებული პედაგოგიკური პრინციპი უნდა იყოს ყურადღების საგანი, რადგან მათი მთლიანობა ქმნის იმ თავისებურებათა ძირითად ნიშნებს, რომლებიც უნდა ახასიათებდეს ყოველ საბავშვო ნაწარმოებს.

პედაგოგიკური მეცნიერება, ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ ბავშვის აზროვნება კონკრეტულია, რომლისთვისაც დამახასიათებელია თვალსაჩინოება, საგნობრიობა, ბავშვთა ფსიქოლოგიაზე გავლენას ახდენს მხოლოდ კონკრეტული სახეები.

გავიხსენოთ აკაკი წერეთლის შემდეგი სიტყვები: „წმირად, როდესაც ყმაწვილი ვეღარა ჰხედავს ტოლ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე... ქვას, ხეს, ყვავილს, ბალახსა და სხვა, პირუტყვებთან ხომ რაღა! ისე სიამოვნებით მუსაიფობს ხოლმე, რომ მეტი აღარ შეიძლება“<sup>2</sup>. როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით სასარგებლოა ბავშვთა ყურადღება შევაჩეროთ „ისეთ საგნებზე, რომელიც მის ახლოს, მის გარშემო არის, რომელსაც კარგად იცნობს და რომელზედაც, მასხასადამე, თვითონაც შეუძლია სჯა“.

<sup>1</sup> В. Белицкий. Изб. пед. соч. М., 1943, гл. 25.

<sup>2</sup> აკაკი წერეთელი, რჩეული ჩანაწერები, თბილისი, 1940, გვ. 328.



ამ შემთხვევაში კონკრეტულობა, ნაცნობ-ნანახი საგანი ცოტა როლს როდი ასრულებს, როგორც დაინტერესების ერთ-ერთი საგულისხმო ფაქტორი.

სწორედ ამაზე მიგვიითობდა უშინსკი, როდესაც ამბობდა — საგანი ბავშვისათვის რომ იყოს საინტერესო, აუცილებლად უნდა იყოს ნაწილობრივ ნაცნობი, ნაწილობრივ ახალიო.

ამგვარად, საბავშვო მწერლობის თავისებურებათა პირველი ნიშანდობლივი თვისებაა, როგორც ეს ცნობილია, მხატვრული სახის კონკრეტულობა, სისრულე.

საბავშვო მწერლობის ჟანრობრივ მრავალფეროვნებაში ძალადი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე საბავშვო ნაწარმოებს უნდა ახასიათებდეს დიდი ემოციურობა, თხრობაში ლირიზმის გამოყენებით, რაც ბავშვთა გრძნობაზე ღრმა გავლენას მოახდენს.

სწორედ ამ თვისებას აკცენდა განსაკუთრებულ ყურადღებას ბელინსკი, როდესაც მოითხოვდა, საბავშვო ნაწარმოები ყოფილიყო ღრმა ემოციური „გამთბარი გრძნობის სითბოთი“.

ლირიზმი თხრობაში საბავშვო მწერლობის თავისებურება და მეროე ნიშანდობლივი თვისებაა.

სათავგადასავლო თუ ფანტასტიკური ხასიათის ყოფაცხოვრებითი თუ ისტორიული შინაარსის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ მემორიული ხასიათის ნაწარმოები ბავშვებს იმ შემთხვევაში მიიზიდავს, მათთვის ხალისიანი წასაკითხავი იქნება, თუ მწერლის იდეურ ჩანაფიქრი ორგანულად ჩაეჭსოვება თხრობის გამართობ ხასიათს, სიუჟეტის დინამიკურობას; „უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ აქ ყველაფერი შეგუებული იყოს ბავშვის უნართან, რომელსაც ბუნებრივი მძიდეკილება აქვს ყოველივე იმისადმი, რაც სასიამოვნოა, სახუმარო და თამაშობის ხასიათი აქვს“<sup>1</sup>.

თხრობის გამართობი ხასიათი საბავშვო მწერლობის მესამე ნიშანდობლივი თვისებაა.

საბავშვო ნაწარმოების მდიდარი, ძარღვიანი ენა ხელს უწყობს ბავშვებში მეტყველების კულტურის ამადლებას. ამიტომ აუცილებელია საბავშვო ნაწარმოების ენის ლექსიკა იყოს მდიდარი, ხალხური, ზუსტი და ემოციური. ეს უკანასკნელი საბავშვო მწერლობის მეოთხე ნიშანდობლივი თვისებაა.

სწორედ ეს უმთავრესი პედაგოგიკური და ესთეტიკური თვისებები განსაზღვრავენ აგრეთვე საბავშვო ნაწარმოებებისა და მათი ავტორების მნიშვნელობასა და ადგილს საბავშვო მწერლობის ისტორიაშიც.

და განა მართო საბავშვო მწერლობის ისტორიაში ადგილის მი-

<sup>1</sup> იან ამოს კომენსკი: რჩეული პედაგოგის თხზულებანი, 1949, გვ. 323.

კუთვნებით განისაზღვრება ეს მნიშვნელობა? არა, იგი მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს ასეთი მხატვრული სახეების როლსა და ღირებულებას თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაშასადამე, მათს აღმზრდელობითსა და საგანმანათლებლო ფუნქციებსაც ეპოქის ახალი თაობის აღზრდის საქმეშიც. ამის გამო ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის კვლევის პრინციპები არ შეიძლება იყოს ამ ნიშანდობლივი თვისებებისადმი გულგრილი.

ზემოჩამოთვლილი ნიშანდობლივი თვისებები უნდა ახასიათებდეს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას გვანიჭებენ, ამდიდრებენ მეოცე საუკუნის ადამიანის სულიერ სამყაროს, უღვიძებენ კეთილშობილურ გრძნობებს, მატებენ სულიერ სიმზხევებს, უმტკიცებენ სიკეთისაკენ სწრაფვასა და კეთილის გამარჯვების ღრმა რწმენას.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: 1. XIX საუკუნის II ნახევრის ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია;

2. ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის მეცნიერული ისტორიის დასაწერად აუცილებელი წინაპირობაა როგორც საბავშვო მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მონოგრაფიების შექმნა, ისე ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების ისტორიულ პროცესებში წარმოშობილი უმნიშვნელოვანესი პრობლემების მეცნიერული კვლევა-შესწავლა და განზოგადება მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან;

3. კლასიკური საბავშვო მწერლობის თემატიკური, იდეური და მხატვრული ღირებულების შესწავლა და განზოგადება ნაკარნახევია არა მარტო ლიტერატურის ისტორიის შექმნის ინტერესებით, არამედ იმითაც, რომ კლასიკური საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ღირსეულ მემკვიდრეს თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა წარმოადგენს, რომელიც ჩვენი ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად გამდიდრებულია ახალი მოტივებით, ახალი თემებით, ახალი იდეური შინაარსითა და მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით, ხოლო კლასიკური მწერლობის ტრადიციების შემოქმედებითად გამოყენება თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის, უდავოდ, დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს;

4. ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიის შესწავლა მოითხოვს, პირველ რიგში, შესწავლილი და დაზუსტებული იქნეს ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის თეორიის ჩამოყალიბება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ძირითადი დებულების საფუძველზე;

5. ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობა XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავებით დაიწყო, რომლის განვითარების ძირითადი ტენდენციების ისტორიულ ასპექტში განხილვა, საჭიროების მიხედვით, უნდა მოხდეს ევროპისა და განსაკუთრებით რუსეთის საბავშვო ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებთან შედარება-შეპირისპირების გზით; ამასთან ერთად, ხაზგეხნილი უნდა იქნეს ქართული საბავშვო მწერლობის ეროვნული თავისებურება, თვითმყოფადობა, რომელიც კანონზომიერად უკავშირდება იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ პრობლემატიკას, როგორცაა ეთიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ესთეტიკური და რომლისთვისაც დამახასიათებელია ობიექტურ-სა და სუბიექტურის მთლიანობა;

6. ქართული საბავშვო მწერლობის ობიექტური ანალიზის ძირითადი მიზანი უნდა იყოს საბავშვო ნაწარმოებებში იმის ნათელყოფა, თუ რამდენად ემოციური, შთამბეჭდავი სახეებით არის გამოსახული ობიექტურისა და სუბიექტურის, ზოგადკაცობრიულის, ეროვნულისა და კლასობრივი თავისებურებანი, ის, რაც ისტორიული კანონზომიერების საფუძველზე ორგანულად უკავშირდება მწერლის ღრმა ინდივიდუალობას, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ისტორიულ ვითარებას, რითაც გაპირობებულია თვით მწერლის მსოფლმხედველობა, შემოქმედებითი მეთოდი, სტილი, გამომსახველობით საშუალებათა ნოვატორობა;

7. ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიაში ყოველი საბავშვო მწერლის, ყოველი საბავშვო მხატვრული ნაწარმოების ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: 1. რამდენად სრულყოფილად არის შოცემული თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქმედი პროგრესული იდეები, რამდენად სწორად არის გაანალიზებული სოციალური მოვლენები და გამოყენებული ტიპური სახეების შექმნისათვის; 2. არის თუ არა მაღალიდებული; 3. შექმნილია თუ არა ხალხთრობის პრინციპების საფუძველზე; 4. ახასიათებს თუ არა ხატოვანი ეხა; 5. მთლიანად აკმაყოფილებს თუ არა საბავშვო მხატვრული ნაწარმოებისადმი წაყენებულ ყველა პედაგოგიურ მოთხოვნას.

ეს მოთხოვნანი საბავშვო ნაწარმოების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციის განმსაზღვრელიცაა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ახალი ადამიანის, ახალი ხასიათების, ახალი შეხედულებების ფორმირება-ჩამოყალიბებას.

**XIX საუკუნის II ნახევრის ქართული კლასიკური  
სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის განვითარების  
წანამძღვრები**

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

**საბავშვო ლიტერატურის სახესხვაობანი  
ისტორიულ ასპექტში**

ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული გზის დადგენისათვის, ამასთანავე ქართული კლასიკური ლა თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის სრულფასოვანი, მეცნიერულად ზუსტად ჩამოყალიბებული ისტორიის შექმნისათვის, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესი წინასწარი პირობაა ზუსტად განვსაზღვროთ საბავშვო ლიტერატურის არსი, მისი სახესხვაობანი, მისი გამოყენების ასაკობრივი პრინციპები, რაც თავის მხრივ საბავშვო ლიტერატურის სახესხვაობის, მათი საზღვრებისა, მათი სპეციფიკური ნიშნების ძირითად თავისებურებათა გამორკვევის განმსაზღვრელიც იქნება.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გამოკვეთილად წარმოვიდგინოთ: 1. ქართული საბავშვო ლიტერატურისა და საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის წარმოშობის და განვითარების თავისებურებანი; 2. საბავშვო ლიტერატურაზე შეხედულებათა ძთლიახი სისტემის ჩამოყალიბება; 3. ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის თეორიისა და კრიტიკის ფორმირება და სხვა უმნიშვნელოდანესი საკითხები, რომელიც ორგანულად უკავშირდება ქართული ეროვნული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის აღორძინებასა და მისი განვითარების ძირითად ტენდენციებს.

ამ პრობლემატიკაზე შეჩერება იმითაცაა ნაკარნახევი, რომ ქართულ პერიოდულ პრესაში, ცალკეულ შრომებსა თუ ნაკვეთებში, ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა თუ ჯერ კიდევ საარქივო ფოხდიდან მოყვანილ მაგალითებში, ბევრი ისეთი რამ არის მოცემული, რომლებსაც არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა ეძლევა, როგორც უკვე განვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების გამომხატველ მოვლენებს, შეხედულებებს, არამედ თანამედროვეობისათვის იხარჩუ-

ნებს გარკვეულ მნიშვნელობას და ზოგიერთ საკითხს ახალ შუქს  
ჰყენს.

ამის გამო ჩვენი კვლევის საზღვრებში მოქცეული იქნება ქართუ-  
ლი სიტყვაკაზმული მწერლობის გენეზისისადმი დაქვემდებარებულ  
ძირითადი საკითხები, რომლებიც ცნებების, ტერმინების, დებულებე-  
ბის ახლებურად გაშუქებასთან არის დაკავშირებული.

საკითხების ახლებურად გაშუქებას, მის მეცნიერულად დასაბუთე-  
ბას, რა თქმა უნდა, დღეს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმდენად,  
რამდენადაც ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ქართული საბავშვო ლიტე-  
რატურის მეცნიერული კურსის შექმნისათვის მისი წარმოშობის, გახ-  
ვითარების ძირითადი გზების რუსულ და მსოფლიო საბავშვო ლიტე-  
რატურასთან ურთერთობის, ურთიერთშეხებისა და განსხვავებულობის  
თავისებურებათა ობიექტური კვლევების დადგენასთან ერთად  
თვითმყოფადობის ჩვენებაც.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ზემოაღნიშნულ პრობლემებზე  
სადავო მოსაზრებანი თუ ცალმხრივი ინტერპრეტაცია გვცდება არა  
მარტო ქართული საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე გამოქვეყნე-  
ბულ წიგნებსა და წერილებში, არამედ რუსული საბავშვო ლიტერატუ-  
რის ისტორიის მკვლევართა ნაშრომებშიც.

ეს კი შოთხოვს ამ შეხედულებათა გადასინჯვას, საკითხის არ-  
სის ზუსტად გარკვევასა და სწორი დებულების ჩამოყალიბებას, რაც  
თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის, საბჭოთა პედაგოგიურ  
მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე საკვლევი თემის  
მეცნიერულად შესწავლისა და განზოგადების ერთ-ერთ აუცილებელ  
პირობას წარმოადგენს.

ეს აუცილებელია იმიტაც, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურის  
ზოგიერთი მკვლევარი უკრიტიკოდ იღებს საბავშვო ლიტერატურის  
ნარკვევებში მოცემულ ზოგიერთ დებულებას, პრინციპს, მასინ რო-  
დესაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დოკუმენტზე განხილვა  
მოითხოვს მათს გადასინჯვას, დაზუსტებას, შევსებას და ახლებურ  
ინტერპრეტაციას.

ჩვენ შევეცდებით, სათანადო კონკრეტული საკითხების ისტორიის  
მოკლე მიმოხილვასთან დაკავშირებით, თანამომდევრულად გახეიხი-  
ლოთ წამოჭრილი პრობლემები და ჩამოვყალიბოთ ჩვენი შესდრულე-  
ბანი, ჩვენი დასკვნები, იმდენად, რამდენადაც იგი ორგანულად უკავ-  
შირდება ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბებას,  
მის შეფასებას, მისი დიდი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო  
როლის გაგების პრობლემებს.

ქართული საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთი კრიტიკოსი ისტორიულ ასპექტში ეხება რა ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობას, თავისებურ ანალიზს უკეთებს არსებულ ფაქტიურ მდგომარეობას და ცდილობს თავისებურად ახსნას შემჩნეული ნაკლოვანებისა თუ ჩამორჩენის მიზეზები. ამ შემთხვევაში იგი ლიტერატურული პროცესების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას სცილდება, ეყრდნობა სუბიექტურ მოსაზრებებს, რის შედეგად ბევრ სადავო მოსაზრებას გამოთქვამს, რითაც სცილდება მეცნიერულ ჭეშმარიტებასაც.

დასკვნები ქართული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ჩამორჩენისა თუ ნაკლოვანებათა შესახებ გამოაქვთ იმავე პერიოდის რუსულ ლიტერატურასთან შეპირისპირების შედეგად.

მაგრამ ლიტერატურული მოვლენების მდგომარეობის მეცნიერულად დადგენისათვის შედარებითი მეთოდის გამოყენება იმას როდინიშნავს, რომ საკითხების მხოლოდ გარეგან მხარეს ძიეცქევს ყურადღება და სათანადო შესწავლის საგნად არ ვაქციოთ მშობლიური საბავშვო მწერლობის წარმატებისა თუ ჩამორჩენის ობიექტური მიზეზები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროშია მოქცეული.

განა შეიძლება ასეთი სერიოზული საკითხი არ განვიხილოთ ისტორიულ ასპექტში, კუთვნილი ადგილი არ მიუღწინოთ ისტორიულად უკვე მოპოვებულ წარმატებებს, დაეტოვოთ იგი ყურადღების გარეშე? არა, ეს არ შეიძლება.

ყოველივე ამის დაიწყოება, რა თქმა უნდა, შეიძლება გაუგებრობის, შეცდომების, სადავო დებულებების შეუზღუდველობის სათავედ იქცეს. და ეს მართლაც ასეა. აი, კონკრეტული მაგალითი:

ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ცნობილი კრიტიკოსი და მკვლევარი ან. ღვინიაშვილი იხილავს ქართული საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობას, სათანადო დასკვნების გამოსატანად მიმართავს რუსული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასთან შეპირისპირების ხერხს და წერს: „რუსეთს ძველი საბავშვო ლიტერატურის საკითხებიც მოეპოვება მეთოდურად დამუშავებული<sup>1</sup>. ჩვენ რომ ჩვენს გარშემო მოვიხედოთ, დავინახათ, რომ ძველადაც და ახლაც ამგვარი ხასიათის წერილებით მეტად ღარიბი ვართ...

<sup>1</sup> პენრიხ ვოლგასტის „საბავშვო კითხვის პრობლემების“ რუსული თარგმანის (1912) წინასიტყვაობაში ლ. გ. ორმანსკი წერს: «Можно с уверенностью сказать, что наша детская литература не только была, но в значительной мере остается ещё и теперь плохой переделкой, перепечаткой немецких фабрика.ов» (გვ. 5) და იქვე დასძენს, რომ «История детской литературы почти вовсе не была предметом самостоятельных исследований», (გვ. 6).

გარდა ამისა, თვით ბავშვის აღზრდის, მისი გონებრივი ზრდის განვითარებას საკმარისი ყურადღება და ინტერესი არ ჰქონდა დათმობილი. პედოლოგია, როგორც მეცნიერება, ჩვენი პედაგოგებისათვის საკმაოდ უცნობი იყო. არსებითად, სკოლებიც სკოლის გარეშე კითხვის საკითხს არ იცნობდნენ და მათ პრაქტიკულ მუშაობაში ამ საკითხს საჭირო ადგილი არ ჰქონდა დათმობილი, ყველა ამას ზედ დაურთეთ ისიც, რომ ჩვენი საზოგადოებმა საბავშვო ლიტერატურას არაფრად აგდებდა, მისი არსებობის მნიშვნელობა არ იცოდა და გულგრილად ექცეოდა ამ ფრიად მნიშვნელოვან დარგს! (ხაზის გასმა ჩემია — ა. ჩ.).

ეს სტრიქონები (ავტორის სტილი უცვლელად არის დაცული. ა. ჩ.) დაწერილია 1934 წელს. იგი შეეხება ქართულ საბავშვო ლიტერატურას. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება, რომ 1934 წლამდე ქართული საბავშვო ლიტერატურის ჩამორჩენის მიზეზები შემდეგია:

1. ბავშვთა აღზრდისა და მათი გონებრივი განვითარებისადმი უყურადღებობა;

2. პედოლოგია როგორც მეცნიერება, პედაგოგებისათვის უცნობი იყო;

3. კლასგარეშე კითხვას სკოლები არ იცნობდნენ;

4. საზოგადოება (ე. ი. ქართული საზოგადოება — მწერლობა, ინტელიგენცია, ფართო მასა) საბავშვო ლიტერატურას არაფრად აგდებდა, არც იცოდა საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობა.

ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესი აშკარად ადასტურებს ამ დებულების უსაფუძვლობას.

ნუთუ მართლა ბავშვთა აღზრდისა და განათლების საქმე ჩვენში უყურადღებოდ იყო დატოვებული? არა, ნამდვილად ასე არ არის.

განა შეიძლება ისტორიულ ასპექტში ბავშვთა აღზრდის საკითხს შევვხვით და არ მოვიხსენიოთ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საკმაოდ ცნობილი სწავლა-განათლებისა და ლიტერატურული ცენტრები<sup>1</sup>, რომელთაც ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ; თუკი არაფერს ვიტყვით უძველეს საუკუნეებში ახალი თაობის აღზრდისა და განათლების ზუსტად განსაზღვრულ მიმართულებაზე, საეკლესიო მწერლობის, ზნეთ-სწავლების, მენტორულ-დიდაქტიკური ხასიათის წყაროების გამოყენებაზე ბავშვთა გონებრივი განვითარების თავისებურად წარმართვის მიზნით, მაშინ უახლოესი წარსული მაინც მოგვეხსენიებინა.

<sup>1</sup> ან. ღვინიაშვილი. ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბილისი, 1934, გვ. 4.

<sup>2</sup> ქ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1960, ტ. I, გვ. 80—110.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და პედაგოგიურ მეცნიერებაში ცნობილია, რომ საბავშვო მწერლობის მოამაგენი — ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი, გ. წერეთელი, რ. ერისთავი, ნ. ხიკოლამძე, დ. ყოფიანი, სერგეი მესხი, ნიკო ცხვედაძე, ივ. როსტომაშვილი, ლ. ზოცვაძე, ევ. გომართელი, იაკ. მანსვეტაშვილი, მ. ჭანაშვილი, ალ. ჯაბადარი, მიხ. ნასიძე, ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა, მ. დემურია, ნ. ნაკაშძე, ზ. ჭიჭინაძე, ნ. მთვარელიშვილი და სხვები სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ახალი თაობის აღზრდისა და გონებრივი განვითარების სასიცოცხლო ინტერესებით; მათი ბრძოლა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის. ამასთან სხვადასხვა წიგნისა თუ კრებულის შედგენა და გამოცემა, როგორცაა ყრმათა ენციკლოპედიები (1817—1823, 1829 წ.), ტარას ძღველემონოზანის ყრმათათვის განკუთვნილი წიგნი, პლატონ იოსელიანის ბავშვთათვის საკითხავ-სასწავლი წიგნი, ა. წივჭიავის „სასიამოვნო წალკოტი“, დ. ჩუბინიშვილის ქრესტომათია ორ წიგნად, ივ. კერესელიძის „ყრმათა მეგობარი“, დ. ფურცელაძის „ანბანი და საკითხავი მდამიო ხალხთათვის“, ს. მღვიანოვის „ანბანი ქართული“, ჰ. უშიკაშვილის „ანბანი ქართული“, ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუხების კარი“, საბავშვო კრებულები, როგორცაა „საყმაწვილო კოხა“, „პატარა ბიბლიოთეკა“, გარდა ამისა, საყმაწვილო საკითხავი წიგნები „კოხა“, „კოკორი“, „აქიდო“, „წყარო“, „ხომლი“, „კუნწულა“, „მერცხალი“, „მოდალური“, ყურნალები „ნობათი“, „გეჭილი“ და სხვ. შეტად საგულისხმო წერილები, პრინციპული მოსაზრებანი საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა საკითხზე პერიოდულ პრესასა და გამოცემებში, როგორცაა „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „მწყემსი“, ყურ. „მოამბე“, და სხვ.—აი, ის არასრული დასახელება, რომელიც მიუყვარებლად ადასტურებს ქართული საზოგადოების ცხოველმყოფელ დაინტერესებას, შეუპოვარ ბრძოლას ახალი თაობის აღზრდის, გონებრივი განვითარების სახალწო ინტერესების შესაბამისად წარმართვისათვის და ამ საქმეში საბავშვო ლიტერატურის როლის შესახებ.

საბავშვო მწერლობის, საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტების უგულვებელყოფა არ შეიძლება, მიუტევებელია.

სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ, რა იდეური პოზიციებიდან ხორციელდებოდა ახალი თაობის აღზრდა, მაგრამ როგორი პოზიციებიდანაც არ უნდა იყოს გამიზნული აღზრდის მიზანი და მისი პრაქტიკული ხორცმესხმა, ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს ითქვას, თითქოს „ჩვენი საზოგადოება ბავშვის აღზრდა-განათლებას საკმარის ყურადღებას არ აქცევდა“. ამ საკითხში ინერტულობა არც არასდროს ყოფილა და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. პირიქით, ობიექტური



კრიტიკოსი, მკვლევარი იმას უნდა ცდილობდეს, რომ ღრმად ჩასწვდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების რთულ პროცესებს, სწორად ამოიცნოს სოციალური ძალთა დაინტერესება ახალი თაობის მიზნობრივ აღზრდაში და დასკვნებიც ობიექტურად გამოიტანოს.

წინაპრისადმი დამოკიდებულებაში მეტად არასასიამოვნოდ ჟღერს სიტყვები, რომ მათ არ იცოდნენ საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობა.

ეს თუ ასეა, მაშინ რით უნდა ავხსნათ არჩილის „საქართველოს ზნეობანი“-ს, დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“-ს, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“-ს, ვაჟას „შვლის ხუკრის ხააძობი“-ს, ილიას „ბაზალეთის ტბა“-ს, აკაკის საბავშვო ნაწარმოებების და სხვათა აღზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციები? რისთვის შეიქმნა ეს ნაწარმოებები?

ვერ დავეთანხმებით კრიტიკოსს ვერც იმაში, რომ თითქოს საბავშვო ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთი პირობა იქნებოდა, პედაგოგებს რომ სცოდნოდათ როგორც „მეცნიერება“ — პედოლოგია.

გაუგებარია, პედოლოგია როგორ შეუწყობდა ხელს საბავშვო ლიტერატურის განვითარებას, პირიქით, პედოლოგია ქეშმარიტი საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისათვის თავისი ტესტებით არავითარი ხელისშემწყობი არ შეიძლება რომ ყოფილიყო.

ესეც რომ არ იყოს, ქართული პედაგოგიური აზროვნება, ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატების უანგარო მოღვაწეობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხომ აქტიურად უკავშირდებოდა ახალი თაობის აღზრდის, საბავშვო მწერლობის განვითარების საკითხებს.

ბოლოს და ბოლოს ისიც ფაქტია, რომ სწორედ XIX საუკუნის II ნახევარში აღორძინდა ჩვენი ეროვნული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა, რომელმაც მკვიდრი საფუძველი შეუქმნა მის შემდგომ განვითარებას როგორც თემატიკურ, ისე ჟანრობრივ მრავალსახეობაში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხის მეორე მხარეც: როდესაც შედარების, შეპირისპირების მეთოდს ვიყენებთ ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად ან კულტურული ვითარების შესწავლისას, აუცილებელია ზოგად ხაზებში საერთო, მსგავსი ან განსხვავებული ვითარებებს აღნიშვნაც და მათი მიზეზების სწორად ახსნა.

აუცილებელია იმ მიზეზების ჩვენება და ანალიზი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, განსაზღვრულ ეტაპზე, ძირითადად დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეულ ვითარებაზე; ისტორიული ეპოქის განსაზღვრული ეტაპი ხასიათდება გარკვეული შეშეცნების, იდეოლოგიის, შეხედულებების, სულიერი კულტურის სხვადასხვა სახის გახსნა-ზღვრული თავისებურებებით, მისთვის კუთვნილი ნიშნებით.

ეს დებულება სადავო არ არის: «Определенной формой материального производства обуславливается, во-первых, определенное расчленение общества, во-вторых, определенное отношение человека к природе. Тем и другим определяется его государственный строй и его миросозерцание, а следовательно и характер его духовного производства»<sup>1</sup>.

ამ დებულებიდან გამომდინარე აუცილებელი იყო კრიტიკოსს შოკლედ მაინც დაეხასიათებინა, როგორ იდგა საკითხი „ძველდაც“ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში, უკრაინაში...

საკითხის ობიექტურად განხილვისათვის ჩვენ შევეცდებით ორი ძაგალითი მოვიყვანოთ იმის ნათელსაყოფად, რომ „ძველდაც“ (ალბათ კრიტიკოსი გულისხმობს XIX საუკუნის II ნახევარს) ყურადღების გარეშე არ იყო დატოვებული თვით რუსული საბავშვო ლიტერატურისათვის მებრძოლთა მიერ ის მწარე სინამდვილე, რაც ნიშნული იყო იმდროინდელი რუსული საბავშვო მწერლობისათვის და ეპოქის სოციალური და პოლიტიკური ვითარების, დაბავსებული სახელმწიფოებრივი წყობის შედეგად იყო გამოწვეული.

ნოვიკოვი<sup>2</sup> გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსეთში მშობლიური საბავშვო ლიტერატურის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ბავშვებს ვურჩევთ ფრანგულ და გერმანულ ენებზე არსებულ ყოველგვარსა და ყველა ასაკისათვის საკითხავ წიგნებს. უსაძარტლობაა, უყურადღებოდ დატოვო შენი საკუთარი ენა ან კიდევ გულცივად ეუყურებდე მას.

ვისაც უყვარს თავისი სამშობლო<sup>3</sup>, ძლიერ სამწუხაროა ნახოს ბევრი თქვენგანი, რომლებმაც უკეთ იციან ფრანგული, ვინემ რუსული... ჩვენი განზრახვაა, ყველა ახალგაზრდას, რომელსაც აქვს მისწრაფება კითხვისაკენ, შეუქმნას მას წიგნები მშობლიურ ენაზე.<sup>4</sup> ეს იყო უცხოური გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩვენში კი ეროვნული ჩაგვრის შედეგად იაკ. გოგებაშვილის სიტყვები ყოველი პატრიოტის გულში ღრმად იჭრებოდა: ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობას დიდისნის ზრუნვა, შოგლა, ყურისგდება და ერთგულება ესაჭიროებაო — ამბობდა იგი, — ეს გრძნობა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არის „ნაზი როგორც კაკლის ხე. ღრმა როგორც მისი ფესვები, მალალი როგორც მისი წვერი, მისი ტოტებივით გახიერი და მისი კოკრებივით ნაყოფიერი“. მშობლიური ენის დაცვა იყო იაკო-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Об искусстве, М., 1933, гл. 34.

<sup>2</sup> Д. Ч. 1785, № 1.

<sup>3</sup> Д. Ч. 1785, № 1.

<sup>4</sup> Д. Ч. 1785, № 1.

ბის უპირველესი მიზანი, სწორედ მან „აღადგინა დაცემული ენა ქართველთა“<sup>1</sup>.

უკრაინის საუკეთესო მწერლები ივ. ფრანკოსთან ერთად (ლესია უკრაინკა, კოციუბინსკი და სხვ.) აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჟურნალ „звонок“-ის ფურცლებზე უკრაინის საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად; დიდი მწერალი წერდა: «У нас нет литературы... газеты, полные фраз, ливнем слов прикрывающие недостаток мыслей... повести о прошлогоднем снеге, в которых видно все кроме жизни, правды, и ума; стихи про весну, лето, зиму и осень, про любовные вздохи и святую троицу, про природу, засушенную в бумаге, про чувства, законсервированные в спирте — это еще не литература... это нечто такое, что происходит ни на земле, ни в воздухе, ни в воде, нечто такое, что оторвано от жизни, от мысли, от современных интересов, что возникает и гибнет, не возбуждая ни в коем ни любопытства, ни охоты, ни сочувствия»...

ივ. ფრანკო უპირისპირდება იმათ, რომლებიც ცდილობდნენ ბავშვებს არ წაეკითხათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გაუნათლებდა გონებას, გაუკეთილშობილებდა გრძნობებს, ერთდროულად განუღვიძებდა გონებასა და სულს. ეს იმას ნიშნავდა, რომ საბავშვო ნაწარმოებებს ეჩვენებინა ცხოვრების რეალური სურათები, ამ სურათებში მხატვრული სახეებით ოსტატურად გამოხატული იდეური მიზანსწრაფვა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ირგვლივ არსებული გარემოს გაცნობას, მის გონებრივ განვითარებასა და ზნეობრივ აღზრდას.

ივ. ფრანკო უპირისპირდება იმათ, რომლებიც ცდილობდნენ რელიგიური მხატვრული ლიტერატურის ნაცვლად ბავშვთათვის ძიებათ რელიგიური ხასიათის წიგნები, ისეთი წიგნები, რომლებიც შორს იდგნენ საზოგადოებრივი ცხოვრების რთული პროცესების, სოციალური, იდეური ბრძოლების მიზეზებისა და პერსპექტივების ცოდნა-გარკვევისაგან და ნაცვლად ცხოვრებისეული ფაქტების დაკვირვებულად შესწავლისა, შეფასების და განზოგადებისა, რელიგიურ ბურჟუაზიას ვეცდა ბავშვთა გონებას. ასეთ რეკომენდაციებს ფართოდ უთმობდა ადგილს, როგორც ცნობილია, პედაგოგიური ჟურნალებიც<sup>2</sup>.

ამგვარად, მეფის რუსეთის იმპერიაში, როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინებას ყოველმხრივ ხელი ეშლებოდა მეფის ეროვნული პოლიტიკის შედეგად.

მიუხედავად ამისა, პროგრესული აზრის, პროგრესული მწერლობის განვითარება თვით ისტორიული კანონზომიერებით, საზოგადოებ-

<sup>1</sup> ზ. კიკინაძე, „გოგებაშვილი“, თბილისი, გვ. 55.

<sup>2</sup> «Учитель», 1870, გვ. 212.

რევი იღებებს განვითარების ობიექტური კანონებით იყო გახპირობე-  
ბული.

და თუ ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა უკანასკ-  
ნელ ათეულ წლებამდე ვერ გამოჩნდა მთელი თავისი სილიადითა და  
ჩაკლოვანებებით, ეს მიეწერება მხოლოდ ქართული ლიტერატურული  
და პედაგოგიკური კრიტიკის გულგრილობას. რის შედეგად იგი არ  
გამხდარა დამოუკიდებელი კვლევის საგანი.

• •

დღესაც, თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის კრიტიკაში ლი-  
ტერატურის არსის სწორად გაგებისათვის თეორიულად ზუსტად არ  
არის გამოკვეთილი საბავშვო ლიტერატურის ცნების საზღვრები.

საბავშვო ლიტერატურა მკაცრადაა მოქცეული საბავშვო სი-  
ტყვაკაზმული მწერლობის იდეურ-შინაარსობრივ გაგებაში, ე. ი.  
საბავშვო ლიტერატურა მხოლოდ იმავ საბავშვო მწერლობას გულის-  
ხმობს, ეს მაშინ, როდესაც მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა  
სფეროდან ბავშვთათვის სპეციალურად დაწერილი თხზულების, ნარ-  
კვევების, ჩანაწერებისა თუ ჩანახატების სხვა აღმნიშვნელი ერთი გა-  
მაერთიანებელი სპეციალური ტერმინი არც კი არსებობს.

ზოგიერთი გაუმართლებლად აფართოებს საბავშვო ლიტერატურის-  
ათვის დამახასიათებელ საზღვრებს; ყველა სახისა და ენის ნაწარ-  
მოებს ამ ერთ ცნებაში ათავსებს და ამით ადგილი აქვს საოცარ  
ზღვარწაშობას მხატვრულსა და არამხატვრულ ლიტერატურას  
შორის და ა. შ.

ეს თითქოს სრულიად უბრალო საქმეა (მხოლოდ ერთი შეხედვით),  
მაგრამ ამავე დროს უაღრესად პრინციპულია, რადგან იგი უშუა-  
ლოდ უკავშირდება საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობის სპეციფი-  
კას, რომელსაც მხოლოდ ნიპილისტები უარყოფდნენ...

განვიხილოთ ზოგიერთი კონკრეტული მაგალითი:

1. რუსული საბავშვო ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის,  
ა. ბაბუჟინის განმარტებით, საბავშვო ლიტერატურა არის ლიტერა-  
ტურა განკუთვნილი სპეციალურად 15—16 წლამდე ასაკის ბავშვებო-  
სათვის, რომელიც მხატვრულ სახეთა ენით ანხორციელებს ბავშვთა  
აღზრდისა და განათლების ამოცანებს. ის საერთო ლიტერატურის გა-  
ნუყოფელი ნაწილია, იბადება მხატვრული ლიტერატურისა და პედა-  
გოგიკის გზაჯვარედინზე და აერთიანებს ხელოვნებისა და პედაგოგიკის  
პრინციპებს.

საბავშვო ლიტერატურა ექვემდებარება საერთო ლიტერატურის მხატვრულობის ყველა პრინციპს, მაგრამ ამასთან ითვალისწინებს თავისი მკითხველის ფსიქიკის თავისებურებას; პასუხობს ბავშვთა მისწრაფებებს ცხოვრების ძლიერი, ცხადი მოვლენებისადმი, მხედველობაში იღებს მათი წარმოდგენის თავისებურებას, ფანტაზიის უხარს, იყენებს ემოციური ზემოქმედების ყველაზე ეფექტურ მხატვრულ საშუალებებს: გარკვეული იდეა, ცხადი, მხიარული ან დრამატული სიუჟეტი, მწყობრი კომპოზიცია, გმირი როგორც მიბაძვის იდეალი, გამოკვეთილი ემოციური ხაზი, სრულყოფილი სიტყვა, მდიდარი საგაბ-შანათლებლო მასალა — ყველა ეს აუცილებელი ელემენტია ბავშვთათვის განკუთვნილი მხატვრული ნაწარმოებისათვის.

მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ საბავშვო ლიტერატურის მხატვრულ თავისებურებაზე, ჩვენ ვამბობთ მის საერთო ნიშანზე, რადგან მისი ზასიათი იცვლება ბავშვთა ასაკთან დამოკიდებულებით, ვისთვისაც ის არის განკუთვნილი.<sup>1</sup>

მართალია, ბაბუშკინა საბავშვო ლიტერატურის არსს ამგვარად განმარტავს და თითქოს მის მიერ საბავშვო ლიტერატურის საზღვარიც გარკვეულია, იგი გაიგივებულია, საერთოდ, ზოგადი სიტყვაკაზმული მწერლობის მტკიცედ შემოსაზღვრული სფეროებით, მაგრამ იქვე ამ ცნებაში იგი აერთიანებს საბავშვო წიგნებს — ანბანს, სახელმძღვანელოებს და ამას ამართლებს შემდეგი მოსაზრებით: „Правда, это не была детская литература в нашем понимании. Это были азбуки, буквари, потешные листы. Но в них уже начали вырисовываться специфические задачи и особенности детской книги и детской литературы. Обучать и воспитывать — вот цель, которую ставили перед детской книгой первые составители букварей, потешных листов, потешных книг»<sup>2</sup>.

ამგვარად, ბაბუშკინა საბავშვო მწერლობის სპეციფიკურ საზღვრებს გასცდა, საერთოდ, საბავშვო წიგნისა და საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებებს შორის სწორედ იმ სპეციფიკის გაუთვალისწინებლად, რომელიც მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს ახასიათებს საგანგებოდ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში და თავისი მოსაზრება არგუმენტირებულად ჩათვალა მხოლოდ მიზნის ჩვენებით.

ამავე პოზიციებზე დგას ქართული საბავშვო ლიტერატურის ახალგაზრდა მკვლევარი თ. ჯიბლაძე, რომელმაც პირველმა სცადა

<sup>1</sup> А. П. Бабушкина. История русской детской литературы. М., 1948,

<sup>2</sup> იქვე, გვ. 5.

შექმნა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული ნარკვევი მისი შორეული საწყისების დასახელებით.

ამ შემთხვევაში იგი უკრიტიკოდ მისდევს ბაბუშკინას იხტერპრეტაციას და საბავშვო ლიტერატურის ცნებაში აერთიანებს საბავშვო წიგნებს, რომლებიც „აღზრდა-განათლების საკითხებსა და მოზარდთა გათვითცნობიერებას ეხება“. ამასთან ასახელებს ზნეთსწავლების, კლასიკური მწერლობის ნიმუშებს, ყრმათა ენციკლოპედიებს, სპეციალურად ბავშვთათვის განკუთვნილ მხატვრულ ნაწარმოებებს, წიგნებს ღვთისმეტყველებისა და სარწმუნოების შესახებ, გამოჩენილ პიროვნებათა ბავშვობის აღწერასა და სხვ.<sup>1</sup>

მაგრამ, რაც მთავარია, თ. ჯიბლაძე ზუსტად ვერ საზღვრავს ამ წიგნების სპეციფიკურობას, როგორც დანიშნულების, ისე შექმნის ხერხების ჩვენებით, რაც საფუძველი უნდა ყოფილიყო ერთგვარი დიფერენციაციისა, რომელიც ფაქტიურად. ობიექტურად მათთვის არის დამახასიათებელი.

ამავე პრინციპით სარგებლობს საბავშვო ლიტერატურის მკვლევარი ან. ღვინიაშვილი და კიდევ უფრო აფართოებს საბავშვო ლიტერატურის სფეროს, კერძოდ, მასში აქცევს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში საკმაოდ გამორკვეულსა და შეფასებულ ნაწარმოებებს, რითაც საერთო, ზოგად მხატვრულ ლიტერატურასა და საბავშვო ლიტერატურას, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას შორის ზღვარი თითქმის წაშლილია. გარდა ამისა, ბაბუშკინას მსგავსად, საბავშვო ლიტერატურაში ან. ღვინიაშვილს შეაქვს ბავშვთა სასწავლო საძეცადინო წიგნებიც.

საილუსტრაციოდ საკმარისია ერთი მაგალითი: „1880 წლამდე ბავშვებისათვის გვხვდება უფრო „ანბანი“, შედგენილი, ან ნათარგმნი უმეტესად სასულიერო პირების მიერ და ნაკლებად პედაგოგების მიერ. ავიღოთ მაგ., წიგნი: „ანბანი და სასარგებლო წერტნანი ყმაწვილთათვის“ გადმოკეთებული რუსულიდან. სათაური ამ წიგნს აქვს მსხვილი შრიფტით. ამას მოსდევს კორპუსით: „მოვედით შვილნო, ისმინეთ ჩემი; შიში უფლისა გასწავლოთ თქვენ“ (ფსალ. XXX. 12). ეს წიგნი გამოცემულია 1868 წელს. მისი შინაარსი შეეხება იესო ქრისტეს ცხოვრებას, წიგნის მიზანია: ბავშვი ქრისტეს პატივისცემით გამსკვალოს, მიიღოს მისი კურთხევა და ჩაუნერგოს ის აზრი, რომ „პური“ ეძლევა მისგან. გარდა ამისა, ბავშვი უნდა დაშინებულიყო „ფუთულათი“, რადგანაც „გამგონ ბავშვებს ღმერთი დააჯილდოებს, გაუგონართ კი დასჯისო“ (გვ. 15).

<sup>1</sup> თ. ჯიბლაძე. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 3.

1880 წელს გამოიცა ქართველი ქალების შიერ ხათარგმნი შოთხ-რობანი (პირველი ე. წ. მხატვრული წიგნი). აქ შედის: 1. სოფელა ტრეპი პოლ გვიზესი; 2. ანტუან მათიე-მისიე; 3. მკერავი ქალი — ვაგნერისა: ეს წიგნი მოზრდილი ასაკისათვის გაძოდ გებოდა... მასალის მხრივ ყოვლად უმნიშვნელა და უხეიროა. მკითხველი ვერც შეითვისებდა შინაარსს, რადგანაც ბუნდოვანია და მდარე ენით ნათარგმნი (ხაზი — ჩვენია. ა. ჩ.). გარდა ამისა, აუარებელი უცხო ქვეყნებისა და მდინარეების სახელებია, რომლის გაგება გაუძნელდებოდათ.<sup>1</sup>

ამ ამონაწერებიდან ირკვევა, რომ არამხატვრული და მხატვრული ნაწარმოებები ერთ სფეროშია მოქცეული, როგორც ერთი ფუნქციის მატარებელი. გარდა ამისა, გაუგებარია, რატომ ფიქრობს კრიტიკოსი „მოზრდილი ასაკისათვის“ გამოდგება ისეთი წიგნი, რომელიც „მასალის მხრივ ყოვლად უმნიშვნელა და უხეიროა“, ამასთან „მკითხველი ვერც შეითვისებდა შინაარსს, რადგანაც ბუნდოვანია და მდარე ენით ნათარგმნი“.

ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ცნობილი კრიტიკოსი ერ. ქარელიშვილი, რომელმაც პირველმა შექმნა სრულყოფილი მონოგრაფიები საბავშვო მწერლობაზე — ეკ. გაბაშვილზე, შიო მღვიმელზე, ნიკო ლომოურზე — ცნებებს „საბავშვო ლიტერატურას“ და „საბავშვო მწერლობას“ ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობს. ამ ცნებაში იგი მხოლოდ სიტყვაკაზმულ მწერლობას გულისხმობს.

ამას ადასტურებს შემდეგი ამონაწერი მონოგრაფიიდან შიო მღვიმელზე, რომელიც ავტორის სტილის დაცვით მოგვყავს. აი, რას წერს იგი: „ქართულ საბავშვო ლიტერატურას დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. როგორც ყველა კულტურული ერის, ისე ჩვენი საბავშვო ლიტერატურაც (ხაზის გასმა აქაც და ქვემოთაც ჩემია ა. ჩ.) განვითარების საწყისებს ხალხის შემოქმედებიდან — ფოლკლორიდან იღებს... საბავშვო მწერლობისა და ფოლკლორის მკიდრო კავშირი იმას არ ნიშნავს, რომ მათ შორის განსხვავება არ არსებობდეს, რომ საბავშვო მწერლობას ჩვენში საკმაოდ დიდი ისტორია აქვს... სწავლაგანათლების საქმის გაფართოებამ ბუნებრივად შოი-თხოვა სპეციფიკური საბავშვო ლიტერატურის შექმნა“.

კლასიკური და თანამედროვე ქართველ საბავშვო მწერალთა შემოქმედებისადმი მიძღვნილ საგულისხმო წერილებში კრიტიკოსი ვლ. ზამბახიძე „საბავშვო ლიტერატურას“ სრულიად მართებულად

<sup>1</sup> ან. ლგინიაშვილი. ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბილისი, 1934, გვ. 38.

<sup>2</sup> ერ. ქარელიშვილი, უკვდავი სიცოცხლე, თბილისი, 1960, გვ. 3, 5, 6.

მხოლოდ სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის იდეურ-მხატვრულ თავისებურებათა გამომხატველ ცნებად ხმარობს.

თანამედროვე ქართველ საბჭოთა საბავშვო პოეტებსა და პროზა-იკოსებზე რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი გაქმოსცა კრიტიკოსმა ვლ. ჯიბუტმა, რომელიც საბავშვო ლიტერატურის არეს მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებების გარჩევით განსაზღვრავს. და ამის მიხედვით ცნებას „საბავშვო ლიტერატურას“ ხმარობს მხოლოდ საბავშვო მწერლობის შინაარსობრივ და მხატვრულ გამომსახველობათა ერთ-ანობის გაგებით<sup>1</sup>.

ამ ბოლო ათეულ წლებში ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა გამდიდრდა საყურადღებო გამოკვლევებით, წერილებით, რომლებშიც ცნება „საბავშვო ლიტერატურა“ იხმარება მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობით.

მიუხედავად ამისა, ლიტერატურულ კრიტიკაში ძაინც ვხვდებით ამ ცნების გამოყენების არამყარობას. მაგალითად, გამოჩენილი ქართველი საბავშვო მწერლების თზულებათა აკადემიურ გამოცემებში იხმარება ისეთი განსაზღვრება, სადაც საბავშვო მწერლობასა და საბავშვო ლიტერატურას შორის ზღვარი წაშლილია.

ნიმუშისათვის შეიძლება დავასახელოთ გამოჩენილი საბავშვო მწერლის ნინო ნაკაშიძის „ჩრულის“ პირველი ტომი, რომლის წინასიტყვაობაში გ. კაჭახიძე შემდეგს წერს: „ნინო ნაკაშიძე უძთავრესად ცნობილია როგორც საბავშვო მწერალი. მართლაც, ნინომ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ქართული საბავშვო მწერლობის აყვავებას მოახმარა და ბევრი შესახიშხავი ნაწარმოებებით გაამდიდრა იგი. ნინომ ადრე, ახალგაზრდობაშივე იგრძნო შემოქმედებითი ძალის გადანაცვლების საჭიროება საბავშვო ლიტერატურაში. ამ შეგნებით მან პირველივე ნერგები წარმატებით ახარა ჩვენი საბავშვო მწერლობის არც ისე კეთილმოწყობილ კარმიდამოში“<sup>2</sup>. (ხაზის გასმა ჩემია — ა. ჩ.).

გაეხსენოთ (მხოლოდ ამ საკითხებთან დაკავშირებით) ჟურნალების „ნობათისა“ და „ჩეჩილის“ მიზნობრივი შეხედულებანიც, რაღვან მათი იდეურ-შინაარსობრივი მხარე ჩვენი საგანგებო კვლევის ფარგლებშია მოქცეული.

პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათი“ ითვალისწინებდა რა ქართული საბავშვო ლიტერატურის თავისებურებას, მიზნად ისახავდა თემატიკურსა და ჟანრობრივ მრავალფეროვნებას, პრაქტიკუ-

<sup>1</sup> ელ. ჯიბუტი. ქართველი საბავშვო მწერლები, თბილისი, 1954.

<sup>2</sup> ნ. ნაკაშიძე. ჩრული, თბილისი, ტ. I, 1961, გვ. 4.



ლად ახორციელებდა მოთხრობების, ლექსების, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, ბავშვთათვის გასაგები ენით გეოგრაფიის, მინეროლოგიის, გეოლოგიის, საბუნებისმეტყველო თემებზე დაწერილი წერილების, გასართობების, სავარჯიშოების, საბავშვო სიმღერებას პერიოდულად გამოქვეყნებას.

ყურნალი „ჩეჩილი“ 1890 წლის პირველ ნომერში განსაზღვრავდა ქართული საბავშვო ლიტერატურის წინაშე დაყენებული ამოცანების აქტუალობას, სარედაქციო წერილში აღნიშნავდა. რომ საყმაწვილო სურათებიან ყურნალში „დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო თამაშობანი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგაეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებზე“.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, საბავშვო პერიოდულ გამოცემათა სამოქმედო არე მეტად ფართოდ არის მოხაზული და მასში მოქცეულია ცალკე, როგორც თავისთავადი მოვლენა, „მოთხრობები, ლექსები, პოემები, მოკლე ამბები, ხალხური ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშები“, ხოლო ამათ გარდა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან ბავშვთათვის მისაწვდომ ფორმებში წერილები და სხვ.

პედაგოგიურ კრიტიკაშიც ვხვდებით საბავშვო მწერლობის, საბავშვო ლიტერატურის არსის თავისებურ გაგებას.

ქართული საბავშვო ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი და დიდი მოამაგე პროფ. გ. თავზიშვილი ეხება რა იაკობ გოგებაშვილის შესახებ დაწერილ მონოგრაფიაში მის საბავშვო ნაწარმოებებს, წერს: „დიდაქტიკური მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის; ჰორაციუსის „Ars poetica“, ვირგილიუსის („Cœciliæ“) და სხვ. მიმართ, ჰეგელის აზრი შეიძლება მართებულია. მაგრამ საზოგადოდ და პრინციპულად მისი აზრი დიდაქტიკური ლიტერატურის მხატვრული ღირებულების შესახებ სწორი არ არის“<sup>2</sup>.

აქ „დიდაქტიკური მწერლობა“ და „დიდაქტიკური ლიტერატურა“ გაიგივებულია. ასევე ამავე მონოგრაფიაში გ. თავზიშვილი „საყმაწვილო ლიტერატურას“, „საბავშვო მწერლობას“ და „საბავშვო ლიტერატურას“ ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობს,<sup>3</sup> ე. ი. გულისხმობს სიტყვაკაზმულ მწერლობას.

იაკობ გოგებაშვილის აზრით „საყმაწვილო ლიტერატურა“ არის საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა, მთელი მეცნიერება ხალხისა“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ყურ. „ჩეჩილი“, 1890.

<sup>2</sup> გ. თავზიშვილი. იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952, გვ. 189.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 193, 195, 204 და ა. შ.

<sup>4</sup> „ღრობა“, 1884, № 7.

აქედან მხოლოდ ერთი სწორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: ი. გოგებაშვილს „საყმაწვილო ლიტერატურა“, ე. ი. „საბავშვო ლიტერატურა ეს მო და ფართო გაგებით“. მასში მოქცეული იყო არა მარტო სიტყვაკაზმული მწერლობა, არამედ სხვა ხასიათის ნაშრომებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, რომლებიც ბავშვთათვის მისაწვდომ ფორმებში იქნებოდა საფუძველი მათი ლიტერატურული და მეცნიერული განათლებისათვის.

ამგვარად: ზემომოყვანილი კონკრეტული მაგალითების ანალიზის შედეგად, საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვით, კარგად ჩანს სამი ერთიმეორის საწინააღმდეგო ან განსხვავებული განსაზღვრა თუ შეხედულება:

1. საბავშვო ლიტერატურის არსში გულისხმობენ არა მარტო ბავშვთათვის სპეციალურად დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებებს — ლექსებს, მოთხრობებს, ფოლკლორულ მასალებს, თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურას, არამედ მეცნიერული ხასიათის წერილებსაც მინეროლოგიიდან, გეოლოგიიდან, გეოგრაფიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, აგრეთვე მასალებს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან (განსაკუთრებით მათი ბავშვობის წლების ჩვენებით), ამასთან მათემატიკურ ამოცანებს, ანეკდოტებს, გამოცანებს, იგავეებს, ანდაზებს, სიმღერებს და სსვ.

2. ცნებას „საბავშვო ლიტერატურას“ გულისხმობენ, აგრეთვე, მაშინაც, როცა ლაპარაკია „საბავშვო წიგნის“ პრობლემატურ საკითხებზე. ამ შემთხვევაში ეს ორი ცნება იდენტურია. ეს ხდება იმიტომ, რომ როგორც „საბავშვო ლიტერატურა“, ისე „საბავშვო წიგნი“ გულისხმობს ლიტერატურას არა ერთი კერძო ნიშნის მიხედვით, მაგ. მეცნიერული, ტექნიკური, ისტორიული, მხატვრული და ა. შ., არამედ იგი მოიცავს სხვადასხვა თემაზე სხვადასხვა უანრისა და ფორმის მრავალფეროვან კომპლექსს ბავშვთა ინტელექტუალური (გონებრივი) სამყაროს გამდიდრებისათვის, მათში გარკვეული ესთეტიკური და ეთიკური ჩვევების აღზრდისა და განვითარების, მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის განკუთვნილ ლიტერატურას.

თუ „საბავშვო წიგნი“, როგორც ცნება, ისტორიულ ასპექტში იქნა განხილული, მხოლოდ საბავშვო ლიტერატურის ფართო გაგებაში პოვეებს სათავეს.

მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზის მეცნიერული შესწავლა ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ სპეციალური საბავშვო წიგნი მრავალი საუკუნის მანძილზე არ იყო შექმნილი, ხოლო ეზოპეს ზღაპრების, ბიბლიიდან და ჰომეროსიდან ნაწყვეტების კითხვა

უკვე საშუალო საუკუნეებიდან დაწყებული ახალი ეპოქის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

ცხადია, რომ ისტორიულად კანონზომიერი აუცილებლობა თანდათან ამწიფებდა საკითხს სპეციალურად საბავშვო წიგნის შესაქმნელად; ჯონ ლოკისა და ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიური იდეები ახალი თაობის აღზრდის უაღრესად დიდი ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის ახალი გზების ძიებაში, რომელიც გამომდინარეობდა ბავშვის ასაკიდან, ბავშვის ბუნებიდან, ემყარებოდა სწავლაში მისაწვდომობისა და თვალსაჩინოების გამოყენებას, ამსხვრევდა აღზრდის გაბატონებულ რეაქციულ სქოლასტიკურ სისტემას.

სწორედ ახალი თაობის აღზრდის დრომოკმული. რეაქციული სქოლასტიკური სისტემის და აღზრდის ახალ იდეებს შორის უაღრესად პრინციპული ბრძოლის ქარცეცხლში იბადებოდა ახრი ბავშვთათვის ანბანისა და გასაგები სასწავლო წიგნის შედგენის შესახებ.

XVIII საუკუნეში იწყებს გამოსვლას სასკოლო წიგნები, მათ შორის უბრწყინვალესი იყო იან კოპენსკის „Ordis pictus“.

სასკოლო წიგნები, სადაც ანბანთან ერთად წარმოდგენილია მოთხრობები, ლექსები, წერილები (თანდათან უფრო მკვიდრად) როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოშიც იწყებს გამოსვლას პედაგოგიურისა და მხატვრულობის პრინციპების ორგანული შეთანაბრებით.

ასეთი „საბავშვო წიგნები“. რასაკვირველია. არის საბავშვო ლიტერატურის ფართო გაგების საუკეთესო ნიმუში.

ამგვარად, ცნებაში „საბავშვო წიგნი“ იგულისხმება როგორც სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა, ისე სასკოლო-სასწავლო სახელმძღვანელოები, აგრეთვე ისტორიული, ტექნიკური, ეთიკური, ხელოვნების სხვადასხვა დარგიდან უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, კულტურის ისტორიიდან ასტრონომიიდან, გეოლოგიიდან. ბუნებისმეტყველებიდან, მედიცინიდან (ჰიგიენის საკითხები). აერონავტიკიდან, კიბერნეტიკიდან, მოგზაურობიდან სპეციალურად ბავშვთათვის დაწერილი და ცალკე გამოცემული წიგნები ან წერილების კრებულები.

3. განსხვავებული შეხედულება ცნებას „საბავშვო ლიტერატურას“ მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის ფარგლებში აქცევს: როცა ახსენებენ საბავშვო ლიტერატურას, გულისხმობენ მხოლოდ საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობას ან, პირიქით. როცა ლაპარაკობენ საბავშვო მწერლობაზე, გულისხმობენ მხოლოდ საბავშვო ლიტერატურას.

რა თქმა უნდა, ამ ცნებათა აღრევა, რომელიც ჭერჯერობით გვხვდება ქართულ საბავშვო ლიტერატურასა და პედაგოგიურ კრიტიკა-

ში, საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიაში ბუნდოვნების შემტანია.

ბუნდოვნების შემტანია იმიტომ, რომ ძნელი გასარკვევია ხდება, სად იწყება საბავშვო ლიტერატურა, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა, ვინ არიან მათი წარმომადგენლები.

თუ პირველ და მეორე შეხედულებებში მოცემული განმარტებების საფუძველზე ვიმსჯელებთ, მაშინ ცხადი ხდება, რომ „საბავშვო ლიტერატურის“, „საბავშვო წიგნის“ ცნებაში გაერთიანებულია, შექმნის პრინციპებისა და სპეციფიკურობის მიუხედავად, ყველა ნაწარმოები, რომელიც ახალი თაობის ესთეტიკურს, მორალურსა და გონებრივი აღზრდის ამოცანებს ექვემდებარება, ბუნების მოვლენებზე გარკვეული მეცნიერული შეხედულებების გამომჟღავნებასა და ცხოვრებისეულ საკითხებზე სათანადო ცოდნის მიწოდებას, გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისა და აზროვნების უნარის განვითარებას, რომ ემსახურება.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხატვრული სიტყვის ხელოვნებით შექმნილი ნაწარმოებებისა და ბავშვთათვის დაწერილი მეცნიერულტექნიკური ხასიათის, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა თუ კულტურის ისტორიიდან სპეციალური წიგნების ერთ ცნებაში — საბავშვო ლიტერატურის ნიშნით შემოსაზღვრასთან.

ამგვარად, მხატვრულსა და არამხატვრულ ნაწარმოებებს შორის ზღვარწაშლილობა ერთგვარ უხერხულობასაც ქმნის, რადგან საბავშვო ლიტერატურაში შენაკადური, მაგრამ არსებითად განსხვავებული, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობის მქონე, შეუცვლელი თვისებების მატარებელი მხატვრული შემოქმედება ამ ნიშნით ცალკე არ გამოიყოფა.

სადავო არ უნდა იყოს ის ობიექტური კეშმარიტება, რომ ბავშვთათვის შექმნილი მხატვრული შემოქმედება მკვეთრად გამოირჩევა ბავშვთათვის საკითხავი მასალების საერთო ფონდიდან.

ამ შენაკადური შემოქმედების ისტორიული განვითარების უმთავრესი მიზეზების, განვითარების ეტაპების მეცნიერულად ახსნა, კვლევა, განზოგადება მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ჰოზიციებიდან სპეციალურ განხილვასა და შეფასებას მოითხოვს.

მაგრამ თუკი მესამე შეხედულებას დავეყნობით, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვთათვის შექმნილია მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებები, რადგან ცნება საბავშვო ლიტერატურა საბავშვო მწერლობისთანაა გაიგივებული.

თუკი ჩვენ ამ შეხედულებას მტკიცედ დავიცავთ, მაშინ არ შეიძლება არ დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა ვუწოდოთ იმ წიკ-

ნებს, რომლებიც საბავშვო პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის სფეროში არაა შესული; ასეთ წიგნებად ან ნაწარმოებებად, სპეციალურ შრომებად უნდა მივიჩნიოთ ბავშვთათვის დაწერილი მონოგრაფიება გამოჩენილ ადამიანებზე, პოპულარული ნარკვევები საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ მოვლენებზე, დიად აღმოჩენებზე, მეცნიერებაზე, არქეოლოგიაზე, მინერალოგიაზე და ა. შ., რომლებიც ბავშვთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისათვის აუცილებელ წყაროს წარმოადგენს. ასეთი ხასიათის წიგნების საბავშვო ლიტერატურაში მოქცევა მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად შეუძლებელია, რადგან მათ მეტად განსახეავებული ნიშან-თვისებები გააჩნიათ, რაც ასეთ ნაწარმოებებს განსაკუთრებულ ფუნქციას აკუთვნებს.

თუ მივმართავთ შეპირისპირების ან შედარების ხერხს რუსულ საბავშვო ლიტერატურაში არსებულ ლიტერატურასთან, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ რუსული საბავშვო ლიტერატურის ცნობილი მკვლევარის ნ. ჩეხოვის მოსაზრებები, რომელიც ორიგინალურა ინტერპრეტაციითა და კლასიფიკაციით ბევრ სადავო დებულებას გვთავაზობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანიც.

ნ. ჩეხოვი განსაზღვრავს რა საბავშვო ლიტერატურას, აღნიშნავს, რომ იგი შეიძლება დაიყოს ან ფორმის (პოეზია, პროზა), ან ავტორის მიზნის (მხატვრული და სამეცნიერო) ან შინაარსის (ისტორიული, გეოგრაფიული, საბუნებისმეტყველო-ისტორიული და ა. შ.) მიხედვით.

საბავშვო ლიტერატურა გამოიყოფა ზოგადისაგან მეორე ნიშნით — მკითხველის მიხედვით, ვისთვისაც ეს წიგნებია დაწერილი.<sup>1</sup>

აქედან ნათლად ჩანს ლიტერატურის დაყოფის სამი ძირითადი პრინციპი: I. ფორმის, II. ავტორის მიზნისა და III. შინაარსის საფუძველზე, რაც ჩვენი მოსაზრებით მექანიკურა კლასიფიკაციის ნიმუშად თუ გამოდგება.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამ კლასიფიკაციის არსებით მხარეს, რომელიც არაა გამართლებული თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპების მიხედვით: ლიტერატურის ფორმის ნიშნის მიხედვით დაყოფისას დასახელებულია მხოლოდ პოეზია და პროზა, მაგრამ დრამატურგია, კი გამორიცხულია. გარდა ამისა, ცალკეა წარმოდგენილი შინაარსის ნიშნით ლიტერატურა ისტორიული, გეოგრაფიული, საბუნებისმეტყველო-ისტორიული და ა. შ. თითქოს ამ ნაწარმოებებს ფორმა არ

<sup>1</sup> Н. В. Чехов. Введение в изучение детской литературы, М., 1915, гл. 7.

გააჩნდეს, ან კიდევ მათგან გამორიცხული იყოს ავტორის მიზანი.

ჩვენი აზრით, არაა სწორი ნ. ჩეხოვის კლასიფიკაცია მხოლოდ ავტორის მიზნის ნიშნით, რადგან არ არსებობს ავტორის მიზნის მიხედვით შექმნილი ნაწარმოებები სათანადო ფორმისა და შინაარსის მთლიანობის გარეშე.

ნ. ჩეხოვი ეხება რა საერთო (ზოგადი) და საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის საზღვრული მდგომარეობის ცვალებადობას, იყენებს მას კლასიფიკაციისათვის; სპეციალურად ბავშვთათვის დაწერილი წიგნების გარდა, ნ. ჩეხოვის აზრით, საბავშვო ლიტერატურაში გადადის წიგნები თავიდანვე ავტორის მიერ მოზრდილთათვის დაწერილი, რომელიც, მისი სურვილის მიუხედავად, საინტერესო და მისაწვდომი გახდა ბავშვთათვის. ასეთი ნაწარმოები ერთდროულად შეიძლება ეკუთვნოდეს, როგორც საერთოს (ზოგადს), ისე საბავშვოს. ასეთ ნაწარმოებებად მას მიაჩნია ვ. კოროლენკოს „Дети подземелья“, ა. ჩეხოვის „Каштанка“, „Белобухи“ და სხვ. ამასთან, არის კიდევ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მოზრდილთათვისაა დაწერილი, საერთო (ზოგადი) ლიტერატურაში გარკვეული როლი შეასრულეს და შემდეგ საბავშვო ლიტერატურაში გადავიდნენ იმის გამო, რომ შეიცვალა მოზრდილთა გემოვნება და ინტერესი. ასეთია „რობინზონ კრუზო“, „ბიძია თომას ქობი“, ანდერსენის „ზღაპრები“, კრილოვის „იგავეები“ და სხვ.

ამგვარად, ნ. ჩეხოვი საბავშვო მწერლობას სამი ნიშნის მიხედვით აჯგუფებს:

1. ნაწარმოებები სპეციალურად ბავშვთათვის დაწერილი;
2. ნაწარმოები მოზრდილთათვის დაწერილი, მაგრამ ბავშვთათვისაც საინტერესო და მისაწვდომი;
3. ნაწარმოებები პირველად დიდებისათვის დაწერილი, მაგრამ ახლა საბავშვო კითხვის სფეროში გადასული.<sup>1</sup>

ნ. ჩეხოვის მიერ აქ დასახელებული ნაწარმოებებიდან, რომლებსაც ის მიაკუთვნებს როგორც საერთო (ზოგადი), ისე საბავშვო მწერლობას, ნახსენებია კოროლენკოს „Дети подземелья“ და დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1. კოროლენკომ საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის თვითონ გადააქეთა მოთხრობა „В мирном обществе“ მოთხრობა „Дети подземелья“-ად, სადაც ასახულია ქალაქის პროლეტარიატის ღუხჭირი ცხოვრება და მეტად შთამბეჭდავი ბავშვური ხასიათებია გაშკვითილი (მარუსია, ვალეკი) ინდივიდუალური ნიშნებით.

<sup>1</sup> Н. В. Чехов. Введение в изучение детской литературы, М., 1915, გვ. 9.

ეს მოთხოვნა ნამდვილად საბავშვო მწერლობას განეკუთვნება თავისი ფორმითა და შინაარსითაც, ამასთან ნ. ჩეხოვის სიტყვებით რომ ვთქვათ — მწერლის მიზნითაც;

2. არსებობს დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ თარგმნილი ტექსტების გადაკეთებული ორი ვარიანტი: ა) კამპესეული და ბ) ფოიესეული.

ბელინსკი იწუნებს კამპესეულ ვარიანტს, რადგანაც იგი რეზონუ-ლია, ხოლო ფოიესეული ტექსტი შეიცავს საინტერესო და გამართობა ხასიათის საუბარს სპეციალურად ბავშვთათვის გადაკეთების შედეგად მიღებულს. ამის გამო იგი შედარებით უკეთესად არის მიჩნეული.

ყოველივე ეს ნ. ჩეხოვის მიერ არ არის აღნიშნული და გაურკვეველია ამ საკითხებისადმი მისი პოზიცია.

ზემოხსენებული ნაწარმოებები მხოლოდ მას შემდეგ მოექცნენ საბავშვო მწერლობის სფეროში და დაიმკვიდრეს კუთვნილი ადგილი, რაც ბავშვთათვის საკითხავად სპეციალურად იქნენ გადაკეთებულნი.

მაშასადამე, გადამწყვეტი როლი შეასრულა არა „გემოვნებას შეცვლამ“ ან „ინტერესის შეცვლამ მოზრდილებში“, არამედ იმ ფაქტმა, რომ ნაწარმოები გადაკეთების შედეგად მტკიცედ დაექვემდებარა საბავშვო მწერლობისათვის კუთვნილ სპეციფიკურობას.

სწორედ ამ უქანასკნელმა გააპირობა მათი მოქცევა საბავშვო მწერლობის სფეროში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ჩეხოვი საბავშვო ლიტერატურაში აერ თიანებს ნაწარმოებებს, რომლებიც სპეციალურად ბავშვებისთვის დაწერელი. პრინციპულად ეს სწორია, მაგრამ აქაც დაზუსტება აუცილებელია.

საქმე ისაა, რომ ბავშვთათვის სპეციალურად შეიძლება იყოს დაწერილი როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული, ესთეტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა სახის ნაწარმოებებიც. ეს უდავოა, მაგრამ დაზუსტებაა საჭირო არა მარტო მათ შორის არსებული განმასხვავებელი თავისებურებისა, არამედ ყველა ამათი აღმნიშვნელი ცნებებისაც, რაც სათანადო კლასიფიკაციის საქმეში უფრო გამოკვეთილად და მყარად შეიძლება გამოჩნდეს.

ამგვარად, ქართული, რუსული ლიტერატურული და პედაგოგიური კრიტიკიდან მოყვანილი რამდენიმე კონკრეტული მაგალითიდან ირკვევა, საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის არსის ცნებებში გამოხატვა წარმოებს:

ა) იდენტურობის ნიშნით;

ბ) უზუსტობით;

გ) მათ შორის სრული ზღვარწაშლილობით;

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა კი მოითხოვს მეცნი-

ერულ საფუძველზე ცნებათა მტკიცედ დადგენას, რომელიც შეიძლება ერთ-ერთი საშუალება ან კიდევ სახელმძღვანელო დებულება გახდეს საბავშვო ლიტერატურის პრობლემატიკის გასარკვევად.

ამის შედეგად შეიძლება მოისპოს ცნებათა აღრევა და ბუნდოვანება, რითაც შესაძლებელი გახდება ქართული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების ისტორიული გზების სწორად განსაზღვრა, ცალკეული პრობლემის შესაბამისად გადაწყვეტა. ამიტომ ვამბობთ, რომ აუცილებელია სათანადო მეცნიერული ისტორიის შექმნა დადგენილი ცხებების მტკიცედ დაცვითა და ზუსტად განსაზღვრული ნიშნებით წარმართოს.

ეს იმითაც არის აუცილებელი, რომ უამისოდ მოუხერხებელია ქართული საბავშვო ლიტერატურის პერიოდიზაციის ზუსტად განსაზღვრა, ლიტერატურულ მიმართულებათა ისტორიულ ასპექტში განხილვა და სხვ.

ქართული საბავშვო ლიტერატურის მეცნიერულმა ისტორიამ უნდა გამოავლინოს:

1. რომელი საუკუნიდან, რომელი მწერლის ნაწარმოებით იწყება ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა;

2. როდის წარმოიშვა პირველი ქართული საბავშვო წიგნი მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდის მოთხოვნათა საფუძველზე (რელიგიური, სამეცადინო-სასწავლო).

ამ ორი განმასხვავებელი საკითხის ერთ ცნებაში მოქცევა არ შეიძლება საფუძველი გახდეს ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ერთი თარიღიდან დაწყებისათვის, მისი პერიოდიზაციისათვის, საბავშვო მწერლობაში მიმართულებათა დადგენა-განსაზღვრისათვის.



ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა შორის თუ როგორი განსხვავებული და ხშირად წინააღმდეგობებით აღსავეს შეხედულებებია, ამას ცხადყოფს ტექსტუალური მონაცემების სათანადო ანალიზი;

აი, ეს მაგალითებიც:

1. „პირველი ქართული საბავშვო წიგნების შექმნა უშუალოდ დაკავშირებულია მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდასთან.

საქართველოში სკოლები დაარსებულია უძველესი დროიდან, მწერლობის დაწყებასთან ერთად. აკად. კეკელიძე წერს, რომ „ამ სკოლებში, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, ისწავლებოდა „დავითნი და ჰხმითა სასწავლებელი სწავლა საეკლესიო... და მწიგნობრობა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი“. აქვეა აღნიშ-



ნული, რომ სწავლას ბავშვებს ჩვენში ძალიან ადრე აწყებინებდნენ. ცხადია, საქართველოში ამ უძველესი პერიოდიდან იწყება ყრმათათვის სასწავლო თუ საკითხავი წიგნების შექმნა-შერჩევაზე ზრუნვა.

ნაბეჭდი წიგნები, რომელნიც აღზრდა-განათლების საკითხებს და მოზარდთა გათვითცნობიერებას ეხება, ქართულ ენაზე XVIII საუკუნიდან მოგვეპოვება...

სასწავლო წიგნებთან ერთად სავარაუდოა, რომ ქართველი ახალგაზრდობის ინტერესს ჩვენი ძველი მწერლობიდან იტაცებდა აბოთბილელის თავგანწირვის ამბავი, გრიგოლ ხანძთელის ბავშვობის აღწერა, თხზულებანი „წამებაი ყრმათა წმიდათა ც'რა ძმა კოლაელთა“ და „წამებაი დავით და ტირიქანისა“, რომლებშიც 8-9 წლის ბავშვების თავგადასავალია გადმოცემული.

დიდ შთამაგონებელ საზრდოს წარმოადგენს საუკუნეების მანძილზე მოზარდი თაობისათვის „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული გმირობისა და მეგობრობის იდეები. გატაცებით იკითებოდა „ამირანდარეჯანისი“, „რუსუდანიისი“, „ყარამანიისი“...

არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, „...მ დროს მოზარდი თაობისათვის ზნეთსწავლების თავისებურ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა“...<sup>1</sup>

II. „პირველ ცდად ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში შეიძლება ჩაითვალოს უცნობი ავტორის თხზულება — „მარტილობა ცხრათა ძმათა კოლაელთა“, რომელიც მეცნიერთა ვარაუდით IX საუკუნის ძეგლი უნდა იყოს...

უნდა ვივარაუდოთ, რომ საბავშვო ნაწარმოებები, სასწავლო ხასიათისა მინც, ჩვენში ადრეიდანვე უნდა არსებულებოდა. ამას გვაფიქრებინებს სამონასტრო სკოლების არსებობა ჩვენში ჯერ კიდევ X—XI საუკუნეებში, ხოლო სამოქალაქო სკოლებისა XVI—XVIII საუკუნეებში. ჩვენი აზრით, შეუძლებელი უნდა იყოს, რომ ასეთი ფართო საგანმანათლებლო მუშაობის დროს ანგარიში არ გაწეოდა მოსწავლეთა ასაკს და არ ყოფილიყო ცდები — მათთვის პირველდაწყებითი სწავლის გაადვილების მიზნით საბავშვო ნაწარმოებების შექმნისა...

...პირველი შეგნებული ცდები საბავშვო ნაწარმოებების შექმნისა ისე, რომ ფორმითაც და შინაარსითაც ისინი ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, შეინიშნება აღორძინების ხანის მწერლების — სულხა-საბა ორბელიანის და განსაკუთრებით კი, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> თ. ჯიბლაძე, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, თბილისი 1959, გვ. 3—4.

<sup>2</sup> ლ. გვარამაძე, ნინო ნაკაშიძე და ქართული საბავშვო მწერლობა თბილისი, 1955, გვ. 24—26.

III. „როდის დაიბეჭდა პირველი ქართული საბავშვო წიგნი, ამის გადაჭრით თქმა ძალიან ძნელია. გ. შანშიევი ასახელებს ერთ საბავშვო წიგნს, რომელიც ვითომ დომენტი კათალიკოზს შეუდგენია და გამოუცია 1722 წელს ტფილისში. ამ წიგნს ჰქვია „ყრმათა უბნობა“ ქმნილი დომენტი კათალიკოზისა...

თუ გუგუშვილს შანშიევის კატალოგში შესული წიგნები სანდოდ მიაჩნია, მაშინ ჩვენ პირველ საბავშვო წიგნად უნდა დომენტი კათალიკოზის წიგნი ჩავთვალოთ, მაგრამ გუგუშვილს, როგორც ეტყობა, სრულიად ყურადღება არ მიუქცევია ჩვენ მიერ დასახელებული საბავშვო წიგნისათვის და საბავშვო წიგნის დროულ აილო დაახლოებით 1901—3 წლები.

უდავო ჭეშმარიტებაა, თუ არ ჩავთვლით დ. გურამიშვილის ლექსს, რომელიც მიმართული იყო ახალგაზრდობისადმი, რომ ჩვენ საბავშვო ლიტერატურის ისტორია მხოლოდ მას შემდეგ იწყება, როდესაც საყმაწვილო ჟურნალების გამოცემა დაიწყო. თუ მანაშლის არსებობდა საბავშვო წიგნი, ისიც ანბანი, ხუცუტრად ნაბეჭდი, მისი ავტორი იყო სასულიერო პირი და წიგნსაც სარწმუნოებრივი ქადაგების ხასიათი ჰქონდა.

საერთო მხატვრული საბავშვო ლიტერატურის ჩანასახად მიგვაჩნია საბავშვო პერიდიკის დაარსების წელი, რადგანაც ამ საბავშვო ჟურნალებიდან დაიწყო როგორც საბავშვო ლიტერატურის მამართლებანი, ისე ბავშვის ფსიქიკის იდეოლოგიური ჩამოყალიბება და მხატვრული გემოვნების განვითარება...

ამ ისტორიის დანამდვილებითი თარიღი არის 1883 წელი.

1883 წლამდე და შემდეგაც ქართული საბავშვო ლიტერატურა იზრდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თარგმანებით, ორიგინალურს უხვდებით ანბანს (ხშირად ამასაც ნათარგმნს).

ჯერ კიდევ 80-იან წლებში საქართველოში არ არსებობდა ქართულ ენაზე არცერთი ხეირიანი სახელმძღვანელო<sup>1</sup>.

IV. „ჩვენი დიდი ყურადღება „წამება ყრმათა წმიდათა, რიცხვით ცხრათა-ს“ ძეგლისადმი გამოწვეულია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მით, რომ იგი საბავშვო ლიტერატურას ეკუთვნის. ეს პირველი წერილობითი ძეგლია, სადაც მთავარი მოქმედი პირნი 7—8—9 წლის ბავშვები არიან, სადაც მოთხრობილია ბავშვთა გასაოცარი თავგანწირვა“<sup>2</sup>.

ამ ამონაწერებიდან კარგად ჩანს უზუსტობა, ერთი და იმავე

<sup>1</sup> ან. ლვინიაშვილი, ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბილისი, 1934, გვ. 36—39.

<sup>2</sup> ან. ლვინიაშვილი, ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1962, გვ. 67.

მკვლევარის ნაშრომში გამოთქმული ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

ყოველივე ეს კონკრეტულად შემდეგნაირად შეიძლება გამოვკვეთოთ:

1. საბავშვო წიგნების შექმნა-შერჩევაზე ზრუნვა დაკავშირებულია საქართველოში უძველესი დროიდან სკოლების დაარსებასა და მწერლობის დაწყებასთან. საბავშვო ლიტერატურის სფეროშია მოქცეული „აბოს წამება“, ნაწყვეტი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, „წამება ყრმათა წმიდათა ცხრა ძმა კოლაელთა“, „წამება დავით და ტირიქანისა“, „ვეფხისტყაოსანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „რუსულდანიანი“, „ყარამანიანი“, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“.

ეს შეხედულება ეკუთვნის, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თ. ჯიბლაძეს. ამ შემთხვევაში ერთმანეთშია აღრეული სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებ ვარაუდი და ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც საბავშვო ლიტერატურის სფეროშია განკუთვნილი. ამით ზღვარი წაშლილია სკოლებში გამოსაყენებელ წიგნებსა და ჩვენი მწერლობის ცნობილ ნაწარმოებებს შორის, უგულვებლყოფილია საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის სპეციფიკურობა.

2. პირველ ცდად ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში შეიძლება ჩათვალოს უცნობი ავტორის თხზულება — „მარტილობა ცხრათა ძმათა კოლაელთა“, რომელიც IX საუკუნეს განეკუთვნება.

პირველი შეგნებული ცდები საბავშვო ნაწარმოებების შექმნისა ისე, რომ ფორმითაც და შინაარსითაც ისინი ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, შეინიშნება აღორძინების ხანის მწერლების — სულხან-საბა ორბელიანის და განსაკუთრებით კი, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

ეს შეხედულება ეკუთვნის ლ. გვარამაძეს, რომელიც ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში საბავშვო ნაწარმოებების შექმნის პირველ ცდად ორ ერთიმეორისაგან ძლიერ დაშორებულ თარიღს ასახელებს. პირველი თარიღია IX საუკუნე, ხოლო მეორე XVIII საუკუნე. აქ ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული.

3. საბავშვო ლიტერატურის ისტორია იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენში საყმაწვილო ჟურნალების გამოცემა დაიწყო. ამ ისტორიის თარიღად დასახელებულია 1883 წელი, ე. ი. ის წელი, როდესაც პირველად დაიბეჭდა ჟურნალი „ნობათი“.

„წამება ყრმათა წმიდათა რიცხვთ ცხრათა“ არის საბავშვო ლიტერატურის პირველი წერილობითი ძეგლი.

80-იან წლებში საქართველოში არ არსებობდა ქართულ ენაზე არც ერთი ხეირიანი სახელმძღვანელო.

ეს მოსაზრება ეკუთვნის ან. ღვინიაშვილს, რომელსაც აგრეთვე ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოთქმული; ქართული საბავშვო ლიტერატურის დაწყების თარიღად ან. ღვინიაშვილის მიერ დასახელებულ პირველ მაგალითს თუ ვერწმუნეთ, მაშინ მეორე მექანიკურად გამოირიცხულია და პირიქით, — თუ მეორე თარიღს ვერწმუნეთ, მაშინ პირველი თავისთავად გამოირიცხება. აქ ზუსტად ისეთსავე წინააღმდეგობას ვხვდებით, როგორც ლ. გვარამაძის ნაშრომშია მოცემული.

რა თქმა უნდა, ვერცერთი მკვლევარი ვერ ასცდება ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში IX საუკუნის პროზაული ტექსტის სათანადო ადგილის მიკუთვნებას, სადაც ბავშვთა სახეები მეტად შთამაგონებლადაა მოცემული, სწორედ ამ ნიშნით ვაკუთვნებთ მას ქართულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას.

გარდა ამისა, გაუგებარია, რას ეყრდნობა ა. ღვინიაშვილი, როდესაც წერს, თითქოს 80-იან წლებში საქართველოში არ არსებობდა ქართულ ენაზე არც ერთი ხეირიანი სახელმძღვანელო. ასეთი მოსაზრება მხოლოდ გოცებას იწვევს. ეს ზომ იმას ნიშნავს, გვერდი ავუაროთ იაკობ გოგებაშვილის დიდ ღვაწლს შეუდარებელი სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში?

ყოველივე ის, რაც ზემოთ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე იქნა ნაჩვენები, იმისი შედეგიც არის, რომ ცნებები „სახელმძღვანელო“, „საბავშვო წიგნი“, „საბავშვო ლიტერატურა“, „სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა“ ერთიმეორეშია აღრეული.

საბავშვო ლიტერატურის ცნებათა ისტორიულ ასპექტში განხილვისას ჩვენ სამი განსხვავებული შეხედულება გამოვყავით მათთვის ნიშნულ თავისებურებათა მიხედვით.

რა თქმა უნდა, რომ შეხედულებათა ეს კლასიფიკაცია უნდა იქნეს გამოყენებული ბავშვთათვის განკუთვნილ და ბავშვებზე დაწერილ ნაწარმოებთა დიფერენციაციის საფუძველად.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: 1. საბავშვო მწერლობის არსის ჩვენ მიერ ისტორიულ ასპექტში განხილვის შედეგად დადგენილი კლასიფიკაციისა და საბავშვო მწერლობის დიფერენცირებული სახეების განსაზღვრის საფუძველზე. უნდა გაირკვეს ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის დაწყების თარიღი ლიტერატურული ფაქტის კონკრეტულად ჩვენებით, მისი შინაარსისა და ჟანრობრივ თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე.

მხოლოდ ამის შედაგად არ შეიძლება მონდეს „საბავშვო წიგნის“ „სახელმძღვანელოების“, „ანბანის“, „სიტყვაკაზმული საბავშვო მწერ-

ლობის“, „ზოგადი ლიტერატურის“, სხვადასხვა დარგიდან ბავშვთათვის სპეციალურად დაწერილი თხზულებების ერთ ცნებაში გაერთიანება, მათ შორის ზღვარწაშლილობის დღემდე არსებული პრაქტიკის გაგრძელება.

4. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ამის შესახებ არ ექნება ადგილი იმის „მტკიცებას“, რომ საქართველოში „პირველი შეგნებული ცდები“ საბავშვო ნაწარმოებების შექმნისა დაკავშირებულია სულხან-საბა ორბელიანის და განსაკუთრებით კი დავით გურამიშვილის შემოქმედებასთან, ან კიდევ ქართული „საბავშვო ლიტერატურის ისტორია იწყება მხოლოდ საყმაწვილო ჟურნალების გამოცემიდან, ე. ი. 1883 წლიდან“. ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება, როგორც ეს ამჯერად ხდება, ერთ დოკუმენტად „ვაშტიკო“, რომ ქართული საბავშვო მწერლობის ნიმუშად IX საუკუნის თხზულება „მარტილობა ცხრათა ძმათა კოლაელთა“ უნდა შივიჩნითო.

#### თ ა ვ ი მ ე ო რ ა

### საბავშვო ლიტერატურის კლასიციკაციის ასაკობრივი პრინციპი

საბავშვო ლიტერატურის დიფერენციაციის ასაკობრივ პრინციპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც საბავშვო მწერლობის წინაშე დასმული პრობლემატიკის სწორად გადაწყვეტის (იდეურ-შინაარსობრივი, მხატვრული, ენობრივი და სხვ.) თვალსაზრისით, ისე იმ ფაქტორების დაზუსტებისათვისაც. რომლებიც თავის მხრივ არსებითად განსაზღვრავენ საბავშვო მწერლობის სპეციფიკას. ეს საკითხი არათუ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშია სხვადასხვაგვარად წარმოდგენილი, არამედ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეოცე საუკუნეშიც.

ცნობილია, რომ საბავშვო ლიტერატურას მზიდრო კავშირი აქვს პედაგოგიკურ მეცნიერებასთან, რომელიც, საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული კანონზომიერებით განვითარებასთან დაკავშირებით, ყოველთვის შეიცავდა გარკვეული სოციალური წრის, გაბატონებული კლასის აღმზრდელი იდეალებს და ამ იდეალების განხორციელებისათვის მკაცრად შემუშავებულ სისტემას, მეთოდებსა და ხერხებს.

თუ ღრმად ჩაეწყდებით მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის ისტორიას და პედაგოგიკური აზროვნების განვითარების რთულ პრო-

ცესებს, აშკარად დავინახავთ იმ უტყუარ ფაქტს, რომ საბავშვო ლიტერატურაში ბრძოლა ყოველთვის წარმოებდა ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო მიმართულებას შორის, როგორცაა პროგრესული და რეაქციული, რეალისტური და ფორმალისტური, რელიგიური და ათეისტური და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად საბავშვო ლიტერატურის ერთი თავისებურება ყოველთვის გამოიხატებოდა მის პედაგოგიურ მიზანდასახულობაში, სადაც პირველ რიგში მხედველობაში იყო მიღებული ბავშვთა ასაკობრივი სხვადასხვაობა ამის შედეგად ბავშვთათვის საკითხავი ნაწარმოებების შერჩევა, რეკომენდირება იდეური შინაარსის გათვალისწინებით მხოლოდ ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპებს ექვემდებარებოდა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პედაგოგიური მოსაზრებანი, „პედაგოგიური მიმართულებანი საბავშვო ლიტერატურის დამმორჩილებელი იყო“, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს<sup>1</sup>. ეს ასე რომ ყოფილიყო, მაშინ არ შეიქმნებოდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც დღესაც ამშვენებენ მსოფლიო საბავშვო ლიტერატურას იდეურ-მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე საბავშვო ნაწარმოები უთუოდ არის სათანადო პედაგოგიური პრინციპების შემცველიც.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებში საბავშვო ლიტერატურის მოღვაწენი — მწერლები, კრიტიკოსები უმთავრესად პედაგოგები იყვნენ. ისიც ფაქტია, რომ ისინი საბავშვო ლიტერატურას იმ პოზიციებიდან აფასებდნენ, თუ რომელ პედაგოგიურ მიმართულებას ეკუთვნოდნენ.

ჩვენ ვამბობთ, ა ფ ა ს ე ბ დ ნ ე ნ გარკვეული პედაგოგიური შეხედულების მიხედვით, რათა იგი მოსწავლეთა შესაბამისად აღზრდისათვის, როგორც ემოციური ზეგავლენის იარაღი, გა მო ე ყ ე ნ ე ბ ი ნ ა თ.

ამ შემთხვევაში საბავშვო ლიტერატურაში პედაგოგიური მიმართულება, აღზრდის სისტემის შესაბამისად, შიშველ უტილიტარიზმს ეყრდნობოდა და პედაგოგიური მოსაზრებანი, ძირითადად, არა მარტო საბავშვო ლიტერატურის ახალი თაობის აღზრდაში გამოყენების ფუნქციის შესრულებად გვევლინება არამედ მხატვრული ხაწარმოების შექმნის ერთ-ერთი საფუძვლადაც.

არავის შეუძლია იმის უარყოფა, რომ საბავშვო ლიტერატურას

<sup>1</sup> ასეთი მოსაზრებისაა ან. ლეინაშვილი. იხ. მისი „ქართული საბავშვო ლიტერატურა“, თბილისი, 1934, გვ. 6.

აქვს დიდი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციები, მაგრამ განა ზოგადი, (საერთო) მხატვრული ლიტერატურა ან ფუნქციება მოკლებულია?

განა მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის ცნობილი შედეგებზე მსოფლიო ხალხებს არ უნერგავს პატრიოტიზმის, მეგობრობის, კაცთ-მოყვარეობის, გმირობის მაღალ გრძნობებს?

განა მხატვრული სიტყვის დიდოსტატების ნაწარმოებები არ ზრდიან ადამიანებს მტკიცე ნებისყოფით, მაღალი იდეალებით?

განა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში საყოველთაოდ ცნობილი არაა, გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები ფსიქოლოგიურად როგორ ამზადებდა ხალხებს სამშობლოზე თავდამსხმელთა წინააღმდეგ საბრძოლველად და ბრძოლის ქარცეცხლში შექრილ მეომრებს როგორ აღანთებდნენ გამარჯვების რწმენით?

მაგრამ არც ერთი ასეთი ნაწარმოები პედაგოგიურ მიმართულებათა დამორჩილების შედეგად არ წარმოქმნილა.

არც პუშკინის, არც ერშოვის (ასევე სხვათა) მარგალიტები რუსული საბავშვო მწერლობისა არ შექმნილა პედაგოგიურ მიმართულებათა დამორჩილების საფუძველზე. ასევე ჩვენში არც ილიას, არც აკაკის, არც ვაჟას, იაკობის „ხელითხელ საგოგმანები“ საბავშვო ნაწარმოებები არ შექმნილა „პედაგოგიურ მიმართულებათა დამორჩილების“ საფუძველზე.

„პედაგოგიურ მიმართულებათა დამორჩილების“ საფუძველზე მხოლოდ სასწავლო სახელმძღვანელოები იქმნებოდა და დღესაც იქმნება, მაგრამ ამ პრინციპების საფუძველზე წარსულშიც და ჩვენს ეპოქაშიც მხოლოდ შერჩევა. რეკომენდაცია და გამოყენება ხდება როგორც საბავშვო, ისე ზოგადი (საერთო) ლიტერატურიდანაც, ხოლო შექმნით კი ყველა კარგი საბავშვო ნაწარმოები, რომელსაც დიდი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციები ახასიათებს, მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზეა შექმნილი. ეს უკანასკნელი ანიჭებს მას სიცოცხლისუნარიანობასა და დიდ შემეცნებით მნიშვნელობას.

საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურობის განმსაზღვრელია სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურება და ამავე დროს იგი არის საბავშვო ლიტერატურის დიფერენციაციის ასაკობრივი პრინციპის საფუძველიც.

სხვადასხვა ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურება, ბავშვის ფიზიკური მომწიფება, სხვადასხვა ასაკობრივ ეტაპზე ხასიათების ჩამოყალიბების რთული პროცესი, ინტელექტუალური ზრდა-განვითარება, რასაკვირველია, საბავშვო მწერლის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს, რათა საბავშვო ნაწარმოებში მათი სახეები, მათი სულიერი

სამყარო, ინტერესთა სფეროები, მიზანსწრაფვითა თავისებურებანა დაშაჯერებლად იყოს გადმოცემული. ამის გათვალისწინება, უთუოდ, ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ბავშვთათვის, მოზარდათვის საკრთხავი წიგნების შესაქმნელად, რადგან „როგორც გარდამავალი, მოზარდი ასაკი არის ის სასიცოცხლო ეტაპი, როცა განვითარება ბობოქარი და დინამიურია, როცა ყველაფერი დულს „გზაჯვარედინზე“ მდგომ პიროვნებაში და ამიტომაა მასში ბევრი რამ არამდგარი, მერყევი, თითქოს იგი დაკავებულია თავისი ძალების სინჯვით სცვლასა და მიმართულებით“<sup>1</sup>.

უფროსი ასაკის ახალგაზრდის მიერ მხატვრული ნაწარმოებებით (და საერთოდ საკითხავი წიგნებით) დაინტერესების თავისებურება, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად განსხვავდება შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალური თავისებურებებიდან, ინტერესებიდან, მოზარდი ეუფლება საერთო, განზოგადებულ ცნებებს, აქვს უნარი თანმიმდევრული ლოგიკური მსჯელობის, ისეთი ანალიზისა და განზოგადების, რეალური კავშირებისა და დამოკიდებულებების ისეთი გაგების, რომლებიც წინათ მისთვის მიუწვდომელი იყვნენ“<sup>2</sup>.

როცა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ საბავშვო ლიტერატურას ვიხილავთ ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპების პოზიციებიდან, აუცილებელია დღემდე გამოყენებული ეს პრინციპებ ერთხელ კიდევ რამდენამდე გადაისინჯოს, დაზუსტდეს, შეივსოს და ამის მიხედვით გამოვიტანოთ დასკვნები და განზოგადებანი.

გადასინჯული, შევსებული და მეცნიერულად სწორად ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნული პრინციპები სახელმძღვანელოდ უნდა მივიღოთ არა მარტო საკვლევი თემის ამოცანების ფარგლებში, არამედ (საერთოდ, მისი მკვიდრად დადგენის საფუძველზე) როგორც წარსული, ისე თანამედროვე საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესასწავლად.

ამ პრინციპების გადასინჯვა და ამის მიხედვით, საერთოდ, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შექმნისას მისი გამოყენება იმითაც არის გაპირობებული, რომ დღემდე არსებული საბავშვო ლიტერატურის ასაკობრივი დიფერენციაციის პრინციპების საფუძველად შეიკვალა იმის გამოც, რომ ჩვენი ეპოქის ბავშვთა გონებრივი განვითარება ვაცილებით მაღალია, ვიდრე ათი თუ ოცი წლის წინათ და უფრო აღრინდელი დროის ბავშვთა გონებრივი განათლება.

ამის შედეგად მათი კითხვის ინტერესები ვაცილებით გაზრდილია და მრავალფეროვანი. ეს მოითხოვს ასაკობრივი სხვადასხვაობის ფარგ-

<sup>1</sup> И. И. Левитов. Детская и педагогическая психология, М., 1964, стр. 363.

<sup>2</sup> Е. А. Аркян. Особенности школьного возраста, М., 1903, стр. 34.



ლებში უფრო საინტერესო, უფრო სრულყოფილი, მეტარებათ რთული ამბავი (მაგრამ გასაგებად დაწერილი) მიეცეთ ბავშვებს საკითხავად. ამ თვალსაზრისით უნდა შევარჩიოთ დღეს კლასიკური და თანამედროვე საბავშვო მწერლობა ბავშვთათვის საკითხავად, შევქვათ ყველა გვარის, სახისა და ენის ახალი ნაწარმოებები.

ყოველივე ეს მოითხოვს განვიხილოთ, აქლებურად დაგანუსტოთ ბავშვთა ასაკობრივი დიფერენციაცია, რომელიც საფუძვლად უდევს მათთვის საკითხავი მოთხოვნებისა და სხვადასხვა ხასიათის წიგნებს შერჩევას.

უწდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ მკვლევარის ბავშვთა ასაკობრივი დიფერენციაცია თავისებურად აქვს წარმოდგენილი ყოველგვარი არგუმენტაციების გარეშე, რომლის ამგვარად დატოვება არაფრით არ იქნებოდა გამართლებული.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს, რომელიც თვალსაჩინოდ ადასტურებს ამ მხრივ მნიშვნელოვან განსხვავებულობას და ვეცდებით ბავშვთა ასაკობრივი დიფერენციაციის ჩვენი სქემა არგუმენტაციებულად წარმოვადგინოთ.

აი, ზოგიერთი კონკრეტული მაგალითი:

I. ბ. ბელინსკი ითვალისწინებდა წიგნის კითხვისას ბავშვთა მოთხოვნილებას ასაკობრივი პრინციპების საფუძველზე, ერთნაირად აღარებდა 7 წლისა და 3 წლის ასაკის, 12 წლისა და 7 წლის ასაკის ბავშვებს. ამის საფუძველზე შეიძლება ასაკობრივი დიფერენციაცია ასე წარმოვიღვიწყოთ. I. 3--7 წლის; II. 7--12 წლის; III. 12 წლის ზევით უფროსი სასკოლო ასაკი (В. Г. Белинский, ПСС, т. X, გვ. 136--137).

II. Е. ჩერნიშევსკი ცოდნის, განსჯის უნარის, ძალისა და ხასიათის მიხედვით ასხვავებს 10 წლისა და 5 წლის ასაკის, 5 და 10 წლის ასაკის ბავშვებს. 10--11 წლის ბავშვის აზროვნება კონკრეტულია, ისინი მოკვლევებს ნაცნობიდან, აცნობიდან გამომდინარე აღიქვამენ; 11--12 წლის ბავშვებში ვითარდება აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნება; 13--16 წლის ასაკში უკვე იკიან კანონები ცხოვრების, ბუნებისა და საზოგადოებისა (Н. Г. Чернышевский, ГИХЛ, М. 1939—1953, ტ. X, გვ. 911--914).

III. ფ. ბ. ტოლი, რომელმაც პირველმა შექმნა რუსული საბავშვო ლიტერატურა: სისტემატიზებული ბიბლიოგრაფია, საბავშვო წიგნების მეთხველებს აჯგუფებს ასაკის მიხედვით: I. 5--8 წლისა; II. 7--8 წლიდან 12--13 წლამდე და III. 13 წლიდან ვიდრე 15 წლის ასაკამდე;

IV. ნ. შჩეღაჯუნოვი შემდეგ ჯგუფებს აყალიბებს: I. ბავშვები პირველი ასაკისა; II. ბავშვები მეორე ასაკისა (კითხვის დაწყებამდე) და III. უფროსი ასაკისა;

V. ს. ლიუბომოვი მივითითებს 3 ჯგუფზე: I. სკოლამდელი (3--7 წწ). II. უმცროსი სასკოლო ასაკის (7-დან 10--11 წწ.) და III. მოზრდილი ასაკის (Вопросы детской литературы, 1954, გვ. 160):.

VI. ნ. კრუპსკაია ბავშვთათვის საკითხავი წიგნების შესარჩევად ასაკობრივი პრინციპების საფუძველზე ასეთ დაჯგუფებას აყალიბებს: I. 3--4 წლის ასაკის; II. 5--7 წლის, III. 8--12 წლისა და IV— მოზრდილები (Н. К. Крупская. О детской чтении, 1954, გვ. 20, 21, 22);

VII. უკრაინის საბავშვო ლიტერატურის კრიტიკოსი ბ. გრიჩენკო (ბ. ვოლხოვსკი) ასაკობრივი პრინციპების მიხედვით ასე ანსხავებს ბავშვებს: I. 5-დან 8 წლამდე და II. 11—12-დან 15 წლამდე ასაკისა;

VIII. ა. ბაბუშკინა კი შემდეგ ჯგუფებს გვთავაზობს: I—7—9 წლის ასაკის; II—10—12 წლისა და III—13—15 წლის ასაკის ბავშვები;

IX. ამერიკელი მკვლევარი ტერმენტი ასაკობრივი და სქესობრივი დაყოფის პრინციპზე დაფუძნებულ ბავშვთა ინტერესების თავისებურებებიდან გამომდინარე 5 წლის ასაკიდან დაწყებული 12 წლის ასაკამდე იძლევა ბავშვების 7 ჯგუფად დაყოფის სქემას. ის ცდილობს „დაამტკიცოს“, რომ 11 წლის ქალიშვილები იწყებენ კითხვას ისეთი ნაწარმოებებისა და წიგნებისა, სადაც სიყვარულია მოთხრობილი, 10 წლის ბიჭისათვის კი საინტერესოა მოგზაურობა, აღმოჩენები...

X. მ. ნასიძე. საბავშვო ნაწარმოებებს აჯგუფებს შემდეგი საით: I. სულ პატარა ყრმათათვის; II. ბავშვთათვის 6--8 წლის ასაკისა და III. მოზრდილთათვის („ივერია“, 1884, № IV);

XI. ი. გომართელი ეხება „ჩეჩილის“ დანიშნულებას, ის თვლის მას 8—14 წ. ასაკის ბავშვისათვის საკითხავ ეურნალად („ეკალი“, 1899, № 16). ამასთან ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ საჭიროა ცოცხლად დაწერილი მოთხრობები მიეწოდოს ბავშვებს—პატარებს 10, 11 წლამდე. ხოლო ამ ასაკს ზევით კი გმარის სრული დახასიათება გამომდინარე შეგვიძლია საბავშვო ნაწარმოებების ასაკობრივი კლასიფიკაცია, მისი დაჯგუფება ასე წარმოვადგინოთ: I. 8—10 წლის; II. 10—11 წლისა და III. 10—14 წლის ასაკის ბავშვები („ეკალი“, 1889, № 14);

XII. ან. ღვინიაშვილი საბავშვო წიგნების მკითხველს ოთხ ასაკად ყოფს: I. სკოლამდელთა ასაკის ბავშვები (3—6 წწ.); II, სკოლის უმცროსი ასაკის ბავშვები (7—9 წწ.); III. საშუალო ასაკისა და (10—12 წწ.); IV. უფროსი ასაკის (13—15 წწ.).

ზემოსხენებული მასალებიდან კარგად ჩანს, რომ როგორც პედაგოგიურად, ისე საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკურ კრიტიკაში ბავშვებისათვის საკითხავად განკუთვნილი წიგნების შერჩევას საფუძვლად ასაკობრივი პრინციპი დაედო, მაგრამ თვით ასაკობრივი მაჩვენებლების ამპლიტუდის სხვადასხვაობა ნეტისმეტად შესამჩნევია.

ზემომოყვანილი მასალების მაჩვენებლების საფუძველზე ფაქტურად შედგეო ძირითადი ასაკობრივი ნაირსახეობა გამოიყოფა: პირველი ასაკის: 1. 3--7 წელი, 2. 5--8 წელი; მეორე ასაკის: 1. 7--10 წელი. 2. 7--12 წელი; მესამე ასაკის: 1. 12--15 წელი, 2. 13--15 წელი.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით მხატვრული სიტყვის სამყაროში ბავშვი პირველად სამი წლის ასაკიდან ხვდება. ე. ი. მასზე სათანადო ემოციური ზეგავლენა პოეტური სიტყვისა იწყება მხოლოდ მესამე წლიდან და მანამდე კი ასეთს მთლიანად მოკლებულია.

ეს, რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ამ ასაკობრივი ლიტერატურის შედგენა მხედველობაში არ არის მიღებული ბავშვთათვის შექმნილი ხალხური სააკვნო სიმღერები, ან კიდევ ყველა ის მხატვრული მასალა, რომელიც შემდეგში, ასაკობრივად

ზრდის მომდევნო პერიოდში, სინამდვილეში, გამოყენებულია საერთოდ ფოლკლორიდან თუ საბავშვო მწერლობიდან, მკაცრი შერჩევის პრინციპით, მცირე ამბის, ერთსტროფიანი მარტივი ლექსების ზეპირად დასასწავლად ან კიდევ სასიმღერო ტექსტებად გამოსაყენებლად.

მართალია, „ქართული საბავშვო ფოლკლორის საფუძვლიანი შესწავლა მომავლის საქმეა, როდესაც მასალების შეკრება და სისტემატიზაცია მოწესრიგებული იქნება“<sup>1</sup>. მაგრამ ის, მაინც გარკვეულია, რომ აკვნის სიმღერები, სალალაონი, შესაქცევანი, რომლებშიც გამოხატულია სოციალური ბუნება, საწესო ხასიათის ნიშნები, თაობიდან თაობაზე გადადის.<sup>2</sup> ამას კი ბავშვები, რასაკვირველია, სიმღერის, მუსიკალური ჰანგები ტუბობასთან ერთად სამი წლის ასაკამდეც ისმენენ, მათში გარკვეულ გრძობას აღძრავს, რის უარყოფაც არ შეიძლება.

რაც განსაკუთრებით საგულისხმო და დამახასიათებელია, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობისათვის ისაა, რომ სააკვნო სასიმღერო ლექსებს ფოლკლორული ფორმისა და ინტონაციის გამოყენებით გამოჩენილი პოეტებიც კმნიდნენ, ხალხი უმღეროდა მას ჩვილ ყრმებს. ამ სასიმღერო ტექსტში ჩაქსოვილი იყო ტრფიალი თავისუფალი ცხოვრებისადმი, ღალადისი ყრმის სანეტარო მომავლისადმი. ნიმუშისათვის შეიძლება დავასახელოთ აკაკის „იმერული ნანინა“ (1864 წ.), რომელიც დიდი ემოციურობითა და იდეურ-მორალური სიღრმით ხასიათდება.

მართალია, ამ ლექსის წარმოშობა და იდეურ-შინაარსობრივი თავისებურება განსაკუთრებულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი ფაქტორების გარეშე არ წარმოიქმნებოდა არც ერთი ნაწარმოები, რომელსაც კი იცნობს ფოლკლორისტიკა და ლიტერატურის ისტორია.

აკაკის „იმერული ნანინას“ დიდი ღირსებაც იმაში გამოიხატება, რომ ხალხური ფორმითა და ინტონაციით შექმნილი ნაწარმოები, რომელიც პოეტის მიერ საბატონო ყმების ახალშობილი შვილებსადმი მიძღვნილი, ჰუმარიტად სახალხო სიმღერად იქცა:

„გაბუტულო, გლეხის შვილო,<sup>1</sup> შენ პაწაწინაო!  
ავრე ტბილად, უღარდელად რამ დაგაძინაო?  
დედის მკერდში მიგიგინა შენ ტბილი ბინაო...  
ღაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!  
დედა ეტყვის: „გენაცუალოს შენი მშობელიო,  
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!“

<sup>1</sup> ქ. სიხარულიძე, „ქართული საბავშვო ფოლკლორი“, თბილისი, 1938, გვ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 7—8.

შენს ვაჟაკობას მომასწრებს მე ლეთისმშობელიო!  
ქა.შენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:  
შენი ვარსკვლავი სხვა არის — ბედმა გიციანო!  
ი.ე-ნ.ნა. ვარდო-ნანა, იაე-ნანინაო!...”

...აღლებას იქცევს ის ცვლილება, რომელიც ტექსტში ხალხს შე-  
უტანია. ეს ეხება მეორე სტროფის ერთ სალექსო სტრიქონს: „დედა  
ეტყვის: „გენაცვალოს შენი მშობელიო“. ამ შემთხვევაში ეს ცვლი-  
ლება ოთხი ვარიანტის სახითაა მოცემული, რომელიც ამ სტრიქონე-  
ბის ავტორს აქვს ჩაწერილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოვ-  
ზაურობის დროს.

აი, ეს ვარიანტებიც:

- I. „დედა შეილო, გენაცვალოს შენი მშობელიო“...  
(მთქმელი ნატა სულთანისშვილი, სოფ. ახალქალაქი, კასპის  
რ. 1934 წ.)
- II. „დედის სულო, გენაცვალოს შენი მშობელიო“...  
(მთქმელი მარო ხორგუაშვილი, სოფ. ღოვლე, კასპის  
1934 წ.)
- III. „დედის გულო, გენაცვალოს შენი მშობელიო“...  
(მთქმელი მარიამ გვარამია, ახალ-სენაკი, 1935 წ.)
- IV. „დედის ნატვრავ, გენაცვალოს შენი მშობელიო“...  
(მთქმელი ქეთევან გოგორისშვილი, სოფ. ტობანიერი, ვა-  
ნის რ. 1936 წ.)

...ამ ვარიანტებიდან კარგად ჩანს, რომ ცვლილება შეესო ლექსის  
მიმართული ფორმიდან გამოყოფილ ავტორისეულ თქმას „დედა ეტყ-  
ვის“, რაც აქ მოყვანილ ხალხში გავრცელებულ ვარიანტებში წარ-  
მოდგენილია „დედა შეილის“, „დედის სულოს“, „დედის გულოსა“  
და „დედის ნატვრავ“-ის სახით. წარმოდგენილ ვარიანტებში ეს ცვლი-  
ლებები მტკიცედ ექვემდებარება ლექსის მთლიან სტრუქტურას, აზ-  
რობრივ-ემოციური თვალსაზრისით ერთ მთლიან იერს და ამით სა-  
სიმღერო ელერადობას ერთგვარი დისონანსი მოცილებული აქვს.

ამგვარად, აკაკის „იმერული ნანინა“, რომელიც მკვიდრად შევიდა  
საბავშვო პოეზიაში, სააკვნო სიმღერის პოპულარული ტექსტიც გაზ-  
და. ამით იგი განეკუთვნა აგრეთვე ჩვილ ბავშვთათვის სასიმღეროდ  
გათვალისწინებულ ნაწარმოებებს. ამან კი ერთხელ და სამუდამოდ  
დაამსხვრია საბავშვო ლიტერატურის შემოფარგლის ზღვდე 3 წლ-ს  
ასაკიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ ვეთანხმებით იმ აზრს,  
რომ „ძალაში რჩება და დარჩება საბავშვო ლიტერატურის შე-

მოფარველა 3 — 15 წლამდე ასაკით, როგორც ეს არსებობს ორი უკუნის მანძილზე“.<sup>1</sup>

ამის გამო შეიძლება მტკიცედ ითქვას, როდესაც საბავშვო ფოლკლორისა თუ სიტყვიერებად მწერლობის ნიმუშების ასაკობრივ დიფერენციას ვახდენთ, ამისი უგულებელყოფა არაფრით არ არის გამართლებული. მით უფრო ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბების საუკუნეობრივი პროცესების შესწავლა ამის ფაქტიურ მასალებს მთელი კომპარატივით წარმოგვიდგენს. ეს ქართული საბავშვო მწერლობის ლიტერატურული კრიტიკის მერ დღემდე შეუმჩნეველი ღირსებაა.

ბავშვთათვის პოეტური სამყაროს პირველადი გაცნობა, სანამ იგი დამოუკიდებელი წაკითხვის ჩვევას მიიღებდეს, ზეპირი თხრობის გზით ხდება.

რასაკვირველია, ბავშვებზე სათანადო ემოციური ზეგავლენა ზეპირი თხრობის შედეგად დამოკიდებულია იმაზეც, რამდენად დაუფლებულია მთხრობელი გამომეტყველებითა და მხატვრული კითხვის ოსტატობას, რამდენადაც შეუძლია მან ბავშვის ყურადღება მიიქციოს.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის შესახებ, რომ ბავშვის ყურადღების აქტივიზაცია მხატვრული ნაწარმოებისადმი როდის უფრო ეფექტიანია, — როდესაც თვითონ კითხულობს ნაწარმოების ტექსტს შეგნებულად, გააზრებით თუ მაშინ, როდესაც ზეპირი თხრობით, სხვისი წაკითხვით ისმენს მას. მაგრამ ასაკობრივი დიფერენციაციის დასადგენად ეს საკითხი იმდენად აქტუალური არ არის, რამდენადაც ბავშვთა გონებრივი განვითარების შესაბამისად, მისთვის შესაფერისი მხატვრული ნაწარმოებების შერჩევა, რადგან სხვა ფაქტორთან ერთად ზეპირი თხრობა, მოსმენით ამბის გაგება, ბავშვზე გარკვეული ემოციური ზეგავლენის მოხდენა, მასში გარკვეული შთაბეჭდილებების შექმნა ბევრად არის დამოკიდებული თვით ნაწარმოების მარტივი, გასაგები, დინამიკური ამბის სადა ენობრივი ფორმით გადმოცემაზე.

ბავშვი სანამ კითხვას ისწავლის, მხატვრულ სიტყვას ისმენს სააკვნო პოეზიის, სააკვნო ლექს-სიმღერების ტკბილი ხმებით, ხოლო შემდგომში პატარა ამბების ზეპირი თხრობის გზით ესმის დედის, დიდუას, აღმზრდელის და სხვათა მეშვეობით.

ზეპირი თხრობის გზით ფოლკლორული თუ საბავშვო მწერლობის ნიმუშების გაცნობა პირველი აუცილებელი საფეხურია, რომელიც

<sup>1</sup> ან. ლვინიაშვილი, ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა, თბილისი, 1966 წ., გვ. 12.

ოჯახში სასიძლერო ჰანგები აკენიდან იწყება<sup>1</sup> და საბავშვო ბაღში გრძელდება, ხოლო დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდანვე მასობრივად იწყება ბავშვის მიერ ტექსტების შეგნებულად წაკითხვის ჩვევის განმტკიცება და ამის საფუძველზე საბავშვო ნაწარმოებების კითხვა, რომელიც ძირითადად ცვლის ზეპირი თხრობის გზით ნაწარმოების შინაარსის მოსმენის პირველად სახეს, თანდათან ღრმავდება მხატვრული ნაწარმოებების, წიგნების ინდივიდუალურად წაკითხვის ჩვევის განმტკიცების გზით.

საბავშვო ფოლკლორიდან და საბავშვო მწერლობიდან შერჩეული ნაწარმოებების ზეპირ თხრობას უმცროსი ასაკის ბავშვებზე სათანადო ემოციური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია; მეტად საყურადღებოა კ. მარქსის დამოკიდებულება ზეპირი თხრობისადმი, რომელიც პ. ლაფარგისა და ელ. მარქსის მოგონებებშია მოცემული.

პ. ლაფარგი აღნიშნავს, რომ მარქსს ჩვეულებად ჰქონდა თავისი ბავშვებისათვის ნაწარმოებების ხმამალა წაკითხვა, ასე უკითხავდა ის პ. ლაფარგის დებს და თვით მასაც ასე წაუკითხა მთელი ჰომეროსი, „სიჰლერა ნიბელუნგებზე“, „დონკიხოტი“, „ათასერთი ღამე“ და სხვ.<sup>2</sup>

მარქსის ქალიშვილი თავის მოგონებებში შემდეგს აღნიშნავს: როდესაც შემისრულდა ექვსი წელი (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.), მაგრამ ჩემს დაბადების დღეს მაჩუქა «первую мою новеллу-бессмертного» «Петера снмпля». ამის შემდეგ მარიეტასა და კუპერის თხზულებათა სრული კრებული. მამაჩემი ამ მოთხრობებს ჩემთან ერთად კითხულობდა და სრულიად სერიოზულად განიხილავდა მათ შინაარსს თავის ქალიშვილებთან ერთად და როდესაც პატარა გოგონამ, რომელიც აღფრთოვანებული იყო მარიეტას საზღვაო მოთხრობებით, განაცხადია, რომ მას კიდევ სურს გახდეს „გემის კაპიტანი“ (თუმცა სრულიად არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა იგი), ჰკითხა მამას, შეუძლია კი მას „ჩაიცივას ბიჭურად“ და „გაიქცეს, რათა სამხედრო გემზე ავიდეს“, მან დაარწმუნა, რომ ეს, რასაკვირველია, შესაძლებელია, მხოლოდ ამაზე არავის არცერთი სიტყვა არ უნდა უთხრას, სანამ გეგმა მთლიანად არ დაზუსტდება, არ მომწიფდება, მაგრამ სანამ ეს მომწიფდებოდა, იგი ვალტერ სკოტით გატაცებამ შეიპყრო...

მე კარგად მახსოვს, — აგრძელებს იგი თავის მოგონებებს, — ერთხელ როდესაც ხუთი თუ ექვსი წლისა ვიყავი, აღმეძრა რელი-

<sup>1</sup> ამ მარჯე მნიშვნელოვანი ფაქტია პ. ლარაქის ლექსი ძეგობაზე დასამღერებელი და ძმისწულისათვის დაწერილი „ნანიჩა“ (იხ. ლ. კეკელიძის „პ. ლარაქის ლირიკისათვის“ — XVIIII საუკ. ქართული მწერლობის საკითხები. 1965, გვ. 48—50).

<sup>2</sup> П. Л а ф а р г. Вспоминания о Марксе. Пер. с немецкого под редакц. В. В. Адоратского, ИМЭЛ, М., 1933, გვ. 6.

გიური ექვები (ჩვენ ვისმენდით კათოლიკურ ეკლესიაში შესანიშნავ სუსიკას) და ზე. რასაკვირველია, ეს ექვები გავუზიარე მაქრს. მან ამიხსნა ყველაფერი ისე მშვიდად და ისე ცხადად, რომ იმ საათიდან და იმ დღიდან ჩემში ექვები მეტი არ აღძრულა. მერედა როგორ შეიქრა ჩემს მეხსიერებაში მისი მონათხრობი დურგალზე, რომელიც მდიდრებმა მოკლეს. მე არ ვფიქრობ, თუ ვინმეს მანამდე და მის შემდეგაც ასე შეუძლია მოუთხროს ამასე.<sup>1</sup>

აქედან კარგად ირკვევა ის ეფექტი, რომელიც შეიძლება მოახდინოს ხუთი თუ ექვსი წლის ასაკის ბავშვებზე ზეპირმა თხრობამ, ამბის მოსმენამ. საბავშვო ფოლკლორიდან თუ სიტყვაკანმული მწერლობიდან სათანადოდ შერჩეული ტექსტი არა მარტო ემოციურ სეგაველენას ახდენს პატარა მსმენელზე, არამედ მასში გარკვეულ განწყობილებას, მიმბაძველობას აღძრავს და წარმართავს მის გრძნობებს, ინტერესს გარკვეული მიმართულებით, უქმნის მათ გარკვეულ წარმოდგენებსა და შეხედულებებს.

ამ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული სიტყვის სათანადო თხრობით გადაცემას; ლ. ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰოეტური თხრობის ყოველ სიტყვას უნდა ჰქონდეს სიღრმე, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს მკითხველის ყველა წარმოდგენა და ამავ დროს მასში იწვევდეს ახალ აზრებსა და ახალ წარმოდგენებს.

როდესაც წინასწარ შერჩეული ნაწარმოებების ხმამაღლა კითხვას ვახდენთ, წერა-კითხვის არმკოდნე ბავში ზეპირი თხრობით ისმენს იმას, რაც ფოლკლორული თუ საბავშვო მწერლობიდან საგანგებოდ მისთვის წინასწარ გვაქვს შერჩეული, ამით პირობადებული ინტერესების განმსაზღვრელ სფეროში ვაქცევთ ბავშვის გონებას მიზანშეწონილი მიმართულებით განვითარების მიზნით. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ზეპირი თხრობის ემოციური ზეგავლენა ძლიერია.

ეს ის ასაკია, როდესაც ბავში ჭერ კიდევ სკოლას, სკოლის რეჟიმს, სწავლის პროცესებს არ იცნობს.

ეს ის ასაკია, როდესაც ბავში დაწყებით სკოლაში არ დადის, სადაც იწყება წიგნის კითხვის ჩვევის მიღება და განმტკიცება. საკითხავი ტექსტის გულდასმით შესწავლა, რაც საფუძველია საბავშვო ნაწარმოებების დამოუკიდებლად კითხვის ჩვევის გამოსამუშავებლად ყველა თავისი დადებითი შედეგით.

ამგვარად, ბავშვთა ასაკობრივი ლიფერენციაციის დაზუსტების შედეგად უფრო ადვილი და ზუსტი იქნება შესაბამისი საბავშვო ფოლკ-

<sup>1</sup> Маркс-Энгельс, Элеонора, К. Маркс, Беглые заметки, ИМЭЛ, М., 1933, в. 18, 21.

ლორული მასალების, სიტყვაკაზმული მწერლობისა და, საერაოდ. საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სათანადო ნიმუშების შერჩევა, მიზნის მეტი ეფექტურობით მიღწევა.

საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ბავშვთა ესთეტიკური, მორალური აღზრდისა და გარკვეული მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის გამოყენებისას, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ ბავშვთა კოლექტივების ორი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც თავის მხრივ ბავშვთა ასაკობრივ კლასიფიკაციასაც შეიცავს.

ამ ჯგუფის თავისებურება შემდეგია:

იქველ ჯგუფში ერთიანდება ყველა ბავშვი წერა-კითხვის დაწყებამდე; საბავშვო ფოლკლორისა და საბავშვო ლიტერატურის გაცნობა, შესწავლა ხდება ხმამაღლა წაკითხვის შედეგად მოსმენითი ან კიდევ ზეპირი თხრობით გადაცემის გზით, საგანგებოდ შერჩეული სასიმღერო, სათამაშო-გასართობი თუ სხვა სახის ლექსების ზეპირად დასწავლით.

მეორე ჯგუფში ფაქტიურად ერთიანდება ყველა წერა-კითხვის მცოდნე ბავშვი. საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) გაცნობა ძირითადად ხდება ნაწარმოების ტექსტის უშუალოდ ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად, შეგნებულად წაკითხვის გზით სათანადო რეკომენდაციის საფუძველზე.

ბავშვთა კოლექტივების პირველი ჯგუფისათვის ასაკობრივი სახესხვაობა განსაზღვრავს როგორც სააკვნო-სასიმღერო ციკლის ლექსების შერჩევას, ისე საბავშვო ბაღებში (3—6 წლის ასაკის ბავშვთათვის) უმცროსი, საშუალო და უფროსი ჯგუფებისათვის მცირე მოცულობა. სადა და გასაგები ენით დაწერილი ლექსებია, მოთხრობების, ზღაპრების, ლეგენდების, თქმულებების, იგავების, ანდაზების გამოყენებას.

ამავე პრინციპს ექვემდებარება საბუნებისმეტყველო თემებზე, გამოჩენილ ადამიანთა, მოგზაურთა, მეცნიერებისა და ტექნიკის ზოგიერთი უკანასკნელი მიღწევის შესახებ, პლაკატური თვალსაჩინოების გამოყენებით, ამასთან მათთვის მისაწვდომ ფორმებში დაწერილი სათანადო ნაწარმოების ან ამ მიზნით სპეციალურად შედგენილი ტექსტის შეცნობა-შესწავლაც.

ბუნებრივია, ბავშვთა კოლექტივების მეორე ჯგუფისათვის საბავშვო ლიტერატურა (ფართო გაგებით) მეტი განფენილობით, თემატიკურად და ქანობრივად უფრო მეტი სახესხვაობით უნდა გამოვიყენოთ.

ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაციის დაზუსტებისას.



ამის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბავშვთა ასაკობრივი კლასიფიკაცია და მისი მიმართება საბავშვო ლიტერატურისადმი, იდეურ-შემეცნებითი თვალსაზრისით, შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

პირველი ასაკი გააერთიანებს 6 წლის ასაკის ბავშვთა კოლექტივებს, რომლებიც თავის მხრივ ორ შიგა სახესხვაობას შეიცავს ა) ბავშვები 3 წლამდე, რომელთათვის არსებობს სპეციალური საკვანო-სასიძღვრო ლექსების ციკლი და ბ) საბავშვო ბაღის ასაკის (3—6 წელი) ბავშვები, რომელნიც სხვის მიერ წაკითხული მხატვრული ნაწარმოების მცირე მოცულობის ტექსტების მოსმენით შეიძირად შეისწავლიან თამაშობისა და გართობის პროცესთან ორგანულად დაკავშირებით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მეტყველების კულტურის განვითარებისათვის, ამასთან იგი შეიცავს გარკვეულ მორალურ-ესთეტიკურსა და ემოციური ზეგავლენისათვის შესაბამის ელემენტებს;

მეორე ასაკი მოიცავს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა კონტინგენტს, რომელიც 7—11 წლის ასაკით განისაზღვრება და საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ცალკეული ასაკობრივი სახესხვაობის თავისებურებების გათვალისწინებით მხატვრული ლიტერატურის დაკვირვებულ შერჩევას მოითხოვს. მაგალითად. 8—9 წლის, 10—11 წლის ასაკისათვის, ე. ი. I—II და III—IV კლასების მოსწავლეთა ასაკის ბავშვთა გონებრივი განვითარების, განწყობილებებისა და ინტერესების საფუძველზე უნდა იქნეს შერჩეული საკითხავი ლიტერატურა:

მესამე ასაკი მოიცავს შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტს, რომელიც 11—14 წლის ასაკით განისაზღვრება;

მეოთხე ასაკი აერთიანებს საშუალო სკოლის უფროსი კლასების (VIII—X კლ.) მოსწავლეთა კონტინგენტს 14—17 წლის ასაკის ფარგლებში, რომელთათვისაც, ისე როგორც მესამე ასაკის ბავშვთათვის, საკითხავი ლიტერატურის რეკლამენტაციას, მორალურ-ესთეტიკური და იდეური თვალსაზრისით, რეკომენდაციებს საფუძვლად ედება პედაგოგიურ მეცნიერებათა უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე წამოყენებული პრინციპული მოთხოვნები.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართული ეროვნული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის სრულყოფილი მეცნიერული ისტორიის შექმნის წინაპირობაა მტკიცედ დადგენილი საბავშვო ლიტერატურის არსის, მის სახესხვაობათა გავრცელების საზღვრების ზუსტი განსაზღვრანი; ეს აუცილებელია როგორც საერთოდ, ქართული საბავშვო ლიტერატურის, ისე ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის

წარმოშობისა და განვითარების გზების, ტენდენციების, ეტაპების სი-  
ზუსტით საბოლოო განსაზღვრისათვის;

2. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკის  
მეცნიერულად ახსნა-განმარტება და განზოგადებული დასკვნების გა-  
მოტანა, საბავშვო ლიტერატურაში გარკვეულ ცნებათა სწორი გან-  
მარტება, მათი მოქმედების არეს ზუსტად შემოსაზღვრა, საბავშვო  
ლიტერატურის შინაარსობრივი (იდეურ-თემატიკური) და ფორმები-  
სა თუ აჟანგების თვალსაზრისით მეთოდოლოგიურად სწორი კლასი-  
ფიკაცია ორ გაგებას: 1. ფართოსა და 2. ვიწრო გაგებას უნდა დაექ-  
ვემდებაროს.

აქედან გამომდინარე, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა საბავ-  
შვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) მსოლოდ შენაჯადური სახეა,  
რის გამოც მიზანშეწონილია დამკვიდრდეს: 1; ცნება „საბავშვო ლი-  
ტერატურა“ მოიცავს, მხატვრული ნაწარმოების გარდა, ბავშვთათვის  
განკუთვნილ ყველა სახის საკითხავსა და სავარჯიშო წიგნებს. სასწავ-  
ლო სახელმძღვანელოებს, ე. ი. მხატვრულ და არამხატვრულ ლიტე-  
რატურას, რომელიც ბავშვთათვის არის შექმნილი და 2. ცნებაში  
„საბავშვო მწერლობა“ შედის საბავშვო ნაწარმოებები თემატიკური  
და ანარობრივი მრავალსახეობით, ე. ი. მსოლოდ სიტყვაკაზმული სა-  
ბავშვო მწერლობის ნიმუშები --- პოეზია, პროზა, დრამატურგია და  
მხატვრული პუბლიცისტიკა.

ცნებათა ამგვარი მტკიცე რეგლამენტირება ერთ-ერთი აუცილე-  
ბელი პირობაა იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს, როგორც სა-  
ბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგება), ისე ქართული ეროვნული  
სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის საწყისები, განვითარების ტენ-  
დენციები და ეტაპები.

3. საბავშვო ლიტერატურის კლასიფიკაციის ასაკობრივ პრინციპს  
განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც საბავშვო მწერ-  
ლობის წინაშე დაყენებული პრობლემატიკის სწორად გადაწყვეტისა-  
თვის (იდეურ-შინაარსობრივი, მხატვრული, ენობრივი) თვალსაზრი-  
სით, ისე იმ ფაქტორების განსაზღვრა-დაზუსტებისათვის, რომლებიც  
თავის მხრივ საბავშვო მწერლობის სპეციფიკის საფუძველებია.

საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკის განმსაზღვრელია სხვადასხვა  
ასაკის ბავშვთა ფსიქოლოგიური თავისებურება და ამავე დროს იგა  
არის საბავშვო ლიტერატურის კლასიფიკაციისათვის ასაკობრივი  
პრინციპების საფუძველიც.

ამ პრინციპების გადასინჯვა, დაზუსტება, შეესება-შესწორება აუ-  
ცილებელი ხდება ჩვენი ეპოქის ბავშვთა გონებრივი განვითარების  
შალალი დონის შესაბამისად.

ბავშვთა ასაკობრივი სხვადასხვაობა, ამ მხრივ დიფერენცირებულ ჯგუფების მიმართება საბავშვო ლიტერატურისადმი იდეურ-შემეცნებითი თვალსაზრისით აუცილებელს ხდის განისაზღვროს, დღემდე არსებული კლასიფიკაციისაგან განსხვავებით, შემდეგი ასაკობრივი ამპლიტუდა:

I ასაკი — 6 წლამდე, რომელიც თავის მხრივ შიგა სახესხვაობით აღინიშნება: ა) 3 წლამდე და არა 3 წლიდან. ბ) 3—6 წლამდე;

II ასაკი: 7—11 წლის ასაკისა შემდეგი შიგა სახესხვაობით: 8—9 და 9—11 წლის ასაკი;

III ასაკი: 11—14 წლისა და.

IV ასაკი: 14—17 წლის ასაკის ფარგლებში;

4. ასახვის ფორმისა და შინაარსის თავისებურებების მიხედვით საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა დიფერენცირებული უნდა იქნეს ოთხი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

ა) მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ბავშვთა მხატვრული სახეებია მოცემული;

ბ) მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ბავშვების სახეები არ არის მოცემული, მაგრამ სპეციალურად ბავშვთათვისაა დაწერილი;

გ) ზოგადი (საერთო) ლიტერატურიდან სპეციალურად ბავშვთათვის საკითხავად გადაკეთებული ნაწარმოებები;

დ) ზოგადი (საერთო) ლიტერატურიდან ბავშვთათვის საკითხავად გადასული ნაწარმოებები, რომლებიც მათთვის არ იყო დაწერილი და არც სპეციალურად გადაკეთებული;

5. ობიექტური სინამდვილით ნაკარნახევმა ისტორიულმა ამოცანამ განსაზღვრა ქართველი ხალხის ისტორიაში საბავშვო ლიტერატურის განსაკუთრებული როლი. ამან განაპირობა მეცნიერებულ საუკუნის II ნახევრის საქართველოს ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია ერთი დიდი ამოცანის — ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავება-აღორძინებისათვის.

აქედან გამომდინარე, პროფესიული და არაპროფესიული საბავშვო მწერლობის ერთიანობამ უზრუნველყო ქართული საბავშვო მწერლობისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნა. მეგობრობის ეს ტრადიცია გაგრძელდა და გრძელდება დღესაც თანამედროვე ქართულ საბავშვო მწერლობაში ჩვენი ეპოქის ამოცანების შესაბამისად ბავშვთათვის მაღალ იდეურ-მხატვრული ღირებულებების მქონე ნაწარმოებების შესაქმნელად.

ს ა ზ ა ვ შ ვ ო მ წ ა რ ლ ო ბ ი ს ღ ი ფ ე რ ა ნ ც ი რ ა ბ უ ლ ი ს ა ხ ე ა ბ ი  
 ღ ა ს ა მ რ თ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა ს ტ ა ნ შ რ თ ი მ რ თ ო ბ ი ს  
 ძ ი რ ი ტ ა ღ ი ნ ი შ ნ ა ბ ი

ამჟამად უნდა განვიხილოთ საბავშვო მწერლობის დიფერენცირებული სახეები, რომლებიც მისი სპეციფიკურობის საგანგებო ნიშნებს შეიცავენ და მკვეთრად განსაზღვრავენ არა მარტო ასახვის სფეროებს, არამედ მის შინაარსობრივ თავისებურებასაც.

ეს ერთ-ერთი პრინციპული საკითხია, რომელიც დღესაც განსაკუთრებული ყურადღების საგანია. არაა სწორი, თუ საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ასახვის ობიექტად (და ამ შემთხვევაში კალევის საგნადაც) მხოლოდ ბავშვს, მისი ფსიქოლოგიური სამყაროს ჩვენებას მივიჩნევდით. ამით საბავშვო მწერლობას ერთგვარ ხელოვნურ ჩარჩოში მოვაქცევდით. ამის შედეგად იგი ვერც თემატურად და ვერც იდეოლოგიურ-მანერული თავისებურებით სრულყოფილად ვერ გამოხატავდა საბავშვო მწერლობის როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი ფუნქციების უაღრესად მნიშვნელოვან განფენილობას.

საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის საგანძურს ავსებენ არა მარტო ისეთი ნაწარმოებები, სადაც მთავარი მოქმედი პირი ბავშვია და ასახულია ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურება. მისთვის დამახასიათებელი შრომა-საქმიანობით, არამედ ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც ბავშვთათვისაა დაწერილი მათთვის გასაგებ, მისაწვდომ ფორმებში როგორც შეცნიერულ-პოპულარულ თემებზე, ისე ყოფით, ცხოვრებისეულ საკითხებზე.

საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით ბავშვთა გონებრივი განათლების გაფართოების, ხალხთა წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე სათანადო ცოდნით გამდიდრების წყაროა; საბავშვო წიგნმა ბავშვებს უნდა მიაწოდოს ქვეყნისა და ადამიანის შესახებ დადებითი ცნობები, განუმარტოს მათ ის საკითხები, რომლებიც აღელვებენ საზოგადოებას და შეხვდებათ მაშინვე, როგორც კი ის ცხოვრებაში გამოვა (დობროლუბოვი).

მ. გორკი ამბობდა, რომ საბავშვო წიგნების ჰირველხარისხსოვანი ამოცანაა «Воспитать в детях дух активности, интерес и уважение к силе разума, к поискам наук, к великой задаче искусства, сделать человека сильным и красивым!»<sup>1</sup>

<sup>1</sup> «Северное сияние». Петербург, 1919, № 1—2, сс. 7—8.

და როდესაც საბავშვო მწერლობის დიფერენცირებული სახეების განსაზღვრა ხდება, ეს ჰეშმარიტება აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ამგვარად, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა ჩვენ მიერ დიფერენცირებულია ოთხი საგანგებო ნიშნით:

1. მხატვრული ნაწარმოებები, რომელშიც ბავშვთა მხატვრული სახეებია მოცემული;

2. მხატვრული ნაწარმოებები, რომელშიც ბავშვის სახეები არაა მოცემული, მაგრამ სპეციალურად ბავშვთათვის არის დაწერილი;

3. დიდი ლიტერატურიდან სპეციალურად ბავშვთათვის საკითხავად გადაკეთებული ნაწარმოებები;

4. დიდი ლიტერატურიდან ბავშვთათვის საკითხავად გადაუკეთებლად გადასული ნაწარმოებები.

საბავშვო მწერლობის დიფერენცირების საკითხის ისტორიული ასპექტით სიციხადისათვის, ვფიქრობთ, არ იქნება ინტერესს მოკლებული, მოკლედ შევეხოთ ჟურნალ „ნობათში“ 1883 წლის № 1-ში მოთავსებულ განმარტებას, რომელიც ჟურნალის მიმართულებას ერთგვარად განსაზღვრავდა და ამავე დროს საბავშვო ლიტერატურის მრავალსახეობაც მას სწორად ჰქონდა წარმოდგენილი.

აღნიშნულ განმარტებაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ჟურნალის „პირველ განყოფილებაში იქნება დაბეჭდილი: ყმაწვილისათვის ადვილ-გასაგები, მისებრივ მარტივისა და მკვირცხლის ენით დაწერილი სტატიები, მისის ცხოვრებიდგანვე გამოკრეფილი, მისის ხასიათისა და ბუნების საწვრთნელათ. ამავე განყოფილებაში დაიბეჭდა ყოველნაირის მეცნიერებიდან გამოკრეფილი ამბები, ცნობები, სწავლანი და დაკვირვებანი ბუნებისა: მადნეულისა, მეცნიერებისა და ცხოველთა ცხოვრებაზე: ზღაპრები, გამოცანები, ლექსები, სამღერალო ნოტები, არითმეტიკული ვარჯიშობანი და რებუსები.

მეორე განყოფილებაში იქნება დაბეჭდილი სტატიები, რომლებიც შეეხებიან კაცობრიობის აღზრდის ისტორიას, იქნება აღწერილი სათითაოდ ყოველის განათლებულის ხალხის აღზრდა, მის მიერ მომავლის წესით, დასაბამიდან იმის განათლებისა ჩვენს დრომდე“<sup>1</sup>.

მოყვანილი ამონაწერიდან კარგად, ჩანს, რომ ჟურნალის ამოცანაა დაბეჭდოს „ყმაწვილისათვის ადვილ-გასაგები, მისებრივ მარტივისა და მკვირცხლის ენით დაწერილი სტატიები, მისის ცხოვრებიდან გამოკრეფილი, მისის ხასიათისა და ბუნების საწვრთნელად“.

მაშასადამე, ჟურნალის ერთი პირველთაგანი ამოცანა იყო ბავშვის

<sup>1</sup> „ნობათი“, 1883, წიგნი I, ნობათის დამატება, გვ. 1.

ხასიათის, ბავშვის ბუნების საწვრთნელად ბავშვის სამყაროს ჩვენება.

ბავშვის გონებრივი და სულიერი სამყაროს მხატვრულად ჩვენება, რასაკვირველია, საბავშვო მწერლობის პირველი საგანგებო ნიშანია, მისი ერთ-ერთი უმთავრესი და პირველი ამოცანათაგანია, სპეციფიური თავისებურებაა.

ამავე ამონაწერში ისიც გარკვევით არის ნათქვამი, რომ „ამავე განყოფილებაში დაიბეჭდა ყოველნაირის მეცნიერებიდან გამოკრეფილი ამბები“.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალი ითვისწინებდა აგრეთვე მეცნიერების მიერ სხვადასხვა დარგიდან ბავშვთათვის სპეციალურად „გამოკრეფილი ამბების“ მიწოდებას.

ეს მეორე მნიშვნელოვანი საგანგებო ნიშანი განსაზღვრავს საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სფეროში მოქცეული, სპეციალურად ბავშვთათვის დაწერილი წერილების ხასიათს, შინაარსა და მიზანს.

მაშასადამე, ჟურნალი თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს სპეციალურ საბავშვო ლიტერატურას როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით, ე. ი. ნაწარმოებებს, რომლის ცენტრალური ფიგურა ბავშვია და ნაწარმოებებს, რომლებიც სპეციალურად ბავშვთათვისაა დაწერილი.

საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბავშვო მწერლობაში ბავშვის სახის ჩვენებას: „ძალიან ცოტა გვაქვს ისეთი მოთხრობები, რომლებშიც მხოლოდ პატარები მოქმედებენ და ამავე დროს საყურადღებო ფაქტებიც იყოს“... „მიეცით ბავშვს ისეთი მოთხრობა, რომელშიც პატარები მოქმედებენ, მაგრამ საყურადღებო ფაქტები ბევრია; მაშინ დანახავთ, რომ ასეთ მოთხრობებს არა ნაკლები ყურადღებით წაიკითხავენ ბავშვები“<sup>1</sup>.

ამგვარად, ბავშვების საკითხავ ნაწარმოებთა შორის ლიტერატურული კრიტიკა უპირატესობას აძლევდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახული იქნებოდა ბავშვის ტიპური სახეები.

\* \* \*

ქართული საბავშვო ლიტერატურის მრავალსახეობად განვითარების საქმე მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის II ნახევარში, როგორც არასდროს, სისხლხორცეულად დაუკავშირდა ქართველი ხალხის მომავლისათვის ბრძოლის ისტორიულ ამოცანებს.

<sup>1</sup> „ქვალი“, 1899, № 14.

ეს ის დრო იყო, როდესაც მძლავრად იშლებოდა ეროვნულ-გამათვისებელი მოძრაობა, ბუნებისმეტყველებასა და სოციოლოგიაში მატერიალისტური მსოფლმხედველობა შეკედრდებოდა. სოციალური უთანასწორობის მოსპობისა და ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა თანდათან მეტის ინტენსივობით იშლებოდა. ამჟამად იყო ქართველ და რუს სამოციანელთა იდეური ნათესაობა: მოწინავე ქართველი ინტელიგენცია რუს სალსთან, მის მოწინავე ლიტერატურასთან, კრიტიკული აზროვნების კორიფეებთან მჭიდრო კავშირს ამყარებდა და „ახალ საქართველოს“. „ახალი ტიპის ქართველს“ თვლიდა იდეალად.

ეს დიდი ეროვნული საქმე თანდათან უფრო მეტად მოითხოვდა, რომ ქართველ ხალხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ახალი თაობის აღზრდის, მისი სულიერი კულტურის გამდიდრების საქმისათვის, ცხოვრებაზე სწორი შეხედულებების ფორმირებისათვის. რაშიც მწერლობას, სათანადო მხატვრულ ნაწარმოებებს. საბავშვო წიგნების შექმნას გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა.

ისინი დიდი პატრიოტული მგზნებარებით აღნიშნავდნენ ახალი თაობის აღზრდის ისტორიულ ამოცანებს; იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც შეადგინა პირველი შესანიშნავი საკითხავი წიგნი, წინასიტყვაობაში გარკვევით წერდა, რომ საკითხავი წიგნი უნდა იყოს ბავშვთათვის მიმზიდველი, მასში უნდა იყოს მოცემული მდიდარი მასალა ბავშვის „გონების გახსნისათვის და განვითარებისათვის“. ამ მიზნით, როგორც თვითონ შენიშნავს, მან სცადა შეერთებინა „სასიამოვნო სასარგებლოსთან“.<sup>1</sup>

დიდი ილია, რომელსაც ხელში ეჭირა „საქართველოს ერის მაცა“<sup>2</sup>, აკაკი, ვაჟა, ალ. ყაზბეგი, გ. წერეთელი და სხვა გამოჩენილი მწერლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ახალ თაობას, რადგან გ. წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქკუა-გონების გაუხსნელობამ და შრომის უტოღინარობამ, აი ამ უძღურობაში ჩაგვაგდო... უნდა ვიფიქროთ მომავლისათვის და ამ შემთხვევაში რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? — ახალგაზრდობის აღზრდას, ისე, რომ მან შეიძლოს თავის დროში თავისი ღონით ცხოვრება და მოჯამაგირეობა სანატრელი არ ჰქონდეს. ამისათვის ის უნდა გავანათლოთ, გონება გაუხსნათ“.<sup>3</sup>

მათ ახალგაზრდობის იმედი ჰქონდათ, სურდათ მათთვის, ახალგაზრდობისათვის „უფრო კარგი საფუძველი მიეცათ“ და რამდენადაც ამას განახორციელებდნენ, „იმდენად უფრო ნაყოფიერი და განათლე-

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი. „დედა ენა“, თბილისი, 1878, გვ. 111.

<sup>2</sup> „ქვალი“, 1894, № 6.

<sup>3</sup> გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1930, ტ. I, გვ. 230.

ბული ცხოვრება მოგველის მომავლის დროსა“. ამიტომ იყო საზღვარგარეთ მყოფი მწერალი 1873 წელს ნ. ნიკოლაძეს აცნობებდა, რომ „ციურისის უღლის შეკრებილებაში ერთი წინადადება შევიტანე. რომ შევედგინა მთარგმნელების კომისია სახელმძღვანელოებს გამოსაცემად ქართულ ენაზე. სხდომამ მხიარულად მიიღო ეს წინადადება... ახლა შევუდექით კიდევ ერთი წიგნის შედგენას, სახელად „სწავლის წყარო“.<sup>1</sup>

ყოველივე ეს კარგად ღალადებს იმაზე, თუ რა აერთიანებდა პედაგოგიურ მოღვაწეებს, საბავშვო მწერლებს და ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მესიტყვეებს ერთი მიზნის ირგვლივ, რომ შექმნათ ობიექტური პირობები ინტელექტუალური და მხატვრული სიტყვის ოსტატების გამოჩენილ ძალთა კონსოლიდაციისა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) შექმნა-განვითარებისათვის.

ობიექტური სინამდვილით ნაკარნახევი ისტორიული ამოცანა განსაზღვრავდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში საბავშვო ლიტერატურის განსაკუთრებულ როლს და ისტორიის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობისა და პირადი ვალდებულების მაღალ შევნებას. მხოლოდ ამის საფუძველზე მოხდა XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაცია ერთი დიდი ამოცანის — ქართველი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავებისა და მის წინაშე დაყენებული ისტორიული ამოცანების შესაბამისად წარმოქმნილი პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტისათვის.

ამას მოჰყვა, ერთი მხრივ, გამოჩენილი ქართველი პოეტების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეებისა და, მეორე მხრივ, საბავშვო მწერლობაში სრულიად ახალგაზრდა ძალების გაერთიანება ერთი დიდი ეროვნული საქმის ინტერესების საფუძველზე.

ეს ორი შემოქმედებითი ძალა გახდა შემდგომში ქართული საბავშვო ლიტერატურისა და კერძოდ, ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის აღმავლობის ძირითადი მიზეზი.

აქედან გამომდინარე, საბავშვო მწერლობის ისტორიაში მწერალთა ორი ჯგუფი უნდა გამოვყოთ:

1. პროფესიული საბავშვო მწერლები (იაკობ გოგებაშვილი, პ. ცახელი, ე. გაბაშვილი, შიო მღვიმელი, ნინო ნაკაშიძე, თედო რაზიკაშვილი და სხვ.);

2. არაპროფესიული საბავშვო მწერლები დიდი (ზოგადი) ლიტერატურიდან, რომლებმაც სპეციალურად შექმნეს მხატვრული ნაწარმოებები ბავშვთათვის (ილია, აკაკი, ვაჟა, ა. ყაზბე-

<sup>1</sup> ეურნ. „მნათობი“, 1929, № 11--12, გვ. 264.



გი, ეკ. გაბაშვილი, რ. ერისთავი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი და სხვ.), რომლებმაც ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის აყვავებას, აღორძინებასა და მის შემდგომ განვითარებას მკვიდრი საფუძველი შეუქმნეს.



თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ონტოგენეზისის განხილვისას უნდა გადავწყვიტოთ ზოგადი (საერთო) და საბავშვო-მწერლობის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ჯერჯერობით ამ საკითხზე სპეციალური შრომა არ დაწერილა, თუმცა საბავშვო მწერლობის საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში ნათქვამია, რომ საბავშვო მწერლობა ზოგადი (საერთო) მწერლობის ორგანული ნაწილია; ყველა ის პრობლემა, რომელიც იდგა საერთოდ ქართული რეალისტური ლიტერატურის წინაშე, ასევე დადგა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის წინაშეც.

ქართველ სამოციანელთა რევოლუციური მოძრაობისას, ხალხოსნობის, მარქსიზმის იდეების საქართველოში გავრცელებისა თუ მუშათა მოძრაობის აღმავლობის, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და რევოლუციური აღტყინების შემცველი სურათების ჩვენება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო არა მარტო შესაბამისი პერიოდის ზოგადი (საერთო), არამედ საბავშვო მწერლობისთვისაც.

ამის შედეგად მხატვრულ ნაწარმოებში უნდა გამოჩენილიყო ეპოქის მღელვარე ცხოვრება, ბრძოლა სამართლიანობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, კეთილ და ბოროტ ძალებს შორის შეჯახების, სოციალურ ძალთა მძაფრი კონფლიქტის მეტყველი სიტუაციები.

თუკი მხატვრული ლიტერატურის წინაშე ეპოქის სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ამგვარად დადგა საკითხი, ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორი იყო ფაქტიური მდგომარეობა ქართულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში და ყოველივე ეს რას ავალებდა მას?

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის გარემოება იყო, რომ ეპოქის მაჯისცემა მისაწვდომად ყოფილიყო ნაჩვენები საბავშვო ნაწარმოებების მოქმედ პირთა ბედში, რომელიც თავის მხრივ ემთხვეოდა თაობათა ბედს, საზოგადოებრივი ჯგუფების ბედს.

ზოგადი ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულება დღესაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხთაგანია.

ეს საერთო, განუსხვავებელი თვისებები საბავშვო ნაწარმოებებს უფროდ მაღალ მოთხოვნებს უყენებდა.

მხოლოდ ამ მდგომარეობით უნდა აიხსნას ბელინსკის სიტყვები: «Хорошо и полезно только то сочинение для детей, которое может занимать взрослых людей и нравиться им не как детское сочинение, а как литературное произведение, писанное для всех»<sup>1</sup>.

კლასიკური საბავშვო მწერლობის განვითარების გზები უშუალოდ უკავშირდება ქართული მწერლობის განვითარების გზებს, ეტაპებს როგორც იდეურად, ისე ქანობრივად და კეთილსასურველ ზეგავლენას ახდენს საბავშვო მწერლობის საერთო განვითარებაზე.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ ლიტერატურული მიმართულებანი, რომლებიც ეპოქების შესაბამისი იდეურ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ვითარების საფუძველზეა აღმოცენებულნი და განვითარებულნი, ისტორიულად ზოგადი (საერთო) და საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის განვითარების ყველა ეტაპზე, თანამედროვე საბჭოთა საბავშვო მწერლობის ჩათვლით, ყოველთვის ურთიეროკავშირში იმყოფებოდნენ; ამის შედეგად გარკვეულად ჩანს თემატიკური იდენტურობა; ფორმისა და შინაარსის პარამონიული ერთიანობის პრობლემების შესაბამისად გადაწყვეტა და ა. შ.

პატრიოტიზმი, პუმიანიზმი, სოციალური საკითხი, ბუნება, სიუჟეტური და მეგობრობა, გმირობა და მამაცობა, პატიოსნება და სიკეთე, გულწრფელობა და პირდაპირობა, შრომის დიდება და სიძნელეთა დაძლევა, დადებით გმირთა სახეების შექმნა და სხვა — მათი წარმოსახვა, მათი ჩვენება ზოგადი (საერთო) და საბავშვო მწერლობის უპირველესი ამოცანაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით გავისხენოთ ბ. ბელინსკის სიტყვებამის შესახებ, რომ «საგანი ბავშვთათვის იგივეა, რაც მოზრდილი ადამიანისათვის, მხოლოდ იგი გადმოცემული უნდა იქნეს მათი შეგუების შესაბამისად. ამაში მდგომარეობს ამ საქმის ერთი მნიშვნელოვანი მხარე»<sup>2</sup>.

თემატიკურად მკვეთრი განსხვავება მათ შორის არც შეიძლება იყოს, რადგან მატერიალისტური ესთეტიკის კონცეფციიდან, ხელოვნების მარქსისტული გაგებიდან გამომდინარე, მწერლობას, ზოგადსა (საერთოს) და საბავშვოსაც ყოველთვის ანიჭებდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში განსაკუთრებულ როლს.

<sup>1</sup> В. Г. Белинский, П. Г. Чернышевский, Н. А. Добролюбов о детской литературе, М., 1951, стр. 153.

<sup>2</sup> В. Г. Белинский, Избр. пед. сочинения, М., 1943, т. I, стр.

ხელოვნება, ლიტერატურა. აუცილებელ პირობად აყენებს სინამდვილის სიმართლით ასახვას, ე. ი. ასახვის ობიექტი უნდა იყოს არა მარტო „მშვენიერი“, „მომსიბვლელი“, არამედ ცხოვრების მანძილზე მხარეებიც, საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანის ირგვლივ მყოფი მრავალფეროვანი სინამდვილე: «Мы требуем не идеальной жизни, но самой жизни, как она есть. Жизнь ни, хороша ни, но не хотим ее украшать, ибо думаем, что в поэтическом представлении она равно прекрасна в том и другом случае, и потому нам что истина, и где истина, там и поэзия».<sup>1</sup> მაშასადამე, რამდენადაც ხელოვნება, მწერლობა, საერთოდ და (თვით საბავშვო მწერლობაც) დაუმახინგებლად, ობიექტურად გვიჩვენებს ცხოვრებას, იმდენად იგი სრულყოფილია ესთეტიკური თვალსაზრისით. როდესაც „მწერალ არის გაბნეული სინამდვილის სურათები და სინამდვილიდანვე აღსკვეთს საუცხოო ფსიქოლოგიური მომენტები“.<sup>2</sup>

ამ სურათებში ჩაქსოვილი აზრები გავლენას ახდენენ ბავშვების გონებაზე, ხელს უწყობენ გარკვეული შეხედულების გამომუშავებას ცხოვრების სხვადასხვა საკითხზე, რომელიც საბავშვო მწერლობას თვით-მატიკურ მრავალფეროვნებაშია მოცემული და მხატვრულ სახეებში (მოთხრობები, ლექსები, პოემები და ა. შ.) ვაჩვენებთ.

და ეს მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული აზრი უშუალოდ უკავშირდება მწერლის მსოფლგაგებას, მწერლის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ფორმასთან, საზოგადოებრივი წყობის სტრუქტურასთან, სოციალურ ძალებთან, კლასობრივ ბრძოლასთან.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს მხატვრულ ნაწარმოებებში (ამ შემთხვევაში საბავშვო პოეზიასა და პროზასა და დრამატურგიაშიც) მოცემულია გარკვეული ტენდენციებით. ტენდენციურობა დამახასიათებელია ყველა დროისა და ქანრის ნაწარმოებისათვის, ყოველი მაღალიდღეური მხატვრული ფაქტისათვის. სწორედ ამ ტენდენციურობაში ჩანს საზოგადოებრივი პოზიციების სიცხადე, მტკიცე რწმენა, შეურიგებლობა უსამართლობასთან, ბოროტებასთან. მხოლოდ ამ პოზიციებიდან უნდა შევაფასოთ მწერლის ხედვა, ცხოვრებისეული საკითხებისადმი მიმართება, სიღრმე, იდეური პრინციპულობა.

აზრი, — ჩერნიშევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, — ნაწარმოების სულია და საბავშვო მწერლობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს აზრი ნაწარმოებში გარედან მიკერძოებული ან თავზემომხვეულ ჰკუის სწავლებას არ წარმოადგენს. მთავარია, საბავშვო ნაწარმოები

<sup>1</sup> В. Г. Белинский, Пол. собр. соч. М., 1946, т. I, стр. 267.

<sup>2</sup> „მომსიბვე“, 1899, № XII, VI, стр. 4.

იყოს კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული, ამბავი დინამიკურად განვითარებული, მხატვრული, ბავშვის გონების გამტაცებელი, — უამისოდ თემატიკურ მრავალფეროვნებასა და აქტუალობას ბავშვთათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; უპირველეს ყოვლისა, თვით ნაწარმოებმა უნდა წააქითხოს თავი, იმდენად გაიტაცოს, დაინტერესოს იგი; ხოლო ნაწარმოების სული, — აზრი კი ძალდაუტანებლად შეიცნოს. ეს უკანასკნელი კი იმ შემთხვევაში იქნება მიღწეული, თუკი საბავშვო ნაწარმოები მხატვრული ოსტატობის პრინციპების დაცვით იქნება სადა, უბრალო, გასაგები, არახელოვნური. მართალია, უბრალო და არახელოვნური შეიძლება არ იყოს კარგი, მაგრამ არა უბრალო და ხელოვნური, როგორც ლ. ტოლსტოი ამბობს, — არ შეიძლება იყოს კარგი.<sup>1</sup>

რასაკვირველია, მაღალიდებურ და სრულფასოვან მხატვრულ საბავშვო ნაწარმოებებს შეექმნით იმ შემთხვევაში, როცა სიყვარული ბავშვებისადმი, ბავშვის მოთხოვნილებისა და თავისებურებათა ღრმად ცოდნა მათს ასაკობრივ თვისებებთან დაკავშირებით იქმნება ერთ-ერთი მთავარი პირობა<sup>2</sup>. საბავშვო ნაწარმოებების ავტორებმა, რომლებიც იწყებენ მუშაობას საბავშვო ლიტერატურაში, უნდა გაითვალისწინონ მკითხველთა ასაკობრივი თავისებურებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი წიგნი იქნება უმისამართო, რომელიც არ იქნება საჭირო არც ბავშვებისათვის და არც მოზრდილთათვის<sup>3</sup>.

საბავშვო ნაწარმოებისადმი, საბავშვო წიგნისადმი ბავშვების დამოკიდებულების ფსიქოლოგიურ მომენტს განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება: «Посмотрите, любит ли ребенок растянутость, водянистость рассказа? Нет, он беспрестанно понукает вас: «Ну, что же дальше? Говорите скорей, скорей ведите к концу... говорите только самое существенное»<sup>4</sup>.

ამგვარად, საბავშვო ნაწარმოებმა (საბავშვო წიგნმა) ბავშვი უნდა დაინტერესოს, ყურადღებით წაიკითხოს იგი, გააგებინოს უმთავრესი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიცნობს მასში ასახულ ცხოვრებას: «წიგნი ჰშველის ნამდვილი ცხოვრების გაცნობას და შესწავლას, იმ ცხოვრების შესწავლას, რომელშიაც ბავშვი ყოველ დღე ბრუნავს და რომელსაც იგი ყოველ დღე ხედავს»<sup>5</sup>.

ცხოვრება, ობიექტური სინამდვილე მეტად მრავალფეროვანია. ეს

<sup>1</sup> Русские писатели о литературе, М., 1939, т. 2, стр. 98.

<sup>2</sup> В. Г. Белинский, Н. Г. Чернышевский, Н. А. Добролюбов о детской литературе, М., 1954, ст. 314.

<sup>3</sup> М. Горький. О детской литературе, М., 1952, ст. 12.

<sup>4</sup> Н. Чернышевский, собр. соч. М., 1936, т. IV, ст. 453.

<sup>5</sup> «Иевриа», 1878, № 30.

უკანასკნელი მწერლობაში მხატვრული ასახვის გზით თემატიკურ მრავალფეროვნებაშიაც არის გამოხატული.

ზოგადსა (საერთო) და საბავშვო მწერლობას შორის, ძირითადად, თემატიკურ განსხვავებულობას ადგილი არა აქვს.

ცნობილია, რომ ობიექტური სინამდვილე ადამიანთა საზოგადოების განვითარების მრავალმხრივ და მრავალფეროვან ისტორიას წაო-მოადგენს.

რა თქმა უნდა, რომ კაცობრიობის ისტორიული განვითარების რთულ პროცესში ჩაქსოვილია სხვადასხვა ეპოქისა და ხალხის ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემები და იდეები, ადამიანური განცდები, საუკეთესო იდეალებისაკენ ადამიანთა სწრაფვის ძალა და სიდიადე. ამ გზაზე გმირული ბრძოლების სურათები, რაც გამოხატულია როგორც ზოგადსა (საერთო), ისე საბავშვო მწერლობის განვითარების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფორმით სინამდვილის ასახვაში, ზოგჯერ რეალისტური სიზუსტით, ზოგჯერ ფანტასტიკის გამოყენებით, ორგანულად დაკავშირებულია სტილის, ენარების, ლიტერატურულ მიმართულებათა და შემოქმედებითი მეთოდების განვითარების ისტორიულ პროცესებთან.

ამიტომ ამ პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ, შევაფასოთ საბავშვო მწერლობა, კერძოდ, ნაწარმოებები ბავშვების შესახებ და სპეციალურად ბავშვთათვის დაწერილნი არა მარტო პროფესიული საბავშვო მწერლობის მიერ, არამედ არაპროფესიული საბავშვო მწერლების მიერაც.

ობიექტური სინამდვილის ჩვენების ეს უკანასკნელი თავისებურება (ბავშვთა მხატვრული სახეები თუ ბავშვთათვის შექმნილი ნაწარმოებები ყველა დამახასიათებელი კომპონენტით) საბავშვო მწერლობას ნაწილობრივ განასხვავებს ზოგადი (საერთო) მწერლობისაგან და უნარჩუნებს კარგად გამოკვეთილ საკუთარ სახეს მისაწვდომობის, კონკრეტულობის, თხრობაში ლირიზმის, სისადავის, მოქმედების დინამიკურობისა და ამბის გამართობი ხასიათის მტკიცედ შეპირებულობის პრინციპებით.

მეორე გარემოება, რასაც ხაზი უნდა გავსვას, არის ის ცნობილი დებულება, რომ მხატვრული ლიტერატურა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, ამდიდრებს ადამიანთა წარმოდგენას ცხოვრებაზე, ბუნებაზე, მის ირგვლივ მყოფ რეალურ სამყაროზე, წარსულზე და ამავე დროს მხატვრულ სახეებში უჩვენებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პერსპექტივებსაც. ამის საფუძველზე იგი ხელს უწყობს ადამიანებში საკუთარი შეხედულებების ფორმირებას, იდეურ მისწრაფებასა და ჯანსაღ ფანტაზიას,

ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკაც (ისე როგორც რუ-

სული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკის კორიფეები) მოითხოვდა, საბავშვო მწერლობას გაემდიდრებინა ბავშვთა წარმოდგენანი ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე როგორც წარსულზე, ისე აწმყოსა და მომავალზეც.

ამ შემთხვევაში მხედველობაში იღებენ დროის ფაქტორს: „შესაძლებელია პოეზიაში აზრიც კარგი იყოს და ფორმაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთ პოეზიას მაინც მნიშვნელობა არა ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ აზრი დროის შესაფერისი იყოს და არა გაცვეთილი, ის მკითხველის გულსა და გონებას რაიმე ახალს აძლევდეს და არ იწვევდეს ისეთ ფიქრსა და გრძობას, რაც ცხოვრებას დიდი ხანია ჭეშმარიტებად უღიარებია“<sup>1</sup>.

აქედან ცხადია, რომ მთავარია წარმოდგენანი, რომელიც უნდა შეექმნათ ბავშვებს — „დროის შესაფერისი იყოს“. კარგად შენიშნავდა ალ. წულუკიძე, რომ „ყველაფერი იზრდება და ვითარდება, ჩვენც ვიზრდებით და ვეითარდებით, დღეს ის აღარ ვართ, რაც გუშინ ვიყავით, დადგენილი დღე სულ სხვა მოჩვენაღს ამზადებს და ჩვენი ფიქრები და სურვილები ფერს იცვლის, სწევანაირდება.“

ჩვენი იდეალი მომავალში უნდა იყოს, აწმყო იმდენად საინტერესოა, რამდენად ის მყობადის საძირკველია. მუდმივი ცვლა არის ბუნებრივი კანონი, რომლის ძალას ვერ უძლებს ვერავითარი ძველი წეს-წყობილების ტრფიალი და დაჩემება...

ყოველგვარი თვალსაჩინო სოციალური ცვლილება თავის ელფერს ღებს გონებრივ მოძრაობას, რის გამო ლიტერატურაც ფერს იცვლის, ახალ მიმართულებას ადგება“<sup>2</sup>.

თანამედროვეობის ინტერესები უნდა აძლევდეს და აძლევს კიდევაც განსაზღვრულ მიმართულებას როგორც ზოგადს (საერთო), ისე საბავშვო მწერლობის იდეურ-მხატვრულ განვითარებას.

ეს მოთხოვნა იმ დროისათვის პროგრესული ზედაგოგიკური მოძღვრების თანაზიარი მოთხოვნა იყო, რომელიც ბავშვებში პირველი შთაბეჭდილებების მნიშვნელობას, ამ შთაბეჭდილებების სიძლიერესა და ბავშვის სულიერ ცხოვრებაზე სათანადო კვალის დამჩნევაზე მიუთითებდა. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „დიდმა პოეტმა გერმანიისამ, გოეტემ სთქვა: „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარაობის დროის ჩაბეჭდილებათაგანაო“. დიად, სწორედ ეს ჩაბეჭდილებანი აძლევენ ადამიანს განსაზღვრულს მიმართულებას. ამ აღრიან ჩაბეჭდი-

<sup>1</sup> „კვალი“, 1902, № 4.

<sup>2</sup> „კვალი“, 1800, № 19.

ლებებზედ ბევრით არის დამოკიდებულნი კაცის მისწრაფებანი, ხასიათი, მიდრეკილებანი<sup>1</sup>.

ეს კარგად ჰქონდა გაგებული ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკის სხვა წარმომადგენლებსაც და ამიტომ აღნიშნავდნენ, რომ „პირველ დღეებში მიღებულ შთაბეჭდილებას ყმაწვილის გონებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და არაფერს მისი ძირიდან ამოხოცვა, ამოფხვრა არ შეუძლია, რაც უნდა გარემოებათა ანუ პირობათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს ადამიანი დროთა ვითარებისა გამო“.<sup>2</sup>

ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ნ. კრუპსკაისაც: „Книга прочитанная в детстве, остается в памяти чуть ли не на всю жизнь и влияет на дальнейшее развитие ребят“<sup>3</sup>. და პედაგოგიურ მეტონიერებათა სხვა გამოჩენილ მოღვაწეებსაც.

ყოველივე ამის გამო XIX საუკუნის II ნახევარში ქართული საბავშვო მწერლობის წინაშე დადგა საკითხი ბავშვთა ასაკობრივი და გონებრივი მომზადების შესაბამისად, უანრობრივი მრავალფეროვნებით გაემდიდრებინათ მათი წარმოდგენანი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე როგორც წარსულიდან აღებული ისტორიული ფაქტებით, ისე აწმყოსა და მომავლის მიმნიშნებელი ცხოველი მხატვრული სურათებით; უკვე აუცილებელი შეიქნა, გაეცნოთ მათთვის მშობლიური ქვეყნის ფლორა და ფაუნა, გაემდიდრებინათ ფანტაზია, განევითარებინათ ესთეტიკური გემოვნება, გონიერება, კრიტიკული აზროვნების უნარი ისეთი მხატვრული ნაწარმოებებით, რომლებიც ასახულ ცხოვრების სინამდვილის ემოციური შეცნობა შეუქმნიდა მათ წარუშლელ პირველ შთაბეჭდილებას, ახალ თაობას გარკვეულ გრძნობებს აღუძრავდა, ააღვებდა და გაახარებდა, გამოიწვევდა მათში გარკვეულ მორალურ-ესთეტიკურ სიამოვნებას, გამოუმუშავებდათ რწმენას მომავალზე, რაც იქნებოდა ამავე დროს ახალგაზრდობის აღზრდის მძლავრი იარაღიც.

ცხოვრების მზიანი თუ ჩრდილოვანი მხარეების ჩვენება სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არსში გარკვევა და მგზნებარე პატრიოტების უანგარო ბრძოლის სურათების გამოხატვა, მაღალი ჰუმანური თვისებებისა მქონე ადამიანთა ტიპური სახეების შექმნა, უფროდ იყო ნეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტი; ყოველივე ამით სიტყვაყაზმული მწერლობა ბავშვებს (რასაკვირველია, მათთვის მისაწვდომ ფორმებში) მხატვრული სიტყვიით შთააგონებდა, თუ რა იყო

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 7.

<sup>2</sup> „მწვემსი“, 1890, № 23—24.

<sup>3</sup> Н. К. Крупская. О детской литературе и детск. чтении, М., 1954, 33. 65.

კარგი და ჭეშმარიტი, რომელსაც უნდა გაჰყოლოდა და ამავდროს უჩვენებდა ცუდს, რომელსაც უნდა განრიდებოდა; ეს მოთხოვნა, საერთოდ, საბავშვო ლიტერატურისადმი, კერძოდ, სიტყვაკაზმული მწერლობისადმი გამომდინარეობდა ილიას ცნობილი დებულებიდან: „ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კაპონებსა და მეცნიერება — ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარაებას, განკიცხავს, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე, ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“.<sup>1</sup>

ამასვე მოითხოვდა აკაკი, საერთოდ, მწერლობიდან: „ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.), საისტორიო სურათებათ გადაეცეს მომავალ დროებს. და როგორც სარკეში ის იხედება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს, რეპორტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და, მაშასადამე, მწერალს ნება არ აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლინებას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს“.<sup>2</sup>

ეს ჭეშმარიტი დებულება ქართულ ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობასაც ავალეებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას. მისი სწორად, შეუფერავად შეცნობას, ასახავასა და ჩვენებას.

როგორც ზოგად ლიტერატურაში, ისე საბავშვო მწერლობაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ სახეს; მხატვრული სახის ტიპურობა, უპირველეს ყოვლისა, სახის ჭეშმარიტი ხასიათის მასში ღრმად და სისრულით ასახვის, ადამიანური თვისებების არსისა და სოციალური მოვლენების მხატვრული სრულყოფის, მისი ხალხურობის მაჩვენებელი უნდა იყოს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტიპური სახის შექმნისათვის აუცილებელია ცხოვრების სინამდვილის ღრმად შესწავლა, მისი სწორად გაანალიზება, ტიპური ხასიათების გამოკვეთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებასთან მჭიდროკავშირში, რისთვისაც როგორც ფრ. ენგელსი გვასწავლის: „გარდა დეტალების სიმართლისა, რეალიზმი გულისხმობს ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორად გადმოცემას“.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ახალ თაობას ხელი შეეწყოს

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებათა სრ. კრებული, თბილისი, 1953. ტ. III, გვ. 72.

<sup>2</sup> გ. ვრისთავი. თხზულებანი, თბილისი, 1884 წ. ა. წერეთლის წინასიტყვაობა.



თვით სინამდვილის, საზოგადოებრივი ყოფის, კლასობრივი ბრძოლის, სოციალური ურთიერთობის მართალი სურათების, ეპოქის საზოგადოებრივი მოვლენების წარმოშობისა და განვითარებისათვის ისტორიული მიზეზებისა და შედეგების სწორად შეცნობაში.<sup>1</sup>

სწორად, ამის გამო, საბავშვო ნაწარმოებების მხატვრულ სახეებს აქვს, როგორც შემეცნებითი, ისე ენთეტკური, ამასთან ერთად უდიდესი აღმზრდელი თვისებით და საგანმანათლებლო ფუნქციები, რაც მაღალი დეურ ნაწარმოებში ყოველთვის პარამონიულ ერთობლიობაშია მოცემული.

ამ თვალსაზრისით მაღალი დეურ მხატვრულ საბავშვო ნაწარმოებში ასახული სინამდვილის ემოციური შეცნობა მკითხველში გარკვეულ გრძობას აღძრავს, აღელვებს და ახარებს, იწვევს მასში გარკვეულ მორალურ-ესთეტიკურ სიამოვნებას, უმუშავებს გარკვეულ რწმენას, მსოფლგაგებას, უნერგავს მომავლის იმედს, ხელს უწყობს მსოფლმხედველობის ფორმირებას.

ყოველი საბავშვო ნაწარმოების იდეური შინაარსი, რომელიც ბავშვთათვის დამამახსოვრებელ მხატვრულ სახეებში უნდა იყოს ჩამოძირწილი, უნდა უჩვენებდეს ადამიანის მრავალმხრივ საქმიანობას. საზოგადოებრივი იდეალები, რომლებიც გარკვეული ეპოქების ნიშანდობლივი მოვლენაა, თვისობრივად ანსხვავებს ეპოქებს ერთიმეორისაგან. ეს კი თავის მხრივ ის ისტორიული პროცესების შედეგია, რომლის საფუძველს მშრომელთა მასების, ხალხების მოძრაობა წარმოადგენს შრომითი განთავისუფლებისათვის, მშრომელთა მასების ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობისათვის ბრძოლის დიდ გზაზე.

კლასობრივი საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესი რთული და ღრმა წინააღმდეგობებით არის სავსე. ამის გამო საბავშვო მწერლობისათვის (ისე როგორც ზოგადი ლიტერატურისათვის) უცხო უნდა იყოს რომელიმე ვიწრო სოციალური ჯგუფის ინტერესები. პეშმარიტი მწერლობა, საერთოდ, მაღალი დეური ლიტერატურა უნდა ეყრდნობოდეს ხალხის ინტერესებს, ხალხის იდეურ მიზანსწრაფვას, მის ოცნებასა და ფიქრებს და ამის საფუძველზე ქმნიდეს მხატვრული სინამდვილის ჭეშმარიტ სურათებს.

მხოლოდ ასეთი თვისებების შემცველი საბავშვო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები ახდენენ ახალგაზრდა მკითხველზე

<sup>1</sup> აღნიშნულ საკითხზე მეტად საყურადღებო ნაშრომაა ს. ხუციშვილს „მხატვრული ლიტერატურა „ბუნების კარში“ (იხ. გოგებაშვილის საიუბილეო კრებული, თბილისი, 1940 წ. გვ. 191—204).

გარკვეულ ზეგავლენას, წარმართავენ მათს გრძნობებს, განწყობილებებს, მისწრაფებებს გარკვეული მიმართულებით.

ყოველივე ეს საბავშვო მხატვრული ნაწარმოების იდეურ-შემეცნებითი და იდეურ-აღმზრდელობითი ღირებულების საფუძველია, რაც უვითარებს ბავშვს გონებრივი განათლების პორიზონტს, ამდიდრებს მის წარმოდგენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამაშია საბავშვო მწერლობის საგანმანათლებლო ფუნქციის არსი. ამასთან ეს ფუნქცია ორგანულადაა დაკავშირებული ახალი თაობის მორალურად აღზრდის უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან, ესთეტიკური აღზრდის ძირითად მიზნებთან.

ამგვარად, მხატვრული ნაწარმოები მოქმედებს ბავშვების არამარტო გონებრივ განვითარებაზე, არამედ მორალურ და ესთეტიკურ გრძნობებზეც. ამიტომ აუცილებელია საბავშვო მწერლობის ეს ორი მხარე — საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი — ერთიმეორისაგან გაუთიშველად გვექონდეს წარმოდგენილი მისი იდეურ-მხატვრული ღირებულების განსაზღვრისა და გამოყენების თვალსაზრისით.

შეიძლება დავასკვნათ: ზოგადისა (საერთო) და საბავშვო მწერლობის ასახვის საგანი განუსხვავებელია; იგი ობიექტური სინამდვილე, ადამიანთა სოციალური და მორალური საქმის ჩვენება, ბავშვთა სულიერი სამყაროს მხატვრულ სახეებში გადმოცემა. აქედან გამომდინარე, საბავშვო მწერლობა (ისე როგორც ზოგადი — საერთო) თვით საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობის ერთ-ერთი წყაროა, რადგან ყოველი სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებები — ლექსი, ბალადა, პოემა, ნოველა, მოთხრობა, რომანი — გაზოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მხარეს, სადაც ტიპურ მხატვრულ სახეებში მოცემულია ადამიანთა ცხოვრება მთელი თავისი სირთულით, ინდივიდუალური თავისებურებებით, ხასიათებით, იდეური მისწრაფებებით.

ცხოვრებისეული საკითხების სინამდვილესთან ორგანულ კავშირში ჩვენება, საზოგადოებრივი იდეალების სწორად გადმოცემა ენობრივი ქსოვილისა და სიუჟეტური წყობის ოსტატურად გამოყენების შედეგად, რაც თავის მხრივ მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის დაურღვეველ ერთიანობაში უნდა იყოს გამოვლინებული, განსაზღვრავს სხვადასხვა გვარის, სახისა და ქანრის იდეურ-მხატვრულ შინაარსს, ღირსებას, მნიშვნელობას ახალი თაობის აღზრდის თვალსაზრისითაც, მათს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითს ფუნქციებს.

ამგვარად, ზოგადი, (საერთო) სიტყვაკაზმული მწერლობა იდეურისამყაროა; რომელიც ძირითადად მოიცავს პოეზიას, პროზასა და დრამატურგიას.

საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა იდეურისამყაროა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: იგაწარმოადგენს საბავშვო პოეზიას, საბავშვო პროზასა და საბავშვო დრამატურგიას, რომელიც მისთვის დამახასიათებელი, ნიშან-თვისებებითაა გაპიროვნებული.

ეს თავისებურება, ბავშვთა გონებრივი და ასაკობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, არის ის უმთავრესი პირობა, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათ მიერ მხატვრული ნაწარმოებების იდეური და მხატვრული არსის, ღირსების საფუძვლიანად გაგება, მათი ესთეტიკური აღზრდა.

სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა ზოგადი (საერთო) მწერლობის ორგანული, შენაკადური, მაგრამ თავისებურების მქონე ნაწილია გვარის (ეპოსი, ლირიკა, დრამა), სახეებისა და ჟანრების ძირითადად განუსხავებლად.

ძირითადად, განუსხავებელს, იმიტომ ვუწოდებთ, რომ ზოგი რაჰ, რაც ზოგადი (საერთო) მწერლობისათვის მრავალმნიშვნელოვანია, ის საბავშვო მწერლობას არამცთუ XIX საუკუნის II ნახევარში არ შეუქმნია, არამედ დღეს, საბჭოთა საბავშვო მწერლობაშიც ჯერჯერობით შექმნილი არ არის.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ლიტერატურული გვარის ერთერთი სახის რომანის ჟანრობრივ მრავალფეროვნებას (ისტორიულა, სოციალური, საყოფაცხოვრებო და სხვ.), რომელიც საერთო დიდი ლიტერატურის მწვერვალებია.

საბავშვო რომანის საზღვრები, ხასიათი ჯერ კიდევ მტკიცედ არ არის განსაზღვრული, არც ცნებაა დაზუსტებული და მას ხან „ვრცელ მოთხრობას“ უწოდებენ, ხან „სასკოლო მოთხრობას“, ზოგიერთი კი არც ცნობს საჭიროდ, რომ საბავშვო მწერლობამ სპეციალური საბავშვო რომანი შექმნას.

ეს სადავოა. ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ არ შევუდგებით, რადგან იგი ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება, ხოლო ქართული საბავშვო მწერლობის ისტორიის იმ მონაკვეთში, რომელმაც საკვლევი თემა განსაზღვრა, სპეციალური საბავშვო რომანის შექმნის საკითხი იმდროინდელ ქართულ საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაში არც ყოფილა დასმული.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ზოგადი (საერთო) და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულებისას ჩნდება, ესაა ლიტერატურული გვარის — დრამის საკითხი.

XIX საუკუნის ზოგადი (საერთო) მხატვრული ლიტერატურა, როგორც ცნობილია, გამდიდრებულია გიორგი ერისთავისა და სხვათა შესანიშნავი პიესებით, რითაც მტკიცე საფუძველი შეექმნა ქართული დრამატურგიის განვითარებას, მაგრამ საბავშვო მწერლობაში, XIX საუკუნეში საბავშვო დრამატურგია არ შექმნილა, მხოლოდ ეპოსი და ლირიკა დაადგა აღმავლობის გზას.

ქართული საბავშვო დრამატურგიის შექმნა უფრო მომდევნო პერიოდს ეკუთვნის, ხოლო მისი აღორძინება საბჭოთა საბავშვო მწერლობის აღმავლობასთან არის დაკავშირებული, რაც სპეციალურ მეცნიერულ კვლევასა და განზოგადებას მოითხოვს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარება უშუალოდ უკავშირდება ქართული კლასიკური ლიტერატურის განვითარების გზებს, ტენდენციებს, ეტაპებს როგორც იდეურად, ისე ჟანრობრივად. იგი კეთილსასურველ ზეგავლენას ახდენდა ქართული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარებაზედაც მისი შემდგომი აღმავლობის თვალსაზრისით.

ყოველივე ამის გამო ზოგადსა (საერთო) და საბავშვო მწერლობაში გამოკვეთილად ჩანს თემატიკური იდენტურობა. ფორმისა და შინაარსის პარამონიული ერთიანობის პრობლემის შესაბამისად გადაწყვეტა, მაგრამ მათ შორის განსხვავებულობის ნიუანსის შემტანია საბავშვო მწერლობისათვის დამახასიათებელი სპეციფიურობა.

2. ზოგადი (საერთო) და საბავშვო მწერლობის ასახვის საგანი განსხვავებულია: იგი ობიექტური სინამდვილეა. ცხოვრებისეული საკითხების საზოგადოებრივი იდეალების შესაბამისად სწორად გადმოცემა მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის დაურღვეველ ერთიანობაში სავალდებულოა როგორც ზოგადი (საერთო), ისე სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობისათვისაც.

3. როგორც ზოგადი (საერთო) ლიტერატურა, ისე საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა წარმოადგენს იდეურ სამყაროს, რომელიც მოიცავს პოეზიას, პროზასა და დრამატურგიას მათთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისებით.

**XIX საუკუნის II ნახევრის ქართული კლასიკური  
სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის  
განვითარების ძირითადი პრობლემები**

თ ა ვ ი პ ი რ ვ ა ლ ი

**ქართული საბავშვო ლიტერატურისა და  
ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის  
სათავეები, განვითარების ტენდენციები**

როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის, ისე ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავეების დასაზუსტებლად, აუცილებლად მიგვაჩნია ისტორიულ ასპექტში მოკლედ განვიხილოთ ცნება „ლიტერატურა“ და განვსაზღვროთ მისი სახესხვაობანი.

სიტყვა „ლიტერატურას“ არა მარტო დღეს, არამედ წარსულშიც სხედასხვაგვარ ინტერპრეტაციას აძლევდნენ. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში მას უკვე განსაზღვრავენ, როგორც სიტყვაკაზმული მწერლობის გამომხატველ სიტყვას.

თავის დროზე ამ ცნებას (1834 წ.) შეეხო ბ. ბელინსკი: იგი აყენებდა კითხვას, თუ რა არის ლიტერატურა და პასუხობდა: „ერთი ამბობენ, რომ რომელიმე ხალხის ლიტერატურად უნდა ვიგულისხმოთ მთელი წრე მისი გონებრივი მოღვაწეობისა, რაც დამწერლობის სახით გამოვლინდება. ამის მიხედვით, ჩვენს ლიტერატურას, მაგალითად, შეადგენს კარამზინის ისტორია და ბატონების ემინისა და ს. ნ. გლინკას „ისტორია“, ისტორიული ძიებანი შლეცერისა, ევერსისა, კაჩენოვსკისა; ბ-ნ სენკოვსკის სტატია „ისლანდური საგნების“ შესახებ, ველინსკისა და პავლოვის ფიზიკები და „კოპერნიკის სისტემის განადგურება“ რამდენიმე უბადრუკ ბროშურასთან ერთად ბ ა ლ ლ ი ნ ჯ ო ე ბ ი ს ა და ა ბ ა ნ ო ს ჭ ი ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ; პუშკინის „ბორის ვოდუნოვი“ და „შტიანი და ანისოვკიანი“, ისტორიულ დრამების ზოგიერთი სცენა...

სხვებს კიდევ სიტყვა ლიტერატურა ესმით, როგორც სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა განსაზღვრული რიცხვის კრებული, ე. ი. როგორც ფრანგები ამბობენ *chet d'oeuvres de littérature...*

მაგრამ არის კიდევ მესამე აზრი, რომელიც არც ერთს არ ჰგავს ზემოხსენებული ორი აზრიდან. ამ აზრის მიხედვით, ლიტერატურა ეწოდება იმგვარ მხატვრულ სიტყვიერ ნაწარმოებთა კრებულს, რომლებიც ნაყოფია იმ ადამიანთა თავისუფალი ზეშთაფონებისა და შემატკვილებული (თუმცა დათქმული) ღონისძიებებისა, ვინც შექმნიდა ხელოვნებისათვის, სუნთქავს მარჯოდენ მისთვის და ისპობა მის გარეთ, ვინც თავის ნატიფ ქმნილებებში სრულად გამოხატავს და გადმოსცემს იმ ხალხის სულს, რომელშიც ის დაბადებულა და აღზრდილა, რომლის ცხოვრებითაც ის ცხოვრობს და რომლის სულითაც სუნთქავს... ასეთი ლიტერატურა არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიურიც. ეს ახალი აზრი რადია; იგი დიდხანა ათასჯერ იყო გამოთქმული. თითქოს, საჭირო არც უნდა იყოს მისი განმეორება. მაგრამ ვაგლახს! რამდენია გაცვეთილი ჭეშმარიტება, რომლებიც ჩვენში კაცმა ყოველდღე საქვეყნოდ უნდა იძახოს და იმეოროს!“<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია — ა. ჩ.)

დიდი ილია ეხებოდა რა XIX საუკუნის 40-50-იან წლებს, წერდა: „ჩვენს მოღალურობას ცხადის საბუთებით მოწმობს დღესაც მაშინდელი ჩვენი მწერლობა და ლიტერატურა“ (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.). ამ შემთხვევაში ილია ცნებებს „მწერლობას“ და „ლიტერატურას“ იდენტური ნიშნით არ ხმარობს. ეს მეტად საგულისხმო და ყურადსაღებია.

აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხზე ჩვენი კონკრეტული მოსაზრება ჩამოვყალიბოთ, რაც საბავშვო ლიტერატურის პრობლემატიკის გარკვევისათვის მტკიცე საფუძვლად გვექნება გამოყენებული.

სიტყვა ლიტერატურა წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან *litteratura*-დან, რაც ფართო მნიშვნელობით აღნიშნავს იმას, რაც, საერთოდ წერილობითი სახითაა მოცემული: „ლიტერატურა“ ვრცლად რომ გავსინჯოთ, ნიშნავს ყველაფერს, რაც კი რამ არის დაწერილი“<sup>2</sup>. ეს თანაბრად ვრცელდება ყველა სახის ლიტერატურაზე, რომელიც დიფერენცირებული სახეებითაა ცნობილი, როგორცაა მხატვრული, ფილოსოფიური, პედაგოგიკური, ეკონომიკური და სხვ.

ლიტერატურის ეს ფართო განსაზღვრა მოიცავს როგორც ზოგად მხატვრულ ლიტერატურას, ისე საბავშვო ლიტერატურასაც, საბავშვო მწერლობასაც.

აქედან გამომდინარე, სწორად მიგვაჩნია, საბავშვო ლიტერატური-

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი. რჩული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1942, გვ. 9-10.

<sup>2</sup> ი. პავლევიძე. თხზულებათა სრული კრებელი თბილისი, 1941, ტ. II, გვ. 639.

სა და საბავშვო მწერლობის საზღვრების, ცნებების შინაარსობრივ გაგებასა და განსაზღვრას საფუძვლად დაედოს: 1. ფართო და 2. ვიწრო გაგება. ამის მიხედვით ვისმართ „საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით“ ან უბრალოდ „საბავშვო ლიტერატურა“ და ვიგულისხმობთ საბავშვო ლიტერატურის ფართო გაგება, ზოლო ამის საპირისპიროდ კი „საბავშვო ლიტერატურა ვიწრო გაგებით“ ან უბრალოდ „საბავშვო მწერლობა“, რომელიც სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას (პოეზია, პროზა, დრამატურგია) გულისხმობს.

საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით აერთიანებს საბავშვო ასაკობრივ თავისებურებათა საფუძველზე ფოლკლორულ, მხატვრულ, მეცნიერულ-ტექნიკურ, ფანტასტიკურ, ისტორიულ, პუბლიცისტურ, ეთიკურ, მემუარულ, ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიულ, მატერიალური კულტურის ისტორიიდან სათანადო ფორმით შექმნილ წიგნებს, ცალკეულ ნაწარმოებებს, სპეციალურ წერილებს, იგავ-არაკებს, ანდაზებს, გამოცანებს, რებუსებს, ზმებს, რომელთა უპირველესი ფუნქციაა ბავშვთა გონებრივი განათლება, წარმოდგენათა გაფართოება, სათანადო რეფლექსით გარე სამყაროს აღქმის შედეგად გამოწვეული ბავშვთა ცხოველი ინტერესების დაკმაყოფილება, მათზე ემოციური ზემოქმედება, ფანტაზიის განვითარება, რეალურ სინამდვილეზე გარკვეული წარმოდგენის, შეხედულებების გამოიწვევა-ჩამოყალიბება.

აქედან დასკვნა: საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით აერთიანებს სპეციალურად ბავშვთათვის დაწერილ როგორც მხატვრულ, ისე არამხატვრულ პოლიტიკურ, ისტორიულ, ტექნიკურ და ა. შ. ლიტერატურას.

საბავშვო ლიტერატურა ვიწრო გაგებით სპეციფიკურია და იგი აერთიანებს მხოლოდ მხატვრული სიტყვის ხელოვნებით ბავშვთათვის და ბავშვებზე შექმნილ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს — პოეზიას, პროზას და დრამატურგიას, სადაც უმთავრესია მხატვრულ სახეთა სისტემა, ხასიათები, ხატოვანი ენა, ემოციურობა, თრობის დინამიკურობა, დაძაბული სიუჟეტი, მძაფრი კონფლიქტები მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნილი.

აქედან დასკვნა — საბავშვო ლიტერატურა ვიწრო გაგებით მხოლოდ საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობას ან შემოკლებით საბავშვო მწერლობას გულისხმობს.

ასე, რომ სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) შენაკადურია მხოლოდ.

ამგვარად, ლიტერატურულ და პედაგოგიკურ კრიტიკაში, როგორც ეს უკვე ზემოთაღ აღნიშნეთ, უნდა დამკვიდრდეს:

1. ცნება „ს ა ბ ა ვ შ ვ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა“, რომელიც აერთიანებს, გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ბავშვთათვის განკუთვნილ ყველა სახის საკითხავსა და სავარჯიშო წიგნებს, სასწავლო წიგნების ჩათვლით;

2. ცნება „ს ა ბ ა ვ შ ვ ო მ წ ე რ ლ ო ბ ა“ აერთიანებს მხოლოდ მხატვრული სიტყვით, მხატვრულ სახეთა სისტემით ბავშვთათვის შექმნილ პოეტურ ნაწარმოებებს — ლექსებს, პოემებს, ნოველებს, მოთხრობებს, ეტიუდს, ესკიზს, მინიატურას, პიესებს, მხატვრულ პუბლიცისტიკას და სხვ. ე. ი. მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებს.

ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ, ცნებას „საბავშვო ლიტერატურას“ ვიხმართ მხოლოდ ფართო გაგებით, ხოლო მხატვრული რეალიზმის პრინციპებზე შექმნილ „საბავშვო მწერლობას“ თემატიკური და ენობრივი მრავალფეროვნების შემცველი მხატვრული ნაწარმოებები (პროზა, პოეზია, დრამატურგია) აღმნიშვნელად.

\* \* \*

ჩვენ ვეცდებით მხოლოდ ცნებათა ზემოხსენებული საზღვრების მტკიცე გამოკვეთით გადაწყვიტოთ ქართული საბავშვო ლიტერატურის, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ონტოგენეზისის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში შორეულ წარსულში შექმნილი რომელიმე ნაწარმოებისათვის ი მ ა ს კ ი ა რ ა ქ ე ს მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ა, მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ხ ა წ ა რ მ ო ე ბ ს ა თ უ ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ ბ ა ვ შ ვ თ ა თ ვ ი ს და წ ე რ ი ლ ს ხ ვ ა ს ა ს ი ს თ ხ ზ უ ლ ე ბ ა ს კ ო ნ ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ა ქ ე ს თ უ ა რ ა, რომ მისი „ავტორი იყო სასულიერო პირი და წიგნსაც სარწმუნოებრივი ქადაგების ხასიათი ჰქონდა“, ა რ ა მ ე დ ი მ ა ს, თ უ თ ა ე ი ს ი ფ ო რ მ ი თ და შ ი ნ ა ა რ ს ი თ, მ ი ს ა წ ვ დ ო მ ო ბ ი თ ი გ ი რ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს, რ ა ს გ ა ნ ე კ უ თ ე ნ ე ბ ა — ბ ა ვ შ ვ თ ა თ ვ ი ს და წ ე რ ი ლ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ს ა თ უ ა რ ა მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ თ ა ს ფ ე რ ო ს, ე. ი. სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას თუ საბავშვო ლიტერატურის სხვა რომელიმე სახეს.

მხოლოდ ეს უმთავრესი ნიშანია, ამ შემთხვევაში, იმისი საფუძველი, რომ მეცნიერების მიერ დღემდე მიკვლეული ტექსტების მიხედვით განისაზღვროს, თუ საიდან შეიძლება დავიწყოთ ქართული საბავშვო ლიტერატურისა (ფართო გაგებით) და კერძოდ კი სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორია.

ზემოხსენებული უმთავრესი ნიშნით წარსულ საუკუნეებში შექმნილი თხზულებებიდან საბავშვო მწერლობის სფეროში განკუთვნილებისა-



თვის გამოყოფილ ნაწარმოებს სათანადო ანალიზის საფუძველზე მიეცემა რა შეფასება იდეური და მხატვრული ღირებულების, მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების მიხედვით, გარკვეული იქნება ეპოქის შესაბამისი იდეების გათვალისწინებით, რომელს შეიძლება იგი მივაკუთვნოთ — პროგრესულსა თუ არაპროგრესულს, ფართო საზოგადოებრივი, სახალხო ინტერესების. ეროვნულ მისწრაფებათა გამომხატველ ნაწარმოებთა რიგებს თუ პირიქით.

როდესაც ვლაპარაკობთ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის (რასაკვირველია, ამ სიტყვის ფართო გაგებით) ფორმირება-ჩამოყალიბების პრობლემებზე, რასაკვირველია, გვერდს ვერ ავუხვევთ „სკოლას, როგორც ისეთ დაწესებულებას, რომელიც მონასტრებ-ეკლესიებთან, სამღვდელ-მთავრო კათედრებთან თუ სრულიად განცალკევებით მუდამ აღვივებდა კულტურის ნაპერწყალს და ინახავდა ლიტერატურულ შემოქმედების ლამპარს“...

...სომეხ ისტორიკოსთა სიტყვით, საეკლესიო მწერლობის დაწყებათან ერთად ჩვენში თითქოს სკოლებიც გაჩენილა. კო რ ი უ ნ ი ამბობს: მეფე ბაკურმა „უბრძანა ერთს. ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯ ა ღ ი ს, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოვებზე ლაპარაკობდნენ და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყესო“...

სკოლებში, როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, „იწავლებოდა“ დავითი და ეხმითა სასწავლელი სწავლა საეკლესიო... და მწიგნობრობა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნნი...

სწავლას ბავშვებს ამ უძველეს პერიოდში ძალიან ადრე აწყებიანებდნენ. პეტრე მაიუმელს, მაგალითად, მისი ბიოგრაფის სიტყვით, რაც ცოტა არ იყოს ძლიერ ექვს ბაღებს, სამი წლისას დაუწყია სწავლა...

სასკოლო საქმე შესამჩნევად დაწინაურდა მეორე პერიოდში, მეათე საუკუნის გასულიდან...<sup>1</sup>

ყოველივე ეს ბევრ რამეზე მიგვანიშნებს, მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანია იმის გარკვევა, თუ რო დ ი ს, რ ო მ ე ლ ი ა ს ა კ ი ს ბავშვთათვის და რ ა ს ა ხ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი უფილა შექმნილი შორეულ წარსულში ძველ საქართველოში.

ამ საკითხების კვლევას, ბუნებრივია, უნდა დაუყავშიროთ ქართული საბავშვო ლიტერატურის სახესხვაობათა წარმოშობა-განვითარების გამორკვევა, დაზუსტება.

ისეთი მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველო, რომელმაც შექმნა უბრწყინვალესი მწერლობა, წარმოუდგენელია სპეციალურად არ ეზრუნათ საეკლესიო-რელიგიური იდეოლოგიის მიზ-

<sup>1</sup> კ. ჯ. კ. ე. ლ. ი. ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბილისი, 1960, გვ. 80—92.

ნებსა და ამოცანებს დაქვემდებარებულ საბაშვო სასწავლო წიგნების შესაქმნელად. ამ ვარაუდით მეცნიერული კვლევის გაღრმავება, ყველა ლიტერატურული წყაროს გულდასმით შესწავლა ამ ასპექტში, ამის შესაბამისად ობიექტური დასკვნების გამოტანა, ამ საქმეში სიახლისა და ქვეშაობების დადგენა აუცილებელია ქართული საბავშვო ლიტერატურის სრულყოფილი ისტორიის დასაწერად.

ამ მხრივ სათანადო კვლევა-ძიებამ ბუნებრივად მოითხოვა ჩვენ მიერ ნაშრომში საბავშვო ლიტერატურის კლასიფიკაციის ასაკობრივი პრინციპებისა და საბავშვო მწერლობის დიფერენცირებულ სახეების გამოყენება ისტორიულ ასპექტში, რასაც ქართული მწერლობის პირველ პერიოდში გადაწყვიართ სათანადო ობიექტური დასკვნების გამოსატანად, იმის შესახებ, თუ რომელ საუკუნეში და რა ასაკის ბავშვთათვის იყო შექმნილი სასწავლო წიგნები.

აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ძველ საქართველოში ბავშვთათვის სასწავლო-სამეცადინო წიგნების ფაქტიურად არსებობის დადასტურებას. ესაა მთავარი ქართული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სათავეების განსაზღვრისათვის.

აი, სათანადო ლიტერატურული წყაროებით დადასტურებული კონკრეტული ფაქტები:

1. ძველ საქართველოში ბავშვებს სამ წლიდან აწყებიანებდნენ სწავლას. ამას ადასტურებს პეტრე მაიუმელის ბიოგრაფია, თუმცა ამ ცნობას კ. კეკელიძე დაეჭვებით უყურებს.<sup>1</sup> ეს ცნობა ყურადსაღებია იმით, რომ ძველ საქართველოში ბავშვებს აღრეული ასაკიდან აწყებიანებდნენ სწავლას:

2. ილარიონ ქართველს სწავლა დაუწყია, როდესაც ექვსი წლისა ყოფილა. ამის შესახებ თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქეობაა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაა, — წერია შემდეგი: „ვეთარცა იქმნა ექუსისა წლისა, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა, რომელიცა იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა მამაა მის ნეტარისაა და ისწავლიდა იგი მას წიგნსა სულიერსა დღე და ღამე“<sup>2</sup> (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

3. გრიგოლ ხანძთელი, რომელსა „სიჩიომთგანვე ღვინოა ჯა კორ-

<sup>1</sup> კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1, თბილისი, 1960. გვ. 81.

<sup>2</sup> ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. 1, თბილისი, 1946. გვ. 170. დამოწმებულია: 1. კ. კეკელიძე. ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), თბილისის უნივერსიტეტის „მოკლბე“. 1. გვ. 39—67, 1919 წ. 2. მ. სანინი. საქართველოს სამოთხე, 1982 წ., გვ. 371—392. შენიშვნები. 3. P. Peeters. S. Hilarion d'iberie „Analecta Bollandiana“, tom. XXII, P. 236-7.

ცი არა შევიდა პირსა მისსა“ და „თავის უფალი იყო სიმღერისა გან ყრმათა მისა“... „და ისწავლა დავითი და ემითა სასწავლო სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოდუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველის დაისწავლა, და მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ზოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად“!... (საზი წევნა ი.).

შეიძლება დავასკვნათ:

I. ძველ საქართველოში ბავშვთათვის სწავლის დაწყების ორი ასაკი მოცემული: 3 წელი და 6 წელი.

შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც არასაქვეო საშუალო ასაკში 4-5 წელი, როგორც ძველ საქართველოში ბავშვთათვის სწავლების დაწყების ყველაზე გავრცელებული ასაკი.

II. ის ფაქტი, რომ ილარიონ ქართველი „მეცა სწავლად კაცსა ღირსსა... და ასწავლიდა იგი მას წიგნსა სულიერსა“, სოლო გრიგოლ ხანძთელმა „დაისწავლა დავითი და ემითა სასწავლო სწავლაჲ საეკლესიოჲ“, იმაზე მეტყველებს, რომ ეპოქის შესაბამისი იდეური შინაარსის წიგნები მათთვის იყო სათანადო ცოდნის წყარო, მათი საერთო განათლების საფუძველი. გრიგოლ ხანძთელმა ამის შედეგად „მწიგნობრობაჲცა ისწავლა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა“, ამასთანავე ფილოსოფოსთა სიბრძნეც შეითვისა. ეს კი მთავარია, რადგან გრიგოლი ამით კრიტიკული აზროვნების უნარის მაღალ დონეს აშკარავებს: „რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ზოლო ჭერკუალი განაგდის“.

მაშასადამე. პეტრე მაიუშელის, ილარიონ ქართველისა და გრიგოლ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 100 დამოწმებულია: 1. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 1, 1941 წ., გვ. 134—138. 2. მისივე, ძველი ლიტერატურის ძეგლთა გამოცემებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „ზომბე“. 1942 წ., ტ. 111, № 7. გვ. 739—740. 3. ივ. ჭავჭავაძე. ქართული საისტორიო მწერლობა, 1945 წ., გვ. 112—123. 4. ა. შანიძე. ხანძთელის ცხოვრების ერთი ადვოლის კავშირადგის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზომბე. 1944 წ. ტ. V. № 9. გვ. 939—944. 5. თ. ლომოური. სუბატ დავითისძისა და გიორგი მერჩულის ცნობები IX—X სს ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. „არლი“. გვ. 47—56. 6. პ. ინვორიუვა. ქართული მწერლობის ისტორიის შოკლე მიმოხილვა, „მნათობი“. 1939 წ., № 9, გვ. 129—132. 7. Н. Марр. Георгий Мерчули, Жизнь Григория Хашатийского (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии), кн. VII. СПб. 1911, г.. 8. К. Дондуа. Творение Мерчула в латинском переводе белыйнского ориенталиста, «Тексты и разыскания по кавказской филологии», ч. I, СПб, 1924, 9. М. Сафинин. Полное жизнеописание святых грузинской церкви, ч. III, 1873 г., ст. 85—87.

ხანძთელის ბავშვობის წლებში ძველ საქართველოში უკვე არსებობდა ბავშვთათვის სასწავლო წიგნები.

III. ბავშვთათვის საკითხავი წიგნები, ასაკის ამპლიტუდა ისევე ზემოაღნიშნული ლიტერატურული წყაროების მიხედვით განისაზღვრება.

დავასახელოთ ეს წყაროები: ა) გრ. მერჩულეს ნაწარმოებში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ სიტყვა „ყრმა“ შემდეგი სახით არის ნახმარი: „თავისუფალი იყო სიმღერისაგან ყრმათისა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა“. ამ წინადადებაში გარკვევითაა მოცემული ორი თავისებურება განსხვავებული შინაარსობრივი გაგების თვალსაზრისით: 1. „სიმღერა ყრმათისა, ყრმობის“ და 2. „აღრევა კაცთა“. უდავოა, აქ ორი ასაკია განსაზღვრული — ერთი ყრმობისა და მეორე კი დაკაცებისა, დავაუქაცებებისა. ამავე ნაწარმოების ტექსტში ასაკის განსაზღვრის სხვა ცნებაცაა მოცემული შემდეგი სიტყვებით: „მარხვითა შინა იზრდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოთგანვე ღვინომ და ჯორცი არა შეჴდა პირსა მისსა“ (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

სიჩჩო ყრმის წინარე ასაკია. ასე აქვს ეს ცნება განმარტებული სულხან-საბა ორბელიანს „ნიწველობის“ განმარტებასთან დაკავშირებით — „ყრმა სიჩჩობა“<sup>1</sup>, ე. ი. ყრმათა სინორჩე, ბავშვობა.

ამგვარად, ბავშვთა ასაკის თავისებურებათა ნიშნით, ასაკთა ზღვარდადებულება ზუსტად არის მოცემული: 1. სიჩჩო და 2. ყრმა. ამის მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, არსებობდა წიგნები: 1. სიჩჩოთათვის და 2. ყრმათათვის.

„წიგნების სიჩჩოთათვის“ თუ რა ასაკის თავისებურებათა ნიშნით ზღვარდადებულ ასაკს უნდა გულისხმობდეს, ეს გარკვევითაა მინიშნებული პეტრე მაიუშელისა და ილარიონ ქართველის მაგალითზე, რაც გულისხმობს ბავშვების, ნორჩების წლოვანებას სამიდან ექვს წლამდე.

იბადება კითხვა, „ყრმა“ რა ასაკს გულისხმობს?

ყრმის ასაკის განსაზღვრისათვის ჩვენ ვიყენებთ ორ წყაროს:

1. „წამება ყრმათა წმიდათაჲ რიცხუთ ცხრათაჲ“ და 2. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას:

ა) მოთხრობაში „წამება ყრმათა წმიდათაჲ რიცხუთ ცხრათაჲ“ აღნიშნულია, რომ ყრმანი მშობლებმა მოიყვანეს ორმოსთან, „იგინი იყვნეს რომელიმე ცხრისა წლისა და რომელიმე შვილისა წლისაჲ (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

ბ) ყრმის განსაზღვრას იძლევა სულხან-საბა ორბელიანი შემდეგი

<sup>1</sup> ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან. თბილისი, 1884, გვ. 229.

სახით: ათ-ხუთ-მეტის წლიდამ, ვიდრე ოცს წლამდე, ვაჟს ყრმა და ქალს ყრმაჲ“ ეწოდება.<sup>1</sup>

იჩვენება, რომ ყრმის წლოვანების ამპლიტუდა შვიდიდან ოც წლამდე ასაკითაა განსაზღვრული. ამგვარად, ორივე წყაროთი ყრმის წლოვანების დასაწყისი ზღვარი შვიდი წელია, ხოლო ბოლო ზღვარი კი ოცი წელი. მაშასადამე, ყრმის წელთა ამპლიტუდა შვიდიდან ოც წლამდე ქანაობს.

ამგვარად, საგარაუდოა ძველ საქართველოში პირველდაწყებითი ელემენტარული სკოლიდან დაწყებული და მისი განვითარების შემდეგ საფეხურზე არსებობდა სასწავლო წიგნები უმცროსი (3-6 წ.) და უფროსი ასაკის (7-10-15-20 წ. წ.) ბავშვთათვის.

• • •

უნდა გავარკვიოთ, რომელ საუკუნეში და დაახლოებით რომელ წლებში ყოფილა ხმარებაში ბავშვთათვის სასწავლო-საკითხავი წიგნები. ამასთან, ეს წიგნები თავისი ხასიათით რომელს განეკუთვნება — საბავშვო ლიტერატურას ფართო გაგებით თუ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას?

რასაკვირველია, აქ წინასწარ მხედველობაში უნდა მივიღოთ ერთი გარემოება: კერძოდ, თუ სასწავლო წიგნების ფაქტიურად არსებობის დროს ვაზუსტებთ; ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ეს წიგნები სწორედ იმ წლებშია შექმნილი. რასაკვირველია, არა. ასეთი სასწავლო წიგნების შექმნა დიდხნით ადრე უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე მათი გამოყენების უტყუარი ფაქტები დგინდება ლიტერატურული წყაროების ანალიზით; და რწმუნებული ვართ, დროთა ვითარებაში, მომავალი მეცნიერული ძიებანი გამოავლენენ ახალ მონაცემებს სასწავლო წიგნის შექმნის ისტორიისათვის, ამჟამად მხოლოდ ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით შეიძლება საბავშვო ლიტერატურის დიფერენცირებული სახეების სათავეებიც განვსაზღვროთ.

ამის საფუძვლები შემდეგია:

I. ქართული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სათავეებია განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კონკრეტულ მონაცემებს, რომლებსაც იძლევა „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ“ და გრ. მერჩულეს „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“.

ჩვენ ნათელვყავით საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) და საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის არსის განსაზღვრისას მათი გა-

<sup>1</sup> ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან, თბილისი, 1884, გვ. 143.

ვრცელების საზღვრები მტკიცედ ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით. ამ შემთხვევაშიც ვეყრდნობით რა ზემოაღნიშნულ პრინციპებს, პირველ რიგში, განვსაზღვრავთ ქართული საბავშვო წიგნის არსებობის ფაქტიურ თარიღებს შემდეგი სახით:

ა) ცნობილია, რომ ილარიონ ქართველი დაბადებულია 822 წელს;

ბ) „ვითარცა იქმნა ექსუისა წლისა, მიეცა სწავლად“..., მაშასადამე, ილარიონ ქართველს სწავლა დაუწყია 828 წელს. ექვსი წლის ილარიონ ქართველისათვის, 828 წელს მიუტიათ შესასწავლად წიგნი და მას მიუჩენენ მასწავლებელს „კაცსა ღირსსა“.

II. გრიგოლ მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ“ დაწერილია 951 წელს, მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ. მაშასადამე, იგი გარდაცვლილა 861 წელს. გარდაცვალებისას რამდენი წლისა იყო, ტექსტში შემდეგი სიტყვებითაა მოცემული: „ხოლო იყო გარდაცვალება ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა“.<sup>1</sup> ირკვევა გრიგოლ ხანძთელის დაბადების თარიღიც: თუ იგი გარდაცვალა 861 წელს 102 წლის ასაკში, მაშინ დაბადებულა 759 წელს.

გრიგოლ ხანძთელი, როგორც ნაწარმოებშია აღნიშნული, იყო შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლმორწმუნე მამა-ღვდათა და განწესებული იყო „თვისსა მას სადგურსა“, რათა თავისუფალი ყოფილიყო „სიმღერისაგან ყრმათაჲსა“. ეს იმას ნიშნავს, რომ მის თანატოლ ყრმათა „სიმღერიდან“, მათთან ურთიერთობიდან იზოლირებული იყო მტკიცედ განსაზღვრული მიზნობრივი აღზრდის თვალსაზრისით.

ექვი არ არის, „სიჩხოთგანვე“ მას უთუოდ დააწყებინებდნენ სწავლას, მაგრამ ტექსტის მიხედვით ზუსტადაა გარკვეული, ყრმათა ასაკში ჩადგომისას ცალკე განაწესეს. ამ შემთხვევაში, დროის დაზუსტების თვალსაზრისით, უნდა გამოვიყენოთ „ყრმობის“ ასაკის დასაწყისი ზღვარი შვიდი წელი. მაშასადამე, გრიგოლ ხანძთელი 7 წლის ყოფილა, როდესაც იგი ცალკე „განწესებული“, „დაყუდებული“ სწავლობდა. ეს კი იყო 766 წელი. ამგვარად, ქართული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სათავე VIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება, რადგან დასტურდება ამ დროს (დაახლოებით 766 წლიდან), ყრმათათვის უკვე იყო სასულიერო ხასიათის სასწავლო წიგნები. საბავშვო ლიტერატურის დიფერენციაციის ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების საბავშვო ლიტერატურის სახესხვაობანი მოიცავენ, როგორც საეკლესიო-სასულიერო, ისე სხვა ხასიათის არამხატვრულსა და მხატვრულ ლიტერატურას ბავშვებისათვის, ყრმათათვის.

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I. თბილისი, 1946 წ., გვ. 154, თავი LXXXIII.

აქვე უფრო ზუსტად, კონკრეტული მონაცემებით შეიძლება განვსაზღვროთ ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავეც. იმ ეროვნული საბავშვო მწერლობისა, რომლის აყვავება და აღორძინება მოხდა XIX საუკუნის II ნახევარში და მისი პროგრესული ტრადიციები დღეს თავისებურად, ახლებურადაა გამოვლენილი თანამედროვე ქართულ საბავშვო მწერლობაში.

რასაკვირველია, ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავე, რეალური მონაცემების მეცნიერული ანალიზის შედეგად, მტკიცედ დადგინდება ქართული ლიტერატურის ისტორიაში უკვე მოპოვებული ცნობების სათანადო გამოყენებით. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შესაბამის მხატვრულ ნაწარმოებში ქართული საბავშვო მწერლობის ეროვნული სპეციფიკის გამოვლენა, ნაწარმოების მხატვრულ თავისებურებათა ჩვენებასთან ერთად, დღემდე კონკრეტულად არავის უცდია. ეს კი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია ეროვნული საბავშვო მწერლობის დასაწყისის დადგენისათვის.

ჩვენ სწორედ ამ გარემოებას, ე. ი. კონკრეტული ნაწარმოების ეროვნულ სპეციფიკასა და მხატვრულ მხარეს ვიღებთ საფუძვლად სათანადო ობიექტური დასკვნების გამოსატანად.

ჩვენ მიერ განსაზღვრული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის დიფერენცირებული სახეების საფუძველზე წარმოჩენილია: 1. ნაწარმოებში ბავშვთა სახეები; 2. ეროვნული სპეციფიკა; 3. ბავშვთათვის მისაწვდომი მხატვრულ სახეთა სისტემა; ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის შორეული სათავეებიდან ჭერჭერობით ერთ-ერთი კონკრეტული „უძველესი ნაწარმოები, რომელიც ჩვენ გვაქვს ათონის მეთაე საუკუნის მრავალთავში (57) და რომელსაც ორიგინალურ ძეგლად თვლიან ზოგიერთები, არის „წამება ყრმათა წმიდათა, რიცხვთ ცხრათა, რომელნი იყვნეს თავის თავისაგან დედისა თვისისა“; (აღნიშნული დამოწმებულია შემდეგი წყაროების დასაზღვევით: Н. Марр, Тексты и разыскания, V, 63-61; დ. კარიჭაშვილი, ხუცური ანბანი, გვ. 11-17; ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX-Xს. გვ. 184-186; ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, 1, 72-73)<sup>1</sup>, რომელიც ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის დასაწყისისათვის კონკრეტულ ნიმუშადაც უნდა ჩაითვალოს. ამ ნაწარმოების ორიგინალობაში არ შეიძლება დაეჭვება თვით ნაწარმოების ტექსტში გარკვევით მოცემული ეროვნული თავისებურებათა გამო.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, ტ. 1, გვ. 516.

ნაწარმოებში მოცემული ეროვნული სპეციფიკურობის აღმნიშვნელია შემდეგი ნიშნები:

1. გეოგრაფიული არე.

მოქმედების ადგილი ზუსტადაა განსაზღვრული საქართველოს სამხრეთ ნაწილის ტაოს მიდამოების სახით. მოქმედება ხდება ამ მხარის ერთ-ერთ სოფელში, რომელიც იყო „თავსა ზედა დიდისა მის მდინარისა, რომელსა ჰქვან მტკუარი“. აქვე კიდევ უფრო ზუსტადაა მინიშნებული სევი, „რომელსა ჰქვან კოლა“.

ეს გეოგრაფიული არე საქართველოს ტერიტორიას განეკუთვნებოდა: „საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის საზოგადო სახელად ზემო ქართლი ეწოდებოდა, საკუთრივ კი და უფრო ხშირად მესხეთს ეძახდნენ.“

მესხეთი ბევრს სხვადასხვა სახელის მატარებელს თემს შეიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთიდან რომ მოვაყოლოთ შემდეგი ადგილები იყო: ჭავჭავთაბოცი, არტაქან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთუმისპირი.<sup>1</sup>

2. ზნე-ჩვეულებანი.

ა) „უამსა მწუხრისასა ჰრეკის ხუცესმან და წარვიდიან ყრმანი ქრისტიანებთან, ეკლესიად ლოცვად, ვითარცა არს წესი ქრისტიანეთა“;

ბ) ტაოში წარმართთა და ქრისტიანთა ურთიერთობის კონკრეტული სურათები; წარმართ ყრმათა მონათლის გამო „არა მცირედი ჰირი მიიწიეს“ ხუცესს, იავარ ყვეს ყოველი ნაყოფი მისი“, „განიყვეს მონაგები მისი“ და ბოლოს განდევნეს სამკვიდრებლიდან; ის, რაც ნაწარმოებში საგულისხმოა „ხაზგასმულია ერთი მხარე სოციალ-იურიდიული ცხოვრებისა“ (კ. კეკელიძე);

გ) „ღვთისმსახურების აღსანიშნავად ნახმარია ტერმინი ყამობა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ევსტათი მცხეთელის მარტილობაშიაც“.<sup>2</sup> ეს ტერმინი ნაწარმოებში შემდეგი სახით არის ნახმარი „ნათელი სცა სუცესმან... და იტყოდა ყამობასა ამას...“;

3. იდეური ტენდენცია.

ა) მოქმედების ნაწყისი: ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვების გულწრფელი გატაცება ერთად შეკრებისადმი — ისინი იხიბლებოდნენ ერთად ყოფნის დროს სიმღერითა და ამავე დროს, ქართულ ქრისტიანთა ღვთისმსახურებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა მხოლოდ ქართულ ეკლესიაში;

<sup>1</sup> ივ. ჭავჭავიძე, საქართველოს საზღვრები, თბილისი, 1919, გვ. 35.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 517.



ბ) მისწრაფება ქრისტიანობისკენ: „უყუარდა მათ რჩეული ქრისტიანობისა“;

გ) ყრმათა სულიერი სიმტკიცე: ქრისტიანთა მოთხოვნის შესრულების სიხარულით აღთქმა. მოთხოვნა კი იყო კონკრეტული „გრძმენინ უფალი ჩუენი იესე ქრისტე“, „ნათელ იღეთ“, „ეზიარენით საიდუმლოთა მისთა და შეგუერთენით ქრისტიანეთა“.

დ) ყრმათა თავდადება ქრისტეს რწმენისათვის და მათი წამება: „როდესაც მშობლებმა“ გამოიტაცეს ყრმანი იგი მძლავრობით“. სახლში მოიყვანეს და „დააღებნეს კორცნი მათნი ფიცხლითა მით ცემითა“... ყრმათა სიტყვები აშკარად ღაღადებენ მათს მტკიცე გადაწყვეტილებაზე „ჩუენ ქრისტიანენი ვართ და არა ჯერ არს ვითარმცა ვჰამეთ და ესუთ ნაგები კერპთაჲ“. და დაყვეს ყრმათა მათ შვიდი დღე უჭმელად და უსუმელად და არაჲსა გემოჲ იხილეს“; ყრმანი, რომელნიც ორმოში „შთაყარნეს, შემაძრწუნებელი ვითარების წინ აჰზოდნენ: „ჩვენ ქრისტიანენი ვართ და მისთუცა მოვწყდებით, და მოვეუკვდებით, რომლისა მიმართ ნათელ ვიღეთ“. ამის გამო „განუხეთქნეს თავნი მათნი და განტუნნეს იგინი“.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ყრმათა ხასიათისა და სახეთა ჩვენებისათვის გამოყენებული ზედსართავი სახელისაგან წარმოებული ეპითეტი („შესვლა მძლავრობით“, „მიწათ აღმოთხრილი“), პეიზაჟური მარტივი ეპითეტი („ღამე ნეფხვისა“), შედარება („მოსცა წყალმან მან ფრიადი სიტფო ვითარცა აბანომან“). მკითხველში სათანადო ემოციის გასაძლიერებლად და მასთან თვით ავტორის დამოკიდებულება ყრმათა წამებისადმი, ამით გამოწვეული მისი ფსიქოლოგიური განწყობა („მაშინ უღმრთოთა მათ მშობელთა მათთა განუხეთქნეს თავნი მათნი და განტუნნეს იგინი. გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა და მკეცთა იციან წყალობაჲ, სვილთაჲ, ხოლო ამათ უშჯულოთა არა ყვნს წყალობაჲ, შვილთა მათთს“).

ენა თხზულებისა სადა, ბავშვთათვის გასაგები და მისაწვდომია. ამბავი ვითარდება დინამიკურად, საინტერესოდ, დაძაბულად, წინასწარ დასახული იდეური ტენდენციით. ბავშვთა ხასიათები ეროვნულ გარემოში, ეროვნული ინტერესების შესაბამისი რწმენისათვის ბრძოლა ნაჩვენებია მოქმედებაში.

ასეთია ის ძირითადი ნიშნები აღნიშნული ნაწარმოების ეროვნული სპეციფიკისა და მხატვრული მხარის შესახებ, რაც საფუძველს გვაძლევს ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ისტორიისათვის ცნობილი ნაწარმოები „წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ, რიცხვთ ცხრათაჲ“... ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავე და ც მივიჩნით.

ამგვარად, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის შორეული სათავე IX საუკუნიდან იწყება.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მეორე ფრიად მნიშვნელოვანი მივლენა, რომელიც ეხება ქართულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში შენაკადურ თარგმნითი ლიტერატურის საწყისის დადგენას. ცნობილია, რომ ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობა თემატიკურად და ჟანრობრივად მდიდრდებოდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნითი ნაწარმოებებით.

თარგმნითი მხატვრული თუ არამხატვრული ლიტერატურის მიზნობრივი თავისებურება გაპირობებული იყო ეროვნული ინტერესებით; თუ ქართული ეროვნული ორიგინალური სიტყვაკაზმული მწერლობის ძირითადი ნიშნებია: 1. ორიგინალური საბავშვო ნაწარმოებების შექმნა; 2. ქართველი გლეხის, ოჯახის ყოფაცხოვრების, სოციალური ვითარების რეალური სურათების სათანადო გეოგრაფიულ შემოსაზღვრულობაში ჩვენება; 3. ეროვნული დღესასწაულების სანახაობითი აღწერა; 4. ქართული პეიზაჟების დახატვა; 5. ლექსიკური შედგენილობა, თარგმნითი საბავშვო ნაწარმოებები უნდა პასუხობდეს ხალხის ეროვნულ სულისკვეთებას, ხელს უწყობდეს ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებების განხორციელებას და, აქედან გამომდინარე, იდეური ბრძოლის გაძლიერებას. ეს თარგმნითი ხელოვნების პირველი და უმთავრესი ნიშანია.

ამგვარად, საქართველოში თარგმნითი სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავეების განსაზღვრას ვუქვემდებარებთ შემდეგ პრინციპებს:

1. თარგმნით ნაწარმოებში მთავარი მოქმედი პირები ბავშვებია;
2. იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით უპასუხებენ ქართველთა ეროვნულ ინტერესებს;
3. მხატვრული სახეები, ენა, სტილი ბავშვთათვის მისაწვდომია. აკად. კ. კეკელიძე დაწვრილებით გადმოსცემს კოლაელ ყრმათა ტრაგიკულ ამბავს და აღნიშნავს, რომ „ამ ძეგლს ძალიან ენათესავება, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით, „მარტვილობა დავით და ტირიჭანისა“, რომელიც იმავე ხელნაწერშია (ათონის № 57) მოთავსებული“. იმავე დროს საგულისხმო კომენტარს უკეთებს ამ თხზულების შესახებ აკად. ი. ჯავახიშვილს მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და საჭიროდ თვლის, აღნიშნოს, „რომ კოლაელ ყრმათა მარტვილობას სიუჟეტურად უახლოვდება დასაწყისი ნაწილი ერთი უძველესი ჰაგი-

ოგრაფიული ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება „მარტვილობა აბდალმესისაი“ (იერუსალიმის ქართული ხელნაწერი № 20, ფ. 260, 282), აბდალ მესია წარმოშობით იყო ებრაელი, ეწოდებოდა მას ასერ და ცხოვრობდა მშობლებითურთ ქ. ბიგარისში. ეს იყო უმცროსი შვილი (12 წლისა), რომელიც გახდა „მონათ ქრისტესი“, რის გამო მამამ იგი „უწყალოდ დაკლა“...<sup>1</sup>

ამ ძეგლის ქართულ თარგმანს ქართული საბავშვო მწერლობის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ მას უკავშირდება ქართული თარგმნითი საბავშვო მწერლობის სათავეები, რომელიც ვარაუდით IX საუკუნეში დევს, ამასთან არაქრისტიანის ქრისტეს რწმენისათვის თავდადების გამომხატველი ნაწარმოების თარგმნა ქართულ ენაზე უთუოდ ნაკარნახევი იყო ეროვნული იტერესებით.

\* \*

აქვე არ შეიძლება მოკლედ არ შევეხოთ იმ მცდარ შეხედულებას, რომლის მიხედვით ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ფორმირება-ჩამოყალიბება თითქოს XIX საუკუნეში ხდებოდა.

ეს შეხედულება დღემდე „მტკიცედაა დამკვიდრებულ“ არა მარტო ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე დაწერილ წერილებსა და წიგნებში (თ. ჯიბლაძე და სხვ.), არამედ საქართველოს სსრ უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის შედგენილ ქართული საბავშვო ლიტერატურის პროგრამაშიც.<sup>2</sup>

ამ შეხედულების მიხედვით ისე გამოდის, რომ ქართულ ეროვნული საბავშვო ლიტერატურა XIX საუკუნემდე თითქოს არა გვექონია, მისი ფორმირება-ჩამოყალიბება მხოლოდ XIX საუკუნის საზღვრებშია მოქცეული, რაც ფაქტობრივი ვითარების საწინააღმდეგო მოსაზრებაა და სათანადო საფუძველი არ გააჩნია.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურა (ფართო გაგებით), დღემდე უკვე ცნობილი ნაწარმოებების სათანადო ანალიზის მიხედვით, სათავეს იღებს VIII საუკუნის II ნახევრიდან, უფრო ზუსტად VIII საუკუნის სამოციანი წლებიდან.

<sup>1</sup> ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 519.

<sup>2</sup> აღნიშნული პროგრამა შეადგინა თ. ჯიბლაძემ და ცალკე წიგნად გამოსცა 1959 წ. ეს საკითხი პროგრამის მე-10 გვერდზე ცალკე თავადაა გამოყოფილი შემდეგ ფორმულირებით: „ქართული საბავშვო ლიტერატურის ფორმირება-ჩამოყალიბების საკითხების განხილვა XIX საუკ. პირველ ნახევარში, მეფის მთავრობის რუსილიკატორული პოლიტიკის შედეგების შესწავლა, ენციკლოპედიების, სასწავლო წიგნების გამოცემა და ა. შ.“

უნდა შევნიშნოთ, რომ საბავშვო ლიტერატურა, ფართო გაგებით, გულისხმობს ყრმათათვის გათვალისწინებულ საკითხავ წიგნებს, ლოცვებს და ა. შ., რასაკვირველია, ყოველივე ეს, საამისოდ შერჩეული ტექსტების მიხედვით, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო გამოყენებული ყრმათა აღზრდისათვის გარკვეული მიზანდასახულობის ფარგლებში, საქართველოში უძველესი დროიდანვე მწერლობის, სწავლა-აღზრდის კერების შექმნასთან დაკავშირებით. მართალია, ასეთი ვარაუდი ჭერ-ჭერობით მხოლოდ თეორიულ მოსაზრებას ემყარება, მაგრამ ამ ვარაუდის უგულებელყოფა ნამდვილად არ შეიძლება.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის უცილობელი ფაქტიც, რომ ქართული ეროვნული და მასთან შენაკადური თარგმნითი სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიის დასაწყისად, როგორც ეს ზემოთ ცხადფაქტით, დღესდღეობით, დღემდე არსებული ლიტერატურული ძეგლების მიხედვით, უდავოდ უნდა მივიჩნიოთ IX საუკუნე, ხოლო ყრმათათვის სასწავლო-სამეცადინო წიგნების გამოყენების (ჩვენ ვამბობთ გამოყენების) დასაწყისად კი VIII საუკუნის მეორე ნახევარი.

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჭერჭერობით ეს თარიღები როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის, ისე სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ჩამოყალიბების პროცესების დაწყების მხოლოდ პირველ უტყუარ ზღვარს წარმოადგენს. თუ დაეუჭერებთ იმათ, რომლებიც „ამტიციებენ“, ქართული საბავშვო ლიტერატურის ფორმირება-ჩამოყალიბება (ეს ტერმინი მათ ეკუთვნით) მოხდა მხოლოდ XIX საუკუნეში, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელოვნურად შევამციროთ ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა და განვითარების ხანგრძლივი პროცესი. ისტორიულ ჭეშმარიტებას ვღალატობთ მაშინ, როდესაც უგულვებელყოფთ XIX საუკუნემდე ქართული მწერლობის მიერ განვლილ მრავალფეროვან, მრავალქანოვან და იდეურ-მხატვრული თავისებურებით მდიდარ, მეტად რთულ ლიტერატურულ პროცესებს, რომელიც თავისთავში ყოველთვის შეიცავდა და ხელს უწყობდა ეროვნული სატყვაკაზმული მწერლობის განვითარების ტენდენციებს.

ეს ტენდენციები, მართალია, ყრმათათვის შერჩეული სასწავლო-საკითხავი ტექსტების საეკლესიო და ზნეთსწავლების მიზანდასახულობას არ სცილდებოდა და შემდეგში პატარა მოთხრობების, ესკიზებისა და ლირიკული ქანრის ხაზით ვითარდებოდა, ხოლო ეპოპეა, როგორც ქანრი, არ ჩანდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არაა მთავარი იმ შეხედულების მართებულობისათვის, რომ XIX საუკუნის ქართული საბავშვო ლიტერატურა თავისი ხასიათით არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იზოლირებულად იმ პროცესებიდან, რომელიც მანამდე მიმდინარეობდა. მართალია, „ჭერ კიდევ არა ვვაქვს საფუძვლიანი გამოკვლევა XVII საუკ. მეორე ნახევრიდან. არც XIX საუკ. ქართული საბავშვო ლიტე-

რატურის ისტორიისა“<sup>1</sup> მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მხედველობაში არ მივიღოთ ორი გარემოება, რომელიც ბუნებრივად შეერთვის ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიას. პირველ რიგში ეს შეეხება ქართული მწერლობის შესანიშნავ ნაწარმოებებს, საიდანაც შერჩეული ადგილები არ შეიძლება არ ყოფილიყო გამოყენებული ბავშვთათვის შესასწავლად თუ საკითხავად და, მეორე მხრივ, ყველა იმ ნაწარმოებს, რომელიც მეტნაკლებად ექცეოდა უშუალოდ საბავშვო ლიტერატურისათვის დამახასიათებელ სფეროში — არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, თეიმურაზ II „ხილთა ქება“, დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, რომლის ქართულ ეროვნულ სპეციფიკაზე კარგად მიგვანიშნებს სიტყვები „ვით ახალ ნორჩი ვაზისა“, „ვრცელი დიდაქტიკური თხზულება „სიბრძნე მალაღობელი“ ვახტანგს ყრმათათვის განუკუთვნებია“<sup>2</sup> დ. ბაგრატიონის „ნანა“, პ. ლარაძის „ნანიანა“ და სხვ.

ამრიგად, ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) შექმნის პროცესი, რომელიც საქართველოში სწავლა-აღზრდის კერების გახსნის დროიდან იწყება და მასზე ამჟამად კონკრეტულად შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ VIII საუკუნის II ნახევრის ლიტერატურული წყაროების მიხედვით, შემდეგში განვითარების ნელი პროცესებით, მეტნაკლები ინტენსივობით, XIX საუკუნემდე გრძელდებოდა და ვითარდებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარი აღსანიშნავია იმით, რომ სწორედ, ამ დროს, საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ვითარების საფუძველზე ეროვნულმა საბავშვო ლიტერატურამ (ფართო გაგებით) აყვავებას, აღმავლობას მიიღწია. ქართული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ისტორიაში XIX საუკუნის II ნახევარს უნდა ეწოდოს არა ფორმირება-ჩამოყალიბების პერიოდი, არამედ „მორეულ წარსულში დაწყებული ამ პროცესის შემდგომი განვითარების ასალი ეტაპი, კერძოდ, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავების, აღმავლობის, მისი მხატვრული სრულყოფის კლასიკური პერიოდი“.

<sup>1</sup> ა. დვინიაშვილი, ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა, თბილისი, 1966, გვ. 8.

<sup>2</sup> ვახტანგ VI. ლექსები და პოემები აღ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1947. გვ. 17.

**XIX საუკუნის II ნახევრის ქართული კლასიკური  
ისტორიკო-ფილოსოფიური საბავშვო მწერლობის განვითარების  
ისტორიული წინამძღვრები**

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული საბავშვო მწერლობის, როგორც ეროვნული მწერლობის ორგანული ნაწილის აყვავებაში, მისი თეორიული საფუძვლების, ესთეტიკური კრიტიკის გარკვეულ სისტემაში ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო პროფესიული საბავშვო მწერლები, არამედ XIX საუკუნის ქართული მწერლობის საყოველთაოდ აღიარებული უდიდესი წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები.

ძალთა ასეთი კონსოლიდაციის შედეგად გახდა შესამჩნევადი ქართული ლიტერატურის შენაკადური საბავშვო მწერლობის, საბავშვო ლიტერატურის ზრდა სხვა მიმართულებითაც: ინტენსიურად იზარგმნებოდა რუსული და ევროპული საბავშვო მწერლობის, საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იგავ-არაკთა ჟანრის განვითარებას, ხალხური ზეპირსიტყვიერების — ზღაპრების, ლეგენდების, ანდაზების, გამოცანების შეკრებასა და მათს მიზნობრივად გამოყენებას.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მტკიცედ იყო დაქვემდებარებული ეროვნულ ინტერესებთან, რაც კონკრეტულად უკავშირდებოდა როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნით ნაწარმოებებში მხატვრული სახეებით გადმოცემულ იდეებს, რომლის საფუძველს წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეკონომიკური და პოლიტიკური, კულტურული ვითარება.

ამავე პერიოდში საბავშვო ჟურნალი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის მებრძოლ შემოქმედთა გაერთიანებისათვის; ჟურნალ-საზეთებში, როგორც ს. მესხი კარგად აღნიშნავდა, კარგად თუ ცუდად, უთუოდ ისახება თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება, ლტოლვილება, გონებითი და ზნეობითი მდგომარეობა<sup>1</sup>. საბავშვო პერიოდული გამოცემები თავის გარშემო თავს უყრიდა მხატვრული სიტყვის, პედაგოგიური მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეთა გამოჩენილ წარმომადგენლებს ისტორიული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ეს სრულიად კანონზომიერი, ისტორიული ვითარებით შეპირობებული მოვლენა იყო. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. საქარ-

<sup>1</sup> „ღრობა“, 1875, № 50.

თველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ეროვნული ამოცანის განხორციელება ორგანულად დაუკავშირდა იმ კანონზომიერი ვითარების შედეგად შექმნილ მდგომარეობას, როდესაც ილიამ, რომელიც იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უბოძელარესი საზოგადო მოღვაწე,<sup>1</sup> და მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა გაშალა. ეს იყო მაშინ, როდესაც ახალი თაობა გამოჩნდა ახალი იდეებით, ლიტერატურასა და სელექციებს შემდგომი განვითარების ახალი გზები დაუსახა და თავისი „ბედი და უბედობა“ უკეთესი მერმისისათვის ქართველი ხალხის მისწრაფებებს, ოცნებასა და ბრძოლას დაუკავშირა.

ეს ის თაობაა, რომელმაც XIX საუკუნის 60-იანი წლების ქარიშხლიან ვითარებაში ახალი იდეებით, მძაფრი შემართებით შეაღწია ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა სფეროში. გმირული წარსულის ჩაუქრობელი შარავანდედის უქრობ შუტზე ახალ გმირებს მოუხსმო ცხოვრების გარდაქმნისაკენ, აახშიანა მიძინებული ქვეყნის მყუდროება, მიძინებული აზრების გამოცოცხლებისაკენ წარმართა მთელი თავისი ინტელექტუალური და სულიერი ძალები და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი პრობლემებიდან გამომდინარე, თავისი პროგრესული იდეები ორგანულად დაუკავშირა ეპოქის მიერ წამოჭრილ საქართველოს სასიცოცხლო საკითხებს გადაწყვეტას.

ეს ის თაობაა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ახალი ცხოვრების მოახლოების დრო თუმცა დადგა, მაგრამ ჭერჭერობით „არ არის ძლიერი ხელი, რომ დასძრას პირველი ქვა ძველის შენობისა, და გაამაგროს პირველი ქვა ახალის საძირკველშია“.<sup>2</sup>

აი, სწორედ ამ ახალის საძირკველისათვის, ახალი ცხოვრების განვითარებისა და გამარჯვებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში უმთავრესი იყო ახალი ტიპის ადამიანის „შექმნა“, რომელიც შეუპოვრად იბრძოლებდა „უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ“, ახალი „სოციალური სანატრელი ცვლილებებისათვის“.

ისტორიულად ამ დიდი ამოცანების შესრულება მათ ხვდათ წილად. ამის გამო შეუპოვარი ბრძოლის გზებით იყო ანთებული მათი პოეტური სიტყვა; მათ თანამედროვეობის მწვევე საკითხებზე შექმნეს შთამაგონებელი ნაწარმოებები. ამასთან, დაუღიწყარი მხატვრული ტერაზების ოსტატურად გამოყენების შედეგად, გამოიქრწეს ის სახეებიც, რომლებიც გმირული წარსულიდანაც ამოიზარდნენ, როგორც მსწერების, თავდადებისა და შეუპოვრობის შთამაგონებელი ძალები.

<sup>1</sup> გახეთი „Правда“, 1936 წ. 9/IX.

<sup>2</sup> ილია ქავკავაძე, ნაწ. სრ. კრებული, თბილისი, 1953, ტ. IV, გვ. 65.

რასაკვირველია, ეს დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო პოეტური სიტყვით შეტანილი იმ ისტორიულ ბრძოლაში, რომელსაც ეწეოდა ქართველი ხალხი სოციალური უკუღმართობისა და ცარიზმის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ამ დიდი ისტორიული ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრებოდა მაღალ იდეურ-მხატვრულ ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობასაც, საბავშვო ლიტერატურასაც.

მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული საბავშვო მწერლობის დიდი საზოგადოებრივი ფუნქცია, ამიტომ გახდა იგი სწორედ XIX საუკუნის II ნახევრიდან ესოდენ დიდი ზრუნვის საგანი; უკვე ცხადი იყო, რომ ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობას, თავის მხრივ, ისტორიულად დიდი როლი უნდა შეესრულებინა ახალი თაობის აღზრდის საქმეში, რადგან მათ, ახალგაზრდებს „ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი“.<sup>1</sup>

რასაკვირველია, ამ ისტორიული ხასიათის ამოცანის განხორციელებისათვის, პირველ რიგში, მხედველობაში მიღებული უნდა ყოფილიყო (და ეს ასეც იყო სინამდვილეში) ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის იდეურ-ემოციური ზემოქმედების ძალაც; ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვდა მოზარდი თაობის ასაკობრივი თავისებურებების, ესთეტიკური განვითარების შესაბამისად, რეალური და კონკრეტული ცხოვრებისეული სურათები მოცემული ყოფილიყო სხვადასხვა ენარის ნაწარმოებებში შთაბეჭედავი სახეებით, ბავშვთათვის მიმზიდველი მრავალფეროვანი ესთეტიკური ფორმებით, სპეციალური ლიტერატურული სტილით, ამ შემთხვევაში იქნებოდა უზრუნველყოფილი საბავშვო ნაწარმოებების სახე-პერსონაჟების ხასიათების, ქცევებისა და განცდების სწორად ჩვენება, ახსნა, გაგება, შეფასება, რომელიც ნაწარმოების კომპოზიციის, სიუჟეტისა და ენობრივ ქსოვილში ოსტატურად გამოსახული, მხატვრულად განზოგადებული, თავის მხრივ, ახალი თაობის მსოფლმხედველობის ფორმირების მძლავრი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

\*

XIX საუკუნის II ნახევარი საქართველოში ახალი ვითარების, ახალი ძალების, იდეების შეჭახებისა და სოციალური უკუღმართობის, ძალმომრეობის, უსამართლობის, უვიცობისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის რთული პროცესებით ხასიათდება. ამით იგი,

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. ნაწ. სრ. კრებული, თბილისი, 1953. ტ. VI. გვ. 227.



ძირითადად, განსხვავდება საქართველოში ბატონყმობის გადავარდნამდე არსებული ვითარებისაგან, რომელზედაც დიდი ილია მრავალმეტყველად, საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების ღრმა შესწავლით, დაკვირვებული ანალიზითა და შესაბამისი დასკვნებით, გულისტკივილით აღნიშნავდა: „ამ ოცი, ოც-და-ათი წლის წინათ, ბატონყმობის გადავარდნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო...

ღიას, ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, მე-40 და 50 წელთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიმძინარებისა, მოქანცულობისა...

მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვა, ცით და მთვარით დატკობა, მზის ცქერა და ჩვენის ჰიის გასარებაო...

...აბა, ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრს, გონებას, თავგანწირულობას ერისთვის, საქვეყნო საქმისათვის...“<sup>1</sup>

მაგრამ „ცხოვრებამ ჩვენში ცოტათი თუ ბევრად ფერი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნები დაბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდან გამოვიდა და ახალი გზა — კი ჭერ ვერ გაუკვლევია, ახალის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია, ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ველარ მოუხერხებია...

უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არც-კი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი, რომ თვით უმეცარიც ბუნდად მაინც არა ჰგრძნობდეს ამასა...

...ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამ-გვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალი დასის ხალხი გამოდის, ძველ თაობას ახალი ცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი-ახლის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით, მეტის ჭანით და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობას შესამჩნევ მოძრაობას აძლევს. ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლანსა ჰრეცხს“<sup>2</sup> (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.)

„ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა იყო ერთ-ერთი უდიდესი პრობლემათაგანი არა მარტო XIX საუკუნის II ნახევრის ქართული

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. თხზ. ტ. IX, თბილისი, 1953, გვ. 26.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 67—69.

პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაში, საერთოდ, და აგრეთვე საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც, საბავშვო ლიტერატურაშიც ფართო გავებით. ეს უკანასკნელი ადამიანის აღზრდის, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, მისი იდეალების განსაზღვრაში და მისთვის თავდადებულ ბრძოლაში შთამაგონებელი და ფრთების შემხსნელი უნდა ყოფილიყო.

მწერლობისათვის საზრუნავი გახდა „ის, ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მყარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშა ხალხი, რომელიც თავის მარჯვენით თავსაც ინახავს და ქვეყანასაც საყვებავს აძლევს. ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები... აი, სწორედ ეს ფესვები ჩვენი მდაბიო ხალხი, ჩვენი გლეხობა... ამ მდაბიო ხალხისათვის, მუშაგლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა იმათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი, გეგმა ჩვენის მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთ“.<sup>1</sup>

ბუნებრივია, ქართული მხატვრული სიტყვის დიდი ემოციური ზეგავლენის ობიექტი უნდა ყოფილიყვნენ მუშა-გლეხობის შვილები, რომლებიც მუხის „უფრო ღონიერი და ჯანსაღი ყლორტები არიან“. ისინი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა გამხდარიყვნენ, რადგან სწორედ საზოგადოების ეს სიცოცხლისუნარიანი ნაწილი, — მდაბიო ხალხი, გლეხობა — საქართველოს ფესვები „ამზადდებდნენ იმ საკვებ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა მუხის მთელ ტანს“, ე. ი. საქართველოს.

ამ დიდ როლს ეპოქა, რასაკვირველია, აკისრებდა. იმას, რომელსაც „ახლის ცხოვრების მოთხოვნილება ესმის და გზის ჩვენებაც შეუძლიან“; ამან განსაზღვრა ის ტენდენციები თავისი შინაარსით, ფორმითა და ფუნქციით, რომელიც ნიშნულია მოცემულ ეპოქაში შექმნილი საბავშვო ნაწარმოებების იდეურ-თემატიკური მრავალფეროვნებისათვის.

საბავშვო მწერლობას მთელი სიცხადით უნდა ეგრძნობინებინა მხატვრული სიტყვის ემოციური ზეგავლენის ძალა და სილამაზე, რომელშიც უნდა ყოფილიყო გამოხატული კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის არსებითი მხარე, რაც საბავშვო მწერლის მიერ ნაწარმოებში იდეურად სწორად იქნებოდა გააზრებული.

<sup>1</sup> ი. შ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი. მოგონებანი, თბილისი, 1936, გვ. 80—81.

მწერლის მთავარი ამოცანა ხომ იმაში მდგომარეობს „რომ გამოხატოს იდეა განსაზღვრული სიზუსტით, ისე რომ მთელს ქვეყანას შეეძლოს მისი დანახვა და გრძნობა“.<sup>1</sup> მხოლოდ ეს შესძენდა საბავშვო მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებს დიდ შემეცნებით ძალას, ისეთ დიდ ძალას, რომელზედაც მ. გორკი აღნიშნავდა თავის პასუხში კითხვაზე — თუ რით არის ლიტერატურა ძლიერი. ამ შემთხვევაში მ. გორკის პასუხი იყო ცხადი, კონკრეტული, დამაჯერებელი:

«Насыщая идеи плотью и кровью, она дает им большую наглядность, большую убедительность, чем философия или наука, будучи более читаемой и вследствие живости своей убедительности, чем философия, литература этим самым является и наиболее распространенным, удобным, простым победоносным способом пропаганды классовых тенденций»<sup>2</sup>.

ამ პოზიციებიდან უნდა შევისწავლოთ ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობისათვის დამახასიათებელი ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ხდიდა მას პროგრესულს, მებრძოლს ახალი საზოგადოებრივი იდეების განხორციელებისათვის, „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდისათვის.

„ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა ნიშნავდა ქვეყნის ხვალისდელ დღეზე ზრუნვას, რადგან „ქვეყნის მყობადი მდგომარეობა დამოკიდებულია იმ მიმართულებაზედ, რომელსაც მისცემენ ახალ თაობას“.<sup>3</sup>

ამ უაღრესად დიდი ისტორიული მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში მწერლობას, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისი მხრებით უნდა ამოეზიდა თავისი დროების ნაყოფი. რაც თვითონ ცხოვრებაში იყო, მთელი აწმყო თავისი დროებისა და თესლიც მომავლისა.

ეს მოთხოვნა ეპოქისეული იყო: „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ქცება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიშაროს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისათვე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ ისევ უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა. ცხოვრებასაც აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვრებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთიერთმანეთს შეჰხარაინ; უფრო მაცხოვრებელია პირველი ქროლა ახალი ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისევ უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა

<sup>1</sup> О. Бальзак. Избранные произведения, М., 1929.

<sup>2</sup> М. Горький. История русской литературы, М., 1939, гл. I.

<sup>3</sup> საქ. მოამბე, 1863 წ. № 3, გვ. 39.

შეპხარის ახალგაღვიძებულს ბავშვსა. გულიც სხვარიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჰქნება, თუ ცხოვრობს. მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინააღმდეგელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდ ფეხი დააჰკირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედა უფრო დამშვენიებული და ძლიერი<sup>1</sup>. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.);

ყველაფერი ეს მოითხოვდა ქართველი ხალხის ყველა ინტელექტუალური ძალის მობილიზებას; მათ წინაშე დასმული იყო ამოცანა — ყველაფერი გაეკეთებინათ ცხოვრების განახლებისათვის, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლისათვის, ახალი აზრის საფუძველზე „ახალი ყვავილების“ გახარებით, რადგან „უკეთესობის ნდობა და განახლების ცხოველი იმედი“, რომელიც ცხოვრებაშია ჩაფლული, საჭიროებდა ამოძრავებას, ამოქმედებას: „თუ ცხოვრება... ჭანმრთელია, თუ მასში არის უკეთესობის ნდობა და განახლების ცხოველი იმედი, ეგ თვით დავრდომილის აღმადგინებელი იმედი მისნი ძალანი, მისნი ძარღენი მარად დაუძინარნი არიან, ივინი დაუღალავად დაუყოვნებლივ მოქმედებენ, მოძრაობენ, წარმოებენ, როგორც ყოველი ფერი, რასაც კი სიცოცხლე აქვს მინიჭებული. თუ გარედამ აბრკოლებენ, უშლიან იმათ მოძრაობასა, მაშინ ისინი მაინც კიდევ თავისას არ მოიშლიან, მიწაში დაიფლებიან და იმ მიწის სიბნელეშიაც მოქმედებენ იმ დრომდე, ვიდრე დარი არ დაუდგებათ, რომ გარეთ მზის სინათლეზედ გამოვიდნენ და უფრო ფართოდ გაშალონ მოძრაობის ფრთები. ყოველს მათს მოძრაობას, ყოველს მათს მოქმედებას თავისი ნაყოფი ამოჰყავს ცხოვრების ხეზედა და ყოველის ამ ნაყოფს აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ, რომ

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. თხზ. ტ. IV, თბილისი, 1953, გვ. 65—84.

იმათი ძირი ცხოვრებაშია გამოკვანძული, ცხოვრება კი ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ.<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

ცხოვრების განახლების, გარდაქმნის ცხოველი იმედის ძალა დიდი მწერლის მიერ მის შეუპოვრობაში, მის დღენიდაგ დაუღალავ საქმიანობაში, მოძრაობასა და მოქმედებაში ვლინდება; იგი მიჩნეულია იმ უმთავრეს პირობად, რომ როგორი დაბრკოლებაც არ უნდა გადაეღობოს წინ, — ეს იქნება გარედან წარმოქმნილი დაბრკოლება, რომელიც მის წინ სრბოლვას შეეცდება ხელი შეუშალოს, დააყოვნოს, გადაულახავი ზღუდე შეუქმნას თუ სხვა მსგავსი რომ აღმოჩნდეს; ის მაინც არ მოისპობა, რადგან ახალი აზრი, უკეთესობის ნდომა, ძირლონიერი ახალი ყვაილებების გაფურჩქვნა თავისი სასიცოცხლო ფესვებით თვით ცხოვრებაში გამოკვანძული, თვით ცხოვრების კანონზომიერი განვითარების მიხედვითაა ნაკარანხვევი, წარმოქმნილი და აუცილებელი. ეს აუცილებლობა იმედის შუქით უნათებს მოწინავე აღამიანებს პერსპექტივებს.

ამ შემთხვევაში „უკეთესობის ნდობისა და განახლების ცხოველი იმედის“ აღორძინება, „ახლის ვითარების ახსნა და ცნობაში მოყვანა“, რასაკვირველია, ეკისრებოდა მეცნიერებასა და ხელოვნებასაც, რომელსაც კარგად გრძნობდა „ხალხის დაწინაურებული თაობა“.

ეს თაობა კარგად გრძნობდა „დრო იცვლება, ჰგრძნობს, რომ ეცასული ახლის გაზაფხულისა, განახლებისა, ჰგრძნობს, რომ ძველი ცხოვრება აივსო, დამწიფდა, რაც დათესილი იყო, იმისი ნაყოფი მოიტანა და ეხლა ამ ნაყოფიდან გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძად, რათა მა დ ლ ო ბ ი თ გ ა ი ს ტ უ მ რ ო ს ძ ვ ე ლ ი და ს ი ხ ა რ უ ლ ი თ მი ე გ ე ბ ო ს და გ ზ ა გ ა უ ხ ს ნ ა ს ა ხ ა ლ ს ა“<sup>2</sup>. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

„ძველის“ გასტუმრება და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მტკიცე თანმიმდევრობა, რომელიც, ახალს გზას უხსნის, უკეთესსა და მშვენიერს სიხარულით უნდა ეგებებოდეს, ხელს უნდა უწყობდეს მის ზრდა-განვითარებას, მის განმტკიცებასა და მოლონიერებას ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალზეზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან, რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჰეშმარტებად, რისთვისაც უცია პატივი როგორც მიუცილებელ საქი-

<sup>1</sup> ი ლ ი ა ჰ ა ვ ე ა ვ ა ძ ე, თხზ. ტ. IV, თბილისი, 1953, გვ. 65—84.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 84.

როებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია“.<sup>1</sup>

ასეთ რთულ ისტორიულ პირობებში ზრუნვა მოზარდი თაობის აღზრდისათვის, მათი სულიერი საზრდოს შექმნისათვის, ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის, ახალი აზრის, ახალი იდეების გაგება-შეთვისება და შეუპოვარი ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის II ნახევარში სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენილ მოღვაწეთა ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული; „მესამოციანელთა მთელი მოწინავე თაობა იმ ამოცანებს ისახავდნენ ქვეყნის გარდაქმნისა და ხალხის წინსვლის საქმეში, რასაც დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები: ა. გერცენი და ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლუბოვი. ამ თაობის სახელით იაკობ გოგებაშვილი სავსებით სწორად მიუთითებდა, რომ „ჩვენს პატრიოტებს სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან. ისინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესი მოდასავლეთენი (ზაპადნიკები): ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანებისა — „ვინ სტყუის“ და „რა ვქნათ“, შჩედრინი და სხვანი“...<sup>2</sup>

„ახალი საქართველოს“ შექმნა, რომელიც გახდა ყველა პატრიოტისათვის სასიცოცხლო საქმედ, მეფინ რუსეთის კოლონიალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების შემდეგ შეიძლებოდა აყვავების გზაზე დამდგარიყო. ამისათვის იაკობ გოგებაშვილი გარკვევით ავითარებდა აზრს, რომ „ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედებისა და ნატურის, მიქცეულ უნდა იქნას არა უკან, აზიისაკენ, არამედ წინ ევროპისაკენ. დასავლეთიდან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი“.<sup>3</sup>

„საკუთარი ადგილ-ყურეს“ მკვიდრ ნიდაგზე ევროპული განათლების საუკეთესო მხარეების აღმოცენება, მაშინ ისევე სასარგებლოდ მიაჩნდა იაკობს, როგორც რუსეთის პროგრესულ ძალთა გამოჩენილ წარმომადგენლებს. „თვითმპყრობელობის ნანგრევებზე აღმოცენებული „თავისუფალი რუსეთი“ და „ახალი საქართველო“ იყო სამოციანელთა გამაერთიანებელი ლოზუნგი, დამაკავშირებელი იდეა“.<sup>4</sup>

იაკობ გოგებაშვილი აუცილებლად თვლიდა „რუსეთის დაწინაურებული დასის დახმარებას“ არსებული მძიმე მდგომარეობიდან თავის

<sup>1</sup> ი. ი. ლ. ა. ქ. ა. ვ. ა. ა. დ. ე. თხზ., ტ. IV, თბილისი, 1953, გვ. 84.

<sup>2</sup> უ. ო. ბ. ო. ლ. ა. დ. ე. აკაკი და ახალგაზრდობა, თბილისი, 1955, გვ. 14.

<sup>3</sup> ი. გ. ო. გ. ე. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ა. ნაწ. II, თბილისი, 1948, გვ. 14.

<sup>4</sup> გ. თ. ა. ე. ბ. ი. ლ. ი. ა. იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952 წ. გვ. 33.

დასაღწევად, სოციალური და ეროვნული თავისუფლების ბრძოლაში გამარჯვების ერთ-ერთ პირობად.

„ჩვენი სამოციანელების — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ი. გოგებაშვილისა და სხვების თვალსაზრისი, კონცეფცია სოციალური და ეროვნული თავისუფლების შესახებ, რასაკვირველია, შეზღუდული იყო, კლასობრივი ბრძოლის არსი ჩვენს მესამოციანელებს თავისებურად ესმოდათ; ისინი სოციალურ ინტერესებზე მალა ხშირად ეროვნულ ინტერესებს აყენებდნენ. ყოველივე ამას თავისი ისტორიული ახსნა ჰქონდა“.<sup>1</sup>

ამ ვითარებაზე შესანიშნავად მეტყველებს 1879 წ. დიდი ილიას გულისწუხილით აღსავეს შემდეგი სიტყვები: „ჩვენი ცხოვრება ზურგადადღეობდა და დავარდნილ სახედარსავეთ გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზღელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო“.<sup>2</sup>

ბრძოლა ასეთი, ატმოსფეროს წინააღმდეგ, „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა ეპოქალური პრობლემა გახდა, რომელიც კარგად ესმოდათ პროგრესულ ინტელექტუალურ ძალებს. ამიტომ იბრძოდნენ ისინი ახალი თაობის აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად, მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის, მშობლიური ლიტერატურის, კულტურის, აყვავება-განვითარებისათვის. ეს ბრძოლა ორ მკვიდრ საფუძველს ეყრდნობოდა: 1. მწერლობაში — ილიას და 2. პედაგოგიაში — იაკობ გოგებაშვილს. ეს ორი უშრეტი წყარო სიცოცხლისუნარიანობასა და ცხოველმყოფელობას ანიჭებდა ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის იდეურ-თემატიკური და ჟანრობრივი მრავალსახეობის განვითარების ძირითად ტენდენციებს. ისტორიული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ სწორედ „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთმიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავად ქონების სახელამდე-და დააქვეითა და დაამდაბლა“.<sup>3</sup> ამ მდგომარეობამ სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლო-

<sup>1</sup> უ. ო ბ ო ლ ა ძ ე, აკაკი და ახალგაზრდობა, თბილისი, 1955, გვ. 102.

<sup>2</sup> ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწ. სრ. კრებული, თბილისი, 1953, ტ. VI, გვ. 72.

<sup>3</sup> ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, თბილისი, ტ. 3, 1953 წ. გვ. 225.

ბის წინაშე კატეგორიულად მოითხოვა საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური ქვეყნარსებობისა და ისტორიული აუცილებლობის მხატვრული ჩვენება, ანტაგონისტურად შეპირისპირებული სოციალურ ძალთა წინააღმდეგობათა და კონფლიქტების ცოცხალი სურათების დახატვა, პატრიოტული გრძნობის შთამაგონებელი სახეების შექმნა, ჰუმანიზმის სიდიადის გამოსატყვა მთელი თავისი კეთილშობილური შედეგებით.

ყოველივე ეს ახალ თაობაში უნდა ყოფილიყო მაღალი იდეურ-ესთეტიკური და მორალური გრძნობის აღზრდის ერთ-ერთი საშუალება, რის საფუძველზე მათ უნდა ჰქონოდათ სათანადო უნარი და ჩვევა ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩასაბმელად: ამისათვის აუცილებელი პირობა იყო კრიტიკულად განეხილათ ცხოვრებისეული საკითხები, შესძლებოდათ ახალი ეპოქისეული აზრის, ახალი იდეების შეგნებულად გაგება-შეთვისება და სიანხლის დიდი გრძნობით ქართველი ხალხის ოცნების განხორციელებისათვის ებრძოლათ.

ისტორიულად ცნობილია, რომ „უწევს რა ხალხებს ექსპლუატაციას, უნამუსოდ ართმევს რა საარსებო ლუკმა-პურს, რეაქციული ბურჟუაზია, ცხადია, არაა დაინტერესებული, რომ ხალხებს განუვითარდეს ეროვნული თვითშეგნება, რომ მათ შესძლონ შექმნან ახალი ესთეტიკური ღირებულებანი, თვითმყოფი კულტურა და ხელოვნება. ეროვნული კულტურები, მით უფრო, მცირე ხალხთა ეროვნული კულტურები, იმყოფება იმდენად შევიწროვებულ, სულისშემხუთველ პირობებში, რომ წინსვლისათვის დიდ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვა უხდებათ. კულტურა მატერიალურ ფაქტორთა ნაყოფია. საჭიროა ნოყიერი ნიადაგი — საზოგადოებრივი ეკონომიური, სულიერი, რომ ხალხის კულტურა თავისუფლად განვითარდეს და თავის დაუშვრეტელი სასიცოცხლოდ მოქმედი ძალები გამოავლინოს“<sup>1</sup>; ქართველი ხალხის ინტელექტუალური ძალები, რომლებიც ერთგულნი იყვნენ მოწინავე პროგრესული იდეებისა, მხატვრული სიტყვით გაბედულად იბრძოდნენ ქართველი ხალხის კულტურის თავისუფლად განვითარებისათვის.

ახალი აზრი, ახალი იდეები ქართველ სამოციანელთა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლასთანაა დაკავშირებული და მწერლობაში მათს ესთეტიკურ კონცეფციის არსს წარმოადგენდა; ისტორიული კანონზომიერებით იყო გაპირობებული ის ფაქტი, რომ „ერთსულოვანი იდეური ნათესაობით ხვდებოდნენ ქართველი სამოციანელი მოღვაწე-

<sup>1</sup> გ. ლომიძე. „ზოგადკაცობრიულის, ინტერნაციონალურის და ეროვნულის დიალექტიკა მწერლობაში“, — ჟურ. „მნათობი“, 1967, № 5, გვ. 145.



ები რუსეთის სამოციანელთა უნიკიერეს ხელმძღვანელებს. იაკობმა მშვენივრად იცოდა, რომ უკრაინა და საქართველო ერთი უღლის ქვეშ გმინავდნენ და ის პროგრამა, რომელიც ჩერნიშევსკიმ მისცა უკრაინელ ხალხს საკუთარი ადგილ-ყურეს აუცილებლობის შესახებ, სავსებით შეეფერებოდა ქართველ ხალხსაც, ისევე როგორც ამ პროგრამის განხორციელების გზებიც არსებითად ერთგვარი უნდა ყოფილიყო.

...თვითმპყრობელობის ნანგრევებზე აღმოცენებული „თავისუფალი რუსეთი“ და „ახალი საქართველო“ იყო სამოციანელთა გამაერთიანებელი ლოზუნგი, დამაკავშირებელი იდეა.

რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ეროვნებათაღმძი ჩერნიშევსკის ამგზნები, ნაციონალურ-რევოლუციური მოწოდება „საკუთარი ადგილ-ყურისათვის“ ბრძოლის შესახებ, ჩვენში 1863 წელს, სავსებით გარკვევით და რევოლუციური პათოსით გამოსატა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურმა ილია ჭავჭავაძემ: ჩ ვ ე ნ ი თ ა ვ ი ჩ ვ ე ნ ვ ე უ ნ დ ა გ ვ ე კ უ თ ვ ნ ო დ ე ს ო . ეს იყო დიდი ლოზუნგი ბრძოლისა და მოქმედებისა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი მოწინავე საქართველოსი. ამ ლ ო ზ უ ნ გ ი თ ზ რ დ ი და და ა ვ ა ჟ კ ა ც ე ბ და ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა ს , მ ა ს შ ე უ ს ი ს ხ ლ ა თ ა ვ ი ს ი „დ ე და ე ნ ა“ და მ ი თ შ ე ა ლ ო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს „ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი“. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).<sup>1</sup>

აზრი იმის შესახებ, რომ „გავაცნოთ ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა და წინაუბრეებულს დასს რუსეთისას, დავიხმართ იგი და დავიბრუნოთ დირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის“, იყო „ახალი საქართველოს“ „საიმედო მომავლის“ შექმნისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, მაგრამ მასთან ერთად მას თვლიდნენ „ერთ-ერთ ძირითად პირობად, რაც უზრუნველყოფდა ამ საიმედო მომავალს, იაკობი აღიარებდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას, ხოლო ეროვნული მთლიანობის ბურჯად კი მიაჩნდა ქართული ენა, როგორც საერთო ენა ყველა ქართველი ტომისათვის“.<sup>2</sup>

ახალი ვითარების გამო, ზოგადი განათლება ახალი თაობისათვის აუცილებელი გახდა: „ახლა ყველასათვის ცხადი ქეშმარიტებაა, რომ სპეციალური სწავლა უძლურია მეტნაკლებობით, თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც უფურჩქნის მოსწავლეს ყოველგვარ ნიქსა და ჰყოფს მას სრულ აღამიანად“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი . იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952, გვ. 32—33.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 74.

<sup>3</sup> ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი . „რჩეული ნაწერები“, თბილისი, 1940, ტ. II,

ამ სპეციფიკურ თავისებურებას ორგანულად ერთვოდა მოთხოვნა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების შესახებაც.

ყოველივე ამან XIX საუკუნის II ნახევრიდან მოითხოვა ახალი ეპოქის შესაბამისად ახლებურად გადაწყვეტილიყო ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების ტენდენციები, რომლებიც ისეთ პრობლემებს შეიცავდნენ, როგორცაა საბავშვო ლიტერატურის როლი ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების აღზრდა-განვითარებაში, მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის, ფოლკლორისა და ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ურთიერთობის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის შემდგომი განვითარების იდეურ-თემატიკური და ჟანრობრივი მრავალსახეობის პრობლემები და სხვა.

ამგვარად, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიულმა წინამძღვრებმა — ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურმა და კულტურულმა ვითარებამ — მკვიდრი საფუძველი შეუქმნეს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი საბავშვო მწერლობის აყვავებასა და შემდგომ განვითარებას.

## თ ა ვ ი მ ა ს ა მ ა

### საბავშვო პერიოდულ გამოცემათა („ნოვათი“, „ჯაჟილი“) როლი ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში

წარსული გმირული ცხოვრების შეცნობა, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლ მამათა და წინაპართა სახეების გაცოცხლება, ძველისა და ახლის ბრძოლაში პროგრესულის, იდეალურის, პერსპექტიულის სწორად შეცნობა, რევოლუციური სულისკვეთებით ბრძოლის ფართო გზის განჭვრეტა, სხვა საშუალებებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ხელოვნებას საერთოდ და კერძოდ კი საბავშვო ლიტერატურასაც ევალებოდა, რომელიც ორგანიზებული ფორმით, ისტორიულად, საბავშვო პერიოდული გამოცემების სახით ხორციელდებოდა.

ამის გამო, საბავშვო პერიოდული გამოცემების როლის მიუკერძოებელ შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საბავშვო პერიოდულ გამოცემათა ისტორიული როლი კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, რის გამოც ისინი არა მარტო პირად

სახსრებს, არამედ სიცოცხლესაც არ ზოგავდნენ დასახული მიზნის მისაღწევად.

XIX საუკუნის II ნახევრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, როგორც დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, ისე საქართველოშიც საბავშვო ჟურნალების დაარსებასა და პერიოდულად გამოქცემას.

მწერლები, საზოგადო მოღვაწეები აქტიურად ცდილობდნენ საბავშვო ჟურნალის მატერიალური ბაზის შექმნას, მოწინავე მწერლების მიზიდვას, ყოველგვარ ღონეს მიმართავდნენ, რათა საბავშვო ჟურნალს მკითხველის გულისაკენ გზა ეპოვნა, ყოველ ქართულ ოჯახს ჟურნალი გამოეწერა და ა. შ.

საბავშვო ჟურნალის წინაშე ორი უმთავრესი ამოცანა იდგა:

1. ის უნდა ყოფილიყო მრავალჯანროვანი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავებისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომლის ირგვლივ თავი უნდა მოეყარა როგორც პროფესიულ, ისე არაპროფესიულ საბავშვო მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს;

2. საბავშვო ჟურნალებს გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა მშობლიური ენის შესწავლისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი თაობის პროგრესულ შეხედულებათა ფორმირებაში.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად საბავშვო ჟურნალი თემატურად, ჟანრობრივად მრავალფეროვან, მიმზიდველ, ბავშვთა გონებისათვის მისაწვდომ ფორმებში დაწერილი ნაწარმოებებით უნდა ყოფილიყო გამდიდრებული.

ამის შედეგად, საბავშვო ჟურნალი იქნებოდა „სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მათი გონების, ზნეობითის მოძრაობისა“. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟურნალ-გაზეთებში „უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, საზოგადოების ჭკუა და გონება, გაუწმინდოს აზრი და გრძნობა, აალორძინოს საზოგადოების თვითმოქმედებითი ძალა და ხალისი თვითცნობისა“... საბავშვო ჟურნალი უნდა ყოფილიყო მტკიცე საფუძველი იმისა, რომ განვითარებულიყო ეროვნული საბავშვო ლიტერატურა არა ერთი კერძო ნიშნით— მხატვრული, მეცნიერული, ტექნიკური, ისტორიული და ა. შ. არამედ იგი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა თემაზე, სხვადასხვა ჟანრისა და ფორმათა მრავალსახეობის დაუშრეტელი წყარო ბავშვთა ინტელექტუალური სამყაროს გამდიდრებისათვის, მასში გარკვეული ესთეტიკური და მორალური ჩვევების აღზრდა-განვითარების, მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის აქტიურად გამოსაყენებელი მძლავრი ემოციური და ინტელექტუალური ფაქტორი.

ისტორიულად დაკისრებულ დიდ ვალდებულებას ახალი თაობის აღზრდის სფეროში სხვადასხვა ქვეყნის საბავშვო ჟურნალები მათივე ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, თავისებურად განსაზღვრავდნენ.

რასაკვირველია, ამის მიზეზი იყო ამავე ქვეყნებში არსებულ სოციალურ ძალთა ურთიერთდამოკიდებულება, იდეური ბრძოლის შედეგები, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების საფუძველზე წარმოიქმნებოდა.

ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, განსაზღვრავდა, აგრეთვე საბავშვო ჟურნალების ძირითად იდეურ მიზანსწრაფვასაც.

ეს აშკარად ემჩნევა ისეთ პერიოდულ გამოცემებს, როგორიც იყო გერმანიაში პოპულარული „kinderfreund“, საფრანგეთში — „saint Nicolas“, რუსეთში — «детское чтение для сердца и разума». «детское чтение», ე. მაიკოვის, ე. კრემინას, ოსტროგორსკის რედაქციით გამოსული ჟურნალები, იშიმოვის თუ ნოვიკოვის, როსტოვსკის თუ სხვათა ჟურნალები, უკრაინაში — «Друг», «Ластівка», «Дзвоник», სომხეთში — „აღბიური“, საქართველოში — „ნობათი“, „ჯეჯილი“ და სხვ.

იმ დროს, როდესაც დასავლეთში, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესაბამისად, ფეხმოკიდებული იყო დიდაქტიკური სიმბოლისტური პოეზია საერთოდ და კერძოდ კი საბავშვო ლიტერატურის სფეროში უზვად იბეჭდებოდა ზნეთსწავლების შინაარსის საბავშვო ნაწარმოებები, რომელთაც ზოგჯერ ალეგორიულ ფორმას აძლევდნენ, ზოგჯერ კი ბავშვის, მშობლისა და აღმზრდელის დიალოგის ფორმასაც, რასაც რუსეთშიც მიმბაძველებიც კი გამოუჩნდნენ (ეკატერინე II და სხვ.) — სწორედ იმავე ხანებში რუსეთში ჟურნალ — «детское чтение»-ს ფურცლებზე იმარჯვებდა ჯანსაღი აზრი — ბავშვებს მისცემოდათ მკვიდრი ცოდნა. უკვე თანდათან შეიმჩნევა საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის საბავშვო ლიტერატურის გავლენის შესუსტება რუსულ საბავშვო მწერლობაში. დამახასიათებელი ხდება სხვადასხვა ეტაპზე სანტიმენტალიზმის, რომანტიული მიმართულების, უტილიტარულ-რეალისტური მიმართულების განმტკიცება.<sup>1</sup>

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოწინავე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა, ინტელიგენციის მისწრაფებაში (ილია, აკაკი, ვაჟა, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, რ. ერისთავი, ა. ლულაძე,

<sup>1</sup> Н. В. Чехов. Введение в изучение и дет. литературы, М., 1915.

ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა, ლ. ბოცვაძე, ა. აბაზაძე და ა. ანთაძე<sup>1</sup>,  
ზ. ჳივიანიძე,<sup>2</sup> მ. დემურია, ნ. ნაკაშიძე) დიდი პასუხისმგებლობის მაჩვენებელი იყო ის ძლიერი გრძნობა, რომელიც ახალი თაობის აღზრდა-განათლების, ცხოვრებაში მათი აქტიურად ჩაბმისა და მათთვის უკეთესი მომავლის შექმნის ისტორიული ამოცანებიდან გამომდინარეობდა და საბავშვო ჟურნალების, აღმანახების თუ კრებულების გამოცემას უკავშირდებოდა.

ამის გამო, მკვლევართა ყურადღება ბუნებრივად მიექცა სხვადასხვა საბავშვო კრებულის, აღმანახის, ჟურნალის იდეურ-მხატვრული ღირებულების შესწავლას. ქართული საბავშვო ჟურნალების შესახებ, მართალია, გამოქვეყნებულია ა. დ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს,<sup>3</sup> მ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი ს,<sup>4</sup> თ. ჭ ი ბ ლ ა ძ ი ს<sup>5</sup> ნაშრომები, მაგრამ უკანასკნელად (1967 წ.) ცალკე წიგნად გამოვიდა პროფ. ი. ბოცვაძის „ქართული ჟურნალისტიკა“, რომელიც დაწერილია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მაღალ დონეზე და უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ამ ნაშრომში პირველადაა წამოყენებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში პირველ საბავშვო ჟურნალად უნდა მივიჩნიოთ „წყარო“. ამავე საკითხს ეხება მისივე წერილი „ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის სათავეებთან“<sup>6</sup>, სადაც სწორადაა აღნიშნული, „წყარომ“ მანც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ბავშვის აღზრდისა და ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში“.

საბავშვო და პედაგოგიური ჟურნალები თავისი ხალხის ინტერესების მიხედვით უკვე იწყებენ ბრძოლას უცხოური საბავშვო ლიტერატურის გავლენის წინააღმდეგ.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო რუსულ საბავშვო ლიტერატურაში, არამედ საქართველოშიც; ბრძოლა უცხოური ლიტერატურის გავლენის წინააღმდეგ, ამავე დროს, აძლიერებდა ბრძოლას „საკუთარ ნიადაგზე“ ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების დასაჩქარებლად.

ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტი მოვიყვანოთ.

<sup>1</sup> „დროება“, 1883, № 2.

<sup>2</sup> იქვე, № 54.

<sup>3</sup> ან. დ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს. „ქართული საბავშვო ლიტერატურა“, თბილისი, 1934, გვ. 41—95.

<sup>4</sup> მ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი ს, საბავშვო ლიტერატურის მოამაგე, თბილისი, 1941, გვ. 38—120.

<sup>5</sup> თ. ჭ ი ბ ლ ა ძ ე, ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 89—106.

<sup>6</sup> ჟურ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967, № 2, გვ. 47—52.

აღნიშნულ საკითხზე პედაგოგიკური ჟურნალის ფურცლებზე კატეგორიულად შემდეგი აზრი იყო გამოთქმული: «Напрасно ждем мы появления детских книжек, в которых бы рассказывалось что-нибудь занимательное для русских детей. Составители всех подобных книжек (мы не говорим уже о переводах) никак не хотят понять, что первое условие полезности детского чтения состоит в его занимательности и что этого свойства никак не может быть в таких повестях, где все — и герои, и обстановка, и образ выражения — берется бог знает из какого царства, только уж никак не из нашего. Нам рецензентам по обязанности просматривающим все вновь выходящие детские книги, ужасно надоело все эти сладко-нравоучительные приключения разных Волтеров, Готлибов и тому подобных иностранцев, совершающих на берегах Рейна, в Ост-Индии и других очень далеких от нас странах. Не думаем, чтобы они нравились и детям. Много того: мы достоверно знаем, что они гораздо охотнее (и с большею пользою) читают рассказы Дедушки Ириней, даже Похождения стенки — Растрепки, нежели все эти заморские истории»<sup>1</sup>. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

დაახლოებით ასეთსავე ფაქტიურ მდგომარეობაზე გულისტკივლით ამბობდა ჩვენი დიდებული პოეტი აკაკი: „საქართველოში ყმაწვილის ტვინსა და გონებას არ ავარჯიშებენ მისთანა საგნებზე, რომელიც მისს ახლოს, მისს გარშემო არის, რომელსაც ის კარგად იცნობს და რომელზედაც, მაშასადამე, თვითონაც შეუძლიან სჯა. ამ ბედნიერებას ჩვენი ახალგაზრდები მოკლებულნი არიან. ყოველივე მშობლიურზე და ხელ-აღებულნი არიან, იმაზედ ესაუბრებიან, რაც მისს ბუნებას შორს უძევს: თვისი თანამოზილ ხალხის ნაცვლად ოდესმე არსებულს რომის ხალხსა და ბერძნებს იცნობენ. დედანას სრულებით ყურს არ უგდებენ, იშვიათად ხმარობენ. მათს სასწავლებელ საყმაწვილო წიგნებში მისთანა ამბები და მისთანა ბუნების მოვლინებები აქვსთ აღწერილი, რომელიც უცხოა მისის ბუნებისა და ამით იძულებულნი არიან, რომ ჩვენი ახალგაზრდები იმ თავითვე მიენდონ მხოლოდ მეხსიერებას, კაქკაჰინ გვარად იზეპირონ და მსჯავრზედ ისუსტონ“<sup>2</sup>. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

ეს ყველაფერი იმითაც იყო გამოწვეული, რომ „სახალხო მასწავლებლებმა არამც თუ საფუძვლიანად არ იციან თავისი გარემოებანი, ცხოვრება და პირობანი, რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობენ და

<sup>1</sup> «Журнал для воспитания», 1858, № 2, გვ. 85.

<sup>2</sup> „ტროება“, 1875, № 35, გვ. 85.

მოქმედებენ — იმათ, ჩვენდა სასირცხვილოდ, არ იციან სამშობლო ენა, ურომლისოდაც პირველი დაწყებითი სწავლა შეუძლებელია“.<sup>1</sup>

საკუთარი, ეროვნული საბავშვო მწერლობის შექმნისა და განვითარებისათვის ბრძოლის ნიმუშს იძლეოდა აგრეთვე უკრაინაში საბავშვო ჟურნალი «Дзвоник»-ის ირგვლივ მყოფი უკრაინელი მწერლები ივ. ფრანკოსთან ერთად ლ. გლებოვი, ლესია უკრაინკა, კოციუბინსკი და სხვ.

ისინი მშობლიური ენის საფუძველზე მაღალი იდეურ-მხატვრული საბავშვო მწერლობის შექმნისათვის იბრძოდნენ. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ კრებულში «На крылах зины» გამოქვეყნებული ლესია უკრაინკას ლექსების «Мама іде вже зима», «Лето красное минуло» და სხვ. შესახებ ივ. ფრანკოს სიტყვები; ლესიას ლექსებს დიდი მწერალი მკაცრად აფასებს, რადგან მას იგი სრულფასოვან, ლესიასებურ პოეტურ ნაწარმოებად არ მიაჩნია. ეს ლექსები არის „ქალაქის ყვავილები“ ლესიას შემოქმედების ცოცხალ თავიუღლია.

ორიგინალური მაღალმხატვრული საბავშვო ნაწარმოებების შექმნა, რასაკვირველია, მთავარი პირობა იყო უცხოური ლიტერატურის ძლიერი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლისა. ეს უწმინდეს ვალად მიაჩნდათ პატრიოტული სულისკვებით მგზნებარე მოღვაწეებს: «Намерение наше есть то, чтобы всем молодым охотникам до чтения доставить упражнение на природном нашем языке»<sup>2</sup>.

ის წუხილი, ის ღრმა ტკივილები, რომელმაც დაუფარავად ამხილა სავალალო მდგომარეობა შემდეგი სიტყვებით: «Всякому, кто любит свое Отечество, весьма прискорбно видеть многих из вас, которые лучше знают по французски, нежели по русски, и которые вместо того, чтобы, как говорится с материным млском :всасывают и себя любовью к Отечеству, всасывают, питают, возвращают и укореняют в себе разные предубеждения против всего, что отечественным называется»<sup>3</sup>, ბევრის მანიშნებელი იყო ჩვენშიც, სადაც მშობლიური ენის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის ნაცვლად, განსაკუთრებით მაღალი წრის ოჯახებში, ბავშვებს სხვა ენებს უფრო ასწავლიდნენ.

ეს აღაშფოთებდა ქართველი ხალხის მოწინავე შვილებს, რომლებიც თავიანთ გულისტივილს დაუფარავად ამკლავებდნენ: „ყმაწვილებს უფროსების ქართული ენის სიყვარულის მაგალითს არ უჩვენებენო“<sup>4</sup> — წერდა იაკობ გოგებაშვილი.

<sup>1</sup> „ღრობა“, 1875, № 24.

<sup>2</sup> Д 4 1785, № 1.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „ბუნების კარი“, 1868 წ. გვ. 6.

ეს კი დიდ დაბრკოლებას ქმნიდა განათლებული „რეალური ცოდნით“ შეიარაღებული ახალი თაობის აღზრდის საქმეში; „ბავშვმა პირველათ თავისი ენა უნდა ისწავლოს, თუ დედ-მამას ამის გონების სწორე გახსნა უნდა. ჩვენი საზოგადოება სრულად ამის წინააღმდეგს დალაღებს: ყმაწვილი ქართული ენის სწავლას მერმეც მოესწრებაო“<sup>1</sup>, მაგრამ მათ ავიწყდებოდათ ელემენტარული ჰეშმარიტება, რომ „ჩვილ ბავშვს ჯერ დედის რძითა ზრდიან“.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, საბავშვო პერიოდულ გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ მხრივაც, რომ იგი ხელს შეუწყობდა მდიდარი ხალხური ენის შესწავლას, მშობლიური კუთხის გაცნობის აღზრდას.

„ვისაც კი სურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნაში და სწავლაში სწორე გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს — სწავლა იმ საგნებიდან დააწყებინოს, რომლებიც ყმაწვილზედ უფრო ახლო არიან, მის გრძნობა-გონებას იზიდავენ და ადვილად შეითვისებენ“.<sup>2</sup>

ეს სწორი პედაგოგიკური პრინციპი საფუძვლად უნდა დადებოდა ბავშვთათვის ნაცნობი გარემოდან პატარა მოთხრობების შექმნას, მოთხრობებით ბავშვების დაინტერესებას, მის შეგნებულად წაკითხვას, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა მშობლიური ენისადმი სიყვარული, მისი საფუძვლიანად შესწავლაც.

ამ ამოცანის შესრულებაში, რასაკვირველია, საბავშვო მხატვრულ ჟურნალს ფრიად დიდი როლი უნდა შეესრულებინა „დედ-მამამ უნდა... საინტერესო მოთხრობებით გააცნოს თავისი სამშობლო ქვეყნის უწინდელი ბედი და უბედობა... ყმაწვილმა უნდა ჯერ თავისი ქვეყნის წარსული ცხოვრება გაიცნოს და მერე ადვილად შეისწავლის კაცობრიობის უწინდელ თავგადასავალსა“.<sup>3</sup>

ამგვარად, სამშობლოსა და კაცობრიობის შესახებ სათანადო ცოდნის მიღება მხოლოდ მშობლიური ენის ღრმად ცოდნით, მისი მეშვეობით შეიძლება უფრო ნაყოფიერი იყოს და ყოველივე ეს შეიძლება დაეკისროს საბავშვო ჟურნალებს.

საბავშვო პერიოდული გამოცემები თავის მხრივ უნდა გამხდარიყვნენ ერთგვარი ცენტრი, ინტელექტუალური ძალების შემკრები თემატკიური და ჟანრობრივი მრავალსახეობრივი ქართული საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად, რომელსაც ზემოხსენებული დიდი ამოცანა შეეძლო წარმატებით განეხორციელებინა.

<sup>1</sup> Dr 1785, № 1.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „ბუნების კარი“, 1868 წ. გვ. VI.



ამის გამო, არ შეიძლებოდა ქართული საბავშვო პერიოდული გამოცემის პირველი გამოჩენას განსაკუთრებული აღფრთოვანება და იმედიანი განწყობილება არ შეექმნა.

და, მართლაც, ასე მოხდა.

გაზ. „დროება“ 1883 წ. № 20 (29 იანვარს) აქვეყნებს შემდეგ ცნობას: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ა. ს. ლულაძეს განუზრახავს გამოსცეს ქართული ყოველ თვიური პედაგოგიური ჟურნალი და ნება დართვისათვის თხოვნა უკვე წარუდგენია მთავრობასთან. ეკვი არ არის, რომ ეს ჟურნალი არ ც-მ ც ი რ ე დ ს ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ს მ ი ს ც ე მ ს მ ო ს წ ა ე ლ ე ე ბ ს და მ ა ს წ ა ე ლ ე ბ ე ლ - მ შ ო ბ ე ლ თ ა ც, რომ ე ლ თ ა თ ვ ი ს ა ც ს ა კ ი თ ხ ა ვ ი წ ი გ ნ ი ა ს ე ც ო ტ ა მ ო - ი პ ო ვ ე ბ ა ა მ ქ ა მ ა დ ჩ ვ ე ნ ს ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი“ (ხაზი ჩემია, ა. ჩ.).

ამ ცნობაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ „პედაგოგიური ჟურნალი“ გარკვეულ სარგებლობას მისცემს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებსაც. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჟურნალს ფართოდ უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი შინაარსობრივი მხარე, რომელთა შორის აქვე მითითებულია საკითხავი წიგნების სიმცირეზე ჩვენს ლიტერატურაში. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა მოსწავლეთათვის საკითხავი მხატვრული ლიტერატურის შექმნასაც.

ამ ცნობას გამოეხმაურა სტ. ჭრელაშვილი, რომელმაც ჟურნალის მნიშვნელობა ძირითადად პირდაპირი გაგებით, ე. ი. მხოლოდ პედაგოგიკური გაგებით გაიაზრა.

ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ამონაწერი, სადაც არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი სიტყვაკაზმული მწერლობის საკითხებზე.

სტ. ჭრელაშვილი არაორაზროვნად წერს:<sup>2</sup> „ლულაძეს განუზრახავს გამოსცეს ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი და ნებადართვის თხოვნა უკვე წარუდგენია მთავრობასთანო. სასურველია, რომ ეს კეთილი განზრახვა აღსრულდეს, რომ ეს ხმა ხმად არ დარჩეს და ნამდვილად ველირსნეთ პედაგოგიურ ჟურნალს.

სკოლებში ჩვენში თან-დათან მრავლდება და მასთან სპეციალურად მომზადებული მასწავლებლების რიცხვიც მატულობს. მაგრამ ერთი აკლია ჩვენი სკოლების კეთილდღეობას, მასთან ისეთი ნაკლი, რომლის მოშორება აუცილებელია. მასწავლებლებს შორის არ არის ერთობა, როდესაც ბზობის ყვავილებივით არიან აქა-იქ დაფანტული.

<sup>1</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომში ჟურ. „ნობათის“, როგორც პირველი საბავშვო ჟურნალის განაზღვრას, საფუძვლად უდევს ი. გოგებაშვილის შეხედულება.

<sup>2</sup> „დროება“, 1883, № 36.

მასწავლებლების ურთიერთი თანხმობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ ექნებათ საშუალება წერილობითი ლაპარაკისა. ამ საშუალებას დღემდის ჩვენი მასწავლებლები მოკლებულნი არიან, მაგრამ თუ დღეს ველირსებით პედაგოგიურ ჟურნალს, მაშინ, რასაკვირველია, ყველა მასწავლებელი ეცდება მიიღოს მასში მონაწილეობა და განუზიაროს თანაშემწემ თავისი საქმის მიმდინარეობა, თავისი აზრი და დაკვირვება. დღემდის სოფლის მასწავლებლებს ორი შრომა აწევს კისერზე. პირველად მან უნდა მოამზადოს ყოველდღიური მასალა და მეორე მასალის შემუშავება და მეთოდის მოძებნა და ამორჩევა. სად გამოძებნოს ეს მეთოდი? რასაკვირველია, უნდა გაიცნოს რუსული მეტოდის და იქ ბევრ მეტოდს გასჩხრეკავს, მაგრამ თავის სურვილს კი ვერ დააკმაყოფილებს, რადგან რუსული მეტოდები რუსულ სკოლებისათვის არიან შემდგარნი და არა ჩვენი სკოლებისათვის. (ხაზის გასმა აქ და ქვემოთ ჩემია ა. ჩ.).

ასე რჩება მოტყუებული მასწავლებელი და ისევ ატანს ძალას თავის მეტოდს: ასე რომ ყოველ მასწავლებელს ჩვენში თავისი საკუთარი მეთოდი აქვს. რაკი დაარსდება პედაგოგიკური ჟურნალი, უეჭველია, ყოველი საგნის მეტოდები შემუშავდება, დაიბეჭდება და ჩვენი სკოლები ერთდერს დაიდებს და ერთს გზაზე დადგება.

პედაგოგიურივე ჟურნალის შემწეობით გავრცელდება ჩვენში პედაგოგიურივე ლიტერატურა, რომელზედაც ამბობს რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი უშინსკი „ყოველ საფუძვლიანი წარმატება პედაგოგიურ საქმეში და ხალხის განათლების წინ წაწევა, პედაგოგიურ ლიტერატურაზედ არის დამოკიდებული“.

დაბოლოს სულით და გულით ვისურვებდით, ბ. ლულაძეს მიეღოს ნებართვა მთავრობისაგან თავის კეთილ განძრახვის აღსრულებაზე და მის მომავალ ჟურნალს მოუტანოს ის სარგებლობა, რასაც ჩვენი სახალხო სკოლები თხოულობენ“.

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართული სკოლა. რომლისთვისაც მშობლიურ ენაზე სწავლების მეთოდის არ იყო შემუშავებული.

აქ წამოყენებულია მეტად აქტუალური პრობლემა — „რუსული მეტოდები რუსული სკოლებისათვის არიან შემდგარნი და არა ჩვენი სკოლებისათვის“, ამიტომ პედაგოგიურმა ჟურნალმა პირველ რიგში ქართული სკოლებისათვის „ყველა საგნის მეტოდები“ უნდა შეიმუ-

შოს, დაბეჭდოს, რის შედეგად „ჩვენი სკოლების ერთ ფერს დაიდებს და ერთს გზაზე დადგება“.

ეს იყო დიდი ეროვნული საქმის მოგვარებისაკენ მოწოდება, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების გაუმჯობესება და ამით ახალი თაობის აღზრდის საქმის ეროვნულ ნიადაგზე წარმართვა-განვითარება.

ამ მთავარ მიზანს, რომელსაც სტ. ჭრელაშვილი მიაკუთვნებს პედაგოგიურ ჟურნალს, ბოლოს უმატებს შემდეგსაც: „პედაგოგიურივე ჟურნალის შემწეობით გავრცელდება ჩვენში პედაგოგიურივე ლიტერატურა“.

ვინაიდან საბავშვო ლიტერატურას პედაგოგიურ ლიტერატურას უწოდებდნენ მისთვის კუთვნილი სპეციფიკის, ფუნქციის თვალსაზრისით, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტ. ჭრელაშვილს ამ ფრაზაში საბავშვო ლიტერატურაზე აქვს საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არც შინაარსის, არც ჟანრობრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში გამოკვეთილად არ ჩანს.

მაშინ, როდესაც კატეგორიულადაა ნათქვამი ქართული მეთოდური ლიტერატურის შექმნის აუცილებლობაზე, მის მნიშვნელობაზე, ქართული საბავშვო ლიტერატურის შინაარსზე, მის სახესხვაობაზე სრულებით არაფერია ნათქვამი. არც იმაზეა მითითებული, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა პედაგოგიური ჟურნალის მეშვეობით „პედაგოგიური ლიტერატურის“ (ამ შემთხვევაში საბავშვო მწერლობის) გავრცელებას ან ეროვნული საბავშვო მწერლობის შექმნა-განვითარებას.

ცნობა, რომელიც გამოკვეთდა „დროებაში“ და გამოენამურა სტ. ჭრელაშვილი, ესებოდა პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის „ნობათის“ გამოცემის საკითხს.

ამ ჟურნალის პროგრამა ისეთი იყო, რომელიც წარუდგინა ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს ანდრია სოლომონის ძე დულაძემ:

„პ რ ო გ რ ა მ ა“

ყოველთვიური ჟურნალისა „ნობათი“

ჟურნალს ექნება ორი განყოფილება.

I. ილუსტრირებული განყოფილება ბავშვებისათვის.

II. სასწავლო აღმზრდელობითი (მშობელთა და აღმზრდელთათვის), პირველ განყოფილებაში (ბავშვთათვის) მოთავსდება:

ა) მოთხრობები, ზღაპრები, ლეგენდები, ანექდოტები, გამოცანები, თამაშობანი, სიმღერები ნოტებით, რებუსი, არითმეტიკული

ამოცანები და სხვ.;

ბ) მოგზაურობანი და ბიოგრაფიები;

გ) სტატიები ისტორიულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე;

დ) სტატიები მეცნიერებისა და ხელოვნების პოპულარიზაციისათ-

ვის, სადაც საჭირო იქნება მეცნიერულ და აღმზრდელობითი თვალსაზრისით, შეძლებისდაგვარად დაერთვის სურათები და ნახატები.

მეორე განყოფილება: მშობელთათვის და აღმზრდელთათვის:

ა) ზოგადი სტატიები პედაგოგიური შინაარსის;

ბ) სტატიები საოჯახო და საზოგადოებრივი ჩვევების, რელიგიური, გონებრივი და ფიზიკური აღზრდისა და სწავლების შესახებ;

გ) საბავშვო და აღმზრდელობითი ხასიათის წიგნების კრიტიკა და ბიბლიოგრაფია;

დ) ბიოგრაფიული ნარკვევები მასწავლებლების შესახებ;

ე) ანგარიშები მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდლო საკითხებზე;

ვ) სასკოლო ცხოვრება საერთოდ და კერძოდ კი კავკასიაში.

წელიწადში გამოვა 12 ნომერი 2—5 ბეჭდვითი ფორმით ყოველთვიურად.<sup>1</sup>

როგორც პროგრამიდან ჩანს, „ნობათს“ მეტად ფართო გეგმით ჰქონია გათვალისწინებული ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნა-გამდიდრებისა და ამით ახალი თაობის გათვითცნობიერების, გონებრივი განვითარებისა და მორალურად აღზრდის საქმე. ამ მიზნით იგი თავიდანვე თემატურული და ჟანრობრივი მრავალფეროვნების გზას დადგომია.

ჟურნალი „ნობათი“ განფენილობით, შინაარსობრივი მრავალსახეობით უწინამორბედო საბავშვო პერიოდული გამოცემა იყო. ის დიდი ვალდებულება, რომელიც იყისრა პირველმა ქართულმა საბავშვო ჟურნალმა, მოითხოვდა ერის ინტელექტუალური ძალების მაქსიმალურად მობილიზებას, ჟურნალის ორგვლივ ამ დიდი საქმის გულშემატკივართა თავმოყრას.

ასეთი მოქმედების საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდნენ იმდროინდელი რუსული საბავშვო ჟურნალების, მათი ხელმძღვანელების დაუღალავი პრაქტიკული მუშაობა.

გავიხსენოთ ლ. ტოლსტოის მოღვაწეობა; იგი ცდილობდა თავისი საბავშვო ჟურნალის გაფართოებას. ამ მიზნით, ჟურნალის მუშაობაში მან ჩააბა ნიკოლოზ უსპენსკი, გლებ უსპენსკი, იასნაია პოლიანას მასწავლებლები, რომელთა შორის იყო გამოჩენილი სპეციალისტი ფოლკლორისტი პ. შეინი, ჟურნალში თანამშრომლად მოიწვია მარკო ვოვჩიკი და სხვ.

ცნობილია, რომ გასაოცარი შემოქმედებითი გზებითა და მაღალი პატრიოტული გრძნობით მუშაობდა ლ. ტოლსტოი ბავშვთათვის საჭირო, ერთ-ერთი საგულისხმო წიგნის „Азныка“-ს შესაქმნელად; „ომი და მშვიდობის“ დამთავრების შემდეგ 70-იან წლებში ტოლსტოი შე-

<sup>1</sup> სსრკ ცსია, ფონდი 776, აღწერა 12, § 68.

უდგა „Азбука“-ს გამოცემისათვის მზადებას და იგი 1872 წელს პირველად გამოვიდა.

მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს წიგნი იყო მისი თეორიული და პრაქტიკული მუშაობის შედეგი. ამ წიგნის შედგენისათვის დასჭირდა მწერალს ბერძნული, ინდური, არაბული ლიტერატურის, ბუნების შესახებ ყველა მეცნიერების, ასტრონომიის, ფიზიკის სათანადო ცოდნა, ამის შედეგად ამ წიგნის თემატიკა და პრობლემატიკა მეტად ფართოდ იყო წარმოდგენილი. წიგნს შემდეგი ძირითადი პრინციპები დაედო საფუძვლად: 1. სინამდვილის ფართო რეალისტური ჩვენება; 2. მხატვრული სიტყვის ოსტატობით გადმოცემა; 3. მკითხველის ასაკის თავისებურებათა გათვალისწინება.

ისეთი საბავშვო პერიოდული გამოცემანი, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ვ. შაიკოვი, ვ. კრემინა, ა. იშიმოვი, მ. ჩისტიაკოვი, მ. როსტოვსკი, ა. ოსტროგორსკი, ნ. ნოვიკოვი, ქართული და რუსული ლიტერატურის ურთიერთობის ცნობილი ვითარების მიხედვით, რასაკვირველია, კეთილსასურველი მიმნიშნებელი იყო იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „ნობათი“ იდეურ-თემატიკურად.

ეურ. „ნობათის“ რედაქციაც ცდილობდა მუშაობაში ჩაება გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ამის შედეგად ეურნალის ფურცლებზე ჩვენ ვხვდებით აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის, ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ს. მგალობლიშვილის, ან. თუმანიშვილის, ან. ერისთავის, მ. ჭანაშვილის და სხვათა ნაწარმოებებს, რომლებმაც დიდი ღვაწლი შეიტანეს ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების საქმეში.

ეურნალ „ნობათის“ 1883 წლის დამატებაში აღნიშნულია შემდეგვით „ორმა უმთავრესმა მიზეზმა გამოიწვია ამ ეურნალის გამოცემა: ა) ერთი რომ, ჩვენ არ გვაქვს საყმაწვილო გამოცემა და ამასთანავე დღითიდღე მატულობს ჩვენს ცხოვრებაში მოთხოვნილება, რომ თითოეულს ოჯახს და თვით საზოგადოებასაც ჰქონდეს ასეთი საკითხავი სტატიები, რომელიც ყმაწვილს გაართობს, აღზრდის და სწავლის სურვილს მოუმატებს. ბ) მეორე რომ, საჭიროა დაარსდეს ცოცხალი კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის ახალგაზრდობის აღსაზრდელად და იმის დასაყენებლად საუკუთესო გზაზე ცხოვრებაში“.<sup>1</sup>

მაშასადამე, ეურნალის დაარსების უმთავრესი მიზანი ყოფილა საბავშვო ლიტერატურის აყვავება, რომელიც თანაბრად საჭირო და საინტერესო იქნებოდა როგორც ყმაწვილთათვის, ისე საზოგადოებისათვისაც.

<sup>1</sup> „ნობათი“, 1883, წიგნი 1.

ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება საყმაწვილო გამოცემებისადმი, უპირველეს ყოვლისა, ყველა ნაწარმოებს, რომელიც ქურნალში დაიბეჭდებოდა, დიდ მოთხოვნებს უყენებდა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარეობდა სკოლასა და ოჯახს შორის კავშირი მოზარდი თაობის საუკეთესო გზაზე დასაყენებლად, ე. ი. ქურნალის ვალი იყო დიდი ეროვნული საქმე — ეჩვენებინა ახალგაზრდობისთვის ცხოვრების საუკეთესო გზა.

როგორ, რა საშუალებით ცდილობდა ქურნალი ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევას?

ამაზე თვითონ ქურნალი პასუხობს:

„ამ ორის უმთავრესის მოთხოვნების თანახმად, ჩვენი ქურნალი „ნობათიც“ გაიყოფა ორ ნაწილად:

პირველ განყოფილებაში იქნება დაბეჭდილი: ყმაწვილისათვის ადვილგასაგების, მისებრივე მარტივისა და მკვირცხლის ენით დაწერილი სტატიები, მისის ცხოვრების დანვე გამოკრეფილი, მისის ხასიათისა და ბუნების საწერთნელათ. ამავე განყოფილებაში დაიბეჭდება ყოველნაირის მეცნიერებიდან გამოკრეფილი ამბები. ცნობები, სწავლანი და დაკვირვებანი ბუნებისა: მანდულისა, მცენარისა და ცხოველთ ცხოვრებაზე; ზღაპრები, გამოცანები, ლექსები, სამღერალი ნოტები, არითმეტიკული ვარჯიშობანი რა რებუსები. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

მეორე განყოფილებაში იქნება დაბეჭდილი: სტატიები, რომლებიც შეეხებიან კაცობრიობის აღზრდის ისტორიას, იქნება აღწერილი სათითაოდ ყოველის განათლებულის ხალხის აღზრდა, მის მიერ მომავლის წესით, დასაბამიდან იმის განათლებისა ჩვენს დრომდე“.<sup>1</sup>

თუ ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ნაპოვნ „ნობათის“ პროგრამას შევადარებთ ქურნალის პირველი წიგნიდან მოყვანილ ტექსტს (ორივე დოკუმენტს ხელს აწერს ანდ. ლულაძე), აშკარად დავინახავთ პროგრამის მეტ კონკრეტულ ხასიათს, ვიდრე 1883 წ. გამოცემული ქურნალის თანდართული დამატების მოცემული „პროგრამისა“.

ეს უკანასკნელი უფრო ზოგად ფრაზებში ჩამოყალიბებული მიზანია ქურნალისა, რომელიც შინაარსობრივი თვალსაზრისით საინტერესოა და თავის მხრივ განმსაზღვრელიცაა საბავშვო ლიტერატურის ფარგლებისა, იმ მიჯნებისა, რომლის შიგნით უნდა მოთავსდეს საბავშვო ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური ხაზი.

<sup>1</sup> „ნობათი“, 1883, წიგნი I.

ეს ეხება მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც ბავშვთათვის იქნება საჭირო, უპირველეს ყოვლისა, „მისის ხასიათისა და ბუნების საწვრთნელად“, მაგრამ იგი აუცილებლად ამავე დროს უნდა იყოს „მისის ცხოვრებიდან გამოკრეფილი“, ე. ი. ბავშვის სახე, მისი ტიპური ხასიათი, ქცევა, მორალი უნდა ჩანდეს უშუალოდ ბავშვის ცხოვრებიდან.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალის რედაქციას სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის მთავარ დანიშნულებად მიუჩნევია ბავშვის ტიპური მხატვრული სახის შექმნა.

პირველ რიგში ესაა ჟურნალის ამოცანა, რომელსაც თან უნდა დაჰყვეს სხვადასხვა მეცნიერებიდან „გამოკრეფილი ამბები“ მათი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისა და გარე სამყაროზე მკვიდრი ცოდნის შესაძენად.

„ცხოვრების საუკეთესო გზაზე დაყენება“ ეს უმაღლესი და უპირველესი ვალი ჟურნალისა მხოლოდ პროგრესული, მოწინავე საზოგადოებრივი იდეალების საფუძველზე შეიძლება და განხორციელებულიყო.<sup>1</sup>

ამის გამო, სრულიად ბუნებრივი იყო ჟურნალის მიმართვა „ნობათის“ რედაქცია უმორჩილესად სთხოვს მშობლებს და, საზოგადოთ, აღმზრდელებს, აცნობოს ხოლმე მას ყოველივე თავიანთი შენიშვნების შესახებ. ამ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიებისა, რომელმა სტატიამ რა შთაბეჭდილება მოახდინა ბავშვზე. ეს ცნობები დიდათ საჭიროა ჟურნალის წარმატებებისათვის“.<sup>2</sup>

მაშასადამე, ჟურნალი თავიდანვე ცდილობდა ისე წარემართა საქმიანობა, რომ ის ყოფილიყო ყმაწვილის ესთეტიკური, მორალური, გონებრივი განათლების უშრეტი წყარო, რადგან „ყმაწვილი“ ჩვენი ძალაა, ღონე და დიდება, ის არის ჩვენი მომავალი, მისით დაგვრჩება სახელი და კეთილი ხსენება“.<sup>3</sup>

სტ. კრელაშვილი ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმულ შეხედულებებთან დაკავშირებით ღრმად სწვდება რა „ნობათის“ იდეურ-მხატვრულ ღირებულებას, სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ჩვენ ვერც ასე ბევრს მოვსთხოვთ ახლადდაბადებულს საამურს ჟურნალს, რომლის ღირსებაზე და ნაკლოვანებაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ჩვენს თვალში ძვირფასი თითონ ის ნაბიჯია, რომლის გადადგმაც მოახერხა ქართულმა მწერლობამ ხსენებულის ჟურნალის დაფუძნებით, ძვირფასი და საამურია აზრი — დაარსდეს მოზარდ ქართველობისათვის

1 „ნობათი“, 1883, წიგნი I, გვ. 1-2.

2 იქვე.

3 იქვე.

ყოველ-თვიური საკითხავი ჟურნალი, თანაც შემკული სამშობლოს სურათებით და პედაგოგიური განყოფილებით“.<sup>1</sup>

კრიტიკოსი მართებულად აღნიშნავს „ღარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ქართველი მასწავლებელი, ყოველი ქართველი მშობელი, რომელსაც შესტკივა გული თავის შვილებისათვის, სიხარულით მიეგებება „ნობათის“ დაფუძნებას.“<sup>2</sup>

კრიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ „ნობათი“ მკითხველებს აწვდის მრავალფეროვან მასალას, ბეჭდავს მოთხრობებს ბავშვთა ცხოვრებიდან, შინაურ ცხოველებზე. ჟურნალის ფურცლებზე მოთავსებულია საყმაწვილო ლექსები, ზღაპრები, გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები, ბუნებისმეტყველებიდან საინტერესო მასალები და სხვ., მაგრამ, რაც ფრიალ მნიშვნელოვანია, თვით სტ. კრელაშვილის დამოკიდებულება ამ მასალებისადმი უაღრესად პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული: „იმ ღირსებებთან ერთად თქვენ გასიამოვნებთ აგრეთვე ისიც, რომ მომეტებული ნაწილი ჟურნალისა შედგენილია სამშობლო სურათებიდამ, სამშობლო ცხოვრებიდამ“... ეტყობა „ნობათის“ რედაქციას თავის პროგრამის უმთავრეს საძირკველად ჩაუგდია ასეთი საზრიანი და მოსაწონი განზრახვა და, მაშასადამე, უნდა ვისურვოთ, რომ ბოლომდინაც გაიტანოს თავი ამ მხრივ“.<sup>3</sup>

17

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბავშვო ჟურნალს.<sup>4</sup>

ის წერდა: „საბავშვო ჟურნალს იმოდენა სიკეთის დათესვა შეუძლიან, რომ ამ სიკეთის გაზვიადება შეუძლებელია. ხოლო ჩვენში იმისი სარგებლობა პირდაპირი სიკეთით არ გათავდება“...

„...კარგი სახელმძღვანელონი ქართულის ენისა შეადგენენ პირველს საძირკველს განათლებისას; მაგრამ იგი არასოდეს და არსად საკმარისნი არ არიან, რომ საზოგადოებაში გააძლიერონ ცხოველი ინტერესები კითხვისა. სახელმძღვანელოთა და პერიოდულ გამოცემათა შორის ბლომა მანძილია, მოზრდილი ხეგია, და ამ ხეგზედ გადახტომა შეუძლიან მხოლოდ ზოგიერთა პირს, ძლიერ ნიჭიერსა და ფეხ მარჯსა. უმეტესობა კი ამ ხევის იქეთ ნაპირსა რჩება და ვერ გასულა იქით

1 „ივერია“, 1884, № 1, გვ. 101.

2 იქვე, გვ. 104.

3 იქვე.

4 „ივერია“, 1888, № 262.



ნაპირს, სადაც არსებობს პერიოდული ლიტერატურა, საჭიროა, მიუხედავად საჭიროა ხიდი და ამ ხიდად, და საუკეთესო ხიდადაც, ყველგან ითვლებოდა და ითვლება საბავშვო ჟურნალი“.

იაკობ გოგებაშვილი თვლის, რომ მხოლოდ განუვითარებელი ერი, კულტურულად ჩამორჩენილი საზოგადოებაა მხოლოდ საბავშვო ჟურნალს მოკლებული, იმ ჟურნალს, რომლის უპირველესი ვალია ახალგაზრდობა, ახალი თაობა „სრული ჰყოფს აზრით, გრძნობით, გონება გაუნათლოს, გული გაუსპეტაკოს, კაცმოყვარეობა აუღოროძინოს, სულით აღამაღლოს. ამ მაღალი დანიშნულებიდან წარმოდგება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს საბავშვო ჟურნალს, ამ გონებრივ ჯეჯილს“.

ამის გამო იმ ქვეყანაში, იმ საზოგადოებაში, სადაც განათლებას, სწავლას ფესვები ღრმად გაუდგამს, იქ პერიოდულ საბავშვო გამოცემას უჭირავს ერთი უპირველესი ადგილი.<sup>1</sup>

აქვე არ შეიძლება არ მოვიყვანოთ, როგორც ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის ილუსტრაცია, საქართველოში სახალხო განათლების მეთაურის იაკობ გოგებაშვილისა და ქართული მწერლობის მეთაურის ილია ჭავჭავაძის აზრი „ნობათისა“ და „ჯეჯილის“ გამოსვლასთან დაკავშირებით.

აი, რას წერდა იაკობ გოგებაშვილი პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ გამოსვლასთან დაკავშირებით:

„ჩვენმა ლიტერატურამ ახალი ნაბიჯი გადასდგა. ქართულს ენაზედ ქართველი მოზრდილი თაობისათვის დაიბადა ჰედაგოგიური ყოველთვიური გამოცემა.“

ყოველი ახალი ნაბიჯი სასიამოვნოა. იგი მოასწავებს წარმატებას, წინ მოძრაობას და სახელს უკეთებს საზოგადოებას, რომელიც, ეტყობა, სცოცხლობს, მოქმედებს და არ არის ერთს წერტილზედ გაჩერებული.

ჩვენც ამ ახალ ნაბიჯს, ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენ შორის გადაგმულს წრფელი გულით და სიამოვნებით ვეგებებით და გამარჯვებას ვეტიყვით“.<sup>2</sup>

„...საბავშვო ჟურნალი, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჰიერ ნაწარმოებთა, აზრთა და გონებით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში ბევრი კეთილშობილური, ჰუმანური მისწრაფებებით შეამკობს და სხვა

<sup>1</sup> „ივერია“, 1889. № 262.

<sup>2</sup> „ღროება“, 1884, № 7.

ფაქტორთან ერთად სამშობლოს მოუშადებს ბევრს მხნეს და გულ-  
წრფელს მამულის შვილსა.<sup>1</sup>

ჟურნ. „ჯეჯილის“ გამოცემის შესახებ ცნობამ („ნობათის“ დახურ-  
ვიდან ოთხი წლის შემდეგ) კვლავ გაახარა ქართული საზოგადოებრი-  
ობა. პირველი ცნობა ასეთი შინაარსისა იყო: „27 ოქტომბერს, საღა-  
მოს 7 საათზე, ახლად ნებადართულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“  
რედაქტორის<sup>2</sup> სახლში პირველი კრება იყო თანამშრომლებისა. ამ  
კრებაზედ მოილაპარაკეს, როგორ უფრო უკეთესი იქნება, რომ ვაწარ-  
მოვით ჟურნალის საქმეო. სხვათა შორის რედაქტორმა ან. თუმანიშვი-  
ლისამ გამოაცხადა, რომ თანარედაქტორია საქირო ჟურნალის კარგად  
წარმართვისათვისაო. ეტყობა, ამ ჟურნალის საქმე კარგად იქნება მო-  
წყობილი, და, იმედიო, დიდს ხანსაც იცოცხლებს. ჯერ ერთი, რომ  
ჟურნალში მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი საუკეთესო მწერალნი,  
და მეორე, როგორც ეტყობა, ქ-ნი თუმანიშვილისა არავითარს ხარჯს  
არ ერიდება ჟურნალის უკეთესად წარმოებისათვის. ყდის სურათი უკ-  
ვე გაგზავნილია პეტერბურგში ამოსაქრელად. პირველი ნომერი 1-ლს  
იანვარს გამოვა...<sup>3</sup>

ამ სასიხარულო საქმეს გამოეხმაურა იაკობ გოგებაშვილი. ის წერ-  
და: „მომავალს წლიდან ჩვენს ყმაწვილობას ექმნება თავისი პერიო-  
დული გამოცემა, შესაბამისი გონებრივი საზრდო. ზედგამოჭრილი სა-  
ხელი, შესაბამი პროგრამა, აწონილი ვადა გამოსვლისა, რჩეულნი თანა-  
მგარძნობელნი, მხნე რედაქტორ-გამომცემელი...“

...რამდენიმე წლის წინად გაგვიჩნდა „ნობათი“ და დიდ იმედსაც  
გვაძლევდა, მაგრამ ვაცრუვდა ეს იმედი. იგი ქვიშაზედ აშენებული  
ხუხულას მსგავსი რამ გამოდგა, — კუდიანი ბეუტა ვარსკვლავით  
გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ, ჯერ ცოტა ხანს იკაშკაშა, მერე  
სწრაფად მოილია და ბოლოს მთლად გაპქრა, ვითომც არც კი არსებუ-  
ლიყოს, მაგრამ მაინც მაღლობელნი უნდა ვიყვნეთ  
ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნო-  
ბით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონე-  
ბრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მა-  
ინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში. მართალია,  
კარგი, ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ ამ გამო-  
ცემას მეტი უნარი და მეტის შეძლება გამოეჩინა,

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 7.

<sup>2</sup> „ივერია“, 1889, № 230.

<sup>3</sup> ჟურნ. „ჯეჯილის“ შესახებ საინტერესო შრომა გამოაქვეყნა მიხ. ხელთუბნელ-  
მა, ნაშრომში „საბავშვო ლიტერატურის მოამაგე“, 1941, გვ. 38-108.

მაგრამ ვერ გამოიჩინა დარავქნათ... (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.)

...ყველა გარემოება, ძლიერ, თავდარიგიანად დაქერილი, გვადლევს სრულს იმედს იმისას, რომ „ჩეჯილი“ იქმნება ჩვენს პედაგოგიურ ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი ცდომილისა, არამედ ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასინარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს იქნება მუდამაც“.<sup>1</sup>

და, მართლაც, მეორე ქართული საბავშვო ჟურნალი „ჩეჯილი“ ქართველმა ბავშვებმა დაპირებისამებრ საახალწლოდ მიიღეს, როგორც შესანიშნავი საჩუქარი.

დიდი ილია ჭავჭავაძე ნამდვილად გაახარა მეორე ქართული საბავშვო ჟურნალის „ჩეჯილის“ გამოცემამ და თავისი აღფრთოვანება ამ ფრიად დიდი ლიტერატურული მოვლენისა გაზეთში შემდეგი სიტყვებით გამოაქვეყნა:

„სასიამოვნო ამბავი უნდა ვახაროთ ჩვენს მკითხველებს, დღეს (ე. ი. 1890 წლის 1 იანვარს ა. ჩ.) დაურიგდა ხელის-მომწერთ პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალის „ჩეჯილისა“, რომელიც ამის შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოვა კნ. ან თუმანიშვილის რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისათვის. არც გული და ჰკუა არის დავიწყებული, ერთისაც და მეორისთვისაც საძკალია საძკაო შიგ. „ჩეჯილის“ რედაქციას ძალიან კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენის მოზარდის თაობისათვის. ყველა წიგნისა, სურათები, ქალაღი, ნაბეჭდობა, შინაარსი — ყოველივე იტქმის ერთმანეთს ეჯიბრება, ერთმანეთს არას უთმობს სიკეთითა და სიღამაზით.

ეპიგრაფად აწერია ლამაზი ორსტრიქონიანი ლექსი ი. დავითაშვილისა:

„იზარღე, მწვანე ჩეჯილო,  
დაპურღი, გახღი ყანაო!“

დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ თიტქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩის ჟურნალისა და, უნდა ესთქვათ, გულითა და სულით ვისიამოვნეთ, დავესტკბით და უფრო ტკბილად „დავებრღით“, ვიდრე მამაპაპის ნანდერძევი „აბრამიანი“ და „გოზინაყი“ დავებრღებდა“.<sup>2</sup>

საინტერესოა, აგრეთვე ქართული საბავშვო ჟურნალების გამოცემას თუ როგორ შეხვდნენ მაშინ თბილისში მცხოვრები რუსი

„ივერია“, 1899, № 262.

„ივერია“, 1890, № 1.

საბავშვო მწერალი ნ. სოლოვიოვ-ნესმელოვი, ამასთან, „Тифлиский листок“-სა და „Новое обозрение“-ს რედაქციები.

ნ. სოლოვიოვ-ნესმელოვის შეხედულება „ნობათის“ შესახებ ჩვენს პრესაში 1902 წელს გამოაქვეყნა მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ანდრია ლულაძემ. მწერლის ფოტოსურათი და მასზე ანდ. ლულაძეს მისამართით წარწერა, თვით ნ. სოლოვიოვ-ნესმელოვის შესახებ ზოგიერთი ცნობა, მისი ხელნაწერის თარგმანი ანდრია ლულაძემ გამოაქვეყნა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში 1902 წ. 6 იანვრის თარიღით № 22 (გაზეთის № 1690).

განსვენებული მწერლის შესახებ ნათქვამია: „როცა 1883 წელს განსვენებულს ჩემი სურვილი გამოვუცხადე ჟურნალ „ნობათის“ გამოცემის შესახებ, განუზომელის სიხარულით მიეგება ასეთს ჩემ განზრახვას. როგორც საყმაწვილო ჟურნალების კარგად მცოდნემ დიდი დახმარება აღმომიჩინა თვისის რჩევა-დარიგებით. იმავე წლის ბოლოში „ნობათის“ საწიმუშო წიგნი გამოვიცა.“

აქ იყო მოთავსებული განსაკუთრებით ამ წიგნისათვის დაწერილი პატარა ლამაზი მოთხრობა ნ. ა.-სი „ფინია ვიშერას ცულლუტობა“.

ირკვევა, რომ ნ. სოლოვიოვ-ნესმელოვი არა მარტო რჩევით ეხმარებოდა ან. ლულაძეს პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის გამოცემაში, არამედ თვითონაც თავისი შემოქმედებით მიუღია მონაწილეობა.

ეს თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს, უპირველეს ყოვლისა, ამ ურთიერთობაში ჩანს მოწინავე რუსინტელი გენტა და ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მეგობრობა: ეს ფაქტი რუსული და ქართული ლიტერატურული ურთიერთობის მეტად ცხოველმყოფელური მაგალითია.

ბავშვებისადმი დიდი სიყვარული, საბავშვო მწერლობისადმი უაღრესად გულწრფელი დამოკიდებულება, ქართული ენისადმი, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისადმი სიმპათიები და მისი წარმატებისათვის ბრძოლაში გამარჯვების სურვილები მას შემდეგი სიტყვებით აქვს გამოთქმული:

„გზა რედაქტორისა ეკლიანია: გზა გამომცემლისა თუმცა ფართოა, მაგრამ სახიფათოცაა, მტკიცე ხასიათი და გამჭრიახი ღონეა ამისათვის საჭირო, რომ ამ გზაზედ უჩანყუბურუსოდ იაროს. მაგრამ ყოველი კეთილი საქმე ჭეშმარიტ ჟურნალისტის სულს მოთმინებასა და სინათლეს მოანიჭებს და მრავალ დაბრკოლებათა შორის ამხნევებს მას. მისი საგანია — ბრძოლა, ხოლო სადაც ბრძოლაა, იქ სულის სიმსურვალე და სიცოცხლეა; იქ არა სდუმს რა, ვერ მეფობს უკუნეთი და საზიზღრობა“...

დამილოცნიხართ და კიდევ გლოცავ, ანდროჟან, პატიოსნად ატარო დროშა „ნობათისა“ შენის სამუდამო სავანეს კარამდე. გახსოვდეს, რომ საბავშვო მწერლობისათვის არ არის არც დილა, არც ბუნდოვანი მწუხარი, არც უკუნი ღამე, არამედ არის მხოლოდ მუდმივი დღე... ბავშვნი ყოველთვის იქნებიან — იმით სცოცხლობს ოჯახი, სცოცხლობს საზოგადოება, სცოცხლობს ერი, ერი — კი სცოცხლობს, მანამ არ მოკვდება ენა და ენა — კი სცოცხლობს, მანამ მწერლობა სცოცხლობს. თუ საბავშვო მწერლობას საკუთარი დრო-გაშვებითი გამოცემა არც აქვს, უამისოდ მოზრდილთა მწერლობაც დაჩლუნგდება, დაქცნება და განქრება. განვიმეორებ, იპყარ დროშა „ნობათისა“ წმინდად, შეურყევლად და პატიოსნად. მოკვდი სხეულით მოხუცი, ხოლო სულით ჭაბუკი, 1882—1884 წ. ტფილისი“<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია ა. ნ.).

ეურნალ „ჩეჯილის“ გამოსვლას გამოეხმაურა „Тифлисский листок“-იც, ის აღნიშნავდა, რომ საუკეთესო საჩუქარი, რომელიც ახალი წლისათვის მიიღეს ქართველმა ბავშვებმა, — ეს არის პირველი ნომერი ახლად დაბადებული საბავშვო ეურნალისა „ჩეჯილი“. გარეგულადაც და შინაარსითაც დასახელებული ეურნალის აღნიშნული ნომერი თავის დანიშნულებას მთლიანად პასუხობს.

ამავე დროს გაზეთს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ზოგიერთი წერილის საბავშვო ეურნალში დაბეჭდვა: მაგალითისათვის ასახელებს ვ. ჰიკინაძის „ქიანჭველებს“ რომელიც პრეტენზიული სათაურითაა („სამეცნიერო წერილი“) დაბეჭდილი.

ავითარებს რა ამ აზრს, ვფიქრობთ, ეურნალის საერთო შეფასების დროს დაშვებულია პრინციპული სახის შეცდომა, როცა იქვე იწერენ: «Мы думаем, что детский журнал должен избегать всякой научности»<sup>2</sup>.

მითითება იმაზე, რომ საბავშვო ეურნალი გაუბროდეს „ყოველგვარ მეცნიერულობას“, ეწინააღმდეგება ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობის, ლ. ბოცვაძის და სხვა გამოჩენილი მწერლებისა და პედაგოგების სწორ აზრს, რათა ბავშვებს მიეცეთ „რეალური ცოდნა“. სულ სხვაა იმის აღნიშვნა, თუ ვის როგორ შეუძლია მეცნიერული ცოდნის მიწოდება. არის თუ არა იგი სახალისოდ დაწერილი, ენა არის თუ არა მხატვრული, გამართული, ხალხური, რისი ცოდნის მიწოდება სურს ავტორს, არის თუ არა დაწერილი იმგვარად, რომ ბავშვებმა გაიგონ, მათი გონება მისწვდეს, შეიცნოს, გაიაზროს და სხვ.

საკითხის ამგვარად დაყენება, რასაკვირველია, თვით საბავშვო

<sup>1</sup> „ცნობის ფურცელი, „სურათებიანი დამატება“, 1902, № 22, გვ. 4.

<sup>2</sup> «Тифлисский листок», 1890, № 3, стр. 2.

ლიტერატურის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარეობს და ასეთ „გაჩხრეკვას“, „განხილვას“, „შეფასებას“ კარგის მეტი არაფერი შეუძლია მოიტანოს, მაგრამ ხელალებით იმის თქმა, რომ საბავშვო ჟურნალმა ყოველგვარ მეცნიერულზე უარი თქვასო, ეს იყო საბავშვო ჟურნალების ყალბი გზისკენ მიბიძგება.

„Новое обозрение“-ც ეხება რა ჟურნალ „ჭეჭილის“ გამოსვლას, აღნიშნავს, რომ ახალი წლის წინ გამოვიდა ქართული საბავშვო ჟურნალის „ჭეჭილის“ პირველი ნომერი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ჟურნალის გამოშვების შესახებ განცხადების წაეთხვისას, ჩვენ არაფრით არ გვეგონა, არ მოველოდით, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი რედაქცია შესძლებდა, ქართველი ბავშვები ასეთი ყოველმხრივ შესანიშნავი საჩუქრით გაეხარებინა, დაწყებული ჟურნალის გარეგანი შეხედულებით და დამთავრებული მისი შინაგანი ღირსებებით, ყველაფერი წინასწარ მეტყველებს მის მტკიცე და ბრწყინვალე მომავალზე. რამდენადაც ჩვენ გვახსოვს, ქართულ ენაზე ჯერ არ ყოფილა ასეთი შესანიშნავი გამოცემა ასე მონდომებულად და ასეთ შესანიშნავ ქალაღზე. რაც შეეხება მის შინაარსს, საკმარისია ითქვას, რომ პირველ ნომერში ექვსამდე ლექსი ეკუთვნის ისეთ ცნობილ ქართველ მწერალთა კალამს, როგორც აააკ. წერეთელი, ი. ჯავახიანი, რ. ერისთავი და სხვ. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.)

მასალების შერჩევა, ბავშვთა ასაკთან შეფარდების თვალსაზრისით ზუსტად ისეთივეა, როგორც მოთხრობების ენა, მთლიანად ლიტერატურული და დამუშავებული, უკეთესის სურვილი რომ არ შეიძლება.

დასურათება ჟურნალისა, ყოველ შემთხვევაში, არაფრით ჩამოუვარდება რუსული საბავშვო ჟურნალების ნახატებს.

საერთოდ, ყველაფერი მოწმობს ახალი ჟურნალის ხელმძღვანელის უნარზე, გემოვნებასა და მონდომებაზე. ჟურნალს მთელი სულით ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.<sup>1</sup>

საყმაწვილო ჟურნალების ბედზე, მის დანიშნულებასა და კეთილშობილურ მიზნებზე უთუოდ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ მ. ნასიძემ წერილში პედაგოგიური მოსაზრებანი“. თვით ამ წერილის სათაური მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა პოზიციიდან ცდილობს ავტორი განიხილოს ჟურნალი — მისი დანიშნულება, მიზანი, მასალები, რომლებიც მის ფურცელზეა მოთავსებული.

მ. ნასიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ საყმაწვილო წიგნები და ჟურნალები ჩვენზე უფრო დწინაურებულ ქვეყნებშიც ხშირად უყუ-

<sup>1</sup> «Новое обозрение». 1890, გვ. 2.

რადღებოდ არის მიგდებული, მაშინ როდესაც მათ ბავშვებზე მეტად დიდი ზეგავლენა აქვთ: უღვიძებთ მათ კეთილ-საიმედო ან ბოროტ-მისწრაფებასო.

ეს გარემოება საზოგადოებას ავალებს ფხიზლად ეჭიროს თვალი ამგვარი ლიტერატურისადმი და მისი განვითარება გარკვეულ კანონ-ზომიერებას დაუმორჩილოს.

მ. ნასიძე წერდა: „საყმაწვილო ყურნალი პედაგოგიური საქმეა. იგი უნდა ჰმშველიდეს მშობელს და აღმზრდელებს ბავშვების აღზრდაში და განათლებაში, სწავლებაში. როდესაც მამა თხოულობს შვილისათვის წიგნს, უთუოდ გეუბნებათ: „კარგი წიგნი მომეცი თო“. რა არის ეს „კარგი“? რას ნიშნავს? უეჭველად მას, რომ წიგნმა ასწავლოს რამე ბავშვს. თუ წიგნს აძლევს მშობელი ყრმას მხოლოდ გასართობად, მაინც მას სურს, რომ ეს გართობა იყოს სასარგებლო და არა მავნებელი. აქედამ ცხადათა ჩანს, რომ საყმაწვილო ყურნალი ორ უმთავრეს საგანს უნდა მისდევდეს: ა) აღზარდოს ბავშვი ზნეობრივად და ბ) შეჰმატოს ცოდნა და სწავლა“.<sup>1</sup>

მ. ნასიძე მოითხოვს, რომ ქართული საბავშვო ყურნალი, პირველ ყოვლისა, იყოს ეროვნული ხასიათისა, უამისოდ მისი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია არ შეიძლება სათანადო მოთხოვნის სიმალლეზე იდგეს.

სწორედ ეს ძირითადი მიზანი უნდა განსაზღვრავდეს საყმაწვილო ყურნალში მოთავსებული მასალების ხასიათს, შინაარსსა და თვისებას; სწორედ აქედან უნდა გამომდინარეობდეს საბავშვო ყურნალის ეროვნული ხასიათი, რაც აუცილებელი პირობაა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად.

ეს სწორი მითითება საყმაწვილო ყურნალის მუშაობის მიმართულების მ. ნასიძეს შემდეგი სიტყვებით აქვს გამოთქმული:

„საყმაწვილო ყურნალის მოვალეობაა უხატავდეს ბავშვს ნაცნობ სურათს, ნაცნობ გარემოს, ეხებოდეს ცხოვრებას, რომელშიაც ტრიალებს თვით ბავშვი. ბავშვის პატარა არსება გარემოცულია ათასგვარ შთაბეჭდილებათა მიერ: მათში ზოგს აქვს მაზედ კეთილი გავლენა, ზოგს მავნებელი. ბავშვი ვერ არჩევს ერთს მეორისაგან. ერთგვარად ემონება ერთსა და მეორესაც. აი აქ არის საჭირო წიგნი, ყურნალი, რომელიც მას უნდა ხელმძღვანელობდეს, უხსნიდეს ნაგრძნობ შთაბეჭდილებათა, აძაგებდეს ერთსა და აყუარებდეს მეორეს.

ამგვარი მოსაზრება საყმაწვილო ყურნალს სდებს ვალად, რომ იგი უთუოდ ეროვნული ხასიათისა იყო. ბავშვს არ აქვს ჭერ იმდენად გახსნილი ანალოგიური მსჯელობა, რომ შეეძლოს უცხო ერის ცხოვ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1884, № 4.

რებიდამ აღებული ფაქტების წარმოდგენა და შედარება მის ნანახთან და გაგონილთან. ეს ხშირად დიდებისათვისაც ძნელ საქმეს შეადგენს. მაშასადამე, საყმაწვილო ჟურნალმა თავის კატეხიზმის პირველ მუხლშივე უნდა ჩაიწეროს: სამშობლო ნიადაგი, ეროვნული ხასიათი!<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.)

ამგვარად, ახალი თაობის ზნეობრივად აღზრდისა, მათთვის სათანადო ცოდნის მიცემისა და სწავლისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია საბავშვო ჟურნალს ჰქონდეს ეროვნული ხასიათი, რაც ერთ-ერთი სასიცოცხლო საკითხთაგანია თვით ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის.

მ. ნასიძე მიაქცევს „ნობათის“ რედაქციის ყურადღებას სოციალური პრობლემისადმი და გამოთქვამს საყვედურს იმის გამო, რომ ჟურნალის ფურცლებზე ამ საკითხზე მხატვრული ნაწარმოებები არ იბეჭდება: „მართლაც და „ნობათმა“ ჩვენ ცხოვრებაში ჩიტების მეტი ვერა იპოვნა-რა? მისი წამკითხველი იფიქრებს, რომ ქართველი ბავშვები მართო ჩიტებს იპერენ და აფრენენ, სხვა არა იციან-რაო, არც უბედურებაა მათში, არც ბედნიერება, არც სიხარული, არც ამხანაგობა, ერთი სიტყვით არაფერი. სამ წიგნში თავს გაბეზრებენ ზედიზედ: 1. „საბრალო ჩიტი“, — ლილიპუტისა, 2. ჩიტი „თოხი-ტარა“ — აკაკისა, 3. „ჩიტი“ — რ. ერისთავისა, 4. „ჩიტი და ყმაწვილეპი“ — ცახელისა.<sup>2</sup>

მართალია, ყოველივე ეს კრიტიკოსს გამოთქმული აქვს „ნობათის“ II და III ნომრების მიმოხილვისას, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია, თუ საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა რაზე ამახვილებს ყურადღებას, რას უთითებს ხალხის ინტერესებისა და დროის მოთხოვნილების მიხედვით. აქ უკვე გარკვევით ჩანს, რომ კრიტიკოსისათვის იმდროინდელი მწვავე სოციალური საკითხებისაკენ ჟურნალის მობრუნება იყო ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა, ჟურნალის პირდაპირი მოვალეობა; არა მართო „ჩიტების“ დანახვა, არამედ ის მძიმე მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის დანახვა, ასახვა და ჩვენება იყო უმთავრესი, რომელშიც მაშინ ქართველი ხალხი იმყოფებოდა.

ასეთი საყოველთაო ყურადღება საბავშვო ჟურნალისადმი ბუნებრივი იყო, რადგან „საშვილიშვილო შენობის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჟურნალსა, რომლის ყოველი ნომერი ისევე ხანგრძლივად არსებობს, როგორც წიგნი. ყოველთვიური ჟურნალი ყოველ-წლივ აპლიდრებს ლიტერატურას თორმეტი ახალი წიგნებით, რომელიც ას

<sup>1</sup> „ივერია“, 1884, № 4.

<sup>2</sup> იქვე.



წლობით სტოცხლობს და გონებრივს საზრდოს აძლევს ერსა დიდო  
ხნობით... პერიოდულს ლიტერატურას დედა-ბოძს ყველგან შეად-  
გენდა და შეადგენს თვითი ჟურნალი“.<sup>1</sup>

იმდროინდელ ქართულ პრესაში გაცხოველებით იხილებოდა რო-  
გორც საბავშვო ჟურნალის დანიშნულების, ისე მისი შინაარსის ძირი-  
თადი პრობლემები, გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებების  
იდეურ-მხატვრული ღირებულება.

საბავშვო ჟურნალის შესახებ გომართელს საყურადღებო აზრები  
აქვს გამოთქმული ლ. ბოცვაძესთან პაექრობისას.<sup>2</sup> პირველ რიგში  
კრიტიკოსი მიესალმება საყმაწვილო ჟურნალის გამოსვლას და ამავე  
დროს თავის აზრს გამოთქვამს როგორც საბავშვო ლიტერატურის  
პრობლემატიკაზე, ისე, კერძოდ, საყმაწვილო ჟურნალის როლის, და-  
ნიშნულებისა და შინაარსის შესახებ.

კრიტიკოსი თავის შეხედულებას უკავშირებს გარკვეულ ვითარე-  
ბას; სხვა ქვეყნებში, სადაც მკითხველები ძლიერ ბევრია, შესაძლე-  
ბელია და აუცილებელიც, რომ არსებობდეს რამდენიმე საყმაწვილო  
ჟურნალი, რომელთაც ინტერესთა სფეროები ექნებათ ასაკობრივად  
მათთვის განკუთვნილი მკითხველების მიხედვით. ზოგი ჟურნალი გათ-  
ვალისწინებული იქნება პატარა ბავშვებისათვის, ზოგი უფრო მოზრ-  
დილი ყმაწვილებისათვის და ა. შ.

საქართველოში ჯერჯერობით, მხოლოდ ერთმა საყმაწვილო ჟურ-  
ნალმა იხეირა და ესეც კი დიდი ამბავია. ამის გამო ჩვენი საყმა-  
წვილო ჟურნალი იძულებულია ემსახუროს ბავშვებს რვა წლიდან მო-  
ყოლებული თოთხმეტ წლამდე.

ასეთ პირობებში კრიტიკოსი არკვევს, თუ რა მიზანს უნდა აღწევ-  
დეს საყმაწვილო ჟურნალი და წერს: „რა მიზანს უნდა მისდევდეს  
საყმაწვილო ჟურნალი? მან ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის აღზრდას  
და განათლებას; ამიტომ შინაარსიც მიზნის შესაფერისი უნდა ჰქონ-  
დეს. ბავშვის აღზრდაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შთაგონებას  
და მიმბაძველობას“.

შთაგონების წყარო, რასაკვირველია, მხოლოდ მაღალ ნიჭიერად  
დაწერილი საბავშვო ნაწარმოებები უნდა ყოფილიყო და ამავე დროს  
იგი ბუნებრივად შეიძლებოდა გამზდარიყო ბავშვისათვის მიბაძვის  
საგანი. ამ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოების გმირს ვგულისხმობთ,  
რომელსაც შეეძლო ბავშვის გატაცება, დაინტერესება.

ამ მიზნით მოთხრობა, როგორც პატარაც არ უნდა ყოფილიყო,  
აუცილებლად მასში უნდა ყოფილიყო ნაჩვენები გმირი და მოქმედება.

<sup>1</sup> „ივერია“, 1896, № 67.

<sup>2</sup> „კვალი“, 1899, № 14, ივ. გომართელის წერილი „შარშანდელი ჭეჭილის“ კრი-  
ტიკოსი“, გვ. 275—276.

ბავშვის ცნობიერებას, ინტერესს, მიზანსწრაფვას სწორედ ასეთი, თუნდაც პატარა მხატვრული ტექსტიც, სიტყვის ოსტატობით დაწერილი, აუცილებლად გარკვეულ მიმართულებას მისცემდა.

„საბავშვო ლიტერატურა კი არის მძლავრი საშუალება, რომელიც შთაგონებით მოქმედებს ბავშვზე. შთაგონებას კი მერე მოსდევს მიმბაძველობა. საბავშვო ჟურნალში შთაგონება ხელოვნური ფორმით უნდა იყოს ჩამოსხმული“.

ივანე გომართელი ავითარებს რა ამ მოსაზრებებს, ჟურნალის შინაარსის თავისებურებას ასე განსაზღვრავს;

„მისი შინაარსიც სამ ნაწილად უნდა იყოს დაყოფილი: I. — მოთხრობები, ლექსები, იგაეები და ზღაპრები. ამ ნაწილს შეუძლია, შთაგონებით იმოქმედოს ბავშვზე და მის აღზრდას ხელი შეუწყოს. პირველი ნაწილის ყოველი ნაწარმოები მარტივად და ადვილ-გასაგებათ უნდა უხატავდეს ბავშვს ისეთ მაგალითებს, რომლებსაც მან ან უნდა წაბაძოს, ან არა, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, რომ საყმაწვილო მოთხრობები მცირეოდნათ ტენდენციოზური იყოს, ხოლო ტენდენცია ისე არ გვესმის, ვითონ ავტორმა თვითონ უნდა შეთხზას ის, რაც ცხოვრებაში შეუძლებელია. ყოველი მოთხრობა, რომელიც ისეთ სურათს ხატავს, რაც ცხოვრებაში ხდება, მაგრამ იშვიათად, ტიპს არ შეადგენს, ტენდენციის ელემენტებს შეიცავს უსათუოდ.“

II ნაწილი საყმაწვილო ჟურნალისა უნდა შეიცავდეს: ისტორიას, ეტნოგრაფიას, მოგზაურობასა და ბიოგრაფიას. ამ ნაწილს ექნება ორგვარი მნიშვნელობა: ერთი მხრით, უჩვენებს ბავშვს წასაბაძვ ან გასაკიცხ მაგალითებს მეორე მხრივ სხვადა-სხვა საჭირო და ელემენტარულ ცოდნას შესძენს.

III ნაწილი დათმობილი უნდა ჰქონდეს ბუნების მეტყველებას ბოტანიკას, ზოოლოგიას, ფიზიოლოგიას, ასტრონომიას, მარტივ ფიზიკურ კანონებს და გეოლოგიას. მესამე ნაწილის მნიშვნელობა მხოლოდ ის იქნება, რომ ბავშვს სხვა-და-სხვა ელემენტარული ცოდნა შეძინოს. საყმაწვილო ჟურნალი უნდა აძლევდეს ბავშვს ჭეშმარიტ ცოდნას, მასში არ უნდა ჰქონდეს დათმობილი არაფერს, რაც მარტო რწმენაზე არის დამყარებული“.

ივანე გომართელის ზემოაღნიშნული მოსაზრებანი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მას საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით ჰქონდა წარმოდგენილი და საბავშვო ჟურნალს სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან საჭირო ჭეშმარიტი ცოდნის მიწოდებას უსახავდა მიზნად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგებოდა „ტფილისკი ლისტოკის“ „რჩევას“, რომ „საბავშვო ჟურნალი უნდა გაუბოლდეს ყოველგვარ მეცნიერულობას“.

„ნობათისა“ და „ჭეჯილის“ გამოცემასთან დაკავშირებით აქ მო-

ყვანილი ამონაწერები და მოსაზრებანი მათი შედარებისა და შეპირი-სპირების საფუძველზე აშკარად მეტყველებენ, როგორც რედაქცი-ების, ისე გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებებზე საბავ-შვო ჟურნალების მიზნის, შინაარსისა და ამოცანების შესახებ.

ჩვენ მხოლოდ ამ ორ საბავშვო ჟურნალზე მოგვიხდება შეჩერება და მხოლოდ ამავე ჟურნალების მხატვრულსა და მეცნიერულს, პედაგოგიური თხზულების ღირსება-ნაკლოვანებებზე მოგვიხდება შემ-დგომშიც ყურადღების გამახვილება. ეს იმიტომ, რომ ჩვენი კვლევის საზღვრები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრით არის შემოფარგ-ლული, ხოლო ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორ-ძინება-განვითარების ისტორიულ პროცესში პირველხარისხოვანი როლი სწორედ ზემოაღნიშნულმა პერიოდულმა გამოცემებმა ითა-მაშეს.

ჩვენ ამ ორი ქართული საბავშვო ჟურნალის დაბადების, მიზან-დასახულობისა და საზოგადოებრივი აზრის შესახებ მასალები ერთად იმიტომ მოვაქციეთ, რომ ამით, შედარების მეთოდის გამოყენებით, ნათელგვეყო მსგავსება თუ განსხვავებულობა მათი წარმოშობის პირ-ველი დღეებიდანვე მწერალთა და პედაგოგიური საზოგადოებრიობის შეფასების მიხედვითაც.

თანამიმდევრულად უნდა განვიხილოთ ჟურნალების არსებობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მომენტიც, რომელიც ჟურნალის სასი-ცოცხლო ინტერესებს შეადგენდა და რამაც გამოიწვია „ნობათის“ დახურვა და შემდეგ კი „ჭეჭილის“ დაბადება.

ეს მით უფრო აუცილებლად მიგვაჩნია, რადგან ახლად აღმოჩე-ნილი დოკუმენტი ჟურნალ „ნობათის“ არსებობას სულ სხვა მხრიდან ფენს სინათლეს. აკლის იმ ჩრდილს, რომელიც დღესაც აქვს მიყენე-ბული ზოგიერთის სუბიექტური მიდრეკილების შედეგად.<sup>1</sup>

-ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათი“ ცნობილია როგორც „პედაგოგიური ჟურნალი“. ეს განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, უშუალოდ გამომდინარეობდა უაღრესად ეროვნული ინტერესებიდან, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდასთან, სკოლებში მშობლიური ენის სწავლებასთან, სამშობლო ქვეყნის ისტორიულ წარსულისა და აწმყოს, და მომავლის ბედის ცოდნა-გაგებასთან სასიცოცხლოდ იყო დაკავ-შირებული.

<sup>1</sup> იხ. გაზ „ლიტერატურული საქართველო“ 1966 წ., № 9(1490), არჩილ ჩაჩიბაია, „ნობათი“ და მისი რედაქტორი“. გვ. 4.

ჟურნალის ამოცანას ამგვარად განსაზღვრავდა ის „პედაგოგიური დამატება“-ც, რომელიც „ნობათი“-ს მხატვრული თუ მეცნიერულ-გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო მასალების შემდეგ სპეციალურად იბეჭდებოდა თითქმის ყველა ნომერში.

ისეთი თემები, როგორცაა „ადამიანის ფიზიკური აღზრდა“, „ადამიანის აღზრდის საჭიროება და სიძნელე“, „ზრუნვა ადამიანის დაბადებამდის, ადამიანის დაბადების დროს“, „ზნეობითი წესიერების დაცვა სკოლაში“, „სამშობლო ენა“, „განმარტებითი კითხვა ქართული ენისა I და II გაკვეთილები“, „გაზაფხული“, „მეთოდური დამუშავება“, „წერა-კითხვის გაკვეთილები (5 გაკვეთილი)“, „სალმართო რკულის სწავლება“ და სხვ. აშკარად მეტყველებენ ჟურნალის პედაგოგიურ შინაარსზე, ეს თავის მხრივ მიუთითებდა იმაზეც, რომ საბავშვო მხატვრული ნაწარმოებებისა თუ სხვა სახის მასალების შექმნის საფუძველი უნდა ყოფილიყო აგრეთვე პედაგოგიური პრინციპები.

ზოგიერთი კრიტიკოსი ჟურნალის ფუნქციას მხოლოდ და მხოლოდ პედაგოგიური გაგებით განსაზღვრავდა,<sup>1</sup> მაგრამ ეს რომ მხოლოდ ასე ყოფილიყო, მაშინ „ნობათი“ თუ „ჭეჭილი“ ვერ შეასრულებდა იმ დიდ როლს, რომელიც მათ ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების საქმეში უნდა შეესრულებინათ.

ფაქტიურად ქართული საბავშვო ჟურნალები ითვალისწინებდნენ რა ახალი თაობის აღზრდის ეროვნულ ინტერესებს, ცდილობდნენ დასახული მიზნის განხორციელებას ორი საშუალებით: 1. მხატვრული სიტყვითა და 2. მშობელთა შორის პედაგოგიური მოძღვრების პროპაგანდით.

მხატვრული ნაწარმოებების, სხვადასხვა სახის პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური წერილების და მშობელთათვის პედაგოგიურ რჩევათა აღრევამ, ე. ი. ყოველივე ამის ერთ პატარა ჟურნალში თავმოყრამ,<sup>1</sup> მეტად გაართულა ჟურნალის საქმე. სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა მიზანდასახულობის პირთა ინტერესების გათვალისწინებამ რამდენადმე გააძნელა ჟურნალისათვის ერთი უმთავრესი და უძირითადესი ამოცანის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მაღალი იდეურ-მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის სისტემატური ბრძოლა.

„ყველაფრის მომცველი“ ჟურნალი „ყრმათათვის საკითხავი“ მხატვრული ჟურნალის ფუნქციას გასცდა და იგი უფრო წარმოადგენდა ყრმათათვის საკითხავი ნაწარმოებების, მშობლების და აღმზრდელებისადმი მიცემული დიდაქტიკური ხასიათისა და პედაგოგებისათვის მეთოდოლოგიური წერილების კომპლექსს, ვიდრე საბავშვო ლიტე-

<sup>1</sup> „დროება“, 1883, № 36.

რატურის მტკიცედ შემოსაზღვრულ ფარგლებში მოქცეულ შემოქმედებითი მუშაობის შედეგების ილუსტრაციას.

ამგვარმა განფენილობამ გამოიწვია ყურადღების გაფანტულობა, შემოქმედებითი ძალების მხატვრული სიტყვის ხელოვნებისადმი სათანადო კონცენტრაციის უქონლობა, რამაც საბოლოო ჯამში რამდენადმე შეამცირა ჟურნალის ის როლი, რომელიც მას ჰქონდა როგორც საბავშვო საყმაწვილო ორგანოს დაკისრებული ქართული საბავშვო მწერლობის განვითარების საქმეში.

მიუხედავად ამისა, ჟურნალმა „ნობათმა“, როგორც პირველმა საყმაწვილო ჟურნალმა, წარუშლელი კვალი დატოვა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში.

„ნობათის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ დიდ ესთეტიკურსა და მორალური ზემოქმედების ძალას როგორც საბავშვო პოეზიის, ისე საბავშვო პროზის სფეროდან.

ამ მხრივ, აღსანიშნავია „ნობათში“ გამოქვეყნებული ქართული პოეზიის ბულბულის აკაკის „ყმაწვილი და პეპელა“, „თოხიტარა“, ვაჟა-ფშაველას — „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ა. ყაზბეგის — „მტრედეები“, რ. ერისთავის „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „მიპატყევა სასწავლებელში“, ს. მგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდები“, ე. გაბაშვილის „როგორ მიეგება სიმონიკა ახალ წელს“, პ. ცახელის, ი. დავითაშვილისა და სხვათა ნაწარმოებები. ამასთან ანდერსენის, დიკენსის, გოეტეს, კარმენ სილვას და სხვათა ნათარგმნი ნაწარმოებები.

ჟურნალის ძირითადი პრობლემები იყო: 1. „სამშობლო ენის“ სწავლისა და „ზნეობრივი აღზრდის“ პრობლემები.

ჟურნალი სწორად აყენებს მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხს; „ერის ერთ თვით-არსებობის ელემენტს შეადგენს სამშობლო ენა — წერს ჟურნალი. — ისე ვერ განიმარტება სიტყვა ერი, რომ უპირველესად არ იხსენიოს: იგი არის კაცთა საზოგადოება, რომელიც ლაპარაკობს ერთ ენაზედ.

მაშასადამე, ამგვარი შეხედულებით სამშობლო ენა უნდა იყოს პირველი საგანი სასწავლებელში საზოგადოთ და სოფლის სკოლებში კერძოთ. იგი უნდა იყოს ბურჯი, ნიადაგი და ყოველი სხვა საგანი მას უნდა მოჰყვეს. ეს ჰაზრი ყოველი მასწავლებლის რწმუნებას უნდა შეადგენდეს. ეს უნდა შეადგენდეს ერთს მის მოვალეობათაგანს თვისი ერის წინაშე, თუ უნდა რომ მისმა ღვაწლმა მართალი და უტყუარი სარგებლობა მოუტანოს ხალხს, რომელსაც ემსახურება. მაგრამ მასწავლებელი, ამავე დროს არის პედაგოგი და, რასაკვირველია, უნდა ნათლად ჰქონდეს შეგნებული მისი მოთხოვნილებანი, იქნება

პედაგოგია უარს ჰყოფს სამშობლოს ენას, იქნებ ის ერთად ზოგიერთ ვაჟბატონებთან ამტკიცებს, რომ ენას საკუთარი შესწავლა არ უნდა სკოლაში, რომ იგი საკმაოდ შეისწავლება თვით ოჯახში და სკოლამ თავის მხრით სხვა საგნებს მისცეს უპირატესობა? იქნებ ვისმეს ძალიანაც ჰსურდეს, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ მათ სამწუხაროდ პედაგოგია თავისი უნიჭიერეს წარმომადგენელთ პირით სულ საწინააღმდეგოს ქადაგებს. მოიგონეთ ამოს კომენსკი, ბეკონი; გადმოდით პესტალოცზე და გაიხსენეთ პედაგოგ-პსიხოლოგი ბენი. მიჰხედეთ უშინსკის, ბარონ კორფს, ბუნაკოვს და თვით ჩვენ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს — თქვენ დარწმუნდებით იმაში, რომ ისინი სკოლას მარტო ერთსა სთხოვენ! შეასწავლეთ სამშობლო ენა, არითმეტიკა და ამ საგნების შემწეობით დააკვირეთ ბავშვი ბუნებას. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

ჩვენ კი რას ვხედავთ? ჩვენმა სოფლის სკოლის შაგირდმა ყველაფერი უნდა ისწავლოს. იმან ზედმიწევნით უნდა იცოდეს გარდა სამშობლო ენისა, მათემატიკისა და რუსული ენისა, — ბუნების მეცნიერებაც, ისტორიაც, როგორც საღმთო ისე საერთო, და სხვადასხვა“.<sup>1</sup>

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს ჟურნალის გაბედული დაპირისპირება „ისეთ ვაჟბატონებთან“, რომელნიც „ამტკიცებდნენ“ სამშობლო ენას სკოლაში შესწავლა არ უნდა და ირონიულად იმასაც აღნიშნავენ, რომ „იქნებ ვინმეს ძალიანაც ჰსურდესო, რომ ეს ასე იყოს“ და სხვა, მაგრამ იშველიებენ რა მოწინავე პედაგოგიკურ აზრს, ჟურნალი „ნობათი“ მშობლიური ენის სწავლების ქომაგი გამოდის და იმასაც ხაზს უსვამს, რომ სკოლაში ყოველი მეტი საგნის შეტანა, უთუოდ ხელს შეუშლის, დროს წაართმევს და შეაფერხებს სამშობლო ენის შესწავლას.

ჟურნალი ავითარებს შემდეგ მოსაზრებას: „ერთის სიტყვით, ასე შინჯავს სავანს თუ ისე, გამოდის, რომ სამშობლო ენა ყოფილა ქვაკუთხედი, დედა ბოძი სახალხო სკოლის პროგრამისა. მის შესასწავლად არა კმარა, რომ საგნები ისწავლებოდეს, სამშობლო ენაზედ. რამდენიც გინდათ ასწავლეთ გეოგრაფია და ისტორია ქართულად. მაინც ამით თქვენ ენის გრამატიკულ კანონებს ვერ შეასწავლით. აქედამ კიდევ ისა ჩანს, რომ არა თუ საგნები უნდა ისწავლებოდეს სამშობლო ენაზედ და მით ემზადებოდეს ამას მასალა, არამედ თვით ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი“... ამას გარდა, აუცილებელი საჭიროებაა

<sup>1</sup> „ნობათი“, 1884, № 1, გვ. 20—21.

ჩვენთვის რუსული ენის შესწავლაც. და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყმაწვილი განვითარებულია თვის სამშობლო ენაზე“.<sup>1</sup>

მაშასადამე, სამართლიანად მოითხოვს ქურნალი „ნობათი“, რომ მშობლიური ენა სკოლებში როგორც სასწავლო დისციპლინა ცალკე საგნად ისწავლებოდეს.

საბჭევო ქურნალი ამ დიდ ეროვნულ საქმეში მტკიცედ ადგა იაკობ გოგებაშვილის მიერ მითითებულ გზას — ეროვნების ბურჯის დედა ენის ღრმად ცოდნა არის საფუძველი როგორც საგნების ცოდნისა, ისე სხვა ენების შესწავლისათვის.

ამ ენათა შორის პირველ რიგში იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა რუსული ენის შეგნებულად და მტკიცედ შეთვისებას, რადგან მისი ცოდნა მიაჩნდა „უდიდეს სიკეთედ ყველა კავკასიელათათვის“. სწამდა, რომ ამ ენით შეუძლიათ „ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას“. ამიტომ მან დიდი სიყვარულით შექმნა რუსული ენის სახელმძღვანელო — „რუსსკოე სლოვო“ ქართული დაწყებითი სკოლებისათვის.

ქურნალ „ნობათის“ მიერ წამოჭრილი მეორე პედაგოგიკური პრობლემა ეს ახალი თაობის ზნეობრივი აღზრდის პრობლემაა, რომელსაც იგი უკავშირებს როგორც დამოკიდებულ ფაქტორს „იმ პირთა ზნეობით გავლენაზე, რომელთაც მოსწავლეთა გონებითა და ზნეობრივი აღზრდის მოვალეობა უკისრიათ“.<sup>2</sup>

მოსწავლეთა „ზნეობით აღზრდაში“ უმთავრეს, გადამწყვეტ როლს მასწავლებელს, როგორ აღმზრდელს, აკეთენებს:

მიუთითებს რა მავნე ჩვევებზე, რომელიც გვხვდება მოსწავლეებში, კერძოდ, „ენატანიანობა“, „ცრუობა“, თვალთმაქცობა და ფარისევლობა, „გაიძვერთბა“, — აუცილებლად უნდა მოისპოს. ეს კი შეიძლება მივალწიოთ იმ შემთხვევაში, თუკი „ყმაწვილები სრულის თავისუფლებაში იქნებიან აღზრდილნი“, მაგრამ „თავისუფლება უნდა იქნეს... მზრუნველობისა და საზოგადოდ, აღმზრდელების ზედამხედველობის ქვეშ, რომელთაც უნდა თვალყური ადევნონ და აძლიერონ მხოლოდ საჭირო მიმართულება“.<sup>3</sup>

ზნეობრივი აღზრდის აუცილებელი პირობაა გამოვიკვლიოთ ის მიზეზი, რომელმაც დაბადა ყმაწვილის რომელიმე დანაშაული ან ცუდი ზნეობა.

მაშასადამე, პირველ რიგში, იმ ობიექტური მიზეზების გამოცნობა,

<sup>1</sup> „ნობათი“, 1884. № 1, გვ. 20—21.

<sup>2</sup> იქვე, № 5—6.

<sup>3</sup> იქვე.

შესწავლა არის მთავარი, რომელიც წყაროა ყმაწვილის ყოველგვარი ცუდის ქცევისა და მის წინააღმდეგ სათანადო ღონისძიების მიღება.

ამის გამო პედაგოგიური რჩევაც ასეა ჩამოყალიბებული: „ჩვენ ხშირად მარტო გარეგნობითი მიზეზებით, ფაქტებით ვკმაყოფილდებით და დაჟინებით ვცდილობთ დასჯასა, მაშინ როდესაც საჭიროა ღირსეულად გამოვიკვლიოთ და განვსაჯოთ რომელიმე დანაშაულობა ყმაწვილისა და ამის დაგვარად მივსცეთ მას ღირსეული ზნეობითი დარიგება; მხოლოდ ამ გვარი დარიგება უნდა გვექონდეს ერთად-ერთ საშუალებად იმ შემთხვევაში, მხოლოდ ამ წესით, უფრო ჩქარა და ძირიანად შეიძლება მოვსპოთ ყოველი ცუდი ხასიათი ყმაწვილებში“.<sup>1</sup>

იშველიებს რა ბეკონის აზრს „ჰცხოვრობდეთ ქვეყანაზედ მუყაითად, დაუკვირდით მას ყოველის თქვენის გონებითა და ეცადეთ შეისწავლოთ იგი — მხოლოდ მაშინ შეიძლებთ თქვენ მაზედ ბატონობას“ — უკეთებს თავისებურ ინტერპრეტაციას — თუ ჩვენ შევძელით ყმაწვილის ბუნების შესწავლა, მხოლოდ მაშინ მივალწევთ მასზე საჭირო ზემოქმედებას, მხოლოდ მაშინ შევძლებთ სათანადო გავლენის მოხდენას.

ჩერდება რა ბავშვის აღზრდაზე მოქმედი ორი ფაქტორის: 1. ყმაწვილის ბუნებისა და 2. აღმზრდელი წრის თავისებურებაზე, რომელიც „ხალხის ჩვეულების მოთხოვნების-დაგვარად არსებობს“, განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მეორე ფაქტორზე მიაქცევს, რადგან თელის, რომ სწორედ ეს უკანასკნელი არის „ერთსა და იმავედროს — ბუდე ყოველგვარი ვნებისა“ და იმოწმებს ჟან-ჟაკ რუსოს.

ამის გამო აუცილებლად მიაჩნია ყმაწვილი პატარაობიდანვე... მიხვედრილ იყვეს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ არის დამაბრკოლებელი, რომლების დამორჩილება ე. ი. თავიდან აშორება მან თვითონვე უნდა შესძლოს“.

ჟურნალი „ნობათი“ თანდათან გვევლინება ახალი თაობის რელიგიური აღზრდის ქომაგადაც.

ამას ადასტურებს არა მარტო ის ფაქტი, რომ ჟურნალის ფურცლებზე სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილი წერილი იბეჭდებოდა. არამედ თვით ჟურნალის რედაქციის ოფიციალური განცხადებაც, რომელიც წერილს „საღმრთო რჯულის სწავლებას“ განმარტების სახით თან ერთვის.

აი, ეს ოფიციალური აზრი და შეხედულება, რომელიც რელიგიური აღზრდის საკითხთან ჟურნალის რედაქციის დამოკიდებულებას ადასტურებს: „ჩვენ მივიღეთ ერთი სოფლის მასწავლებლისაგან თხოვნა „ნობათი“-ს ერთ-ერთ წიგნში ამ საგნის შესახებ სტატია დაგვე-

<sup>1</sup> „ნობათი“, 1884, № 5—6.



ბეკდა. ვასრულებთ ამ თხოვნას პატივცემული ჩვენი თანამშრომლის, ბ. წყალტუბოელის შემწეობით და ამ თავად ვებეჭდავთ ზემომოყვანილ სტატიას, სადაც მკითხველი გაიცნობს საზოგადო ჩვენს აზრს ამ საგნის სწავლების შესახებ (საზ-ს გასმა ჩემია, ა. ჩ.). რედაქცია ეცდება შემდეგში საღმრთო რკულის სწავლების სამაგალითო გაკვეთილებიც დაბეჭდოს“<sup>1</sup>.

წერილის ავტორი ადასტურებს, რომ საღმრთო რკულის სწავლება მეტად უძნელესი საქმეა და ამიტომ ამ საგანს დიდი ყურადღება უნდა მიექცესო. ამასთან ის, რასაც ხაზს უსვამს, ყმაწვილებმა უნდა ისწავლონ ადგილობრივი, ე. ი. ეროვნული წმინდანები.

მიაჩნია რა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ქართული, ადგილობრივი წმინდანებაც ცხოვრების შესწავლას, საღმრთო რკულის დღემდე არსებული წიგნების სერიოზულ ნაკლოვანებად სწორედ იმას თვლის, რომ ამ წიგნში „მაგალითად მოქცეულია თითქმის ყველა ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიის მოთხრობები და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩვენი ადგილობრივი წმინდანებზე; ასე რომ, შეიძლება როცა ყმაწვილი კურსს ასრულებს, იცოდეს, ვინ იყვნენ ებრაელების პატრიარქები, მსაჯულები, წინასწარმეტყველები, მღვდელმთავრები, მეფეები და სხვ. მაგრამ ჩვენი ხალხისათვის ისეთი შესანიშნავი წმინდანები, როგორც არიან, მაგ. ქართველი განმანათლებელი წმ. ნინო, წმ. მოწამე დედოფალი; ქეთევახი, დავით აღმაშენებელი, რომლებმაც იმოდენა ღვაწლი დასდო ჩვენს ეკლესიას, მოწამენი დავით და კონსტანტინე და სხვა, სრულიად არაფერი არ იცოდეს მან“<sup>2</sup>.

წერილის ავტორი მოითხოვს მოსწავლეებს ასწავლონ „ვინ და როგორ მოიქცა და განანათლა საქართველო ქრისტეს სარწმუნოებით, ვინ არიან საქართველოს ეკლესიის გამოჩენილი და შესანიშნავი წმინდანები და რა ღვაწლი დასდეს იმათ ჩვენ ეკლესიას“<sup>3</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აუცილებელია გლეხის შვილებმა საღმრთო რკულიდან იცოდნენ მოთხრობები ჩვენი ადგილობრივი ეკლესიის უმთავრეს წმინდანებზე.

ასე რომ, ეურნალ „ნობათს“ როგორც მხატვრულსა, ისე პედაგო-

<sup>1</sup> „ნობათი“, 1884, № 7-8-9.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

გიურს რელიგიური ხასიათის წერილების საფუძვლად ეროვნული მასალების გამოყენება მიაჩნია უპირველეს ამოცანად.

და პრაქტიკულადაც ჟურნალის მუშაობა ამ მიმართულებით იყო წარმართული.



როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალ „ნობათი“-ს გამოსვლას ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი საზოგადოებრიობა.

რა თქმა უნდა, ისე როგორც ყოველ საქმეში, პირველად გადადგმული ნაბიჯი ბევრ სიძნელეს აწყდება, უწინაპრო ახალი საქმე ნიადაგის მოსინჯვისას, ექსპერიმენტების სავარაუდო შედეგებში, ზოგჯერ მტკიცედ ფეხმოკიდებული არ არის. ამის გამო, მას თან სდევს სუსტი მხარეებიც, გარკვეული ნაკლოვანებანი, მაგრამ ის ფაქტი, რომ პირველს უხდებოდა გზის გაკაფვა, ღუმილის დარღვევა, სიძნელეების დაძლევა, ბუნებრივად უმსუბუქებს მას თუნდაც შეცდომას, რომელიც შეიძლებოდა დაეშვა.

ვფიქრობთ, ობიექტურობა მოითხოვს ამ პოზიციებიდან განვიხილოთ პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის როლი ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

ლენინგრადის სახელმწიფო არქივში ჩვენ მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი ჟურნალის რედაქტორის ანდ. ლულაძის საქმიანობას და ჟურნალის დახურვის დღემდე უცნობ მხარეს ახალი კუთხით ფენს ერთგვარ სინათლეს.

ანდ. ლულაძის მოქმედება იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ<sup>1</sup> იყო მისგან მოუტევებელი დიდი შეცდომა, რომელმაც ქართული ინტელიგენციაში, საზოგადოებაში სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

ის შეხედულება, რომელიც გავრცელდა ანდ. ლულაძის მისამართით და მას ახასიათებდა რედაქტორობისათვის როგორც შეუფერებელ პიროვნებას, სათავეებს იღებს მის მიერ ი. გოგებაშვილთან ატეხილ კონფლიქტში.

ამ კონფლიქტის ხასიათს, ვფიქრობთ, ცხადს გახდის ქვემოთ მოყვანილი პატარა ამონაწერი იმ დოკუმენტიდან, რომელსაც ეწოდება „მედიატორთა განჩინება ბ. ბ. გოგებაშვილის და ლულაძის პოლემიკას შესახებ“. ის, სხვათა შორის, თვით ჟურნალ „ნობათში“-ც დაიბეჭდა<sup>2</sup>, რომელსაც ანდ. ლულაძემ თავისი განმარტებაც დაურთო:

<sup>1</sup> იხ. „დროება“, 1884, № 200, 203, 263, 264, 266 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. „ნობათი“, 1885, № 2, „ნობათის დამატება“.

1. „გარჩევა „კონისა“ დაბეჭდილი ჟურნალს „ნობათში“, ვერ ესცანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად. ის არის დაწერილი ცხადის განზრახვით დაამციროს უსამართლოდ, როგორც „კონა“. ისე უვითონ მისი ავტორი საზოგადოების თვალში და დასდოს ლაქი მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულ ღვაწლს. კრიტიკულს წერილში არის ისეთი ადგილები და სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალოს შეუსაბამოდ, არასაკმარისად შეუწყნარებლად ბეჭდვით სიტყვაში. მეტადრე საყმაწვილო პედაგოგიურ ჟურნალში, და საწყენად და კიცხვად, „კონას“ ავტორისათვის.

3. ბ. გოგებაშვილის საბაასო წერილს აქვს პიროვნული ხასიათი. მასში ხშირად არის ნახმარი მედიდური და დამამცირებელი სიტყვები და ფრაზები, რომელთაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ლულაძემ თავისი უსაფუძვლო და ბოროტ განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის პედაგოგიურის და ლიტერატურულის ხანგრძლივის, ფრიად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და ახალი მოზარდის თაობის წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებია მას იმ გვარი კილო თავის პასუხში, ვით უფრო, რომ კილო ბ. ლულაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ზომიერია“.

ამ ამონაწერიდან ირკვევა როგორც კონფლიქტის შინაარსი, ისე ა. ლულაძესა და ი. გოგებაშვილს შორის გამწვავებული ურთიერთობა.

ი. გოგებაშვილი, როგორც პრინციპული, შეუპოვარი და თანამიმდევრული, უსამართლო კრიტიკის ავტორს ძალიან მკაცრად მოექცა და ისეთ პიროვნებად დასახა იგი, რომელიც შემდეგ ა. ლულაძის სახელს დღესაც არ ჩამოსცილებია.

ი. გოგებაშვილი წერდა „დროებაში“ (№ 264), რომ „ბ. ლულაძე, როგორც განუვითარებელი პირი, შეუძლებელი რედაქტორია და ყოველად გამოუსადეგარი მასწავლებელი სახელოსნო სკოლისა, მან უთუოდ უნდა გადასცეს ეს ორივე თანამდებობა ნასწავლს და განუვითარებულს ქართველებსა (თუნდ, მაგალითად ვსთქვათ თვით „კონის“ შემდგენელს)...“

ამის შემდეგ ა. ლულაძეს მიმართ ყველა განაწყენებული პირი არ ერიდებოდა მისი მისამართით ეთქვა: „განუვითარებელი“, „შეუფერებელი რედაქტორი“, „გამოუსადეგარი მასწავლებელი“ და სხვ. მაგალითად, ან. ჯაბადარი მეტად მუქ ფერებში სახავს „ნობათის“ რედაქტორის სახეს თავის მოგონებაში<sup>1</sup>.

ამის გავი, უყურადღებოდ დარჩა ანდრია ლულაძის ღვაწლი, რო-

<sup>1</sup> „მნათობი“, 1934, № 1-2.

გორც ქართული საბავშვო ჟურნალისათვის თავდადებული მუშაკის, რომელსაც უხდებოდა ბრძოლა საცენზურო კომიტეტთან „ნობათის“ დაარსების პირველი დღიდანვე, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ირკვევა.<sup>1</sup>

ვფიქრობთ, საცენზურო კომიტეტიდან შეზღუდვებს იწვევდა ჟურნალის სწორედ ის ძირითადი მიმართულება, რომელიც „ნობათში“ დაბეჭდილ ან დასაბეჭდად გამზადებულ მხატვრულ თუ არამხატვრულ, რელიგიურ ხასიათის წერილებსა თუ მკითხველებისადმი მიმართვაში კარგად ჩანდა როგორც რედაქტორის — ანდ. ლულაძის მიერ ეროვნული ინტერესების ყველაზე მაღლა დაყენება.

ცენზურის სისასტიკეზე აკაკი თავის მოგონებაში შემდეგს აღნიშნავს: „ჩემ სიცოცხლეში, ცხადად თუ სიზმრად, ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად, და საფლავშიაც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ „ცენზურაზე“, ვინც მომსწრე არ არის და არ გამოუცდია. იმას პატივად ვაგონებთ წარმოდგენაც არ შეუძლია მისი; თუ რა იყო წინეთ ის საოცარი“ „ცენზურა!“<sup>2</sup> (ხაზის გასმა ჩვეთა. ა. ჩ.).

რასაკერძეელია, ცენზურა ანდ. ლულაძეს არ აძლევდა უფლებას ეროვნული ინტერესების შემცველი ნაწარმოებები ან წერილები დაებეჭდა: თუმცა „ძალა აღმართს ხნავს“, ანდ. ლულაძე მტკიცედ აცხადებდა „ჩვენ ჩვენსას აღარ მოვიშლით“. ამიტომ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ანდ. ლულაძე, სასტიკ საცენზურო პირობებში, რამ-

<sup>1</sup> ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჟურნალ „ნობათის“ გამოცემას დაბრკოლება შეექმნა სწორედ იმ დროიდან, რაც იაკობ გოგებაშვილმა ანდ. ლულაძის წინააღმდეგ წერილი დასტამბა. მაგალითად, ანდ. ლეინიაშვილი წერს: „ეს დაბრკოლება და „სული ამოხდა“ დაიწყო იმ გამოლაშქრებიდან, რომელიც გაუმართა ლულაძეს იაკობ გოგებაშვილმა“ (იხ. ანდ. ლეინიაშვილი „ქართული საბავშვო ლიტერატურა“, 1934, გვ. 47). ეს სინამდვილეს არ შეუფერება იური გარემოების გამო: 1. კონფლიქტი გოგებაშვილთან დაიწყო მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ანდ. ლულაძის რეცენზია „კონას“ შესახებ, მაგრამ ჟურნალის შევიწროებაზე ანდ. ლულაძე მანამდე აცნობებდა საზოგადოებას — „ძალა აღმართს ხნავს“. „დამოუკიდებელი თავისუფალი შრომა ისევე ასასრულებელია“ და სხვ. 2. ჩვენ ვფიქრობთ, იმის მტკიცება, რომ პირველი ეროვნული საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ „სულის ამოხდა“ დაიწყო ანდ. ლულაძის მიმართ ი. გოგებაშვილის გამოლაშქრებიდან, სხვა არა იყოს რა, დიდი პედაგოგის შეურაცხყოფელი განცხადებაა.

ასევე შეიძლება ითქვას თ. ჭიბლაძის მიმართაც, რომელიც ფაქტიური ვითარების ობიექტური ანალიზის გარეშე, ალ. ჭაბადარის „მოგონებებს“ მინდობილი, უსამართლოდ ახასიათებს ანდ. ლულაძის საქმიანობას (იხ. თ. ჭიბლაძე, „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის“, 1959, გვ. 103-104).

<sup>2</sup> „საქართველო“, 1908, № 3.

დენადაც ეს მას შეეძლო, ნამდვილად იბრძოდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის.<sup>1</sup>

მაგრამ ამ დოკუმენტის გაშოქვეყნებამდე გვინდა აღნიშნოთ, რომ ანდ. ლულაძე სხვადასხვა ფორმით მაინც ახერხებდა არსებული შკაც-რი საცენზურო რეჟიმის მიმართ ბოღმა გადმონთხია ისე, რომ ხალხის გულშემატიკივრებს მაინც ეგრძნოთ ის წუხილი, რომლის ოფიციალურად გამომქლავებებს იგი გარკვეული პოლიტიკური მიზეზით, ალბათ, ვერ ახერხებდა.

აი, ფაქტიური მასალები, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის მაინც მიზნიშნებელი უნდა ყოფილიყო იმ მძიმე ვითარებისა, რომელიც საცენზურო კომიტეტთან ექმნებოდა, როგორც ქურნალის რედაქტორს:

I. 1884 წ. № III; სარჩევში, სადაც ჩვეულებრივად აღნიშნულია ქურნალში დაბეჭდილი მასალების სათაურები და მისი ავტორები, წერია შემდეგი:

„XI მიუტევებელი დანაშაულობა. იაკობ სვიმონისძისა 41“, რაც იპას ნიშნავს, რომ იაკობ სვიმონისძის (ე. ი. იაკობ გოგებაშვილის) ეს სტატია 41-ე გვერდზეა დაბეჭდილი, მაგრამ ფაქტიურად იგი ქურნალის ამ ნომრიდანა ამოღებულია, არ დაბეჭდილა. ცენზურამ აპოილო.<sup>2</sup>

II. 1884 წ. № VI; რედაქცია ოფიციალურად ბოდიშს იხდის დაგვიანებით ქურნალის დაბეჭდვისათვის, ასახელებს რა თავის გასამართლებელ მიზეზებს, მათ შორის ნათქვამია: „ამ ბევრთაგან საკმარისია მხოლოდ ერთი უმთავრესი დაეუსახელოთ მას, რომ სრულიად დავითანხმოთ. ეს მიზეზია დამოუკიდებელი, თავისუფალი შრომა, რომელიც ჩვენს ხდგომარეობაში, ბევრად თუ ცუდად, ძნელი ასასრულე-

<sup>1</sup> საგულისხმოა ა. ლულაძის შენიშვნა (1886 წ.) იმ გარემოებაზე, რის გამოც „ყოველს საქმეს ჩვენში, სადაც საზოგადოების დახმარება ეპირება, ფრთხილ ეკვეცება და ბოლოს ერთ ადგილას ვარდება“. ეს იყო აგრეთვე ის უმთავრესი მიზეზი, რასაც ან. ლულაძე წუხილით მაინიშნებდა მკობხველს, „რომ იშვითია ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს „გადაასხვაფეროს საზოგადოებრივი ცხოვრება“.

<sup>2</sup> „ი. გოგებაშვილმა 1884 წ. 14 აპრილს წერილობითი თხოვნით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს მისი სტატიის „მიუტევებელი დანაშაულის“ ქურნალ „ნობათი-დან“ ამოღების გამო, სადაც იგი ითხოვდა ამ სტატიის ქურნალ „ნობათში“ ან სხვა ლიტერატურულ ორგანოში დაბეჭდვას, ამასთან იგი იქვე იძლევა ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რა უმთავრესი აზრია ამ წერილში გატარებული: — ოჯახში უპირველეს ყოვლისა, უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ენა, რადგან იგი აუცილებელია ბავშვის როგორც სწორი გნვითარებისა, ისე სახელმწიფო და უცხო ენების შეგნებულად და მტკიცედ შესწავლისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ შკაცრი საცენზურო რეჟიმი ი. გოგებაშვილს ბევრ უსიამოვნებას აყენებდა; მაგალითად, ცნობილია, რომ საცენზურო კომიტეტმა „ბუნების კარში“ ტერმინი „საქართველოს“ ხმარებაც კი აუკრძალა (საქ. -ცსსა, ფონდი 480).

ბელია, მეტადრე მამინ, როცა მატერიალურ საშუალებასაც მოკლებულია“...

შემდეგ რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავს სხვა დაფარული ვითარების მიმნიშნებელ ფაქტზე მეტად შენიღბულად: რედაქციას „თავის ძალღონე მხოლოდ იმაზედ აქვს მიქცეული, რომ ამ გვარი დაგვიანება აიცილოს, მაგრამ რასა იქმ კაცი, იქ, სადაც „ძალა აღმართსა ხნავს“.

III. 1884 წ. № X. XI, XII, დაბეჭდილია წერილი სათაურით „რედაქციისაგან“, სადაც ნათქვამია: „ამ წიგნით ვათავებთ 1884 წ. „ნობათის“ გამოცემას. წინათაც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ბევრი, ძალიან ბევრი მოსალოდნელიცაა და მოულოდნელიც — დამაბრკოლებელი მიზეზები დაუხვდა წინ ამ უიღბლოდ დაბადებულს ჟურნალსა; ეს მიზეზებია, რომელნიც ისე გარს შემოჰხვევიან მას, რომ ლამის სული აშოაძროხ. საერთოდ ყველა მკითხველს შეუძლია ნათლად გაარკვიოს ეს მიზეზები, ამიტომ არც ესციდილობდით ამის ახსნას“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

IV. 1885 წ. № 1 ჟურნალის რედაქტორი ანდ. ლულაძე მკითხველებისადმი მიმართულ წერილში აღნიშნავს: „რედაქციათ თავის დაპირება, რაც მის ხელთაგან შესაძლო იყო, საკმაოდ დასრულა, მიუხედავად იმისა, რომ მას წარსულში, მთელი თავისი არსებობის დროს, ბევრი დამაბრკოლებელი გარემოებები ჰქონდა გარს-შემოხვეული...“

მთელი ჩვენი ყურადღება და ძალა იმაზედ იქნება მიქცეული, რომ ჟურნალი „ნობათი“ მოჰვაღწეოს სასარგებლო და ამით საყვარელი საკითხავი წიგნი იქნეს ქართველების იმ ოჯახებში. სადაც თავის შამულის საკეთილდღეოდ დაბადებად ზნეობრივი და ბუნებით აღზრდა აქვს საშუალება.

არავითარი, მართლაც ბოროტი და უკუღმართი განზრახვანი და გამოლაშქრება ზოგიერთ ვითომც კეთილ-სინდისიერ მოღვაწეთა, ჩვენს პირ-და-პირ-მოვალეობასა და სიმართლეს ვერ აგვაცდენს. ჩვენ ჩვენსას არ მოვიშლით.

ერთი უნდა გვახსოვდეს, რომ „ყოველ აჩეჩს თავისი მაჩეჩი მოსდევს“. „სადაც თაფლია, იქ ბუზიც არ მოაკლდება“, საჭიროა მხოლოდ დაუღალავად ვიგერიოთ ისინი, სანამ დრო ზამთრისა მოვიდოდეს, როცა საზოგადოდ მათი კაპკანებაც კი არ იქნება, არა თუ მათი მუღამ განუწყვეტელი ბზუილი“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

V. 1885 წ. № 11, ვიქტორ ჰიუგოსადმი მიძღვნილ წერილში ჟურ-

ნალის რედაქტორს ძლიერ მოხერხებულად აქვს შეპარული ის აზრი, რაც წინა ნომრებში მხოლოდ გადაკრულად, მიმნიშნებლად, ქვეტექსტებში ჰქონდა ჩაქსოვილი ...უძველეს დროიდგან ესე არის, რომ პოეზია და პოლიტიკა არასდროს არ მოთავსებულან და ყოველთვის ერთი მეორის ხელის შეშლელნი ყოფილან“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.). ამ შემთხვევაში ა. ლულაძემ სუსხიან რეჟიმზე, თქვა მხოლოდ მინიშნებითი ის, რის ოფიციალურად თქმა ან დაბეჭდვა გასაგები მიზეზებით არ შეეძლო პირდაპირ ეთქვა ან დაებეჭდა<sup>1</sup>.

ამ ამონაწერებიდან ჩანს საიდუმლოდ მოცული ის მძიბე ატმოსფერო, რომელშიც იმყოფებოდა „ნობათის“ რედაქცია და პირადად მისი რედაქტორი ანდ. ლულაძე.

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მისი საზოგადოებრივი საქმიანობა, როგორც რედაქტორ-გამომცემლისა, რომელიც სისტემატურად განიცდიდა „ზემოდან“ შევიწროებას, ხელისშეწყობას, ყურნალის გამოცემაში შეფერხებას.

ძართალია, ყოველივე ეს ანდ. ლულაძემ პირდაპირი მისამართით ვერ თქვა და იმზნად არც შეეძლო მას ოფიციალურად ეთქვა გარკვეული მოსაზრებით, მაგრამ რაც მოასერხა, სხვადასხვა ფორმით გულში დაგუბებული ბოდმის მიმნიშნებლად თქვა, — ზოგჯერ ყურნალის დაგვიანებით გამოსვლასთან დაკავშირებით. ზოგჯერ გამოჩენილი პირისადმი მიძღვნილ წერილში ჩართვით. ეს კი ადასტურებს მის ბრძოლას ყურნალის ეროვნული ხასიათის დაცვისათვის.

---

<sup>1</sup> ეს ამონაწერი სხვა მხრივაც საყურადღებოა, რადგან იგი ამავე დროს კარგად გამოხატავს ანდ. ლულაძის შეხედულებას პოეზიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

თუ ამ ასპექტითაც განვიხილავთ ანდ. ლულაძის შეხედულებას, გამოდის, რომ ხელოვნება, პოეზია საზოგადოებრივი ცხოვრების იდეურ-პოლიტიკურ ვითარებასთან არავითარ კავშირში არ უნდა იყოს, ისინი ერთიმეორის ხელისშეშლელნი არიან. ასე, რომ პოეზიას „თავის გზა“ აქვს და საზოგადოებრივ ცხოვრებას თავისი. ეს შეხედულება უხალფედება თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

თუ ამ ამონაწერიდან სიტყვებში „პოეზია და პოლიტიკა“ უნდა ვიგულისხმოთ, ერთი მხრივ, მწერლობა და მეორე მხრივ „პოლიტიკა“, როგორც მმართველი ხელისუფლების ნებასურვილი, მაშინ ა. ლულაძე ხაზს უსვამს მათს ანტაგონიზმს. ისტორიულად ცნობილია, რომ მმართველი ხელისუფლების სიძაქტეს პროგრესული იდეები ყოველთვის არღვევდა (თუმცა სიცოცხლის ფასად) და მოწინავე იდეები, რითაც პოეზია იყო გაფლენილი, ეუფლებოდა მასებს, რაზმავდა მათ უხეში ძალის წინააღმდეგ. მოგვიანებით ა. ლულაძე დარწმუნდა იმაში, რომ პოეზია, ხელოვნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარეშე არ არსებობს; თუ ეს კონცეფცია ეურნალ „ნობათს“ 1883-85 წწ. საფუძვლად არ ედგაქ 1904 წ. მის მიერ განზრახულ ახალი ორგანოს დაარსებისათვის გამოთხოვნილ თხოვნას, რომელსაც თან ერთოვდა ილუსტრირებული ეურნალის გეგმა, მასში გარკვევით შეუტანია „პოლიტიკური ცხოვრება“, თუმცა ცენზორის მიერ იგი გეგმიდან ამოშლილ იქნა.

ის ფაქტი, რომ

ა) ჟურნალში არ დაიბეჭდა იაკობ სვიმონისძის „მიუტევებელი დანაშაულობა“;

ბ) ჟურნალი თავის დროზე ვერ გამოვიდა, რადგან დამოუკიდებელი და თავისუფალი შრომა თითქმის შეუძლებელი გახდა;

გ) წინათაც და ახლაც ბევრი მოსალოდნელი და მოულოდნელი მიზეზი იმგვარად დახვდა ჟურნალს, რომ ლამის სული ამოძვრეს, ხოლო ამის მიზეზებში ყველას შეეძლო ნათლად გარკვევა, ისე რომ რედაქტორის ახსნა-განმარტება არც იყო საჭირო, ამდენად ცხადად ჩანდა ცენზურის სისასტიკე;

დ) თანდათან უფრო კატეგორიულ ფარგლებში უპირისპირდებოდა რედაქტორ-გამომცემელი მათ, რომლებიც ბევრი დამაბრკოლებელ გარემოებას უქმნიდა ჟურნალს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჟურნალი მომავალშიც ფიქრობდა ყოფილიყო სასარგებლო და საყვარელი საკითხავი წიგნი, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოვალეობა და სიმართლე დაეცვა, ამასთან იმედოვნებდა, მოისპობოდა „ბუზების განუწყვეტელი ბზუილი“, დადგებოდა დრო, როცა მათი ჭაჭანებაც კი არ იქნებოდა;

ე) ბოლოს სასტიკი ცენზურისაგან აღშფოთებულმა რედაქტორმა მაინც მოახერხა თავისი გულისწყრომა ასეთი სიტყვებით ეცნობებინა საზოგადოებისათვის; „უძველეს დროიდან ესე არის, რომ პოეზია და პოლიტიკა არასდროს არ მოთავსებულან და ყოველთვის ერთიმეორის ხელის შემშლელნი ყოფილან“ — გარკვევით იყო ნათქვამი, რომ პოლიტიკური რეჟიმი მას გასაქანს არ აძლევდა, ე. ი. ამით თქვა ის, რაც მანამდე ასე თუ ისე, ვერ გაებედნა აშკარად რომ ეთქვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჟურნალის ფურცლებზე იბეჭდებოდა წერილი, რომელშიაც მტკიცედა მოთხოვნილი, ქართული ენა ცალკე საგნად ისწავლებოდესო. ამასთან ჟურნალი მოურიდებლად უპირისპირდებოდა „ზოგიერთ ვაჟბატონებს“, რომლებიც ბოროტგამზრახველობით ამტკიცებენ, რომ მშობლიური ენის შესწავლა სავალდებულო არ აუნდა იყოს სკოლაში; პირიქით, ჟურნალი სამშობლო ენას თვლის ქვაკუთხედად, დედ-ბოძად საბალხო სკოლის პროგრამისათვის და მტკიცედ მიჰყვება იაკობ გოგებაშვილის აზრს ეროვნების ბურჯის — დედა ენის უფლებებისათვის ბრძოლაში; ყოველივე ეს — სუბიექტური თუ ობიექტური ხასიათის დაბრკოლებანი, მის წინააღმდეგ ბრძოლა — ანდ. ღულაძეს ახასიათებს ისეთ რედაქტორ-გამომცემლად, რომელსაც მხოლოდ ეროვნული ინტერესები ამოძრავებდა. ამას ადასტურებს ახლად მიკვლეული შემდეგი დოკუმენტები:

1. ანდრია ღულაძემ, როგორც ჟურნალ „ნობათის“ რედაქტორმა, ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს პეტერბურგში 1885 წ.



2 დეკემბრის თარიღით გაუგზავნა მიმართვა იმის შესახებ, რომ მათგან მიეღო განმარტება — ნება დართულია თუ არა, კავკასიის ადგილობრივი სკოლებისათვის მშობლიურ ენაზე ითარგმნოს ის წერალები წასაკითხავად, რომლებიც იბეჭდება რუსულ პედაგოგიურსა და საბავშვო ჟურნალებში.

ამ განმარტებასთან ერთად, მიმართვის მეორე ნაწილი შეადგენდა საჩივარს კავკასიის საცენზურო კომიტეტის წინააღმდეგ, რაც შემდეგი სიტყვებითაა აღნიშნული: „ამ შეკითხვით რედაქცია „ნობათისა“ იზიტირებს მოგმართავთ, რომ იძულებულია ისე მოიქცეს კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოქმედების შედეგად, რადგან იგი უმრავლეს შემთხვევაში საჭიროდ სცნობს არ დაუშვას ასეთი რამ.“

ანდ. ლულაძის შეკითხვა-საჩივარი ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს სათანადო ახსნა-განმარტებისათვის გადაუგზავნია იმავე წლის 15 დეკემბერს (№ 4521) კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის. ეს უკანასკნელი 1886 წ. 15 იანვარს უგზავნია ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს უფროსს პეტერბურგში შემდეგი შინაარსის განმარტებას: ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოსადმი ლულაძის მიმართვა შეიძლება გამოწვეული იყოს საცენზურო კომიტეტის 1885 წ. 21 აგვისტოს დადგენილებით. რომლითაც აიკრძალა მის ჟურნალში იმ სტატიის დაბეჭდვა, რომელიც დასტირის ვენეციის რესპუბლიკის 1797 წლის უკანასკნელ დღეებს, როდესაც პატრიოტები გმირულად იცავდნენ მას ავსტრიის წინააღმდეგ, რომელმაც იგი თავის სამფლობელოებთან შეიერთა ეს სტატია არ შეიძლებოდა დაბეჭდილიყო ქართულ საბავშვო ჟურნალში იმის გამო, რომ თავისი შინაარსით რუს მკითხველებში მას შეეძლო გამოეწვია კეთილი პატრიოტული გრძნობა, სიყვარული სამშობლოსადმი, ხოლო ქართველებში შეიძლებოდა გამოეწვია არასასურველი წინააღმდეგობა და ვენეციის რესპუბლიკის ბედთან საქართველოს ბედის შედარება, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში რუსეთს შეუერთდა. ასეთი ტენდენციური სტატიების ქართულ ბეჭდვით ორგანოებში გამოქვეყნებას ცენზურა კრძალავს იმის გამო, რომ სეპარატისტული მიმართულება, რომელიც თუმცა არც ისე ძლიერად, მაგრამ მაინც შეიმჩნევა ქართველ ახალგაზრდებში.<sup>2</sup>

მაშასადამე, ირკვევა, რომ ანდ. ლულაძე ცდილობდა „ნობათის“ ფურცლებზე დაებეჭდა პატრიოტული გრძნობის აღმძვრელი ნათარგმნი ლიტერატურა და კავკასიის საცენზურო კომიტეტი კი ამის გასაქანს არ აძლევდა.

<sup>1</sup> ЦГИА СССР, ფონდი 776.

<sup>2</sup> იქვე.

ეს იმას ადასტურებს, რომ ანდ. ლულაძე ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა მიზნის მისაღწევად; „ჩვენ ჩვენსას არ მოვიშლითო“.<sup>1</sup> — ეს მტკიცე გადაწყვეტილება აუცილებლად გულისხმობდა იმას, რომ ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის გზიდან ვერავინ გადაახვევინებდა.

აპგვარი პოზიციის დაკავება XIX საუკუნის 80-90-იან წლებში, როდესაც მომძლავრდა საერთო რეაქცია, არ იყო ადვილი.

ცნობილია, რომ ამ დროისათვის დახურული იყო პეტერბურგის პედაგოგიური საზოგადოება, რომელიც არ უთანაგრძნობდა ტოლსტოის სასკოლო რეფორმას. ამ საზოგადოების აქტიური მონაწილენი იყვნენ ვ. უშინსკი, ნ. კორფი, ვ. ვორონოვი. ი. პაულსონი, ნ. ვესსელი. 1884 წელს დაიხურა აგრეთვე ქურნალი «Отечественные записки». აკრძალული იყო მოსწავლეთათვის წასაკითხავად ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა დობროლიუბოვის, შჩელგუნოვის, პომიალოვსკის, ვაგნერის, ტურგენევის, დოსტოევსკის, ჩეხოვის, კოროლენკოს, მაშინ-სიბირიაკისა და სხვათა ნაწარმოებები. ლ. ტოლსტოის «Вот правду видит, да не скоро скажет» დაშვებულ იქნა საკითხავ წიგნად, მაგრამ მის ცალკე გამოცემა ნებადართული არ იყო.

ასეთ მკაცრ საცენზურო ვითარებაში ანდრია ლულაძეს უკან არ დაუხვევია. ეს უთუოდ მისი ერთ-ერთი ღირსება იყო, როგორც პირველი ქართული საბავშვო ქურნალის რედაქტორ-გამომცემლისა.

მართალია, ქურნალი დაიხურა, მაგრამ ანდ. ლულაძეს არც შემდგომში აუღია ხელი დიდი ეროვნული საქმისათვის ბრძოლაზე.

II. 1904 წ. 12 ოქტომბრის თარიღით — ქურ. „ნობათის“ დახურვიდან 19 წლის შემდეგ — ანდ. ლულაძე ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს სახელზე წერს თხოვნას<sup>2</sup>: „იმის გამო, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს ოჯახში და შინ სასარგებლო კითხვისათვის გამოცემა, ამიტომ მსურს გამოვეცე ყოველდღიური ილუსტრირებული გაზეთი „ნობათი“. გაზეთი იქნება ერთადერთი გამოცემა ქართულ ენაზე. რადგან მსგავსი გამოცემა არ არსებობს, ხოლო ამაზე მოთხოვნისა კი უეჭველად არისო“.

ამის შემდეგ იქვე შემდეგს წერს: «С 1883 года мною издавался в гор. Тифлиси, при моем-же редакторстве и под названием-же «Нобати», педагогический журнал, который в конце 1885 года приостановлен был мною по мои-же домашним обстоятельствам».

ქურნალ „ნობათის“ დახურვის ოჯახური მიზეზით „ახსნა“ უთუ-

<sup>1</sup> „ნობათი“, 1885, № 1.

<sup>2</sup> ЦГИА СССР, ფონდი 776.

ოდ ნაქარნახევი იყო გარკვეული მოსაზრებით. ბუნებრივია, კავკასიის საცენზურო კომიტეტთან კონფლიქტის გახსენება საქმეს მხოლოდ ჩაშლიდა.

ანდ. ლულაძის მიერ 1904 წ. 12 ოქტომბერს აღძრულ საკითხთან დაკავშირებით სამი თვის შემდეგ (1905 წ. 17 იანვარი № 69) შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე კონფიდენციალურად გაგზავნილია კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსისაგან შემდეგი შინაარსის განმარტება 1883 წლიდან 1885 წლამდე ლულაძე უკვე სცემდა პედაგოგიურ ჟურნალს ამავე სახელწოდებით და უსახსრობის გამო მისი გაგმოცემის შეწყვეტის შემდეგ თავისი პუბლიცისტური საქმიანობა გადაიტანა ადგილობრივ რუსულ და ქართულ გამოცემებში. პოლიტიკური თვალსაზრისით საეჭვო ცნობები მთხოვნელზე არ არის.

მაგრამ ამ განმარტებას ხელს აწერს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი მ. გენერალ-ლეიტენანტი მალამი და იქვე დასძენს: «Согласно заключению Тайного Советника Гаккеля, 8-й пункт программы проектируемого Г. Гуладзе журнала<sup>1</sup> «передовые статьи по вопросам общественной и политической жизни» был изменен следующим образом: передовые статьи по вопросам общественной жизни Кавказа»<sup>2</sup> (ხზის გასმა ჩემია, ა.ჩ.).

გარდა ამისა, აღსანიშნავია მეორე ფაქტიც: ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო შესაძლებლად თელის ჟურნალის (ასეა აღნიშნული „ჟურნალი“ და არა გაზეთი) გამოცემას, მხოლოდ გეგმის მე-15 პუნქტიდან უნდა იქნეს ამოღებული სიტყვა „კარიკატურა“. ლულაძის მიერ წარდგენილ ხელნაწერ გეგმაში გარკვევით წერია: «15 Иллюстрации и карикатуры».

უნდა ვიფიქროთ, რომ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოში „გაიხსენეს ცხრამეტი წლის წინ ანდრია ლულაძისა და კავკასიის საცენზურო კომიტეტს შორის მკვეთრად გამოხატული კონფლიქტის შინაარსი, რის შედეგად გაკველის დასკვნით, გეგმიდან ამოშალეს „პოლიტიკური ცხოვრება“ და „კარიკატურები“; საქართველოში პოლიტიკურ ცხოვრებაზე ყურადღების გამახვილება, ამასთან დაკავშირებით წინასწარ „გარკვეული მიზნით ჩაფიქრებული“ „კარიკატურები“ უდავოდ ანდ. ლულაძის ეროვნულ ინტერესებს უკავშირდებოდა და

<sup>1</sup> ანდ. ლულაძე ითხოვდა გაზეთ „ნობათის“ გამოცემის უფლებას, მაგრამ შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტებში ყველგან გაზეთის ნაცვლად წერია „ჟურნალი“, ასეა მოხსენებული 1906 წ. 22 მარტის № 1231 ცნობაში, რომელსაც თბილისის გუბერნატორი აცნობებს ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს იმის შესახებ, რომ ჟურნალის ბეჭდვა გადატანილია ფირმა „Труд“-ის სტამბაში მიხაილოვის პრესპეტზე.

<sup>2</sup> ЦГИА СССР, ფონდი 776, საქმე 188.

ამიტომ სწორედ აქ შეუკვეცეს ფრთები ბრძოლის ახალი ფორმით წარპარტეის ოცნებას.

მართალია, როგორც დოკუმენტები ადასტურებს, ბექდვითი ორგანოს გამოცემის უფლება ანდრია ლულაძემ მიიღო, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ მიაღწია თავის მიზანს — გამოცემის გეგმის დამტკიცებინა, როგორც წარადგინა და ამით ეთქვა თავისი სიტყვა იმდროინდელ საქართველოში გაბატონებული პოლიტიკური ცხოვრების სუსხზე. ამისათვის გაჭოყყენებინა კარიკატურა. იძულებული იყო გაზეთ „ნობათის“ რედაქტორობაზე უარი ეთქვა და იგი სხვისთვის გადაეცა.

მართლაც, თბილისის გუბერნატორის მიერ ბექდვითი საქმის მთავარი სამმართველოს სახელზე 1906 წლის 15/III-ის № 960-ით გაგზავნილ მმართვეაში ნათქვამია, რომ „1905 წ. 4 მარტის № 2252 მოწმობის მიხედვით, რომელიც გაცემულია ბექდვითი საქმის მთავარი სამმართველოს მიერ, გაზეთ „ნობათის“ გამოცემა ლულაძემ გადასცა დომინიკა ზურაბის ასულ ერისთავ-მდივანს, რომელსაც ნება დაერთო მისი რედაქტორობისათვის.“<sup>1</sup>

ამგვარად, დასტურდება, რომ ანდ. ლულაძე, როგორც სახელოსნო სასწავლებლის რიგითი პედაგოგი, უჩინარი ადამიანი იყო; საყმაწვილო ჟურნალის „ნობათის“ დაარსების წინ, არ ჰქონია შემთხვევა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობით საზოგადოების ყურადღება ისე მიექცია, რომ აპით იმ ადამიანთა რიგებში ჩამდგარიყო, რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ სოციალურ უკუღმართობასა და მეფის რეჟიმს. ამან უთუოდ განაპირობა ჟურნალ „ნობათი“-ს რედაქტორ-გამომცემლად დანიშვნაზე ნებართვის გაცემა.

სხვა მოსაზრებანი, რომლებიც მასთან განაწყენების საფუძველზეა წარმოქმნილი და ასე თუ ისე გამოყენებულია ანდ. ლულაძის როგორც რედაქტორის აუგად მოსახსენებლად, უნდა მივიჩნიოთ ტენდენციურად. ამ ტენდენციურობის საფუძველი კი იყო თვით ანდ. ლულაძის მიერ იაკობ გოგებაშვილის „კონას“ არასწორი კრიტიკა. ამაში ის შეცდა და საკმარისად დაისაჯა კიდევაც.

მაგრამ, ჩვენ სხვა მხრივაც გვმართებს განსჯა; შევაფასოთ ანდ. ლულაძის ღვაწლი, როგორც პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის რედაქტორისა და გარკვევით გამოვავსკარავოთ, სრულიად ობიექტურად, მისი იდეური მიზანსწრაფვა, საზოგადოებრივი იდეალები.

ზემოყვანილი ფაქტიური მასალების საფუძველზე არ შეიძლება

<sup>1</sup> УГНА СССР, ფონდი 776, 188.

ორი აზრი არსებობდეს იმის შესახებ. რომ „ნობათი-ს რედაქტორი ანდრია ლულაძე ნამდვილად იყო პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილი მებრძოლი, რომლისათვის სამშობლო ქვეყნისადმი ღრმა სიყვარულის აღზრდა ახალ თაობაში, მშობლიური ენის სწავლების უფლებისათვის ბრძოლა, ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარება იყო მისი საზოგადოებრივი საქმიანობის ქვაკუთხედი. ამის გამო ის რჩება ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლთა რიგებში.

ანდ. ლულაძესთან კონფლიქტამდე იაკ. გოგებაშვილი წერდა, რომ „ყველაფერიდან ჩანს, რომ ბატ. ლულაძე იქნება მუყაითი და მარჯვე ადმინისტრატორი.“<sup>1</sup>

მართალია, მეტად მწვავედ გაეპაექრა იაკ. გოგებაშვილი ანდრია ლულაძეს, რეცენზიით აღშფოთებულმა იგი არაფრით დაზოგა, მაგრამ განვლეს წლებმა იაკობ გოგებაშვილის დიდსულოვნებაზე ერთხელ კიდევ იჩინა თავი პირველი ქართული ჟურნალის „ნობათისა“ და მისი რედაქტორის დეაწლის ობიექტურად შეფასებებაში.

აი, რას წერს იაკობ გოგებაშვილი „ჩუჩილის“ გამოცვლასთან დაკავშირებით „ნობათის“ შესახებ: „ჭერ ცოტა ხანს იკაშკაშა, ზერე სწრაფად მიიღია და ბოლოს მთლიანად გაპრა,, ვითომც არც-კი არსებულყო. მაგრამ მაინც მადლობელი უნდა ვიყვნეთ ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“<sup>2</sup>. (ხაზის გასმა ჩენია. ა. ჩ.)

იაკობ გოგებაშვილი თავდაპირველად ნათქვამს, როგორცაა „ლულაძე იქნება მუყაითი და მარჯვე ადმინისტრატორი“, იგი, მიუხედავად მასთან მწვავე კონფლიქტისა, ჟურნალის დახურვიდან 3 — 4 წლის შემდეგ კიდევ უმატებს სიტყვებს „ნობათის“ შესახებ, რომ ჟურნალმა ცოტა ხანს „იკაშკაშა“, „მაინც მადლობელი უნდა ვიყვნეთ ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა“, „ჩვენს მოზარდ თაობას გონებრივი დღესასწაული ხომ დაუყენა“ ან კიდევ ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ცხოვრებაში“ — ყოველივე ეს ნათელს ფენს ანდრია ლულაძის ალალ მოღვაწეობას ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის სამსჯავროზე.

მამასადამე, იაკ. გოგებაშვილის აზრით, ჟურნალმა „ნობათმა“, რომლის არსებობა მეტად ხანმოკლე იყო, ცოტა ხანს მაინც „იკაშკაშა“, არსებობის მეტად განსაზღვრულ დროში, ახალგაზრდობას მაინც დაუ-

<sup>1</sup> „ღრეობა“, 1884, № 7.

<sup>2</sup> „ივერია“, 1889, № 262.

ყენა „გონებრივი დღესასწაული“ და რაც მთავარია „ცოტაოდენი კვალი დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“. სწორედ ამ გარემოებათა გამო იაკ. გოგებაშვილი ანდრია ლულაძეს მადლობით იხსენიებს.

მაშასადამე, მიუხედავად პირადი განაწყენებისა, იაკობ გოგებაშვილმა არ დაუქარგა ანდრია ლულაძეს დამსახურება, იმ რედაქტორ-გამომცემელს, რომელსაც გაჯავრებული, ფრიადნაწყენი „უეიც ექსპედიტორსაც“<sup>1</sup> კი უწოდებდა. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ა. ლულაძე კუთვნილებისამებრ დააფასა. ეს ბევრის მთქმელია. იაკობ გოგებაშვილი გვასწავლის, რომ ერის კულტურულ საგანძურში ამათუ იმ პირის მიერ შეტანული, თუნდაც მცირედი წვლილი, არ შეიძლება დაიჩრდილოს, მიჩქმალულ იქნეს.

სამწუხაროდ, საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე, მიჩქმალული იყო ანდრია ლულაძის ეს ღვაწლი, მისი ბრძოლის ეროვნული საფუძვლები, ამასთან, როგორც შევნიშნეთ, „ნობათის“ დაბრკოლებების შექმნის ორგანიზატორად იაკ. გოგებაშვილი ჩათვალეს; ამ აზრის დასადასტურებლად თვით გოგებაშვილის ციტატიდან აზრი ანდ. ლულაძის შესახებ ამოღებულ იქნა. აი, კონკრეტული მაგალითი:

„ივერია“, 1889, № 262“.

იაკობ გოგებაშვილი „ნობათის“ შესახებ წერდა:

„ჩერ ცოტა ხანს იკაშკაშა, მერე სწრაფად მიიღია და ბოლოს მთლიანად გაქპრა, ვითომც არც-კი არსებელიყოს. მაგრამ მაინც მადლობელი უნდა ვიყვნეთ ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“ (ხაზის ვას-მა ჩემია. ა. ჩ.).

ან. ღვინიაშვილი ციტირებას აკეთებს ი. გოგებაშვილის რჩ. პედ. და პუბ. ნაწერების ტ. I, 1910 წ. უკიდვეი სახით:

„ჩერ ცოტა ხანს იკაშკაშა,, მერე სწრაფად მიიღია და ბოლოს მთლიანად გაქპრა, ვითომც არც-კი არსებელიყოს. მაგრამ მაინც მადლობელი ვიყვნეთ, რომ „ნობათმა“ ჩვენს მოზარდ თაობას ცოტა ხნობით ხომ დაუყენა გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ცხოვრებაში“. (იხ. ან. ღვინიაშვილი, ქართული საბავშვო ლიტერატურა, 1934/გვ. 61).

კრიტიკოსი აღნიშნულ წიგნში ციტატას იმოწმებს იაკობ გოგებაშვილის „ჩრჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების 1910 წ. გამოცემული პირველი ტომიდან, მაგრამ იქ ეს წერილი 219-ე გვერდზე ზუსტად ისეა დაბეჭდილი, როგორც „ივერიის“ 1889 წ. № 262-ში.

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 261.

აი ისიც: „...ჯერ ცოტა ხანს იკაშკაშა, მერე სწრაფად მიილია და ზოლოს მთლიანად გაჰქრა<sup>1</sup>, ვითომცა არც-კი არსებულობს. მაგრამ მაინც მადლობელი უნდა ვიყვნეთ ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყვნა ჩვენს მოზარდთაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.)

მაშასადამე, კრიტიკოსის მიერ მოყვანილ ამონაწერში იაკობ გოგებაშვილის სიტყვები „მაგრამ მაინც მადლობელი უნდა ვიყვნეთ ნობათის რედაქტორ-გამომცემლისა“ შეცვლილია შემდეგი სახით: „მაგრამ მაინც მადლობელი ვიყვენეთ, რომ „ნობათმა“ ჩვენს მოზარდთაობას“... და შემდეგ, როგორც იაკ. გოგებაშვილის ტექსტშია.

მაშასადამე, კრიტიკოსმა შეგნებულად თუ მექანიკურად გამოტოვა გოგებაშვილის სიტყვები, რითაც მადლობითაა მოხსენებული „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელი, ე. ი. ანდ. ლულაძე. ამით მან სცადა წაეშალა ანდ. ლულაძის ღვაწლი საერთოდ და არაფრად ჩაეგდო ამაგი პირველი საბავშვო ჟურნალის დამაარსებლისა.

ამ მხრივ, თუმცა პატარა, მაინც, აქაც, ერთი საგულისხმო ცვლილებაა შეტანილი: თუ გოგებაშვილი წერს: „ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“, შეცვლილია შემდეგი სახით: „ცოტაოდენი კვალიც მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“. ამ ჟურნალის როლიც ერთგვარად შემცირებულად ქდერს დედანში აღნიშნული სიტყვის „კვალი“-სათვის „ც“-ს დამტებით (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.)

ასეთი ცვლილებების შეტანა პიროვნული რწმენის „დამტყიცების“ ცდას უნდა მივაწეროთ, მაგრამ იგი ხომ ისტორიული ჭეშმარიტების უარყოფაა?

ისტორიული ჭეშმარიტება გვერდს ვერ აუვლის ზემოხსენებულ ფაქტებს და მოვლენის განვითარების რეალურ პროცესს, რომელიც შემდგომი თანმიმდევრობით გაიშალა:

1. ანდ. ლულაძე „კონას“ შესახებ რეცენზიის დაწერამდე „ნობათის“ მკითხველს სისტემურად მიანიშნებდა, რომ რედაქციას მძივე

<sup>1</sup> ამის შესახებ ა. ლულაძე წერდა: „ისე ძნელი ასატანი არა ყოფილა-რა კაცოსათვის, როგორც იმ საქმის შეჩერება. რომლის განხორციელებისათვის ყოველი ზნეობრივი და გონებრივი ძალღონე გიხმარია, მერე განხორციელებული ფეხზე დაგოყენებია და ბოლოს-კი სრულობით მოულოდნელის გარემოებათა ზედ-გავლენით თავის გაკაფულს გზახედვე დაცემულა. სწორედ ამ მდგომარეობაში ვართ ამ ეამად ჩვენ უბედურს ვარსკვლავზედ დაბადებულის „ნობათი“-თ ხელში“ (ივერია, 1886 წ. № 58).

პირობებში უხედბოდა მუშაობა, რადგან არ ჰქონდა „დამოუკიდებელი, თავისუფალი შრომის“ საშუალება.

ასე რომ, ამ დროს იაკობ გოგებაშვილთან მდგომარეობა გამწვავებული არ იყო. მაშასადამე, „ნობათის“ დაბრკოლებების მიზეზები კრიტიკოსს სხვაგან უნდა ეძებნა;

II. რეცენზია ი. გოგებაშვილის „კონას“ მეორე გამოცემაზე დაბეჭდა 1884 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის გაერთიანებულ ნომერში (№ VII, VIII და IX). რეცენზიაში მოხსენიებულია, აგრეთვე, უაუარგაულის წერილი „კონას“ პირველი გამოცემის გამო, რომელიც დაიბეჭდა „დროებაში“ 1874 წელს.

ამ წერილიდან იწყება პირადი განაწყენება.

III. უკმაყოფილება პირველად გამოქვეყნდა იაკ. გოგებაშვილის „საბაასო“-ში, რომლის ძირითადი თემა იყო გაბიჩვაძის მიერ შედგენილი უვარგისი წერის დედანი, სადაც სხვათა შორის მოხსენიებულია შემდეგი: „ნობათის მსგავსი გამოცემა ჩვენც კი გვექონდა დაწყებულა მაგრამ მისი გაგრძელება შევაჩერეთ იქამდის, ვიდრე ეს სასარგებლო გამოცემა არ მოიპოვებს სუთას წლიურს ხელისმომწერს მაინც და მტკიცე ნიდაგზე არ დადგება“.<sup>1</sup>

IV. ორი კვირის შემდეგ „დროებაში“ იბეჭდება წერილი რედაქტორის მიმართ ანდ. ლულაძის ხელის მოწერით, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია შემდეგი: „რა საჭირო იყო ბ. გაბ-ძის პასუხად დაბეჭდილი „საბაასო“-ში „ნობათ“-ზე ლაპარაკი? ჩვეულების ბრალია სულ, მე თუ შეითხავთ, რათა გაქვთ ბ. გოგ-შვილო, ჩვეულებად „შეაჩეროთ“ რომელიმე თქვენ აუცილებელ საჭიროებად და სასარგებლოდ სთვლით? თუ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ „ნობათი“ სასარგებლო გამოცემაა, რად გინდათ უცადოთ იმ დროს. როგორც ამ ჟურნალის ხუთასი ხელის მოწერი ეყოლება? რა მნიშვნელობა უნდა ექნეს ამას თქვენ მიერ განზრახული „ჟურნალისათვის?“

მე კი ესე ვფიქრობ თუ „ნობათი“ სასარგებლო გამოცემაა ჩვენო საზოგადოებისათვის — იხმარეთ საშუალება, რომ ამ სასარგებლო გამოცემას ღონე არ მოაკლდეს; მიეცით ეს საშუალება, რითაც კი შეიძლოთ“.<sup>2</sup>

V. „თუ კი სცნობთ, რომ „ნობათი“ უვარგისი გამოცემაა, ჩემის აზრით, ძლიერ შემეცდარხართ, თქვენი განზრახვა რომ „შევიჩერებიათ“- „ნობათი“-ს რედაქციას, გარდასაზოგადო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სასარგებლობის აარავითარი განზრახვა არ მიუძღვის — ეს. მგონი,

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 192, 5 სექტემბერი.

<sup>2</sup> „დროება“, 1884, № 200, 16 სექტემბერი.



ყველასათვის ცხადია. და თუ ამ განზრახვას „ნობათი ვერ ასრულებს, უკეთესია ეს ლავე, ამითავითვე მოკვდეს, ვიდრე თავის არსებობით ორგვარი ენება და ბადოს და თქვენი პატიოსანი განზრახვა „შეაჩეროს“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

აქედან ცხადად ჩანს ანდრია ღულაძის უმაღლესი ვალდებულება, როგორც ჟურნალის რედაქტორისა, რაც გამოიხატება „საზოგადო მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და სარგებლობაში“. ესაა „ნობათი“-ს რედაქციის უწყინდესი ვალი, სხვა არავითარი განზრახვა მას არ გააჩნია.

აქვე იმაზედაც არის კარგად ნათქვამი. რომ ამ უწყინდეს ვალს თუ ჟურნალი ვერ ასრულებს, უკეთესია „მოკვდეს“, ვინემ მისმა არსებობამ ვნება და ბადოს და ი. გოგებაშვილის პატიოსანი განზრახვა „შეაჩეროს“, მის განხორციელებას ხელი შეუშალოს

ანდ. ღულაძის ეს განცხადება ნათლად მოწმობს იმაზე, რომ მას მხოლოდ საზოგადოებრივი სასარგებლო ინტერესები ამოძრავებდა და ეს კი იყო ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარება, რომელიც „ნობათის“ საბრძოლო ამოცანას შეადგენდა.

ამ უმაღლესი ვალდებულებიდან გამომდინარე ის მზადაა, თუკი უკეთესი „ნობათი“ იქნება იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი, თავისი ორგანოს არსებობით ვნება არ მიაყენოს და მზადაა თავისი ჟურნალის ლიკვიდაციით „ახალს“ გზა გაუხსნას.

ეს განზრახვა ანდ. ღულაძეს ახასიათებს ისეთ პიროვნებად, რომელსაც კონკრეტული დასკვნა გამოაქვს ქართული საზოგადოებრივი ინტერესების საფუძველზე.

ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა 1884 წლის 1 დეკემბერს „დროების“ ფურცლებზე № 259 და შემდეგ № 261 პასუხი გასცა ანდ. ღულაძის რეცენზიას („საბაასო. უძლური სიბრაზის ნაყოფი“), რასაც მოჰყვა იმავე წლის № 263 და № 266-ში „დროების“ რედაქტორის სახელზე ანდრია ღულაძის წერილი მისი რეცენზიისა და იაკობ გოგებაშვილის პასუხის გასარჩევად მედიატორთა შერჩევაზე.

ასეთია მოკლედ შინაარსი იმ პირადი მწვავე ურთიერთობისა, რომელიც შეიქმნა იაკობ გოგებაშვილსა და ანდრია ღულაძეს შორის ვაგნერის მოთხოვნების თარგმნისა და გადაკეთებასთან დაკავშირებით.

ვაგნერის მოთხოვნების თარგმნისა და გადაკეთების საკითხზე როგორც უთურგაულისა, ისე ანდრია ღულაძის რეცენზია, ვფიქრობთ, იმ აზრთა სხვადასხვაობის ერთგვარი გამოკრთომაა, რომე-

1. „დროება“, 1884, № 200, 16 სექტემბერი.

ლიც გვხვდებოდა მაშინ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც. საერთოდ საბავშვო ნაწარმოებების თარგმნელობით საკითხზე.

ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავება-განვითარებასთან დაკავშირებით ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულება გამოიკვეთა უცხოურ ლიტერატურასთან დაკავშირებულების საკითხში: პირველი ცდილობდნენ რა ბავშვთა კითხვის არის გაფართოებას, მოითხოვდნენ ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინებასთან ერთად უცხოური ლიტერატურიდან საუკეთესო ნაწარმოებების გადმოთარგმნასა და გადმოკეთებას ყმაწვილთათვის, ხოლო მეორენი წინააღმდეგი იყვნენ გადაკეთებისა და ამბობდნენ, „ეგ რა ჩვენი საქმეაო?“

სამწუხაროდ, ამ პრინციპულ პოზიციაზე დგომასთან ერთად ანდ. ლულაძისა და იაკ. გოგებაშვილის პაექრობა გადაიხარა პირადულ არასასიამოვნო განწყობილებაში.

ეს პირადული ამბები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით იაკობ გოგებაშვილმა დაივიწყა და შთამომავლობას დაუტოვა თავისი აზრი „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემლის დეაწლის შესახებ. ამის უგულებელყოფა არაფრით არ არის გამართლებული. ამასთან ჩვენ მიერ მიკვლეული დოკუმენტებიც იმას ადასტურებენ, რომ ანდრია ლულაძე მოქმედებდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნის ინტერესებიდან.

აქვე უნდა ისიც დავსძინოთ, ეს ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ წარმოუდგენელია ილია ჭავჭავაძეს თავისი გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლი არ მიემართა იმ ორგანოსი და მისი რედაქტორ-გამომცემლის წინააღმდეგ, რომელიც პირადად ჩაუდგა სათავეში, როგორც ორგანიზატორი, ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების სახალხო საქმეს, პირველი საბავშვო ჟურნალის შექმნის სახით.

ლიტერატურული კრიტიკა კარგად ამჩნევდა იმ ნაკლოვანებებს, რაც „ნობათს“ თან ახლდა, მაგრამ ამავე დროს ანგარიშს უწევდა რა იმას, — ჟურნალი იყო პირველი ნაბიჯი ქართულ პერიოდულ საბავშვო გამოცემათა საქმეში.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც შეასრულა „ნობათმა“. როგორც პირველმა ქართულმა საბავშვო ჟურნალმა საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში. იგი

სამართლიანად აღნიშნავდა: „რაც გინდ ბევრი ნაკლი ჰქონდეს, მაინც სასარგებლო იქნება პედაგოგიური ჟურნალი ისეთ გარემოებაში, რა გარემოებაშიაც დღეს ჩვენი, ყველაფერს მოკლებული და ყველაფერში დანატრებული, მოზარდი თაობა იპყოფება.“

როგორც ცნობილია, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც შეასრულა „ნობათმა“ როგორც პირველმა ქართულმა საბავშვო ჟურნალმა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში.

ჟურნალ „ნობათი“-ს დახურვამ ქართული საზოგადოებრიობა, ინტელიგენცია ერთხელ კიდევ ღრმად ჩააფიქრა; საბავშვო პერიოდული გამოცემის დახურვა სახალხო ინტერესების ერთ-ერთი სასიცოცხლო ძარღვის გადაჭრა იყო.

ამ გრძობამ აამოქმედა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფები ახალი საბავშვო ჟურნალის დასაარსებლად.

„ნობათის“ ბედი, აჩვენობის შვირე მონაკვეთში ყოველმხრივ შექმნილი დაბრკოლებანი, თვით „ნობათის“ იდეურ-შინაარსობრივი და მხატვრული მხარე და საერთოდ პირველი საბავშვო ჟურნალის ისტორიის მწარე გაკვეთილების გათვალისწინება, ახალ საბავშვო ჟურნალს საშუალებას აძლევდა ისეთი ღონისძიებები დაესახა, რაც „ნობათის“ ბედს ააცდენდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ახალი საბავშვო ჟურნალის სულისჩამდგმელი გახდა სწორედ ის საბავშვო მწერალი, რომელიც „ნობათში“ თანამშრომლობდა: ეს იყო ანატასია თუმანიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პოეტ მ. თუმანიშვილის ქალიშვილი, რომელიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მძიმე მოვალეობის შესრულებას.

მართლაც, შეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა ანატასია თუმანიშვილს. ამას დასტურებს მისი წერილი „საზოგადოების საგულისხმოთ (ჟურნალ „ჭეჭილის“ შესახებ)“, სადაც დაუფარავად ჩანს მწერლისა და რედაქტორის წუხილი არა მარტო უსახსრობასთან დაკავშირებით. არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარების გამოც.

ან. თუმანიშვილის აღნიშნული წერილიდან მოვიყვანთ რამდენიმე აზონაწერს:

1. „ექვსი წელიწადია რაც მე ვიკისრე იმისთანა ძნელი საქმე, როგორც არის საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა. მე ამ საქმეს მოვიკიდე ხელი იმიტომ კი არა, რომ ჩემითავე მიმაჩნდა უტოდველ პედაგოგად,

ან მეცნიერებით აღქურვილ და მწერლობაში შემჩნეულ პირათ. მე მხოლოდ იმედი მქონდა, რომ შრომით, საქმის სიყვარულით და ენერგიის დასმარებით გავიტანდი ამ მძიმე უღელს“.

II. „ჩეჯილის“ გამოსვლის პირველ წელიწადს (1890 წ.), როდესაც სამოცი თუმანი დავადე ამ საქმეს (აქ უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ ნომრის ხარჯი), მე არაფრად მივიჩნიე, მაგრამ დანარჩენმა ხუთმა წელიწადმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო და არ შემძლია არ გაუზიარო იმ პირებს, ვისთვისაც ეს საქმე იქნება ძვირფასი იყოს, ამასთანავე ადრევე არ გავიმართლო თავი, თუ იძულებული გავხდი და ქურნალი მოვსპე“... (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

III. „ჩვენში ოჯახი გადარჩულე ბულია, ჰგონია რომ მისი შვილი უფრო კარგად ისწავლის, როდესაც დაივიწყებს დედა-ენას.“

შვილის შვილშიაც სადაც შეიძლება კიდევ თავიანთი დედა-ენის დაცვა, ხშირათ მასწავლებელნი ლუკმა-პურის დაკარგვის შიშით ხელს არ უმართავენ ქართული წიგნების გავრცელებას.

თუ ოჯახი და შკოლა პირს გაიბრუნებს, მაშინ ვინ უნდა წაიკითხოს „ჩეჯილი“ და ან როგორ გავრცელდეს ეს ქურნალი? (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

მაშასადამე, მეორე ქართულ საბავშვო ქურნალს „ჩეჯილს“. რომელსაც დიდი აღტაცებით შეეგება ქართული ლიტერატურის ყველა გულშემატყვიარი, მატერიალური მდგომარეობის გამო უმძიჟესი პირობები ჰქონდა შექმნილი.

მაგრამ თუ კიდევ არსებობდა იგი, ეს მიეწერება ან. თუმანიშვილის არაჩვეულებრივ მტკიცე ნებისყოფასა და თავგანწირულ ბრძოლას ქურნალის შენარჩუნებისათვის.

ეს ბრძოლა გაპირობებული იყო იმ მტკიცე შეგნებით, რომ ეროვნული საბავშვო ლიტერატურა გამხდარიყო ახალი თაობის დამსახურებული აღმზრდელი და ამაში „ჩეჯილს“ თავისი წვლილი შეეტანა, ვალი მოეხადა თავისი მშობლიური ქვეყნის, მშობლიური ხალხის წინაშე.

ეს მაღალი ვალდებულება და იმის რწმენა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერი, ობიექტური მიზეზები ბოლოსდაბოლოს ქურნალს დააძლევინებდა დაბრკოლებებს, ასულდგმულებდა მის რედაქტორ-გამომცემელს, რომელიც კარგად ხედავდა „გადარჩულულ ოჯახს“, ლუკმა-პურის დაკარგვის შიშით აცახცახებულ მასწავლებლებს, რომლებიც ქართული წიგნის გავრცელებაზე არ ზრუნავდნენ.

ამ ს-მახინჯის გამოქვადევნებით, მატერიალური გაჭირვებულობის აღიარებით ის გარკვეული მინიშნებით მოუწოდებდა საზოგადოებას,

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საჭირო ღონისძიებების მისაღებად ოქახის გადარჯულებისაგან ხსნა, დედა-ენის დაცვა, ქართული წიგნების ხალხში გავრცელება სისხლხორცეულად უკავშირდებოდა ქართველი ხალხი სასიცოცხლო ინტერესებს და ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასაც.

იაკობ გოგებაშვილი მოუწოდებდა ყველას: „ყოველნი მოვალენი ვართ, რომ „ჩეჭელის“ წარმატებასა და აყვავებას ხელი შევეუწყოთ, რითაც — კი შეგვიძლიან. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ. რომ ამაზედ მიზიდველი, ნაყოფიერი და მაღალ-მნიშვნელოვანი საქმე ძნელად მოიპოვება“ (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

დიდ პედაგოგს სწამდა, რომ ახალ პერიოდულ გამოცემას ახალგაზრდებისათვის ექნებოდა „შესაბამი გონებრივი საზრდო, შესაბამი პროგრამა, რომელსაც ეყოლებოდა „რჩეულნი თანამგრძნობელნი“ და „მხნე რედაქტორ-გამოკვემელნი“. სახელიც „ჩეჭილი“ ზუსტად ზედგამოჭრილი იყო მისი შინაარსისა და დანიშნულების თვალსაზრისით.

ამის გამო „ყველა გარემოება“ ძლიერ თავ-დარიგიანად დაჰკერილი, გვაძლევს სრულს იმედს იმისას, რომ „ჩეჭილი“ იქმნება ჩვენს პედაგოგიურ ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი ცდომილისა, არამედ ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნებ მუდამაც“.<sup>1</sup>

ჟურნალ „ჩეჭილის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, შიო მღვიმელის, ბაჩანას და სხვათა ნაწარმოებების გამოჩენა ჟურნალისადმი ინტერესს დიდად ზრდიდა.

„ჩეჭილის“ მიზანი, სტრუქტურა, მასში დაბეჭდილი ნაწარმოებები ქართული პრესის გაცხოველებული განხილვის საგნად იქცა. მაგრამ ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ ზღვოპარეობაზე გვინდა ყურადღების გაპახვილება როგორ იქნა შეფასებული ჟურნალი „ჩეჭილი“ გამოსვლის პირველივე ნომრებიდან ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლაში.

ჟურნალი „ჩეჭილი“, უპირველეს ყოვლისა, თავისი წინამორბედის ჟურნალ „ნობათი“-საგან განსხვავებით, გაემიჯნა „წმინდა პედაგოგიურ მეთოდოლოგიურ სტატიებს“ და პედაგოგიური იდეები მხატვრული რეალიზმის პრინციპებს დაუქვემდებარა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ ჟურნალი მტკიცედ დაადგას ინტ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1889, № 262.

ყვაკაზმული საბავშვო მწერლობის განვითარების რეალისტურ მიმართულებას, მხატვრულ რეალიზმს.

კრიტიკა ჟურნალ „ჭეჭილის“ მიმართ თავიდანვე გამოთქვამდა საყვედურს იმის გამო, რომ „უფრო მეტი ყურადღება აქვს მიქცეული ნათარგმნებს, უცხო ქვეყნის ნაწარმოებს, ადგილობრივი ელემენტი „ჭეჭილში“ ანსულარჰო-იპოვება, არ არსებობს და ან არა აქვს მიქცეული საჭირო, სასურველი ყურადღება“<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩეპია, ა. ჩ.).

ჟურნალმა განსაკუთრებული ადგილი უნდა დაუთმოს:

1. მშობლიური ქვეყნის აღწერილობას, ადგილობრივი ბუნების მოვლენებს, ჩვენი ქვეყნის წარსულ ისტორიულ ამბებს და სხვ., რადგან მშობლიური ჰანგები ბავშვებისათვის უფრო ადვილად გასაგებია;

2. ყველა საბავშვო წიგნში ადგილობრივ ელემენტს — უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს;

3. ჯერ ჩვენი ქვეყნის მცენარე თუ ფრინველი გავაცნოთ ბავშვებს და მერე უცხო ქვეყნისა;

4. პირდაპირ უცხო ერის ნაწარმოების თუ საგნების შესწავლა „იმავე ადგილობრივის საგნის მიუხედავად ხელს უშლის აგრეთვე ბავშვის მებსიერების კანონიერად განვითარებას, რადგან იმისთანა მასალა მძინე იქნება ბავშვის მებსიერებისათვის“.

აი, რა უნდა გაეთვალისწინებინა „ჭეჭილს“ ეროვნული საბავშვო მწერლობისათვის ბრძოლაში.

„ჭეჭილის“ დაარსებიდან ათი წლის თავზე აკაკიმ ერთგვარად შეაჯამა ყოველივე ის, რის გაკეთებაც ჟურნალმა შეძლო, ამასთან გული-სტკივილით აღნიშნა ისიც, რაც ეროვნული მწერლობის განვითარებას აფერხებდა:

„ათი წელიწადი შესრულდა. რაც ეს „ჭეჭილი“ გამოდის, არც ერთი ყოველთვიური, ან დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისე სათანადოდ ჩემთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი. უნაკლო ქვეყნათ არა არის რა, მაგრამ ის არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საყმაწვილო ჟურნალი უხეიროთ გამოდიოდაო.“

აქ ხშირად შეხვდებოდით სტატიებს, როგორც აზრის ისე ხელოვნების მხრივაც თითქმის უნაკლულს, მასში, როდესაც სხვა ჩვენ დიდ ჟურნალი გაზეთებში კი ისევე მოვლინება, დიახ, იშვიათი იყო. და ამის მიზეზიც ადვილად ასახსნელია: მეცხრამეტე საუკუნე ჩვენთვის, როგორც საზოგადოთ ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაშიაც მხოლოდ მიბადობითი ხანაა და არა თვითარსებობითი. დღევანდელ ქართველობას

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, № 78.

არც წარსული აქვს გამოკვლეული და არც აწმყო ისე შესწავლილი, რომ თვის ნაწარმოებს ეროვნული შესაფერი ფერხობრივი მისცეს. ამავ მიზეზით უცხოდანაც ვეღარ ახერხებენ გადმოყვანას და გამოდის რაღაც კარიკატურა აბა დააკვირდით ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ჩვენ მწერლებს, გარდა გიორგი წერეთლისა და ყაზბეგისა, თუ ყველას ნაწარმოები სხვების ნასუფრალი არ გამოდგეს. ეს ცოდვა უფრო სათვალდა-თვალთ ჩვენ კრიტიკოსებსა და პუბლიცისტებს ემჩნევათ. საკვირველია, რომ იგივე ავტორები, როცა საყმაწვილო რამეს წერენ, მაშინ კი, თითქო თავის საკუთარ კალაპოტში დგებიანო, ნიჭივ ეტყობათ და აზრიც; და მაშინ კი რუსთველის სიტყვებს მოგვაგონებს ხოლმე: „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვსთ ხოცა ნადირთა მცირეთაო“. ბევრის ბუნება და მოთხოვნილება ყველგან ერთი და იგივეა, და ამიტომაც საბავშვო რამეში მიბაძვა არ ეჩხირება კაცს თვალში. ასეა თუ ისე ეს საყმაწვილო ყურნალი „ჩეჩილი“ შედარებით სხვებთან ნიჭიერათ გამოდის: მაგრამ მკითხველი მაინც ცოტა ჰყავს და ამის მიზეზიც ადვილი მისახვედრია: ჩვენში ყოველიფერს ჭერ კიდევ მებუკე და მეგანგაშე ეჭირება, თავის თავად ავ-კარგის გარჩევას ვეღარ ახერხებს ღღევანდელი ქართველობა!.. მოვიტან საშაგალითო ამბებს: ამას წინეთ ერთ, დია, შეგნებულ კაცს წავუკითხე თედო რაზიკაშვილის პატარ-პატარა ამბები: დიდად მოიწონა და მკითხა: რატომ არსად ყოფილა დაბეჭდილიო? როდესაც მე „ჩეჩილი“ ვუხსენე, გაეცინა და მითხრა „აბა, რაღა დროს ჩემი ყმაწვილობაა, რომ საყმაწვილო წიგნებს ვეტანებოდეთ?

მე კი მაინც ვისურვებ მის წარმატებას, რომ მეოცე საუკუნემ უფრო სამართლიანი და შენებული თვალთ შეხედოს კოხტასა და აზრიან პატარა „ჩეჩილს“ (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).<sup>1</sup>

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ჩეჩილის“ შემოქმედებითი ორიენტაციისა და მიმართულების რეალისტური პრინციპებით დამკვიდრებისათვის აკაკის სტატიას „წერილები ჩვენს მწერლობაზე“,<sup>2</sup> რომელიც ეხება რა სწორედ „ჩეჩლის“ მხატვრული ნაწარმოებების შეფასებას. ნიკოლაძის მიერ, დიდი დაკვირვებითა და პრინციპულობით განსაზღვრავდა ყურნალის განვითარების გზასაც.

აკაკიმ ნ. ნიკოლაძესთან კამათით ყურნალ „ჩეჩილის“ რედაქციას კვლავ მიაქცევინა განსაკუთრებული ყურადღება ქართველ სამოციანელთა ესთეტიკური კონცეფციისადმი. ცხოვრების რეალისტურად ასახვისადმი.

<sup>1</sup> „ჩეჩილი“, 1899, № XII.

<sup>2</sup> „თეატრი“, 1890, № 8, 10.

აკაკის მიაჩნია, რომ საბავშვო ნაწარმოები უნდა იყოს ტენდენციური, ისე როგორც ყოველი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც თეორიის „ხელოვნება ცხოვრებისათვის და არა ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — პოზიციებიდან გამომდინარეობს.

აკაკი სასტიკად აპათრახებს იმათ, ვინც ტენდენციურობის წინააღმდეგია:

„გაუგონიათ აგრეთვე, რომ „ტენდენცია“ მავნებელია ყმაწვილებისათვის და თვითონაც ფეხის-ხმის აყოლით გაიძახიან ამასვე. დიდი პედაგოგობა რა საჭიროა? ვინც კი სრულიად გამონიჭებული არ არის, ვინ არ იცის რომ, მოსწავლე ყმაწვილისათვის მ ა ვ ნ ე ბ ე ლ ი ა ის, რ ა ც მ ის ბ უ ნ ე ბ ა ს ა რ შ ე ჯ ფ ე რ ის და მ ის ჭ კ უ ა გ ო ნ ე ბ ა ს ძ ა ლ ა ს ა ტ ა ნ ს, გინდ წინაგანზრახულის აზრით იყოს ნათქვამი და გინც ისე, უაზროდ, სულ ერთია, ეს გაუგონიათ. მაგრამ თავის-თავად მაინც ვერ აუხსნიათ, თუ რა არის ტენდენცია და ნაძალადევი აზრი? როცა „კოლინა-მოლინას“ შიგ ცხვირ-პირში სტენიამ და „სერენკი-კოზლიკებს“ აყვირებენ — ის არაფერია ჩ ვ ე ნ ბ უ ნ ე ბ ა ს თ ა ნ და ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს თ ა ნ შ ე ს ა ფ ე რ რ ა შ ე ს კ ი უ კ ა ნ უ დ გ ე ბ ი ა ნ, „ვია თუ ტენდენცია შეგვწამონო“. ეჰ, ამათ ხომ ღმერთიც აპატივებს და კაციც, მაგრამ სასაცილოა, რომ დღეს ბ. ნიკოლაძემ ან რიცხვში ამოჰყო თავი. „ჯეჯილის“ პირველ ნომერს ქვა და გუნდა მიაყარა: „ტენდენციებით სავსეაო!“ საუტხოოა!.. ერთ დროს ბ. ნიკოლაძე იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელიც გაიძახოდა: „ხელოვნება ხელოვნებისათვის და არა ხელოვნება ცხოვრებისათვის“. „საზოგადოდ ტენდენციების წინააღმდეგობა შეცდომაა, მაგრამ არის ტენდენცია და ტენდენციაც. მისთანა, რომელიც. რყვის და აფუჭებს მოზარდს, რასაკვირველია, დასაწუნებელია და სადევნებელი“.

შეიძლება დავასკვნათ:

1. ტენდენცია ნაძალადევი აზრისაგან უნდა განვასხვაოთ; ტენდენცია კი არ არის მავნებელი ყმაწვილთათვის, არამედ მათთვის შეუფერებელი, მათ ბუნებასთან შეუთავსებელი და მისი ჭკუა-გონების ძალის დამტანებელი ტენდენციაა მავნებელი, ყოვლად მიუღებელი, გაუმართლებელი!

2. ნაძალადევაა ბავშვთათვის „კოლინა-მოლინის“, „სერენკი კოზლიკის“ გაკბილვა, ძალით გაზებირება, ყვირილი. ეს მაშინ, როცა ჩვენ ბუნებასთან და ცხოვრებასთან შესაფერისი რამეს უკან მოტოვება ხდება, იმის შიშით. აქაოდა ტენდენციურობა არ დაგვწამონო.

აკაკი მოხდენილად იყენებს მეიგავარაკე კრილოვის შემოქმედებას, რომელზედაც ნ. ნიკოლაძე მიუთითებს და ეკითხება „განა მის ნაწერებში ტენდენცია არ არის? და მხოლოდ მითომ არის ყმაწვილისათვის



კარგი? სრულიადაც არა“.. კრილოვის იგავ-არაკების სიცოცხლისუნარიანობა იმ ტენდენციურობაშია, რომლითაც გამსჭვავულია თითოეული მათგანის დედა-აზრი; ამის შედეგად ამ იგავ-არაკების ზეგავლენის არე ფართოა; ის საინტერესოა, ზემოქმედია როგორც პატარა მკითხველებზე, ასევე დიდებისათვის მეტად მომხიბვლელი და სასარგებლოა „ამგვარი თხზულება ერთსა და იმავე დროს პატარა ბავშვებსაც აკმაყოფილებს და დიდებსაც“.

3. საბავშვო ნაწარმოებში უთუოდ უნდა ჩანდეს ტენდენცია სახალხო ინტერესების, ეპოქის მოწინავე იდეების, პროგრესულობის, საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალების გაქაჩვებისათვის სათანადო ემოციური, იდეური ზეგავლენის შესაბამისობაში. XIX საუკუნის II ნახევარში როგორც სახალხო განათლების, ისე მწერლობის წინაშე იდგა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის დიდი ამოცანა. მაშასადამე, საბავშვო ჟურნალში დაბეჭდილ ნაწარმოებებში ეს ტენდენცია აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცია როგორც „ჩეჩილის“ რედაქციას, ისე ლიტერატურულ კრიტიკასაც.

აქაც ეს მითითება სწორი იყო და ამ გზიდან გადახვევა ნიშნავდა ჟურნალის ძირითადი ვალდებულებიდან აცდენას.

ლიტერატურულ კრიტიკაში ჟურნალ „ჩეჩილის“ მიმართ სხვა მხრივაც გამოითქვა შენიშვნები. ეს იმას მოწმობდა, რომ ახლა საბავშვო ჟურნალი საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში იდგა.

მართალია, ზოგჯერ ზოგიერთი ნაწარმოების იდეურ-შინაარსსა თუ ენაზე ყოველთვის ზუსტსა და სწორ შეხედულებას არ გამოთქვამდნენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს მოსაზრებანი მაინც გამომდინარეობდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ინტერესიბიდან, საგულისხმოა და ისტორიული მნიშვნელობაც ენიჭება; მაგალითად, ვაჟას ზოგიერთ საბავშვო ნაწარმოების ენის შესახებ გამოთქმული მოსაზრება<sup>1</sup> ცალმხრივია, რაც თვით დროის ფაქტორმა დაადასტურა, მაგრამ ასეთი ხასიათის შენიშვნები მაინც ყურადსაღებია.

საბავშვო ნაწარმოების ენის თავისებურებაზე მინიშნებას ჰქონდა არა მარტო თეორიული დებულების-ფორმა, არამედ კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ჩვენებით, ნიმუშის მითითებით, პრაქტიკული მნიშვნელობაც, რომლისთვისაც რედაქციას ანგარიში უნდა გაეწია.

უნდა დავსძინოთ, რომ ამ მითითებებს არა მარტო „ჩეჩილის“ რედაქციისათვის, არამედ საბავშვო მწერლობის ისტორისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მეტად საინტერესოა ზოგიერთი სანიმუშო მაგალი-

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 12.

თის იმდროინდელი ინტერპრეტაცია; აი, მაგალითად, კონკრეტული ნიმუში: „არ შეგვიძლიან მაინცდა-მაინც“ აკაკის მზე და მთვარეს“ თვალი ავარიდო. სხვა წერილები რომ უვარგისი ყოფილიყო, ეს ერთი ლექსიც იკმარებოდა მთელი წიგნის დასამშვენებლად: პოეზია გხებავთ — ეგ არის, ტკბილი ენა — უკეთესი არ იქნება, ლექსი — სამაგალითო, საბავშვო — ერთს წამსაც არ გასცდები ბავშვის გორიზონტს, აზრი ყველა ბავშვისათვის ადვილად გასაგებია და თუ ერთი ორი სიტყვა ეუცხოვება — ეგ უფრო კარგი! აუხსნათ და ესე უფრო ადვილად და სამუდამოდ შეითვისებს. მისი ლექსიკონიც შეივსება, — გულსაც მიეცემა საზრდო და ჭკუასაც“<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

ამგვარად, გარდა იმისა, რომ საბავშვო ნაწარმოების ენის სპეციფიკაზეა მითითებული, ამასთან საბავშვო მწერლობის დანიშნულებას ბავშვა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისათვის სწორი პედაგოგიური მოსაზრებები აქვს საფუძვლად დადებული: ერთი-ორი უცნობი სიტყვის ბავშვთათვის მიწოდება, რომლის ახსნით ადვილად და სამუდამოდ უნდა მოხდეს მისი შეთვისება და ლექსიკონის შევსებაც, — საბავშვო მწერლობის ერთ-ერთ ფუნქციად არის ჩათვლილი.

პედაგოგიური პრინციპების საფუძველზე „ჩეჩილის“ შინაარსობრივი და სტრუქტურული მხარეც გააკრიტიკეს. ამ მიზნით ჟურნალის განხილვა და სათანადო მითითებების მიცემა ხელს უწყობდა ჟურნალის დანიშნულებების ეფექტურად გამხორციელებას, მკითხველის გულსაკენ გზის გახსნას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჟურნალის მასალების მკითხველთა ასაკობრივ მდგომარეობასთან შეფარდებას, რაზედაც აღნიშნულია, რომ როგორც ორი წლის ბავშვისა და თორმეტ-ცამეტ წლის ყმაწვილთა შორის, რადგანაც სიბავშვეში, ანუ სიყმაწვილეში ერთ წელსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის მეტი არ იქნებოდა, რედაქციას განესაზღვრა, რა ხნის ყმაწვილებისათვის დაარსდა ეს ჟურნალი; საჭიროა თვით რედაქციისათვისაც, — რომ იცოდნენ დაახლოებით მაინც, რა ხნის და რა ჭკუა-გონების ბავშვთან ექნება საუბარი, — და მკითხველებისათვისა, — რომ რიგიანად ისარგებლონ ახლად მოსულ „ჩეჩილით“, განსხვავება — კი, მართლა ისე შეუსაბამოა, სხვადასხვა წერილთ შორის, რომ ვერავითარ კავშირს ვერ ვუპოვით,

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 12.

ძალიანაც რომ ვეცადოთ. მაგალითად, „ოქროს“ მატყლოვანი ვერძი და „იაზონი“ თორმეტი წლის ბავშვისათვისაც ძნელი გასაგებია“.<sup>1</sup>

აქედან შეიძლება დავასკვნათ: „რედაქციას, ეტყობა მოუწადინებია „ჩეჩილით“ ყველა ხნის და ქუჟა-გონების ყმაწვილი დააკმაყოფილოს, მაგრამ ეს შეტად ძნელი, საფრთხილო საგანია. სჯობს, მცირესა დას-ჯერდეს, და რიგიანად შეასრულოს, ვიდრე ბევრს გამოუდგეს და, ზემდღვანელობის მაგიერად, წკითხველებიც არიოს“.<sup>2</sup>

რეკომენდებულია ჟურნალის სტრუქტურული გადახალისება შემდეგი სახით: „წიგნს რამდენიმე განყოფილება უნდა მიეცეს: ადგილით — საბავშვოთი და თან-და-თან ძნელზე — მოზარდის შესაფერვებ გადავიდეს“.<sup>3</sup>

„ჩეჩილის“ მომდევნო წლების გამოცემებში თანდათან ენჩნევა ამოცანების შესაფერისად თავის საზღვრების უფრო მკვეთრად გამო-ჩატვა სათანადო მხატვრული ნაწარმოებების გამოქვეყნებით, რითაც იგი ბავშვთათვის განკუთვნილ ჟურნალებად იქცა.

ამ გვარად; 1. XIX საუკუნის II ნახევრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართული საბავშვო პერიოდული გამოცემების და-არსებას; საბავშვო ჟურნალების წინაშე ორი ძირითადი ამოცანა იდგა: ა) განევითარებინა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა არა ერთი კე-რძო ნიშნით — მხატვრული, ისტორიული, მეცნიერული და ა. შ., არა-მედ საბავშვო ჟურნალი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა თემაზე, სხვა-დასხვა ენარისა და ფორმათა მრავალსახეობის შექმნისა და ბავშვთა გონებრივი განათლების, მათში ესთეტიკური და მორალური ჩვევების აღზრდა-გნვითარების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის უმ-ნიშვნელოვანესი ინტელექტუალური და ემოციური ზეგავლენის ფაქ-ტორი; ბ) მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშნა მდიდარი ხალხური ენის შესწავლისა, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის კეთილშობილური გრძ-ნობის აღზრდაში მშობლიური კუთხის გაცნობის, „ადგილობრივი ცხოვრების“ ჩვენების საქმეში“.

2. ჟურნალ „ნობათს“ ფართო გეგმით ჰქონდა გათვალისწინებული ქართული საბავშვო ლიტერატურის შექმნა-გამდიდრება და ამით ახა-ლი თაობის გათვითცნობიერება, გონებრივი განვითარება, ცხოვრების საუკეთესო გზის ჩვენება: სწორედ ეს ძირითადი მიზანი განსაზღვრავ-და საყმაწვილო ჟურნალში მოთავსებული მასალების ხასიათს, შინა-

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 12

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

არსა და თვისებას — „სწორედ აქედან გამომდინარეობდა საბავშვო ჟურნალის ეროვნული ხასიათი, მისი რეალისტური მიმართულება“.

3. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ჟურნალი ცდილობდა დასახული მიზნის განხორციელებას ორი საშუალებით: 1. მხატვრული სიტყვით და 2. პედაგოგიური მოძღვრების პროპაგანდით;

4. „ყველაფრის მომცველი“ საბავშვო ჟურნალი „ნობათი“ — „ყრმათათვის საკითხავი“ მხატვრული ჟურნალის ფუნქციას გასცდა; იგი უფრო წარმოადგენდა საყმაწვილო მოთხრობების, მშობლებისა და აღმზრდელებისათვის მიცემული დიდაქტიკური ხასიათისა და მასწავლებელთათვის მეთოდოლოგიური წერილების კომპლექსს, ვიდრე საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვით ორგანოს.

5. ჟურნალმა პედაგოგიური ფუნქცია ორი ძირითადი პრობლემის გადაჭრით განსაზღვრა: ა) სამშობლო ენის სწავლება და ბ) ზნეობრივი აღზრდა.

ჟურნალი მოითხოვდა, რომ მშობლიური ენა სკოლებში როგორც სასწავლო დისციპლინა ცალკე საგნად ესწავლებინათ. დედა ენის ღრმა ცოდნა მიაჩნდა როგორც საგნების ცოდნისა, ისე სხვა ენების შესწავლის საფუძვლად.

ზნეობრივ აღზრდაში უმთავრეს, გადამწყვეტ როლს აკუთვნებდა რა მასწავლებელს, ამავე დროს აუცილებლად მიაჩნდა გამოკვლეული ყოფილიყო ის მიზეზები, რომლებმაც დაბადა ყმაწვილის რომელიმე დანაშაული, რათა მის წინააღმდეგ დაესახა ქმედითი ღონისძიებანი:

6. ჟურნალი „ნობათი“ ავითარებს ახალი თაობის რელიგიური აღზრდის პრინციპებს. მაგრამ რაც მთავარია, ამავე დროს გამოთქვამდა აზრს იმის შესახებ, რომ აუცილებელია გლეხის შვილებმა სულმართო რჩულიდან იცოდნენ მოთხრობები ჩვენს, ადგილობრივი ეკლესიის უმთავრეს წმინდანებზე. ასე, რომ ჟურნალს როგორც მხატვრულსა, ისე პედაგოგიურს, რელიგიური ხასიათის სტატიების საფუძვლად ეროვნული მასალების გამოყენება მიაჩნია უპირველეს ამოცანად;

7. დღემდე უყურადღებოდ იყო დარჩენილი „ნობათის“ რედაქტორის ანდ. ლულაძის ღვაწლი, როგორც პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლისა და უგულვებელყოფილი იყო საცენზურო კომიტეტთან კონფლიქტის მნიშვნელობა, რომელიც მას ახასიათებს ეროვნული საბავშვო ლიტერატურისათვის თანმიმდევრულ მებრძოლად.

ეს დასტურდება ახლად მიკვლეული დოკუმენტებით. სხვა მოსაზრებანი, რომლებიც მასთან განაწყენების საფუძველზეა წარმოშობილი და ასე თუ ისე გამოყენებულია ანდ. ლულაძის როგორც რედაქტორის აუგად მოსახსენებლად, უნდა მივიჩნიოთ ტენდენციურად.

ანდ. ლულაძის სახელი უშუალოდ დაკავშირებულია ჟურნალ „ნობა-

თის“ არსებობასთან, იმ ყურნალისა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში, რის გამოც იაკობ გოგებაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, მადლობელი უნდა ვიყვეთ როგორც რედაქტორ-გამომცემლისა. რომლის დაუღალავი მუშაობის შედეგად ყურნალმა ჩვენს მოზარდ თაობას თავისი არსებობის მანძილზე („ცოტა ხნით“) გონებრივი დღესასწაული დაუყენა და ჩვენს ცხოვრებაში ცოტაოდენი კვალი მაინც დატოვა. ამისი უგულვებლყოფა არ შეიძლება;

8. ყურნალი „ჩეჩილი“ თავის წინამორბედად ყურნალ „ნობათი“-საგან განსხვავებით გაემიჯნა „წმინდა პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ სტატიებს“, ხოლო პედაგოგიური იდეები მხატვრული რეალიზმის პრინციპებს დაუქვემდებარა. იგი მტკიცედ დაადგა სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის განვითარების რეალისტურ მიმართულებას;

9. კრიტიკა „ჩეჩილის“ მიმართ გამოთქვამდა საყვედურს იმის გამო, რომ თავიდანვე უფრო მეტი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ნათარგმნ ნაწარმოებებს, ხოლო „ადგილობრივი ელემენტი“ ყურნალში ან სულ არ იყო, ან კიდევ მას საჭმარისი ყურადღება არ ექცეოდა: აუცილებელი იყო ყოველ საბავშვო წიგნში ადგილობრივ ელემენტს უპირველესი ადგილი დათმობოდა, ჭერ ჩვენი ქვეყნის ფლორა და ფაუნა შეესწავლა მოზარდ თაობას და მერე კი უცხო ქვეყნებისა.

10. „ჩეჩილის“ შემოქმედებითი ორიენტაცია და იდეურ-შინაარსობრივ მიმართულებაში რეალისტური პრინციპების დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია აკაკის აზრი იმის შესახებ, რომ საბავშვო ნაწარმოებში ტენდენციის წინააღმდეგობა შეცდომაა. რასაკვირველია, ტენდენციურობა სახალხო ინტერესების შესაბამისობაში უნდა გამოენახატა ყურნალში დაბეჭდილ მხატვრულ მასალებს და სახელმძღვანელო დებულებად მიეღო „ხელოვნება ცხოვრებისათვის“. ამისათვის უნდა მიექცია ყურადღება როგორც „ჩეჩილის“ რედაქციას, ისე ლიტერატურულ კრიტიკას;

11. ლიტერატურულმა კრიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყურნალში დაბეჭდილ საბავშვო ნაწარმოებთა ენის თავისებურებას და „ჩეჩილის“ შინაარსობრივსტრუქტურული გადახალისება მოითხოვა მკითხველმა ასაკობრივი პრინციპების მტკიცედ დაცვის საფუძველზე.

12. ყურნალებმა „ნობათმა“ და „ჩეჩილმა“ თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო ქართველი მწერლები, ამასთან თვითონაც შეძლეს აღეზარდათ ახალგაზრდა საბავშვო მწერლები, რომლებმაც ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის შემდგომი განვითარების ისტორიულ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს.

ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის  
კრიტიკის ძირითადი პრობლემები

«Без истории предмета нет теории предмета. Но и без теории предмета нет даже мысли об его истории, потому что нет понятия о предмете, его изучении и границах».

Н. Чернышевский

ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავებასთან ორგანულადაა დაკავშირებული მისი ესთეტიკური კრიტიკის განვითარება, ეს საკითხი ცალკე, სპეციალური მეცნიერული კვლევის საგანი ჯერ არ გაშხდარა. ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებული, მეცნიერულად არგუმენტირებული სრული კურსი ჯერჯერობით დაწერილი არ არის, ხოლო ასეთის შექმნის აუცილებლობა უკვე იგრძნობა; სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის შესწავლის გარეშე საბავშვო ლიტერატურის ისტორიის დაწერაც არ შეიძლება. ამ მხრივ ქართული პედაგოგიური და ლიტერატურული კრიტიკა დიდ ვალში არიან.

საბავშვო პერიოდულ გამოცემათა და ცალკეული საბავშვო მწერლის შემოქმედების ანალიზისას, გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსები გამოთქვამენ ფრიად სერიოზულ მოსაზრებებს საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის რიგ პრობლემებზე, მაგრამ დღემდე არ მოშხდარა მათი ისტორიულ ასპექტში განხილვა, მათი კლასიფიკაცია გარკვეული პრინციპებით და შედეგების განზოგადება.

დღემდე არ არის შესწავლილი. როგორც სპეციალური საკითხი, ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კონცეფციის ფორმირება-ჩამოყალიბება XIX საუკუნის II ნახევარში, რაც ქართული საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია.

იგი საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის ისტორიაში ნამდვილად განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა იმიტომაც, რომ კრიტიკული წერილები, რეცენზიები, რომელიც ქვეყნდებოდა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ პერიოდულ გამოცემებსა და პრესის ფურცლებზე, ხელს უწყობდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინება-განმტკიცებას, მის წინაშე დაყენებული ისტორიული ამოცანების შეგნებულად შეცნობასა და მხატვრულად გადაწყვეტას.

XIX საუკუნის II ნახევარში საბავშვო მწერლისა და კრიტიკოსის

წინაშე იდგა დიდი პრობლემა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის აღორძინება და განვითარება.

ამ ისტორიულ საქმეში მწერალთა და კრიტიკოსთა ურთიერთდამოკიდებულება, ბრძოლა საერთო ინტერესების საფუძველზე, კრიტიკის მიერ საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკაზე შეხედულებათა ჩამოყალიბება გარკვეული სისტემის სახით, საბავშვო ლიტერატურის განვითარების გზების ჩვენება პედაგოგიურ მეცნიერებაში ახალი თაობის აღზრდის საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ ეპოქისეული მოთხოვნის გათვალისწინებით, ჭეშმარიტად იყო უდიდესი ისტორიული ვალდებულება.

ამა თუ იმ საბავშვო ნაწარმოებებში, კრიტიკული ანალიზის შედეგად, მხოლოდ იმის ამოცნობა, თუ რამდენად სწორადაა მწერლის მიერ შეცნობილი ობიექტური სინამდვილე, რასაკვირველია, მწერლობის სრულყოფილად განვითარებისათვის საკმარისი არ იყო.

საბავშვო მწერლობაში მხატვრული სახის პრობლემა კრიტიკის საგანი უნდა იყოს, რადგან მხატვრული სახე არის ცხოვრების ასახვის თავისებური ფორმა, რომელსაც აქვს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა, მისი შემწეობით ბავშვი იღებს გარკვეულ ცოდნას. გარკვეულ წარმოდგენას; ეს უკანასკნელი კონკრეტულად ვლინდება იმ გრძნობაში, რომელსაც ეს სახე იწვევს ბავშვში, როდესაც ნაწარმოებში ასახული სურათი, გმირის ხასიათი, მოქმედება, ქცევა, მიზანსწრაფვა იწვევს მასში თანაგრძნობას ან მის უარყოფას. მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი. ამ შემთხვევაში მთავარია ბავშვი ჩასწვდეს, შეგნებულად გაიგოს ნაწარმოების დედაზრი და ესთეტიკურადაც გაიაზროს ამ ნაწარმოებში ასახული სინამდვილე.

ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმიტომ, რომ მწერალი სინამდვილეს შეიცნობს და გადმოსცემს მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებით საზოგადოებრივი იდეალებისა ან კიდევ მისი საწინააღმდეგო პოზიციებიდან.

ამ შემთხვევაში ირკვევა, როგორც ესმის მწერალს ცხოვრება, როგორც დამოკიდებულებაშია იგი საზოგადოებრივ ძალებთან და როგორ აფასებს მას, რაც თავის მხრივ იმ ისტორიულ პირობებზეა დამოკიდებული, რომელშიც ის იმყოფება, ცხოვრობს, აზროვნებს.

მწერლის გრძნობები და აზრები, რასაკვირველია, მელანდებია იმასში, თუ რაზე და როგორ ამბობს თავის მხატვრულ ნაწარმოებში. სწორედ ამ პოზიციიდან არჩევს მწერალი მის ირგვლივ მყოფი ცხოვრების უამრავი მასალიდან მისთვის საინტერესო მოვლენას და ამაშიც

კი უმთავრესს, არსებითს, «Отбор делается неизбежным»<sup>1</sup>, რაც საბოლოოდ ექსოვება მწერლის იდეურ პოზიციას.

ახალგაზრდობის სახალხო ინტერესების მიხედვით აღზრდის ამოცანა კი მოითხოვს, ბავშვებს წასაკითხად მხოლოდ შერჩევით მივცეთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც მაღალი ოსტატობითაა გადმოცემული საზოგადოებრივი იდეები, სახალხო ინტერესები.

ამიტომ საბავშვო ნაწარმოების მხატვრული სახის ესთეტიკური მნიშვნელობა მეტად დიდია, რადგან ბავშვებს იგი კონკრეტულად უჩვენებს იმ სანატრელ, საოცნებო მიზანს, რისკენაც მიისწრაფვის ადამიანი ცხოვრებაში, რისთვისაც არ იშურებს იგი არა მარტო ძალ-ღონეს, არამედ მთელ თავის სულიერ და მატერიალურ შესაძლებლობას.

ამიტომ ბავშვებისათვის დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებში საბავშვო მწერლობამ კონკრეტული გმირის მოქმედების მიხედვით უნდა უჩვენოს ის გზა, რომელსაც მოჰყვება ადამიანი ბედნიერებისათვის ძიებაში, ცხოვრების სილამაზით დატკობისათვის და გააგებინოს აგრეთვე ის საშუალებები, რითაც უნდა მიაღწიოს ამ საოცნებო მიზანს. უფროსი ასაკის ბავშვთათვის, ახალგაზრდობისათვის სპეციალურად დაწერილ ეპიკურ ნაწარმოებებში სწორედ ესაა მთავარი; საზოგადოებრივი სიკეთისათვის მეტწილად ადამიანთა ტიპური სახეებით ვაგრძნობინოთ თვით ადამიანის მშვენიერება, მისი ცხოვრებისა და ბრძოლის მომხიბვლელობა, შევავაროთ ადამიანი და მისი კეთილშობილური საქციელი: «Прекрасно то существо, в котором видим мы жизнь такую, какова должна быть она по нашим понятиям... нет ничего на земле прекраснее человека»<sup>2</sup>.

ლიტერატურულ კრიტიკას უნდა ეჩვენებინა კონკრეტულ ფორმებში, ამა თუ იმ საბავშვო მწერლის ნაწარმოებში მოცემულ სახეთა სისტემაში თუ რამდენად სწორადაა არის გახსნილი ადამიანთა სულიერი სამყარო, ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენაზე შეხედულებანი, მოსაზრებანი და როგორაა გადაწყვეტილი მწერლის ოსტატობის რთული პრობლემა.

საკითხი ამის შესახებ, რომ საბავშვო მწერალმა თავის ნაწარმოებში აუცილებლად ბავშვთა სახეები, ადამიანთა ურთიერთობა ასახოს სიმართლით, შეუფერავად, ცხოვრების განვითარების კანონზომიერი ტენდენციებისა და პერსპექტივის ტიპურ გარემოში ჩვენებთ, იყო უაღრესად დიდმნიშვნელოვანი; ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნანი არა მარტო თეორიულ ასპექტში უნდა განხილულიყო, არამედ კონ-

<sup>1</sup> Ги де Мопсан. Предисловие к роману «Пьер и Жак», «лит. манифесты франц. реалистов», М., 1935, стр. 133.

<sup>2</sup> Н. Г. Чернышевский и др. Полн. собр. соч. М., 1949, т. II, стр. 10, 17.



კრეტული პრაქტიკული ღირებულების მქონეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველა ეს საკითხი მეტად მტკივნეულად იყრიდა თავს საბავშვო მწერლის მსოფლმხედველობისა და ოსტატობის ურთიფრთ-დამოკიდებულების პრობლემებთან.

ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ისტორიიდან (ამჟე-რად საკვლევი თემის ფარგლებში) არა ერთი და ორი მაგალითის მო-ყვანა შეიძლება, სადაც მკვეთრად ჩანს პრინციპული მოსაზრებანი რეალისტური საბავშვო მწერლობის განვითარების ინტერესებიდან გა-მომდინარე. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ეკ. გაბაშვილის მო-თხრობის „საახალწლო ფეშქაშის“ შესახებ ი. გოგებაშვილისა და სტ. ჭრელაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი. ისინი, შესანიშნავი მწერალი ქალის ეკ. გაბაშვილის ნიჭის დამფასებელნი, მოთხრობა და რსებასთან ერთად ობიექტურად აღნიშნავენ მის ნაკლოვანებებსაც.

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „საახალწლო ფეშქაში“ ეკუთვნის ქალ ეკ. გაბაშვილის კალამს. მოთხრობაში მოიპოვება არა ერთი ღირსება, რომელიც ძვირფასს ნაწარმოებად ხდის ავტორის ნაწერსა. მსუბუქი კილო, ცოცხალი მიმდინარეობა აზრისა და მშვენიერი ქართული ენა შეადგენენ უმთავრეს ღირსებას „საახალწლო ფეშქაშისას“. უკანასკ-ხელი ღირსება მეტადრე ფრად შესანიშნავია. ჩვენის აზრით, პატივე-ბული ავტორი ჩვენს ლიტერატურაში თითქმის ერთად-ერთი პირია, რომელიც ყოველთვის ფიქრობს ქართულს ენაზედ და ამიტომ მისი საყ-მაწვილო ენა წმინდა ქართულია, როგორც ლექსიკონითა. ისე სიტყვე-ბის დაკავშირებით, შეთანხმებით და კონსტრუქციით“.<sup>1</sup>

ეხება რა მოთხრობის შინაარსობრივ მხარეს, იგი აღნიშნავს „ეს შემთხვევა რომ იყოს ფანტასტიკური, შეუძლებელი, ძალად მოგონილი, მაშინ მოთხრობა იქნებოდა მზგავსი ესრედწოდებული ზნის სწავლის მოთხრობებისა, რომლებითაც ილაჯი წაართვეს ევროპიელს ბავშვებსა ვოფმანმა და მისმა მზგავსმა მწერლებმა“<sup>2</sup>,

მიუხედავად ღირსებებისა, დიდი პედაგოგი მოთხრობის ნაკლსაც მოურიდებლად აღნიშნავს: „ბატონ-ყმური ბოლო მოთხრობისა ძლი-ერ ამბინჯებს მას და თითქმის სრულად უკარგავს აღმზრდელს თვი-სებას“...<sup>3</sup> „პატივეცემული ავტორი, რომ მომეტებულად ყურადღებით და წინდახედულობით მოქცეოდა საქმეს, მოთხრობას გაათავებდა სრუ-ლიად სხვანაირად: მოხუცებულს მანდილოსანს უქალო დედად გამო-იყვანდა, აშვილებინებდა ობოლს ფეფოს და მის ვაყებს გაახარებდა ანლი მოპოვებული დითა. ამ გვარი საქმის მოტრიალება გამოაშკარავებ-

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 42, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 2.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 3.

და ერთს საუკეთესო ჰუმანურს მხარეს კაცის ბუნებისას, კარგს, ნაყოფიერს კვალს დასტოვებდა პატარა მკითხველის გულში და სინამდვილესთანაც უფრო ახლოს იქნებოდა. როდესაც მომაკვდავი დედა ვისმე ევედრება პატრონად გაუხსნი ჩემს საწყალ თბოლსა და ნუ გაძატან საიქიოს მის ჭავრსო, გულქვაც რომ იყოს ეს ადამიანი, ერთ წაჰს მინც იგრძნობს ღრმა სიბრაულესა და მხურვალე სიტყვებით აღუთქვამს მას შევილად აყვანასა. ჩვენი მანდილოსანი კი არამცთუ გულქვავი არ იყო, ძალზე სათნო და შემბრალებელი გული ჰქონდა. იმდენად შემბრალებელი, რომ შუალამისას საშინელს კორიანტელს არ დაერიდა, წავიდა ახალწელიწადს ღამეს შორს მეზობლისას, რომ ენუგეშებინა ავადმყოფი საწყალი დედა-კაცი. მით მოულოდნელი იყო მისგან ცივი სიტყვების თქმა სულთ-მბრძოლი დედაკაცისათვის და ფეშქაშად ჩუქება თბოლი ფეფოსი“.<sup>1</sup>

სტ. კრელაშვილიც<sup>2</sup> ობიექტურად აფასებს მწერალი ქალის ზემოაღნიშნულ საბავშვო მოთხრობას: „სახტად დავრჩით ნიჭიერის ეკ. გაბაშვილის პატარა მოთხრობით „საახალწლო ფეშქაში“. ამ მოთხრობას აკლია ყველაფერი, რაც კი საამურ და საინტერესო ნაწერებად ჰხდის ხოლმე ქალბატონის ეგ. გაბაშვილის ნაწერს. „საახალწლო ფეშქაშს“. შერჩენია მხოლოდ ჩვეულებრივი ღამაში მოთხრობითი ენა ავტორისა, მეტი არაფერი, აქ. სწორე მოგახსენოთ, საფეშქაშო და მეტადრე: საახალწლო არა არის რა, გარდა გოზინაყისა, არ გვესმის, რა ჩაუჩხირავს ქ. გაბაშვილისას პატარა მკითხველისათვის ახალის წლის საამო მოგონებაში ვიღაც მომაკვდავის სურათით. ნუთუ ამგვარი გამწარება ახალი წლისა არ ასცდება ჩვენს ბავშვებს! და თუ ეს ასე არ ხდება, თუ ასეთი შოვლენა მხოლოდ იშვიათ რამეს შეადგენს, მაშინ რა ადგილი აქვს მას საახალწლოში! რა ზელი აქვს გოზინაყთან, როდესაც გოზინაყი, ჩურჩხელა და სხვა ხილუელობა ახალწლის საღამოს, უმკვდრებოდ უფრო ტკბილნი და საამურნი არიან! რა აზრი აქვს მელანოს სიკვდილს „საახალწლო ფეშქაშში?“ იქნება ავტორს უნდოდა დაენახა კონტრასტი მდიდართა და ღარიბთა შორის ახალ წელში! თუ ეს განზრახვა ჰქონდა ძალიან უხერხოდ შეუსრულებია იგი. მართლაც, განა მდიდრები კი სიკვდილის შვილნი არ არიან? განა იმათ კი არ ესტუმრებათ ხოლმე ახალ-წელიწადს სიკვდილი!.. აქ საკონტრასტო არ არის რა გარდა თითონ სიკვდილისა, რომელიც ახალ წელსა სწვევია განსვენებულს მელანოს — ცალ მხარეზე ახალ-წლის საშუადისი, ცალზე კი სიკვდილის წეუფება.

...ამისთანა ბუნების მწარე მოვლენა მხოლოდ მაშინ გამოადგებოდა

<sup>1</sup> „ღროება“, 1884, № 42, გვ. 3.

<sup>2</sup> „ივერია“, 1884, № 11, გვ. 158.

ავტორს კონტრასტისათვის, როდესაც იგი მუდამ ერთვის ახალ-წელი-წადს, ან როდესაც ავტორს სრულებით არ ექმნებოდა სახეში თითონ ახლი წელიწადი, არამედ როცა მას ენდომებოდა ორი მოვლენის აღწერა: „სიხარულისა და მწუხარების“...

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს ქართული საბავშვო მწერლობის წინაშე დასმული ამოცანა: იგი უნდა ყოფილიყო ობიექტური რეალობიდან ტიპური მხატვრული სახეების შემქმნელი. საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების ყველა ეტაპზე და მოითხოვდა. საბავშვო ნაწარმოებში სრულყოფილი ტიპები ყოფილიყო მოცემული, რადგან ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ტიპი მკითხველისათვის არის ნაცნობი, უცნობი და ის ცხოვრება, რომელიც თხზულებაშია გამოსახული, „მკითხველს ნაცნობ და თან უცნობ საგნად ეჩვენება“.<sup>1</sup>

XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც აღმავლობას განიცდიდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა, ბუნებრივია, საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიული როლი დიდი იყო, რადგან „კრიტიკა“, არის განხილვა, გაჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა, რომელსაშე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჭერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე... სინჯავს შიგნიდან და გარედამ საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს, ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედა“.<sup>2</sup>

ქართულ ეროვნულ საბავშვო ლიტერატურას კრიტიკის დახმარებითა და მხარდაჭერით, სპეციფიურობისა და ასახვის სფეროს ფარგლებში, თავისი სათქმელი ჰქონდა.

საბავშვო ლიტერატურას, საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობას ესთეტიკური კრიტიკა ისე უნდა დახმარებოდა, რომ მას სათქმელი უკეთ ეთქვა, დასანახავი უკვე დაენახა, წარმოსახავი უკეთ წარმოესახა. ეს იყო მისი პირდაპირი ვალი ახლა ფეხამდგარი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და განმტკიცების ისტორიული ამოცანის წინაშე.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოების აღნიშვნაც, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს, როდესაც საქმე ეხება ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის წარმოშობა-განვითარებას.

დიდი ილია გასული საუკუნის 80-იან წლებში გულისტკივილით აღნიშნავდა ჩვენში კრიტიკის უქონლობას, მაგრამ ამის მიზეზად არ მია-

<sup>1</sup> ნ. სკანდელი. კრებული, თბილისი, 1871, გვ. 211.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, თბილისი, 1953, ტ. 3, გვ. 34.

ჩნდა ჩვენი ლიტერატურის თითქოს უშინაარსობა, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობდა. აკაკი ამასვე აღნიშნავდა ხაზგასმით და იქვე მიუთითებდა ქართული ლიტერატურის სიამაყეთა რუსთაველის, ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის შემოქმედებაზე, რითაც აქარწყლებდა მცდარ აზრს კრიტიკის უქონლობის მიზეზის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით აკაკი წერდა: „ჩვენი ქართული მწერლობის ნაკლი ის არის საზოგადოთ, კრიტიკოსები არ გვყავს და კრიტიკა არ გვაქვს. ყველას ის მიაჩნია საყოველთაოდ კარგად, რაც თვითონ მოსწონს და იმას სდებს წუნს, რაც არ ექვშმარტება“.<sup>1</sup>

ყოველივე ეს თანაბრად შეიძლება გავავრცელოთ იმ დროისათვის ახლად ფეხმდგარი ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკისადმი.

მაგრამ ქართულ სამოციანელთა ესთეტიკური კრიტიკა იყო საბავშვო ლიტერატურისათვის -წარმართველი ინტელექტუალური ძალა, რომლის სულისჩანდგმელნი იყვნენ ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი, გიორგი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.

ცნობილია, რომ ილია ხელოვნებას აკისრებდა ობიექტური სინამდვილის მხატვრულად ასახვის მეტად საპასუხისმგებლო ამოცანას; ხელოვნებამ, მწერლობამ, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისი მომხიბვლელის კალმით უნდა გვიჩვენოს ხალხის ცხოვრება, მისი გმირული წარსული, აწმყო და მომავალი, გვიჩვენოს „სიცუდეც და სიკეთეც“.

ამ ისტორიულ საქმეს უნდა ემსახურებოდეს პოეტის სიტყვა, ეს ხელთუქმნელი საგანძფრი, რომლითაც „ერი ერობს და ადამიანი ადამიანობს“.<sup>2</sup>

პოეტი ხომ „არა მარტო ტყბილ ხმათათვის“ არის მოვლენილი. ის გარემოების საყვირია, მის „ნაწერში ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით... პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხს თანაზიარს, მოხვედრია“<sup>3</sup> წერალმა „ასისა, ათასის სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით“.<sup>4</sup>

ვაჟამ კარგად იცოდა, რომ ადამიანები „ცხოვრებაში გარკვეული ეკონომიკური, იდეური და პოლიტიკური თვალსაზრისის სხვადასხვაობის გამო. უპირისპირდებიან ერთმანეთს და თავისდა უნებურად აჩენენ კონფლიქტებსა და სულიერ კოლოზიებს. ამ ბრძოლაში ყველაზე მე-

<sup>1</sup> აკაკის თვითი კრებული, 1897, № 1.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, თბილისი, 1952, ტ. 6, გვ. 99.

<sup>3</sup> გერისთავი, თხზულებანი, თბილისი, 1884, აკაკი წერეთლის წინასიტყვაობა.

<sup>4</sup> აკაკის თვითი კრებული, 1898, № 9.

ტად დეპრესირებული ადამიანი, რომელიც ჰქმნის საზოგადოებრივ ღირებულებას. ვაჟასათვის ადამიანისადმი სიყვარული განუტრეველი როდია. ცხოვრებაში არსებობს ბოროტი და კეთილი, გაბატონებული და დაჩაგრული. ვაჟა პატივსა სცემს კეთილსა და დაჩაგრულს, ეზიზღება მას ბოროტი და მჩაგვრელი“.<sup>1</sup>

კლასიკოსთა შეხედულებანი მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის, ტიპური სახეების, ენისა და სხვა უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ პრობლემებზე იყო ეს ცხოველყოფელი წყარო, საიდანაც სათავეს იღებდა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკა XIX საუკუნის II ნახევარში.

შემთხვევით არ უთქვამს აკაკის, რომ მწერალი იგივე პედაგოგია; მწერლის პოეტური სიტყვის ემოციური ზეგავლენა ადამიანზე მეტად დიდია. მალალი ხელოვნების ნიჭით მომადლებული შემოქმედის ნაწარმოები, როგორც ცნობილია, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის შეხედულებათა, ქცევათა, მისწრაფებათა ჩამოყალიბება-ფორმირებაზე. მაშასადამე, მწერალი თავისი ნაწარმოებით გარკვეულ აღმზრდელობითს მუშობას ეწევა მხატვრული სიტყვის შესაბამისი ფუნქციის გამოყენების საშუალებით.

„საზოგადო მწერალს ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწვრთნელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია. მასწავლებელი რამდენსამე მოწაფესა წვრთნის და მწერალი კი მთელ ხალხს, და არა მარტო აწმყოში, — მომავალშიაც“.<sup>2</sup>

მხატვრული რეალიზმის პრინციპები და პროგრესული პედაგოგიკური მოძღვრება ჰარმონიულ მთლიანობაში საბავშვო ლიტერატურის, მისი ესთეტიკური კრიტიკის წარმოშობისა და განვითარების საფუძველთა საფუძველია.

ამას ადასტურებს ილია ჭავჭავაძის კრიტიკული რეალიზმის პრინციპებისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების ჰარმონიული ერთიანობის კეთილსასურველი შედეგები ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავებისა და განვითარების ისტორიაში: ილია „არის ერთი მხრივ, ყველაზე ღირსეული მემკვიდრე წინა ეპოქების მოწინავე ქართული აზრისა და ლიტერატურული ტრადიციებისა, მეორე მხრივ, ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა, რომ-

<sup>1</sup> დ. ბენაშვილი. ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1961, გვ. 330.

<sup>2</sup> აკაკის თვითი კრებული, თბილისი, 1898, № 8, გვ. 9.

ლის სახელთან დაკავშირებულია მისი თანამედროვე და შემდგომი პერიოდის კემპარიტად ეროვნული მწერლობის განვითარება<sup>1</sup>; ხოლო იაკობ გოგებაშვილი ქართული პედაგოგიური აზრის დიდებულა. რომლის ბრწყინვალე პედაგოგიური მოძღვრება ჩაუქმრალ შარავანდედად დღესაც ანთია.

დიდი პედაგოგი მოითხოვდა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ყოველმხრივ მომზადებული „ახალი ტაძის“ ადამიანის, „ახალი ტაძის ქართველის“ აღზრდას; იგი უნდა ყოფილიყო ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად და ესთეტიკურად სრულყოფილად განვითარებულ, შრომისმოყვარეობით, მეგობრობით, პატიოსნებით, სიკეთით აღჭურვილი, ამავე დროს ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური გრძნობით სავსე. ყოველივე ეს შეიძლებოდა განხორციელებულიყო იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიზმის პრინციპების საფუძველზე დედაენის საშუალებით.

მაშასადამე, ერთი მხრივ. ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ქართული მხატვრული სიტყვისა და კრიტიკული აზრის სიდიადე, მეორე მხრივ, იაკობ გოგებაშვილის პროგრესული პედაგოგიური მოძღვრება და ამავე დროს მისი მხატვრული სიტყვაც ქმნიდა ეროვნულ საბავშვო ლიტერატურას, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას, მისი თეორიისა და კრიტიკის სათავეს.

საბავშვო ნაწარმოებების გამოჩენა, საბავშვო პერიოდულ გამოცემათა დაარსება, ბავშვთათვის საკითხავი მოთხრობების კრებულების სპეციალური გამოცემები, მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების გადმოთარგმნა ქართულ ენაზე, პრესისა და ჟურნალების ფურცლებზე კრიტიკული წერილების ბეჭდვა საყმაწვილო მოთხრობების საბავშვო მწერლების შესახებ, უკვე ქმნიდა იმ დიდ შემოქმედებითს ატმოსფეროს, რომელშიც, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა და შეზღუდვისა, განვითარებას პოულობდა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის რეალისტური მიმართულება, მისი ესთეტიკური კრიტიკაც.

ყოველივე ეს მოითხოვს, ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორების საფუძველზე, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩამოვაყალიბოთ ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ძირითადი პრინციპები, მისი არსი, ის ძირითადი მოთხოვნანი, რომლის საფუძველზე XIX; საუკუნის II ნახევარში უნდა განმტკიცებულიყო და შემდგომი განვი-

<sup>1</sup> დ. გამეზარაშვილი. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, თბილისი, 1957, ტ. II, გვ. 513. /

თარებისათვის მიეღწია ქართულ ეროვნულ საბავშვო ლიტერატურის, კერძოდ, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას.

საკითხის სისრულით წარმოდგენისათვის ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია საპირობების მიხედვით, სათანადო ანალოგიების ჩვენებისათვის შედარება-შეპირისპირების ხერხის გამოყენება; პირველ რიგში, ამ ხერხის გამოყენება დაგვეჭირდება რუსულ საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკასთან, რამაც უნდა ცხადყოს XIX საუკუნის II ნახევარში როგორც რუსული, ისე ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ჩამოყალიბების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის მსგავსება თუ განსხვავებულობა, რაც ერთი თავისებური ფურცელი იქნება ქართული და რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში.

იაკობ გოგებაშვილი არა მარტო ერთ-ერთი ფუძემდებელია ქართული კლასიკური ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობისა, არამედ მისი თეორეტიკოსი და კრიტიკოსიცაა..

ვითარდებოდა რა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა, აუცილებელი იყო, ყოველი ახალი ნაწარმოები განხილვის, მსჯელობის, შეფასების საგანი გამხდარიყო; ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ თვით საბავშვო ლიტერატურას განვითარების სწორი გზა აერჩია, მხარდამხარ გაჰყოლოდა ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელთა მიერ ზოგად (საერთო) ლიტერატურაში უკვე ჩამოყალიბებულ ესთეტიკურ კონცეფციას. ეს როლი საბავშვო ლიტერატურის კრიტიკასაც ჰქონდა დაეისრებოდა. ამის გამო გოგებაშვილი კრიტიკის პასუხისმგებლობას დიდ მნიშვნელობას აძლევდა: „ყოველი კრიტიკა უთუოდ, ახალს აზრს, მსჯელობას უნდა განუზიარებდეს მკითხველსა“.<sup>1</sup>

მართალია, თანამედროვე ქართული ლიტერატურული და პედაგოგიკური კრიტიკა საბავშვო ლიტერატურის პრობლემატიკის განხილვისას ფართოდ იყენებს იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკურ კონცეფციას.<sup>2</sup> მაგრამ ჭერჭერობით სპეციალური მონოგრაფიული მეცნიერული შრომა მისი ესთეტიკური კონცეფციის პრინციპებისა და სისტემის შესახებ არ დაწერილა,<sup>3</sup> არც ქართული საბავშვო მწერლობის ესთეტიკუ-

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 237.

<sup>2</sup> იხ. გ. თაგზიშვილი. იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952, გვ. 188 — 247.

<sup>3</sup> იხ. ი. გოგებაშვილის ესთეტიკის შესახებ გ. სამხარაძისა და ვ. გუგუშვილის უთუოდ საყურადღებო ნაშრომი „იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკა“, — საიუბილეო კრებული, თბილისი, 1940, გვ. 146 — 174.

რი კრიტიკის ისტორიაა სპეციალურად შესწავლილი და დაწერილი, სადაც, რასაკვირველია, იაკობ გოგებაშვილის კრიტიკული მემკვიდრეობა გახდებოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიის პირველადი წყარო.

ყოველივე ეს გვავალებს მოკლედ დავახასიათოთ ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ჩამოყალიბების პროცესი და იაკობ გოგებაშვილთან ერთად სათანადოდ აღვნიშნოთ ყველა იმათი ღვაწლი, ვინც ამ დიდი ისტორიული საქმის მგზნებარე პატრიოტები იყვნენ.

მართალია, იაკობ გოგებაშვილს საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის პრობლემატიკურ საკითხებზე ცალკე სპეციალური შრომა არ დაუწერია, მაგრამ მისი ყოველდღიური მზრუნველობისა და საგანგებო ყურადღების არეში ყოველთვის იყო მოქცეული ყველა ის მოვლენა, ყველა ის საჭირობოროტო საკითხი, რომელიც კი წამოიჭრებოდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავებასთან დაკავშირებით. კიდევ მეტიც, ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადამწყვეტი თვითონ იყო.

იაკობ გოგებაშვილის მიერ სასწავლო საბავშვო წიგნების შექმნასთან დაკავშირებით ან კიდევ მხატვრული ნაწარმოების, ლიტერატურული ზღაპრის, იგავ-არაკების, საბავშვო პოეზიისა და პროზის, მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურის, გეოგრაფიული ნარკვევებისა, მოგზაურთა წერილებისა თუ გამოცანების ფორმისა და შინაარსის, საბავშვო ნაწარმოების ენობრივი ქსოვილის ობიექტურად განსჯასა და შეფასებაში მოცემული უაღრესად პრინციპული, მნიშვნელოვანი მოსაზრებანი და თეორიული დებულებანი. წარმოადგენს იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელზედაც არის დაფუძნებული ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკა.

საბავშვო ლიტერატურის შესახებ იაკობ გოგებაშვილის თეორიისა და კრიტიკის სისტემის ძირითადი წყაროა: 1. პედაგოგიკური მოძღვრება და 2. ლიტერატურული შეხედულებანი. მათი დიალექტიკური ერთიანობა ქმნის გამოჩენილი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის თეორიულ შეხედულებათა საფუძველს, მის ესთეტიკურ კონცეფციას, რაც კონკრეტულად მის მხატვრულ შემოქმედებაშია ხორცშესხმული.

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილის, როგორც ქართული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, როგორც მისი თეორეტიკოსისა და კრიტიკოსის განმსაზღვრელი გახდა:

- I. სამი წყარო: ა) პედაგოგიკური მოძღვრება;
- ბ) ესთეტიკური კონცეფცია;
- გ) მხატვრული შემოქმედება.



- II. სამი სინამდვილე: ა) წარსული;  
 ბ) აწმყო და  
 გ) მომავალი.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც საქართველოში სახალხო განათლების მეთაური, ქვეყნის ინტელექტუალურ ძალებს წარმართავდა შეილებ-ბისათვის, ახალი თაობისათვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად, მათი სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისათვის, მათში მშობლიური ქვეყნისადმი ღრმა სიყვარულის, ერთგულების, გამირობისა და მამაცობის, სიძნელის დაძლევისა და მტკიცე ნებისყოფის, გამარჯვების რწმენის განმტკიცებისა და მკვიდრი ცოდნის ჩვევის აღზრდისათვის.

ქართველი ხალხის უკეთესი მომავლის ბედს ის სისხლხორცეულად უკავშირებდა ახალი თაობის აღზრდას, გავისხენოთ გორკის სიტყვები — მხოლოდ ბავშვები არიან უკვდავნი.

ამ უკვდავთა სიცოცხლისუნარიანობას სამარადისოდ დაუკავშირდა გოგებაშვილის გულისცემა, მისი ფიქრები, ოცნებანი, სურვილები და ამით თვით გახდა უკვდავი. ამ ღიადი მიზნით შექმნა „დედა ენა“, „ბუნების კარი“, ბავშვთათვის საკითხავი წიგნები და კრებულები.

იაკობ გოგებაშვილი მთელი თავისი პედაგოგიკური, მხატვრული და კრიტიკული შემოქმედებით ილიას, აკაკის, ვაჟას, რაფიელ ერისთავისა და სხვათა მხატვრული სიტყვის სამყაროში, მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე მათ მიერ შექმნილ საბავშვო ნაწარმოებებთან ერთად იდეურად ჩაეზარდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ხელოვნებისა და ლიტერატურის მეცნიერულ, რევოლუციურ-დემოკრატიულ გაგებას.

ასეთ რთულ ისტორიულ პირობებში შეუწელებელი ბრძოლა მოზარდთა თაობის აღზრდისათვის, მათი სულიერი საზრდოს შექმნა მშობლიურ ენაზე, გოგებაშვილისათვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. ის წერდა: „უმთავრეს და უპირველეს საშუალებად ყველა ერის პედაგოგებისა და მოაზროვნე ადამიანების მიერ აღიარებულია სამშობლო ენა, რომლის შემწეობითაც ბავშვი სინამდვილით გაიცნობს გარშემორტყმულის ბუნებას და შეიძენს საჭირო ცოდნას“.<sup>1</sup>

გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ბავშვის ყოველ აზრს, წარმოდგენებსა და გრძნობას, მის სულიერ სამყაროში მომხდარ ყოველგვარ ცვლილებას სისრულით, სრული სინამდვილით მხოლოდ დედა ენა ხატავს.<sup>2</sup> დედა ენაშია დაცული მთელი სიმდიდრე ხალხის გონების, ფანტაზიის, მთელი მისი ნამოქმედარის და ამიტომ დედა ენის „შესწავ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, № 149.

<sup>2</sup> „მწვემისი“, 1890, № 12.

ლა ბავშვს აკავშირებს მთელს ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მის სულიერის ღონით და მხნეობით“<sup>1</sup>.

იაკობ გოგებაშვილს ღრმად აფიქრებს ის მდგომარეობა, რომ „ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერს ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აკბუვინებს“<sup>2</sup>.

და აი, დიდმა პედაგოგმა მტკიცედ გადაწყვიტა ბავშვებს შეაყვაროს, შეასწავლოს მშობლიური ენა. ამის მიღწევას ის ცდილობდა მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოს მხატვრული ნაწარმოებების შექმნით, ქართული ენის სიწმინდის დაცვით, მდიდარი ხალხური ენის მწერლობაში განმტკიცებით: „ქართული ენა ისეთივე მდიდარია და მრავალმხროვანი, როგორც არის ბუნება კავკასიისა, სადაც ერთ პატარ ადგილზედ პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან; სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევდგან ძირს დასცქერიან ბროწეულს, ლეღვს, ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეობას, და სადაც რავდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები. ქართული ენა ისეთივე მრავალ-ფეროვანია, როგორც არის ჩვენი ენის ისტორია, წარსული ცხოვრება, სავსე მრავალ-გვარი მოქმედებითა, თვისებითა, აზროვნებითა, გრძნობითა დიდი სიხარულითა, ძლიერ მწუხარებითა.“<sup>3</sup>

ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის ფაქტი, რომ მის კრიტიკულ წერილებში, სადაც გარჩეულია რა კონკრეტული საბავშვო მხატვრული ნაწარმოებები, მოუხრიდებლად აკრიტიკებდა ყველა მწერალს, რომლის ნაწარმოებში ქართული ენის სიწმინდის მცირე დარღვევასაც თუ შენიშნავდა.

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება, ესთეტიკური კონცეფცია, მხატვრული შემოქმედება მშობლიური ხალხის წარსულის, აწმყოსა და მომავლის პესპექტივებთან დაკავშირებული ერთი დიდი მოვლენის — საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარების, აყვავების აუცილებელი პირობაა: ყველა მათგანი ერთიმეორესთან მტკიცედ დაკავშირებული, ერთიმეორისაგან გამომდინარე და ერთიმეორის შემვსებელი სასიცოცხლო წყაროა, რომლის წარმოშობისა და განვითარების საფუძველთა საფუძველი XIX საუკუნის II.

<sup>1</sup> „მწყემსი“, 1890, № 12.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაა, ამ მოძრაობას-  
თან დაკავშირებული სახალხო ინტერესები.

თუ რა შეხედულებისაა ი. გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურაზე,  
საერთოდ, რას უსახავს მას ძირითად მიზნად და ამოცანად. რა მოთ-  
ხოვნებს უყენებს ის საბავშვო ლიტერატურის ცალკულ ქანრებს,  
როგორ განსაზღვრავს მათს მხატვრულ ღირებულებას, აღმზრდლო-  
ბითსა და საგანმანათლებლო ფუნქციას, ქ მ ნ ი ს ს ა ბ ა ვ შ ვ ო ლ ი-  
ტ ე რ ი ტ უ რ ა ზ ე გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს შე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა  
მ ტ კ ი ც ე დ ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ უ ლ ს ი ს ტ ე მ ა ს .

საბავშვო ლიტერატურაზე ი. გოგებაშვილის შეხედულებათა სისტე-  
მის სრულყოფილად ჩამოყალიბება დაიწყო „დედა ენის“ და „ბუნების  
კარის“ შექმნითა და პირველი საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ გამო-  
სვლასთან დაკავშირებით; საბავშვო ჟურნალის შინაარსისა და ხასიათის  
განსაზღვრა, ჟურნალში მოთავსებული მასალები კრიტიკული შეფა-  
სება, ახალი თაობის აღზრდის შესაბამისად მხატვრული სიტყვის  
ფუნქციის განსაზღვრა და საერთოდ საბავშვო ლიტერატურის პრობლე-  
მატიკაზე მისი შეხედულებანი კიდევ უფრო მტკიცედ ჩამოყალიბდა  
იმ პაექრობაში, რომელიც განსაკუთრებით დაიწყო XIX საუკუნის  
80-იანი წლებიდან. ამ პაექრობაში თავიანთი ლიტერატურულ-კრიტი-  
კული მოსაზრებანი გამოთქმული აქვთ ილიას, აკაკის, კ. აბაშიძეს,  
სტ. ჭრელაშვილს, ივ. გომართელს, ლ. ბოცვაძეს, ალ. შირიანაშვილს,  
თ. ზუსკივაძეს, მ. ნასიძეს, ნ. ნიკოლაძეს და სხვ.

აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა, შეხედულებათა მოურიდებელი  
მწვავე შეჭახება ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრი-  
ტიკის ისტორიისათვის მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს.  
მიუხადავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში შეინიშნება უზუსტობა,  
შეხედულებათა მცდარობა თუ არაობიექტურობა, მაგრამ ამ დიდ  
ლიტერატურულ პაექრობაში ჩაბმულთა გაცხარება თუ მშვიდი განსჯა  
უშუალოდ გამომდინარეობდა ქართული ეროვნული საბავშვო ლი-  
ტერატურის შემდგომი განვითარების, მისი სრულყოფის სასიცოცხლო  
ინტერესებიდან.

ახლა როდესაც ჩვენ ამ გაცხარებიდან დიდი დრო გვაშორებს, ცივი  
გონებით შეგვიძლია განვიხილოთ მათი მოსაზრებანი და კმაყოფილე-  
ბით აღვნიშნოთ თითოეული მათგანის დიდი ღვაწლი ქართული ეროვნ-  
ული საბავშვო ლიტერატურის მიზნისა და ამოცანის ცხადად გამო-  
კვეთაში, ჩამოყალიბებაში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბავშვო ლიტერატურაზე ი. გოგე-

ბაშვილის შეხედულებათა სისტემის წერილობითი სახით თეორიულად ჩამოყალიბება მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან იწყება და უფრო კონკრეტულად კი ჟურნალ „ნობათისა“ და „ჯეჯილის“ ირგვლივ ატეხილ თეორიულ დავასთან არის დაკავშირებული, რომელიც შეჰდევ პერიოდში ვითარდება ქართული ლიტერატურული კრიტიკის გამოჩენილ მოღვაწეთა კრიტიკულ წერილებში, რაც ცალკე სპეციალური კვლევის ობიექტად მიგვაჩნია.

ამის გამო, ჩვენი კვლევა და განზოგადება ამჟერადაც მტკიცედ იქნება შემოსაზღვრული მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებით და, კერძოდ, საბავშვო ჟურნალების გამოსვლასთან დაკავშირებით, კრიტიკული აზრის გამოცობლებასთან.

ჟურნალ „ნობათის“ გამოსვლა იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა ჩვენი ლიტერატურის მიერ წინ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად,<sup>1</sup> რადგან „იგი მოასწავებს წარმატებას, წინ მოძრაობას და სახელს უკეთებს საზოგადოებას“. ეს იყო ახალი ნაბიჯი „ჩვენ ნიადაგზედ“, „ჩვენს შორის გადადგმული“ რაც უპირველეს ყოვლისა, ეროვნული საბავშვო ლიტერატურის წარმატების მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, სიტყვები „ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენს შორის გადადგმული“ ნაბიჯი, ის აუცილებელი და საამაყო გრძნობის შემცველი მოვლენა იყო, რომელსაც მყარი ნიადაგი უნდა შეექმნა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავებისა და განვითარებისათვის.

ი. გოგებაშვილი ასე განსაზღვრავდა ჟურნალის ისტორიულ როლს: „საბავშვო ჟურნალი, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გონებით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდ თაობაში, ბევრს მაღალ აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუშზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულის შეილსა“<sup>2</sup>.

ი. გოგებაშვილს საყმაწვილო ჟურნალის დანიშნულება დიდ ეროვნულ მოვალეობად აქვს წარმოდგენილი, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ აზრითა და გონებით სავსე, მაღალიდებურ-მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვითა და მოზარდ თაობაში მაღალი აზრის, ღრმა გრძნობათა ჩასახვის პროცესის სრული ჰარმონიული ერთიანობით;

დიდ პედაგოგს მიაჩნია, რომ საყმაწვილო ჟურნალი თავის უმაღ-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1884, № 7, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე.

ლეს ვალს — სამშობლოს მოუშზადოს გულმართალი და გმირული მამულიშვილები — იმ შემთხვევაში შეასრულებს, როდესაც მხატვრული ნაწარმოების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს ორგანულად დაუკავშირდება პედაგოგიურ მოსაზრებათა ძირითადი პრინციპები. მხატვრული პრინციპებისა და პედაგოგიურ მოსაზრებათა ჰარმონიული ერთიანობა საბავშვო ჟურნალის წარმატების საფუძველია.

ი. გოგებაშვილი ოპტიმისტურად არის განწყობილი ჟურნალის მომავლის შესახებ; მართალია, ბევრნი, ძალიან ბევრნი იჭვენულობდნენ ჟურნალის ხანგრძლივად არსებობაში, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო ასეთი იჭვენულობისა.

იაკობს სწამდა, რომ ჩვენში საბავშვო ჟურნალის განოცემა უფრო ადვილია, ვიდრე სხვა სახის რომელიმე პერიოდული გამოცემისა, რადგან „არა ერთი ნიჭიერი ჭირი, საზოგადო სწავლით განვითარებული, იჩენს სურვილსა სიტყვით, კალმით და საქმით დაეხმაროს საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებას“.<sup>1</sup> ამ გარემოებაზე ამყარებდა იგი დიდ იმედს ჟურნალის წარმატებისათვის და ამიტომ წინასწარმეტყველებდა „მის სიცოცხლეს შრავალ-ყამიერ“.

და თუ მაინც მისი შეხედულება „ნობათის“ მიმართ ვერ გამართლდა, გოგებაშვილს სჯერა, რომ ასეთ შემთხვევაში, ამ სამწუხარო მოლენის მიზეზი „სრულიად არ იქნება საზოგადო მოუშზადებლობა, არამედ იგი უნდა მიეწეროს „კერძო უხეირობას“.<sup>2</sup>

ი. გოგებაშვილის ეს სიტყვები იმაზე მიგვითითებს, რომ საბავშვო ჟურნალის ჰკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა უმაღლესი ვალის შეგნებულად გააზრება, საზოგადო ამოცანების სიმალემდე ინტერესის გაზრდა. ინტელექტუალურ ძალთა კონსოლიდაცია, რათა თავიდან ყოფილიყო ამორებული მოსალოდნელი „კერძო უხეირობა“, რასაც შეიძლებოდა ჟურნალის არსებობა კითხვითი ნიშნის ქვეშ დაყენებინა.

ეს ჯანსაღი განწყობილება შედეგი იყო იმ მტკიცე რწმენისა, რომ „პერიოდულის ლიტერატურის დედა-ბოძს ყველგან შეადგენდა და შეადგენს თვიური ჟურნალი“,<sup>3</sup> რომელიც ერის კულტურის საუნჯის გამდიდრებას ხელს უწყობს: ყოველი ნომერი ისევე ხანგრძლივად არსებობს, როგორც წიგნი. ყოველთვიური ჟურნალი ყოველ-წლივ ამდიდრებს ლიტერატურას თორმეტი ახალი წიგნით, რომელიც ას წლობით სიცოცხლობს და გონებრივს საზრდოს აძლევს ერსა დიდი ხნობით“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1884, № 7, გვ. 1.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გაზ. „ივერია“, 1896, № 67, გვ. 2.

<sup>4</sup> იქვე.

შაშასადამე, ი. გოგებაშვილს საბავშვო (საყმაწვილო) ჟურნალის დაარსება მიიჩნია დიდმნიშვნელოვან მოვლენად ერის ცხოვრებაში.

ამ მნიშვნელობას განსაზღვრავს: 1) ჟურნალის ეროვნული ხასიათი, რომელიც „ჩვენ ნიადაგზედ, ჩვენს შორის გადადგმული“ ნაბიჯის შედეგი უნდა იყოს. ეს კი, თქმა არ უნდა „მოასწავებს წარმატებას, წინ მოძრაობას და სახელს უკეთებს საზოგადოებას, რომელიც ეტყობა, სტოცხლობს, მოქმედებს და არ არის ერთს წერტილზედ გაჩერებული“; 2) საყმაწვილო ჟურნალში დაბეჭდილი მხოლოდ ნიჭიერი ნაწარმოებები, რომელთათვის ნიშნულია „აზრითა და გონებით სისავსეობა“, იქნება „მაღალი აზრის ჩამნერგავი, ექნება ღრმა გრძნობა და ახალ თაობაში აღზრდის ჰუმანურ მისწრაფებებს; 3) სულ სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოსათვის მხნე და გულწრფელი მამულიშვილების მომზადება; 4) ჟურნალის ორგანული ფუნქცია: — პედაგოგიკური ლიტერატურის აღორძინება.<sup>1</sup>

საბავშვო ჟურნალის ლიტერატურული და პედაგოგიური მნიშვნელობა ი. გოგებაშვილმა მეტად ამალღებულად წარმოგვიდგინა: იგი მას უყურებდა არა მარტო უტილიტარული თვალსაზრისით — მისთვის იყო ახალი თაობის აღზრდის ზოგიერთი ამოცანის გადაწყვეტისას არა მარტო დამხმარე ღონისძიება, ხელისშემწყობი საშუალება, არამედ სამართლიანად მიაკუთვნა მას ისტორიული მნიშვნელობა ერის კულტურის ისტორიაშიც.

ჟურნალ „ნობათის“ გამოსვლასთან დაკავშირებით დიდი პედაგოგი პირუთვნელად შეუდგა ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებების განსჯა-შეფასებას.

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა, მთელი მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საერთო ნაწარმოებებით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრად აღგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისნი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებით“<sup>2</sup>.

გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურის დიდ როლს იმით განსაზღვრავს, რომ საუკეთესო ნაწარმოების კითხვა, კარგი საბავშვო წიგნი მძლავრი ფაქტორია ადამიანში, მისწრაფების, ხასიათის, მოქმე-

<sup>1</sup> გაზ. „ღროება“, 1884, 261, გვ. 3.

<sup>2</sup> „ღროება“, 1884, № 7, გვ. 1.

დებათა მიმართულების განსაზღვრისათვის, აზროვნების, მსჯელობის უნარის განვითარებისათვის.

ასეთი ნაწარმოებების, ასეთი წიგნების შექმნა არის საბავშვო ლიტერატურის უპირველესი ვალი. ასეთმა ნაწარმოებებმა, ასეთმა წიგნებმა უნდა გამოიწვიოს მოზარდ თაობაში წიგნის კითხვისადმი ინტერესი, დაეწაფოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში გონება გაუხსნელი, მსჯელობის უნარს მოკლებული იგი ბევრად არ ექნება განსხვავებული პირუტყვისაგან.

საკითხის ასე რადიკალურად და ღრმად გადაწყვეტა, ამავე დროს, მხატვრული სიტყვის ოსტატებისადმი, საზოგადო მოღვაწეობაში გამოჩენილი პირებისადმი თავისებური მძლავრი მოწოდების მინიშნებაც იყო ქართული ხალხის შვილთა აღზრდის უკეთ წარმართვისათვის, საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის ხელისშემწყობისა და სათანადო დახმარების გადაწყვეტისათვის.

„დიდმა პოეტმა გერმანიისამ, გოეთემ თქვა: „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარაობის დროის ჩაბეჭდილებათაგანაო“. ესაა სწორედ ეს ჩაბეჭდილებანი აძლევენ ადამიანს განსაზღვრულს მიმართულებას. ამ ადრიან ჩაბეჭდილებათა ზედა ბევრად არიან დამოკიდებულნი კაცის მისწრაფებანი, ხასიათი, ჩაბეჭდილებანი.

თუ თქვენს შვილს პატარაობისასვე მარჯვეთ დწერილი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებებს უღვიძებენ და უმტყიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში აღმოაჩენს დაუღალაეს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც გონების მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცილებელი ყოველდღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის, მაგრამ, თუ თქვენი შვილი მოკლებულია ხეირიანს საკითხავ ნაწარმოებსა, თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარიელია ან სავესა უნიჭო და უმარაილო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა უთუოდ მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნება, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეძენა მისთვის საჭიროებად არ შეიქმნება და იგი გამოვა იმისთანა არსება, რომელიც ბევრად არაფრით განსხვავდება პირუტყვისგან“.<sup>1</sup>

ამის გამო, გოგებაშვილს მიაჩნდა ბავშვთათვის მხატვრული ნაწარმოებების წერა მეტად ძნელ საქმედ, რომელიც მოითხოვდა საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურს, ხანგრძლივსა და მუყაით შემოქმედე-

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 127, გვ.

ბით შრომას,<sup>1</sup> ხოლო საბავშვო ლიტერატურა, რომელიც, მხატვრული ნაწარმოებების გარდა, ფართოდ მოიცავს საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულს, ტექნიკურ-მეცნიერულს და სხვა სახის ნაწარმოებებს, ბუნებრივია, მეტად რთული და პასუხისმგები მოვლენაა.

ი. გოგებაშვილის შემოქმედება მხატვრული რეალიზმის პრინციპების აღმზრდელობითი ფუნქციის შესახებ. მისი დამოკიდებულება ფოლკლორული მასალებისადმი, მოთხოვნანი საბავშვო ლექსის, მოთხრობების, საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული წერილების, მოგზაურთა ჩანაწერების ანდაზების, გამოცანების, რებუსების, საბავშვო ნაწარმოების ენის, უცხოური საბავშვო ნაწარმოებთა თარგმნისა და სხვა საკითხებზე ქმნიან ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის თეორიასა და კრიტიკას, რასაკვირველია, დიდი ილიას, აკაკის, ვაჟასა და სხვა ქართველ კრიტიკოსებთან ერთად.

იმ მიზნით, რომ კონკრეტულად წარმოვადგინოთ, გარკვეულ სისტემაში ჩამოვყალიბოთ საბავშვო ლიტერატურის შესახებ იაკობ გოგებაშვილის თეორიისა და კრიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც დიდი პედაგოგის პედაგოგიურ მოძღვრებაში იღებს სათავეს, თავის მხრივ მოითხოვს პირველ რიგში ყურადღება მივაქციოთ იაკობ გოგებაშვილის ცნობილი პედაგოგიური მოძღვრების ძირითად დებულებებს, რომელიც ერთ-ერთი საფუძველი გახდა მრავალფეროვანი და მრავალქანროვანი ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად, ამასთან ერთად, რასაკვირველია, კონკრეტულად ჩამოვყალიბოთ, თუ როგორ არის ახსნილი და გამოყენებული იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში მხატვრული რეალიზმის პრინციპების აღმზრდელობითი ფუნქციის საფუძვლები, საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) სხვადასხვა ქანრის იდეურ-მხატვრული ღირებულების ძირითადი პრინციპები.

ეს საკითხები ჩვენ მიგვაჩნია მეტად საგულისხმო, ისტორიული მნიშვნელობის მქონე საკითხებად, იმიტომ, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ ამ საკითხების მხატვრულად გადაწყვეტამ განაპირობა თვით ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის სრულყოფილად ფორმირებაც მეორე მხრივ, იაკობ გოგებაშვილი ზემოაღნიშნული საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტით გვევლინება, როგორც პედაგოგი და ამავე დროს, როგორც საბავშვო მწერალი, ისეთ პიროვნებად, რომელმაც XIX საუკუნეში ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში პირველმა სასიცოცხლო კონტაქტი დაამყარა რუსული პროგრესული პედაგოგიური მოძღვრების, პე-

<sup>1</sup> „ღრობა“, 1884, № 12, გვ. 2.



დაგოგიკური იდეებისა და რუსული პროგრესული საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებთან.

ეს ფაქტი ჩვენთვის მეტად ღირებულია იმიტაც, რომ იაკობ გოგებაშვილმა ამით სწორად განჭვრიტა ამ ურთიერთობის პერსპექტიული განვითარება, მისი მნიშვნელობა.

XIX საუკუნის II ნახევარში ის ახალი იდეები, ახალი ამოცანები და მეთოდები, რომელიც სქოლასტიკასთან ბრძოლის შედეგად მკვეთრად გამოვლინდა პროგრესულ პედაგოგიკურ მოძღვრებაში, ხოლო მწერლობაში ცნობილი გახდა კრიტიკული რეალიზმის სრული გამარჯვება, — ჰარმონიულ მთლიანობაში საბავშვო ლიტერატურის განვითარების საფუძველი გახდა, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ასე უმწიკვლოდ შეწირა დიდმა ქართველმა პედაგოგმა.

იაკობ გოგებაშვილის „ღედა ენა“ და განსაკუთრებით „ბუნების კარი“ საუკეთესო მაჩვენებელია ქართული და რუსული პედაგოგიური და ლიტერატურული ურთიერთობისა.

## **1. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური პრინციპები, როგორც ქართული ეროვნული საბავშვო სიტყვათაწარმოული მწერლობის ერთ-ერთი საფუძველი**

ა) იაკობ გოგებაშვილი, როგორც ცნობილია, ახალი თაობის ახალგაზრდობის აღზრდის პროცესსა და მის შინაარსს მტკიცედ უკავშირებდა ბავშვების აღზრდისა და სწავლა-განათლების მიზნებს; მის სიტყვებში დროა „შევუდგეთ შეძენას ნამდვილი ქეზარითის ცოდნისას“, აშკარად ჩანს დროის ფაქტორის ძალაც, რომელიც უკვე ვერ ეგუება სკოლებში გაბატონებული ყალბი ცოდნის მიცემისა და ზეპირობის არსებულ პრაქტიკას, ამის გამო მოითხოვდა რეალური განათლების სისტემის შემდგომ სრულყოფას, რადგან იგი, გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო „სისტემა მომავლისა“, რომელიც ამსხვრევდა დროის ფაქტორს — ეპოქისეულ მოთხოვნის საფუძველზე — განათლების უკვე მოქმედებულ კლასიკურ სისტემას.

ახალ ისტორიულ ვითარებაში განათლების არსებულ სისტემას უკვე არ შეეძლო ახალი თაობის აღზრდის პროცესი, მისი შინაარსი ახალი მოთხოვნის სიმაღლემდე აეყვანა; იგი კვლავაც ბერძნული და ლათინური ენების შესწავლის მკაცრ მოთხოვნების არტახებში დაფაგდა სულს და საბუნებისმეტყველო ცოდნისადმი დამსახურებულ ყურადღებას არ იჩენდა.

საბუნებისმეტყველო ცოდნის შეძენას გოგებაშვილის აზრით ჰქონდა არა მარტო თეორიული მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკულიც, საბუნებისმეტყველო ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდე-

ზოდა ბუნების დამორჩილებას თვით ბუნების კანონების საფუძვლიანად ცოდნის შედეგად.

ბუნების კანონების ცოდნა აუცილებელია მისი დამორჩილებით, აგრეთვე იგი საფუძველია ბუნების ძალთა თავის სასარგებლოდ გამოსაყენებლად, ამდენად იგი სიმდიდრის უშრეტე წყაროცაა.

ბუნების ცოდნა, მისი ძალთა დამორჩილება ი. გოგებაშვილის აზრით შეადგენს ერთ „უმთავრეს ბურჯს ადამიანისა ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის“

მაშასადამე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ახალი თაობის აღზრდის პროცესსა და მის შინაარსს ორგანულად დაუკავშირა დიდმა პედაგოგმა, არის ფლორისა და ფაუნას არა აღწერითი გაცნობა, არამედ ბუნების სამყაროზე, მის კანონებზე მკვიდრი, მეცნიერული (ბავშვთათვის მისაწვდომ ფორმებში) ცოდნის მიცემა. უამისოდ არ შეიძლება ადამიანმა მდიდარი ბუნება გამოიყენოს: „უმეცარი კაცი შეიძლება სიმშლით მოკვდეს თვით უმდიდრეს ბუნებაში“.

ამ სახელმძღვანელო პედაგოგიკური და მეცნიერული შეხედულებიდან გამომდინარე, სათანადო მეცნიერული პრინციპებით შეადგინა მან „დედა ენა“, საკითხავი ტექსტები, მხატვრული რეალიზმის პრინციპების გამოყენებით შექმნა და ამავე დროს შეარჩია ქართული მწერლების შემოქმედებიდან ნაწარმოებები საქვეყნოდ ცნობილი წიგნისათვის, როგორცაა „ბუნების კარი“.

ამის გამო, მისთვის, როგორც საბავშვო მწერლისათვის ასახვის, ჩვენებისა და შეცნობის ობიექტი ყოველთვის იყო ადამიანის და ბუნება, რადგან მან, როგორც მწერალმა, კარგად იცოდა: «Вся энергия художника должны быть обращена на две силы: человек и природа»!

ის, რაც იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში ასე გამოკვეთილად, ასე პრინციპულად ჩაშს, — არის ბუნების კანონების ცოდნის აუცილებლობა, მაგრამ ეს თვითმზიანი არ იყო. დიდი პედაგოგის ამ აზრის პერსპექტიული განვკრეტა იმაში მდგომარეობს, რომ ბუნების კანონების სრულად ცოდნა არის აუცილებელი იარაღი ადამიანისათვის, იმ ადამიანისათვის, რომელმაც უნდა იბრძოლოს თავისუფლებისა, ბედნიერებისა და ბუნების ძალების დამორჩილებისათვის, თვით ბუნებაზე ბატონობისათვის, ბუნების ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენებისათვის.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის, ასეთი მოთხოვნის წაყენება იაკობ გოგებაშვილის მიერ, ორგანულად უკავშირდება იმდროინდელი რუსული მოწინავე პედაგოგიკური აზროვნების კორიფეების იმ

<sup>1</sup> А. П. Чехов. Пол. собр. соч. и писем, т. IV, М., 1949, гл. 33.

შოთხოვნას, რომელიც ფოქის შესაბამისად კანონზომიერ პრინციპულ შოთხოვნას წარმოადგენდა, „მოაზროვნე რეალისტის აღზრდის იდეასთან დაკავშირებით“.

ცნობილია, რომ რუსეთის „სამოციანელთა“ ამ მოთხოვნას მხარს უჭერდა ფ. ტოლლი, ა. ოსტროგორსკი და სხვები, რომელთა მიზანს შეადგენდა ახალი თაობისათვის სწორი და სრულფასოვანი წარმოდგენა მიეცათ მათ ირგვლივ არსებულ სამყაროზე. ადამიანთა ცხოვრებაზე, რისთვისაც საჭიროდ ცნეს საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული მეცნიერებიდან შესაბამისი ცოდნის მიცემა ბავშვთათვის მისაწვდომ ფორმებში.

მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ უშინსკისა და სხვა სამოციანელთა შეხედულებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე ცოდნის მიცემის შესახებ, უკვე დაუპირისპირდა ჩერნიშევსკისა და ლობროლუბოვის მოსაზრებანი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში საზოგადოებრივ მეცნიერებათა უპირატესი როლის შესახებ: «Как ни возвышенно зрелище небесных тел, как ни восхитительны величественные и очаровательные картины природы, человек важнее всего для человека».

Потому, как ни высок интерес, возбуждаемый астрономией, как ни привлекательны естественные науки, важнейшей, ко- ренною наукой остается и останется всегда наука о человеке<sup>1</sup>.

იაკობ გოგებაშვილის კონცეფციის სიდიადეც იმაში მდგომარეობს, რომ იგი არაორაზროვნად აღიარებს რა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უალრესად დიდ მნიშვნელობას,<sup>2</sup> სურს ბუნების კანონების ცოდნა საზოგადოებრივ მეცნიერებასთან კავშირში, უპირველეს ყოვლისა, ახალი ტიპის „სრული ადამიანის“ აღზრდის მიზნებს დაუჭემდებაროს.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები, კრებულები, მხატვრული შემოქმედება, მშობლიური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, მეცნიერებათა სფეროდან დაწერილი შესანიშნავი წერილები, თეორიული დასაბუთებანი და პრაქტიკული მოღვაწეობა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ გოგებაშვილი ყველაზე მაღლა ყოველთვის აყენებდა ადამიანს, ადამიანური აზრისა და ნებისყოფის, მისი კეთილშობილური, მაღალი ზნეობის გამარჯვების ამოცანას.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებათა სრული ჰარმონიულობა იმდროინდელი რუსული პედაგოგიკური და ლიტერატურული აზროვნების პროგრესულ მხარესთან არის ის ერთ-

<sup>1</sup> Полное собр. соч. Чернышевского, СПб. М., 1906, т. I, гл. 293.

<sup>2</sup> იხ. პ. პეტრეველი „ი. გოგებაშვილი ბუნებისმეტყველების შესახებ“, („იაკობ გოგებაშვილი“, საიუბ. კრებ. თბილისი, 1940, 71 — 78).

ერთ უაღრესად მრავალ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც განაპირობა დროის ფაქტორთან დაკავშირებული მისი პედაგოგიკური იდეების ცხოველმყოფელობა.

ქართული პედაგოგიური მეცნიერება (გ. თავზიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, უ. ობოლაძე, ვ. ქაჯაია, ვლ. ზამბახიძე, გ. სარიშვილი და სხვ.) მაღალ შეფასებას აძლევს იაკობ გოგებაშვილის მიერ ბუნებისმეტყველების პერსპექტიული როლისა და მნიშვნელობის განჭვრეტას იმ პერიოდში, როდესაც კარლ ლინეის შეზღუდული უტილიტარული შეხედულება ბუნებისმეტყველებაზე საღათას ძილს ეძლეოდა, ხოლო ჩარლზ დარვინის ევოლუციონური თეორია ახალ პრობლემებს აყენებდა ბუნებისმეტყველების, როგორც პოზიტიური მეცნიერების წინაშე.

პროფ. გ. თავზიშვილი სამართლიანად, მეცნიერულად ზუსტად გამოხატავს ამ მხრივ დიდი პედაგოგის ღვაწლს, მის ისტორიულ მნიშვნელობას, როდესაც წერს:

„იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ საბუნებისმეტყველო წერილები და მოთხრობები ამდიდრებენ მკითხველთა ცნობიერებას ბუნების მოვლენების ცოდნით და აღაშინის მიერ მათი გამოყენების როგორც შესაძლებლობის, ისე აუცილებლობის რწმენით, ამასთან, „ბუნების კარი“ ასწავლიდა ჩვენი ქვეყნის ბავშვებს ბუნების ლოგიკას, „როგორც ყველაზე უფრო ადვილად მისაწვდომ ლოგიკას“ (უშინსკი) და ხელს უწყობდა მათში მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავების პროცესს“.<sup>1</sup>

მაშასადამე, ბუნებისმეტყველება აცნობდა რა ახალ თაობას ბუნების კანონებს, ავითარებდა მათში გარკვეულ მეცნიერულ მსოფლმხედველობასაც.

თუ რა დიდ ადგილს უთმობდა იაკობ გოგებაშვილი „დედაენისა“ და „ბუნების კარში“ საბუნებისმეტყველო ხასიათის მასალებს, ამას კარგად ადასტურებს პროფ. დ. ლორთქიფანიძის მიერ ამ წიგნებში მოცემული მასალების რაოდენობრივი ხასიათის ანალიზიც.

პროფ. დ. ლორთქიფანიძე საფუძვლიანად ეხება რა იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკას და მაღალ შეფასებას აძლევს „დედაენას“, იქვე აღნიშნავს:

„საინტერესო სურათს იძლევა იმის გათვალისწინება, თუ რა ხვედრითი წონა აქვს საბუნებისმეტყველო ხასიათის მასალებს ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში. „დედაენის“ პირველი ნაწილი, როგორც ცნობილია, ორი ძირითადი განყოფილებისაგან შესდგება: ანბანი და პირველი საკითხავი ანბანის შემდეგ. პირველ

<sup>1</sup> გ. თავზიშვილი. იაკობ გოგებაშვილი, თბილისი, 1952, გვ. 136.

განყოფილებაში ანბანის შესწავლისათვის პატარა მოთხრობები, რომელთა სიუჟეტი, ცალკეული საანბანო ტექსტობრივ მასალასთან ერთად 65-მდეა. აქედან 50-ზე მეტი საბუნებისმეტყველო ხასიათის მასალაა, რომლებიც ელემენტარულ წარმოდგენას აძლევენ ბავშვებს მომეტებულიად მცენარეთა და ცხოველთა სამეფოდან, მაგ. ია, ხე, მუხა, სოკო, რკო, თხა, ოფოფი, იხვი, თევზი, კამეჩი, დაპურა, ღორი, კურდღელი, ქათამი, წიწილა, კრუხი, ჩიტი, ლომი, სპილო, ბულბული, მერცხალი, ტოროლა, კაკკაჭი, კატა, თაგვი და სხვ. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ამ განყოფილებაში მოცემული სურათების უმეტესი ნაწილი ცხოველთა სამეფოდანაა აღებული და გათვალისწინებულია სასაუბროდ, ცხადი გახდება, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ ბუნების გაცნობას ბავშვის აღზრდის საქმეში. ამავე წიგნის მეორე განყოფილებაში 27 მოთხრობა-ლექსიდან 25 საბუნებისმეტყველო ხასიათის დიდაქტიკურად და მხატვრულად გამართულ მოთხრობასა და ლექსს უკავია. მაგ. ჩიტი და მელა, ზამთარი, ქათამი, მამალი, ოფოფი, გუგული, ჩიტი, ბუდის ჩადგმა, ვანო და ფრინველები, კურდღელი და სხვ. ამათგან მრავალია ხალხური ლექსი... „დედა ენის“ მეორე ნაწილში მოთავსებული მასალებიდან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ისეთ მხატვრულ მასალებს, რომლებიც ბუნებას ეხებიან, წმინდა საბუნებისმეტყველო ხასიათისაა: შინაურ ცხოველებზე — 14 ლექსი და მოთხრობა, შინაურ ფრინველებზე — 7, გარეულ ფრინველებზე — 13, გარეულ ცხოველებზე — 6, მცენარეულობაზე — 13“.<sup>1</sup>

თუ რამდენად ღრმად სწამდა იაკობ გოგებაშვილს საბუნებისმეტყველო ცოდნის მნიშვნელობა ახალი თაობის აღზრდის საქმეში, „ბუნების კარის“ გარდა, მოთხრობების კრებულის „კონა“-ს შექმნისათვის გაწეული დიდი შრომაც ადასტურებს.

ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შინაარსმა მკვლევართა ყურადღება სხვა მხრივაც მიიქცია: „სახელმძღვანელოში შეტანილი მოთხრობები, ლექსები და სხვა მასალები ისეა შერჩეული რომ უზრუნველყო მოსწავლეებში მაღალი ზნეობრივი თვისებების გამოიშვაება, ყველა ქვეყნის ადამიანების სიყვარული, თავმდაბლობა; ხალხთა ძმური, მეგობრული ურთიერთობის გრძობების აღზრდა. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს ისეთი განყოფილებებიც, როგორცაა საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული განყოფილებანი, ისეა შედგენილი, რომ აქ ბავშვი საქართველოს ფლორასა და ფაუნას დამახასიათებელ წარმომადგენლებთან ერთად, ეტანება სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებულ კულტურულ მცენარეებს, ცხოველთა სამყაროს ტიპიურ წარმომადგენლებს

<sup>1</sup> დ. ლორთქიფანიძე, „იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკა“ (იხ. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1940, გვ. 214-215).

იდეას. როგორც რუსულ, ისე ქართულ საბავშვო ლიტერატურაში და მცენარეთა და ცხოველთა ბიოლოგიის ელემენტარულ საკითხებს; მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი, აგრეთვე არაორგანული ბუნებისა და მისი მოვლენების მარტივად განხილვას“.<sup>1</sup>

ი. გოგებაშვილს სჯერა, რომ ბავშვის ირგვლივ არსებული ორგანული თუ არაორგანული ბუნება, ადამიანები მის სულიერ გონებრივ ფორმირებაზე გადამწყვეტ როლს ასრულებენ, რასაკვირველია, აქ უმთავრესია ბავშვთა ცნობიერებისა და შეხედულებების, წარმოდგენების გამოქუთავება მატერიალური ფაქტორებით; „აღზრდა, გარემო, ვითარება, ცხოვრების გამოცდილება დიდსა და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანზე, მაგრამ იმის შესაძლებლობა, თუ როგორ განისაზღვრება ადამიანი, ჰემშარიტად თუ ყალბად, — მდგომარეობს მის სუბსტანციაში, ხოლო სუბსტანცია — მის ორგანიზმში. ყოველი ადამიანი არის ინდივიდი, და როგორც კარგი, ისე ცუდი შეიძლება იგი, გახდეს თავისებურად, ინდივიდუალურად, აღზრდა არ ჰქმნის ადამიანს, მაგრამ ეხმარება გახდეს (კარგი ან ცუდი) ადამიანი. ამიტომაც თუ ჩვილი ყრმის სული მართლაც თეთრი დაფაა. სამაგიეროდ იმ ასოთა ხარისხი და აზრი, რომლითაც იწერება მასზე ცხოვრების მიერ დამოკიდებულია არა მარტო დამწერზე და წერის იარაღზე, არამედ აგრეთვე, თვით ამ დაფის თვისებებზე. ამასთანავე აქ არის კიდევ, როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ, თანდაყოლილი იდეებიც, რომლებიც წარმოადგენენ ჰემშარიტების უშუალო ჰერეტას, რასაც ადამიანის ორგანიზმის საიდუმლოება შეიცავს... დიად, ჩვილი ყრმა წარმოადგენს ნორჩ, მკრთალად მწვანე ყლორტს, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა თავის კვირტიდან, ხოლო აღზრდელი არის შებაღე, რომელიც უეღის ამ ყლორტს. დამყნობის საშუალებით ტყის მკეალო ვაშლის ხეც შეიძლება ვაიძულოთ, პატარა და მკეავე ვაშლის ნაცვლად, მოგვეცეს ბალის გემრიელი, დიდი ვაშლები; მაგრამ უქმი იქნებოდა ზელონეების ყოველგვარი ცდა, რომ მუხამ ვაშლი გამოიხსნას, ხოლო ვაშლის ხემ — რკო. და სწორედ ეს არის უმეტეს შემთხვევაში, აღზრდის შეცდომა; ივიწყებენ ბუნებას. რომელიც აძლევს ბავშვს მიდრეკილებასა და უნარს და განსაზღვრავს მის მნიშვნელობას, ცხოვრებაში“.<sup>2</sup>

მართალია, ბელინსკის შეხედულებამ თანდაყოლილი თვისებების შესახებ შემდგომში სათანადო ევოლუცია განიცადა, მაგრამ რისთვისაც ამ ამონაწერის მოტანით გვინდოდა ხაზი გაგვესვა, იყო ის, რომ ადამიანის აღზრდისათვის გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ერთიანობას პედაგოგიურ კრიტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

<sup>1</sup> უ. ობოლაძე, გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული. თბილისი, 1960, გვ. 74.

<sup>2</sup> В. Г. Белинский. Пол. собр. соч. М., 1953, т. 2, гв. 368.

აღზრდის ეფექტური ღონისძიების მიღება უკვე მეტად მტკივნეულად დადგა, რადგან «Животное, родившись от льва и львицы, делается львом без всяких стараний и усилий со своей стороны. Но человек, родившись не только львом или тигром, даже человеком в полном значении этого слова, может сделаться и волком, и ослом, и чем угодно»<sup>1</sup>.

ახალი თაობის სწავლა-აღზრდის წარმატებისათვის, როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილი დიდაქტივისმის ცნობილი დებულებებს — ნაცნობიდან უცნობისაკენ, ახლობლიდან შორეულზე და ა. შ. გამოყენებით ცდილობდა ამ ურთულესი პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტას.

ის წერდა, რომ „თქვენ ყმაწვილს თავისი სამშობლო ქვეყანა კარგად გააცნოთ. ეს მით უფრო ადვილია, რომ ეს ცოდნა ყმაწვილებს გაგიყვებით სურს. ვინ არ იცის, რომ მშობლებს მოსვენება არ აქვთ ამ გვარი ბავშვების კითხვებისგან: ჩვენს იქით რა ქვეყანაა, ვინა ცხოვრობს იქა, როგორი ადგილია: ვინ არ იცის ის ფაქტი, რომ ყმაწვილებს მგზავრობა გარეშე სოფლებში და ქალაქებში საშინლად სურთ და მოგზაურობების ამბავს ერთგულად ყურს უდგებენ ხოლმე. თუ დედმამა ყმაწვილს ამ სურვილს დაუკმაყოფილებს და თავის სამშობლოს ქვეყანას გააცნობს, დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ საზოგადო გეოგრაფიის შესწავლა იმისათვის მეტად ადვილი საქმე იქნება“.<sup>2</sup>

და ეს პედაგოგიური მოსაზრება მან თავის მხატვრულ შემოქმედებაში სათანადო ნაწარმოებების შექმნით ხორცშესხმული გახადა, რითაც საბავშვო მწერლობას პედაგოგიური და მხატვრული რეალიზმის ჰარმონიული მთლიანობის პრინციპებს უქმნიდა.

ბ) იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა და ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად მიიჩნევს „მაღალი და წმინდა ზნეობის“ მქონე ახალგაზრდების აღზრდას: „მაღალი და წმინდა ზნეობის“ კეთილშობილურ მიზნებსა და ამოცანებს იმ შემთხვევაში შეიძლება ახალი თაობის აღზრდამ უპასუხოს, თუკი ადგილი ექნა იმის შეგნებულად გააზრებას, რომ უმწიკვლოდ ემსახუროს „მოყვასთა სამშობლოსა და კაცობრიობას“ და თუ საჭიროა, საკუთარი სიცოცხლეც კი შეწიროს ამ მაღალ ზნეობრივ ვალდებულებას.

პროფ. გ. თავიშვილი არკვევს რა ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტას იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, აღნიშნავს, „როგორ ესმის იაკობ გოგებაშვილს ზნეობრივი აღზრდის მიზანი? ზნეობრივი აღზრდა პირველყოვლისა „ნამდვილი ადამიანის ღირსებათა“ აღზრდას გულისხმობს. გოგებაშვილს მრავალ

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Сочинения в четырех томах, изд. 3-е, В. Павликова, М., 1906, гл. 565.

<sup>2</sup> „ბუნების კარი“, 1868, IV—V

ალგას აქვს ამ ღირსებაზე ლაპარაკი, მაგრამ ძირითად ღირსებათა შორის ასახელებს ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს და ისეთ თვისებებს, როგორც არის შრომისმოყვარეობა, მეგობრობა, ზრდილობა, გამგონეობა, სიმართლე, სინდისიერება, უბრალოება და „ნამდვილი ადამიანობის“ სხვა თვისებები“.<sup>1</sup>

მართლაც, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები („დედა ენა“, „ბუნების კარი“, კრებულები: „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კოკორი“) და მხატვრული ნაწარმოებები ამის მსატერული გადაწყვეტის საუკეთესო მაგალითებია.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური და მხატვრული მემკვიდრეობა ის საფუძველია, რომელზედაც განვითარდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა და განსაზღვრა მისი შემდგომი განვითარების ძირითადი ტენდენციებიც.

გ) განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის მიერ საბავშვო ლიტერატურის განვითარების მხატვრული რეალიზმის პრინციპებთან დიდაქტიკის პრინციპების ორგანულად შერწყმა. ამ ორი საწყისის ჰარმონიულმა ერთიანობამ ზუსტად, სიტყვაკაზმული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) და კერძოდ, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის პედაგოგიკური საზღვრებიც.

იაკობ გოგებაშვილი თავისი მხატვრული შემოქმედებით ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბავშვო ლიტერატურაში სრულყოფილი, კარგი ნაწარმოები იმ შემთხვევაში შეიქმნება, როდესაც დიდაქტიკის პრინციპები დაექვემდებარება მხატვრული პრინციპებს.

მხატვრული სახეები, სურათოვანი ენა, გმირთა სულიერი სამყაროს ბუნებრივად გადმოცემა, ყოფითი სურათების შთამაგონებლად შექმნა, თვითონ უნდა იყოს მკითხველისათვის გარკვეული მორალური დასკვნების გამოსატანი საშუალება. ამას უნდა მიაღწიოს საბავშვო მწერლობამ ძლიერი ემოციური და მხატვრული ზემოქმედების გზით. მაგრამ აქ მთავარია ყველაფერი ნაცნობიდან, ბავშვისათვის უკვე გაცნობიერებული გარემოდან მომდინარეობდეს: „ვისაც სურს, რომ ყმაწვილი გონების გახსნაში და სწავლაში სწორ გზაზე დააყენოს და განათლების მიღება გაუადვილოს, ის უთუოდ უნდა ეცადოს — სწავლა იმ საგნებიდან დააწყებინოს, რომლებიც ყმაწვილზედ უფრო ახლოს არიან, მის გრძობა-გონებას იზიდავენ და ადვილად შეითვისებენ“.<sup>2</sup>

არ არის სადავო, რომ ბავშვისათვის ცნობილი გარემოდან შექმნილი პოეტური სახეები უფრო მიიზიდავენ, მასზე უფრო ღრმა შთა-

<sup>1</sup> გიორგი თავზიშვილი, ი. გოგებაშვილი, თბილისი, 1952, გვ. 66-67.

<sup>2</sup> იაკობ გოგებაშვილი. „ბუნების კარი“, თბილისი, 1868.



ზექდილებას ტოვებენ, ხელს შეუწყობენ „გონების გახსნას“ და ექნება გარკვეული სარგებლობაც, ამიტომ სრულ კემშარიტებას შვიცავს დიდი პედაგოგის სიტყვები:

„ყმაწვილებისათვის შედგენილი წიგნი რამდენადაც სასარგებლო უნდა იყვეს, იმდენად სასიამოვნო. რომელი საგნები არიან უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის? - ბუნება საზოგადოთ და ყოველი, რაც ყმაწვილს გარეშემო არტყია. ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის აგებასა... ამიტომ ნამდვილათ საინტერესო წიგნი ჩვენი ყმაწვილებისათვის უნდა იყვეს ისა, რომელიც შესდგება ბუნების და იმის საგნების აწერათაგან, რომელიც დაბიურათ ხსნის ბუნების მოვლენებს. ეს პაზრი გვექონდა ჩვენ სახეში, როცა შევეუდექით ამ წიგნის შედგენასა. უმთავრესი მიზანი ამ წიგნისა არის — გაუხსნას ყმაწვილს თანაგრძნობა ბუნებისა. შეაყვაროს მისი გამოძიება და მისი განხილვა, ერთი სიტყვით უნდა გახდეს ბუნების კართა“.<sup>1</sup>

აქედან ერთი კანონზომიერი, პედაგოგიური მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებული ასახვის ობიექტის საზღვრები მტკიცედ არის ნაჩვენები და ამავე დროს თვით შეცნობის, გაგების პროცესის ნიშნობაც — ახლობლიდან შორეულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ, კერძოდან ზოგადისაკენ, რათა გაიცნოს „ბუნება საზოგადოთ და ყოველი, რაც ყმაწვილს გარეშემო არტყია“.

პედაგოგიური კრიტიკა სწორედ ამ პოზიციებიდან არკვევდა საბავშვო ნაწარმოებების ყველა მხარეს და აძლევდა სათანადო შეფასებას. ყოველი მხატვრული ნაწარმოები ბავშვის ყოფიდან, მის ირგვლივ მყოფი გარემოდან, ბუნების კანონების შეგნებულად შესწავლის მიზნით უნდა ყოფილიყო აღებული და ნაჩვენები მისაწვდომ ფორმებში მდიდარი ხალხური ლექსიკური ფონდის გამოყენებით.

პედაგოგიური კრიტიკა-დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე განსაზღვრავდა საბავშვო ნაწარმოებების როგორც აღმზრდელობითს, ისე საგანმანათლებლო ფუნქციებსაც, ამ შემთხვევაში საბუნებისმეტყველო თემებზე დაწერილი მოთხრობების ღირებულებასაც.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიური პრინციპები მტკიცედ მოითხოვდა ახალი თაობისათვის ზოგადი განათლების მიცემის აუცილებლობას, რაც მთავარი პირობა უნდა ყოფილიყო სპეციალური განათლების მიღებისათვის;

ამის გამო ი. გოგებაშვილისათვის დიდი საზრუნავი გახდა „ახალი ტიპის ქართველისათვის“ მხოლოდ ფართო, ზოგადი განათლების მკვი-

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილი. „ბუნების კარი“, თბილისი, 1868.

დრი საფუძვლის შექმნა, რადგან მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ ფართო, ზოგად განათლებას შეეძლო ბავშვი გაეხადა „სრულ ადამიანად“.

აქედან გამომდინარე, ი. გოგებაშვილმა განსაზღვრა საბავშვო ლიტერატურის თემატიკური მრავალფეროვნების აუცილებლობა, რომელიც ახალ თაობაში კითხვის ინტერესების აღმძვრელი და მისი გონებრივი განათლების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანიც უნდა გამსდარაყო.

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილმა პედაგოგიკური პრინციპები მტკიცედ დაუდო რა საფუძვლად თავის შესანიშნავ სახელმძღვანელოებს, მხატვრულ ნაწარმოებებს, იგივე პრინციპები შეიქმნა ქართული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისა და საერთოდ, ეროვნული საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) აყვავებისა და შემდგომი განვითარების ურყევი საფუძველიც. ამასთან, ეს შესედელებანი დაედო საფუძვლად ქართული საბავშვო ლიტერატურის თეორიასა და ესთეტიკურ კრიტიკასაც, რომლის ერთ-ერთ მამამთავრად, როგორც აღვნიშნეთ, იაკობ გოგებაშვილი ითვლება.

## II. მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის პრინციპების პრინციპი

საბავშვო ლიტერატურის თემატიკური და ქანრობრივი მრავალფეროვნების გამოყენება „სრული ადამიანის“ აღზრდის ამოცანების შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდა მალალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოების შექმნას.

იაკობ გოგებაშვილმა ასეთი ნაწარმოების შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაც განსაზღვრა, როდესაც იგი მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპზე მიუთითებდა.

ცნობილია, რომ საბავშვო ნაწარმოების უპირველეს ღირსებას მხატვრულობა წარმოადგენს: ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულ, დიალექტიკურ მთლიანობაში მწერლის მიერ ნაჩვენები ცხოვრების რეალური სურათები, მხატვრულ სახეებში ოსტატურად ჩაქსოვილი იდეური მიზანსწრაფვა, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ირგვლივ არსებული სამყაროს გაცნობას, მის გონებრივ განვითარებასა და ზნეობრივ აღზრდას, მხოლოდ მხატვრული სიტყვით შეიძლება ძლიერი ზემოქმედების ძალად იქცეს.

ლ. ტოლსტოი საბავშვო მწერლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით ამბობდა, რომ მხოლოდ მხატვრული სიტყვები უნდა გვხვდებოდეს საბავშვო წიგნებში; ისინი უღვიძებენ ბავშვებს აზრს, წარმოუსახავენ ადრე ნანახს, აძულებენ ახლებურად შეხედონ ჩვეულებრივს, ნაცნობ ნივთებს, იწვევენ ახალ აზრებსა და ახალ წარმოდგენებს.

ლ. ტოლსტოი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტურ თხრობას. მწერლის აზრით, ასეთი თხრობის ყოველ სიტყვას უნდა ჰქონდეს სიღრმე, რომელშიც უნდა მოთავსდეს მკითხველის ყველა წარმოდგენა.

მაღალი მხატვრული სიტყვის ოსტატობით შექმნილი ნაწარმოები, მისი გმირები შეიძლება შეუყვარდეს მკითხველს, სჯეროდეს მისი, ხედავდეს მასში მეგობარს, ამავე დროს ქცევის, შრომისა და ბრძოლის მაგალითებს იღებდეს.

ასეთი ნაწარმოებები შეუქმნიან მათ სათანადო ასოციაციებს: «Каждое художественное слово... том-то и отличается от нехудожественного, что вызывает бесчисленное множество мыслей, представлений и объяснений»<sup>1</sup>.

იაკობ გოგებაშვილიც ასევე მაღალ მოთხოვნილებას უყენებდა საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებს-მხატვრულ სიტყვაში გასაგები, მისაწვდომი აზრი უნდა ჩანდეს. მაშასადამე, ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულობა, აი, რა იყო გოგებაშვილისათვის მთავარი. ამით იგი მოწინავე მწერლებს გვერდით იდგა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის არსის გაგებაში.

ამის გამო ვაძვობთ, რომ იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა, საბავშვო მწერლისათვის საჭირო იყო არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების, რთული პროცესების, ხალხის ისტორიული წარსულის, სოციალური ვითარების, იდეური ბრძოლების მიზეზებისა და პერსპექტივების ცოდნა, სოციალურ ძალთა ურთიერთობის შედეგების ისტორიული ასპექტით სწორად გარკვევა. ხალხის ინტერესების, მისწრაფებათა სწორად ამოცნობა, ამ მიზნით ცხოვრების დაკვირვებულად შესწავლა და ამბავის სახით გადმოცემა, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი მხატვრული განზოგადება, სინამდვილის, ჭეშმარიტების მართალი მხატვრული სახეების შექმნა, რაც „უკეთესი ლონისძიებაა აღზრდისათვის“.<sup>2</sup>

მაგრამ, ყოველივე ეს, მხატვრულ ნაწარმოებში საბავშვო მწერლის მიერ იმგვარად უნდა იყოს მოცემული, რომ ადგილი არ ექნეს „აზრის დამახინჯებას კეთილზმოვანებისათვის“<sup>3</sup>, აზრი არ უნდა იყოს ნაწარმოების ფორმისადმი დამორჩილებს ტენდენციით გამოხატული, ე. ი. წინ წამოწეული მხატვრული ფორმა არ უნდა ახშობდეს აზრის სიციხადეს.

იაკობ გოგებაშვილს აკაკის ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ მიაჩნია ყოველი ღირსებით შემკულ ნაწარმოებად ისეთ ნაწარმოებად, რომელიც კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსს.

<sup>1</sup> Л. Н. Толстой. Полное собрание сочинения, М., 1936, т. 8, стр. 311.

<sup>2</sup> „ღრობა“, 1884, № 12, გვ. 3.

<sup>3</sup> „ღრობა“, 1884, № 41, გვ. 1.

იგი ადვილი, ფრიად ადვილია შესათვისებლად ბავშვთათვის, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. ეს მიაჩნია გოგებაშვილს საბავშვო ნაწარმოების დიდ ღირსებად.<sup>1</sup>

იაკობ გოგებაშვილისათვის ნაწარმოების ღირსებაა პოეტის მიერ სურათის ისე დახატვა, რომელიც შინაარსითა და ფორმით ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს გამომხატველობას, გონებასა და გულს.

საბავშვო ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ჰარმონიულობის დასასიათებას იაკობ გოგებაშვილი შესანიშნავი პოეტური შედარების გამოყენებით გვაძლევს; „წარმოიდგინე, მკითხველო, მალღის მთის წიალიდან გამოვარდნილი ანკარა წყარო, რომელიც მუზიკალური მსუილით ძირს ჩადის და აჩენს ვეებერთელა მორევს უწმინდესის წყლისას. ეს ბროლისებური მორევი შეუდარებელი სარკეა ბუნებისა, მასში მშვენიერად იხატება მისი ნაირების მცენარეულობა, მასვე თავის სარკედ ხმარობენ ღრუბელნი ცისანი. ამავე დროს ამ კამკამა მორევის ძირში ისე ცხადადა ჩანს ყველაფერი, რომ თვითეულს კენჭს ადვილად დასთვლი. სწორედ ამას, ამ საარაკო სიწმინდეს და სიმკვირეულეს, მოტყუებაში შეპყავხარ: შენ ეს მორევი თხელი გგონია. მაგრამ აი ჩაუშვი შიგ ვეებერთელა ჭოლოკი, და მან ძირის ნახევრობამდინაც ვერ უწია. მორევი მეტად ღრმა აღმოჩნდა.

სწორედ ამისთანა თვისებისაა ის პოეტური და ლიტერატურული ზღვა, რომელიც შექმნა აკაკის მაღალმა ნიჭმა. ეს ზღვა თხელი გეჩვენება, რად? იმიტომ, რომ საარაკო კამკამი გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ. ჰხედავ არა მარტო შენ, დიდი; არამედ რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც“.<sup>2</sup>

მაშასადამე, ის, რასაც გარეგნულად „საარაკო კამკამი გააქვს და შიგ ყველაფერს მეტად ადვილად და ცხადად ჰხედავ, არის ის უდიდესი ღირსება, რომელიც საბავშვო ნაწარმოებს უნდა ახასიათებდეს და რასაც რვა-ცხრა წლის შეგნებული ბავშვიც უნდა ხედავდეს, გრძნობდეს.

ეს შეხედულება უფრო ცხადად. გარკვევით და პრინციპულობით იაკობ გოგებაშვილს გამოთქმული აქვს შემდეგი სიტყვებით! „სიტყვა-წყობილი ხელოვნების ყოველგვარი ნაწარმოები, უნდა დაფასდეს ორის მხრივ: შესახებ გარეგანის სიმშვენიერის გამოხატვისა და თვით შინაარსის ანუ დედა-აზრის გამოთქმითა: რამდენადაც ეს ორი მხარე უფრო ეთანხმება ერთი-მეორეს, იმდენად ხელოვნური ქმნილება უფრო მაღალი ღირსებისა“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> „ღროება“, 1884, № 41, გვ. 1.

<sup>2</sup> „საქართველო“, 1908, № 10.

<sup>3</sup> „ივერია“, 1894, № 60.

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილი საბავშვო ნაწარმოებში შინაარსისა და ფორმის ჰარმონიულ მთლიანობას მიიჩნევს მისი ღირსების საზომად. აქედან შეიძლება დავასკვნათ:

ა) მხატვრულ სიტყვაში ზუსტად ჩამოყალიბებული აზრი გასაგები ენობრივი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი;

ბ) ბავშვის გონებისათვის მისაწვდომ ფორმებში მოქცეული აზრი მხატვრული სიტყვით უნდა იყოს გადმოცემული;

გ) დაუშვებელია აზრის დამახინჩება ლექსის კეთილშოვნებისათვის; „ცარიელი და ამო სიტყვების ბრახა-ბრუხი“ „პატარა მკითხველის გონებას არაფერს მოსაქიდს არ ეუბნება“;

დ) საბავშვო ნაწარმოების უმთავრესი ღირსებაა შინაარსისა და ფორმის ჰარმონიულობა; იგი ფრიად ადვილი შესათვისებელი უნდა იყოს ბავშვთათვის როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ ესმოდა იაკობ გოგებაშვილს მხატვრული რეალიზმის პრინციპების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციების საფუძვლები, საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის იდეურ-მხატვრული ღირებულების ძირითადი პრინციპები. ბავშვთათვის საკითხავი წიგნების სფეროს გაფართოების მიზანი და ღონისძიებანი.

შევვედებით ყოველივე ეს კონკრეტულად, ლოგიკური თანამიმდევრობით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ:

### III. მხატვრული რეალიზმის პრინციპების აღზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციების საფუძვლები

ა) ყოველმა მხატვრულმა ნაწარმოებმა ბავშვში უნდა დაბადოს რეალური წარმოდგენა;

ბ) მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სინამდვილე არის უკეთესი ღონისძიება აღზრდისათვის, რადგან თვით აღზრდისათვის აუცილებელია ჭეშმარიტება, სინამდვილე;

გ) სიმშვენიერე ქვეყნისა დასკვნაა, რომელიც ბავშვებმა თვითონ უნდა გამოიყვანონ რეალური, კონკრეტული სურათებისაგან;

დ) საბავშვო ნაწარმოები უნდა ზრდიდეს თავისი ქვეყნისადმი მხურვალე სიყვარულის გრძობას, ზისთვისაც დამახასიათებელი უნდა იყოს პირადი სარგებლიანობის დავიწყება სამშობლოს სიკეთისათვის, თავდადება სამშობლოს ბედნიერებისათვის, მეგობრობა და სიყვარული;

ე) საბავშვო ნაწარმოები ბავშვისათვის უნდა იყოს გონებითი საზრდოს დაუშრეტელი წყარო: იგი ხელს უნდა უწყობდეს მოზარდში აზროვნებისა და მსჯელობის უნარის აღზრდა-განვითარებას. იგი

<sup>1</sup> „ღრობა“, 1884, №7, № 12; „ივერია“, 1881, № 12.

უნდა იყოს ბავშვის გონებისა და გულის საუკეთესო საზრდო;

ვ) ყოველმა ჰემიპარტიკმა საბავშვო ნაწარმოებმა ბავშვში უნდა დაბალოს რეალური წარმოდგენა.

#### IV. საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის ილუსტრაციული ლიტერატურის ძირითადი პრინციპები

##### 1. ფოლკლორის შესახებ:

ა) ბავშვებს უნდა მიეცეთ ჩვენი ხალხის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც თავიანთი სიმარტივით გამოსადეგნი არიან მათთვის და უხეად შეიცავენ პლასტიკურ, აღწერილობით ელემენტებს.

##### 2. საბავშვო ლექსის შესახებ:

ა) საბავშვო ლექსი ფრიად ადგილი შესათვისებელი უნდა იყოს როგორც შინაარსით, ისე ფორმით; მასში გამონატული სურათი ერთსა და იმავე დროს საზრდოს უნდა აძლევდეს გამომატყველობას, გონებასა და გულს;

ბ) ლექსის ყოველი სტრიქონი სრულ წინადადებას უნდა შეადგენდეს, რათა ლექსის კითხვა, გაგება და ზეპირი დასწავლა ბავშვს ძლიერ გაუადვილდეს;

გ) საბავშვო ლექსი, როგორც ლამაზი ქმნილება, უნდა იყოს დაწერილი წმინდა ხალხური ენით, პოეტური კილოთი და თბილი გრძნობით;

##### 3. საბავშვო მოთხრობების შესახებ:

ა) საბავშვო მოთხრობა მკითხველზე უნდა ახდენდეს ხელოვნური ნაწერის შთაბეჭდილებას, ე. ი. ის უნდა იყოს პირველ რიგში მხატვრული ნაწარმოები;

ბ) მოთხრობა შინაარსით უნდა იყოს მარტივი, წარმოდგენდეს ერთს შეკუმშულ სურათს, რომელშიაც ცხადად იყოს დახატული ყველა უმთავრესი ნაწილი და დანარჩენი, წვრილი ნაწილების დამატება პატარა მკითხველზე უნდა იყოს მინდობილი;

გ) საბავშვო მოთხრობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმსა და მოკლე პლასტიკურ აღწერას და მხოლოდ უმთავრეს საგანს უნდა შეეხებოდეს;

დ) მოთხრობაში საკირთა და სასარგებლო გმირის მთელი ცხოვრებისა და მოქმედების არა ხელოვნური აღწერა. არამედ ცალ-ცალკე ეპიზოდების თხრობა ცოცხლად და მარლიანად;

ე) ისტორიული ხასიათის პატარა მოთხრობები უმეტესად ამოღებული უნდა იყოს სამშობლოს ისტორიიდან; „მაღალი ზნის“ მასწავლებელი ეპიზოდები, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეხებოდეს ჩვენი

<sup>1</sup> „დროება“, 1884, № 7, 12, 13, 41, 42; „ივერია“, 1881, № 12, „მოაზგე“, 1896, №9

ზანგრძლივი და მდელვარე ისტორიულ ცხოვრებას. შერჩეული უნდა იქნეს უფრო თვალნათელი ფაქტები, რომლებიც გადაუჭარბებელი და ფრაზიორობის გარეშე უნდა წარმოადგენდეს ბავშვის გონებისა და გულის საუკეთესო საზრდოს. ამავე დროს, შეიძლება გამოყენებული იქნას ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი შენთბევა საზოგადო ისტორიიდანაც, სადაც თავდადება მამულის ბედნიერებისათვის უპირველეს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდ თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“.

4. საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ თემებზე და მოგზაურობის ფორმით ბავშვთათვის შექმნილი ნაწარმოებების შესახებ:

ა) ასეთი ხასიათის ნაწარმოებების შექმნა უნდა ხდებოდეს ანალიზურ-ინდუქციური მეთოდით;

ბ) სამშობლოს გასაცნობად მოგზაურთა ნაწერები სასარგებლო იმ შემთხვევაში იქნება, თუკი „დაწერილნი იქნებიან მოთხრობის ფორმით და უშუალოდ გადაბმული, შეხორცებული დრამატული ელემენტები, — ხელს შეუწყობენ გეოგრაფიული ფაქტორებს ახსნას“. ასეთი ციკლის ნაწარმოებებში თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დრამატულს, ისე პლასტიკურ ელემენტებს. მათი მთლიანობა აუცილებლად განსაზღვრავს ბავშვთა დაინტერესებას, დამახსოვრებას, მტკიცე წარმოდგენის შექმნას.

5. ლეგენდის შესახებ:

ა) ბავშვთათვის შერჩეულ ლეგენდებს უნდა ახასიათებდეს მაღალი პოეტური კილო, ხელოვნურად დახატული, შეკუმშული სურათები, ღრმა დრამატიზმი და თავგანწირვა.

6. ანდაზების შესახებ:

ა) „ანდაზები არიან ხალხისაგან მოგონილნი თავისი ბავშვობის, სიყმაწვილის დროსა, როდესაც შექმნა მან ზღაპარი, არაკები, ლექსები, გამოცანები, ლეგენდები და სხვა ნაწარმოებები თავისი ბუნებრივი ფანტაზიისა, გონებისა, როგორც ნაყოფი სიყმაწვილისა, ყველა ეს ნაწარმოები ჩინებულს მასალას წარმოადგენს ბავშვებისათვის. აკი ამიტომაც უყვართ ბავშვებს ეს ნაწარმოებნი... ანდაზა წარმოადგენს... უფრო სერიოზულ ნაწილს ხალხის ფანტაზიის ნაწარმოებისას“.<sup>1</sup>

ბ) ანდაზები ფრიალ მარტივი ფორმით მდიდარი არიან შინაარსით და უდრიან მთელს მოთხრობებსა, იგავ-არაკებსა; ლაკონიზმი მათში სავსებით არის განხორციელებული;

გ) ანდაზა ერთსა და იმავე დროს იპყრობს ღირსებას მარჯვე ფრაზისას, კარგის მოთხრობისას და შინაარსიანი ლექსისას;

<sup>1</sup> „მომბე“, 1896, № 9.

დ) ანდაზები წარმოადგენს ხალხის ფანტაზიის ნაწარმოებთა უფრო სერიოზულ ნაწილს;

ე) ყველა ანდაზა შედგება ერთი ან ორი წინადადებისაგან, რომლის წაკითხვა ბავშვს ისევე უადვილდება, როგორც უბრალო ფრაზისა, ბევრი მათგანი ცეზურიან ლექსით არის გამოთქმულნი, უმეტეს ნაწილად მუზიკალურს ფრაზებს წარმოადგენენ;

ვ) ანდაზები გამოთქმულნი არიან მშვენიერი, უნაკლო ხალხური ენით და როგორც ლექსიკონით, ისე სინტაქსით სამაგალითო საკითხავს წარმოადგენს.

7. გამოცანების შესახებ:

ა) გამოცანები მეტად სასარგებლო და სასიამოვნო სავარჯიშოა გონებისათვის.

8. რებუსების შესახებ:

ა) რებუსები მეტად მნიშვნელოვანია როგორც გონების ვარჯიშობისა, ისე სინამდვილის შეცნობის ჩვევის გამომუშავება-განმტკიცებისათვის.

9. თარგმანების შესახებ:

ა) დაწინაურებული ხალხების საუკეთესო გონებითი ნაწარმოებების თარგმნა მეტად სასარგებლო საქმეა, რადგან იგი ბევრ სიკეთეს შესძენს როგორც დიდებს, ისე პატარებს;

ბ) ასეთი ნაწარმოებების ქართულ ენაზე გადმოკეთება უნდა ხდებოდეს შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

10. საბავშვო ლიტერატურის ყველა ჟანრის ნაწარმოების ენის შესახებ:

ა) საბავშვო ლიტერატურის ყველა ჟანრის ენა უნდა იყოს ხალხური, ბავშვთათვის მისაწვდომი, სადა და გასაგები, სურათოვანი და ხელს უწყობდნენ ბავშვის ლექსიკის გამდიდრებას.

ეს პრინციპები ედო საფუძვლად ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურსა და მხატვრულ შემოქმედებას, მის „დედა ენას“, „ბუნების კარს“, მის შესანიშნავ მოთხრობებსა და მკაცრად შერჩეულ, ბავშვთათვის შესწორებულ-გადაკეთებულ ხალხურ ნაწარმოებებს.

#### ვ. ბავშვთათვის საკითხავი წიგნების სფეროს გაფართოების მიზანი და ღონისძიებანი

მოწინავე პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეთა დიდ საზრუნავს ყოველთვის წარმოადგენდა ბავშვთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოება. ამის ერთ-ერთ საშუალება ბავშვების მიერ წიგნის კითხვაა.



მაგრამ როგორც უშინსკი ამბობდა — იკითხო, ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რა იკითხო და როგორ გაიგო წაკითხული, აი რა არის მთავარი.

ბავშვებში წიგნის შეგნებულად, დამოუკიდებლად კითხვის ჩვევის ვანმტკიცების პირობას საფუძვლად უდევს წიგნით დაინტერესება; ამისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ წიგნი იყოს საინტერესო და აწერილი, ამბავი ვითარდებოდეს დინამიკურად, არამედ იგი ბავშვის ასაკის შესაბამისი იყოს, მისაწვდომი და გასაგები. ეს საყმაწვილო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის პირდაპირი მოვალეობაა, რომელიც საბავშვო წიგნის სპეციფიკას ორგანულად უკავშირდება.

იაკობ გოგებაშვილი იმიტომ აძლევდა დიდ მნიშვნელობას საყმაწვილო ლიტერატურას, რომ მას შეუძლია ბავშვებში ბევრი სიკეთის დათესვა, ბევრი ღრმა გრძობათა ჩასანვა, ჰუმანურ მისწრაფებათა აღძვრა, სამშობლოსათვის საიმედო შვილების აღზრდა.

იაკობ გოგებაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა იმ მწარე სინამდვილეს, რომელსაც მოეცვა იმდროინდელი ქართველობა პერიოდული ლიტერატურისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. ეს მას დამოუკველად მიაჩნდა. ასეთი გულგრილობა მავნე სენია, რომელიც უსპობს საზოგადოებას პერიოდული გამოცემისადმი არსებითს მოთხოვნილებას, საჭიროებას. ამის მიზეზად ი. გოგებაშვილს სამართლიანად მიაჩნია ის, რომ „ჩვენი საზოგადოება პატარაობისას არ დაჩვეულა რეგულარულს კითხვას. არ ქონია ხალისი, ინტერესი კითხვისა.

ყველა ეს სამი თვისება-ფართო ცოდნა, აზროვნების უნარი და კეთილშობილური გრძობა-აუცილებელია იმისათვის, რომ ადამიანი იღოს განათლებული ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

განათლებულობის ერთ-ერთი წყარო კი წიგნის კითხვაა; კითხვის არის გაფართოების პირობა გამოჩენილ მწერალთა შემოქმედებიდან სპეციალურად მოზრდილთათვის შერჩეული ცალკეული ნაწარმოების ან უკვე ცნობილი დიდი ნაწარმოების შესაბამისი ნაწყვეტების წასაკითხავად მიცემა.

ცნობილია, რომ კლასიკოსების სიდიადე მათ მაღალ იდეურობაშია. მწერლები, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ მარადიულს ან უბრალოდ აარჯ მწერლებს და რომლებიც გვხიბლავენ ჩვენ, აქვთ ერთი საერთო და მეტად მნიშვნელოვანი თვისება: ისინი სადღაც მიდიან და შენც აქითკენ გისმობენ... მათგან უკეთესები რეალურები არიან და წერენ ცხოვრებას ისეთს, როგორც ეს ნამდვილად არის. მაგრამ იმისა გამო, რომ ყოველი სტრიქონი გაყენებულია, როგორც წვენი, მიზნის

შეგნებულობით, თქვენ გარდა ცხოვრებისა როგორცაა ის, კიდევ გრძნობთ იმ ცხოვრებას, როგორც უნდა იყოს და ეს გვიხილავს ჩვენ.<sup>1</sup>

ახალ თაობაში წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაპოუწვევლობა, უთუოდ იქნება განათლების შემზღუდველი, გონების გაუხსნელობისა და ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მიზეზი, რის შედეგად ახალ თაობაში სამუდამოდ ჩაიხშოს მომავალი ბრწყინვალე ნიჭი;

ლ. ტოლსტოი 1874 წელს ამბობდა, — რუსულ სკოლებში ბავშვებს რომ აკვირდებოდა, — საჭიროა ხალხის განათლების საერთო დონის ამაღლება, რათა ვიხსნათ ტანისამოსშემოცვეთილი, მოთხუზნული, გამხდარი ბავშვები სინათლიანი თვალებით, რომელთაც უმეტესად ანგელოზისებური გამოჩეტყველება აქვთ. ისინი ჩემში საგანგაშო გრძნობას იწვევენ. კიდევ მეტი, რაღაც საშინელებას, აი იმის მსვავსს, რომელიც შეიძლება განიცადო მაშინ, როცა ხედავს ხალხს, რომლებიც წყალში იძირებიან. და აი, აქ იძირება ყველაზე ძვირფასი, კერძოდ სულიერი საგანძფრი, რომელიც ბავშვების შენედავზე თვალებში გეცემათ.

ტოლსტოის სურს ხალხის განათლება მხოლოდ იმისათვის, რათა გადაარჩინოს ისინი, რომლებიც მათში მომავალ პუშკინებს, ოსტროვორსკების, ფილოსოფოსები ლომონოსოვების სახით იძირებიან და რომლებიც ყველა სკოლაში არიან.<sup>2</sup>

ცნობილია, რომ ყველა გამოჩენილი ადამიანი ბავშვობაშივე ეწაფებოდა მხატვრული სიტყვის ოსტატების ქმნილებებს, რასაც არ შეიძლება მათს ინტელექტუალურ განვითარებაზე დადებითი როლი არ შეესრულებინა. მაგალითად, 12 წლის ჩერნიშევსკიმ კარგად იცოდა ყორე სანდი, აქსაკოვი 9 წლისა იყო, როცა კითხულობდა კარაშინისა და დმიტრიევის თხზულებებს, გლინკა 10 წლის იყო, კამპეს ნაწერებს რომ დაეწაფა, ასევე ითქმის პიროგოვის, გერცენის, ბესტუჟევისა და სხვათა შესახებაც. განა ბელინსკი არ იძლეოდა რჩევას, თორმეტი წლის ასაკის შემდეგ თანდათან მისცემოდა ბავშვებს წასაკითხავად ვალტერ სკოტის, კუპერის, ჰიუგოს, დიკენსის, სერვანტესის, სვიფტის და სხვ. ნაწარმოებები? ბელინსკი მოითხოვდა, რომ ბავშვებს მისცემოდა წასაკითხავად კრილოვის ზღაპრები, ზავოსკინის „იური მილოსლავსკი“, პუშკინის „კავკასიის ტყვე“, „პოლტავა“ და სხვ.

ბელინსკის მოთხოვნა, რომ კლასიკოსთა ნაწარმოებები ბავშვებს წასაკითხავად თანდათან მისცემოდა. მხოლოდ თორმეტი წლის ასაკის შემდეგ, ეს ბუნებრივად აკისრებდა საბავშვო ლიტერატურას, სა-

<sup>1</sup> А. П. Чехов, Пол. собр. соч. М., 1936, т. VII, гл. 48.

<sup>2</sup> Л. Н. Толстой, Пол. собр. соч. М., 1936, т. VII, гл. 48.

ბავშვო მწერლობას ამ მოთხოვნისათვის არა მარტო საკირო განწყობილებების შექმნას მოზარდ თაობაში, არამედ მათში წიგნისადმი, ნაწარმოებისადმი დაჰოკიდებულებაში მკვიდრი საფუძვლის შექმნასაც.

დიდი მწერლის ლ. ტოლსტოის შემფოთება ამავე დროს მიგვანიშნებს დიდ პასუხისმგებლობაზე ბავშვების განათლების სწორად წარსამართავად, იმაზე, რომ მათს სინათლიან თვალეში, მათს ანგელოზისებრ გამომეტყველებაში ვიკრძნოთ მათი მომავალი, მაგრამ ამ მომავლისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ უფროსებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ, იხსნან ეს მომავალი ჩაძირვისაგან.

ამისათვის უპირველესი ღონისძიება არის სწავლა, განათლება, რომლის წყაროა წიგნი, წიგნის კითხვისადმი სიყვარული; ასაკობრივ ცვლილებასთან ერთად ყველა იმ საუკეთესო გონებრივი საზრდოს ბავშვებისადმი მიწოდება, რომელიც მოწინავე კაცობრიობას შეუქმნია. იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი შეგნებულად შეთვისება საჭიროა „გონებზე გახსნისათვის“.

იაკობ გოგებაშვილი გულსტიკივლით აღნიშნავს, რომ „პატარაობაში ჩვენებურს ბავშვებს ესმით ყოველს ნაბიჯზე მხოლოდ აუარებელი არაკები ცხრა თავიან დევებზე, კუდიანებზე, ჰინკებზე და სხვა მახინჯს, უმსგავს არსებებზე. იგინი ავარჯიშებენ მხოლოდ ფანტაზიას და ისიც იმ გვარი საზრდოთი, რომელიც შხამავს მათ გონებასა“.<sup>1</sup>

გოგებაშვილი ყოველნაირად ცდილობდა ეს პრიმიტიული ზღუდეები მათი გონებრივი საზრდოსი, როგორმე შეეცვალა, ბავშვებს მისცემოდათ როგორც თვალსაჩინო ახსნანი ბუნების შოვლენებისა, ისე ხალხის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე.

ამ ინტერესებიდან გამომდინარე არის შედგენილი ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“, საკითხავი კრებულები, რომლებმაც თაობათა აღზრდაში ისტორიული როლი ითამაშეს.

სწორედ ბავშვთა კითხვის არის გაფართოების, მათში ინტერესთა სფეროს გაზრდისა და საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების ახალგაზრდობის გონების გამდიდრების შესაბამისად განსაზღვრა ი. გოგებაშვილმა საკითხავი წიგნების შინაარსობრივი მრავალფეროვნებაც: „ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვინმართ, რომ მასში მოექცენ ხოლმე მხოლოდ რჩეულნი ქმნილებანი ევროპიელი, რუსეთული და ჩვენებური მწერლებსა. აქ საჭიროდ ვრაცხთ ვსთხოვეთ ჩვენ ნიჰიერ მწერლებს, რომ, თუ ისურვებენ ჩვენს გამოცემაში მონაწილეობა მიიღონ. სწერონ არა საბავშვო, არამედ საყმაწვილო მოთხრობანი“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> „იკორი“, 1900, 1.

<sup>2</sup> „იკორი“, 1900. გვ. 127.

მაშასადამე, იაკობ გოგებაშვილი საჭიროდ ცნობდა, სპეციალური საბავშვო ნაწარმოებების გარდა, ბავშვებს მისცემოდათ ევროპული, რუსული და ქართული მწერლობიდან რჩეული ქმნილებანი.

ამ მიზნით მან ბავშვებს მიაწოდა საკითხავად შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის, პიუგოს, უშინსკისა და სხვათა ნაწარმოებები, რასაკვირველია, მტკიცე პედაგოგიურ პრინციპებს დაქვემდებარებულ მოთხოვნათა საფუძველზე.

მაშასადამე, იაკობ გოგებაშვილი აუცილებლად ცნობდა:

ა) ბავშვთა წიგნების კითხვის არის ასაკის მიხედვით თანდათანობით გაფართოებას;

ბ) წიგნების კითხვის ჩვევის გამომუშავება პატარაობიდანვე რეგულარული კითხვის საფუძველზე ხდებოდა;

გ) წიგნი ხელს უწყობდეს ცხოვრების შესწავლას;

დ) ბავშვებს, ახალგაზრდობას საკითხავად ჰქონოდა პედაგოგიური პრინციპების საფუძველზე შერჩეული წიგნები ევროპის, რუსეთისა და ქართველ გამოჩენილ მწერალთა შემოქმედებიდან.

ი. გოგებაშვილმა, რომელიც დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქმის ღრმა მცოდნე და დიდი ოსტატი იყო“,<sup>1</sup> „პირველმა გადაგვიშალა თვალწინ ჩვენი კეკელური ქვეყნის რუკა და მისი კუთხეების ნაირნაირობა, მან პირველმა მოგვითხრო ჩვენი მრავალსაუკუნოვანი შინაარსიანი ისტორიის წარმტაცი ეპიზოდები“<sup>2</sup>; განუზომელია მისი მნიშვნელობა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა, ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლაში: „თუ ცარიზმის მძვინვარე, ტლანქმა და უხეშმა პოლიტიკამ ვერ შესძლო ქართველობაში საბოლოოდ ჩაექრო ეროვნული სული, ეს სხვათა შორის, იაკობის თავდადებული წყალობითაც იყო“<sup>3</sup>. „იმ მძიმე წლებში ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქართული ენის ბურჯი იყო და სახალხო განათლების საიმედო ფარხმალს წარმოადგენდა“<sup>4</sup>.

ყოველივე ეს, პირველად. ცხოველმყოფელობითი ჩანს მის პედაგოგიკურსა და მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებსა თუ წერილებში, მთელს მის მიერ წარმოებულ

<sup>1</sup> ეურ. „კომ. აღზრდ.“ 1940, № 10, გვ. 75, „დიდი პედაგოგი“.

<sup>2</sup> იქვე, კორნელი კეკელიძე, გვ. 76, „დიდი მოამაგის ხსოვნას“.

<sup>3</sup> ეურ. „კომ. აღზრდ.“ 1940, № 10, არნოლდ ჩიქობავა, „ი. გოგებაშვილის დედა ენა საიმედო ფარხმალს წარმოადგენს“.

<sup>4</sup> „ნობათი“, 1884, № 5—6, გვ. 57.

უანგარო თეორიულსა თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ეს დიდი ღვაწ-  
ლი მას დაჰნათებს, როგორც ჩაუქრობელი მარადიული შარავანდედი.

დიდი აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველი მოღვაწე დრო და  
ადგილის ვითარების დაფასებით უნდა იხსენიებოდეს“.<sup>1</sup> იაკობ გო-  
გებაშვილისათვის ცხოვრების მიზანი, სიცოცხლის გამართლება, მისი  
ბრძოლის არსი იყო მხოლოდ საზოგადო გზა ცხოვრებისა, რომელიც  
მაშინ მეტად ძნელი, მძიმე, მტანჯველი და სიცოცხლის მომსწრაფვე-  
ლიც კი გახდა, აი, როგორ ახასიათებს ამ გზას აკაკი, როდესაც წარ-  
მოვედგენს ერისთვის, საზოგადო საქმისათვის თავდადებული ადა-  
მიანის ძირითად ნიშნებს: „მის წინ ორი გზა იშლება: ერთი საპირა-  
დო და მეორე საზოგადო. პირველი ექადის მას კეთილდღეობას, ყო-  
ველგვარ ხორციელ წარმატებას, ამაღლებასა და დიდებას; მეორე კი  
ტანჯვას, სიღარიბეს, შიმშილს-წყურვილს, უმეტესობას და მერე რო-  
გორის უმეტესობას, სხვებისაგან დევნას. თავისუფლებისაგან გაწირ-  
ვას და სხვ. და სხვ... მაგრამ ის კი მაინც უკანასკნელს ირჩევს და სა-  
ზოგადო გზას ადგება. ოხვრით იკიდებს წინათვე დანახულ ტვირთს,  
შიდის, იქანცება, დნება ნელ-ნელა და ბოლოს იმ აუტანელ ტვირთ  
ქვეშ შუა გზაზე ეცემა და მხოლოდ ასე ესაყვადურება თავის უკულ-  
მართ ბედსა: „ვაი, რომ უდროვოთა ვკედები! ჯერ კიდევ შემეძლო ჩე-  
წი საქმე გამეგრძო და მემუშავნაო! ე. ი. მეტანჯაო, რაღა. წმინდა არის  
ამგვარი გრძნობა... და სათაყვანო“.<sup>2</sup>

ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე შეწირა დიდ სახალხო  
ინტერესებს და ეს მარად მოქმედი ფაქტორი ცოცხლობს მის შემოქ-  
მედებით მემკვიდრეობაშიც.

\* \*

პერიოდული პრესა, ლიტერატურული კრიტიკა, ყოველი მარჯვე  
შემთხვევის გამოყენებით, ქართული ხალხის მოწინავე შვილთა ყუ-  
რადლებას ამანვილებდა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატუ-  
რის ბედზე, საბავშვო წიგნების შექმნის საკითხზე; ისტორიულ აუ-  
ცილებლობლად იყო მიჩნეული ბავშვთათვის, მოზარდთათვის „შექმნილი-  
ყო ნაწარმოებები ჩვენი ქვეყნის სინამდვილიდან. ამ დიდ ეროვნულ  
საქმეში აუცილებლად მიაჩნდათ ერის ლიტერატურული ძალების  
მტკიცე ერთიანობა, მათი ამ დიდი მიზნებისათვის დარაზმვა. ამასთან  
საგანგებოდ ხაზს უსვამდნენ რა ამ მხრივ გამოჩენილი პიროვნებების

<sup>1</sup> „ნობათი“, 1884, № 5—6. გვ. 57.

„ნობათი“, 1884, №4—5, დამატება, გვ. 58.

დამსახურებას, იქვე გამოთქვამდნენ პრინციპულ მოსაზრებებსაც, რასაც საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკაშიც ამ უკანასკნელი მოსაზრების დამკვიდრების დასადასტურებლად მოვიყვანოთ ზოგიერთი მაგალითი:

1. ზ. გულსაშვილი ბიბლიოგრაფიულ წერილში ეხება რა საბავშვო ლიტერატურის მტკივნეულ საკითხებსაც, აღნიშნავს: „არა გვაქვს წიგნი, სადაც მშვენიერების ხელოვნებით და ენით ღირსეულნი სტატიები უნდა იყვნენ გლეხის ქოხზე, დარაბაზე, ჩვენებურ სოფელზე, ტყეზე, რთველზე, მარანზე, მკაზე, კავკასიის მთებზე, ფრიალათერგზე, მოხვევებზე, ახალციხელ ჭავასებზე და ისტორიულ მშობლიურ სურათებზე; არა გვაქვს ლექსები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, როგორც აქვთ რუსებს ლექსები კოლცოვის და სხვ. და სხვ.“

რამდენს ეტყვის და გააგებინებს რაფ. ერისთავის „ივერიის“ დეკემბრის წიგნში დაბეჭდილი ლექსი „ნეტა, რას სტირი დედილო“ პედაგოგი თავის მოწაფეს-ამას, მარტო მისივე თანამომე პედაგოგივე მიხვდება!

მხოლოდ შედგენა ამ გვარი წიგნისა არ შეუძლიან ერთ ვისმე. ამაზე უნდა ზრუნავდნენ მთელი ლიტერატურული ძალები, პედაგოგი კი ანუ ერთი პირი ფუტკარსებზე შეაგროვებს ლიტერატურიდან ამ ჩემდამი მოხსენებულ და ქართული არე-მარედამ მოკრეფილ განძს საკითხავ წიგნში“<sup>1</sup>. (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

2. ი. მესხის წერილში „სამშობლოს სიყვარული“ ასეთივე პრინციპულობით, კემპარიტად სრულყოფილად და კერძობითი და ზოგადი მნიშვნელობის პარმონიული ერთიანობის ასპექტით სწორადაა წარმოდგენილი ადამიანის უპირველესი, უწმინდესი და მარადიული გრძნობა შემდეგი სიტყვებით: „ადამიანს ბევრს სხვა ბუნებით თვისებათა და ჩვეულებათა შორის ის ჩვეულება და თვისებაც დაპყლია, რომ როგორღაც განსაკუთრებით მიმზიდველობას გრძნობს იმ მხარესთან და იმ ადგილითან, სადაც ის დაბადებულა, სადაც ნათელი ქვეყნისა პირველად უხილავს, სადაც გაზრდილა და ყმაწვილობა გაუტარებია. ყოველ მთას და გორას, ყოველს ტყეს, ბუჩქს, მდინარეს და პატარა დელესაც ის ხანდისხან აღტაცე-

<sup>1</sup> „დროება“, 1882, № 30. გვ. 1—2.

ზაში მოკყავს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იმის სამშობლოს ბუნების სიმდიდრეს, სიმშვენიერეს, კუთვნილებას, შეადგენენ; ეს მიმზიდველობა საერთო ანუ საზოგადო ყოფილა, არის და აგრეთვე დარჩება კიდევაც ყოველი ხალხის ანუ მთელი კაცობრიობისათვის“.<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

3. გაზეთი „დროება“ ოფიციალურად წერს: „ერთი დიდი ნაკლვენება ჩვენს პედაგოგიურის ლიტერატურისა ის არის. რომ საუკეთესო ჩვენი მწერლები, საუკეთესო ქართულის მცოდნე პირნი და შესანიშნავი პოეტები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ აქამოდე საბავშვო და საყმაწვილო მწერლობის შემუშავებაში. მათ აქამოდე თითქო სთაკილოდ და ჩხირ-კედელაობად მიანდოდ მოღვაწეობა იმ გვარის მწერლობისათვის, რომლის ავ-კარგიანობაზედ დამოკიდებულ იანორჩი და მოზარდი თაობის გონივრულ აღზრდა და მომზადება სწავლისა და ცხოვრებისათვის. დღეს ამ ნაკლულებანების ასაცილებლად პირველი ნაბიჯი იქნა გადადგმული. ერთს ჩვენს საუკეთესო პოეტთაგანს და არა თუ ჩვენი ენის, არამედ ჩვენის სულისა, ვითარებისა და ყოფაცხოვრების ზედ-მიწევნით მცოდნეთაგანს, ბ-ნს აკაკის, განუზრახავს ყმაწვილებისათვის საკითხავი წიგნის ბეჭდვა დრო-გამოშვებით“.<sup>2</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

აქედან გარკვევით ჩანს, თუ საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა როგორ იხილავდა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის სპეციფიკას. ეროვნულ საბავშვო მწერლობას უნდა ახასიათებდეს ქართული ბუნების, ქართული ყოფის ქართველთა შრომა-საქმიანობის, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ცხოვრებიდან მხატვრული ნაწარმოებების შექმნა. ესაა მისი უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა.

ამ საქმის წარმატება ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებული აზრით, ნაადვილად დამოკიდებული იყო ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციაზე, გამოჩენილი მწერლების აქტიურ მონაწილეობაზე საბავშვო მწერლობაში, რომლის ნიმუშს იძლევა აკაკი, რომელსაც განუზრახავს და ვამოსაცემად დაუმზადებია კიდევაც პირველი წიგნი ყმაწვილთათვის.

ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარება-ვანწყიციებისათვის კრიტიკა მაღლიერების გრძნობით აღნიშნავდა იმ მწერლის

<sup>1</sup> „დროება“, 1886, № 10, გვ. 1.

<sup>2</sup> „დროება“, 1884, № 243.

ღვაწლს, რომელიც ეწეოდა საბავშვო ნაწარმოებების თარგმნასაც, მაგრამ რომელიც ნათარგმნში ქართულ სულს შთაბერავდა.

ნიმუშისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ამონაწერი ი. გოგებაშვილის წერილიდან „ნობათის“ შესახებ. აი, რას უსვამს ხაზს დიდი პედაგოგი: „წიგნის პირველ გვერდს ამშვენებს ლექსი თ. რაფიელ ერისთავისა, რომელიც ხშირად და მეტად სასიამოვნო სტუმარია ჩვენის ლიტერატურისა. ლექსის აზრი (მიწვევა სასწავლებელში) რუსულიდგან არის გადმოღებული; მაგრამ ქართულად არის განვითარებული, ქართულად მონათლული, და ქართული ტანისამოსით მოართული, როგორც სხვა ლექსები პატივცემული პოეტურადი კილოთი და თბილი გრძნობით. იგი სწორედ რომ კარგი შემატებაა ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, აქამდის მეტად ლატაკია საბავშვო ლექსებით“.<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

აქედან გარკვევით ჩანს, თუ ლიტერატურული და პედაგოგიკური კრიტიკა როგორი პრინციპულია, მაღალი ზნეობრიობით ცდილობდა ქართულ საბავშვო მწერლობას ღირსეულად შეეთვისებინა ეროვნული სპეციფიურობის ნიშან-თვისებანი, გამოეყენებინა მაღალი იდეურ-მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად და ამ მხრივ სათანადო პერსპექტიული განვითარებისათვის მიეღწია.

\* \* \*

ეროვნული საბავშვო ლიტერატურა თანდათან მდიდრდებოდა რა ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი ნაწარმოებებით, სპეციალური კრებულებით, ამავე დროს მგზნებარე პატრიოტების მიერ ცალკე გამოცემული წიგნებითაც ივსებოდა ახალი თაობის წიგნების თარო. მაგალითად, პერიოდული პრესა მკითხველებს სისტემატურად აწვდიდა ცნობებს საბავშვო წიგნების გამოსვლის შესახებ. ნიმუშისათვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ა) „ამ დღეებში დაიბეჭდა ერთი ფრიად პატარა წიგნი სახელად „კვირტი“. ეს პაწაწინა წიგნი უფრო უკვდავ პაწაწინა საყმაწვილო მოთხრობებით არის სავსე. 30 გვერდია ამ წიგნში და 25-დე მოთხრობაა შიგ მოთავსებული“<sup>2</sup>;

ბ) გაზეთი „ივერია“ აცნობს მკითხველებს, რომ გამოვიდა „ორი ახალი პატარა წიგნი ვლ. აღნიაშვილის მიერ შედგენილი. წიგნს იწო-

<sup>1</sup> „ღროება“, 1884, № 7.

<sup>2</sup> „ივერია“, 1886, № 151, გვ. 4.



დება „ახალი ანბანი“ და ასობეზედ არის დაწყობილი. წინასიტყვაობაში შემდგენელი წერს, რომ რადგან დიდის საჭიროებას შეადგენს საცმაწვილო წიგნები და რიგიაში ანბანი, ამიტომ განვიზრახეთ ამ წიგნების გამოცემაო. „ახალი ანბანი“ სულ 33 პატარა წიგნი იქნება და შეიცავს: წერა-კითხვის წვრილ-წვრილ ლექსებს, პატარ-პატარა ამბებს, ცნობებს მეცნფერებიდან, ბიოგრაფიებს, ცნობებს სამშობლო ლიტერატურიდგან და სხვ... განსაკუთრებით სიამოვნებით გადაეუფურცლეთ მეორე წიგნი-„ბან“-ი, რომელშიაც ხალხური ლექსებია მოქცეული“...<sup>1</sup>

2) „ჩვენ მოგვიფიდა ახალი პატარა ქართული წიგნი „საცმაწვილო ბიბლიოთეკა“ (საცმაწვილო ლექსები) შეკრებილა ბ-ნ კ. ოცხელის მიერ და დაბეჭდილი ოზურგეთის ბ-ნ კ. თავართქილაძის სტამბაში. ეს უკვე მეათე ქართული წიგნი დაუბეჭდია ამ სტამბას იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც ხანია ეს სტამბა არსებობს ოზურგეთში. ზეწოხსენებულს პატარა წიგნში ერთად არის თავმოყრილი ოციოდე პატარა ლექსი და გალექსილი რგავ-არაკი ჩვენის სხვადასხვა მწერლისა. ყველა ეს ლექსები ყმაწვილებსათვის ფრიალ სახალისო და საინტერესოა<sup>2</sup>.

საცმაწვილო მოთხრობების კრებულებმა და განსაკუთრებით კი ქართული საცმაწვილო ყურნალის გამოსვლამ ისე გამოაცოცხლა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შესახებ კრიტიკული აზრი, რომ იაკობ გოგებაშვილთან ერთად ბევრი საზოგადო მოღვაწე აქტიურად ჩაება ამ მეტად უმნიშვნელოვანეს საქმეში, რითაც ხელი შეუწყო ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკის განმტკიცებასა და მის შემდგომ განვითარებას.

რასაკვირველია, ზოგიერთი კრიტიკოსი სიფრთხილეს იჩენდა თავისი კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისას, ზოგიც სუბიექტურობის კვალს ვერ იშორებდა, პაექრობას ზოგჯერ სუბიექტივისტური მიზეზიც კი განსაზღვრავდა (ამაზე ცალკე ქვემოთ გვექნება ნაჩვენები ფაქტობრივი მასალები), მაგრამ ყოველივე ეს იმით არის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი, რომ ყველა მათგანის კეთილშობილურ მიზანს ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინება, მისი შემდგომი განვითარება შეადგენდა.

საყურადღებო მოსაზრებები გამოითქვა ლ. ბოცვაძის, ივ. გომართელის, სტ. ჭრელაშვილის, მ. ნასიძის, ი. მანსვეტაშვილის, თ. ხუსკივაძის, ა. მირიანაშვილისა და სხვათა კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილებში და ეს ამოქმედებდა მომდევნო თაობის კრიტიკოსებსაც საბავშვო ლიტერატურის ისტორიის მთელ გზაზე.

<sup>1</sup> „ივერია“, 1892, № 68, გვ. 2.

<sup>2</sup> „ივერია“, 1892, № 77, გვ. 1.

ივანე გომართელი კრიტიკულ წერილებში აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები ბავშვთათვის მხოლოდ რეალისტური პრინციპების საფუძველზე ყოფილიყო შექმნილი: „როგორც საზოგადოთ ხელოვნურ ლიტერატურას, ისე საბავშვო ლიტერატურასაც უპირველესათ ნამდვილი ცხოვრების ჭეშმარიტად ხატვა უნდა მოვსთხოვოთ. ის უნდა გვიჩვენებდეს ადამიანის ყოველგვარ თვისებას, ზნეობისაც, უზნეობისაც, ბოროტებასაც, სიკეთესაც; მხოლოდ ყოველგვარი მათგანი ღირსეულათ უნდა იყოს დაფასებული, რომ ბავშვმაც ჭეშმარიტი წარმოდგენა იჭონოს, კარგი შეიყვაროს, ცუდი შეიძულოს“.<sup>1</sup>

გომართელის აზრით, აუცილებელია ბავშვს მხატვრული ნაწარმოების კითხვა შევავაროთ. მხოლოდ კითხვისადმი სიყვარულის გრძნობა არის საიმედო საფუძველი წაკითხულის შეგნებულად შეცნობისათვის და წარმოდგენის გამდიდრებისათვის. ამ მიზნით პატარა ყმაწვილებისათვის სავალდებულო არ არის გმირის სრული დახასიათება, არამედ მთავარია ნაწარმოები ისეთი ცოცხალი ენით იყოს დაწერილი, რომელიც ათ-თორმეტი წლის ბავშვს წაკითხვის სურვილს ისე აღუძრავს, რომ ის იქნება კითხვისადმი წახალისების საფუძველთ საფუძველი. ეს კი ბუნებრივად გამოიწვევს მისი აზროვნების, ფანტაზიის განვითარებას, რაც პატარა ბავშვისათვის ეგზომ საჭიროა; აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი კი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული აზროვნება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულათ ასწონ-დააწონოს, ცალმხრიობას ააცილოს და მარტო მის რწმენაზე და გრძნობაზე არ იმოქმედოს. იწყებს თუ არა ბავშვი აზროვნებას, მას უნდა გააცნოთ ქვეყნიერება, ადამიანი, ის ქვეყნიერება და ადამიანი კი არა, რომლებიც თქვენ სურვილშია გამოხატული, არამედ ის, რომლებიც ნამდვილათ არსებობენ“<sup>2</sup>.

ამ მიზნით, პირველ რიგში, მნიშვნელობა აქვს სადა, ვასაგები ენით, წარმტაცი სიუჟეტით შექმნილ ხალხურ ნაწარმოებებს, რომლის მოსმენა ბავშვებს ძალიან უყვართ და რომელშიც ჩაქსოვილი აზრები, ემოციები ბავშვებში გარკვეულ მისწრაფებას ავითარებენ, გარკვეულ შეხედულებას უმუშავებენ.

ივანე გომართელი ხალხური შემოქმედების ბავშვთათვის საკითხავად გამოყენებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ამბობდა, რომ ზღაპარი თავისი შინაარსით, ფორმით ძალიან შეპფერის ყმაწვილების ხასიათს, მათს ჭკუა-გონებასა და მოთხოვნილებას<sup>3</sup>. მხოლოდ ყველა

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 14, გვ. 230.

<sup>2</sup> „კვალი“, 1899, № 16, გვ. 231.

<sup>3</sup> „ივერია“, 1878, № 30, გვ. 10.

ზღაპარს როდი თვლიდა საჭიროდ ან სასარგებლოდ, რომ მიეცათ ყრმათათვის წასაკითხავად; ის ზღაპარს იდეური შინაარსის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად ყოფს:

პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს ისეთ ზღაპრებს, რომლებიც არაერთარ სასარგებლო საზრდოს არ აძლევენ ყრმათა ცნობისმოყვარეობას, პირაქით, ზღუდავენ მათს თვითმოქმედებას, სურვილსა და მიდრეკილებას;

მეორე ჯგუფში შედის ისეთი ზღაპრები, რომელნიც განსაკუთრებით გვიხატავენ ადამიანისა თუ ცხოველის ხასიათებს.

მესამე ჯგუფში შეიცავს ისეთ ზღაპრებს, რომლებშიც აღწერილია ხალხის საყვარელი გმირები და აგრეთვე იგავ-არაკნი, რომლებშიც სოცოცხლით, თვალდათვალ იხატება ადამიანის ბუნება და ცხოველების ხასიათები, ღირსებანი და ნაკლოვანებანი.

ივანე გომართელი ასე ახასიათებს ზღაპრებს, მაგრამ ამ ჯგუფებისათვის ნიშნული თვისებების მიხედვით არ ასახელებს კონკრეტულად არცერთ ზღაპარს და მხოლოდ თეორიულ ვარაუდს სჭერდება. ამასთან დასკვნის — „ზღაპრების ხმარებაში წასაკითხავად გვმართებს გაფრთხილება, რომ სასარგებლო და შემრგო შინაარსი მსხვერპლად არ იქცეს გარეშე მიმზიდველობისა და ინტერესისა“<sup>1</sup>

მხატვრული ნაწარმოების ღირსებად და უპირველეს მოთხოვნად ივანე გომართელი თელის ობიექტური რეალობის ასახვას და მხატვრულ სახეებში ჩვენებას; თუ საბავშვო წიგნში აღწერილი არაა ნამდვილი ცხოვრება, მკითხველი მოტყუებული თვალთ დაუწყებს მას ცნებას, ხოლო რაც მთავარია — გამოვა თუ არა იგი ცხოვრების ასპარეზზე, მის ტრიალში დაიკარგება, რადგან ნამდვილ ცხოვრებაში იგი სულ სხვას დაინახავს, ვინემ წიგნით გაიგო და ისწავლაო.<sup>2</sup>

საბავშვო წიგნის რეალისტურ ბუნებას კიდევ უფრო სრულად, გამოკვეთილად განსაზღვრავს იგი შემდეგი სიტყვებით: „წიგნი ჰშველის ნამდვილი ცხოვრების გაცნობას და შესწავლას, იმ ცხოვრების შესწავლას, რომელშიაც ბავშვი ყოველ დღე ბრუნავს და რომელსაც იგი ყოველ დღე ჰხედავს“<sup>3</sup>.

ვინაიდან ივ. გომართელის აზრითაც საყმაწვილო ლიტერატურა მძლავრი საშუალებაა, რომელიც შთაგონებით მოქმედებს ბავშვზე, ამიტომ მას უნდა მოვსთხოვოთ ცხოვრების კეთილშობილად ხატვა; მან უნდა გვიჩვენოს ადამიანის ყოველგვარი თვისება, ზნეობა, უზნეობა, ბოროტება, სიკეთე, მაგრამ რაც მთავარია ყოველი მათგანი ღირსეუ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1878, № 30.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ლად უნდა იყოს დაფასებული, რომ ბავშვმა მასზე ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს, კარგი შეიყვაროს და ცუდი შეიძლოს“<sup>1</sup>.

ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა სწორად აღზრდისათვის და გამოდის რა პედაგოგიური დებულებიდან, ი. გომართელი არაორაზროვნად ამბობს: არავითარი სარგებლობა არ აქვს ბავშვის ცალმხრივ აღზრდას, რაც საბავშვო ლიტერატურაში კარგის გაცნობით და ცუდის დამალვით არის გამოხატული. აუცილებელია ბავშვი თავიდანვე მოვამზადოთ დამოუკიდებელი, საზრიანი ცხოვრებისათვის, რისთვისაც საჭიროა მას ვავაცნოთ მთელი ცხოვრება მისი კარგი მხარით, აგრეთვე ცუდითაც“<sup>2</sup>.

ივანე გომართელის აზრით, ყოველი ჭეშმარიტი საბავშვო ნაწარმოები პატარა მკითხველის გულისაკენ ბუნებრივად უნდა პოულობდეს გზას, ერთოდეს მის ფიქრებს, გრძნობებსა და ინტერესებს.

ეს მთავარი პირობაა.

მაგრამ აქვე იმასაც შენიშნავს, რომ მწერლობა კი არ უნდა ჩამორჩეს ცხოვრებას; მასში ასახული სურათები კი არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების დაგვიანებული გამოძახილი, უკვე განვლილ შეხედულებათა არაფრის მთქმელი გამეორება. ასეთ შემთხვევაში მას არავითარი ღირებულება, არავითარი დანიშნულება არ ექნებოდა.

ამიტომ, ამბობს კრიტიკოსი, „ყოველი ხელოვანისათვის. აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ მისი გრძნობა მკითხველის გრძნობაც იყოს, მისი ფიქრი მკითხველის ფიქრიც. თუ პოეტი იმეორებს მას, რაც საზოგადოებრივი გრძნობას და აზრს უკვე გაცილებია, რა ნიჟის პატრონიც უნდა იყოს ის, სრულებით უმნიშვნელოთ ჩაივლის“...<sup>3</sup> „შესაძლებელია პოეზიაში აზრიც კარგად იყოს და ფორმაც, მაგრამ მიუხედავად ამისა ასეთ პოეზიას მაინც მნიშვნელობა არა ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ აზრი დროის შესაფერი სიყოს, და არა გაცვეთილი, ის მკითხველის გულსა და გონებას რასმეს ახალს აძლევდეს და არ იწვევდეს ისეთ ფიქრსა და გრძნობას, რაც ცხოვრებას დიდი ხანია ჭეშმარიტად უღიარებია“<sup>4</sup> (ხაზი ჩვენია -ა. ჩ.).

ეს სამართლიანი მოთხოვნა მხატვრული ნაწარმოების მიმართ სრულიად ბუნებრივი იყო მხატვრული ლიტერატურის ფუნქციისა და ახალი თაობის აღზრდის მორალური პრობლემების მხატვრულად გადაჭრისათვის.

<sup>1</sup> „ქვალი“, 1899, № 16, გვ. 262.

<sup>2</sup> „ქვალი“, 1902, № 14, გვ. 231.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

ივანე გოპართელი ზნეთსწავლების, რეზონირობის წინააღმდეგია საბავშვო მწერლობაში: „თავდაპირველათ მოთხრობისაგან ვითხოვთ ჩვენი ცხოვრების გადმოშლას, რა მხრივაც უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს ის ხელოვნურ (ე. ი. მხატვრულ ა. ჩ.). ნაწარმოებსაც უნდა წარმოადგენდეს და არა ავტორის რეზონირობას“<sup>1</sup>.

ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოების კრიტიკოსის ყურადღებას იმდენად იქცევს, რამდენადაც ისტორიის მაგალითებს ბავშვებზე დიდი, ძლიერი ზეგავლენა აქვს და ამდენად მისი მნიშვნელობაც განუზომელია: „ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს გავლენა აქვს ყრმათა ქუჟა-გონებაზე, ზნეობის აღზრდაზე და წარმატებაზე, მაგრამ, ისტორიული მოთხრობის მწერალმა თავის დღეში არ უნდა დაივიწყოს, თუ რა ასაკისათვის წერს მას“<sup>2</sup>.

კრიტიკოსს ყურადღებიდან არ რჩება ის ფაქტიც, რომ განთქმულ ისტორიულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს ბავშვებზე მეტად ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია; მაღალ ზნეობას, კაცთმოყვარეობას, თვითმოქმედებას აღუძრავს ღირსშესანიშნავ პირთა მოქმედება, რომელთაც არც შრომა, არც ქონება და არც სიცოცხლე არ დაუზოგავთ „თავისი სამშობლოსა თუ მთელის კაცობრიობის ხეირისათვის“<sup>3</sup>. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მდგომარეობაც, რომ ყოველი გონება გახსნილი ადამიანი ზნეობრივად ვალდებულია იცნობდეს ასეთ პირებს და ეს კი ხელს შეუწყობს ისტორიიდან და მეცნიერებიდან ცოტაოდენი ცოდნის შეძენას“<sup>4</sup>.

შესანიშნავი პიროვნებების „ბიოგრაფიების დახმარებით აღმზრდელმა უნდა ჩაუნერგოს ბავშვს ის აზრი, რომ ადამიანის ღირსებისათვის მარტო სმ-ჰამა და ძილი კი არ არის საჭირო, არამედ შრომა თავისთვის და სხვისთვის (ხაზი ჩვენია, -ა. ჩ.). გარდა ამისა, ყოველი გონებაგახსნილი ადამიანი ზნეობრივად ვალდებულია იცნობდეს იმ პირებს, რომლებმაც შესამჩნევი სარგებლობა მოუტანეს კაცობრიობას; „როდესაც ბავშვი რომელიმე შესანიშნავი პირის ბიოგრაფიას კითხულობს, უსათუოდ შეიძენს ცოტაოდენ ცოდნას ისტორიიდან, ან მეცნიერებიდან“<sup>5</sup>.

ივანე გოპართელი მოითხოვს, რომ ქართული საბავშვო ლიტერატურა გავამდიდროთ სათანადო თარგმნითი ლიტერატურით: „ბ. ბოცვაძე... თარგმანებს ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს. რატომ? იმიტომ რომ თარგმანებში ქართული ბუნება და ქართული სახელები არ არის! ნუთუ რობინზონს, ანდერსენის ზღაპრებს და სხვ. ქართველი

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 2, გვ. 26.

<sup>2</sup> „ივერია“, 1878, № 30, გვ. 10.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „კვალი“, 1899, № 17, გვ. 274.

<sup>5</sup> იქვე.

ბავშვებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება? ნუთუ ასე ძნელი ასახსნელია ბავშვებისათვის, რომ უცხოელები სხვანაირ სახელებს ხმარობენ, ვიდრე ჩვენ?«<sup>1</sup>

კრიტიკოსი საგულისხმო პედაგოგიკურ მითითებებს გვაძლევს იმის შესახებ, რომ ყმაწვილი ნაწარმოებს კითხულობდეს დიდი დაკვირვებით.

ასეთი ჩვევს განმტკიცების მიზნით იგი რეკომენდაციას იძლევა, დროგამოშვებით გამოვიკითხოთ წაკითხული საუბრითა და შედარებით, გავაკვიროთ, განსაკუთრებით რამ მიიზიდა ყმაწვილის ყურადღება, რომელი მოქმედი პირის მოქმედება მოსწონს, რომლისა არა და სხვა.

პედაგოგიკურ კრიტიკასა და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს უდევს საფუძვლად მხატვრული ნაწარმოების გამოყენება ყრმათა აღზრდებისა და ფანტაზიის განვითარებისათვის, როდესაც კრიტიკოსი წერს: „ჩვენის აზრით პატარა ყმაწვილებისათვის ათ-თორმეტ წლამდე იმდენათ საჭირო არ არის გმირის სრული დახასიათება, რამდენადაც ცოცხლად დაწერილი მოთხრობა, რომელიც ბავშვს წახალისებს... შეაყვარებს მას კითხვას, განუვითარებს აზროვნებას, ფანტაზიას, — ყოველივე ეს კი პატარა ბავშვისათვის მეტად საჭიროა: სანამ ბავშვს ლიტერატურით აღზრდიდეთ, მას უნდა შეაყვაროთ კითხვა და წაკითხულის შეგნებას და წარმოდგენას მივაჩვიოთ“<sup>2</sup>.

ამგვარად, ივანე გომართელის შეხედულებას, რომელიც შეერწყმის ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიას, საფუძვლად უდევს ლიტერატურული და პედაგოგიური კრიტიკის პრინციპების ერთიანობა:

ა) საბავშვო მწერლობა, რომელიც მძლავრი შთაგონებით მოქმედებს ახალ თაობაზე, უნდა ასახედეს ცხოვრებას თავის მრავალფეროვნებით და ხელს უწყობდეს ნამდვილი ცხოვრების გაცნობასა და შესწავლას მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით;

ბ) საყმაწვილო ლიტერატურა არის მძლავრი საშუალება, რომელიც შთაგონებით მოქმედებს ბავშვზე;

გ) ახალი თაობის აღზრდის ამოცანები უნდა დაედოს საფუძვლად ზღაპრების შერჩევის პრინციპებს: პირველ რიგში, ბავშვთა კითხვის სფეროში უნდა მოიქცეს ისეთი ზღაპრები, სადაც იხატება ბუნება ადამიანისა, ცხოველების ხასიათები, ღირსებანი და ნაკლოვანებანი;

დ) საბავშვო ნაწარმოებები, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს მხატვრული და არა რეზონორული;

ე) ისტორიული ღასიათის ნაწარმოებებმა, გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეთა ბიოგრაფიებმა ხელი უნდა შეუწყოს ისტორიიდან ან მეც-

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 17, გვ. 274.

<sup>2</sup> იქვე.

ნიერებიდან ცოდნის მიღებასა და მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარეობის თვითმოქმედების აღძვრასა და სათანადო გრძნობა-ჩვევის აღზრდას;

ვ) საბავშვო ნაწარმოებს განსაზღვრავს აგრეთვე პედაგოგიური მოთხოვნაც: ბავშვთა მიერ წაკითხული ნაწარმოებების გაგების შემოწმებისათვის აუცილებელია დროგამოშვებით წაკითხულის გამოკითხვა საუბრითა და შედარებით; გამოკითხვის მნიშვნელოვანი მომენტი განისაზღვრება იმის გარკვევით, თუ რა პოეზონა ბავშვს და რა არა. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს განსჯის უნარის განვითარებას, ე. ი. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას;

ზ) უნდა მივადწიოთ იმას, რომ ბავშვს შეუწყვარდეს კითხვა, რაც მას განუვითარებს აზროვნებას, ფანტაზიას.



ქართული პერიოდული გამოცემები, ცალკე კრებულებს სახითაც საბავშვო ლიტერატურის ჟანრობრივი მრავალსახეობის განვითარება თანდათან აღმავლობის გზით მიიმართებოდა, რაც ოთხმოცოთხმოდციწლიანი წლებიდან მეტად თვალსაჩინო მოვლენად იქცა.

სახალხო ინტერესების შესაბამისად, ქართველი ხალხის წინაშე დასმული ეპოქალური პრობლემების მიხედვით, ყოველი ჟურნალი, საბავშვო ნაწარმოებების ყოველი კრებული თუ კონკრეტულად აღებულ მსატერული ნაწარმოები შეუხელებელ ინტერესს იწვევდა.

პრინციპული მოსაზრებანი შეეხებოდა როგორც საბავშვო ჟურნალების მიმართულების განსაზღვრას, მის მნიშვნელობას ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში, ისე ორიგინალური თუ თარგმნითი ლიტერატურის მიზნობრივ დანიშნულებას, ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე პრინციპებს.

დიდ პედაგოგს ლ. ბოცვაძეს კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რას მოითხოვდა ახალი საუკუნე ქართველი ხალხის თავისუფალი და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე შესაფერისი ახალი თაობის აღზრდის ისტორიული ამოცანების განხორციელებისათვის. თუ ერთი მხრივ, გადაუღებელი ამოცანა იყო სათანადო ცოდნისა და ჩვევის მქონე მებრძოლი ახალგაზრდობის აღზრდა, ხოლო ლ. ბოცვაძის აზრით „კარგი და გონიერი აღზრდა თხოულობს ბევრ ცოდნას“<sup>1</sup>, მეორე მხრივ, ამ საქმეში დიდ როლს მიაკუთვნებდა საბავშვო სიტყვა-კაზმულ მწერლობასაც. მისი შეხედულებანი საბავშვო მწერლობის

<sup>1</sup> „კვალი“, 1895, № 36, გვ. 10.

თავისებურებაზე იმ პოზიციებიდან გამომდინარეობს, რომელიც ილიას, აკაკის, ვაჟას, იაკობის ესთეტიკურ კონცეფციას შეადგენს.

ლ. ბოცვაძის ერთ-ერთ უმთავრეს საზარუნავს, მისი მოღვაწეობის პირველ მცნებას, ახალი თაობის სწავლა და განათლება წარმოადგენდა. ეს იყო მგზნებარე პატრიოტის ბრძოლის ცეცხლი და პათოსი. სხვაგვარად მისთვის არაფერი არ არსებობდა. ამ მიზანს უქვემდებარებდა იგი საბავშვო ლიტერატურის სხვადასხვა სფეროში გამოჩენილი ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ მიზანდასახულებას.

ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. იგი წარმოიშვა და მოწინავე საზოგადო მოღვაწისათვის სამოქმედო პროგრამად გახადა არსებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ: „ეხლა კაცის ცხოვრება— ბრძოლა... ნიადაგ იდაყვის და გვერდების მტვრევაა გამართული; სდულს ბრძოლა, რომელშიც იმარჯვებს ძალუმი, მცოდნე და მოხერხებული, და რომელშიაც ულუქმაპუროთ, უიმედოთ რჩება უძლური, უმეცარი და შტერი“<sup>1</sup>.

ასეთ ვითარებაში არ შეიძლებოდა ლ. ბოცვაძეს საქართველოში სასწავლებლის, განათლების, საბავშვო ლიტერატურის ბედი საკუთარ საქმედ არ მიეღო: „სასწავლებლისა და განათლების ბედს და ხასიათს ჩვენ მუდამ სწორედ ისე უნდა ვადევნებდეთ თვალს, როგორც ჩვენს შინაურ. საკუთარ საქმეებს, როგორც ჩვენი შვილების ბედს და უბედობას“...<sup>2</sup> „ყოველ გონიერ კაცს, როცა ის აღზრდაზე სჯის ან ფიქრობს, ერთი უმთავრესი აზრი და კითხვა უნდა ჰქონდეს მხედველობაში: რა ცოდნა უფრო საჭიროა კაცისათვის, რაწიანი სწავლის გავრცელება უნდა ჰქონდეს მიზნით ახალგაზრდობის აღზრდას და განსაკუთრებით-რაგვარ, რის მცოდნე პირებს უნდა უმზადებდეს სასწავლებელი საზოგადოებას“<sup>3</sup>.

და სრულიად ბუნებრივია ლ. ბოცვაძის სიხარული თუ გულისტკივილი, რომელიც გამოსკვივის საბავშვო ლიტერატურისადმი მიძღვნილ მის კრიტიკულ ბიბლიოგრაფიულ წერილებში და გამოწვეული იყო „ერთი უმთავრესი აზრისა და კითხვისაგან“, რაც ახალგაზრდობის აღზრდის ძირითადი მიზნისაგან გამომდინარეობს: რა უფრო საჭიროა კაცისათვის, რაგვარი ცოდნა, წარმოდგენანი უნდა მიეცეს ახალგაზრდობას, როგორი პირები უნდა მოუმზადოს საზოგადოებას და ამისათვის როგორი უნდა იყოს საბავშვო მწერლობაც, — აი, ის კითხვები, რომლის პასუხი ადვილად მოიპოვება მის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილებში, სადაც საბავშვო მწერლობის ამოცანა და ფუნქციაც არის წარმოდგენილი.

<sup>1</sup> „კრებული“, 1871. III. ნ. სკანდელი „ახალგაზრდობის აღზრდა“, გვ. 190.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.



ლ. ბოცვაძე თვლის, რომ „უმადლესი ნიჭი ადამიანის ზნეობრივ მხარის არის ესთეტიკური გრძნობა, რომელიც მკვიდროდაა შეკავშირებული ადამიანის ყველა ზნეობრივ მხარესთან, ამიტომ ამ გრძნობის გახსნა-განვითარებას ადამიანში მოსდევს მისი ზნეობრივი ამაღლება, გაკეთილშობილება და ზნეობრივად გაფაჩიზ-გასაპეტაკება. როგორც სხვა გრძნობა, აგრეთვე ესთეტიკური გრძნობაც ბავშვს სუსტი და განუვითარებელი აქვს თავდაპირველად. რა გზითა და რა საშუალებებით შეიძლება ამ გრძნობის განვითარება ბავშვებში? — ერთი უპირველეს საშუალებად ბავშვებში ესთეტიკური გრძნობათა განვითარებისათვის, სამართლიანად აღიარებულია საბავშვო მწერლობა“<sup>1</sup>.

ამ ღრმა რწმენას უკავშირებს იგი თავის ესთეტიკურ კონცეფციას ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების ისტორიულ გზას, რომელიც კონკრეტულად შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ასახვისა და ჩვენების საფუძვლად თვლის ორ სინამდვილეს: 1. აწმყოსა და 2. წარსულს.

ბავშვისათვის ეს ორი სინამდვილე ახლობელი და გასაგებია, იგი მისთვის ნაცნობი და საინტერესო სფეროა; მშობლიური ჰანგები, მშობლიური ქვეყნის აღწერილობა, ადგილობრივი ბუნების მოვლენანი, ჩვენი წარსული ისტორიული ამბები<sup>2</sup>, აი, რა უნდა იყოს შთაგონების წყაროდ გამოყენებული, მხატვრული სიტყვიტაც მოყვანილა წასაკითხავად სათანადო ეპოციების აღძვრისათვის, სათანადო გრძნობების აღზრდისათვის.

ამიტომ თვლიდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე აუცილებელ საჭიროებად ისეთი მხატვრული ნაწარმოების შექმნას ბავშვთათვის, რომელიც შეეხებოდა ადგილობრივ ცხოვრებას. ასეთი ნაწარმოებუ აღზრდის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან ადგილობრივი საგნების, ადგილობრივი მოვლენების, ყოფითი სურათების ჩვენება უფრო ეფექტურ შედეგს მოგვცემდა ბავშვებში გამეფებული ცრუმორწმუნეობის გასამარტავად; ასეთი მასალები დაარწმუნებდა მათ ცრურწმენის შეუძლებლობაში, უსაფუძვლობაში და ამით გონებას გაათავისუფლებდა შემაწუხებელი შეზღუდულობისაგან.

ეს იქნებოდა ახალი აზრი, ახალი მოსაზრება, რომელიც ასეთი გზით შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ყრმათა გონებაში და მისი შეგნებულად შეთვისებისათვის. მას სწამდა, რომ „აუცილებელია წარსულ-

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, №111.

<sup>2</sup> „ივერია“, 1898, №71, გვ. 2.

ლის გავლენისაგან საჭირო ანალოგების გამოყენება, ახალის შეერთება წარსულის გავლენასთან<sup>1</sup>, მაგრამ ყოველივე ეს ეროვნული ხასიათის შემცველი უნდა იყოს; „ადგილობრივი ცხოვრება“, „ადგილობრივი მოვლენები“, „ადგილობრივი ყოფითი სურათების ჩვენება“ იყო უპირველესი მოთხოვნა. მკვიდრი საფუძველი ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის.

„ადგილობრივი“ მოვლენების, ყოფითი საურათების ჩვენებას, მეორე მხრივ, საფუძვლად პედაგოგიური პრინციპებიც უდევს; პირველ რიგში, ნაცნობი გარემოდან შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებით ბავშვებზე სათანადო იდეურ-ემოციური ზეგავლენის მოხდენა. მაგრამ იგი ხომ ეროვნული ლიტერატურის განუყოფელი თვისებაა. ეს თვისება თუკი კარგად იქნა წარმოდგენილი საბავშვო ლექსში, მოთხრობაში, მაშინ მისი როლი ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის აუცილებლად მნიშვნელოვანი იქნება.

საბავშვო ლექსის დანიშნულებასა და ღირებულებაზე საინტერესო დებულებებს გვაწვდის ლ. ბოცვაძე:

1. „ლექსის ღირსებას შეადგენს ის განებიოი საზრდოც, რომელსაც იძლევა ლექსი“ და რომელიც პატარა მკითხველებისათვის ადვილად გასაგები უნდა იყოს თავისი შინაარსით, უქმნიდეს გარკვეულ წარმოდგენას იმაზე, რასაც მწერალი ეხება და ამავე დროს ბავშვს აძლევდეს გარკვეულ ცოდნას. ეს მიღწეული უნდა იქნეს „ხელოვნურად აღწერილობით“, აგრეთვე „შინაარსით და შიგ გატარებულის აზრით“. ეს „გონებითი საზრდო“ „ლექსთა წყობილებით“ გარკვეული ღირებულების შემცველი უნდა იყოს, და შეეძლოს ბავშვის ყურადღების დაპყრობა მასში მოცემულ „საკმაო ესთეტიკურ მსოფლმხედველობით ელემენტს“<sup>2</sup>

2. „უმთავრესი ჰირობა საბავშვო მოთხრობისა როგორც ხელოვნური პოეტური ნაწარმოებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს“<sup>3</sup>.

3. ყველა საბავშვო მოთხრობათა საგანი ის უნდა იყოს, რომ განაღვიძოს, შეარყიოს და აღორძინო-განავითაროს, რაც საუკეთესო რამ მოიპოვება ადამიანში“<sup>4</sup>.

4. „საზოგადოდ იმისთანა მოთხრობები, სადაც არსებითი რიგიანი ტიპი არ არის გამოყვანილი და მასთან დაშორებული ცარისქართველ ბავშვების გარშემო რტყმულ ბუნებას, ბევრ ვერ აფერხს შესძენს მკითხველს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, №71, გვ. 2.

<sup>2</sup> „ივერია“, 1898, № 78.

<sup>3</sup> „ივერია“, 1898, № 161.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „ივერია“, 1898, № 209.

საკითხავად მარტო მხატვრობითი აღწერა სინამდვილისა საკმარისი არ არის; ამასთან საჭიროა შინაგანი გაბრწყინება, განათება“...<sup>1</sup>

5. შესანიშნავ ადამიანთა ცხოვრების აღწერას დიდი აღმზრდელობითი გავლენა აქვს მოზარდ თაობაზედ“.

„...როცა ბავშვებრსათვის ასწერენ რომელსამე შესანიშნავი კაცის ცხოვრებას, საჭიროა მოიხსენიონ ამ შესანიშნავი ადამიანის ბავშვობის დროც. მოკლედ მაინც, თუ რა შეადგენდა იმის სიყვარულს და სასურველს საგანს ბავშვობის დროს. ეს ბავშვობის ხანა შესანიშნავის ადამიანისა მკითხველ ბავშვებისთვისაც სასიამოვნო იქნება, როგორც უფრო დაახლოებული მათ ცხოვრებასთან“<sup>2</sup>.

6. გამომდინარე ქართული ეროვნული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების პერსპექტიული ამოცანებიდან, თარგმანებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან თარგმანებში არ ჩანს ქართული ბუნება, არ არის ქართული სახელები; ყველა საბავშვო წიგნში ადვილობრივ ელემენტს უპირველესად გილი უნდა ეჭიროს. ბავშვებს ჭერ უნდა გაეაცნოთ ადგილობრივი მასალები — ფლორა, ფაუნა და ამის საფუძველზე უკეთ შეიძლება უცხო ქვეყნების გაცნობა. ამის გარეშე პირდაპირ უცხო ერის ნაწარმოების თუ საგნების შესწავლა იმავე ადვილობრივი საგნის გარეშე ხელს შეუშლის აგრეთვე ბავშვის შესსიერების კანონიერად განვითარებას, რადგან იგი მძიმე ბარგი იქნება ბავშვის მეხსიერებისათვის<sup>3</sup>.

7. საბავშვო ნაწარმოებს ენა უნდა იყოს გასაგები, მდიდარი, ბავშვის ლექსიკონის გამამდიდრებელი. ამ მიზნით აუცილებლად მიაჩნია ისეთი სიტყვების სმარებაც, რომელიც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში არ იხმარება, მაგრამ იმ პირობით, რომ კითხვის დროს ყველა ბავშვს გაუადვილოს წაკითხულის სრულად შეგნება, აუცილებლად მიაჩნია ზოგიერთი სიტყვის განმარტება, წინააღმდეგ შემთხვევაში უცნობი სიტყვები უცნობად დარჩება, ხოლო ბავშვის ლექსიკონს ბევრი არა შეემატება რა. ამასთან ბავშვთა საკითხავ წიგნებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სრულიად განყენებულ სიტყვებს<sup>4</sup>.

\*

არ შეიძლება არ აღინიშნოს ლ. ბოცვაძისა და ი. გომართელის პაექრობა, რომელიც ძირითადად საბავშვო მწერლობის თეორიისა და კრიტიკის პრობლემებიდან გამომდინარეობს.

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, № 111.

<sup>2</sup> „ივერია“, 1898, № 91.

<sup>3</sup> „ივერია“, 1898, № 78.

<sup>4</sup> „ივერია“, 1898, № 91.

ცხადია, რომ ამ სუბიექტივისტურმა განწყობილებამ გავლენა მოახდინა სერიოზული პრობლემების გადაწყვეტისას პაექრობის ტონზე, მაგრამ მიუხედავად ამისა „ივერიისა“ და „მოამბის“ ფურცლებზე მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებიდან რაციონალური მარცვლის პოვნა არც ისე ძნელია, რომელიც საერთოდ საბავშვო ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის ჩამოყალიბების პროცესში კუთვნილ ადგილს ისაკუთრებს.

საქმე იმით დაიწყო, რომ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, პედაგოგმა ლუარსაბ ბოცვაძემ 1898 წელს „ივერიის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ჟურნალ „ჩეჯილის“ მთელი წლის ნომრების ფართო კრიტიკული მიმოხილვა; იგი თითოეული ნომრის ყველა მასალას სათანადოდ არჩევდა და საკუთარი შეხედულებით აფასებდა კიდევაც.

ივანე გომართელი გამოეხმაურა ლუარსაბ ბოცვაძის კრიტიკულ შიხიშენებს წერილით „შარშანდელი „ჩეჯილი-ს“ კრიტიკოსი“ და 1899 წლის აპრილიდან („კვალი“ №14) იწყებს ლ. ბოცვაძის წერილების კრიტიკულ განხილვას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლ. ბოცვაძისა და ივანე გომართელის კრიტიკულ წერილებში საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთ საკითხზე გამოთქმული ისეთი მოსაზრებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მათს ესთეტიკურ კონცეფციას, ამავე დროს საინტერესოა საბავშვო მწერლობის ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვისაც.

ამის გამო მათი ძირითადი დებულებანი, რომელიც განეკუთვნება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საბავშვო ლიტერატურის საინტერესო საკითხებს, ჩვენ უკვე ზემოთ ჩამოვყალიბეთ. ახლა ვეცდებით „წყენით“ გამოწვეულ პაექრობას იმდენად შევგებოთ, რამდენადაც მასთან არის სხვა ზოგიერთი საკითხი დაკავშირებული.

ჟურნალ „ჩეჯილში“ „ვანოს“ ფსევდონიმით ხელმოწერილი მოთხრობა „ქალაქელი ძია“ ლ. ბოცვაძეს არ მოსწონებია, რაზედაც გარკვეულად წერს: „ამ მოთხრობაში ჩვენ არ მოგვეწონა ის, რომ საჩინო ყოველთვის ატყუებდა და სიმართლეს უმაღლესად თავის მეუღლეს თამარს... ძნელი დასაჯერებელია, რომ ქმარმა რამდენსამე წელს დაფარულად შეინახოს იმისთანა ამბავი, რომელიც თვითონ აწუხებს და არ ეუბნება მეუღლეს...“

არ მოგვეწონა აგრეთვე ის ადგილი, სადაც სოსია სიხარულის გრძნობით აღელვებული მიუახლოვდება თავის სახლს — აქ მკითხველი მოელის. შემდეგ სკენებს, თუ რა მოხდება, როცა დიდი ხნის უნახავი, ცოცხალ-მკვდრად აღიარებული შვილი, გიმნაზიის მოსწავლე

შედის თავისს ეწოდა; იმის ნაცვლად ავტორი მოაყოლებს საჩინოს ჭა-  
ლაქში ნახულსა და გაგონილს ამბავს“<sup>1</sup> (ხაზგასმა ჩემია, ა. ჩ.).

ლ. ბოცვაძის კრიტიკის საფუძველია, როგორც პედაგოგიკური  
პრინციპი, ისე ნაწარმოების სიუჟეტის განვითარების კომპოზიციური  
მხარე; პედაგოგიკური პრინციპის მიხედვით ბავშვთათვის დაწერილ  
ნაწარმოებებში ლ. ბოცვაძის აზრით, საჭიროა ყურადღება მიექცეს  
კარგი თვისებების ჩვენებას, რათა კარგის მაგალითზე აღზარდოთ  
ისინი, ხოლო სიუჟეტის, კომპოზიციის თავისებურება საბავშვო ნა-  
წარმოებს მოსთხოვს ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით, საინტერე-  
სოდ გაშლას, რასაც ლ. ბოცვაძე „ქალაქელ ძიამი“ ვერ ნახულობს.

ის მოთხოვნა, რომ საბავშვო ნაწარმოები უნდა უვითარებდეს ბავ-  
შვებს ესთეტიკურ გემოვნებას, რასაკვირველია, სადავო არ არის; მწერ-  
ლები „იმ შეცდომას სჩადიან, რომ იღებენ მასალას ხშირად მარტო  
ბავშვების ცხოვრებიდან პირდაპირ ზნეობრივის აზრის მისაღწევად,  
მაგრამ ის მხარე მწერლობისა, რომელშიაც უმთავრესს საგანს შეად-  
გენს ესთეტიკური გემოვნება, ჩვენს საბავშვო მწერლობის ნაწარმო-  
ებში ძალიან დაცემულია, ხელოვნება მათს ნაწარმოებში იშვიათი  
მოვლენაა“<sup>2</sup>.

რა თქმა უნდა, ივანე გომართელი ქართული საბავშვო მწერლობის  
ერთ-ერთი დიდი ქომაგი და მოამაგეა. მისი წერილები ქართული სა-  
ბავშვო მწერლობის მტკივნეული საკითხების ობიექტურად განსჯასაც  
შეიცავს, მაგრამ ამ საკითხებში მაინც გაჩაკვევით გამოჩნდა მისი ვიწ-  
რო სუბიექტივისტური მოსაზრებანი შემდეგ სიტყვებში:

ა) „ბოცვაძის ფელეტონებში დამტკიცება ცოტა არის, საყუთარი  
გემოვნება კი ყოველ სტრიქონში გამოსკვივის. ავტორი გიცხადებთ:  
ეს ლექსი კარგია, ეს მოთხრობა არ ვარგა ე. ი. მე ეს მომწონს,  
ეს არ მომწონსო“<sup>3</sup> (ხაზგასმა ჩემია, ა. ჩ.).

ბ) „ლ. ბოცვაძე, როგორც გულუბრყვილო ესთეტიკოსი, გვეუბნე-  
ბა: რაც მე მომეწონა, ის კარგია, რაც არ მომეწონა, ის არ ვარგაო.  
ჩვენთვის სრულიადაც არ არის საყურადღებო, ესთეტიკოსია ლ. ბოც-  
ვაძე თუ არა, რა მოსწონს მას და რა არა“<sup>4</sup>.

გ) „მომწონხარ, ან არ მომწონხართ ის ძაბილი სულ მეტია და უმ-  
ნიშვნელო“...

„...ავტორს იმიტომ კი არ გამოუყვანია ესა თუ ის პირი, რომ მოგ-  
წონებოდათ“ და სხვ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, № 133.

<sup>2</sup> „ივერია“, 1898, № 1611.

<sup>3</sup> „კვალი“, 1899, № 14.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

სიტყვები „ჩვენ არ მოგვეწონა“, „არ მოგვეწონა აგრეთვე...“ და მსგავსი მისი ლ. ბოცვაძის განსაკუთრებით „ვანოს“ მოთხრობის მისამართით აქვს დაწერილი და კრიტიკოსის გაცხარება ან ტონის გამო რომ არის გამოწვეული, ეს უკვე ცხადია.

ამჟამად გარკვეულია, რომ „ვანოს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი მოთხრობები ეკუთვნის ივანე გომართელს და, უდავოა, ლ. ბოცვაძის კრიტიკულ მიმოხილვაზე გამომსაუბრებაც „წყენის“ შედეგია.

ამ წერილებში ყურადღებას იქცევს ისეთი საკითხების განხილვაც, რომელიც არა მარტო ქართული საბავშვო მწერლობის, არამედ რუსული საბავშვო ლიტერატურისათვის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

საკითხი ეხება საბავშვო მწერლობაში ცხოვრების ჩვენებას: რა უფრო მიზანშეწონილია—საბავშვო მწერლობაში აისახოს მხოლოდ ნათელი მხარე თუ მასთან ერთად ჩრდილოვანიც, სიმახინჯე?

ამ საკითხის ირგვლივ ორი აზრი არსებობდა, რამაც თავი იჩინა ლ. ბოცვაძისა და ი. გომართელის წერილებშიაც.

ივანე გომართელი ამ საკითხზე წერს:

ა) „აღზრდის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანი კი ის უნდა იყოს, რომ ბავშვს კრიტიკული აზროვნება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულად ააწონ-დააწონიოს, ცალმხრიობას ააცილოს და მარტო მის რწმენაზე და გრძნობაზე არ იმოქმედოს... უკრიტიკოთ ამათუ იმ მოვლენის აწონ-დაწონა შეუძლებელია. თუ თქვენ გააცანით ცხოვრების მარტო კარგი მხარე ცუდს რომ თვითონ შეხვდებო, როგორ შეხედავს მას ბავშვი, როგორ დააფასებს?“<sup>2</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

გომართელის ეს მოსაზრება ენათესავება დობროლუბოვის აზრს საბავშვო ლიტერატურის შესახებ, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია, რომ საბავშვო ლიტერატურის მთავარი ამოცანაა: «Разъяснение тех вопросов, которые теперь волнуют общество и встретят нынешних детей тотчас, как только они вступают в жизнь»<sup>3</sup>.

ბ) „როცა ბავშვი... გახდება დიდი, დამოუკიდებელი ადამიანი... მაშინ რა სარგებლობას მოუტანს მას თქვენი ცალმხრივი აღზრდა, კარგის გაცნობა და ცუდის დამალვა? თქვენ თავიდანვე უნდა მოამზადოთ ბავშვი ამ დამოუკიდებლობისათვის, თავიდანვე უნდა მოამზა-

<sup>1</sup> იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1965, № 24 (1453) ვ. წოწელიას წერილი „ერთი უცნობი ფსევდონიმის გამო“.

<sup>2</sup> „კვალ“, 1899, № 14.

<sup>3</sup> Н. Добролюбов. Пол. собр. соч. М., 1936, т. 3, гл. 535.

ღოთ ის საზრიანი ცხოვრებისათვის; ამისათვის კი საჭიროა, გაცნობთ მას მთელი ცხოვრება, როგორც მისი კარგი მხარე, აგრეთვე ცუდიც<sup>1</sup>.

2) „საბავშვო ლიტერატურაც... უნდა გვიჩვენებდეს ადამიანის ყოველგვარ თვისებას, ზნეობასაც, უზნეობასაც, ბოროტებასაც, სიკეთესაც; მხოლოდ ყოველგვარი მათგანი ღირსეულათ უნდა იყოს დაფასებული, რომ ბავშვმაც ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს, კარგი შეიყვაროს, ცუდი შეიძლოს“<sup>2</sup>.

არ იქნება უინტერესო, თუკი ლ. ბოცვაძისა და ივ. გომართელის წესდებულებებს შევუპირისპირებთ რუსულ პედაგოგიურ მოძღვრებასა და საბავშვო ლიტერატურაში იმ დროისათვის არსებულ შესდებულებებს. ობიექტურად რომ შევაფასოთ ეს შესდებულებანი, აუცილებელია წინასწარ ვთქვათ, თუ რა ობიექტური პირობებითაა ნაკარნახევო საკითხის ამგვარად დასმა და რამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა?

ცნობილია, რომ ოფიციალური საბავშვო ლიტერატურის ძირითადი მიზანი იყო, ბავშვთა, მოზრდილთა ყურადღება აეცილებინათ იმ სოციალური წინააღმდეგობებიდან, ცხოვრების მიერ მწვავედ წამოყენებული ჩაგრულისა და დამჩაგრელის, ექსპლუატატორისა და ექსპლოატირებულის ურთიერთდამოკიდებულებაში ისტორიულად პრინციპულად დაყენებული საკითხიდან, რომელიც ეპოქისათვის ნიშნულ ნოწინავე იდეური ბრძოლის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა.

რუსეთში რეაქციული ოფიციალური საბავშვო ლიტერატურის წარმომადგენლები მეტად შენიღბულად მოქმედებდნენ; მათი მტკიცებით, ბავშვის გონება ჯერ არ არის მომწიფებული იმისათვის, რომ გაერკვეს მის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პრეცესებში. ბავშვი მეტად გულუბრყვილო, მეტად მგრძნობიარე, ამასთან დამჯერი და მიმბაძველია.

ეყრდნობოდნენ რა ამ მოსაზრებას, იგი ოფიციალურმა საბავშვო ლიტერატურამ გამოიყენა სანტიმენტალური, რეზონიორული ნაწარმოებების შესაქმნელად.

მოწინავე პედაგოგიურ და ლიტერატურულ კრიტიკაში თანდათან მსლავრად ისმოდა ხმები ცხოვრების შეუფერავად ასახვის შესახებ საბავშვო მწერლობაშიც, რასაც დადებითი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

კ. უშინსკის აზრით, საბავშვო ნაწარმოებების ავტორს არ უნდა აშინებდეს, ახალგაზრდა, ნორჩ მკითხველს წარმოუხსნოს რეალური ცხოვრებიდან აღებული ისეთი მძიმე ფაქტი, როდესაც შეიძლება მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შედეგად მხოლოდ გა-

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 14.

<sup>2</sup> იქვე.

პირება და ტანჯვა მაიღოს, სოლო საწინააღმდეგო მოქმედებით კი ფუფუნება.

მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია, ცხოვრებაში მომხდარი ასეთი შექმნევეები ბავშვებმა ისე გაიაზრონ, რომ იმავე წუთს დიდი დაფიქრების გარეშეც, უმალ ზურგი შეაქციონ არასწორად შეძენილ ოქროს და დაკმაყოფილდნენ პატიოსანი შრომით<sup>1</sup>.

ღობროლიუბოვი საბავშვო ლიტერატურის მთავარ ამოცანად სახვდა ბავშვებისათვის განემარტა, გაეცნო ყველა ის საკითხი, რომლებიც ახლა აღელვებენ საზოგადოებას.

რასაკვირველია, საზოგადოების მოწინავე ნაწილს აღელვებდა ცხოვრება მთელი თავისი წინააღმდეგობებით — ბოროტება და სიკეთე, სამართლიანობა და უსამართლობა, ბედნიერება და უბედურება, მშრომელი ადამიანების ბრძოლა თავისუფლებისათვის, არსებობისათვის, ექსპლოატატორთა მიერ გლეხობის, მშრომელთა ნაოფლარის წართმევა და ძარცვა. მეორე მხრივ, პატარა ბავშვის გონების დამძიმება ცხოვრების უკუღმართი მოვლენების აღწერით, თვით ბავშვებისათვის არ არის კარგი; მათ ჯერ კრიტიკის, განსჯის უნარი არ აქვთ და წემაჩრწუნებელი და სევდის მომგვრელი ცხოვრების მძიმე სურათების აღწერა მათში ჩაახშობს ხალისიან განწყობილებას, ბავშვურ გულუბრყვილობას, სიხარულსა და აღელვებას.

ვინიადან ბუნებით ბავშვები მხიარულნი არიან, ამავე დროს ისინი თვითონვე არიან მხიარულების, ხალისიანი გართობის დაუშრეტელი წყარო, ცხოვრებისაგან გარიყულს ან მწარე ხვედრით დატანჯულ ადამიანებს თავიანთი მიამიტობით, თავიანთი ბუნებით ავიწყებენ ტანჯვას, წვალებას. მწერლობა ბავშვების ამ თვისებების განვითარების ხელშემწყობი საშუალებაც უნდა იყოს.

ბავშვების ხასიათის ეს განსაკუთრებული თავისებურება, რასაკვირველია, არ შეიძლება უარყოფილი იქნეს. გავიხსენოთ ვ. ლიბკენხტის სიტყვები მარქსის ბავშვების შესახებ, რომლებიც მას დაუმეგობრდნენ ლონდონში ცხოვრების უმძიმეს დღეებში; ლიბკენხტი მარქსის ბავშვებთან ერთობოდა, მათ ზღაპრებს უყვებოდა და ამ სიტუაციაში ცხოვრების მწუხარე, მძიმე განცდებით სავსე დღეებში მას მხოლოდ ბავშვებთან ყოფნა უბრუნებდა მისთვის ჩვეულ იუმორს: «В трудные минуты жизни ничто так не развлекает и не подбадривает, как общенне с детьми. Как часто, когда на душе было особенно скверно, бежал я к моим маленьким приятельницам и бродил с ними по улицам и паркам. Черные мысли скоро рассеивались, доброе настроение снова несло с собой радость и силу для борьбы за жизнь и для всякой иной борьбы»<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ж М Н П, 1861, сентябрь, 68.

<sup>2</sup> В. Л и б к н е х т. Воспоминания о Марксе, т. II, М., 1918, гл. 46—47.



მაგრამ ბავშვების ეს ბუნებრივი თვისებები • მის საფუძველს არ იძლევა, რომ ბავშვებს მწარე სინამდვილის წინაშე თვალი დავახუჭვინოთ.

არ არის სადავო, რომ აუცილებელია კარგი მაგალითების ჩვენებით ბავშვებზე გარკვეული ფსიქოლოგიური და მორალური ზეგავლენა მოვახდინოთ; დიდი უკრაინელი მწერალი ფრანკო სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საჭიროა ბავშვებს მივცეთ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გონებას გაუნათლებენ, გრძობებს გაუკეთილშობილებენ, ერთდროულად განუღვიძებენ გონებასა და სულს.

ოსტროგორსკი ამბობდა, რომ ბავშვებში მსოფლმხედველობა და მხატვრული გემოვნება ფორმირდება მხოლოდ ისეთი ნაწარმოებებით, რომლებიც შინაარსითა და ფორმით მშვენიერია... რომლებიც თავიანთი გენიალობით, ტალანტით, ყველაზე ჭკვიანურია, ყველაზე დიდებულია თავისი უბრალოებით. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ამ შინხით ბავშვებს მხოლოდ მოვლენის ერთი მხარე ვუჩვენოთ, ხოლო მეორე მხარე კი შეგნებულად, წინასწარ განზრახვით დაუშვლოთ.

ასეთივე პოზიციიდან აკრიტიკებდა გომართელი ლ. ბოცვაძეს შემდეგი სიტყვებით: „ბატონი ბოცვაძე სასტიკი ნორალისტი: ლიტერატურაში უზნეობის აღნიშვნა ძალიან ეჯავრება... მართალია, ბავშვები ცხოვრებაში... უზნეო სცენებსაც ჰხედავენ, მაგრამ კრიტიკულის თვალთ გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშვს არ შეუძლია, ამიტომ გონიერმა აღმზრდელმა ამისთანა სცენებს უნდა აარიდონ ბავშვი. ბავშვებისათვის საკითხავი მოთხრობებიც მოკლებული უნდა იყოს უზნეო სცენებს, ბავშვს უნდა უჩვენო რაც კარგია და მოარიდო ყველაფერს, რასაც კი შეუძლია ზნეობრივად ცუდათ იმოქმედოსო. როგორც ვხედავთ, მკითხველო, ლ. ბოცვაძე გამოთქვამს აქ თავის აზრს ბავშვის აღზრდისა და საბავშვო ლიტერატურის შესახებ; კრიტიკული თვალთ გარჩევა რომელისამე საქციელისა ბავშვს არ შეუძლია, ამიტომ შარტო კარგი უჩვენეთ ხოლმეო, ე. ი. ბავშვი ატყუეთ, ქვეყნიერება სამოთხედ დაუსახეთ“<sup>1</sup>.

ივანე გომართელი უკიდურესობაში ვარდება, როდესაც ლ. ბოცვაძეს უკიყინებს, თითქოს მას სურდეს „ბავშვი ვატყუოთ“, „ქვეყნიერება სამოთხედ დავუსახოთ“, მაგრამ ცნობილია, რომ ბოცვაძე მოითხოვს საბავშვო მწერლობამ ბავშვებს მისცეს „გონების საზრდო“, ასახოს რეალური ცხოვრება.

თუ ბოცვაძე აქცენტირებას ახდენს ცხოვრების ნათელ მხარეზე, თუ მისთვის მთავარია, რომ სიკეთე, კეთილშობილება, ადამიანის მორალური ცხოვრების კარგი მხარე განსაკუთრებით წინ იყოს წამოწეული, საბავშვო მწერლობაში, რასაკვირველია, ეს არის ნაწარმოე-

<sup>1</sup> „კვალი“, 1899, № 14.

ზისადმი წაყენებული პედაგოგიკური მოთხოვნა, პედაგოგიკური კრიტიკის პრინციპი, რომელიც მტკიცედ ექვემდებარება ნაწარმოების აღმზრდელობითი ფუნქციის მკაცრ განსაზღვრას.

მაგრამ მხოლოდ ასეთი მოთხოვნა უთუოდ ცალმხრივია.

ასეთ ცალმხრივობას ებრძოდნენ როგორც ჩვენში, ისე რუსულ საბავშვო ლიტერატურაშიც. რუსული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მოამბე ვეგ. ელაჩიჩი წერდა: ერთადერთი სავალდებულო მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წავუყენოთ ყოველ საბავშვო წიგნს, ეს მოთხოვნაა სრული სიმართლე, ბუნებრივობა, გულწრფელობა და მხატვრულობა. საბავშვო წიგნი უნდა უხატავდეს ბავშვს მისი გაგებისათვის მისაწვდომ ფორმებში რეალური ცხოვრების სურათებს, საბავშვო წიგნმა უნდა გააცნოს ცხოვრება თავისი სიკეთითა და ბოროტებით, მაგრამ არა გამოგონებულით, არა სქემატურად, არამედ ისე მთლიანად, როგორც ეს ნამდვილად არის ცხოვრებაში<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.):

არ იქნება სწორი, რომ საბავშვო მწერლობის წიგნების შეფასების კრიტერიუმად მივიღოთ მხოლოდ ცხოვრების მოვლენის ცალმხრივი განსჯა, ე. ი. ვაჩვენოთ კარგი ან კიდევ საწინააღმდეგო—ცუდი, უარსაყოფი საზოგადოებრივი ინტერესების, პროგრესულისათვის შეუფერებელი.

აქედან, გამომდინარე, ჩვენ ვასკვნით:

ეს პრობლემა არ მიგვაჩნია ჩვენი კვლევის ე. ი. მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრის საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის მტკიცე საზღვრებში მკაცრად მოქცეულ პრობლემად, რომელმაც გადაწყვეტის საბოლოო ფორმა მიიღო და ამდენად იგი არ შეიძლება მხოლოდ ისტორიული ინტერესის შექცეული იყოს; ამ პრობლემის გადაჭრა საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის შემდგომი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის იჩენდა თავს არა მარტო პედაგოგიკურ კრიტიკაში, არამედ საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკის ისტორიაშიც.

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ შეხედულებას, რომ მწერლობაში უნდა ახახოს რეალური ცხოვრების მხოლოდ მშვენიერი, კარგი მხარე.

ამ ასპექტით ობიექტური სინამდვილის მხატვრულ სახეებში გამოხატვა ვერ გამოგვეცემს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესებს, ვერ გამოხატავს ადამიანის სულიერი და მატერიალური ცხოვრების სირთულეს, რაც ექსოვება ფსიქოლოგიურ, მორალურ, სოციალურ კვშმარტებას.

<sup>1</sup> Сборник стат. по детск. чтению. М., т. II, 1912, გვ. 13.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან დადგენილია, რომ ობიექტური რეალობისა და ადამიანის ურთიერთობის მრავალსახეობრივი რთული, ურთიერთდამოკიდებული და ამასთან ურთიერთზე მოქმედი ფაქტორები უნდა იყოს საერთოდ ხელოვნებისა და, კერძოდ კი, მწერლობის შინაარსისა და ფორმის მარად უშრობი წყარო, სინამდვილის მხატვრული შეცნობის საფუძველი.

ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მწერლის ნიჭს, მის ესთეტიკურ კონცეფციას და მსოფლმხედველობას.

ის აზრი, რომ საბავშვო მწერლობაში ცხოვრების მხოლოდ კარგ მხარეებს უნდა ვუჩვენებდეთ, მოზარდი თაობის ყურადღება შევამჩიროთ ცხოვრებაში მხოლოდ კარგის მხატვრულად ასახვაზე და ამით ვიმოქმედოთ ბავშვის სულიერ სამყაროზე, გონებრივი განვითარების მიმართულებაზე, არასწორია.

სამყაროს პოეტური, იდეურ-ემოციური შეცნობა, უპირველეს ყოვლისა, კატეგორიულად აყენებს საკითხს, საბავშვო მწერლობამ უჩვენოს ცხოვრება მთელი თავისი წინააღმდეგობებით, სიკეთითა და ბოროტებით, სამართლიანობითა და უსამართლობით, სინამდვილითა და ოცნებით, ცხოვრებისეული რეალობითა და მაღალი იდეალებით.

თუ როგორ აისახოს მწერლობაში, ხელოვნებაში ცხოვრება, იმ დროისათვის ილიასა და აკაკის მიერ ზუსტად იყო ფორმირებული, რაც საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისათვის სათანადო სახელმძღვანელო პრინციპი უნდა ყოფილიყო.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენი წინა, რათა ს ი ც უ დ ე ც და ს ი კ ე თ ე ც ჩვენი დავინახოთ“.<sup>1</sup> (ზაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.)

ეხებოდა რა ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხებს, მათ აკისრებდა საკუთარი კანონისა და ჰუმანიტეტების საფუძველზე მეტად სერიოზულ ამოცანებს: „დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარაებას, განეიცხვას, რაც ჩვენში საეციხია და ცუდი. დაე, ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლეჩი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“.<sup>2</sup>

აკაკი წერეთელი ამავე საკითხზე წერდა: „მწერლობა ზნეობითა მესარკეობაა, ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე. თხზ., სრ. კრებული, თბილისი, 1953, ტ. 3. გვ. 68.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გ. ეტ. სთავო. თხზ. თბილისი, 1884. აკ. წერეთლის წინასიტყვაობა.

მწერლობაში „ლაფისა და ლექის“, „თანადროების სისწორ-სიმრუ-  
დით“ ჩვენება, როგორც ეს XIX საუკუნის ქართული მხატვრული  
ლიტერატურის სულისჩამდგმელებს ესმოდათ და ლიტერატურული  
კრიტიკაც კრიტიკული რეალიზმის ამ პრინციპით იხილავდა მწერალ-  
თა შემოქმედებას. უეჭველად, საბავშვო ლიტერატურის სფეროში  
მომუშავე მწერლებს რეალისტური მიმართულების ამ გზისაკენ მოუ-  
წოდებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანის აქცენტა-  
რება მაინც მხოლოდ ცხოვრების კარგი მხარის ჩვენებაზე იყო. ეს,  
როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ პედაგოგიური მოსაზრებებით იყო გა-  
მოწვეული, რაც ასხევებდა ზოგადი (საერთო) ლიტერატურის ესთე-  
ტიკური კონცეფციისაგან.

საბავშვო მწერლობის საკითხებს შეეხო ცნობილი კრიტიკოსი კი-  
ტა აბაშიძე ეკატერინე გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობების გარ-  
ჩევისას<sup>1</sup>. კრიტიკოსი ეკ. გაბაშვილს საყვარელ, ნიჭიერსა და გრძნობა  
ზდიღარ მწერალს უწოდებს, რომლის ნაწარმოებები, მისივე თქმით,  
არის „ტკბილი და მოღუღუნე“, „სულის ჩამდგმელი“ ედემად მქცევი  
ადამიანის გამზმარი გულისა, ადამიანის გულის ძალ-ღონის და შივ  
დამარხულ სიმდიდრის მაჩვენებელი და დამასურათებელია, იმიტომ,  
რომ ავტორის კეთილშობილი სული ყოველთვის იმასა ცდიდა და შე-  
საძლებელია კიდევაც, „აეყვავებია დამქცნარი“ სული ადამიანისა,  
„მკვდრისა, და უფერულის ღვთის შვილისათვის ნართლა და ადამიან-  
ური სული ჩაედგა“.

კიტა აბაშიძეს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნდა ის, რომ ეკ. გაბა-  
შვილი ადამიანში ეძებს მაღალ-სულოვნებას, ადამიანურ ლმობიერე-  
ბასა და გულთბილობას. ეხება რა მოთხრობას „როგორ მიეგება სვი-  
მონიკა ახალ წელიწადს“, განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს  
სვიმონიკასა და გეურქა-კაროს მწარე ხვედრის ჩვენებას: მოთხრობას  
იგი მიიჩნევს შედევრად, რადგან მასში „უხვად არის გაბნეული სი-  
ნამდვილის სურათები და სინამდვილითვე (რაკი უამისოდ აღარა  
გვწამს-რა) აღსავეს საუცხოვო ფსიხოლოგიური მომენტები“<sup>2</sup>.

თუ კიტა აბაშიძის მიერ ეკატერინე გაბაშვილის საყმაწვილო მო-  
თხრობების ანალიზს ღრმად ჩაუუკვირდებით, კრიტიკოსის შეხედუ-  
ლებას საბავშვო პროზისა და თვით საბავშვო მწერლის ბუნების შე-  
ნახვებ, მოკლედ ასე ჩამოვყალიბებთ:

1. საბავშვო მწერალი უნდა იყოს ნიჭიერი, გრძნობამდიდარი შე-  
მოქმედი, რომელსაც უნდა შეეძლოს ადამიანის გულის სიღრმეში

<sup>1</sup> „შობაზე“, 1899, № 12.

<sup>2</sup> იქვე.

ჩაწვდომა, მისი ტკივილების თუ გამოუთქმელი მწუხარების, გულში ჩამარხული სევდის ამოცნობა;

2. საბავშვო მწერალს უნდა შეეძლოს იმედის, რწმენის შთაგონება და განმტკიცება „დამპყნარი სულის“ ადამიანისათვის;

3. საბავშვო მწერალი ადამიანში უნდა ეძებდეს მაღალ-სულოვნებას, ადამიანურ ლმობიერებას და სიბოლეს, ე. ი. ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, გულისხმიერება, რომელიც მწერლის ერთ ღირსშესანიშნავ თვისებად აქვს კრიტიკოსს მიჩნეული, რასაკვირველია, სათანადო ზეგავლენის მქონედ უნდა წარმოვიდგინოთ იგი ნორჩ მკითხველებზე და სწორედ ამას უსვამს ხაზს საბავშვო მწერლის ე. ვაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობებში;

4. ადამიანთა მწარე ხვედრის ჩვენებას, მაშინდელი უკულმართი ცხოვრების უხვად გაბნეული სურათებით გადმოცემა<sup>1</sup>ს სასტიკო ფსიქოლოგიური მომენტების რეალისტურად დახატვას მიიჩნევს რა შედეგად, ამით კრიტიკოსი მიუთითებს საბავშვო სიტყუაქაზმულ მწერლობას მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე ნაწარმოებების შექმნისაკენ. მაშასადამე, კიტა აბაშიძეს საბავშვო მწერლობის უპირველეს ამოცანად მიაჩნია სინამდვილის ასახვა, ხოლო „სინამდვილედ უნდა ის მივიღოთ, რაიცა ხშირი მოვლენაა ცხოვრებაში და არა იშვიათი“<sup>2</sup>;

საბავშვო მოთხრობა გონების ნაშრომი კი არ უნდა იყოს, არამედ „შეერთებულის გონებისა და გრძნობის ნაყოფი“<sup>2</sup>.

•

მ. ნასიძის „პედაგოგიური მოსაზრებანი“<sup>3</sup> მეტად საყურადღებო დებულებებს შეიცავს საბავშვო ლიტერატურის პრობლემატიკის გაგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით; იგი გულსტკივილით აღნიშნავს, რომ საყმაწვილო წიგნები და ჟურნალები არა მარტო ჩვენში, არამედ სხვა მოწინავე ქვეყნებშიც ხშირად უყურადღებოდაა მიტოვებული და მათზე არავინ ფიქრობს.

საბავშვო ლიტერატურის ძირითად მიზნად ის ბავშვთა ზნეობრივად აღზრდასა და გონებრივი განათლების მიცემას თვლის.

ამ ამოცანის განსახორციელებლად მ. ნასიძეს საჭიროდ მიაჩნია ბავშვებზე სათანადო ზეგავლენის მოხდენა, რადგან ბავშვი ცხოვრობს და ცოცხლობს შთაბეჭდილებებით და ამიტომ მხედველობაში უნდა

<sup>1</sup> „მოამბე“, 1899, № 12.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „ივერია“, 1884, № 4.

მივიღოთ ის კუმმარტება, რომ ბავშვზე „შეიძლება იკონიოს ზედ-გავლენა მხოლოდ მან, რაიცა პირ-დაპირ მის გრძნობას შეეხება“<sup>1</sup>. მნიშვნელოვანია. საბავშვო მწერალმა მხატვრული სიტყვით უჩვენოს ის, რაც ცხოვრებაში უნახავს, უგრძნია, გამოუცდია; წარმოუსახოს ნაცნობი გარემო, ცხოვრება, რომელშიც ტრიალებს თვითონ ბავშვი,

მ. ნასიძეს მტკიცედ სწამს, რომ ბავშვის აღზრდა და განათლება, ლიტერატურისადმი მისწრაფება ეროვნული ხასიათისა უნდა იყოს, რადგან „ბავშვს არ აქვს ჯერ იმდენად გახსნილი ანალოგიური მსჯელობა, რომ შეეძლოს უცხო ერის ცხოვრებადამ აღებული ფაქტების წარმოდგენა და შედარება მის ნანახთან და გაგონილთან. ეს ხშირად დიდებინათვისაც ძნელ საქმეს შეადგენს“<sup>2</sup>.

ამასთან ერთად, მ. ნასიძე ავითარებს იმ აზრს, რომ შეუძლებელია ყველაფრის ერთად შესწავლა და გაგება, ამიტომ საჭიროა თანამიმდევრულად, მიზანშეწონილად, პედაგოგიკური პრინციპის მტკიცედ დაცვით გაცნობა ბუნებისა და ხალხის, იმ გარემოსი, რომელშიც ტრიალებს ბავშვი და „ჰმდავენ ათასგვარ გარემოებათა, ათასგვარ შემთხვევათა“, რომელიც ბავშვებს უნდა უჩვენოს საბავშვო სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ, საბავშვო ჟურნალმა. მას სწამს, რომ დიდებინათვის წერა უფრო ადვილია, ვიდრე ბავშვებისათვის.

საბავშვო მწერლობის სირთულის შესახებ თანდათან მტკიცდება იმ აზრი, რომ „არც ერთი თხზულების დაწერა არ არის ისეთი ძნელი და საფრთხილო, როგორც საყმაწვილო ამბების და მოთხრობებისა: განგებ ბავშვებისათვის შედგენილ მოთხრობებში განათლებული მწერალი ცდილობს დაუახლოვდეს ბავშვის ფიქრებს, ოცნებებს ბავშვურად და არც ერთი სიტყვა დაწერილისა ამას არა სწამს, სახალხო ზღაპრებში და სხვა ნაწარმოებებში კი დიდებული და პოეზიით სავსე ბავშვი — ხალხია, რომელიც უამბობს ბავშვებს ბავშვურ ფიქრებს და ნახევრობით სწამს, კიდევ ეს ფიქრები; საყმაწვილო ხელოვნებითი მწერლობა კი სულ სხვაა“<sup>3</sup>.

ასეთივე აზრისაა საბავშვო მწერალი თეოფილე ხუსკივაძე: „ყოველგვარ მწერლობაში საყმაწვილო მწერლობა უფრო ძნელია. საყმაწვილო მწერლობას დიდი ნიჭი, სიფრთხილე და სიფაქიზე ეჭირვება. მოთხრობების წერა ჯერ საზოგადოდ და განსაკუთრებით ყმაწვილების გონება განვითარებას შეადგენს. აქ თვითეულ სიტყვას, თვითეულს აზრს და მიმართულებას, როგორც გზის ჩვენება, გახსნა და განვითარე-

<sup>1</sup> „ივერია“, 1884, №

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „თეატრი“, 1886, № 23.

ზა შეუძლია, აგრეთვე სრულიად დამახინჯება, გარყვნა და გაოხრება შეუძლია მისი მსმენელი ყმაწვილისა“<sup>1</sup>.

ეს უკანასკნელი აზრი უფრო ადრე მ. ნასიძემაც გააოთქვა, როცა ეხებოდა საყმაწვილო ჟურნალებისა და საყმაწვილო წიგნების საკითხს; მას სწამდა, რომ საყმაწვილო ჟურნალები და საყმაწვილო წიგნები ბავშვებზე დიდი ზეგავლენის ძალისა იყო და ამის გამო წერდა: „...უღიძველს მას ან კეთილსაიმედო, ან ბოროტ მისწრაფებას, მაშასადამე საზოგადოებასაც და საზოგადო ლიტერატურასაც, თუ გული შესტივა ამ მოზრდილ თაობისათვის, უნდა ყური ფხიზლად ეკაროს ამ მწერლობისაკენ“<sup>2</sup>. აქ, რასაკვირველია, თავისებური მინიშნებაა საბავშვო მწერლობის კეთილსასურველი ზეგავლენის გაძლიერებისაკენ და ამით გაზრდილია ვალდებულება ახალ თაობის აღზრდისათვის ქვეყნის, ხალხის წინაშე.

თეოფილე ხუსკივაძე, ისე როგორც იაკობ გოგებაშვილი, — ახალგაზრდობის აღზრდისა და მათი გონებრივი განვითარებისათვის გამოცანებს მეტად საჭიროდ და სასარგებლო მასალად თვლიდა, რის გამო წერდა: „უწინდელს დროში გამოცანების ასსნა ან შებმა ერთმანეთთან გამოცანებით იყო დიდი ნიჭის და სიბრძნის ნიშანი. ვის არ გაეგონება ზღაპრებში რომ მზით უნახავი ქალი ხშირად იქას მიჰყევებოდა ცოლად. ვინც გამოცანების აღსნა კარგად იცოდა. გამოცანის აღსნით თავისუფლდებოდა კაცი, თუ გინდ სასიკვდილოდ წამზადებულ იცოდი“<sup>3</sup>.

საბავშვო ჟურნალის „ნობათისა“ და ზოგიერთი საბავშვო ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი და მხატვრული ღირებულებების ანალიზის დროს სტ. ჭრელაშვილის მნიშვნელოვანი შეხედულებები აქვს გამოთქმული საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის პრობლემებზე.

უმთავრესი მოთხოვნა, რომელსაც კრიტიკოსი უყენებს საბავშვო ლიტერატურულ მწერლობას, შემდეგია:

- ა) საბავშვო ნაწარმოები სინამდვილის ამსახველი უნდა იყოს<sup>4</sup>;
- ბ) საყმაწვილოდ შედგენილ ამბავს, ანუ ზღაპარსა და მოთხრობას უნდა ახასიათებდეს ზომიერი ფანტაზია. ფანტაზიის თამაში ძვირფასი და მიმზიდავი რამ ელემენტია მოთხრობაში. რასაკვირველია, ფანტაზია არ უნდა ჰშორდებოდეს რეალურს მოვლენათა;
- გ) პატარა მოთხრობებში დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ღირსება ხელოვნურად შედგენილის ამბისა, თავის უმთავრესი ინტერე-

<sup>1</sup> „მწყემსი“, 1890, №23—24.

<sup>2</sup> „ივერა“, 1884, №4.

<sup>3</sup> „დროება“, 1883, № 39.

<sup>4</sup> „მოამბე“, 1884, № 1.

სით, თავის დრამატიზმით, თემა საბავშვო უნდა იყოს, ხოლო სურათი ლაზათიანი;

დ) ლექსი მაშინ არის კარგი, როდესაც მოკლედ და უფრო ნათლად, ლამაზად გადმოსცემს საგანს. პოეტურ სიუჟეტს ასეთი ლექსი უფრო უმატებს პოეზიას. ლექსი უნდა იყოს უბადლო, სურათულად დაწყობილი;

ე) საყმაწვილო ნაწარმოებს არ უნდა ახასიათებდეს მრავალსიტყვაობა, გრძელი წინადადებები, გაზვიადებული ჩიჩინი, რომლითაც ასე ღონდება ხოლმე საბრალო ყმაწვილი.

საყმაწვილო ლიტერატურის დიდ მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას ალ. მირიანაშვილი და წერდა, რომ აუცილებელია შეიქმნას ქართული საყმაწვილო ლიტერატურა „თუ კი გვსურს პირველიდგანვე შთაუნერგოთ ჩვენს ბავშვებს ხალასი და სიყვარული სამშობლოს ენისადმი... ჩვენ გვმართებს ზრუნვა ბავშვების საკითხავ წიგნებზედ ანუ პერიოდულს 'გამოცემაზედ... წიგნები ბავშვთათვის უნდა იყოს დაწერილი რეალისტური, მშობლიური ქვეყნის, ნაცნობ გარემოს შემცველი და ბავშვებისათვის გასაგებ ქართულ ენაზედ...“<sup>1</sup>

საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისათვის სასიცოცხლო პრობლემებს ეხება გრ. ყიფშიძე კრიტიკულ წერილში<sup>2</sup>, რომელიც მან მიუძღვნა ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობებს.

გრ. ყიფშიძის მოსაზრება ასეთია:

ა) „რაც კარგია და სახალისო, გასართობი და სასარგებლო ხელოვნებაში ყმაწვილებისათვის, ის შეუძლებელია, იმავე დროს, კარგი არ იყოს და გულს-მოსახვედრი დიდებისათვის“.

ამ დებულების საილუსტრაციოდ გრ. ყიფშიძეს მოყავს კონკრეტული მაგალითები: ნ. ლომოურის „პატარა ქაჯანა“, ს. მგალობლიშვილის „ყაყიტას ქურდი“, შ. არაგვისპირელის „ჩემო შვინდავ“, ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“, ვაჟა-ფშაველას „ეტიუდები“.

გრ. ყიფშიძე ავითარებს რა თავის პირველ დებულებას, სამართლიანად წერს: ერთნაირი ხალისით კითხულობენ დიდებიც და პატარებიც ნიჭიერად, ხელოვნებით დაწერილ თხზულებას ამა თუ იმ მწერლისას. ოღონდ სამხატვრო თხზულება ნამდვილის გრძნობით იყოს დაწერილი, სინამდვილითა და ზედწიწევნით ჰხატავდეს ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას; ერთის სიტყვით, ოღონდ კი ნაწერი იყოს სავსე ჭეშმარიტის შემოქმედების მაღლითა და შინაარსით არ შეეხებოდეს ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელს რასმე საგნებსა და შეგიძლიანთ დარწმუნებით ბრძანოთ, რომ ამ ნაწერს დიდივით ბავშვიც აღტაცე-

<sup>1</sup> „დროება“, 1882, № 51.

<sup>2</sup> „მოამბე“, 1899, № 3.



ბით წაიკითხავს, დიდივით ისიც აღფრთოვანდება და, ნასიამოვნებოდამტკბარი, გატაცებით შეიყვარებს დამწერს, როგორც დიდს ხელოვანს ოსტატს, თავის დიდ მოძღვარს“...

მაშასადამე, გრ. ყიფშიძე საბავშვო მწერლობაში რეალისტური მიმართულების, რეალიზმის განმტკიცებისათვის მებრძოლია. მას კარგად ესმის ასეთი საბავშვო მწერლობისადმი წაყენებული პედაგოგიური მოთხოვნაც — საყმაწვილო ნაწარმოები შინაარსით არ შეეხებოდეს ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელ რასმე საგანს.

ეს პირობა აუცილებელია, რათა ბავშვებში აღიძრას ნაწარმოებისადმი კითხვის ინტერესი, შეიყვაროს არა მარტო ნაწარმოები, არამედ მისი ავტორი მიიჩნიოს როგორც აღმზრდელი, დიდი მოძღვარი.

ბ) გარდა ამისა, გრ. ყიფშიძის აღნიშნული წერილი ერთი ფრიადსერიოზული საკითხის — ლიტერატურაში ტენდენციურობის პრობლემის კეშმარტად სწორად გაგების თვალსაზრისითაა მეტად საყურადღებო.

ცნობილია, რომ ფ. ენგელსი მინა კაუტკისადმი გაგზავნილ წერილში<sup>1</sup> წერდა: „ტრაგედიის მამა ესქილე და კომედიის მამა არისტოფანის, ისე როგორც დანტე და სერვანტესი, ორივე აშკარად გამომხატული ტენდენციური პოეტი იყო. შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ მთავარი ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს პირველი გერმანული პოლიტიკური ტენდენციური დრამაა. თანამედროვე რუსი და ნორვეგიული მწერლები, რომლებიც საუცხოო რომანებს წერენ, ყველანი საყვებით ტენდენციური არიან, მაგრამ მე ვფიქრობ, ტენდენცია თავისთავად უნდა გამოემდინარებოდეს სიტუაციიდან და მოქმედებიდან, ისე, რომ არ მოეთხოვდეს განსაკუთრებით ხაზგასმას“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

მხატვრული ნაწარმოების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ტენდენცია, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაწარმოებიდან, მოქმედებიდან, სიტუაციიდან თავისთავად, ძალდაუტანებლად, გამომდინარეობდეს; იგი თვით ნაწარმოების ბუნებიდან, აზრის სიტყვის ოსტატობით, მხატვრულად გამოთქმის შედეგად ბუნებრივ დასკვნად უნდა გამოიტანოს მკითხველმა. მხატვრულ სახეებში, ცხოვრების სინამდვილიდან აღებული ფაქტების ასახვაში დაფარული ავტორის კლასობრივი თვალსაზრისი სათანადო ემოციური ზეგავლენის შედეგად უნდა გავიგოთ და შევიცნოთ.

გრ. ყიფშიძე ზუსტად ამავე პოზიციაზე დგას და ეს იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის რეალისტური მიმართულების პერსპექტიული განვითარებისათვის.

<sup>1</sup> Маркс Энгельс об искусстве, М., 1937, гл. 161.

აი, როგორ გამოთქვამს ამას იგი ზემოხსენებულ წერილში:

„წინდაწინვე აჩემებული ტენდენცია არ უნდა აპყვეს მწერალს, არ უნდა ეტყობოდეს ნაწერს, საით არის თანაგრძნობა მწერლისა. ტენდენცია მორალთა კარგი, როცა იგი თვით თვისით გამომდინარეობს ნაწერიდან, როცა იგი შექსოვილი აქვს თვით დახატულ სურათს.

მიტმანებული ტენდენცია სიკვდილია სახელოვნებო ნაწარმოებისა. ტენდენცია, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, ისე უნდა იყოს ზესისხლორცებული ნაწარმოებთან, ისე უნდა ჰქონდეს ჩაწნული და ჩახერხილი საერთო სურათს ნაწერიისას, რომ ცალკე არ ეჩხირებოდეს კაცს თვალში. დედა-აზრი ეტიუდისა, ნაწერიისა შიგნაწერში ისე უნდა ტრიალებდეს, როგორც სული უკვდავებისა ადამიანის სხეულში, განუშორებელივ, განუყოფელია“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

საბავშვო მწერლობაში ტენდენციურობის საკითხს შეეხო, აგრეთვე აკაკი ც. ნიკოლაძესთან იმ პაექრობაში, რომელიც უურნალ „ჭეჭილის“ კრიტიკულ განხილვასთან დაკავშირებით წარმოიშვა<sup>1</sup>; დიდებული მგოსანიც იმ აზრისაა, რომ საყმაწვილო ნაწარმოებებში ტენდენცია თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე იაკობ მანსვეტაშვილი დიდი გულსუფრით ეკიდებოდა ქართულ საბავშვო მწერლობაში გამოჩენილ ყოველ ნაწარმოებს. მისი კრიტიკული თვალი არ აცილებია ამ ნაწარმოებთან არც იღუურ-შინაარსობრივს და არც პედაგოგიურ მხარეს.

ი. მანსვეტაშვილი მტკიცედ იცავდა ქართულ საბავშვო სიტყვა-კაზმულ მწერლობაში:<sup>2</sup>

ა) მხატვრული რეალიზმის პრინციპებს;

ბ) დედა-აზრი ლექსისა ლექსიდანვე უნდა თავის თავად გამომსჭვრავალბდეს. მან ყმაწვილებს გრძნობაც უნდა აღუძრას და ტვისნაც საზრდო მისცეს;

გ) საბავშვო მოთხრობა ცხოველი, მართალი და მიმზიდველი უნდა იყოს. რათა მკითხველს გულში ღრმად ებეჭდებოდეს; მას უნდა შეეძლოს აღტაცებაში მოყვანა, სიამოვნების გრძნობის აღძვრა;

დ) საყმაწვილო მოთხრობებს არ უნდა ჰქონდეს დიდაქტიკური კილო, თითქოს მოძღვრობს და ქადაგებსო. ამგვარს მოთხრობებს დიდი ზეგავლენა არ აქვს ყმაწვილების სულსა და გულზედ და ამიტომ

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 8.

<sup>2</sup> „იურია“, 1886, № 6.

ხალისიანად არ კითხულობენ... ასეთ მოთხრობებში, თითქმის პირველ-სავე სტრიქონებიდან მიჰხვდებით, რომ ავტორს ამა და ამ აზრის, და-რიგების, სენტენციის გამოთქმა უნდაო.

ი. მანსეტაშვილს ამის მაგალითად მოჰყავს ეკ. გაბაშვილის მო-თხრობა „საახალწლო ფეშქაში“ და დაასკვნის: „იწყობთ კითხვას და მაშინვე თვალეში გეცემათ რაღაცა მოძველებული დარიგება. ათა-ვეთ კითხვას და აი რა სენტენციას სცნობილობთ მოთხრობიდან: მხიარულობაში და ბედნიერებაშიც ნუ დაივიწყებ უბედურს და ბედით დაჩაგრულს, სწორედ როგორც სახარებაშია: „შეიყვარე მოყვასი შე-ნი, ვითარცა თავი თვისი“;

ე) საყმაწვილო მოთხრობებში დაუშვებელია ბუნების გაჭიანურე-ბული აღწერა: (ასახელებს კონკრეტულ ნაწარმოებს „კაკაბადეს“);

ვ) საბავშვო მწერლობამ „კარგად უნდა შეისწავლოს ქართველე-ბის ცხოვრება“, და ამით გაამდიდროს ქართული საყმაწვილო ლიტე-რატურა.

ამრიგად, მანსეტაშვილი მხატვრული რეალიზმის პრინციპზე შექ-მნილ ჭეშმარიტ საბავშვო ნაწარმოებს მოითხოვდა.

\* \* \*

ეროვნული საბავშვო ნაწარმოებების შექმნასთან ერთად, საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც განსა-კუთრებულ ყურადღებას აქცევდა თარგმანებს და კლასიკოსების ნა-წარმოებების ბავშვთათვის გადაკეთებას.

თარგმანის სფეროში (რუსეთში და ჩვენშიაც) იყო მოქცეული არა მარტო საბავშვო, არამედ გამოჩენილი მწერლების ცნობილი ნა-წარმოებებიც, რომელიც შემოკლებულის ან გადაკეთებულის სახით ჰქვეყნდებოდა. მაგალითად, რუსეთში იმ დროს, მიუხედავად იმისა, რომ უშინსკის შემდეგ ა. ოსტროგორსკიც აღნიშნავდა, გერმანულ და ფრანგულ საბავშვო ლიტერატურაში რეალიზმი სუსტად არის მოცე-მული, ხოლო ლეე ტოლსტოის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურა-ში, ბავშვთათვის საკითხავად. საყურადღებო ნაწარმოები არ ეგულებოდა ძმები გრიმების ზღაპრებისა და დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ გარდა, და ისიც მხოლოდ გადაკეთების შემდეგ შეიძლე-ბოდა ბავშვებს წასაკითხად მისცემოდათ. მიუხედავად ასეთი ვითარე-ზისა, ოსტროგორსკი 1869, 1871, 1877 წლებში თავის ჟურნალში პირველ რიგში მაინც ბეჭდავს ინგლისელი, ამერიკელი, ფრანგი, ფი-ნელი მწერლების (დიკენსის, ბრეტ-გარტის, ლობულეს, შილერის, ალერბანის, კრობის, ტოპელიუსის) ნაწარმოებებს, სპეციალურად ბავშვთათვის გადაკეთებულს.

ზოგ შემთხვევაში მოთხრობის გადაკეთებას ოსტროგორსკი აწარ-

მოებდა იმგვარად, რომ ცდილობდა იგი რუსი ბავშვების ყოფისადმი დაეახლოებინა, უცვლიდა გმირებს სახელებს, მოქმედების არესაც. ასეთი სახით დაბეჭდა 1869 წ. «Сестра Шуря» — ერთი ეპიზოდი დიკენსის „ცივი სახლიდან“. ქვეყნდებოდა შემოცირებული თარგმანები ჰიუგოს, შექსპირის, კურნერის, მოლიერისა და სხვათა შემოქმედებიდან. ითარგმნებოდა აგრეთვე მეტად სუსტი საბავშვო ნაწარმოებები, რასაც ლიტერატურული კრიტიკა კიცხავდა. მაგალითად, ი. პოკროვსკიმ გერმანულიდან თარგმნა კ. კაუფმანის სენტიმენტალური მოთხრობები.

საქართველოში თარგმნასა და გადაკეთებას, როგორც ცნობილია, ზემართავდა იაკობ გოგებაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და სხვ.

იაკობ გოგებაშვილი დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს“ გადმოთარგმნის ამბავს მსურველედ გამოეხმაურა: „ამ ძვირფასს საყმაწვილო საუნჯეს შესაფერის სახით დაანახვეს ჩვენს ქართველ ბავშვებს, რომელნიც ესე უწყალოდ არიან მოკლებული, არამც თუ ხეირიანს საკითხავს წიგნსა, არამედ ყოველივე გონების ვარჯიშობასა... რუსულ ენაზედ ხსენებული წიგნი ბევრ-გვარად არის გადაკეთებულ-გადმოკეთებული სხვა-და-სხვა ავტორებისაგან. ზოგი ძლიერ შემოკლებულია, ზოგი კარგა ვრცლად არის დაწერილი; ამასთან ზოგი სულ პატარა ბავშვებისათვის არის შედგენილი, ზოგი კი უფრო ხნიერთათვის“...<sup>1</sup>

კრიტიკას არც საწინააღმდეგო მდგომარეობა გამოჩენია მხედველობიდან. ქალების მიერ თარგმნილი, ქუთაისში გამოსული მოთხრობების კრებული ასე შეაფასეს: „ამ ნაირს მოთხრობების თარგმნითა და ბეჭდვით, ქალბატონებო, არა თუ კითხვის სურვილსა და ხალისს ვერ განავრცელებთ და ვერ განაძლიერებთ საზოგადოებაში, იმ ხალისს დაუკარგავთ კითხვისას, რომელიც დღეს, თქვენის სიტყვით „წარჩინებულ ოჯახებში“ სუფევს (მახლაზ!) და „დაბალ ხალხშიაც გავრცელებულია“ (კიდევ მახლაზ!)... რატომ გადმოთარგმნეთ ეს უნიკო, უფერული და უაზრო აჰია-ბაჰია გრენეილ მაურარეისა? ხელში შეგხვდათ და იმიტომ, თუ გირჩიათ ვინმემ?... ამასთანავე მითითებულია, რომ საჭიროა ითარგმნოს გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიები, ან თანამედროვენი ისეთები, როგორცაა მაგალითად, ვიქტორ ჰიუგო, გამბეტტა გლაჯსტონი, ლასალი, გარფილდი, კასტელორი, ჟორჟ ზანდი, სარრა ბერნარდი, ან კიდევ წარსული დროის გმირნი: ვაშინგტონი, ლინკოლნი,

ჯანა დარკი, რიშელი, მირაბო, ფრანკლინი, შილერი, ბელინსკი, დობროლიუბოვი, ნოვიკოვი...<sup>1</sup>

ეს უკანასკნელი მითითება—გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების გაცნობის საკითხზე—ჩნიშვნელობის ფელსაზრისით ილია ჭავჭავაძის შემდეგ სიტყვებს მოგვაგონებს: „დიდ ბუნოვან კაცთა და სახელოვან ზმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის და დიდებულნი საქმეში კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის“<sup>2</sup>.

დიდი დავა გამოიწვია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ყმაწვილთათვის გადმოკეთებამ, რაც ზოგიერთმა პედაგოგიურ შეცდომად ჩათვალა. პოემის პროზაულ ტექსტად გადაკეთება გ. იოსელიანის მიერ მოზრდილი ყმაწვილებისათვის, პირველი შემთხვევაა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში.

ამასთან დაკავშირებით პრესის ფურცლებზე წამოჭრილი დავა ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ამით ვეცნობით საბავშვო ლიტერატურულ კრიტიკაში: იმ დროისათვის კლასიკური ნაწარმოებების გადაკეთების შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობას.

„ივერიის“ ფურცლებზე ლალიაგორელის ფსევდონიმით 1893 წელს პირველად დაიბეჭდა წერილი „პედაგოგიური შეცდომა“-ს სათაურით „ვეფხისტყაოსნის“ გ. იოსელიანის მიერ ყმაწვილთათვის გადაკეთების წინააღმდეგ.

კრიტიკული წერილის სათაურიც კი იმაზე მიგვითითებს, რომ კლასიკური ნაწარმოებების გადაკეთება საყმაწვილო საკითხავ წიგნად პედაგოგიკური თვალსაზრისით შეცდომად უნდა ჩათვალოს.

წერილში შემდეგი აზრია გამოთქმული: „სხვის მიხედვამ, სხვის ჭკუით სიარულმა ლაპის კლდეზე გადაგჩეხოს. აგერ რუსეთში გამოჩნდნენ მწერლები, რომელთაც ხელობად გაიხადეს გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებების გადმომახინჯება... უკაცრავად, გადმოკეთება, ყმაწვილებისათვის საკითხავად. ასეთი მოხერხებულის და ოსტატის მწერლებიც გამოჩნდნენ, რომელნიც ერთსა და იმავე ტყავს სამჯერ აბრუნებენ: ერთს აცმევენ მცირე-წლოვან ყმაწვილებს, მეორეს — შუათანა წლოვანებს და მესამე მოზრდილ ყმაწვილებს“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

ჩვენშიაც ზოგიერთები აპყენენ ფეხის ხმას და დაუმსგავსენ, თავისდაუნებურად, იმ ცარიელ ქვევრებს, რომელიც, რასაც ჩასახებ,

<sup>1</sup> „დროება“ 1883, გვ. 88.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, თბილისი, 1927, ტ. V, გვ. 243.

<sup>3</sup> „ივერია“, 1893. № 44.

იმასვე ამოგძახებს. არც გასინჯვა, არც გამოკვლევა მისი, თუ რამდენად საპარტებლო და თანაგრძნობის ღირსია ასეთი მიმართულება, კანონიერია ეს გზა თუ არა, რის გაღმკვეთება, გადმოღებაა საჭირო და გამოსადეგი ყმაწვილებისათვის“.

კრიტიკოსი ავითარებს რა თავის მოსაზრებას თარგმნის საკითხებზე, მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ იმისი „გადმოღება“, რაც აუცილებლად საჭიროა და ამავე დროს შესაძლებელიც.

ამის საფუძვლად მას მიაჩნია მხოლოდ ერთი გარემოება — ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დედა ენის წაკითხვა არ შეუძლია იმას, ვისთვისაც ვგვსურს ამის მიწოდება: „მაგალითად, საჭიროც არის, გამოსადეგიც და თითქოს სავალდებულოც, ვისაც კი ამისათვის ძალღონე შესწევს, გამოიღოს და ადვილმს, გასაგონის ენით უამბოს სპენსერის ფილოსოფია, დარეინის სწავლა-მოდგერება და სხვა ამგვარ დაწინაურებულ მეცნიერთა ნაწერები, რადგან თუ არ ამგვარად, სხვაგზით ეს ნაწარმოები ბევრისათვის და ძლიერ ბევრისათვის სრულიად ხელ-მისაწვდომელია“.

კრიტიკოსი მიზანშეწონილად თვლის, გასაგები ენით, პოპულარული წიგნების საშუალებით გავაგებინოთ, გავაცნოთ გამოჩენილ ადამიანთა ნაწარმოებები ყმაწვილებს, ვიდრე ასეთი გზა ავირჩიოთ კლასიკური მხატვრული ნაწარმოებების შესასწავლად. ამის შემდეგ იგი სასტიკად ილაშქრებს „ვეფხისტყაოსნის“ ყმაწვილებისათვის გადაკეთების წინააღმდეგ: „რა საჭიროება მოითხოვს „ვეფხისტყაოსნის“ ამბობას, თუნდ „მოზრდილ ყმაწვილთათვის“? ვითომ ძნელი გასაგებია? როგორ, განა იქამდინ მივედით, რომ ქართველებს „ვეფხისტყაოსანი“ აღარ გვესმის? მეტყვიან, გ. იოსელიანის „ვეფხისტყაოსანი“ ნაამბობია მოზრდილ ყმაწვილებისათვისო. აი სწორედ აქა ვხედავთ დიდს და მოუტყევებელს პედაგოგებისათვის“.

კრიტიკოსი ამ შემთხვევაში ორ გარემოებას მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას... გაღმკვეთებელს განუზრახავს გადმოკეთება იმიტომ, რომ ენა გაუგებარია, ან იმის გამო, რომ თვით შინაარსი ყმაწვილთათვის ძნელად მოსახვედრებელია და ამბობს: „თუ არ ესმით ყმაწვილებს, მაშინ ჩანს, რომ ყმაწვილებისათვის არ არის დაწერილი. საყმაწვილოც არ არის“.

კრიტიკოსი აყენებს კითხვას, საერთოდ შეიძლება თუ არა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გადმოკეთება-გადმომდაბიუროება? ამ კითხვაზე თვითონვე იძლევა პასუხს, რომ ასეთი რამ შეიძლება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ის მაღალი შემოქმედებითი ძალა, „რომელსაც ზენა მიაქენებს ხოლმე მხოლოდ რჩეულთა, ზეით ხელდასხმულთ“.

იწუნებს რა პოემის ტექსტის გადაკეთებას, შედარებისათვის იქვე მოყვანილია რამდენიმე ნიმუში.

- I. „ერთად-ერთი ქალი ჰყავდა (როსტევეან მეფეს) — თინათინ. იგი ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო, არაკაც არ გაგონილა, — სწორედ მზეთ-უნახავს ჰგავდა.
- II. როსტევეანი რომ მოხუცდა, ერთხელ იხმო თავისი ვეზირები და გამოუცხადა: ღმრთივე, მოვსუცდი და სიკვდილი მომიახლოვდა. მოდიტ, ჩემი მშვენიერი ასული დავსვათ მეფედო“.

### პოემის ტექსტი

I. „მე გარდასულვარ, სიბერე მჭირს, კირთა უფრო ძნელია, დღეს-არა, ხელე მოვკვდები, სოფელი ასე მქმნელია: რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია! ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია!“ (გვ. 3).

II. „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, გზისაცა დასთა დასმული; მან მისთა მკერეტთა წაულის გული, გონება და სული.“

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კრიტიკოსს, რომ პოემის ტექსტის „ქდაბიურად“ გადაკეთებამ სრულად დაუკარგა ნაწარმოებს ესთეტიკური და ემოციური ზეგავლენის ძალა. ამიტომ ის გადაკეთებულ პოემას ადარებს „ბუს მღერას“ და თანაც დასძენს: „მოგეხსენებათ რომ ბუს სიმღერა-საზარელი კივილია და ეს კივილი არამც თუ ბუს მაგვარ მღერას, ბულბულის გალობასაც-კი სამუდამოდ შეაძლებს ადამიანსო“ (გვ. 31.)

კრიტიკოსს „ქვალის“ ფურცლებზე გამოეხმაურა გ. იოსელიანი, რომელიც პოემის გადაკეთების აუცილებლობას სხვადასხვა მიზეზით ხსნის<sup>1</sup>.

პირველ რიგში, ის საყვედურს გამოთქვამს კრიტიკოსის მიმართ იმის გამო, რომ შოთა რუსთაველის პოემის ყმაწვილთათვის საამბობლად გადაკეთებას საჭიროდ არ თვლის იმ დროს, როცა „გვირჩევეს და გვიმტკიცებს“, რომ სპენსერის ფილოსოფიისა და დარვინის სწავლამოძღვრების გადმოღება და მიწოდება ყმაწვილთათვის „საჭიროც არის, გამოსადეგიც და სავალდებულოც“.

გ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ ბევრ ქართველს არ ესმის, უკეთ უჭირს „ვეფხისტყაოსნის“ გაგება, გამოცნობა, თანაც ბევრი ადგილი დღემდე გამოურკვეველია, მაგრამ თუ ჯერ კიდევ პოემის ტექსტი ბევრისათვის გაუგებარია, ამისი მიზეზი გ. იოსელიანის თვალსაზრის-

<sup>1</sup> „ქვალი“, 1893, № 11.

ერთ შემდეგია: „ყველამ კარგად ვიცით, რომ დღეს ქართულ ყმაწვილებს დედაენას არ ასწავლიან, როგორც საჭიროება მოითხოვს და როგორც სასურველია, არც ოჯახებში და არც სკოლებში. მაშ, სად ან უნდა იცოდნენ ჩვენმა შვილებმა ქართული ენა ისე კარგად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თავისუფლად წაკითხვა და გაგება შეეძლოთ? ღრთუ მოსწავლე ყმაწვილებმა, სამწუხაროდ ბევრმა მასწავლებელმაც არ იცის ჩვენში დღეს ქართული ენა“<sup>1</sup>.

გ. იოსელიანის შემდეგ კლასიკური ნაწარმოებების გადაკეთება-გადათარგმნის საქმის სასარგებლოდ მოჰყავს კონკრეტული მაგალითები და ადასტურებს, რომ ასეთი ნაწარმოებები ბევრია არა მარტო რუსულ ენაზედ, არამედ განვითარებულ ხალხთა ენებზეც—ფრანგული, გერმანული, ინგლისური და სხვ. ასახელებს ჰომეროსის „ილიადას“ და „ოდისეას“, შექსპირის ტრაგედიებს, რომლებიც ყმაწვილთათვის საკითხავად სპეციალურად არის გადაკეთებული და დაასკვნის: „თუკი იმ ქვეყნებში, სადაც, ყმაწვილებს პატარაობიდანვე ასწავლიან დედაენას ოჯახში და სკოლებში, საჭიროდ მიაჩნიათ ასეთი წიგნების შედგენა და გამოცემა, ჩვენი ყმაწვილებს ათვის ხომ უფრო საჭირო უნდა იყოს რათა ამ საშუალებით, მაინც შევაჩვიოთ ცოტაც არის, დედაენაზე წიგნების კითხვა“<sup>2</sup> (გაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

კარგად გადმოღებული და ნაამბობი „ვეფხისტყაოსანი“ არათუ მოზრდილ ყმაწვილთათვის, არამედ დიდებისათვის გამოდგება საკითხავად. ამიტომ გ. იოსელიანს მიაჩნია, რომ ჰომეროსის „ილიადა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სავალდებულოა და საჭიროც მოსწავლეებისათვის, რათა ამით გავაცნოთ მათ ხალხის ცხოვრება—პირველში ბერძნების ცხოვრება, ხოლო მეორეში ქართველებისა: „განსაკუთრებული თვისება და შედარებული ღირსება ამ ორ ნაწარმოებთა სხვათა შორის ის არის, რომ მათში ყოველი მხარე მთელი ხალხის ცხოვრებისა წარმოდგენილია და დახატული პოეტურად. ორივე პოემები სწორედ სარკეა, სადაც შეგვიძლია ვიხილოთ და გავიცნოთ, როგორი იყო იმ დროს ის ხალხი, რომლის ცხოვრებაც პოეტს ისე მშვენივრად დაუხატავს ყოველი მხრით... ნეტავ რა შეცდომა უნდა იყოს, რომ მოხსენებული თხზულებათა შინაარსი ვუამბოთ გასაგონი ენით და გავაცნოთ მოზრდილ ყმაწვილებს? ნუთუ, მართლა, სპენსერისა და დარვინის სწავლა-მოძღვრების მბობა საჭირო და სავალდებულოც არის, ხოლო „ილიადასი“ და „ვეფხისტყაოს-“

<sup>1</sup> „კვალი“, 1893, № 11.

<sup>2</sup> იქვე.



«ნის» შინაარსის მოთხრობა კი პედაგოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს?»<sup>1</sup>.

ამ საკითხს გამოეხმაურა „მწყემსი“, რომელმაც დაბეჭდა „მცირე პედაგოგიური შენიშვნა“<sup>2</sup>, რომლის ძირითადი დებულებანი შემდეგია:

ა) „ბევრათ უმჯობესია, სვა წყაროს წყალი სათავეშივე, ვინემ მისს წარსადინალზე; უფრო სასარგებლოა, იკითხო კაი წიგნი თვითონ დედანში, ვინემ მრავალი კარგიც რამ დაწერილი იმ წიგნის შესახებ და მის გამოისათ. ამ ქეშმარიტებისათვის ყური მოუკრავს ბ. ლალიაგორელს და ხელმოღებ უარყოფს და მავნებლადაც კი სთვლის ისეთ სასარგებლო წიგნს, როგორიც არის ახლარელე გამოცემული „ჩეჩილის“ რედაქციისაგან „სურათებიანი ვეფხისტყაოსანი“, აჰბად გადმოთქმული გ. იოსელიანისაგან“.

ბ) ყოველივე ხელოვნებითი ნაწარმოები უნდა შეისწავლოს კაცმა და შეასწავლო ყმაწვილს იმ გზით, რა გზითაც იგი, ნაწარმოები, შექმნილია ავტორის მიერ“.

გ) „ისეთ რთულ ნაწარმოებებს, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“ უსწავლელი კაცი და „მოზრდილი ყმა“ პირდაპირ ვერ შეისწავლის, მისთვის საჭიროა ჯერ შეცულობა იცოდეს პოემისა და მერე თვით პოემა წაიკითხოს და შეიციოს. ბ. იოსელიანს გადმოუღია ეს ვრცელი ზუუეტი „ვეფხისტყაოსნის“ და კაიც უქნია“<sup>3</sup>.

დ) „არა თუ „ვეფხისტყაოსანი“, არამედ სხვა საყოვლიერო უკვდავი ნაწარმოებიც რომ გადმოითქვას, როგორც მაგალითად, ტროადინი, ოდისეიანი და სხვ. დიდ სარგებლობას მოიტანს, როცა „მოზრდილ ყმანი მომწიფდებიან, დედანს თვითონ წაიკითხავენ და დაწვრილებით შეიგნებენ კიდეცა“<sup>4</sup>.

ამგვარად, კლასიკური ნაწარმოებების ყმაწვილთათვის საკითხავად გადაკეთება იმ დროისათვის როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც წარმოებდა. ეს, ერთი მხრივ, იმით იყო გამოწვეული, რომ ეროვნულ ზაბავშვო მწერლობაში საკმაო რაოდენობით ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა საინტერესო, კარგი და სასარგებლო წიგნები, რომელიც უზაღუებდა ახალი თაობის აღზრდის ამოცანებს და, მეორე მხრივ, იგი დაკავშირებული იყო ყმაწვილთათვის კითხვის არის გაფართოების მოთხოვნასთან.

საკითხის იმგვარად დაყენება, — სამეცნიერო წიგნების თარგმნა ჯობდა თუ კლასიკური ნაწარმოების გადაკეთება, — არ მიგვაჩნია სწორად; მოსწავლეთათვის პოპულარული ნარკვევები თუ სპეციალურად

<sup>1</sup> „კვალი“ 1893, № 11.

<sup>2</sup> „მწყემსი“, 1893, № 7.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

ქათვის მისაწვდომ ფორმებში ცოდნის მიწოდება მოწინავე მეცნიერების მიღწევებზე, აუცილებელი, საჭირო და სასარგებლოა. ამდენად, სამეცნიერო წიგნების გადმოკეთება თუ თვით მეცნიერებაზე ყმაწვილთათვის სპეციალური წიგნების დაწერა, ქემპარიტად, საამაყო და საშვილიშვილო საქმეა. მას თავისი ამოცანები აქვს, თავისი სფერო და საზღვრები.

შეცდომაა ასეთი წიგნების დაპირისპირება მხატვრულ ლიტერატურასთან, რომელიც ასახვის საგნის, ფორმისა და გამომსახველობითო საშუალებებით ბუნებრივად უპირისპირდებოდა, თავისი სპეციფიურობის გამო, მეცნიერული ხასიათის წიგნებს.

მაშასადამე, გადმოკეთებული და გადმოთარგმნილი ნაწარმოებები მაღალი ოსტატობით, ძარღვიანი ქართული ენითა და მიმზიდველი ფორმით უნდა წარმოვიდგინოთ, რათა შეეუწარჩუნოთ პირვანდელი სასენკლასიკური მწერლობის ბავშვთათვის მაღალხარისხოვნად გადაკეთება (თავიდან აცილება სქემატიზმის, თხრობის გაჭიანურების, ენობრივი უზუსტობების, სტილისტური შეცდომებისა და ა. შ.) და გასაგები ენით მიწოდება იმ სიტუაციაში, როცა მშობლიურ ენას საკმაო ყურადღება არ ექცეოდა, უთუოდ აუცილებელი იყო.



ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა, რასაკვირველია, შემდეგშიც კვლავაც შეუწელებელი ძალით იბრძოდა, წინ წევდა ქართულ კრიტიკულ აზროვნებას, დროის ფაქტორის საზღვრებში აქცევდა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების პრობლემებს.

ამ პრობლემების გადაწყვეტისას ქართული პედაგოგიური და ლიტერატურული კრიტიკა კვლავაც მტკიცე კავშირში იმყოფებოდა დიდი ქართული ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის პოზიციებთან, ეპოქის შესაბამისად საბავშვო ლიტერატურის განვითარების ამოცანებს ბავშვთა, მოზარდი თაობის აღზრდის პროგრესულ იდეებს უდებდნენ საფუძვლად, რაც თავის მხრივ განსაზღვრავდა, აგრეთვე, ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის შემდგომი განვითარების გზებს.

საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის არსის, მისი მიზნებისა და ამოცანების, საბავშვო წიგნის დანიშნულების თუ საბავშვო ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის სპეციფიკაზე პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის ცნობილ მოამბეგეთა კრიტიკული წერილები, რომლის სულისჩამდგმელი ი. გოგებაშვილთან ერთად იყო დიდი ქართველი პატრიოტი, შესანიშნავი მოაზროვნე ლუარსაბ ბოცვაძე, რომელიც საბავშვო წიგნის შესახებ წერდა: „საბავშვო წიგნის შინაარსი

სიმატლეს უნდა შეიცავდეს. იმაში საჭირო არ არის ცხოვრების დაფერადება, არც მისი იდეალიზაცია, არც ფერების შესქელება, საბავშვო წიგნმა უნდა მისცეს ბავშვებს დებულებითი წინააღსი. იმაში ცხადად უნდა ჩანდეს სიმატლისა და სიკეთის ზნეობრივი იდეალი, შეზავებული ბავშვებისადმი სიყვარულით, რომელიც თავისთავად უარყოფს, როგორც ზედმეტ რეალიზმს, აგრეთვე სანტიმენტალობასაც<sup>1</sup>.

გფექტობთ, კრიტიკოსი სიტყვებში „ზედმეტი რეალიზმი“ გულიანობას საბავშვო მწერლობაში ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც საბავშვო მწერლობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანდობლივ თვისებად უნდა მივიჩნიოთ მხატვრული რეალიზმის პრინციპების დამკვიდრების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია კრიტიკოსის შემდეგი მოსაზრებები:

ა) „საბავშვო წიგნი პირველ ყოვლისა უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები. ცოცხალი სახეები, მართალი წინააღსი, კაზმული ფორმა — ყველა ეს ხელს უწყობს ბავშვში წიგნის კითხვის სიყვარულის გაძლიერებასა და საზოგადოდ ბავშვის სულის აღზრდას“<sup>2</sup>.

ბ) საბავშვო ნაწარმოებში „სადაც ფაბულა იმდენად ცხადია და სიმატლიანი, დასკვნა თავისთავად ცხადია და გასაგები ბავშვებისათვის. იქ ყველაფერი საგულისხმიეროც იქნება“...<sup>3</sup>

გ) კრიტიკოსი სამართლიანად იბრძვის მწერლობაში დამოძღვრების მშრალი დიდაქტიზმის წინააღმდეგ, რომელიც სწორედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ის ამბობს, რომ მოთხრობა თუ „შეთხზულია მორალურ მოძღვრებისათვის, სადაც მწერალი სიმატლეს დალატობს ზნეობრივი სწავლის გასამარჯვებლად, იქ ჩვენ თვალწინ ტენდენცია გვეჩხირება“<sup>4</sup>. (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შ. ჩიტაძის შეხედულება: „წიგნმა უნდა შესძლოს ავრძობინოს სიმშვენიერე სამყაროსი და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძიკველი ადამიანის საუკეთესო გრძობებისა და მისწრაფებისათვის... წიგნმა უნდა შეაყვაროს ცხოვრება, მისი ცული მხარეებიც კი, მაგრამ იმდენი ძალა უნდა ჰქონდეს მშვენიერით დაფაროს ბნელი მხარეები“<sup>5</sup>.

მშვენიერებისაკენ ლტოლვა, სასარგებლო და სასიამოვნო ჰარმონიულ მთლიანობაში მოქცეული, რომელიც პედაგოგიკურ კრიტიკაში სამართლიანად იყო წამოყენებული, რასაკვირველია, საბავშვო ლიტე-

<sup>1</sup> ჟურ. „განათლება“, 1913, 16 მ.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

რატურის კრიტიკაშიც თავისებურ გამოძახილს პოულობდა, რადგან საჭირო იყო მოზარდმა „ადვილად და სიამოვნებით შეითვისოს სერიოზული მასალა, რაც ოდესმე მას დიდ სარგებლობას მოუტანს, ყოველთვის უნდა შევეართოთ სასარგებლო და სასიამოვნო, რომ ამით მუდამ მივიზიდოთ მოსწავლეთა გონება და წარემართოთ საითყენაც გვსურს“<sup>1</sup>.

საბავშვო ნაწარმოებების მხატვრობის, პერსონაჟების, სიუჟეტის თუ ფაბულის, ენის პრობლემებზე და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ქართულ პერიოდულ გამოცემებსა და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიები ნათლად გვიჩვენებდნენ ქართული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის შემდგომი განვითარების გზებს.

• •

ქართული პრესა, ცალკეული ჟურნალები თუ კრებულები მდიდარ მასალას იძლევა ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ხისტემატური სრული მეცნიერული კურსის დასაწერად.

თუკი კონკრეტულად ყურადღებას შევაჩერებთ ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული XIX საუკუნის II ნახევარში აყვავებულ ეროვნულ საბავშვო ლიტერატურასთან. რასაკვირველია, წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ფასდაუდებელი წყაროებია ამ პერიოდში გამოცემულ ცნობილ პერიოდულ გამოცემებზე, სამწერლო ასპარეზზე გამოსულ საბავშვო მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შენახებ გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში მოცემული შეხედულებანი, მოსაზრებანი.

ქართული სპეციალური მეცნიერული ლიტერატურიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ პროფ. ი. ბოცვაძის ნაშრომი „ქართული ჟურნალისტიკა“<sup>2</sup>, სადაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონეზეა განხილული საბავშვო ჟურნალების „ნობათის“, „ჭეჭილის“ და „ნაკადულის“ ღირსება-ნაკლოვანებანი, მოცემულია ამ ჟურნალების წინაშე დასმული პრობლემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნები, ჟურნალების შექმნის ისტორიის საკითხებზე საინტერესო ორიგინალური დებულებანი და მოსაზრებანი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ისტორიისა და კერძოდ, მისი ლიტერატურული კრიტიკის საკითხების სრულყოფილად წარმოდგენისათვის, შემდგომი მეცნიერული

<sup>1</sup> იან აშოს კომენტარი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1949, გვ. 323.

<sup>2</sup> ი. ბოცვაძე, ქართული ჟურნალისტიკა, თბილისი, 1967 წ. 260.

კვლევისათვის, ამასთან მდიდარ კლასიკურ ქართულ მწერლობასთან საბავშვო ლიტერატურისა და, კერძოდ, ეროვნული სიტყვაკაზმულა საბავშვო მწერლობის მიმართების პრობლემა ისტორიულ ასპექტში შემდგომი შესწავლისა და მეცნიერული კვლევის გაღრმავებისათვის მკვიდრი საფუძვლებია ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და ქართულ ფოლკლორისტიკაში გამოჩენილი მეცნიერების ი. აბულაძის, ალ. ბარამიძის, დ. ბენაშვილის, დ. გამეზარდაშვილის, ი. ბოცვაძის, ა. გაწერელიას, ამბ. გაჩეჩილაძის, ი. გიგინეიშვილის, მ. დუდუჩავას, ლ. ვირსალაძის, მ. ზანდუკელის, ვ. თოფურაის, ა. თოფურაის, გ. თავაზიშვილის, პ. ინგოროყვას, ი. იმნაიშვილის, კ. კეკელიძის, გ. კიკნაძის, ა. კენჭოშვილის, აპ. მახარაძის, შ. რაღიანის, ქ. სიხარულიძის, ი. ჭავთარაძის, ა. ლლონტის, ს. ყუბანეიშვილის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, მ. ჩიქოვანის, შ. ძიძიგურის, ა. კილაიას, ჯ. კუმბურიძის, ს. ხუციშვილის, ა. ხინთიბაძის, ივ. ჯავახიშვილის, გ. ჯიბლაძის და სხვ. ნაშრომები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საბავშვო ლიტერატურის პრობლემების კვლევის საქმესა და ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის განვითარებაში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ი. ბოცვაძემ, ვ. გუგუშვილმა, ვ. ზამბახიძემ, გ. სამხარაძემ, ერ. ქარელიშვილმა, ა. ლვინიაშვილმა, მ. ხოჭავეამ, მ. ხელთუბნელმა, თ. ჯიბლაძემ და სხვ.

ყოველივე ის, რაც აღვნიშნეთ, აშკარად მეტყველებს, თუ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ფორმირება-ჩამოყალიბების ნეტად ხანგრძლივსა და რთულ პროცესებში აზრთა პრინციპული დაპირისპირების, ცხარე პაექრობის პირობებში როგორ წყდებოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის წინაშე დასმულ: უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა შესაბამისი კრიტიკული აზროვნება.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აღორძინების პროცესში, განხილული და შეფასებული იყო შესაბამისი ლიტერატურული კრიტიკის მიერ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც წვლილი შექმნიდა ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით ყალიბდებოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის და კერძოდ საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ესთეტიკური კონცეფცია. ამ საქმეში გადაწყვეტი რილი ითამაშეს იაკობ გოგებაშვილმა, როგორც სახალხო განათლების მეთაურმა და ილია ჭავჭავაძემ, როგორც ქართული მხატვრული ლიტერატურის მეთაურმა;

2. ქართული მხატვრული ლიტერატურის დიდოსტატების ილიას,

აკაის, ვაჟას, რაფიელ ერისთავის და სხვათა შეხედულებანი ხელოვნების მიზნისა და ამოცანების შესახებ, მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის, ტიპიური სახეების, სიუჟეტის, პეიზაჟის, ენისა და სხვა უმნიშვნელოანეს ლიტერატურულ პრობლემებზე იყო ის ცხოველყოფელი წყარო, საიდანაც სათავეს იღებდა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკა XIX საუკუნის II ნახევარში და, რომელიც, შემდგომ პერიოდში, განვითარების მაღალი დონის მისაღწევად, მკვიდრი საფუძველი შეიქმნა; იგი მტკიცედ ჩაეზარდა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლასა და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ხელოვნებისა და ლიტერატურის მეცნიერულ, რევოლუციონურ-დემოკრატიულ გაგებას;

3. მხატვრული რეალიზმის პრინციპებისა და პროგრესული პედაგოგიკური მოძღვრების ჰარმონიული მთლიანობა გახდა ქართული საბავშვო ლიტერატურისა და კერძოდ ქართული სიტყუაჯამული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკის წარმოშობისა და განვითარების საფუძველთა-საფუძველი;

4. ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკისა და თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი არის დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარების რეალისტური გზა და მისი ესთეტიკური კონცეფცია. ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შესახებ იაკობ გოგებაშვილის თეორიულ და კრიტიკულ შეხედულებათა სისტემა შემდეგია:

ა) საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა, მთელი მეცნიერება ხალხისა;

ბ) აღორძინებული სამშობლოს ენას შეუძლია ბავშვის ყოველი აზრი, მისი წარმოდგენანი და გრძობანი, სულიერ სამყაროში მომხდარი ყოველგვარი ცვლილება სრული სინამდვილით დახატოს; უპირველეს ყოვლისა დედა ენის სწავლებაა უმთავრესი, რადგან დედა-ენაშია დაცული მთელი სიმდიდრე ხალხის გონების, ფანტაზიის, მთელი მისი ნამოქმედარის. ამის გამო დედა-ენის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან. საბავშვო მწერლობამ ბავშვებს უნდა შეასწავლოს ქართული ენა, რომელიც ისეთივე შრავალფეროვანია, როგორც ჩვენი ერის ისტორია;

გ) ბავშვთათვის მხატვრული ნაწარმოებების შექმნა მეტად ძნელი საქმეა, რაც მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურს, ხანგრძლივსა და გატაცებით შემოქმედებით შრომას, მხატვრული ოსტატობის პედაგოგიკურ აღლოსთან ბუნებრივ შერწყმას. ხოლო საბავშვო ლიტერატურა, რომელიც მხატვრული ნაწარმოებების გარდა

ფართოდ მოიცავს საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ, ისტორიულ-ტექნიკურ, მეცნიერულ-ფანტასტიკურსა და სხვა სახის ნაწარმოებებს, მეტად რთულსა და უაღრესად დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, რაც აუცილებელია პარმონიულად განვითარებული ახალი თაობის აღზრდისათვის;

დ) საყმაწვილო ლიტერატურაში დიდი მნიშვნელობა აქვს პეროლულ გამოცემებს; საბავშვო ჟურნალი ბეერს სიკეთეს დასთესავს მოზარდ თაობაში, ბეერს მაღალ აზრებს ჩანერგავს მის გონებაში, ბეერს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში. მხატვრულობის პრინციპები და პედაგოგიკურ მოსაზრებათა პარმონიული ერთიანობა საბავშვო ჟურნალის წარმატების საფუძველია, რომელსაც ერის ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობა აქვს;

ე) კარგი საბავშვო წიგნიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე ბეერად არის დამოკიდებული ბავშვის მისწრაფების, ხასიათის, მოქმედებათა შინაარსების განსაზღვრა, აზროვნების, მსჯელობის უნარის განვითარება, წიგნის კითხვისადმი ინტერესის გაძლიერება;

ვ) საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია მხატვრული რეალიზმის პრინციპების დიდაქტიკის პრინციპებთან ორგანული შერწყმა; ამ ორი საწყისის დიალექტიკური ერთიანობა განსაზღვრავს საბავშვო ლიტერატურის როგორც პედაგოგიკურ საზღვრებს დიდაქტიკის პრინციპის საფუძველზე (ნაცნობიდან უცნობისაკენ, ადვილიდან ძნელისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ), ისე ასახვის მხატვრულ ხერხების გამოყენების სპეციფიკას; დიდაქტიკაში საბავშვო მწერლობაში უნდა იქნეს მხატვრულობის პრინციპებისადმი დაქვემდებარებული ე. ი. მხატვრული სახეები, სურათოვანი ენა, გმირთა სულიერი სამყაროს ძალდაუტანებელი გადმოცემა, ყოფითი სურათების შთამაგონებლად შექმნა თვითონ უნდა იყოს ბავშვთათვის გარკვეული მორალური დასკვნების გამოტანის საშუალება;

ზ) ყოველი საბავშვო ნაწარმოების უპირველეს ღირსებას „გარეგანი სიმშვენიერის გამოხატვისა და თვით შინაარსის ანუ დედა-აზრის გაშოთქმათა“ მთლიანობა წარმოადგენს: ფორმისა და შინაარსის პარმონიული ერთიანობით ნაწარმოებში ნაჩვენები უნდა იყოს ცხოვრების რეალური სურათები, იდეური მიზანსწრაფვა, რაც უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ირგვლივ არსებული გარემოს გაცნობას, მის გონებრივ განვითარებასა და ზნეობრივ აღზრდას;

თ) მოზარდი თაობისათვის საბუნებისმეტყველო ცოდნის შეძენას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს; საბუნებისმეტყველო ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება ბუნების დამორჩილებას, თვით ბუნების კანონების საფუძვლიანო

კოდნის შედეგად. ბუნების კოდნა და მისი დამორჩილება შეადგენს ერთს „უმთავრეს ბურჯს ადამიანისა, ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის“;

კ) საბავშვო ლექსი ფრიად ადვილი შესათვისებელი უნდა იყოს როგორც შინაარსით, ისე ფორმით, იგი უნდა იყოს დაწერილი ხალხური ენით, პოეტური კილოთი და თბილი გრძობით;

ლ) საბავშვო მოთხრობა შინაარსით უნდა იყოს მარტივი, რომელშიც ცხადად ჩანდეს უმთავრესი ნაწილი; პირველი ადგილი უნდა ეკავოს მოქმედების დახატვას, დრამატიზმს, მოკლე პლასტიკურ აღწერას. გმირის ცხოვრება ცალ-ცალკე ეპიზოდების ცოცხლად და მარილიანად თხრობას უნდა წარმოადგენდეს;

ისტორიული ხასიათის პატარა მოთხრობები უმთავრესად ამოღებული უნდა იქნეს საშობლოს ისტორიიდან, მაღალი ზნის მასწავლებელი ეპიზოდები, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეხებოდეს ჩვენო ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიულ ცხოვრებას;

მ) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბუნებისმეტყველო გეოგრაფიულ თემებზე და მოგზაურის ჩანაწერის ფორმით ბავშვთათვის ნაწარმოებების შექმნას; ასეთი ხასიათის ნაწარმოებების შექმნა უნდა წარმოებდეს ანალიტურ-ინდუქციური მეთოდით.

სამშობლოს გასაცნობად მოგზაურთა ნაწერებს მნიშვნელოვან როლის შესრულება შეუძლია. ასეთი ნაწარმოებები სასარგებლო იმ შემთხვევაში იქნება, თუ დაიწერება „კითხრობის ფორმით და უშუალოდ გაღაბებული დრამატიული ელემენტები“ ხელს შეუწყობენ გეოგრაფიული ფაქტორების ახსნას;

ნ) ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული ფოლკლორი; შეირჩეს ლეგენდები, სადაც მაღალი პოეტური კილოთი დახატულია ღრმა დრამატიზმი და თავგანწირვა; ანდაზები, რომელთაც ახასიათებთ ფრიად მარტივი ფორმა, მაგრამ მდიდარია შინაარსით, ახასიათებთ ლაკონიზმი და წარმოადგენს ხალხის ფანტაზიის ნაწარმოებთა უფრო სერიოზულ ნაწილს; გამოცანები, რომელიც სასარგებლოა და სასიამოვნო სავარჯიშოა გონებისათვის; რებუსები, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც გონების ვარჯიშობისა, ისე სინამდვილის შეცნობის ჩვევის გამომუშავება-განმტკიცებისათვის;

ო) აუცილებელია ბავშვთა წიგნების კითხვის არეს ასაკის მიხედვით თანდათანობით გაფართოება; ამ მხრივ დაწინაურებული ხალხების საუკეთესო გონებითი ნაწარმოებების თარგმნა მეტად სასარგებლოა. ასეთი ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნა უნდა. ხდებოდეს მტკიცე შერჩევის პრინციპის მიხედვით:



პ) საბავშვო ლიტერატურის ყველა ჟანრის ენა უნდა იყოს ხალხური, ბავშვთათვის მისაწვდომი, სადა და გასაგები, სურათოვანი, მისი ლექსიკონის გამდიდრების წყარო.

5. იაკობ გოგებაშვილთან ერთად, რომელმაც ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში XIX საუკუნეში პირველმა სასიცოცხლო კონტაქტი დაამყარა რუსული პროგრესული პედაგოგიკური მოძღვრების, პედაგოგიკური იდეებისა და რუსული პროგრესული საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებთან, — ივანე გომართელი, კიტა აბაშიძე, ლ. ბოცვაძე, ი. მანსვეტაშვილი, სტ. ჭრელაშვილი, მ. ნასიძე, თეოფილე ხუსკივაძე და სხვები. XIX საუკუნის II ნახევარში საფუძველს უმტკიცებენ ქართული ეროვნული ლიტერატურის, ეროვნული საბავშვო მწერლობის ესთეტიკურ კრიტიკას; კრიტიკოსთა ეს ჭგუფი იაკობ გოგებაშვილის ესთეტიკური კონცეფციის განმამტკიცებელ-განმავითარებელნი იყვნენ. ამის შედეგად, მათ გადაწყვიტეს ისეთი პრობლემები, როგორცაა საბავშვო მწერლობა და დიდაქტიზმი, ლიტერატურის ტენდენციურობა, მეცნიერული და კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ყმაწვილთათვის საკითხავად თარგმნისა და გადაკეთების პრობლემები. ისინი ამტკიცებდნენ იმ აზრს, რომ რეალიზმის პრინციპებზე შექმნილი ქართული საბავშვო ლიტერატურა არის სინამდვილის მხატვრულად შეცნობის საფუძველი. დადებითი და უარყოფითი მოვლენების ასახვისა და ჩვენების აუცილებელი პირობა, — „ადგილობრივ მოვლენის“, „ადგილობრივი ცხოვრების“. ყოფითი სურათების წარმოჩენა უნდა გამხდარიყო ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა და განვითარების მკვიდრი საფუძველი.

ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბავშვო ნაწარმოებებში ეროვნული სპეციფიკის მხატვრულ სახეზეში გამოკვეთას, სადაც ეროვნული ხასიათები, ყოფა-ცხოვრების ცოცხალი სახეები, მშობლიური ქვეყნის სიყვარული, მისი კერძობითი და ზოგადი მნიშვნელობის ჰარმონიული ერთიანობა, მაღალ ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე, ეროვნული საბავშვო მწერლობის შემდგომი განვითარების საფუძველიც უნდა გამხდარიყო.

ყველა ეს და სხვა უმნიშვნელოვანესი მოსაზრებანი ქართველ სამოციანელთა ესთეტიკურ კონცეფციაში იღებდნენ სათავეს და ამავე დროს პედაგოგიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე სპეციფიკურობის გარკვეული მინიშნებით ავითარებდნენ საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკურ კრიტიკას ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასთან კავშირში.

ფოლკლორი და ქართული ეროვნული  
სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობა

„ზღაპარი, არაქი, იგავი სიბრძნე არის“  
ილია

„ზოგიერთი ზღაპარი და ლეგენდა სპე-  
ციალურად ბავშვებისათვის იქმნებოდა“

მ. გორგი

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ფოლკლორული მასალები საბავშვო მწერლობაში გამოყენებას ან ბავშვთა საკითხავი წიგნების სფეროში ქართული ხალხური ზღაპრების, ლეგენდების, იგავების, არაქების, ანდაზებისა და გამოცანების კონკრეტულად შეტანას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ამას საფუძვლად დაედო, ერთი მხრივ, სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ახალი თაობის აღზრდის ამოცანები და, მეორე მხრივ, ხალხური შემოქმედების დიდი მნიშვნელობის შესახებ გამოთქმული შეხედულებები როგორც ლიტერატურაში, ისე პედაგოგიკურ კრიტიკაში.

ამ ორ, უმთავრეს საწყისს ექვემდებარებოდა სათანადო მოტივებისა და თემატიკურად მრავალსახოვანი ხალხური შემოქმედების ბავშვთათვის დიფერენცირებულად გამოყენების პრინციპი: საჭირო იყო როგორც ქართული ორიგინალური, ისე თარგმნითი ფოლკლორული ნაწარმოებებიდან, შეერჩიათ აღმზრდელობითი თვალსაზრისით საუკეთესო ნიმუშები და შეეტანათ როგორც სასწავლო-სამეცადინო სახელმძღვანელოებში, ისე ბავშვთათვის საკითხავ წიგნების სფეროში.

უმინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ფოლკლორი ხალხის პედაგოგიკური გენიაა და ამიტომ ბუნებრივია ბავშვთა საკითხავ სფეროში მის შოკეკვას თავიდანვე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

ამის გამო უკვე ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები საბავშვო ლიტერატურის სფეროშიც შოკეკეულიყო და ამ მიზნით მნიშვნელოვანი პრაქტიკული და კონკრეტული ღონისძიებანი მიეღოთ.

მოწინავე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მუშაობას ეწეოდნენ ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად, ფოლკლორული განძის თავმოსაყრელად და გამოსაქვეყნებლად; თანდათან მტკიცდებოდა აზრი, რომ „ხალხის სარწმუნოება, ფიქრი, სატანჯველი, სი-

ხარული, იმედი — ხალხის ლექსებში და ზღაპრებშია გამოხატული და გაფანტული“<sup>1</sup>.

„ისტორია ლიტერატურისა აშუქებს ერის სულსა და გულს... ჯერ არ არსებობდა წერა-კითხვა, როცა ერი თავის ბედს და უბედობას, აზრსა და გრძნობას აფრქვევდა ლექსებად და არაკებად, მოწონებით გადასცემდა ზეპირად შემდეგს თაობას, სახსოვრად და დასაცველად“<sup>2</sup>. ამის გამო, ერის მიერ შექმნილი მხატვრული შემოქმედება, რომელშიც ჩანს „საკუთარი ცხოვრება, მატერიალური მდგომარეობა, გონებრივი და ზნეობრივი შეხედულება“, უდავოდ „არის უსაქიროესი საშუალება ნაციონალური გრძნობის გასამტკიცებლად“<sup>3</sup>.

მაშასადამე, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობაშიც ხალხური შემოქმედების შენაკადებს ბუნებრივად ეკისრებოდა დიდი ისტორიული ამოცანა — ნოყიერი ნიადაგი მოემზადებინა ეროვნული საბავშვო მწერლობის აღორძინება-განმტკიცებისათვის, მისი თემატიკური და ჟანრობრივი გამდიდრებისათვის.

„ზღაპარი არა მარტო სასიამოვნო მოსასმენი გონების სავარჯიშო მხატვრული ქმნილებაა, არამედ ხალხური ზეპირსიტყვიერი ხელოვნების სწორუპოვარი ნიმუშიცაა“<sup>4</sup>, ამევე დროს „ფოლკლორი კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივ ხასიათს ატარებს. ამის გამო მასში გამოხატულებას პოულობს დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ძალთა იდეოლოგია. ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები არა მარტო საბჭოური სიტყვიერების განხილვის დროს, არამედ თაობათა და ეპოქის შექცევიდრების შესწავლის დროს“<sup>5</sup>.

ეს გარემოება იმთავითვე მტკიცედ მოითხოვდა ფოლკლორული მასალები ბავშვთა ასაკობრივი და გონებრივი განვითარების შესაბამისად, მიზანშეწონილად ყოფილიყო ბავშვთათვის განკუთვნილ საკითხავ ნაწარმოებებთან სფეროში მტკიცედ დამკვიდრების თვალსაზრისით.

სწორედ ამიტომ ლეგენდები, იგავები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები, ზმები — ხალხის ეს სიბრძნე, თანდათან ხელშესახები ხდებოდა პედაგოგიური მიზნებისათვისაც: „ზღაპრები, საგები, ლეგენდები, — როგორც ხალხის ფანტაზიის მაჩვენებელი, იგავები და არაკები, — როგორც ცხოვრების დაკვირვების შედეგები, შელოცვები, —

<sup>1</sup> კ. უმიკაშვილი, „დროება“, 1871, № 22.

<sup>2</sup> ა. ხახანაშვილი, „მოამბე“, 1894, № 10.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ალ. ლონტი. ქართული ხალხური ნოველა, თბილისი, 1966, გვ. 5.

<sup>5</sup> მ. ხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი,

როგორც რწმენის „გარდაცემანი“, — როგორც მეხსიერებისა და პოეზია — როგორც გრძნობის გამომხატველი<sup>1</sup> ზეპირმეტყველების მხატვრული ნიმუშები, გარკვეული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების გათვალისწინებით, სასკოლო სახელმძღვანელოებშიც თანდათან მტკიცედ მკვიდრდებოდა.

ი. გოგებაშვილმა, რომელმაც „საერთო“ სახალხო ენას, ერთიანი სალიტერატურო ქართულის ფორმირებისა და დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეს დაუფასებელი ამაგი დასდო<sup>2</sup>, დიდ მნიშვნელობა მიანიჭა ხალხური შემოქმედების გამოყენებას; მას არა მარტო ფოლკლორული ნაწარმოებები მთლიანად, არამედ შესაფერის ნაწარმოებებში, თუნდაც ერთი კარგი ხალხური სიტყვაც ყოფილიყო წარმოდგენილი, განსაკუთრებულ მოვლენად მიაჩნდა. მაგალითად. ხალხური „კურდღელი ჩამოცანცალდა“ მისთვის მეტად საგულისხმო ლიტერატურული ფაქტი იყო ბავშვთათვის განკუთვნილი, რადგან „ეს ლექსი ბავშვის ლექსიკონს ამდიდრებს ერთი ლამაზი სიტყვით — „ჩამოცანცალდა“.<sup>3</sup>

გოგებაშვილი დიდად აფასებდა იგავ-არაკულ ენარს და ყოველ ასეთ ახალ მოვლენას აღტაცებით ეგებებოდა.

ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მისი აზრი წიგნის — „იგავ-არაკენი კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან ვალექსილი თ. რაფ. ერისთავისაგან“-ის შესახებ, სადაც ნათქვამია: „იგავ-არაკების წერა ბევრად ძნელია სხვაგვარ პოეტურს თხზულებათა წერაზედ. მთელმა ძველმა დრომ უნიჭიერესს ბერძნებში და რომაელებში აღზარდა მხოლოდ ერთი იგავ-არაკების მარჯვე მწერალი — ეზოპესი. მთელმა საფრანგეთმა დაჰბადა მხოლოდ ერთი ლაფონტენი: ვეებერთელა რუსეთის ხალხმა, რომლის რიცხვი ახლა თითქმის ასს მილიონამდის უწევს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ნიჭიერი — მეიგავარაკე — კრილოვი — გამოიყვანა ამ ასპარეზზედ. სხვა სახელმწიფოებში, სხვა ერთა შორის, სრულიად არ გამოჩენილან იგავ-არაკების მარჯვე მწერალნი. ის ფაქტი, რომ მთელს კაცობრიობაში მხოლოდ სამს გამოჩენილს იგავ-მეარაკესა ვხედავთ, აშკარად ამტკიცებს, თუ რა ძნელია ლაზათიანისა და მარილიანის იგავ-არაკების წერა. ამიტომაც დიდ შემატებად ვხდით ჩვენს ლიტერატურაში თ. რაფიელის იგავ-არაკებსა, დიდ ღვაწლად ვრაცხავთ მის ვალექსივასა“<sup>4</sup>.

აკაკი ეხება რა კრილოვის იგავ-არაკებს, ამბობს: „ამგვარი თხზუ-

<sup>1</sup> ა. ხახანაშვილი, „მოამბე“, 1894, № 10.

<sup>2</sup> შ. ძიძიგური, მწერლის ენა, თბილისი, 1957, გვ. 66.

<sup>3</sup> „დროება“, 1884, № 237.

<sup>4</sup> ჟურნ. „ივერია“, 1881, № 12, გვ. 164.

ლება ერთსა და იმავე დროს პატარა ბავშვებსაც აკმაყოფილებს და დიდებსაც“<sup>1</sup>.

ვაჟა დიდად აფასებდა ხალხურ შემოქმედებას, რადგან „ხალხის აზრი, ცხოვრება, იმისი წადილი და იდეალი გამოიხატება მის პოეზიაში, ზღაპრებში“<sup>2</sup>.

ქართული ეხის სასწავლო წიგნში პირველად ი. გოგებაშვილმა შეიტანა ხალხური შემოქმედების ნიმუშები: ჩვენს სახელმძღვანელოში — „დედა-ეხა“ — ბლომად არის მოქცეული ხალხური ლექსები და ზღაპრები. უმეტესი წილი ამ ხაწარმოებისა ჩვენ მიერ არის შეკრებილი სოფელს ვარიანში ოც-და-ათის წლის წინად და შემდეგ ჩართული „დედა-ენაში“<sup>3</sup>.

ეს ბუნებრივი იყო, რადგან ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „იგავი, არაკი, ზღაპარი (კი) იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საკუთო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვახიზნებს ერთმანეთში გასარჩევად“... გარდა ამისა, ხალხური შემოქმედების შესწავლით ბავშვი უკავშირდებოდა თავისი ხალხის სულიერ სამყაროს, ეცნობოდა, იგებდა ყოველივე იმას, რაც ხალხის ჩნტერესებს შეადგენდა და ამით საფუძველი ეყრებოდა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი ახალი თაობის აღზრდას, რადგან „ხალხის აზრი, ცხოვრება, მისი წადილი და იდეალი გამოიხატება მის პოეზიაში, ზღაპრებში“...<sup>4</sup>

იმ დიდ შოძრაობას, რომელსაც მეთაურობდნენ ილია, აკაკი, თ. რაზიკაშვილი, ვაჟა და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-გამოცემის სახით, უაღრესად დიდი ძხიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც საერთოდ, ერის სულიერი კულტურის დაცვის, ისე, კერძოდ საბავშვო მწერლობაში ხალხური შემოქმედების მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით.

ფასდაუღებელია დიდი აკაკის მოღვაწეობა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვების საქმეში. „კვალში“ აკაკიმ საპეციალური განცხადება გამოაქვეყნა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვების შესახებ, რომელსაც რედაქციამ საგულისხმოდ სარედაქციო წერილი წაუშემძვარა, სადაც ნათქვამია „მოვაქცევთ მკითხველების (...) ყურადღებას შესახებ“ წერილის ჩვენის სახელოვანის პოეტის აკაკისას, რომელსაც წინასწარმეტყველური წინათგრძნობა ყოველთვის თან დადევს, სწორედ მოიწია ჟამი, როცა ქართველმა ერმა, დიდმა და პა-

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 8.

<sup>2</sup> „ივერია“, 1889, № 74.

<sup>3</sup> „ისარი“, 1907, № 143.

<sup>4</sup> „ივერია“, 1889, № 14.

ტარამ, ძლიერმა და სუსტმა, მდიდარმა და ღარიბმა უნდა გამოიღოს ხარჯი იმ საერთო საქმისათვის, რომელიც დაგვინიშნა აკაკიმ ქვემო-სსენებულ წერილში“...<sup>1</sup>

აკაკის ისტორიულ განცხადებაში, მის ყოველ სტრიქონში, რომელიც მთელი ქართველი ხალხისადმი მიმართვის ფორმითაა დაწერილი, იგრძნობა დიდი პატრიოტის უანგარო სიყვარული და პატივისცემა ყოველივე იმისადმი, რაც ქართველ ხალხს შეუქმნია და თაობიდან თაობაზე ზეპირსიტყვიერად გადაუტანია.

ამ მიმართებითი ხასიათის განცხადებაში წამოყენებული შეურყეველი დებულებები ქართულ ფოლკლორისტიკაში დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, მაგრამ მას უაღრესად სასიცოცხლო ინტერესები აკავშირებს საბავშვო ფოლკლორთან და საერთოდ ეროვნულ საბავშვო მწერლობასთან.

აი, რას წერდა აკაკი:

„ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვადასხვა საქიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთათ, ეს ვინ არ იცის?... მაგრამ არცერთი კი მათგანი ისეთი საქირო და სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ-გადმოცემების“ შევსება და შეგროვება... შედარებით ამ დიდ-საქმესთან, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამოდენა ხანია განზე ვუდგებით ამ საქირო საქმეს. ხალხური პოეზია უტყუარი საჩქეა გადასულ ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი, და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საქიროებათ. ჩვენი, ქართული „ზეპირ-გადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავი არიან სხვისაზე, რომ კერძო მნიშვნელობის გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთ: საქართველო იყო ხიდათ და გზათ იმ დიდ-მოძრაობის დროს, როდესაც სხვა-და-სხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა! — მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა, უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწმე. ამას დაუშვამოთ ის გარემოებაც, რომ ქართველი საზოგადოდ ბუნება თანაზიარია და რაც უნახავს, ან გაუგონია უყურადღებოდ არ დაუგდია: ყოველივე შეუსწაველია და საშვილი შვილოთ გადმოუტია საზეპიროებით. არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრობა“, „მენტვირეობა და მეშაირობა“, როგორც ჩვენში!.. საშვილი შვილოთ გადმოიცემოდა ხოლმე ერთი-მეორისაგან ასისა და ათასი წლის ამბები და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი სახალხო პოეზია...

არც ერთი რამ შესანიშნავი მოვლინება არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოდ დაეგდოს და შაირი

<sup>1</sup> „ქვალი“, 1895, № 6.

არ გასცოვოთ უკან! არა, რომელ გმირზე არ გამოუთქვამთ შაირი? ამას გარდა ძველი ხალხების მითოლოგია სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული, აქვე შეხედებით ჰუმბროსისა და სხვა ძველი დროის მწერლების თხზულებასაც ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, მაგრამ ქართული ხასიათით და სულით კი<sup>1</sup>. (ხაზის გასმა ჩემია ა. ჩ.).

ცნობილია, რომ აკაკის მიმართვამ მხურვალე გამომხაურება ჰპოვა ქართველ საზოგადოებაში, რაც ეროვნული კულტურის მეტყველი ნიმუშების თავმოყრის შენახვისა და გამოყენების იმ კონკრეტულ ისტორიულ ამოცანებთანაც იყო დაკავშირებული, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დედააზრს შეადგენდა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ მიმართვას ეროვნული საბავშვო ლიტერატურისათვისაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პედაგოგიკური თვალსაზრისით, მოზარდი თაობის აღზრდის ეპოქისეული ამოცანების შესაბამისად, აკაკის მიმართვას, რა თქმა უნდა, მოზარდი თაობისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ხალხური შემოქმედების გამოყენებით ბავშვები გასცნობოდნენ:

- ა) ყოველივე იმას, რისი მნახველი და მოწმე ყოფილა ჩვენი ქვეყანა უძველესი დროიდან და რაც უნახავს, შეუხსწავლია, საშვილიშვილოდ გადმოუცია ზეპირსიტყვიერად;
- ბ) იმ შესანიშნავ მოვლენებს, რომლებიც ქართველი ხალხის მიერ უყურადღებოდ არ იყო დატოვებული და რაზედაც ხალხს ყოველთვის გამოუთქვამს შაირი;
- გ) იმ თვისებებს, ხასიათსა და მიზნებს, ბრძოლის საშუალებებსა და ვაჟკაცობას, რომელიც ნიშნული იყო იმ გმირისათვის, რომლის შესახებ გამოთქმული იყო შაირი;
- დ) ძველი დროის მწერლების თხზულებათა ნაწყვეტებს, რომელიც ხალხს შეუთვისებია და მათს ნიშნულ თვისებას ქართული ხასიათი და სული წარმოადგენდა.

რასაკვირველია, ქართული საბავშვო მწერლობის პოზიციებიდან ფოლკლორული მასალის ამგვარად შერჩევას, მათს თავმოყრას როგორც სასწავლო, ისე საბავშვო საკითხავი წიგნების სფეროში მოქცევას ჰქონდა მეტად საკირო ხასიათი არა მარტო იმიტომ, რომ თითოეული მათგანი, უქვევლად, წარმოადგენდა ბავშვებზე ემოციური ზეგავლენის უბადლო ნიმუშს, არამედ ამასთან ერთად, ხალხურ შემოქმედებას თვლიდნენ ხალხის ისტორიის შექმნისა და მშობლიური ეხის სწავლების ერთ-ერთ საფუძვლადაც.

ამ საკითხზე კარგად აღნიშნავს პეტრე უმიკაშვილი: „ისტორიის,

<sup>1</sup> „ქვალი“, 1895, № 6.

ნამდვილი ისტორიის დამწერი მარტო დამპალ ადამის-ჟამის წიგნებს კი არ გამოუდგება; უეჭველათ დიდის მეცადინეობით ხალხის ცოცხალ სიტყვასაც, ესე იგი სიმღერებსა და ზღაპრებსაც გადაიკითხავს; გრამატიკის შემდგენელმა (ხალხის გასმა ჩემია, ა. ჩ.) ძალიან ბევრად უნდა იცოდეს ხალხის ზღაპრების და სიმღერების ენა; ეხის მასწავლებელს არ შეუძლია უიმთოთ გაუმართოს თავის შოწაფეებს ენა და არ შეუძლია ჩაუნერგოს ნამდვილი, ინსტიქტით გადაქცეული სიყვარული, ღვიძლი სიყვარული და არა ზედ მიკერებული. ერთის სიტყვით, სწავლაში და სწავლებაში დიდი მასალაა ეს ხალხის ზღაპრები, სიმღერები, შაირები, არაკები, ზღაპრები, გამოცანები, შელოცვები, ანდაზები“.<sup>1</sup>

\* \* \*

ზღაპარი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჟანრია ბავშვთათვის. ბავშვებს უყვართ ისეთი ზღაპრები, რომელშიც იგრძნობა უხვი ფანტაზია, საინტერესო თავგადასავალი, მოსაზრებულობა, გმირობა, ბოროტი ძალების დათრგუნვა, კეთილის გამარჯვება.

...Маркс рассказывал сказки своим детям. Моим сестрам (я тогда была еще очень мала) он рассказывал сказки во время прогулок, и эти сказки делились не на главы, а на мили. Рассказки нам еще одну миллю», требовали обе девочки..<sup>2</sup>

«...Когда дочери были еще маленькими, Маркс, чтобы укоротить длинный путь, рассказывал чудесные волшебные сказки, тянувшиеся без конца — сам по дороге сочиняя их, растягивая или, наоборот, ускоряя события, смотря по длине оставшегося пути и малыши, заслушавшись его, забывали о своей усталости»<sup>3</sup>.

ბავშვის გონების გატაცება, მომზიბვლელი საოცრებით მისთვის სრულიად უცნობი სამყაროს წარმოსახვა, მდიდარი ფანტაზიით გამოვლილი სიტუაციის შექმნა, რომელიც ხალხური ზღაპრების ორგანული თვისებაა, სათავეს ობიექტურ რეალობაში იღებს, რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება.

დიდი ლენინი გვასწავლის «...Да мы увидим международную мировую революцию, но пока это очень хорошая сказка, очень красивая сказка, — я вполне понимаю, что детям свойственно любить красивые сказки. Но я спрашиваю: серьезному революционеру свойственно ли верить сказкам? Во всякой сказке есть элементы действительности: если бы вы детям преподнесли

<sup>1</sup> „დროება“, 1871, № 22.

<sup>2</sup> Маркс-Эвелинг Элеонора, Карл Маркс. Беглые заметки, ИМЭЛ, М., 1933, стр. 17.

<sup>3</sup> Лафарг П. Воспоминания о Марксе. Перев. с немецкого под ред. В. В. Адоратского. ИМЭЛ, М., 1933, стр. 16.



„საქაჲს, გდე ბჲ პეტუჲ ი კოშკა ნი რაზგოვარნვალნი ნა ჟსთოეჩესკომ იაჲჲკე, ონი ნე სტალი ბჲ ეო ინტერესოვატჲსჲსჲ!“.

ამრიგად, ზღაპრებში არსებითად არა მარტო ფანტაზია, გმირობის არა მარტო ჰიპერბოლური გადმოცემაა, არამედ ამბის დინამიკური თხრობის, მძაფრი სიტუაციების ხშირი ცვალებადობის მოულოდნელ ხვეულებს თან მოსდევს რეალური საყოფაცხოვრებო სურათების ჩვენება, „სინამდვილის ელემენტების“ გამოყენებით ამბის ოპტიმიზტური დაბოლოება, რაც ბავშვებზე კეთილსასურველ ემოციურ ზეგავლენას ახდენს.

ამის შედეგად ხალხურ შემოქმედებაში — ლეგენდებში, ზღაპრებში, იგავეებში გადმოცემულია ხალხის გამოცდილება, ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვების შედეგები, საზოგადოებრივი ძალების განვითარების პროცესების ისტორიულ ეტაპებზე გარკვეული საყოფაცხოვრებო პირობების ფარგლებში შექმნილი შეხედულებებო, განწყობილებები, სიბრძნე, რომლებსაც ახალი თაობის აღზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ეს შეხედულებანი, განწყობილებანი ზღაპრების პერსონაჲების სახეში, მათ მოქმედებაში, მათ ურთიერთდაშოკედებულებაში, მათს სწრაფვასა და იდეურ მიმართებაშია გადმოცემული როგორც ჯადოქარულსა, ისე საყოფაცხოვრებო, სატირულსა და ცხოველებზე შექმნილ ზღაპრებშიც.

საკითხის სისრულით წარმოდგენისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ისტორიულ ასპექტში მოკლედ განვიხილოთ, თუ როგორ იღვა საკითხი ზღაპრების შესახებ როგორც საბავშვო ლიტერატურისა, ისე პედაგოგიკურ კრიტიკაში.

ბავშვების აღზრდის ამოცანების შესაბამისად ზღაპრების გამოყენების საკითხებზე როგორც ჩვენში, ისე რუსეთში, დასაველეთ ევროპაში ლიტერატურულ და პედაგოგიკურ კრიტიკაში არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

ამ დავას უმთავრესად საფუძვლად ედო პედაგოგიური კრიტიკის არგუმენტები ბავშვთათვის ხალხური შემოქმედების მკაცრად შერჩევისა თუ მისი გარკვეული თვალსაზრისით გადაკეთებისა და გამოყენების პრინციპები.

პროგრესული პედაგოგიკური კრიტიკა, ძირითადად, ყოველთვის აღიარებდა ზღაპრების აღმზრდელობითს მნიშვნელობას, განსაკუთრებით ისეთი ზღაპრებისა, რომლებიც ბუნებრივად მიანიშნებს ბავშვს საკუთარ ქცევისა, აღუძრავს მიბაძვის სურვილს, სიკეთისადმი გან-

<sup>1</sup> В. И. Ленин. Доклад о войне и мире. М., соч., т. XVIII. №-3 გამოც. გვ. 324—325.

წ. სამართლიანობისათვის შეუდრეკელი ბრძოლისაკენ ლტოლ-  
ვას; ოსტროგორსკი არაერთგზის ამტკიცებდა ფოლკლორის მეტად  
დიდ მნიშვნელობას: ხალხური შემოქმედების ფანტაზიაში ყველაზე  
უკეთ არის მოცემული ლიტერატურული განათლების საფუძვლებიო...  
ეს ნაწარმოებები, რომლებიც შეიცავენ სიყვარულს ბუნებისადმი,  
ცხოვრებისადმი, პატრიოტული სახეების სრულყოფილებას, მთელი სი-  
ცოცხლის მანძილზე ძლიერად და ჭანსალად ამაგრებს ბავშვთა  
სულს, — აძლევს რა მათ შესანიშნავ და საინტერესო დასვენებას მრავალრიცხოვან და მრავალსახოვან ფორმალურ მეცადინეობებიდან.<sup>1</sup>  
იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხურ პოეზიას, რომელ-  
საც ბავშვის სათუთ გრძნობებზე დიდი ემოციური ზეგავლენის მოხ-  
დენა შეუძლია და ამტკიცებდა, რომ ბავშვთა კითხვის ამოუწურავ  
წყაროს სახალხო პოეზია წარმოადგენსო.<sup>2</sup>

უშინსკის მიაჩნია, რომ ხალხურ შემოქმედებაში თავზე მოხვეულ  
მორალი არ არის, ხოლო მორალურ სენტენციებს ბავშვებისათვის დი-  
დი ვნება ჰოაქვთ, ვიდრე სარგებლობა, მორალი უნდა ჩანდეს არა  
სიტყვებში, არამედ თვით ოჯახის ცხოვრებაში, რომელშიაც ტრია-  
ლებს ბავშვი“.<sup>3</sup>

ქართული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკა ქართული  
საბავშვო ჟურნალის გამოსვლასთან დაკავშირებით ზღაპრების, იგა-  
ვების, არაკების, ანდაზებისა და გამოცანების ბავშვთათვის საკითხა-  
ვად მიწოდებას დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა. მა-  
გალითად, სტ. კრელაშვილი იხილავდა რა ჟურნალ „ნობათის“, იდეურ-  
მხატვრულ ღირებულებას, წერდა: „სახალხო ზღაპრებს საზოგადოდ  
დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ და რაც მეტი ადგილი  
დაეთმობა მათ „ნობათის“ ფურცლებზედ, უფრო სასარგებლო იქ-  
ნება... ყოველთვის ზღაპარში არის გატარებული რაიმე ჰუმანური  
იდეა, უთუოთ მათში კეთილი ბოლოს და ბოლოს სჯობნის ბოროტე-  
ბასა, უძლეური და ჩაგრული გამოყვანილნი არიან იმგვარად, რომ  
მ. მინილის სიმპატიას მთლიანად ისინი იპყრობენ. ამას დაუმატეთ  
ის ინტერესი, რომელითაც ზღაპარი ყოველთვის იკითხება ბავშვის  
მიერ და თქვენ მხოლოდ გავიზიარებთ ზემოთ ნათქვამს“.<sup>4</sup>

ზღაპრების ეს შესანიშნავი თვისება, ბუნებრივია, პროგრესული  
პედაგოგიკური მეცნიერების თვალსაზრისით, აქტიურად უნდა გა-  
მოვიყენოთ ბავშვთა აღზრდა-გათვითცნობიერებისათვის, ვიდრე სა-

<sup>1</sup> В. Н. Острогорский, «Беседа о препода. словестности», СПб., 1913, зв. 37.

<sup>2</sup> В. Н. Острогорский, «Педагогический листок». М., 1895, № 4, 83. 20.

<sup>3</sup> «Родное слово», 1867, зв. 70.

<sup>4</sup> «ივერია», 1884, № 4.

ბავშვო ლიტერატურის დამაარსებელი ს. ბერიძის ინიციატივით, რომელიც, საერთოდ, შკაცრ დიდაქტიზმში და შემდეგში კი დიდაქტიკურ სენტიმენტალიზმში იყო მოქცეული.

რუსულმა პედაგოგიურმა აზრმა (კ. უშინსკი, ვ. ოსტროგორსკი და სხვ.) და ფოლკლორისტიკამ (ე. ავდეევი, კ. ავდეევი, პ. შეინი, პ. ბესეხოვი და სხვ.) გაითვალისწინეს რა ზღაპრებისადმი ბავშვთა დიდი დაინტერესება, სპეციალური შრომების შექმნით ხელი შეუწყვეს ბავშვთათვის აქტიური კითხვის სფეროში შერჩეული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეტანას.

საგულისხმოა ის მნიშვნელოვანი მოვლენაც, რომელიც XIX საუკუნიდან იწყება რუსეთში ლიტერატურული ზღაპრების შექმნით და მისი ერთ-ერთი დამაახასიათებელი ნიშანი იყო ხალხურობის იდეის შერწყმა ფანტასტიკასთან, გმირის სახეში ერთი გამოკვეთილი ხასიათის განვითარება, მისი სრულყოფილად წარმოდგენა, მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა სისადავე, ენის სურათოვნება, მოქმედების დინამიკური, ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით განვითარება.

ასეთ ლიტერატურულ ზღაპრებში ფანტასტიკას იყენებენ საფარად, იმ მიზნით, რომ სახეების მეშვეობით გვიჩვენონ ხალხის ყოფა, ხალხის შეხედულებანი სოციალურ საკითხებზე.

პუშკინის, ყუკოვსკის ზღაპრებში უმაღლესი პოეტური ნიპითაა დახატული რუსული ეროვნული ყოფა, რუსი ხალხის ცხოვრების უტყუარი სურათები და შეიცავს საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების უმნიშვნელოვანეს თავისებურებებს.

საკითხის სისრულით წარმოდგენისათვის საკიროდ მიგვაჩინა მოკლედ გახვიხილთ რუსეთის პროგრესული ლიტერატურისა და პედაგოგიური კრიტიკის აზრი, მაგალითად, ბ. ბელინსკის შეხედულება ზღაპრის შესახებ, როგორც ცნობილია, იცვლებოდა მისი ფილოსოფიურ და პოლიტიკურ შეხედულებებთან ერთად. 30-იან წლებში იგი იმყოფებოდა ობიექტური იდეალიზმის პოზიციებზე და რომანტიკული ხელოვნების პოზიციებიდან გამომდინარე მაღალ შეფასებას აღლევდა ე. გოფმანის ზღაპრებს, რომელშიც ამბავი ორ პლანში ვითარდება — რეალურსა და ფანტასტიკურში.

მაგრამ ცნობილია ისიც, რომ 40-იანი წლებიდან ბელინსკი თავისი ფილოსოფიური გზის გარდატეხის პროცესში იმყოფება. რომელიც წარიმართა იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ. ამის შედეგად, იგი იმუშავებს ხელოვნებაში შემოქმედების რეალიზმის პრინციპებს, ხელოვნების მაღალ იდეურობას, ემხრობა უტოპიურ სოციალიზმსა და რევოლუციონურ დემოკრატიას.

ბელინსკი, როგორც საერთოდ, ისე საბაიშვო ლიტერატურის წი-

ნაშე გარკვევით, პრინციპულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ სინამდვილე ასახული იქნეს სიმართლით, რეალისტურად.

შეიცვალა რა მან ზღაპრის შესახებ შეხედულება, ახლა უკვე გოფმანის ზღაპრების ისეთი შემფასებელი უკვე არ არის. იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ფანტასტიკის ელემენტის შეტანას საბავშვო ნაწარმოებებში; ბელინსკის აზრით, ბავშვებში ფანტაზია ვლინდება ადრეული ასაკიდანვე: სამი წლის ბავშვი უკვე იწყებს ფანტაზირებას თამაშში, გვიან ასაკში კი მას სურს ფანტაზირება წიგნის კითხვის დროსაც. ნორჩებისათვის დამახასიათებელია ოცნება და ფანტაზია. ამის გამო, აუცილებელია მწერლებმა გაითვალისწინონ მათი ასეთი უნარი და სურვილი.

ბელინსკი ეხება რა ზღაპრებში ფანტასტიკის როლს, მოითხოვს, იგი იყოს გარე სამოსი, რომლის შიგნით უნდა იმალებოდეს სინამდვილე. მან გარკვევით დააყენა საკითხი რეალისტური ზღაპრის განვითარების შესახებ.

ეს, რასაკვირველია, ბუნებრივად გამომდინარეობდა მისი ესთეტიკური კონცეფციიდან, რომელიც ეყრდნობოდა მხატვრული რეალიზმის პრინციპების ხალხურობის პრინციპებთან შერწყმას.

სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა ბელინსკის მოთხოვნა ზღაპრების ყოველგვარი გადაკეთების წინააღმდეგ. მისი აზრით, ზღაპარი არ შეიძლება გადაკეთდეს, არამედ საჭიროა მისი იმგვარად გადმოცემა, როგორც ის ხალხმა შექმნა ან კიდევ უნდა იზრუნო იმაზე, რომ შენს მიერ შექმნილ ზღაპარში გამონაგონი და ფერები, „ყველაფერი“ იყოს ჩვენი ხალხურის ან უბრალოდ ხალხურის მსგავსად.<sup>1</sup>

ფანტაზიის დიდ მნიშვნელობაზე მიგვიჩივებდა ლენინიც: «Эта способность чрезвычайно ценна. Напрасно думают, что она нужна только поэту. Это глупый предрассудок! Даже в математике она нужна, даже открытие дифференциального и интегрального исчисления невозможно было бы без фантазии. Фантазия есть качество величайшей ценности»<sup>2</sup>.

ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის შეხედულება, რომელიც გამოპლინარეობდა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებიდან და მხატვრულ ნაწარმოებს ავალებდა, ერთი მხრივ, სინამდვილის ასახვას და, მეორე მხრივ, მის ახსნას, ბუნებრივად ზღაპრების მიმართაც ვრცელდებოდა, საბავშვო ლიტერატურისადმი მათი საერთო შეხედულებათა შესაბამისად; იხილავდნენ რა ამერიკელი მწერლის პ. გო-

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Соч. соч. под ред. Павленкова, М., 1906, т. I, 38. 733.

<sup>2</sup> В. И. Ленин. Заключительное слово по политическому отчету ЦК РКП (Б) II Съезда, соч. 1931, т. 27, III, 439. М., 38. 266.

ტორნის კრებულს, რომელიც ძველი მითებისაგან შედგებოდა, ამ თვალსაზრისით გარკვეულ შენიშვნებს უყეუებდნენ.

დობროლუბოვს მიზანშეწონილად არ მიაჩნდა ამერიკელი მწერლის გოტორნის კრებული ბავშვებს წასაკითხად მისცემოდა, მაგრამ იმის გამო, რომ რეალური მიმართულების კარგი წიგნები ევროპულ ლიტერატურაში არ არსებობდა, მაინც შესაძლებლად სცნობდა იგი წაეკითხათ ბავშვებს.

დობროლუბოვი გარკვეული ნიშნით არჩევდა და განსხვავებულ შეფასებას აძლევდა ანდერსენის ზღაპრებს; მაღალ შეფასებას აძლევდა ანდერსენის მხოლოდ ისეთ ზღაპრებს, სადაც ფანტასტიკა ხელს უწყობდა სოციალური სინამდვილის გახსნას.

ბავშვთა „რეალურად“ აზროვნების განვითარების საქმეში პისარევს ზღაპარი ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორადაც მიაჩნდა. ამის გამო, ზღაპრების მიწოდების სანაცვლოდ, იგი უპირატესობას აძლევდა მოზარდი თაობისათვის ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან სათანადო ცოდნის მიცემას.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ჯადოსნური მოთხრობები, — ამბობდა პისარევი, — არ გამოიწვევს წარმოდგენათა მიზანშეწონილ განვითარებას, არ წარმოშობს მანერსა და შეუფერებელ წარმოდგენებს, მაინც ყოველ შემთხვევაში ისინი... არ მისცემენ ჯანსაღ საზრდოს ბავშვის მოაზროვნე ძალებს.<sup>1</sup>

„მოაზროვნე რეალისტის“ აღზრდის იდეას მხარს უჭერდნენ ფ. ტოლლი, ა. ოსტროგორსკი და სხვები, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო ბავშვთათვის მიეცათ სწორი და სრულფასოვანი წარმოდგენა მის ირგვლივ არსებულ სინამდვილეზე, რისთვისაც მათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან ერთად საჭიროდ მიაჩნდათ გეოგრაფიული მეცნიერებებიდანაც ბავშვთათვის მისაწვდომ ფორმებში შერჩეული მასალების მიწოდება. ფ. ტოლლი წინააღმდეგია ბავშვთათვის ზღაპრების მიწოდებისა, სადაც შემეცნებითი და ზნეობრივი ელემენტებიდან გაღარიბებულია ფანტასტიკურობა.<sup>2</sup>

პედაგოგიკურ კრიტიკაში იმ მოსაზრებას, რომ ზღაპრებში, სადაც მოქმედი სახეები ჰიპერბოლური თვისებებითაა დახატული, ბავშვებზე ცუდად მოქმედებენ და ამიტომ არ არის მიზანშეწონილი ბავშვების მიერ მათი კითხვა, — დაუპირისპირდა უშინსკის ჯანსაღი შეხედულება; უშინსკის ზღაპრების „საშინელი სახეები“ არ აშფოთებს, მხოლოდ მოითხოვენ ბავშვთა აღზრდის სწორად წარმართვას — ასეთი ზღაპრების პედაგოგიკურად სწორად გამოყენების თვალსაზრისით.

<sup>1</sup> Д. И. Писарев. Изб. педаг. высказывания. Учпедгиз, 1939, гл. 75.

<sup>2</sup> Ф. Толль. Наша детская литература, М., 1862, гл. 14.

ამასთან ერთად, უშინსკი მოითხოვს ბავშვებს გამოვუმუშაოთ დაკვირების, ცხოვრების მოვლენების სწორად გაგების უნარი. თუკი ამ პირობას მტკიცედ დავიცავთ, მაშინ ზღაპრებში მოქმედი ეშმაკები, ალქაჯები, ცხრათვიანი დევეები თუ ათასგვარი ჭურის ქვეწარმავლები, საშიში აღარ იქნება.

ზღაპრების იგავების იდეურ-მხატვრული ღირებულება მორალისტურ აქცენტირებას არ უნდა დაეჩრდილა და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნებოდა იგი შთაფონების, ემოციური ზემოქმედების შემცველი.

უშინსკის სასარგებლოდ მიაჩნდა სახალხო პედაგოგიკის პირველი და ბრწყინვალე ცდები, სადაც არ არის მორალიზაცია «Природные русские педагоги — бабушка, мать, дед, не слезающий с печи — понимали истинно и знали по отцу, что моральные сентенции приносят детям больше вреда, чем пользы, и что мораль заключается не в словах, а в самой жизни семьи, охватывающей и его души»<sup>1</sup>.

ლაფონტენის იგავების ანალიზისას მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ზნეთსწავლება წინა პლანზე არ არის წარმოდგენილი და, სწორედ ეს მიაჩნდათ მის ღირსებად: «Нравоучительная сторона т. е. та моральная фигура, точной иллюстрацией, которой служит рассказ, отходит у него несомненно на второй план»<sup>2</sup>. ლაფონტენისებრი მორალი მოცემულია თვით მოთხრობაში, მის მხატვრულობაში, მის ლირიკულ დამატებებში, რომლიდანაც ცხადი ხდება პოეტის შეხედულება, მისი გაგება ცხოვრების, ბედნიერებისა და სიკეთისა<sup>3</sup>.

თუ ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ ქართულ ზღაპრებს, რომლებიც ბავშვთათვის საკითხავად იყო განკუთვნილი, ენრობრივად და თემატიკურად მსგავს ნაწარმოებს შევუპირისპირებთ სხვა ქვეყნების ხალხური შემოქმედების კონკრეტული ნაწარმოების იდეურ მიზანსწრაფვასა და ზნეთსწავლებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, უთუოდ ვიპოვით საერთოს, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვან განსხვავებებსაც აშკარად შევამჩნევთ.

ქართული ზღაპრები ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევარში შეიტანეს მოსწავლეთათვის საკითხავად განკუთვნილ წიგნში ისე, რომ მას ბოლოს დართული ჰქონდა მკვეთრად გამოხატული მორალისტურ-დიდაქტიკური ფუნქციის შემცველი ფრაზები. მაგალითად, პლ. იოსელიანის „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართულიმცლთა ახალ-მოქსწავლეთა ყრმათა“ (1849) შეიცავს ხუთ ზღაპარს. მათ შორის ზღაპარი „ქერივი დედა-კაცი და ქათამი“ მთავრდება ასეთი შეგონებით: „ზღაპარი, ესე გუაყნობს, რომ მეტის მოწადენნი, დაკარ-

<sup>1</sup> «Родное слово», «Книга для учащихся», М., 1867, გვ. 70.

<sup>2</sup> Густав Лансон, История французской литературы, М., 1896, т. I, გვ. 709.

<sup>3</sup> იქვე.

ვუმნ მცირესაცა“, ხოლო მეორე ზღაპარში „ჭია და მატლი“ მთავრდება ასეთი მისაწერით: „ზღაპარი ესა გუასწავებს, რომელ კეთილისმყოფელისადმი უნდა ვიყუენეთ მადლობელნი“.

საეულისნმოა ისიც, რომ იოსელიანის წიგნში რუსონიორობის მაგალითებს იძლევა არა მარტო ზღაპრები, არამედ ზოგიერთი მოთხრობაც. მაგალითად, მოთხრობა ცალთვალა ირემსე ახველება შემდეგი სიტყვებით: „აქედამ ვცნობთ, რომ ყოველთვის სიფრთხილე გუპართებს მუხცა, სადაცა არა ვგონებთ შიშსა“ და სხვ.

ასეთი ფრაზები მხოლოდ დიდაქტიკური მიზნით არის მიკვრებული ემოციურ-ესთეტიკური ტკბობის ტექსტს, რომელიც მკვეთრად გამოიყოფა მიმართებითი ფორმით თხრობის საერთო რიტმული დინამიკიდან, რაც ბუნებრივად ქმნის ერთგვარ დინამიკას.

ეს ხდება იმიტომ, რომ ბავშვის მთელი ყურადღება, რომელიც საინტერესო ამბის შედეგად მოვლენათა განვითარებისაკენაა მიმართული, გამოიყენება როგორც საშუალება, რათა ბავშვის გონება ერთბაშად, ცივ დაპირებლობით ფრაზაზე შეჩერდეს, მისი დამატებითი დასწავლის, შეგონების მიზნით. ესაა ასეთი ნაწარმოების შექმნის ძირითადი მიზანი.

მოწინავე ლიტერატურული კრიტიკა და პედაგოგიური აზრი ყოველთვის რეზონიორობის წინააღმდეგ გამოდიოდა.

მ. ნასიძე ეხებოდა რა ზღაპრებს „სესია და ივანა“, სადაც ჩახსნიყვარული სიმართლისადმი, სიმპათია უძღურებისადმი — განსაზღვრავდა მის აღმზრდელობის ფუნქციას, ხოლო „მელის ხრიკები“, რომელსაც აქვს მინაწერი: „ამ ნაირი ბოლო აქვს ყოველს გაუმაბლარს. ჭანჭალსა და მოდავე კაცსა“. — აშკარად მიგვითითებს ტრადიციულად მომდინარე მორალისტური ნაწარმოების მშრალსა და ცივ მინიშნებაზე, რაზედაც ნასიძე გარკვევით ამბობს: „რა საქროა ეს ორგროშინი დარიგება, როდესაც მთელი ზღაპარიც ამასვე ამბობს. როდესაც ზღაპრიდან უფრო ცხადათ ჩანს ასევე. დასკვნაა: რომ თქვენ ეუბნებით, რაღა დარჩეს ბავშვს მოსაფიქრებლად, რილათი ივარჯიშოს მისმა გონებამ“.<sup>1</sup>

ასეთივე აზრი იყო არა მარტო ქართული ან რუსული საბავშვო ნაწარმოებების, არამედ დასავლეთ ევროპის საბავშვო მწერლის იმ ნაწარმოებების მიმართაც, რომლებიც მანც ითარგმნებოდა რუსულ ენაზე; ფრაზები მწერლის დიუმონის მოთხრობები, რომელიც დაწერილია შვიდი-რვა წლის ასაკის ბავშვთათვის, — აღნიშნავდა პედაგოგიკური კრიტიკა, — საინტერესოა იმით, რომ «К ним в конце не прицепляется вечный сеп тога!, без которого француз не окончит рассказ детям, хотя бы он заключался в десяти словах. Вообще

<sup>1</sup> „ივერია“, 1884, № 4.

ფრანუზ რეზონერ, ა რეზონერство для малолетних детей скучно и бесполезно, если не положительно вредно»<sup>1</sup>.

ქართულ საბავშვო მწერლობაში XIX საუკუნის II ნახევარში მკვეთრადაა გამოხატული მოსწავლეთათვის საკითხავ წიგნებში ისეთი ზღაპრების შეტანა, სადაც მორალისტური მშრალი ფრაზები ტექსტს შექანიკურად მიკერებული არ აქვს. ამასთან ზღაპრების სახეებიდან უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის შეარჩიეს განსაკუთრებით მათთვის სახალისო, საინტერესო, მიმზიდველი და მომხიბვლელი ზღაპრები ცხოველებზე, რომელთა კომპოზიციის ნიშნულ თვისებას კომულიტივეურობა წარმოადგენს.

პედაგოგიკური თვალსაზრისით ბავშვებისათვის საკითხავად ზღაპრების შერჩევის ეს პრინციპი, რომელსაც მტკიცედ იცავდა ი. გოგებაშვილი, ძეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ეს საერთოდ მიმზიდველი იყო საბავშვო ნაწარმოების შექმნისა და განვითარების იმ ერთადერთ სწორ გზისა, რომელსაც უნდა გაჰყოლოდნენ როგორც ლიტერატურული ზღაპრების, ისე საბავშვო პოეზიისა და პროზის ოსტატები;

მართლაც, არ არის სადავო, რომ კომულიტივეური ზღაპრები ბავშვებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც ხელს უწყობს, როგორც კითხვით დაინტერესებას, ისე წაკითხულის დამახსოვრებას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ასეთი ზღაპრების სიუჟეტი მარტივია, მოქმედება ვითარდება სწრაფად, დინამიკურად, მოვლენები თახაძიმდევრულად ცვლიან ერთიმეორეს, დიალოგებში კარგადაა გამოკვეთილი პერსონაჟების ხასიათები, განწყობილებანი, გადაწყვეტილებანი, შიში თუ თავშეკავება, გააფთრება თუ მორიდება, წინდახედულება თუ სწრაფი მოსაზრებულობა.

ნაწარმოების ეპიურ ტონს, შიგადაშიგ ჩართული სასიმღერო ტექსტები, ზღაპარს ერთგვარ ლირიკულ ელფერს აძლევს, რიტმულ ცვალებადობასთან ერთად.

ი. გოგებაშვილმა, როგორც მოვიხსენიეთ, ბავშვთა საკითხავ წიგნში პირველმა შეიტანა ხალხური ნაწარმოებები. მან „ფოლკლორის ყოველი ქახრი გამოიყენა: ლირიკული ლექსები თუ სიმღერები, იგავარაკული თქმები, ლეგენდები და ანეგდოტები, მაგრამ ყველაზე ძლიერად წარმოდგენილია ეპოსი და ანდაზა — გამოცანები“.<sup>2</sup>

დიდი პედაგოგი გულმოდგინედ არჩევდა რა ხალხური შემოქმედების ხიშუშებს, ასწორებდა პედაგოგიკური თვალსაზრისით, რითაც ზრდიდა ნაწარმოების აღმზრდელობითს ფუნქციას.

<sup>1</sup> «Журнал для воспитания», 1858, № 2.

<sup>2</sup> თ. გეგიაშვილი. «ქართული პოეტური ფოლკლორი ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოში», თურნ. «კომ. აღზრდა», 1940, № 10.



აღსანიშნავია მის მიერ შერჩეული სხვადასხვა იგავ-არაკი, ზღაპარი, კერძოდ, ისეთი ხალხური ზღაპარი, როგორცაა „რწყილი და კიანკველა“, რომელიც პედაგოგიური თვალსაზრისით სათანადოდ გაასწორა.

ეს ნაწარმოები ბავშვებს მიანიშნებს მეგობრობის უანგარო თავდადებაზე, მეგობრის დახსნისათვის გულწრფელ, დაუხარებელ მოქმედებაზე. ამ მხრივ იგი მეგობრობის მაღალი გრძნობის აღზრდისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია არა მარტო ქართულ. არამედ მსოფლიო ფოლკლორულ ნაწარმოებთა შორის. ამაში დავრწმუნდებით, თუკი მას შევადარებთ მსოფლიო ფოლკლორისტიკაში ამავე თემაზე შექმნილ ცნობილ კომპლიატიურ ნაწარმოებებს. მაგალითისათვის მოვიყვანთ მარგარიტა ორვის მაკკლოსტიის გამოქვეყნებული ინგლისური ხალხური ზღაპრის „კატა და თავისი“ ტექსტთან ქართული ზღაპრის შედარება-შეპირისპირება; ქართულსა („რწყილი და კიანკველა“) და ინგლისურ ხალხურ ზღაპარში („კატა და თავი“) ბევრი ერთგვარი მომენტია მოცემული.

ამბის განვითარების დინამიკა თითქმის ერთნაირია, მაგრამ იდეური საფუძვლებისა და აღმზრდელითი ფუნქციის თვალსაზრისით ქართული ზღაპრის უპირატესობა აშკარაა. ამას ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი სქემა.

ფოლკლორული ნაწარმოები	თემა	პირველადი ხაფუძველი	მორალური საფუძველი	ამბის განვითარების საფუძველი	მხატვრული ფორმა	მოქმედ პირთა მსგავსება	იდეური მიმართება
„რწყილი და კიანკველა“	მეგობრობა	დაძმობილება	უანგარო თავდადება მეგობრისათვის	უანგარო სიკეთე	პროზაული და პოეტურის ნარევი	კატა, თავი, ძროხა	უანგარო მეგობრობის განმტკიცება-განვითარება
2. „კატა და თავი“	მეგობრობა	კატის მიერთვის კუდის მოკვანტა	ეგოიზმით შენიღბული მეგობრობა	წართმეულის უკან დაბრუნებისათვის გადახდილი წყალობა	პროზაული და პოეტურის ნარევი	კატა, თავი, ძროხა და სხვ.	ეგოისტური მოთხოვნის დაკმაყოფილება—გამორჩენა

„რწყილი და კიანკველა“ იწყება დაძმობილებით და იგი ბოლომდე შეურყევლად არის განმტკიცებული; გაჭირვებაში ჩავარდნილის დახსნისათვის რწყილი ყველაფერს აკეთებს და ამბავიც

1 Маргарита Орвис Мак Клости. Детск. сказ. со всего белого света, М., 1911.

მთავრდება მეგობრობის დიადი გრძნობის გამარჯვებით.

კლოსტისეული ინგლისური ხალხური ზღაპარი კატისა და თავვის თამაშით იწყება. თამაშის დროს კატამ თავეს კუდი მოაკენიტა. თავვი ევედრება, დაუბრუნოს საკუთარი კუდი, მაგრამ კატა პასუხობს — კუდს მანამ არ მოგცემ, სანამ ძროხასთან არ წახვალ და რძეს არ მომიტანო. თავვი იძულებულია, კატის მოთხოვნა დააკმაყოფილოს, თორემ კუდს ვეღარ დაიბრუნებს.

ამ მომენტიდან იწყება თავვის ხანგრძლივი მოგზაურობა „თავვი ხტუნვით, თავვი სირბილით“ გაჩნდება ძროხასთან, ძროხა აგზავნის ფერმერთან და ა. შ., ისე როგორც „რწყილი ახტა, დახტა“, მივიდა ღორთან, ღორი აგზავნის მუხასთან და ა. შ.

თუ რწყილი მიაღწევს იმას, რომ ჯაგარი იშოვოს, ბაწარი დაგრიხოს და მძიმე მდგომარეობაში ჩაეარდნილ ჭიანჭველას ჩაუგდოს წყალში და ამით იგი ნაპირზე გამოიყვანოს, სიკვდილს გადაარჩინოს, თავვი დიდი წვალებით იშოვის რა კატისათვის რძეს, თავის კუდს იბრუნებს.

ამ შემთხვევაში ორი უმთავრესი, ერთიმეორის საპირისპირო ორი მორალური ხაზი მკვეთრად გამოკვეთილი:

1. რწყილს ყველა ეხმარება კეთილშობილურ საქმეში — მეგობარი სიკვდილს რომ გადაარჩინოს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვებს საკუთარი სარგებლობა არ ავიწყდებათ. ამის გამო, ვისაც კი რწყილი დახმარებას თხოვს, სამაგიერო სიკეთის მოთხოვნით ყველანი შეგნებულად ეხმარებიან. ამ ურთიერთდახმარებას ს ა ფ უ ძ ვ ლ ა დ მ ე გ ო ბ რ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი დ ა ნ დ ა ხ ს ნ ა უ დ ე ვ ს. ე ს ა რ ი ს უ მ თ ა ვ რ ე ს ი.

2. თავეს ყველანი ეხმარებიან იმიტომ, რომ საკუთარი კუდი დაიბრუნოს. აქ მამოძრავებელია წამგლეჯის გულის მოგება, რომელიც ეგოიზმით გაქლენილი ყველაფერს იკადრებს. დაზარალებულის მიმართ ყველანი კეთილად არიან განწყობილი, მაგრამ საკუთარი სარგებლობა მაინც არც ერთს არ ავიწყდება. თავვი ერთსა და სხვებსაც აკმაყოფილებს იმ მიზნით, რომ წართმეული საკუთარი კუდი დაიბრუნოს. აქ ე ს ა რ ი ს უ მ თ ა ვ რ ე ს ი.

ეს ნათლად ჩანს ორივე ზღაპრის ფინალის შედარება-შეპირისპირებით:

1. „რწყილი და ჭიანჭველა“ — „რწყილი წავიდა, დაგლიჯა მინდორში ბალახი და ძროხას მიუტანა. ძროხამ მისცა რძე, რძე მიუტანა კატასა, კატა დაეხსნა თავესა, თავვი მოშორდა ორმოსა, ორმომ მისცა ფეტვი, ფეტვი მიუტანა კრუხს, კრუხმა მისცა წიწილა,

წიწილა მიგვარა ყვავსა, ყვავი დაეხსნა მუხასა, მუხამ მისცა რკო, რკო შიუტანა ღორსა, ღორმა ჭაგარი უთავაზა, ჭაგრის ბაწარი დაგრიხა რწყილმა და ჩაუგდო წყალში კიანჭველას, რომელიც ბალახს მოსჭიდებოდა, კიანჭველა ბაწარზედ შეჭდა, რწყილმა ბაწარი გამოსწია, კიანჭველა ნაპირს გამოიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა — მერჲე ისევ ძმურად გაუღგენ გზას“.

11. „კატა და თავგი“ — პურის მცხოპელმა თავეს მისცა პური, თავემა პური მიუტანა ხორცის პატრონს, ხორცის პატრონმა თავეს მისცა ხორცი, თავემა ხორცი მიუტანა ფერმერს, ფერმერმა მისცა ბალახი, თავემა ბალახი მისცა ძროხას, ძროხამ თავეს მისცა რძე, რძე მიუტანა კატას, ხოლო კატამ თავეს საკუთარი კული დაუბრუნა“.

მართალია, ორივე შემთხვევაში ერთი მორალური ფონი ნათლად ჩახს — ერთიმეორისაგან სიკეთის, კარგი საქმის გაკეთების მოთხოვნა და პასუხადაც სიკეთის გამოჩენა, ე. ი. სიკეთის სიკეთით გადახდა, მაგრამ საწყისი ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისებითაა შეპირობებული. პედაგოგიკური თვალსაზრისით, მათი აღმზრდელობითი ფუნქციის მიხედვით, ორი სხვადასხვა გარემოება გვხვდება, რაც საბოლოოდ შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

1. ინგლისური ზღაპარი არ არის უანგარო მეგობრობის ნიმუში: აქ ნათლად ჩანს კატის მსუნაგობა, ეგოიზმი, ეს უკანასკნელი უარსაყოფია, რადგან „წყვილიადისა და ბოროტების სული სხვა არაა ფერია, თუ არა ეგოიზმი“.<sup>1</sup>

2. ქართულ ზღაპარში რწყილი დარბის მეგობრის დასახსნელად. მას პირადი გამოარჩენა არ ამოძრავებს. მთელი მისი მოქმედება მხოლოდ ერთი კეთილშობილური მიზნითაა ნაკარნახევი — მეგობრის გადარჩენისათვის საჭირო საშუალებები როგორმე გამოიხაოს. ამ გზაზე ბევრი სიძნელე შეხვდა, მაგრამ საკუთარი თავდადებით, დაუზარებელი შრომითა და მოქმედებით იხსნა „დამშობილებული“.

ამგვარად დახსნის ობიექტი, არის მეგობარი. სუბიექტი თავისთავზე არ ფიქრობს, მისი თავდადების გამომწვევე ობიექტიდან გამორჩენას არ ცდილობს.

ინგლისურ ზღაპარში სუბიექტი მოქმედებს საკუთარი უბედურების გაშო; ზრუნვა საკუთარი თავისათვის არის ის მამოძრავებელი ფაქტორი, რაც ობიექტის განწყობილებას განსაზღვრავს და აიძულებს სხვას მის სასარგებლოდ იზრუნოს.

<sup>1</sup> В. Белинский. Полное собр. соч. М., 1953. т. 2. гл. 199.

ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების მიზნების შესაბამისად XIX საუკუნის II ნახევარში სწორად იყო განსაზღვრული ბავშვთათვის საკითხავად ზღაპრების გამოცემების ძირითადი პრინციპები; მოზარდი თაობისადმი ზღაპრების მიწოდების შერჩევის პრინციპს სამართლიანად დაედო საუძველად აღმზრდელიობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია.

ა. რას წერს ქართული მწერლობის ერთ-ერთი მოამბე ივანე გომართელი: „ზღაპარი არის ერთი იმგვარი მოთხრობებთაგანი, რომელიც, როგორც თავისი შინაარსით, აგრეთვე გარეგანის ფორმით, ძალიან შექმნის ყმაწვილების ხასიათს, მის კეთილ-გონებას და მოთხოვნებს, მაგრამ ზღაპარიც არის და ზღაპარი. არის ზღაპარი, რომელშიც სხვა და სხვა სასწაულსა და გასაოცარ მოვლენათა გარდა, სხვა არაფერი არ მოიპოვება. ამგვარი ზღაპარი მართალია მთლად იპყრობს ყმაწვილის გულსა და გონებას, მაგრამ არამც თუ არაერთარ სასარგებლო საზრდოს არ აძლევს მის ცნობის მოყვარეობას, არამედ სჩაგრავს მის თვით-მოქმედებას და უკრთობს მას თავისუფალს სურვილს და მიდრეკილებას. არის კიდევ ზღაპრები, რომელნიც გვიხატავენ ადამიანის თუ ცხოველის განსაკუთრებულ ხასიათებს; აგრეთვე ზღაპრები, რომლებშიც აღწერილი არიან ხალხის საყვარელი გმირები და აგრეთვე იგავ-არაქნი, რომლებშიც ცოცხლად თვალ და თვალ იხატება ბუნება, ადამიანისა და სხვა ცხოველების ხასიათები, ღირსებანი და ნაკლოვანებანი. მაშასადამე, ზღაპრების ხმარებაში წასაკითხავად გვმართებს გაფრთხილება, რომ „სასარგებლო და შემრგო შინაარსი მსხვერპლად არ იქცეს გარეშე მიზიდველობისა და ინტერესისა“.<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში ბუნებრივია, რომ მოწინავე პედაგოგიკურ აზრს დღის წესრიგში მკვეთრად დაესვა საკითხი ზღაპრების პედაგოგიკური თვალსაზრისით შერჩევა-გამოყენების შესახებ, ახალი თაობის აღზრდის ეპოქისეული ამოცანების შესაბამისად, რის საფუძველზედ ახალ თაობისათვის „ხელმისაწვდომი გამხდარიყო მთლად ისეთი ზღაპრები, რომელშიც გამოსკვივის ბევრი მოსწრებული სიტყვა და აზრი, კეთილშობილური გრძნობა და ჩვეულება ხალხისა“.<sup>2</sup>

ი. გოგებაშვილს, როგორც ცნობილია, ხალხურ შემოქმედებაში სწორედ პედაგოგიკური თვალსაზრისით შექპონდა აუცილებელი

<sup>1</sup> „ივერია“, 1878, № 30.

<sup>2</sup> „კრებული“, 1873, № 7.

ცვლილება-შესწორებანი.<sup>1</sup> ამაზე მიუთითებს იგ., როდესაც წერს, რაში მდგომარეობს ხსენებული ცვლილებანი და რამდენად საკურონი იყვნენ იგინი პედაგოგიური მოსაზრებით, ჩვენ მოვიყვანთ აქ ხალხური ლექსის რედაქციის ნიმუშებს.

#### ხალხური

ბიკო, ვისი ხარ ლამაზი,  
დაურიღი დედა-შენსაო,  
საქმე რომ არა გქონდეს-რა,  
ჩამოირბენდე ჩვენსაო;  
მოგიხდი წითელ ღვინოსა,  
მეც მოგიჭლები გვერდსაო,  
დაელე და დაგაღვიწებ.  
პატარა აზარტუშასო.

#### გოგებაშვილისეული რედაქცია

ბიკო, ვისი ხარ მალხაზი,  
დაურიღი დედა შენსაო,  
საქმე რომ არა გქონდეს რა  
ჩამოირბენდე ჩვენსაო;  
გადგიშლი წიგნსა პატარას  
მეც მოგიჭლები გვერდსაო,  
გასწავლი წერა-კითხვასა,  
არაკებს გეტყვი ძველსაო,  
ვიმღერებ და შენცა გამღერებ,  
ლექსებს გასწავლი ბევრსაო.

#### ხალხური

ყაყაროსა სიწითლითა  
ყანა დაუმშეენებია,  
წითელ ნუნუას ვაჟაკის  
საღლი გაუხარებია.

#### გოგებაშვილისეული რედაქცია

ყაყაროსა სიწითლითა  
ყანა დაუმშეენებია,  
უმწვილსა კარგი სწავლითა  
სახლი გაუხარებია.

---

<sup>1</sup> დაწერილებით იხ. პრ. კეკელიძე, ქართული ენისა და ლიტ. სწავლების საკითხები საშ. სკოლაში... 1952 წ., გვ. 117—131.

## ხალხური

კურდღელი ჩამოცანცალდა  
ფეხმოტეხილი საწყალი,  
ზურგზე ეკიდა საგზალი,  
თუნგ ნახევარი მაქარი.

### კოგებაშვილისეული რედაქცია

კურდღელი ჩამოცანცალდა  
ფეხმოტეხილი საწყალი,  
ზურგზე ეკიდა საგზალი  
კომპოსტო ნორჩი, ახალი (ხაზი ჩენია — ა. ჩ.).

პედაგოგიკური თვალსაზრისით, ზემოხსენებულ ხალხურ ნაწარ-  
მოებებში, სათანადო ტექსტუალურ ცვლილებებთან დაკავშირებით  
ცხადი ხდება ი. გოგებაშვილის მიერ შეტანილი ცვლილებების პრინ-  
ციპები და მისი მიზანშეწონილობა.

ზემოთ წარმოდგენილი ლექსების პირველი ტექსტი („ბიჭო, ვი-  
სი ხარ მალხაზი“), რომელიც მიმართვითი ფორმით იწყება, გამოსა-  
ვალ პოზიციად თავისუფალი დროის ფაქტორს თვლის; იმ დროს,  
როცა „საქმე არა გქონდს-რა, ე. ი. თავისუფალ დროს უკავშირებს  
ნატვრით სურვილს—„ჩამოირბენდე ჩვენსაო“, იმ მიზნით, რათა  
მოიღვინოს წითელი ღვინით.

ი. გოგებაშვილმა თავისუფალი დროის ფაქტორის გამოყენების  
ძირითად მიზნად ახალი თაობის აღზრდის უპირველესი ამოცანის გან-  
ხორციელება განადა; მიწვევის შემთავაზებელი, მასწავლებლის ფუნქც-  
ციის შემსრულებლად გამოიყვანა, რომელიც ბავშვს „წიგნს გადაუშ-  
ლის“, გვერდით მიუჯდება და წერა-კითხვას შეასწავლის, „არაკებს  
ეტყვის ძველს“, ასწავლის სიმღერებს, ლექსებს და ამ ახალის თქმით  
ახალი ცხოვრებისათვის მოამზადებს.

მეორე ხალხურ ლექსში („ყაყაჩოსა სიწითლითა“) ვაჟაკის სახ-  
ლის გახარების ძირითად მიზეზად „წითელი ნუნუა“ არის წარმოდ-  
გენილი, რაც ახალი თაობის აღმზრდელობითი ფუნქციიდან დაშო-  
რებულია.

ტექსტის პედაგოგიკური თვალსაზრისით შეცვლა ისე, რომ შე-  
ნარჩუნებულია ხალხური ლექსის ბუნებრივი მდინარება, მისი რიტ-  
მულობა და ინტონაცია, ადასტურებს ი. გოგებაშვილის პრინციპე-  
ბის სისწორესა და აუცილებლობას.

მესამე ხალხური ლექსის („კურდღელი ჩამოცანცალდა“) ტექს-  
ტის შეცვლა რეალიზმის პრინციპებს ექვემდებარება. ამის შედეგად-

იქმნება სრულიად ბუნებრივი, რეალისტური სურათი, რომელიც მოსახვედრებს ბავშვთათვის ადვილია, რადგან იგი ნაცნობ გარემოს ეკავშირდება.

ამგვარად, პირველი ორი ხალხური ლექსის ტექსტის შეცვლა სრულიად ბუნებრივად, ოსტატურად ექსოვება გოგებაშვილის დაუღვრომელ სწრაფვას — ახალი თაობისათვის ცოდნის წყურვილის ვადვივებას, იმის შეგნების გაღვიძებას, რომ მთავარია სწავლა, ცოდნის შეძენა, რომელსაც მის განკარგულებაში არსებული დრო მთლიანად უნდა მოახმაროს.

მაგრამ რაც დამახასიათებელია, ეს მიღწეულია არა მშრალი დიდაქტიზმით, არამედ დიდი ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენის შემცველი სალექსო სტრუქტურებით, რომელიც მეტად მიმზიდველ ელემენტებს იხარჩუნებს და სადა, ხალხური ენით ბავშვთათვის ადვილად შეეცნობადი, სახალისო და დასამახსოვრებელი ხდება.

გოგებაშვილი სახალხო ზღაპრის მოქმედ პირსაც უცვლის სახელს, ესთეტიკურ-პედაგოგიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე; ხალხურმა ზღაპარმა ი. გოგებაშვილის მიერ ამ მხრივაც სათანადო ცვლილება განიცადა. ხალხურ ზღაპარში „ტილი და რწყილი“ — მან „ტილის“ ნაცვლად იხმარა „ჭიანჭველა“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „ფრიად საჭიროა, რომ სახალხო ნაწარმოებების კრებულში ეს მეტად თავისებური ზღაპარი იბეჭდებოდეს ისე, როგორც ხალხში არის დარჩენილი: „ტილი და რწყილი“.

ცნობილია, ისიც რომ პედაგოგიკური თვალსაზრისით (ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ბავშვისათვის გასაგები და მისაწვდომი რომ იყოს) სათანადო ცვლილებები შეიტანა აგრეთვე ლექსში „მოდი, ვნახოთ ვენახი“, რაზედაც თვითონვე ამბობს: „ჩვენ მოვხდინეთ მხოლოდ ერთი პატარა ცვლილება. ჩვენ ეს ლექსი გავიგონეთ ოთხმოცი წლის მოხუცისაგან, რომელიც ასე იწყებდა ამ ლექსს: „ია“ ვნახოთ ვენახი“. თვით ჩვენთვის დღემდის გაუგებარია აქ ეს ტერმინი: „ია“, მით უმეტეს ვერ გაუგებს მას პატარა ბავშვი იმიტომ, შევცვალეთ იგი გასაგებ სიტყვაზე — „მოდი“.

„მოდი, ვნახოთ ვენახი“ სათაურით „სიმღერა“ დაბეჭდილია „ქართულ ანბანში 1867 წ. რომელიც ასე იწყება „ია ვნახოთ ვენახი, რამ შექამა ვენახი...“

ასევეა იგი დაბეჭდილი 1878 წ. გამოცემაში (მე-6 გამოცემა).

არ არის სადავო, რომ ყველა ღონისძიება, რომელიც ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით ფოლკლორის, მხატვრული სიტყვის ჭეროვნად გამოყენებას ითვალისწინებს, ყველა სხვა საშუა-

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი. რჩეული პედაგ. და პუბლიც. ნაწარები, თბილისი, 1977, ტ. 1, გვ. 489.

ლებასთან ერთად, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია ბავშვობიდანვე აღამიანის პარმონიული განვითარებისაკენ.

ეს არის უდიდესი ვალი, როგორც სიტყვაკაზმული მწერლობის, ფოლკლორული ხაწარმოებებისა, ისე პედაგოგიური პრინციპების საფუძველზე გათვალისწინებული აღმზრდელობითი ხასიათის მრავალსახეობისა, რომლის ერთ-ერთი დასაყრდენი მხატვრული სიტყვაა, მაგჩამ იგი ბავშვის ცნობად გონებრივ-სულიერ და ფსიქოლოგიურ მონაცემებს უნდა იღებდეს გამოსავალ პოზიციად.

ეს ქეშმარიტება კარგად ესმოდა აკაკის და ამიტომაც აკაკის მიერ ფოლკლორიდან აღებული სიუჟეტი მხატვრულ სახეებში ამ მიზნით არის ჩამოსხმული იმგვარად, რომ მას დიდი ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენის ძალა გააჩნია.

ეს რომ კარგად გავიგოთ, აუცილებელია იმის წინასწარ გარკვევა, თუ როგორ ესმოდა აკაკის ბავშვის რთული და მეტად საინტერესო ბუნება, რომელიც განცდათა, ინტერესთა და მისწრაფებათა თავისებურ კომპლექსს წარმოადგენს, რომლის ამოცნობა მოითხოვს ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმად ცოდნას, დაკვირვებასა და დასკვნებს ასაკობრივი პრინციპების მტკიცე დაცვით.

ეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბავშვებთან დამოკიდებულებაში ინდივიდუალურ თავისებურებათა გასათვალისწინებლად, მათთვის შესაბამისი წაწარმოებების შესაქმნელად, რაც თვით ფოლკლორიდან სათანადო ნიმუშების შერჩევასაც აუცილებელს ხდიდა.

აი, როგორ გვიხატავს აკაკი ბავშვების მეტად რთულ ფსიქოლოგიას, ინტერესთა სფეროსა და ცნობიერების ობიექტურ არეს: „ბავშვებს საზოგადოდ თავის საკუთარი საყმაწვილო ასპარეზი აქვს, დიდობისას არ ჰგავს, მაგრამ მათი ნორჩი ბუნება მაინც მოითხოვს, რომ ის ასპარეზი დიდებისას დაამსგავსოს ხოლმე თავის გუნებაში და დიდებს მიჰბაძონ. — შავალითად, ბავშვები რომ იარაღში ჩამჯდარი ცხეხონებს უყურებენ, ისინიც ჯოხის ცხენზე გადაჯდებიან, დიდგულას თოფს ხელში აიღებენ, ხის ხმალ-ხანჯალს ჰხმარობენ და ჰგონიან თუ, მართლა საქმეში ვართო.

ეს ხომ სასაცილო ბავშვობაა, მაგრამ ამას თავისი კარგი და სასარგებლო შედეგი მოაქვს: როდესაც ასაკში შედის ბავშვი და ძაღლობის იკრებს, მაშინ მისთვის უცხო აღარ არის არც ცხენოსნობა და არც თოფ-იარაღი და ისე აღვილად ითვისებს, თითქო დაბადებიდანვე სცოდნიათ. ახლა გამოიყვანეთ და დაუყენეთ გვერდით იმას მისთანა ჰაბუკი, რომელსაც ყმაწვილობაში არა თუ არ ჰქონია სათამაშო თოფ-იარაღი და ცხენი, პირიქით, კიდევ აშინებდნენ აბა, რა შოუვიდეს! მოახერხებს იმ პირველი ჰაბუკის ოდენობას, თუ არა?! ესევე უნდა ვსთქვათ აზრების შესახებაც, განა რჯულისა



და საოწმუნოებისა ესმისთ რამე ყმაწვილებს? მაგრამ სიყრმიდანვე რომ ეჩვევიან, ძალაუწებურად საუკუნოდ ძვალსა და რბილში უჯდებათ. სიყვარულიცა და სიძულელიც იმ თავითვე ბავშვობიდანვე იწყება... (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.) აბა ყმაწვილს ელაპარაკეთ ზიზლით და აგდებით თავის მშობლებზე, თავის ქვეყანაზე, თავის წარსულზე და სხვ. თუ ყველა არ შეიძულოს, და დიდობის დროსაც მათი ზიზლი არ ჩაჩეს გულში. პირიქით, უქეთ მტერი და ორგული, აღტაცებით და მოწონებით ესაუბრით მათზე, თუ არ შეიყვაროს. ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრი კი მაინც იმ აზრის არის (რასაკვირველია, ან იეზუიტობით და ან სისულელით), რომ არც ერთის თქმა არ არის საჭირო პატარებისათვის და, რომ დაიზრდებიან, თვითონვე მიხვდებიანო!.. ამის მთქმელს ისიც შეუძლიან სთქვას: „რა საჭიროა ბავშვებს რომ ძუძუს აწოვენთ!.. რომ გაიზრდებიან თვითონვე დაიწყებენ მწეადის ჭამას!“<sup>1</sup>

ხალხური შემოქმედების იმ მიზნით გამოყენებას, რომ ბავშვებში თავიდანვე გარკვეული ზეგავლენა მოეხადინოთ „საქყო და სახანო ჭეშმარიტების“ ცნობიერად შესათვისებლად, რასაკვირველია, იგავი, არაკი, ზღაპარი, ლეგენდა, გამოცანა მოფიქრებით უნდა შევარჩიოთ, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ილიას თქმით „ქკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწერთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად“.

ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხურ შემოქმედებაში ჩაქსოვილ აზრს და ამით განსაზღვრავდა მის მნიშვნელობასაც.

ამის ერთ-ერთი დადასტურებაა მისი აზრი არაკის შესახებ: „იყო და არა იყო რა. „იყო“ შიგ ჩამარხული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო. „რა“ ეკუთვნის ისეთ ამბავს, რომელშიც ცოცხლად, ცხოვლად არის ჩამარხული აზრი, იზიდავს ადამიანის გულისყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც — კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ შოგონილ ამბავს. ამ სასწაულს სწადის ხელოვნება“. რა ოქმა უნდა, ასეთ ნაწარმოებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვების, მოზარდი თაობის გონებისა და ცნობიერების განვითარებისათვის.

აკაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებით გამდიდრებას, ხალხური საუნჯის მიხედვით თვითონაც ქმნიდა შესაბამის ნაწარმოებებს.

ნ. ნიკოლაძესთან პაექრობაში გამოთქმული მოსაზრებანი კარგად

<sup>1</sup> იხ. „თეატრი“, 1890, № 8.

გამოხატავენ იმ მიზანს, რასაც ემსახურებოდა დიდი პოეტი ივანე-  
ბის, ზღაპრების, არაკების შექმნით; აკაკის „მერცხლისა და ჭიჭი-  
ვის ომი“, რომლის იდეურ-მხატვრულ ღირებულებას შეეხო ნ. ნი-  
კოლაძე, იდეური შინაარსის მხრივ აკაკის განმარტებით, შეზღვევში  
მდგომარეობს: „აი მხოლოდ რა აზრი შეიძლება გამოიყვანოს კაც-  
მა ამ ლექსიდან: „ძალიან გამრავლებულნი არიან დღეს ჩვენში მერ-  
ცხლები მამულიშვილები, ღორ-მუცლობის პატრიოტობა უკიდურეს-  
ხარისხამდეა მიყვანილი, ისე ღვინოს არ დალევენ, მწვადით პირს  
არ ჩაიტკბარუნებენ და ლეჩაქიან ქალს ალერსს არ დაუწყებენ, რომ  
არ დაიძახოს „გაუმარჯოს საქართველოს!“ მაგრამ იმავე საქართვე-  
ლოს გულისათვის არამც-თუ არ გაირჩებიან, წარბსაც არ შეიხრიან.  
მხოლოდ ლხინი და ქეიფი მოსწონთ და ჭირს-კი თავს არიდებენ და  
თვითონ ჩვენს მწერლებშიც განა ცოტანი არიან მისთანები, რომელ-  
ნიც უცხო ენაზედ სწერენ არა იმ განზრახვით, ჩვენს მხარეს სარ-  
გებლობა მოუტანათო, მხოლოდ იმ მოსაზრებით, თავი უფრო მე-  
ტად გამოვიჩინოთო, მაშ, რა არიან ყველა ესენი თუ არა მერცხ-  
ლები, რომლებსაც ჭიჭიკები ეუბნებიან ზამთარი გძულსო ჩვენი  
ქვეყნისა და ზაფხული კი მოგწონთო; სანამდი ჭიჭიკი და ნავარდი  
შეგძილიათ, ჩვენთანა ხართ და რო აცივდება, სხვა მხრით გიჭირავთ  
თვალით, გიყვართ ლხინი და ჭირს კი ერიდებით. ეს გამოთქმა, მე  
მგონია, უფრო პირდაპირი და რაინდული იყო, ვიდრე იეზუიტური  
და გვიკვირს, ბ. ნიკოლაძეს რად ასე თავისებურად გაუგია“.<sup>1</sup>

ასევე მიზნობრივი ამოცანების განხორციელებისთვისაა გათვალის-  
წინებული პოეტის ნათარგმნი და ორიგინალური იგავ-არაკები, რო-  
გორცაა „მაიმუნი და სათვალე“, „ბატები“, „მელაა და წერო“, „დათ-  
ვის წვეულება“, „ხარაბუზა და ფუტკარი“, რომლებიც იდეურ-ში-  
ნაარსობრივი თვალსაზრისით დღესაც ინარჩუნებენ ცხოველმყოფე-  
ლობას;

„ხალხური ელემენტებითაა სავსე საბავშვო ზღაპარი პოემა „ალექ-  
სი“. ეს ზღაპარი პროტესტია თვითმპყრობელური უხეში პოლიტიკის  
წინააღმდეგ. ზღაპარი ტრადიციული ფორმულით იწყება: იყო და  
იყო:

ღვთის უკეთესი არა იყო რა...“

...ხალხურ მოტივებს, არჩევს აგრეთვე საბავშვო არაკში „აურ-  
დღელი“, „ბრიყვი და ჭკვიანი“, „ნაცარქექია“ და სხვ.<sup>2</sup>

ლიტერატურული ზღაპრის შესაქმნელად აკაკა გულდასმით არ-

<sup>1</sup> „თეატრი“, 1890, № 10, გვ. 3.

<sup>2</sup> ქ. სიხარულიძე. ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბი-  
ლისი, 1956 წ. გვ. 77—99.

ჩვენს ხალხური ზღაპრების ვარიანტებიდან ისეთს, რომელიც უფრო მიზანშეწონილია ბავშვთათვის ზნეობრივი და პედაგოგიური თვალსაზრისით და თავისებური გადაკეთებით ქჷნის ზღაპრის ახალ მიზანშეწონილ სახეს. ნომუსისათვის დავასაწელოთ „ნაცარქეჩია“.

აკაკის „ნაცარქეჩიაში“ არ არის გამოყენებული ხალხურ ვარიანტში გამოკვეთილად ნაჩვენები ნაცარქეჩიას ცოლის ოინები და ზოგიერთი სხვა ეპიზოდით, რაც ეთიკური თვალსაზრისით ბავშვთათვის მიზანშეწონილი არ არის.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა მნიშვნელოვნად გაამდიდრა იგავ-არაკული ჟანრით რ. ერისთავმა, რომლის ნაწამოებებია 1878 წელს ცალკე იქნა გამოცემული სახელწოდებით „იგავ-არაკნი კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან, გალექსილნი რაფიელ ერისთავისაგან“.

პოეტი ამის თაობაზე წერს: „მე გამოვკრიბე თხუთმეტი რჩეული იგავ-არაკი საბა ორბელიანისაგან შედგენილს „სიბრძნე სიცრუისასაგან“ და გავლექსე იმ განზრახვით, რომ ყმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდნენ ბოროტსა მიმოდრეკილებასა და შეისწავლონ ქველებური ქართული მდაბიო ენა, რომელთაც საბა ორბელიანი გუიხატავს არაკებში მოქმედ პირთა. დასასრულ, იგავის ასახსნელს მუხლებში ჩაურთე ქართული ანდაზები“.

პოეტის განზრახვა ცხადია, მას სურს: ა) იგავ-არაკების ახალი თაობის ზნეობრივი აღზრდისათვის გამოყენება; ბ) ხალხური ენის ახალი თაობის მიერ დაუფლება; გ) მათი გონების გამდიდრება ქართული ხალხური ანდაზებით. ამავე მიზანს ემსახურება კრილოვიდან თარგმნილი ნაწარმოებებიც.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ინტერესებს, ამოცანებსა და მიზნებს დაქვემდებარებული ლიტერატურული ზღაპრები, ლეგენდები, იგავ-არაკები, რომელთა ბრწყინვალე ნიმუშები შექმნეს ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, რაფიელ ერისთავმა, გიორგი წერეთელმა, თედო რაზიკაშვილმა და სხვებმა, საუკეთესო ტრადიციების განვითარებას, გაგრძელებას პოულობენ საბავშვო ჟურნალებში საბავშვო მწერლობის გულშემატკივართა, მოამბავთა მიერ სისტემატურად გამოქვეყნებულ შესაბამის ნაწარმოებებში.

ამჟამად, ჩვენს მიზანს სცილდება ყველა მათი თავმოყრა და სრულყოფილი ანალიზი, მაგრამ ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებში (XIX საუკუნის II ნახევარი) არ შეიძლება მიზანშეწონილობის საფუძველზე რამდენიმე ტიპური მაგალითის მიხედვით სათანადო დანაკენები არ გამოვიტანოთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს საკითხი შემდგომი სპეციალური მეცნიერული კვლევის ობიექტია, თუ არ ნაწილობრივ შევევებით, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ერთგვარად ვუჩვენოთ საბავშვო ლიტერატურული ზღაპრები, იგავ-არაკები. ლეგენდები როგორ გამოიყენებოდა ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში იდეურ-თემატიკური თვალსაზრისით. ჩვენი ვალია მოვიხსენიოთ საბავშვო ჟურნალებში იმ დროისათვის დაბეჭდილი ზოგიერთი უპრეტენზიო ავტორის ნაწარმოებები.<sup>1</sup>

აი, ზოგიერთი მათგანი:

I. 3. ყიფიანი, ზღაპარი „მუქთახორა“ (1885 წ.).

ზღაპარი ტრადიციული ფორმულით არც იწყება და არც მთავრდება. მთავარი მოქმედი პირის სახელი ზღაპარში ჩვეულებრივად არის მოცემული. იგი მისთვის ნიშნეული თვისების მიხედვით განზოგადებული სახით იწოდება „მუქთახორად“. ზღაპარი ბავშვებს მოაგონებს მუქთახორას უარყოფით თვისებებს; დაუკვირვებლობა, სიზარმაცე სიბრიყვე და უშრომლად მეტის მდომელობა, რის შედეგადაც საბოლოოდ თვითონ იღუპება.

ეთიკური დასკვნა, რომელიც ბუნებრივად შეიძლება გამოიტანოს ბავშვმა, არის ის, რომ ზარმაცი ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი სატირალ-სასაცილოა, მას ამ ქვეყნად ტკბილი ცხოვრება არ უწერია.

II. მოსე ჯანაშვილი, ლეგენდა — „ყვავის საყდარი“ (1885 წ.).

პერსონიფიკირებული ლეგენდის ძირითადი იდეა ხალხისათვის თავდადებაა. აქ ეპიური თხრობით მეტად მარტივი ამბავია გადმოცემული, მაგრამ ბავშვთათვის იდეურ-მორალური შთაგონების თვალსაზრისით ძლიერ საგულისხმო: მომკვლებს სუფრა გაუშალეს, მაგრამ, ჭერ იყო, ყვავი ჩხავილით შემოჭდა მუხაზე. მომკვლებმა ჭამა და სძა დაიწყეს. მზარეულიც ის იყო, დიდ ქვაბთან მივიდა მოხარული წვენი ამოსაღებად და სწორედ ამ დროს ყვავი ქვაბში ჩაიჭრა „გაითუთქა და შიგ ჩაიღრჩო“.

ავტორი ამ მოულოდნელ ამბავს შემდეგი სიტყვებით ხსნის: „თურმე ყვავს წინაღვე დაენახა, ხიდან გველი რომ ქვაბში ჩავარდა. მზარეულის შეუმჩნევლად, და თავის ჩხავილით უნდოდა ხალხისათვის გაეგებინებინა, რა განსაცდელი მოელოდათ, მაგრამ ჩხავილით რო ვერა გააწყო რა, გადაწყვიტა თავი დაედო და თავისი სიკვდილით ასიოდე კაცი საშინელი სიკვდილისაგან იხსნა“.

<sup>1</sup> უნდა აღვნიშნოთ ნ. მთვარელაშვილის მიერ მოწაფეთათვის შედგენილი სოლ-ნა-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიკრულიდან“ გამოკრეფილი არაკების კრებული. რომელზედაც პრესა აღნიშნავდა, რომ შეუღარებელ საუნჯედ უნდა ჩაითვალოს ჩვენი სკოლებისათვის („მწყემსი“, 1894, № 1).

ხალხისათვის თავგანწირვის გრძნობის აღზრდა, აი, საით მიანიშნებდა აღნიშნული ლეგენდა პატარა მკითხველს.<sup>1</sup>

III. ალექსი მირიანაშვილის იგავი „მეურმე და კამეჩები“ (1891 წ.).

იგავის შინაარსი მარტივია, კამეჩები დღე და ღამე ურემში ება და პატროხს ქირაზე დაჰყავდა. კამეჩებმა იფიქრეს, ურემს გადავაბრუნებთ, რომ იგი ერთიანად დაიმსხვრეს და მერე კი ჩვენც თავისუფლად ვივლითო. მართლაც, „კამეჩებმა ურემი გადააბრუნეს, მაგრამ მეურმემ სხვანაირად გასაჯა: აიღო ვალი და უფრო ფართო და მკვიდრი ურემი შეიძინა.

— დასადებს მეტს დავუდებ და ქირასაც მეტს ავიღებო“.

ამ იგავის აზრი არაა ძნელი მისახვედრი: თავისუფლებისათვის შეუგნებელმა ბრძოლამ კიდევ უფრო მძიმე უღელი დააჯგა შრომისა და ჯაფის გამღებს. აქედან ლოგიკური მინიშნებაც ცხადია: მთავარია არა საწარმოო საშუალებათა წინააღმდეგ, არამედ ექსპლუატატორის წინააღმდეგ ბრძოლა;

იგავის ძიხედვით ბავშვი ამ აზრს გამოიტანს: კამეჩების დღე და ღამე მძიმე მუშაობის მიზეზია არა ურემი, არამედ მისი პატრონი, რომელმაც ურემს დამტვრევის შემდეგ, უფრო ფართო და მკვიდრი ურემი შეიძინა“ და კიდევ უფრო მეტად იწყებს მათს ექსპლუატაციას.

შრომისა და ჯაფის გამღებს შველის არა საწარმოო საშუალე-

---

<sup>1</sup> გაზეთ „დროებაში“ (1885 წ. № 69, გვ. 1—2) ს. გუნცაძე (ს. მგალობლიშვილი) მკაცრად გამოეხმაურა მ. ჭანაშვილის „ყვავის საყდრის“ ტექსტის უზუსტობას. იგი აღნიშნავს, რომ ლეგენდა ყვავის საყდარი ქართლში ბევრგან არის ამგვარი შინაარსით, ხალხში გაერცელებული. ენაც კარგია, მაგრამ ერთ შეუსაბამობას აქვს ადგილი ამ ხალხურ ლეგენდაში. საქმე შეეხება მომკვლეობის მიერ აკაის ლექსის სასიძღვროდ გამოყენებას; საღ „ყვავის საყდარი“ და საღ აკაის ლექსის მღერა „პოპუნაში“. ლექსი „სიძღვრა მკის დროს“ ეკუთვნის სამოც წლებს; ლეგენდა კი ხალხისაგან შედგენილია ომარხანობის დროს — როგორც ჩვენში იტყვიან. და იმ ომარხანობის დროს, როცა ხალხს ლეგენდაც არ შეეღვინა ჭერ, მხოლოდ თვალ-წინ კი ჰქონდა, გლეხები მღერიან აკაის ლექსს. წაღი და შენ ამით ღმერთი სთხოვე. აი, ამისთანა უგვანობას ჰქვიან: „საიღამ საღაო, წმიდღაო საბაო“.

არ შეიძლება მ. ჭანაშვილისადმი მიმართული ეს საყვედური სამართლიანად ჩავთვალოთ. ერთია დროის ფაქტორი და მეორეც ლეგენდის შეესება-შეცვლა ან კიდევ სხვა სახით წარმოდგენა დროთა მსვლელობაში. არაფერია გასაკვირი იმაში, თუ ხალხის მიერ შრომითი სიძღვრის ტექსტად აკაის ლექსი არის ჩართული, რადგან მის ლექსებს ქართველი ხალხი დაბეჭდვისთანავე აიტაცებდა და ზეპირად ერცელებოდა. აქ სხვა მხრივაც შეიძლება საკითხი დავაყენოთ: მ. ჭანაშვილის ხელში ლეგენდა იღებს ლიტერატურულ ფორმას და აეცორს შექმლო სურვილისამებრ დამატება-ცვლილებანი შეეტანა ლეგენდის ტექსტში. ეს სადავო არ არის.

ბების, ჩაგვრის იარაღების დამსხვრევა, არამედ მათი მფლობელების, მათი პატრონების განადგურება. ასეთი ინტერპრეტაცია ამ იგავის ხმამაღლა წაკითხვისას ბავშვებში უთუოდ ჯანსაღი აზრის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.

იგავი „მელია და გლეხი“ (1890 წ.) ბავშვებს მიანიშნებს განსაცდელში ჩავარდნილის მოხერხებაზე, რითაც მან სიცოცხლე შეინარჩუნა. იგავის ღირსება იმაშიც გამოიხატება, რომ იგავის ჩვეულებრივად დიდაქტიკური ხასიათი ავტორმა წინა პლანზე არ წამოსწია და ამით არ გააშიშვლა ზნეთსწავლების მშრალი დარიგებანი.

IV. ალ. ბარნოვის იგავი „ცისარტყელა და მზე“ (1896 წ.) შეეხება თავმომწონეობის, მედიდურობის წინააღმდეგ შესაბამისი გრძობის აღზრდას; მზისა და ცისარტყელას გასაუბრებაში კარგად ჩანს სხვისი ამაგის უარმყოფელის საბოლოო ბედი — ცისარტყელამ არაფრად ჩააგდო მზე. ის, რაც მზის სხივებისაგან იყო ასე გამშვენიერებული. და აი, მზე ღრუბლებს მოეფარა და ცისარტყელაც უცებ გაქრა, მისი ნიშანიც კი აღარ დარჩა.

ამ იგავიდან ბავშვი დაასკვნის, რომ თავმომწონეობას, მედიდურობას, თავის თავში დაჯერებას მხოლოდ ზიანი შეუძლია მოიტანოს.

საბავშვო ეურნალების ფურცლებზე გამოქვეყნებული ლიტერატურული ზღაპრებიდან აშკარად ჩანს მათი მიზანდასახულობა, რომელიც ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აღმზრდელითი ფუნქციის ნიშან-თვისების მიხედვითაა ჩაფიქრებული და შექმნილი; აღნიშნული იგავ-არაკების დიდაქტიკური ხასიათი, რომელიც თხრობის ბუნებრივ დინებაში ძალდაუტანებლადაა ჩაქსოვილი, — „ახალი ტიპის ქართველის“ მორალური სახის ჩამოყალიბების ამოცანებს შეერწყმის და ამდენად ასეთი ზღაპრების მნიშვნელობა მეტად საგულისხმოდ უნდა მივიჩნიოთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ლიტერატურული ზღაპრების იდეური შინაარსის, მისი ავტორის, დიდაქტიკური განზრახვისა და შესრულების მხატვრულ ხორცშესხმაში ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტის თავისებურება, შეიძლება განზოგადების მიზნით ჩამოვყალიბოთ ასე:

#### I. შრომისადმი სიყვარულის აღზრდა:

ა) ეს მკვეთრადაა გამოსახული პ. ყიფიანის ზღაპარში „მუქთახორა“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მწერლისეული დახასიათება: „იყო ერთი ზარმაცი და მოსულელო კაცი“, რომელსაც „არც სარჩო-საბადებელი გააჩნდა და არც არას მუშაობდა“. ავტორი პატარა მკითხველს ტრადიციულად თავაზობს შესაფერის სიტყვით მის სრულ დახასიათებას ზღაპრის სათაურშივე;

ბ) ავტორი არ კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ მუქთახორამ „შრომას“ მაინც სხვა ღონისძიება არჩია“, იგი „ხელცივობას

არ თაკილობდა“, არამედ აქვე იძლევა განმარტებას იმის შესახებ, თუ მისადმი რა მიმართებაში იმყოფება ხალხის შეხედულება: როგორ უყურებს, როგორ აფასებს, რა დამოკიდებულებაშია ასეთი ადაშიახისადმი. რასაკვირველია, ეს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის ფაქტია, რაც პატარა მკითხველის დამოკიდებულების განსაზღვრელიც ხდება. ამ ავტორისეული ფრაზებით პატარა მკითხველის გონებაში ღრმად იბეჭდება ის აზრი, რომ ხალხი ვერ ურიგდება შრომის მოძულეს, მუქთამზამელს: „ახლა კი ყველამ აშკარად შეიძულა და ახლოსაც აღარ იკარებდა“ და რაც მთავარია თვით „პატარებიც ყოყინას აყრიდნენ“.

**II. მშრომელი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის გრძნობის აღზრდა.**

ა) ეს ტენდენცია ალეგორიულად ფორმებში ჩანს ა. მირიანაშვილის იგავში „მეურსმე და კამეჩები“, სადაც ასეთი ბრძოლის პირველადი პროტესტი, უეფექტო „საშუალება“ არის ნაჩვენები, ურმის დამსხვრევის სახით;

ბ) ძართალია, შრომისა და ჯაფის გამღებისადმი ნაწარმოების ავტორის დამოკიდებულება, ეპიურთი თხრობის მიუხედავად, ერთგვარი შებრალებით, შეცოდების მხრივ აშკარაა, მაგრამ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი სწორად მაინც არ არის მინიშნებული; მიუხედავად იმისა, რომ იგავში „შრომის ახსნის“ მიზეზების შეცნობა, ბრძოლის ნამდვილი, რეალისტურ-რევოლუციური გაგება ჯერ კიდევ ვერ პოულობდა მეცნიერულად და ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი საშუალებების კატეგორიულ ფორმებში ჩვენებას, მინიშნებას, მაგრამ ამ ნაწარმოებს მაინც ჰქონდა მნიშვნელობა იმიტომაც, რომ მკითხველს განაწყობდა შრომისა და ჯაფის გამღებთა შიშართ სიძაბით, ხოლო მისი მჩაგვრელისადმი კი გულისწყრომით.

**III. ათვისებული შეხედულებების ელემენტების მინიშნება.**

ეს კარგადაა მინიშნებული ა. მღებრიშვილის „თაგო-თაგობაში“, რომელიც დიალოგის ფორმით არის შემდგენიარად გადმოცემული:

— ...მაშ, ღმერთს რად გაუჩენია თაგვების გამორეკვა? — უთხრა გიგომ.

— ღმერთმა კი არა და ის არ გინდა! ისიც შენისთანა გვიცი ყოფილა, ვინც ეს მოიგონა! — სიცილით უთხრა ვასომ“.

რასაკვირველია, იმხანად, რელიგიური ბანგით ახალი თაობის გონების ინტენსიურად გაყენების ეპოქაში, ეს სიტყვები ღმერთისადმი რწმენის განმტკიცების საქმეში ერთგვარი ბზარის შემტან აზრად უნდა მივიჩნიოთ.

**IV. ხალხის სიკეთისათვის თავის განწირვის გრძნობის აღზრდა.**

„ახალი ტიპის ქართველის“ ამ უპირველესი ვალდებულების, ალეგორიული ფორმით გამოხატვის გზით მეტად შთამაგონებელია ხალხის შესანიშნავი ნააზრევადან აღებული, მარტივი შინაარსის შემცვე-

ლი მ. ჯანაშვილის ლეგენდა „ყვავის საყდარი“; ლეგენდაში დიდ-ემოციური ძალით შთაბეჭედავალაა წახვენიები საკუთარი სიცოცხლის განწირვით როგორ გადარჩა სიკვდილს აპიოდე ადამიანის სიცოცხლე. აღუღებულ ქვაბში წინასწარი მოსაზრებით ჩავარდნა, თავის ჩათუთქვა იმ მიზნით, რომ იქიდან ამოღებული ულუფა ადამიანებს არ ეკამათ და ამით სიკვდილსაგან ეხსნა, ცხოველყოფელად შეტყველებდა ხალხთა ბედნიერებისათვის საკუთარი სიცოცხლის განწირვაზე, მიანიშნებდა ამ გმირული საქციელის დიდ მნიშვნელობაზე, რაც პატრიოტული გრძნობის აღზრდის ამოცანებით იყო ნაკარნახევი.

#### V. სხვადასხვა დადებითი ხასიათის გრძნობის აღზრდა.

ლიტერატურული ზღაპრების, ლეგენდების, იგავ-არაკების კეთილშობილურ ამოცანებს შეადგენდა: ა) განსაცდელიდან თავის დაღწევის უხარის, შედიდურობის, თავმომწონეობის გაკიცხვის, სხვისი ამაგის შეუფასებლობის შედეგად საკუთარი თავისადმი ზიანის მოტახის კონკრეტული ჩვენება, რათა ბავშვებს შესძლებოდათ ბუნებრივად, მენტორული დამოძღვრების გარეშე სათანადო დასკვნები გამოეტანათ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებული ნაწარმოებები მეტად სადად, გასაგები სასაუბრო ხალხური ენითაა დაწერილი. მათში ვერ ვხვდებით ხალხური ზღაპრისათვის დამახასიათებელ ჰიპერბოლურ ხერხებს, შიშის აღმძვრელ ჯადოქრებსა თუ მღვეერებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლიტერატურულ ზღაპრებს მტკიცედ აქვს ფესვები გამდგარი მყარ რეალობაში, ხალხის ყოფითი ცხოვრების რეალურ ეპიზოდებში, რაც ბავშვთათვის მისაწვდომი ხდება. ეპითეტები, მხატვრული შედარებები არ არის გამოყენებულნი, როგორც მხატვრული ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალებათაგანი.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ, ძირითადად, ენა შეიძლება დახვეწილ ლიტერატურულ ფორმებს მივაკუთვნოთ, მაინც აქა-იქ ვხვდებით გეოგრაფიულ შეზღუდულობაში გავრცელებულ სიტყვებს. მაგალითად — „წაიყუჭყუქა“, „ხალამი“ (სულხან-საბა ორბელიანი ხმარობს „ხალანი“)<sup>1</sup>, „პირთამდე“ („მუქთახორა“), პროწიალ-წპროწიალით“, „გშვლეპავ“ („თაგო-თაგობა“) და სხვა.

დასასრულ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ხასიათის და ეთიკური საკითხების უფრო ფართოდ მომცველი თავისებურებების შქონე ლიტერატურული იგავ-არაკების ბავშვთათვის შექმნა შემდგომ პერიოდში, ეროვნული საბავშვო მწერლობის აღმავლობასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ საქმეში თანდათან ებ-

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1884 წ. გვ. 392.



მება ქართული საბავშვო მწერლობის ბევრი გულშემატკივარი, გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და სხვათაგანად, ქართული ხალხური შემოქმედებისა და ეროვნული საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულებაში გარკვევით ჩამოყალიბდა შემდეგი მოსაზრებანი:

1. ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავება-განვითარების პერიოდში, ე. ი. XIX საუკუნის II ნახევარში, ხალხურ შემოქმედებას ახალ თაობაში ეროვნული გრძნობის აღზრდის მიზნით უალრესად დიდი ყურადღება ექცეოდა; ამ პერიოდში დიდი ინტენსივობით დაიწყო საბავშვო ხალხური შემოქმედების შეკრება სასწავლო-სამეცადინო სახელმძღვანელოებში, ბავშვთა საკითხავ წიგნებში შერჩევით შეტანა:

2. ზღაპრების, იგავ-არაკების, ლეგენდების, ანდაზებისა და გამოცანების მიმართ დიდი ყურადღება იმით იყო გაპირობებული, რომ მათში საინტერესოდ, ბავშვთათვის სახალისოდ და მიზნიდევლად, სადა ხალხური ენით გადმოცემული იყო ხალხის გამოცდილება, ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვების შედეგები, საზოგადოებრივი ძალების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე საყოფაცხოვრებო პირობების საფუძველზე შექმნილი შეხედულებები, განწყობილებანი, სიბრძნე.

3. ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა და პედაგოგიკური აზრი სწორად აფასებდა საბავშვო ფოლკლორის აღმზრდელობით ფუნქციას, სამართლიანად გამოდიოდა რეზონიორული რეციდივების წინააღმდეგ; მორალისტური მშრალი ფრაზები, როგორც ამას წინა პერიოდში ჰქონდა ადგილი, ნაწარმოების ტექსტს მექანიკურად მიკერებული არ უნდა ჰქონოდა, სათანადო ეთიკური დასკვნები თვით ნაწარმოების შინაარსიდან, მოქმედებიდან, სახე-პერსონაჟების ხასიათებიდან ბავშვებს თვითონ უნდა გამოეტანათ.

ზღაპარი სახალისო, გამართობი, ბავშვთა ფანტაზიის განმავითარებელი უნდა ყოფილიყო.

4. ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ისტორიულ ამოცანებს დაქვემდებარებული უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შერჩეული ზღაპრები ცხოველებზე, რომლის კომპოზიციის ნიშნულ თვისებას კომულიატივიურობა შეადგენდა, ლიტერატურული ზღაპრები, რომელთა შექმნას ხელს უწყობდა საბავშვო პერიოდული გამოცემანი, პედაგოგიკური პრინციპების მიხედვით, უნდა ყოფილიყო ბავშვებში 1. შრომისადმი სიყვარულის აღზრდის, 2. მშრომელი ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის, 3. ხალხის ბედნიერებისათვის გმირული თავდადების, 4. სხვადასხვა დადებითი ხასიათის, შესაბამისი მორალის აღზრდა-გამომუშავების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებათაგანი.

**მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა და ქართული  
კლასიკური საბავშვო მწერლობა**

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობის სხვა პრობლემათა შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთობის პრობლემა.

ამ პრობლემას, — წარმოშობისა და ზოგადი ლიტერატურის აღმავლობის ისტორიულ პროცესებთან კავშირში, განვითარების თვალსაზრისით, დროის ზუსტი ბეჭედი აზის. ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში ეს განსაკუთრებით X-XIX საუკუნის II ნახევრიდან შეიმჩნევა. სწორედ ამ დროიდან შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბავშვო მწერლობაში დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებები მეტნაკლებად განსხვავებულ, ახლებურ მხატვრულ გადაწყვეტაში ვლინდება.<sup>1</sup>

ამის საფუძველი უნდა ვეძიოთ, ერთი მხრივ, რეალისტური ხელოვნების ესთეტიკური კონცეფციისა და, მეორე მხრივ, მოწინავე, პროგრესული პედაგოგიკური კრიტიკის პრინციპების პარამონიულობაში, რაც თანდათან მტკიცდებოდა და ცდილობდნენ საბავშვო მწერლობის სპეციფიურობისა და ახალი თაობის აღზრდის ეფექტური ღონისძიებების მეცნიერულად სწორ სისტემაში ჩამოყალიბებას.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ მან გაბედულად უარყო მანამდე დამკვიდრებული მხატვრული საბავშვო ნაწარმოებების რეცეპტორული მოთხოვნისადმი დაქვემდებარების პრინციპი და წინ წამოწია მხატვრულობის სასიცოცხლო ინტერესები.

ამ ვითარებით იყო გამოწვეული ლ. ბოცკაძის სიტყვები საბავშვო მწერლობის მისამართით: ისინი „იმ შეცდომაზე სჩადიან, რომ იღებენ მასალას ხშირად მარტო ბავშვების ცხოვრებიდან პირდაპირ ზნეობრივის აზრის მისაღწევად, მაგრამ ის მხარე მწერლობისა, რომელშიაც უმთავრეს საგანს შეადგენს ესთეტიკური გემოვნება, ჩვენს

<sup>1</sup> ზნეთსწავლების გაბატონებული ფორმის საწინააღმდეგოდ პირველი ნიმუში დაბეჭდა ი. გოგებაშვილმა „დედაენაში“ ჯერ კიდევ 1865 წ., 1876 წ. და ა. შ. (ი. თბრთისა და დიალოგის ნარევი ფორმით დაწერილი პატარა მოთხრობები: „ურიგო ამხანაგი“, „ორი მზრუნველი ძმა“, „სწავლაზე ზარმაცი, ჭამაზედ მამაკი“, „ორი მამლაყინა“ (იგივე „ორი ყვინჩილა“) და სხვა.

შტ. ი. გოგებაშვილი. თხზულებანი, თბილისი, 1957, ტ. V, გვ. 165

საბავშვო მწერლობის ნაწარმოებებში ძალიან დაცემულია, ხელოვნება მათს ნაწარმოებებში იშვიათი მოვლენაა“.<sup>1</sup>

ლ. ბოცვაძე სამართლიანად აქცევს საბავშვო მწერლობის ყურადღებას იმაზე, რომ „წინადავე განსაზღვრული მოთხრობა ბავშვების ცხოვრებიდან ბევრს არაფერს ზნეობას არ ასწავლის და არ ასწორებს ბავშვებს ზნეობრივად“.<sup>2</sup>

ამასთან ერთად, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კრიტიკოსი ხშირად განსაზღვრავდა საბავშვო ნაწარმოების ღირებულებას, როცა ამბობდა: „უშთავრესი პირობა საბავშვო მოთხრობისა, როგორც ხელოვნების პოეტურ ნაწარმოებისა, ხასიათის დახატვა უნდა იყოს“.<sup>3</sup>

და ეს აზრი ლიტერატურულსა და პედაგოგიკურ კრიტიკაში სამართლიანად მკვიდრდებოდა თანდათან.

ეს მეტად საგულისხმო მოვლენა იყო, რომელიც ორგანულად ექსპოზებოდა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითად ტენდენციებს. მართალია, იგი თავდაპირველად მეტნაკლებად იყო გამოვლინებული. მაგრამ შემდგომში კი მრავალყანროვან ქართულ საბავშვო მწერლობაში შესაბამისი სრულყოფას მიიღწია.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ისტორიის ზოგიერთი მკვლევარი საბავშვო სიტყუაჯამულ მწერლობას. დიდაქტიკურ ლიტერატურას უწოდებს. ამავე დროს სიტყუაჯამული საბავშვო მწერლობის არსის გარკვევისას ცნებას „დიდაქტიკურ ლიტერატურას“ ხშირად ენაცვლება „დიდაქტიკური მწერლობის“ ცნების ხმარებაც. ზოგჯერ კი ყველა მათგანი ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარება, რითაც აშკარად ჩანს მათ შორის ზღვარწაშლილობა. ამის შედეგად ცალკეული დიდაქტიკური ნაწარმოების უმთავრეს ფუნქციას დაქვემდებარებული კონკრეტული მიზანდასახულობა მთლიანად საბავშვო მწერლობისათვის არის მიკუთვნებული, როგორც მისი ძირითადი ფუნქცია, მისი უპირველესი ნიშან-თვისება.

ამის შედეგად ძნელდება ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობისა და მისი განვითარების ძირითადი პრობლემების თავისებურებათა ზუსტად განსაზღვრა, მისთვის კუთვნილი ყველა ნიშნის სათანადოდ განხილვა-გარჩევა და მართებული დასკვნების განზოგადება.

საპირობა დავადგინოთ მენტორულ-დიდაქტიკური და სიტყუაჯამული საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულება, განვსაზღვროთ მათი არსის გამომხატველი ცნებები, რაც საბავშვო მწერლობის

<sup>1</sup> „ივერია“, 1889, № 161, გვ.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

უაღრესად დიდმნიშვნელოვან პრობლემატიკასთან ორგანულადაა დაკავშირებული.

აუცილებელია დღეს ამ ცნებების სპეციფიკურობის ზუსტად თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონეზე გადასინჯვა და დაზუსტება. ვინაიდან, უმრავლეს შემთხვევაში, ყველა ეს ცნება საბავშვო მწერლობის თემატიკის, ჟანრების განვითარების ისტორიულ გზებს, საბავშვო მწერლობის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების არსის განმარტებასა და გაგებას უკავშირდება, ხოლო მათი გაიგივება ან ერთიმეორეში აღრევა სწორად ვერ წარმოგვიდგენს მათს ნიშანდობლივ თვისებებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურის ფუნქციის მიაკუთვნებენ, რაც არ არის სწორი. ამდენად ეს საკითხი საბავშვო მწერლობის ისტორიისათვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რომელიც მაღალ იდეურ-მხატვრული ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობისათვის მებრძოლთა ყურადღების არეში იდგა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აღორძინების პროცესში, საბავშვო მწერლობის ესთეტიკურმა კრიტიკამ კატეგორიულად დასვა საკითხი დამოდერების, წარსულში ფესვებგადგმული ზნეთსწავლების ტრადიციის გაგრძელების, მიბაძვის წინააღმდეგ. მენტორულსა და დიდაქტიკური ლიტერატურის სპეციფიკას აშკარად დაუპირისპირდა სინამდვილის მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე ასახვა, ჩვენება. ეს იყო ამ ეპოქის მწერლობის ნიშნეული თავისებურება, რომლის გარეშე არ შეიძლებოდა განვითარებულიყო თვით ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა თავისი მრავალფეროვნებით.

საბავშვო მწერლობის მოამბეანი ითვალისწინებდნენ რა მხატვრული ნაწარმოების დიდ ემოციურ ძალას, ყოველნაირად ცდილობდნენ საბავშვო ხაწარმოებისათვის ჩამოეშორებინათ დიდაქტიზმის ჩარჩო. ამ ბრძოლაში ისინი ილაშქრებენ თვით გამოჩენილი მწერლების მიმართაც. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიაც გახხილულია ეკ. გაბაშვილის მოთხრობები: აქვე ყურადღებას იქცევს დიდაქტიზმისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტული ფაქტი. აი, როგორ არის შეფასებული მწერლის მოთხრობები: „ერთი კიდევ დიდ ნაკლოვანებას ვამჩნევ ბ-ნის გაბაშვილის მოთხრობებს. ამით ისეთი დიდაქტიკური კილო აქვთ. თითქოს მოძღვრობს და ქადაგებს... თითქმის პირველსავე სტრიქონებიდან გახვე მიხვდებით, რომ ავტორს ამა და ამ აზრის,

დარიგების, სენტენციის გამოთქმა უნდაო (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.). მართლაც და ჩაიკითხავთ თუ არა ბოლომდის, ჰრწმუნდებით, რომ თქვენი აზრი შეცდომილი არ იყო. აი თუ გინდ ავიღოთ პირველი ამ სახალწლო წიგნში დაბეჭდილი მოთხრობა: „სახალწლო ფეშქაში“. იწყებთ კითხვას და მაშინვე თვალეში გეცემათ რაღაც მოძღვრებულ დარიგება. ათავებთ კითხვას და აი რა სენტენციას სცნობილობთ მოთხრობიდან: მხიარულებაში და ბედნიერებაშიაც ნუ დაივიწყებ უბედურს და ბედით დაჩაგრულს, სწორედ როგორც სახარებაშია: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თავისი“.

ბ-ნის გაბაშვილის მოთხრობები მაგონებენ ნემენცების სენტენციურ საყმაწვილო მოთხრობებს. ამავე გზას ადგა რუსეთის საყმაწვილო პედაგოგიურ ლიტერატურაში კარგად ცნობილი, აწ გარდაცვლილი, ნაყოფიერი მწერალი ჩისტიაკოვი, რომელმაც ასაძღე მეტი მოთხრობა დასწერა ყმაწვილებისათვის ამ სათაურით: „Правдливые повести и рассказы“. ჩემის საკუთარის გამოცდლებით ბეჯითად ვიცი, რომ ამ გვარს მოთხრობებს დიდი ზეგავლენა არა აქვთ ყმაწვილების სულსა და გულზე და ამიტომ ხალისიანადაც არ კითხულობენ.<sup>1</sup>

გარკვევით ჩანს რეცენზენტის მართებული პოზიცია, რომელიც მხატვრული საბავშვო მწერლობისათვის არსებით მხარეს ეხება. „ხელოვნება ობიექტურად წარმოადგენს ადამიანის აღზრდის მძლავრ საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში აღზრდა არ ნიშნავს ადამიანებს მიართვა რომელიმე მორალური ან პოლიტიკური სენტენცია, „იკითხო მორალი“, აუხსნა, რა არის კარგი და რაა ცუდი, რა უნდა გააკეთო და არ უნდა გააკეთო.

ხელოვნება აღზრდის ადამიანებს, როცა იგი უფართოვეს მათ რეალური ცხოვრების გამოცდილებას, აძლევს მათ შესაძლებლობას გამოსცადონ და განიცადონ ის, რაც მათ არ ჰქონიათ შემთხვევა გამოცეცადთ და განეცადათ რეალურ ცხოვრებაში“.

ეს აზრი არა მარტო საბავშვო მოთხრობებზე ვრცელდებოდა, არამედ საბავშვო პოეზიასაც მტკიცე მოთხოვნებს უყენებდა: „უნდა შეიტყონ ერთხელ და სამუდამოდ ის მარტივი ჰეშმარტება, რომ ლექსის დედა-აზრი ბოლოს კი არ უნდა იყოს კუდივით მიკერებული, არამედ თვითონ ლექსიდანვე უნდა თავის თავად გამოსჰვირვალედეს. თუ ლექსი წყაროსავით გულიდან შეუწყვეტლად მომდინარეობს, თუ თოფის წამა-

<sup>1</sup> „ივერია“, 1886, № 6, გვ. 3.

ლივით სავსე გრძნობიდან აღნიშნულეთქს, -- მაშინ თქვენნი დარიგება და სწავლა — მეტი შრომაა: თითონ ლექსი ყმაწვილებს გრძნობასაც აღუძრავს და ტვინსაც საზრდოს მისცემს.<sup>1</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

აქედან ცხადია, რომ ბავშვებზე ემოციურ ზეგავლენას ახდენს ქვეშეპარიტი მხატვრული პრინციპების საფუძველზე შექმნილი მხოლოდ მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულებების ნაწარმოები. ასეთი ნაწარმოებისათვის ბრძოლა იყო ერთ-ერთი უმთავრესი პირობა რეალისტური ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის შესაქმნელად.

მართლაც, ეს ერთადერთი სწორი გზა იყო ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად საბავშვო ლიტერატურის შესაქმნელად აღიარებული; მხატვრულ ნაწარმოებში ჩაქსოვილი ეპოქისეული მორალი, მაღალი იდეალები, რომლებიც მხატვრული სიტყვის ძალით სახე-პერსონაჟების ქცევაში, სულიერ ღელვასა და განცდებში მწერლის ნიჟის შესაბამისადაა გამოხატული ნაირსახოვანი ესთეტიკური ფორმებით, რა თქმა უნდა, ემოციური ზეგავლენის ისეთი შეუცვლელი ძალაა, რომელიც იტაცებს, ხიბლავს მკითხველს, მოქმედებს მის გრძნობასა და გონებაზე. ცოცხლად წარმოდგენს ყველაზე უკეთესსა და ულამაზესს, აღუძრავს სიმპათიებს კარგისადმი, ამით იგი მკითხველს შთააგონებს ეპოქის მოწინავე იდეებისაკენ, პროგრესულისაკენ სწრაფვას, ადამიანური ღირსებების კეთილშობილებასა და დანიშნულებას, საუკეთესო ჩვევების, თვისობრივად ახალი ხასიათებისა და ქცევების სიღიადეს.

ყოველივე ეს, ზოგჯერ შესაფერის მხატვრულ ნაწარმოებებში დიდაქტიკური მორალისტური მოტივის სახითაც არის ჩაქსოვილი შავრამ, იგი თავის მხრივ, ცალკე აღებული, არ შეიცნობა, როგორც მხატვრული მოვლენა.

ამგვარი მოტივების ბუნებრივად, უშუალოდ, ძალდაუტანებლად შეცნობა-გაგება, ძირითადად, დამოკიდებულია იმ ადამიანური ხასიათების, განცდებისა და კონკრეტული ქცევის ჩვენებაზე, რომელიც უპირველეს ყოვლისა მხატვრული ნაწარმოების იდეურ-თემატკურ საფუძველს უკავშირდება ყველა მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა რთული სისტემით; მწერლის მიერ დახატულ ადამიანურ ხასიათებში თუ ერთი მხრივ მოცემულია ის, რაც მწერალს შეუნიშნავს ცხოვრების რთულ პროცესში. ამავ დროს, ამ ხასიათებში ისიც არის მოცემული, რაც მწერალს სურს ნახოს ადამიანში.

<sup>1</sup> „ივერია“, 1886, № 29, გვ. 1.

საბავშვო მწერალი თავის ნაწარმოებში წარმოგვიდგენს, გვამცნობს თავისდროინდელ ან ისტორიულ ყოფას, რომლის შეცნობით მკითხველისათვის ნათელი ხდება მწერლის მიერ დახატული ადამიანურ ხასიათებში, ამ ხასიათების ორი მხარე, კერძოდ ის, რაც უარსაყოფია და ისიც, რაც იდეალური და მისაბაძია, ისტორიული თვალსაზრისით პერსპექტიულია და ობიექტური აუცილებლობით ხაყარხავევი.

ეს კი რასაკვირველია წარმოადგენს ნაწარმოებში ჩაქსოვილი დიდაქტიკურ-მორალისტური მოტივების ერთ-ერთ საფუძველს, მაგრამ ნაწარმოების ღირსება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მასში განსაზღვრული დიდაქტიკური მოტივია მოცემული ან კიდევ ამ მოტივით კი არ უძლებს ნაწარმოები დროის მკაცრ გამოცდას, არამედ უმთავრესია მისი მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსება.

მხოლოდ მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებების მქონე საბავშვო ნაწარმოებებში მოცემული ცოცხალი ფერები არ ხუნდება და არ ქრება, მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები აღლევებენ მკითხველებს, იწვევენ მასში შეცოდებას თუ გულისწყრომას, აღტაცებას თუ ზიზღს, მიმბაძველობას თუ უარყოფას. არ არის სადავო, რომ მხოლოდ ასეთ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს დიდი დამაჭერებლობა და შთაგონების ძალა, რითაც განსაზღვრულია აგრეთვე მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელი თვისებები.

საბავშვო მწერლობისათვისაც ეს არის უმთავრესი და არსებითი სწორედ, ეს ნიშანდობლივი, უპირატესი თვისება აძლევს მას სიცოცხლისუნარიანობას. მხოლოდ ამის გამო უძლებს საბავშვო მწერლობის ისტორიაში კარგად ცნობილი ნაწარმოებები ეპოქის მკაცრ გამოცდას. ახალი თაობისათვის მხოლოდ ასეთი ნაწარმოებები ხდება მეგობარი, მრჩეველი და მასწავლებელი, მხატვრული თუ კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისათვის, მისი ესთეტიკური აღზრდას უშრეტი წყარო.

მხოლოდ ასეთი ნაწარმოებების მიმართ შეგვიძლია გავიხსენოთ მარქსის სიტყვები, რომ ისინი „ჩვენ ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგარძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“<sup>1</sup>.

ეს ურყევი დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ მენტორული დიდაქტიკური ლიტერატურა და საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა არ შეიძლება ერთ ცნებაში გავაერთიანოთ და გავაიგიეოთ.

<sup>1</sup> კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 297

საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისა და მენტორულ-დაქტი-  
კური ლიტერატურის. ურთიერთდამოკიდებულებისა თუ არსებითი  
განსხვავებულობის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია საგახგებოდ შეე-  
ჩერდეთ იმ საკითხებზე, რომლებიც საბავშვო მწერლობის, საბავშვო  
მხატვრული ნაწარმოებების შესახებ ზემოხსენებულ მოსაზრებებს  
უნდა შეუპირისპირდეს, რაც ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტისა-  
თვის ახრთა სხვადასხვაობაში ერთგვარი სიცხადის შესატანადაა აუ-  
ცილებელი.

ისეთი წიგნები, რომლებიც სპეციალურად დაწერილია იმ მიზნით,  
რომ ახალ თაობას კარნახობდეს, ასწავლიდეს გარკვეულ საზოგადო-  
ებრივ ეთიკურ ნორმებს, საზოგადოებრივი ქცევის წესებს, გონიერე-  
ბას, მოვალეობასა და დანიშნულებას, რჩევა-დარიგებას აძლევდეს  
სათანადო მორალური ჩვევების გამოსამუშავებლად, გახუმარტავდეს,  
უხსნიდეს და განსაკუთრებულ აქცენტირებას აკეთებდეს ადამიანის  
ქცევის დადებით თვისებებზე, აი სწორედ, ამგვარი ლიტერატურა გა-  
ნეკუთვნება მენტორულ ლიტერატურას.

ამგვარად, მენტორული ლიტერატურა ეწოდება  
ისეთ ლიტერატურას, რომელიც მტკიცედ ექვემდ-  
ებარება მხოლოდ აღმზრდელობით მიზნებს  
და, რაც მთავარია, იგი მოკლებულია ეროვნულ  
სპეციფიკას, ახალ თაობას არ უფართოებს გო-  
ნებრივ ჰორიზონტს, არ უმდიდრებს გოხებას  
ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების ეპო-  
ქისეული ვითარების შესახებ.

მენტორულ-დიდაქტიკური ნაწარმოების შექმნა და დანიშნულება  
წინასწარ გამიზნული სპეციალური, მორალისტური პრინციპებითაა  
ნაკარნახევი და განსაზღვრული, პირობადებული.

ასეთი ნაწარმოებისათვის დამახასიათებელია აღწერილი ხასიათი,  
დამრიგებლობითი შინაარსის ფრაზების მოჭარბებულობა, შინაარსის  
მშრალად გადმოცემა და ცხოვრების სინამდვილიდან სათანადო შოვ-  
ლენების არა ჩვენება. არა მხატვრულად წარმო-  
სახვა, არამედ ნაწარმოებში ერთი რომელიმე წამყვანი ხიშხის  
მიხედვით, როგორცაა ეგოისტური მორალი, პარაზიტიზმი, სიხარბე,  
შეუბრალებლობა, სიცრუე, დესპოტიზმი და სხვა, ან კიდევ კეთილი  
გრძნობის, დაჩაგრულებისადმი სიბრალულის, სიმარჯლისათვის და  
სამართლიანობისათვის ბრძოლის მაგისტრალური ხაზის დაცვით,  
საგანგებოდ ამ ძირითადი ნიშნის მიხედვით, თხრობის განვითარება.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვებზე ერთნაირი ემო-



ციური ზეგავლენის, ერთიანი მიზანდასახულობისა ან თანაბარი მხატვრული ღირებულების მქონე იყოს საბავშვო ლიტერატურის სფეროში მოქცეული ისეთი წიგნები ან ნაწარმოებები, როგორც იყო გერმანე მღვდელ-მონაზონის „სწავლა“, ტარას მღვდელ-მონაზონის (ტარასი ალექსიშვილი) „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულის წერილისა — ენციკლოპედია, ანუ შეკრებულობა ზნეობათა სწავლათა ჰაზრათანი“, თეიმურაზ II-ის „ხილთა ქება“, დ. გურამიშვილის „ჰსწავლა მოსწავლეთა ათთა სახმართა საქმეთა ჩაგონება ყრმათათვის“, სულხან-საბა ორბელიანის იგავები თუ სხვა ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატების მიერ ბავშვთათვის შექმნილი ნაწარმოებები?

განა ასევე არ ითქმის იმ დროისათვის რუსული საბავშვო ლიტერატურის სფეროში მოქცეულ წიგნებსა თუ ნაწარმოებებზე, როგორცაა ენციკლოპედია «Краткое понятие о всех науках». კრებულები «Золотое зеркало» (1787), «Зеркало добродетели» (1794), ფრანგულიდან თარგმნილი ლეპრენს დე ბომონდ, სტეფანი ფელისიტე ჟანლისის ნაწარმოებები, ნ. კურგანოვის „Письмовник“, ხ. კარამზინის სენტიმენტალური მოთხრობა „Евгений и Юлия“, ა. პოგორელსკის «Черная Курница» თუ პ. ერშოვის «Конек-Горбунок» და სხვ.

რა თქმა უნდა, რომ ამათი იდეურ-მხატვრულ, დანიშნულებრივ თავისებურებათა შედარება-შეპირისპირება თვალსაჩინოდ გახდის მათ შორის აშკარად არსებულ ზღვარდადებულებას და სიტყვაკაზმულა საბავშვო მწერლობიდან განაცალკევებს მენტორულ, დიდაქტიკურ ლიტერატურას ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, თუმცა იგი რჩება საბავშვო ლიტერატურის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) სფეროში.

მენტორულ-დიდაქტიკურ ლიტერატურას, ფართო გაგებით, ბოლოს და ბოლოს, განსაზღვრული პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ის რეცეპტორულია; ეს იმიტომ, რომ იგი ბავშვთათვის მატერიალურა სამყაროს გაცნობასთან ერთად შეიცავს, უპირატესად, ამ სამყაროში მათი პრაქტიკული მოქმედებისათვის მისაღებ, სასარგებლო და მოსაწონ ფორმებზე, საზოგადოებრივ ეთიკურ ნორმებზე კონკრეტულ რჩევას, რეკომენდაციებს.

ამგვარად, მენტორული დიდაქტიკური ლიტერატურა შეიცავს ზუსტად განსაზღვრულ, რეგლამენტირებულ რჩევა-დარიგებას, მითითებებს, რომელსაც ესთეტიკური ტკბობა, ემოციურობა არ ახასიათებს, და, მაშასადამე, ასეთი ნაწარმოები სიტყვაკაზმული მწერლობის მონაპოვრად არ ჩაითვლება.

ამ საკითხის ისტორიულ ასპექტში განსიღვა მოითხოვს მოკლედ მაინც შევჩერდეთ ჰეგელის შეხედულებაზე დიდაქტიკური პოეზიის შესახებ. ჰეგელის შეხედულებათა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან განხილვა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ცხადს გახდის ხე-მოაღნიშნული პრობლემატიკის სწორად გადაწყვეტის დიდ მხიშველობას.

ცნობილია, რომ ჰეგელი დიდაქტიკურ პოეზიას ნაძვილი, ჭეშმარიტი ხელოვნების სფეროდან გამოთიშავდა ან, უკეთ ვთქვათ, იგი მტკიცე ზღვარს ავლებდა ჭეშმარიტ მხატვრულ ხაწარმოებსა და დიდაქტიკურ პოეზიას შორის; დიდაქტიკურ პოეზიაში იგი ხედავდა არა პოეტურის პოეტურთან მექანიკურად შეერთებას, გარკვეული მიზნით მათს ხელოვნურ ერთიანობას, სადაც აშკარად ჩანს მათი, ე. ი. არაპოეტურისა და პოეტურის, ცალ-ცალკეობა, მხატვრულ საშუალებათა ორნამენტური ფუნქცია.

აი, რას ამბობს ჰეგელი დიდაქტიკური ლექსის შესახებ: „თუ მნიშვნელობა აღებული და გაგებულია თავისთავად, როგორც მხოლოდ მნიშვნელობა, თუნდაც იგი თავის თავში ჰქმნიდეს რაღაც კოაქრეტულ, დაკავშირებულ მთლიანს და არ არის გაფორმებული როგორც ასეთი, არამედ მხოლოდ გარეგნულად შორთულია მხატვრული სამკაულებით, მაშინ წარმოიშობა დიდაქტიკური ლექსი. ხელოვნების ნამდვილ ფორმებს დიდაქტიკური პოეზია ვერ მიეკუთვნება, რადგან მასში ერთ მხარეზე დგას პროზაული ფორმით უკვე თავისთვის მნიშვნელობად გამზადებული და განვითარებული შინაარსი, მეორე მხარეს მხატვრული სახე, რომელიც მას (შინაარსს) მხოლოდ სრულიად გარეგნულად შეიძლება მიეკეროს, რადგან იგი (შინაარსი) წინასწარ უკვე პროზაული სახით ცნობიერებისათვის სავსებით გამოკვეთილი იყო. და აი ახლა ამ პროზაულმა მხარემ, ე. ი. თავისი ზოგადი, აბსტრაქტული მნიშვნელობით აღებულმა და მხოლოდ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გაგებულმა შინაარსმა, ჰკუთის სწავლებისა და დამოძღვრების მიზნით, განსჯით შეგონებისა და რეფლექსისათვის, გააზრებისათვის, უნდა ჰპოვოს გამოხატულება, ამიტომ ამ გარეგანი მიმართებით ხელოვნება დიდაქტიკურ ლექსში შეიძლება გამოჩნდეს მხოლოდ გარეგან მხარეებში, მეტრში, მაგ. ამაღლებულ ენაში, დახლართულ ეპიზოდებში, სურათებში, შედარებებში, გრძნობათა ზედმეტ გადმოფრქვევაში, სწრაფ წინსვლაში, უფრო სწრაფ გადასვლებში და ა. შ., ერთი სიტყვით, ყველაფერში რაც შინაარსს როგორც ასეთს კი არ განსკვლავს, არამედ როგორც დანამატი, მინაშენი, გვერდით, დგას, რათა თავისი შედარებითი ცხოველმყოფელობით დამოძღვრების სიმშრალესა

და სერიოზულობას უფრო მხიარული სახე მისცეს და ცხოვრება მიკ-ზიდველი გახადოს. თავისთავად პროზაულად ქმსილმა რალაცამ პოე-ტური ფორმა კი არ უნდა მიიღოს, არამედ მხოლოდ ახალი საშობით უნდა იქნეს გადაცმული; ისე როგორც მებაღეობის ხელოვნებაში ხდებ-ბა უმეტესად თავისთავად ბუნების მიერ უკვე მოცემული და არა თავისთავად ლამაზი ადგილმდებარეობის მხოლოდ გარეგნულად წეს-რიგში მოყვანა, ანდა ისე, როგორც ხუროთმოძღვრება პროზაულ შო-თხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით აღმართულ ნაგებობას გარე-განი მორთულობითა და დეკორაციებით სასიამოვნოს ხდის.

ამ მხრივ, მაგალითად, ბერძნულმა ფილოსოფიამ დასაწყისში დი-დაქტიკური ლექსის ფორმა მიიღო. მაგალითის სახით ჰესიოდეს „შე-იძლება მოვიყვანოთ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნამდვილი პროზაუ-ლი გაგება უმთავრესად მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როდესაც გახსჯა საგანს დაეუფლა თავისი გააზრებით (რეფლექსებით), დასკვნებით, კლა-სიფიკაციებით და ა. შ. და ამ თვალსაზრისით სურს სასიამოვნოდ და მოხდენილად ჰკუა გვასწავლოს. ასეთი გაგების მაგალითებს გვაძლევენ ლუკრეციუსი ეპიკურეს ბუნების ფილოსოფიის გადმოცემით, ვირგი-ლიუსი თავისი სასოფლო-სამეურნეო დარიგებებით, რასაც არ ძალუძს ნამდვილ თავისუფალ ხელოვნების ნაწარმოებამდე მიგვიყვანოს, შიუ-ხედავად მთელი მისი ოსტატობისა. გერმანიაში ახლა დიდაქტიკურ ლექსს აღარ ეტანებიან, მაგრამ ფრანგებს დელილმა თავისი უფრო ადრინდელი ლექსების „Les jardins, ou l'art d'embellir les paysa-|ges“ და *homme des champs*“ გარდა, ამ საუკუნეში კიდევ უძღვხა დიდაქტიკური ლექსი, სადაც განხილულია თანმიმდევრობით შაგხე-ტიზმი, ელექტრობა და ა. შ. ერთი სიტყვით მთელი ფიზიკის კომპენ-დიუშია მოცემული“.<sup>1</sup>

ამგვარად, ჰეგელის შეხედულება დიდაქტიკური ლექსის შესახებ შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

1. დიდაქტიკურ ლექსში (პოეზიაში) გარკვევით ჩანს, ერთი მხრივ, კონკრეტული, მთლიანი, აბსტრაქტული მნიშვნელობის შქონე შინა-არსი, პროზაული, ე. ი. არაპოეტური ტექსტის არსებობა, რომელიც შინაარსეულად გამოკვეთილად შეიცავს გარკვეულ დამოძღვრებას, შეგონებას, ჰკუის სწავლებას, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრული გა-მომსახველობითი საშუალებანი, მხატვრულ სახეთა სისტემა მასზე გარედან ხელოვნურად მიკერებულია, როგორც დანამატი:

2. დიდაქტიკური ლექსის (პოეზიის) ეს გარეგნული საშუალებები — მხატვრული გამომსახველობითი საშუალებანი, მხატვრულ სახეთა

<sup>1</sup> Georg Wilhelm Erildrich Hegel *Asthetik* M., 1955, გვ. 413.

სისტემა შინაარსის (ტექსტის) გვერდით დგას მხოლოდ გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად: „შედარებითი ცხოველმყოფელობით დამოძღვრების სიმწრაფესა და სერიოზულობას უფრო მხიარული სახე მისცეს და ცხოვრება მიმზიდველი გახადოს“;

3. დიდაქტიკური ლექსის ფორმა, რომელიც ბერძნულ ფილოსოფიას დასაწყისშივე უკავშირდება, გამოვლინებულია ლუკრეციის მიერ ეპიკურეს ფილოსოფიის გადმოცემისას, ვირგილიუსის დარიგებებში; როგორც გამონაკლისი, ამ საუკუნეშიც გამოჩნდა მხოლოდ დელილის ლექსებში, სადაც მთელი ფიზიკის კომპენდიუმია შოტეშული;

4. დიდაქტიკური ლექსი (პოეზია) ხელოვნების ნამდვილ ფორმებს ვერ მიეკუთვნება.

ზემოხსენებული დებულებების მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი პრინციპების საფუძველზე ანალიზის შედეგად მართებულად უხდა მივიჩნით ის შეხედულება, რომ ნაწარმოები, რომელშიც შინაარსი მხატვრულ სახეთა სისტემაში ორგანულად არ არის ჩაქსოვილ-გამოძერწილი, მხატვრული ლიტერატურის სფეროს ხამდვილად არ განეკუთვნება.

უფრო ზუსტად ეს შემდეგში მდგომარეობს: ცნობილია, რომ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებიდან სახეთა სისტემის გახზილვას ერთ სწორ დასკვნამდე მივყავართ, რაც ჩვენთვის სახელმძღვანელო დებულებადაა მიჩნეული დასმული პრობლემის გადაწყვეტისას. ცნობილია, რომ სახე იდეური შინაარსის გამოხატვის სპეციფიკური ფორმაა მხატვრულ ლიტერატურაში; სახეთა სისტემას ყოველთვის აქვს იდეური შინაარსი, იგი ყოველთვის გამოხატავს გარკვეულ სინამდვილეს, ყოველთვის შეიცავს ამ სინამდვილის იდეურ შეფასებას, ახასიათებს ემოციურობა, ადამიანის გონებასა და გრძობაზე დიდი ზემოქმედების ძალა, რადგან ასეთ ნაწარმოებში მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა მაღალი ოსტატობით გამოყენების შედეგად სინამდვილის ჩვენება ორგანულად ექსოვება ემოციურ შთაბეჭდილებებს, ემოციურ გამომეტყველებას. ნაწარმოების შინაარსისა და მხატვრული ფორმის ერთიანობის პრინციპი განსაზღვრავს ნაწარმოების ღირებულებას და ხელოვნების სფეროსადმი მის მიკუთვნებას.

დიდაქტიკური ფრაზები, როგორც ორნამენტები მიკერებულაა მხატვრული ნაწარმოების ქსოვილზე და, რასაკვირველია, იგი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სახე სიტყვაჯამულ მწერლობაში.

დიდაქტიკური ფრაზები არასდროს არ ყოფილა გამომხატველი ადამიანის სულიერი შინაარსისა, არ ყოფილა საშუალება ადამიანის

სულიერი მდგომარეობის ახსნისა. მას არ შესწევს უნარი ოდნავდაც კი გამოხატოს ის ადამიანური განცდები, განწყობილებანი, ხასიათები, მიზანსწრაფვის რთული პროცესები, რომლებიც ქეშმარიტად პოეტური ნაწარმოებისათვისაა დამახასიათებელი, რა ქანრისა და რა ფორმისაც არ უნდა იყოს იგი.

ის აზრი, რომ ხელოვნებაში ორნამენტები დამოუკიდებელ სახედ უნდა იქნეს მიჩნეული, არ არის სწორი და იგი კანტის მცდარ ესთეტიკურ პოზიციებს უახლოვდება.

პეგელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს მხატვრულ საშუალებათა ფუნქცია იყოს „ცხოვრება მიმზიდველი გახადოს“, შეიძლება ორ ასპექტში განვიხილოთ:

ა) მაღალმხატვრული ნაწარმოები საზოგადოებრივი ცხოვრების, ობიექტური სინამდვილის ჩვენებას, ასახვას წარმოადგენს მხატვრული სახეებით (ამ სიტყვის ფართო გაგებით), სადაც განცდათა ფორმებში გამოხატულია იდეური შინაარსი, ობიექტური სინამდვილე.

თუ ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება თავისთავში არ შეიცავს მშვენიერს, მომხიბვლელს, ნაწარმოებში მხატვრული ხერხების გამოყენებით შეუძლებელია იგი მიმზიდველად გავხადოთ. ასეთი ნაწარმოები მოკლებული იქნება მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნას, რის შედეგად აშკარად გამოჩნდება სიყალბე.

ნაწარმოების არა მხოლოდ მხატვრული საშუალებები, არამედ მასთან დაკავშირებული, მისგან განუყოფელი (და პირიქით) იდეურა შინაარსი უნდა იყოს ცხოვრების სიღრმეში ღრმად ჩაწვდომის შედეგად შექმნილი, რომელშიც სწორად უნდა იყოს ამოცნობილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში კლასობრივი ინტერესები და მასთან დაკავშირებული ადამიანური ინტერესები. მორალი... «Правильно понятыи интерес составляет принцип всякой морали»<sup>1</sup>, მაგრამ იმის გამო, რომ «личные интересы всегда развиваются... в классовые интересы»<sup>2</sup>. ცხოვრების შეფასებაც ამ პოზიციებიდან ხდება. ხოლო მისი მიმზიდველად გადაქცევა ან ასეთად მოჩვენება მხატვრულ სახეებს არ ძალუძს; რათა „ცხოვრება მიმზიდველი გახადოს“, ამისათვის საჭიროა ბრძოლის აქტიური ფორმების გამოყენება მისი ასეთად გარდასაქმნელად;

ბ) მხატვრული დანამატი ჩვენი გაგებით ზნეთსწავლების, დამოძღვრების, შეგონების შემცველ ნაწარმოებებს (ეს კი მათი უპირველესი ამოცანაა და ამიტომაც ნაწარმოებში პრიორიტეტი სწორედ

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. М., т. III, стр. 160.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. М., т. IV, стр. 225.

მას აქვს), იმიტომ კი არ მიეკვრება გარედან, რომ „ცხოვრება შიშხიდ-ველი გახადოს,“ არამედ დამოძღვრების ტექსტის შეცნობა ერთგვარად შეამსუბუქოს, მომაბეზრებელი, მშრალი განსჯის ნაცვლად ერთგვარად ხატოვანი ენით უზრუნველყოს ტექსტის შინაარსეული შესწავლა.

ამ შემთხვევაში მხატვრულობის (გარეგანი დანამატების, საშკაულების) მიზანია არა ის, რომ „ცხოვრება მიმზიდველად წარმოგვიდგინოს“, არამედ შეგონების ფრაზების, ტექსტის დამხასოვრებას, შეცნობასა და შესწავლას ეფექტურად დაეხმაროს.

აი, რა არის ერთადერთი და უმთავრესი მიზანი დიდაქტიური ლექსის (პოეზიის) გარე საშკაულებისა. ამით, იგი კეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების ემოციური ზეგავლენის დიად ძალას მოკლებულია.

ამგვარად, ისეთ ნაწარმოებებს, რომლის ძირითადი მიზანია ზნეთსწავლება, დამოძღვრება, თავისთავში წარმოადგენს შეგონების დასრულებულ, გაფორმებულ შინაარსს, მას ჩვენ ცალკე გამოვეყოფთ მისთვის სპეციალური თვისებების გამო და მივაკუთვნებთ შენტორულ ლიტერატურას. ჩვენი აზრით, მენტორულ ლიტერატურას არც წარსულში (ისტორიულ ასპექტში), არც დღეს და არც მომავალში ვერ მოვაქცევთ სიტყვაკაზმული ლიტერატურის სფეროში. ის ცალკე დგას, აქვს თავისი კონკრეტული დახიშნულება და მისი ფუნქციაც ამ ვიწრო დახიშნულებითაა განსაზღვრული.

\* \*

სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ზოგიერთი მკვლევარი დღესაც დიდაქტიური ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თავისებურ განმარტებას გვთავაზობს და აცხადებს, რომ „საბავშვო ლიტერატურა... არსებითად დიდაქტიური მწერლობის გარკვეულ დარგს წარმოადგენს“.<sup>1</sup>

ამ განსაზღვრიდან დავასკვნით: დიდაქტიური მწერლობა თურმე უფრო ფართო ნაირსახეობის მწერლობაა, ხოლო საბავშვო ლიტერატურა ერთ-ერთი მისი გარკვეული დარგია.

საკითხის ამგვარად დაყენება მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან საბავშვო ლიტერატურა კი არ არის „დიდაქტიური მწერლობის“ დარგი, არამედ, პირიქით, დიდაქტიური ნაწარმოებებია შენაკადური საბავშვო მხატვრული ლიტერატურის სფეროში. ასე რომ, არ შეიძ-

<sup>1</sup> გ. თ ა ვ ზ ი ე რ ლ ი, გოგებაშვილი, თბილისი, 1952, გვ. 189.

ლება საბავშვო ლიტერატურა მეტად ვიწროდ, შეზღუდულად წარმოვიდგინოთ, ხოლო „დიდაქტიკური მწერლობა“ კი უფრო ფართოდ. მაშინ, როცა ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით — შინაარსით, ჯანრობრივი თავისებურებით, სახეთა სისტემით გამომსახველობითი საშუალებებითა და ხერხებით არა მარტო საბავშვო ლიტერატურა, საერთოდ, არამედ საბავშვო მხატვრული ლიტერატურაც (საბავშვო მწერლობა), რომელიც საერთო საბავშვო ლიტერატურაში შემავალი ნაკადია, უფრო ფართოა, ვიდრე „დიდაქტიკური მწერლობა“.

ამავე დროს, არ შეიძლება არ დაისვას საკითხი — ნუთუ დასაშვებია გაიგივება მწერლობისა დიდაქტიკურ ლიტერატურასთან, იმ ლიტერატურასთან, რომელიც ამ შემთხვევაში, თვისებრივად მეტად გახსახლვრულია, მხატვრულად უმწეო და სპეციალურად იქმნება ბავშვთა შეგონებისათვის, ჰკუთასწავლებისათვის და ა. შ., რომლის შინაარსი გადმოცემულია საუბრის, დიალოგის ან მიმართვის ფორმით მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა ორგანულად გამოყენების გარეშე. რასაკვირველია, არა!

დიდაქტიკური ლიტერატურის არსის გაგებისათვის აუცილებელია იმისი გახსენება, რომ დიდაქტიკური ლიტერატურა საწყისს იღებს ბერძნული სიტყვისაგან „didaktikos“, რომელიც თავის არსში სრულიად არ შეიცავს მხატვრული წარმოსახვის მოთხოვნას: იგი გარკვეული პედაგოგიკური მოძღვრების აღმნიშვნელია მხოლოდ.

როდესაც საბავშვო მწერლობას ვაცხადებთ დიდაქტიკური ლიტერატურის დარგად, ეს იმას ნიშნავს, რომ საბავშვო პოეზიას, ბელეტრისტიკას, დრამატურგიას დიდაქტიკის პრინციპების ნიშნის მიხედვით ვიზილავთ, ვაფასებთ. ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა, არასწორია.

საბავშვო ლიტერატურის კრიტიკაც XIX საუკუნის II ნახევარში როგორც ჩვენში, ისე რუსეთში კატეგორიულად უარყოფდა საბავშვო ლიტერატურაში დიდაქტიზმის წინ წამოწევის ყოველგვარ გამოვლინებას.

ამის საილუსტრაციოდ, სათანადო შედარებისათვის მოვიყვანოთ შემდეგი კონკრეტული მაგალითები:

1. „საყმაწვილო კონას“ განხილვასთან დაკავშირებით გ. კურდ-ლელაშვილი წერდა: „უკვი არ არის, რომ უწინდელი დარიგებითი მოთხრობები, გაუგებარ და მშრალ ზნეობით სწავლებას და სენტენციებს ძლიერ ცუდი გავლენა ჰქონდა ყმაწვილების ხასიათზედ. ისინი იყვნენ მარტო სიტყვები. არ აძლევდნენ არავითარ შინაარსს, ზნეობითი გავლენა მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც ჩვენ ზნეობით სწავლას გადავცემთ ყმაწვილებს კონკრეტულ საგნებზედ და მოვლებებზედ. ამ გვარად იმათ გულში ცხოელად ჩაინერგება ეს კეთილი ელე-

მენტები, იმათი ზნეობით და სულიერ ბუნებასთან შედუღება და ასე მოამზადებს ნაყოფიერს ნიადაგს“.<sup>1</sup>

II. რ. ისარლიშვილის მიერ შედგენილი წიგნის გამო წერდა: „მოთხრობები ძლიერ თხელნი და უბრალონი, ასე რომ მორალი, რომლისათვისაც ავტორს დაუწერია ესენი, ძლიერ გამოსჩანს, როგორც ხმელი, დოღმატურათ ნათქვამი.

ამ დროს ყმაწვილებისათვის ზნეობითი სწავლა კი არ უნდა ჩაბდეს, თითონ მოთხრობა უნდა შეიცავდეს იმ გვარ შემთხვევათ, რომელნიც ბავშვს აგრძნობინებდნენ ყველა მოთხრობას. ჩვენი ავტორი აბოლოებს ზნეობითი სწავლით, ეს კი სწორეთ ამერიკულ მეთოდზეა“.<sup>2</sup>

დობროლუბოვიც უარყოფდა მხატვრულ ნაწარმოებზე მიკერებულ „მორალურ კუდებს“<sup>3</sup>. ხოლო ბელინსკი კატეგორიულად ამბობდა, რომ ზნეობრივი აზრი, რომელიც თავისთავად საუცხოოა და მწერალს ნაწარმოების შექმნისათვის აქვს ჩაფიქრებული, კი არ უნდა უთხრას ბავშვს, არამედ აგრძნობინოს მოთხრობის ბოლოს. მისგან დასკვნა მწერალმა კი არ უნდა გააკეთოს, არამედ თვით ბავშვმა, მწერალი ამ მხრივ რეცეპტორულ აზრს კი არ უნდა სთავაზობდეს, თუ რა არის კარგი ან რა არის ცუდი, არამედ ასეთისათვის მწერლის მიერ სახელის შეურქმელად, ამის გარეშე თვითონ ბავშვმა დაძოუჯიდებლად უნდა წარმოიდგინოს იგი ნაწარმოების მიხედვით და ცუდი ნამდვილად შეიძლოს.<sup>4</sup>

როდესაც ბ. ბელინსკი იხილავდა რომანისა და მოთხრობების მნიშვნელობას, წერდა: „რომანი და მოთხრობა ახლა სათავეში ჩაუდგა ყველა სხვა გვარის პოეზიას“, რომელშიც „ტალანტი უსაზღვრო თავისუფლებას გრძნობს“, — ამავე დროს იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ „მასში (ე. ი. რომანსა და მოთხრობაში) შეერთებულია ყველა სხვა გვარის პოეზია — ლირიკაც, როგორც ავტორის გრძნობათა გადმოშლა მის მიერ აღწერილი მოვლენის გამო, დრამატიზაცია, როგორც ყველაზე მკაფიო და რელიეფური საშუალება მოცემულ ხასიათთა გამოსავლინებლად, გა დ ა ხ ვ ე ვ ა ს, მ ს ქ ე ლ ო ბ ა ს, დ ი დ ა ქ ტ ი კ ა ს, რ ო მ ლ ე ბ ი ც პ ო ე ზ ი ი ს ს ხ ვ ა გ ვ ა რ ე ბ შ ი შე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე ლ ი ა, რ ო მ ა ნ ს ა და მ ო თ ხ რ ო ბ ა შ ი შე ი ძ ლ ე ბ ა კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ა დ გ ი ლ ი ე ქ ი რ ო ს. რომანი და მოთხრობა სრულ გასაქანს აძლევს მწერალს მისი ტალანტის, ხასიათის, გემოვნე-

<sup>1</sup> „დროება“, 1875, № 26.

<sup>2</sup> „დროება“, 1875, № 40.

<sup>3</sup> Н. А. Добролюбов. Полн. собр. соч., М., 1936, т. III, стр. 472.

<sup>4</sup> Соч. В. Б. Белинского в четырех томах, М., 1900, т. I, стр. 543, 639.



ბის, მიმართულებათა და სხვათა უპირატესი თვისების გამოსავლინებლად<sup>1</sup>. (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

ბ. ბელინსკის ამ განმარტებიდან კარგად ჩანს, რომ დიდაქტიკა გამოირიცხულია სრულყოფილი პოეზიის სფეროდან, რადგან დიდაქტიკა შეუთავსებელია ფანტაზიასთან, პერსონიფიკირებულ განწყობილებებთან, მხატვრულ წარმოსახვასთან. ეს უკანასკნელი კი ის აუცილებელი ელემენტია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის განსაკუთრებული თავისებურებაა. ურომლისოდ ქეშმარიტი პოეზია წარმოუდგენელია.

დიდაქტიკა ლექსს ქმნის უფერულს, მშრალს, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მიზანი აქვს — გარკვეული მორალის ჩარჩოში ბავშვის სულისა და გულის მოქცევა, ნების, მისწრაფებების, მიზნების, აზრებისა და ფიქრების წინასწარ კარგად მოფიქრებულ და განსაზღვრულ მიმართებაში განვითარება.

ბუნებრივია, რომ ასეთი გზით არ შეიძლება მრავალფეროვანი, მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე საბავშვო პოეზიის განვითარება და ისტორიულადაც საბავშვო მწერლობა ამ გზით არც განვითარებულა.

მხატვრული წარმოსახვა, მდიდარი პოეტური ფანტაზიით ხაწარმოების სრულყოფა, შთამბეჭდავ პოეტურ გამომსახველობით საშუალებათა ოსტატურად გამოყენება, მხატვრული სიტყვის ბავშვის ასაკისა და გონებრივი განვითარების გათვალისწინებით იმგვარად შერჩევა, რომ ყველაზე უფრო ძლიერად, ეფექტურად შეიძლება ვიმოქმედოთ მის ფანტაზიაზე, მის ემოციებზე და ამით ხელი შევუწყოთ ცხოვრებაზე, ადამიანთა ურთიერთობაზე, ბუნებასა და ბუნებრივ მოვლენებზე სწორი შეხედულებების შემუშავებას, — აი, უპირველესი მოთხოვნა მაღალიდეური, მხატვრული სახეებით მდიდარი საბავშვო მწერლობისადმი.

რასაკვირველია, ზოგიერთ ნაწარმოებში „გადახვევას, მსჯელობას, დიდაქტიკას“ შეიძლება „კანონიერი ადგილი ექიროს“ და იგი გათვალისწინებული იყოს ზნეობის გამოსწორებისა ან რაიმე მანკიერების გაკლებისათვის, მაგრამ ასეთი ნაწარმოებისათვისაც უპირველესი აშოცანა მაინც იქნება ხასიათის მხატვრული ჩვეებზე, სადაც მწერლის მიერ შექმნილი სახეები იქნება ტიპური ტიპურ გარემოში და ბუნებრივად უნდა იწვევდნენ გარკვეულ ემოციურ ზეგავლენას, მოქმედებდეს ბავშვის ფანტაზიაზე, ხოლო მწერლის ტალანტი, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, უსაზღვრო თავისუფლებას გრძნობდეს.

ამგვარად, დიდაქტიკური ლიტერატურის სა-

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი, რჩეული ფილ. თხზულებანი, თბილისი, 1948, გვ. 701.

ფუძველი პედაგოგიკური პრინციპებია, ხოლო საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა ვითარდება მხატვრული რეალიზმის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

დიდაქტიკური ლიტერატურა არსებობს სიტყვაკაზმული მწერლობისაგან დამოუკიდებლად, ძირითადად, მხატვრული სიტყვის ხელოვნების გამოუყენებლადაც, მაგრამ არ არსებობს არცერთი ქეშმარიტად მხატვრული ხაწარმოები, რომელიც მკითხველზე ემოციურ ზეგავლენას არ ახდენდეს, რამეს არ შთააგონებდეს, არ ჩააფიქრებდეს, რამეს არ ასწავლიდეს და ზოგ შემთხვევაში მის მრავალფეროვან მხატვრულ სახეებში ჩაქსოვილიც არ იყოს დიდაქტიკური მოტივებიც.

\* \* \*

დიდაქტიკური ლიტერატურა და სიტყვაკაზმული მწერლობა შექმნისა და დანიშნულების მხრივაც განსხვავებული თავისებურების შექცევლია; დიდაქტიკური ნაწარმოების შექმნაში გადამწყვეტია უკვე წინასწარ მოცემული, წინასწარ შემუშავებული საზოგადოებრივი ეთიკური ნორმები და კანონების ჩარჩოები, ამ ჩარჩოებით რეგლამენტირებული მორალი, ქცევანი, რაც ახალგაზრდობამ აღზრდის რთულ პროცესში შეგნებულად უნდა შეითვისოს და პრაქტიკულად გამოიყენოს.

ეს წინასწარ გამომუშავებული ნორმები და აზრები განსაზღვრავენ ცალკეული დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოების დანიშნულებას, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი დროისათვის გაბატონებულ იდეას უკავშირდება; მწერალი ამ იდეასთან მკაცრად განსაზღვრულ დამოკიდებულებაში იმყოფება იმ თვალსაზრისით, რომ იგი ცდილობს რეცეპტორული აზრის მკაფიოდ, უკეთ გამოხატავს ზოგჯერ მხატვრული გამომსახველობითი საშუალებებითაც კი: ამ უკანასკნელის გამოყენების ცდაში ის რამდენადმე თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფება, არჩევს სიტყვებს, გამოთქმებს, შედარებებს, მეტაფორებს ისე, რომ წინა პლანზე მიანიც გაბატონებული, წინასწარ განსაზღვრული შეგონება, დამოძღვრება მკვეთრად გამოისახოს, რაც მისი უმთავრესი მიზანი და დანიშნულებაა.

ამ შემთხვევაში ასეთი ნაწარმოების ავტორი ცდილობს მკითხველის ყურადღება პირველ წაკითხვისთანავე, სწორედ, შეგონებას მიჰქციოს და მასზე სათანადო აქცენტრებით მიიღწიოს მკითხველზე სათანადო

ნადო ზეგავლენას, დაამხასოვროს იგი და, ბოლოს, მისი ქცევის, მისი მორალური სახის განმსაზღვრელი შეიქმნეს. აქ იღებს სათავეს რეზონორული ლიტერატურა.

უნდა შევნიშნოთ ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება: დიდაქტიკური ნაწარმოების ტექსტის გაგება-შეთვისებისათვის, მისი შეგნებულად გააზრებისათვის, უპირატესად, გავრცელებულია ცალკეული შეგონების სათანადო საუბრის, დიალოგის ფორმით საჭირო ახსნა-განმარტების თანმიმდევრულად ჩამოყალიბება, რათა ბავშვებზე ზემოქმედების თვალსაზრისით მეტი ეფექტურობა იქნეს მიღწეული, რაც უნდა ექვემდებარებოდეს ბავშვებში გარკვეული მორალური ჩვევის სათანადოდ განმტკიცება-განვითარებას.



როგორც აღვნიშნეთ, დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებები შეხაკადურია საბავშვო მხატვრული ლიტერატურის სფეროში. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვგულისხმობთ პოეტურ დიდაქტიკას, როდესაც ის ორგანულად ექსოვება ნაწარმოების ემოციურობას, ვიყენებთ პოეტურ გამომსახველობით ხერხებს, რომლის მიზანია პოეტური მხატვრული სიტყვის მომხიბვლელობით, გარკვეულ ესთეტიკურ ტემბოასთან ერთად, ბავშვის გონებას და გულს სწვდებოდეს ძალდაუტანებლად ავტორის მორალური ჩანაფიქრი. ხატოვანება მხოლოდ დამხმარე ხერხია, ერთგვარი საშუალებაა ძირითადი მიზნისათვის — შეგონებისათვის.

პოეტური დიდაქტიკაში უმთავრესად საჭიროა საბავშვო პოეზიაში მხოლოდ უმცროსი და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, რადგან ამ ასაკში ბავშვებს ადამიანებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენაზე დაკვირვების, პრაქტიკული დასკვნების, განსჯის უნარი ჯერ კიდევ განვითარებული არ აქვთ.

მცირე ასაკის ბავშვთათვის დიდაქტიკის ნიშნით მაღალი პოეტური ნაწარმოებების შექმნა XIX საუკუნის II ნახევრიდან იღებს სათავეს და სრულყოფილი სახით თანამედროვე საბავშვო პოეზიაში ვლინდება.

ისტორიულ ასპექტში საკითხის განხილვა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ცივი დიდაქტიკის ამა თუ იმ სახით გამოვლინების შემთხვევა, რაც გამოიხატებოდა ზნეთსწავლების, დამოძღვრების, მენტორულობის ნიშან-თვისების წინწამოწევაში საბავშვო პოეზიისა თუ პროზის სფეროში, ქართული მხატვრული სიტყვის ქომავნი ყოველთვის პრიციპულ ბრძოლას უცხადებდნენ; „კვალის“, „მოამბის“, „ივერიის“ თუ

სხვა პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე XIX საუკუნის II ხახვარში ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი ესეც იყო.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობისათვის მებრძოლი საბავშვო მწერლობის განვითარების ტენდენციის განსაზღვრისათვის, რეალისტური მიმართულების მისაცემად არაორაზროვნად წერდნენ: „სენტენცია მორალია, კარგია, როცა იგი თავით თვისით გამოძლიანობს ნაწერიდან, როცა იგი შექსოვილი აქვს თვით დახატულ სურათს. მიტმანებული ტენდენცია სიკვდილია სახელოვნებო ხაწარმოებისა, ტენდენცია... ისე უნდა იყოს შესისხლ-ხორცებული ნაწარმოებიდან, ისე უნდა ჰქონდეს ჩაწნული და ჩაგრებილი საერთო სურათს ნაწერისას, რომ ცალკე არ ეჩხირობოდეს კაცს თვალში. დედააზრი ეტიუდისა, ნაწერისა შიგ ნაწერში ისე უნდა ტრიალებდეს, როგორც სული უკვდავებისა ადამიანის სხეულში, განუშორებლივ, განუყოფელად<sup>1</sup> ან კიდევ „თავდაპირველათ მოთხრობისაგან ვითხოვთ ჩვენი ცხოვრების გადმოშლას, რა მხრივაც უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს ის ხელოვნურ ნაწარმოებსაც უნდა წარმოადგენდეს და არა ავტორის რეზონირობას“<sup>2</sup>.

ასეთსავე მოთხოვნას უყენებდნენ ზღაპრებსაც, რომლებიც ბავშვთა საკითხავ სფეროში იყო მოქცეული. მაგალითად, ზღაპარში „მელის ხრიკები“ ამბავი ისე ვითარდება, რომ უსამართლო, გაიძვერასა და ბოროტ მელის ძაღლები გლეჯენ. ზღაპარს აქვს ასეთი მინაწერი: „ამ ნაირი ბოლო აქვს ყოველს გაუმაძლარს, ჯანჯალსა და მოდავე კაცსა“. სწორედ, ეს მინაწერი დამოძღვრების თავისებურ ფორმას წარმოადგენს. ამას კუთვნილი შეფასებაც მიეცა: „რა საჭიროა ეს ორგროშიანი დარიგება, როდესაც ზღაპარიც ამასვე ამბობს, როდესაც ზღაპრიდამ უფრო ცხადად სჩანს ესევე. დასკვნასაც რომ თქვენ ეუბნებით, რაღა დარჩეს ბავშვს მოსაფიქრებლად, რილათი ივარჯიშოს მისმა გონებამ“<sup>3</sup>. ამას კომენტარები არ ესაჭიროება.

რუსული საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკურ კრიტიკაშიც ეს საკითხი პრინციპული დავის საგნად იდგა; თვით საბავშვო მწერლობაში ცნობილი პირებიც კი აშკარად აცხადებდნენ, რომ მორალი, რომელიც ზნეთსწავლების ან ხელოვნური მოთხრობის ფორმითაა წარმოდგენილი, საბავშვო ლიტერატურიდან სრულიად უნდა ამოვიღოთ<sup>4</sup>.

მაშასადამე, როგორც რუსულსა, ისე ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში უკვე გრძელდებოდა ბრძოლა ისეთი საბავშვო ხა-

<sup>1</sup> „მოამბე“, 1899, № 3, გვ. 85.

<sup>2</sup> „კვალი“, 1899, № 2, გვ. 26.

<sup>3</sup> „ივერია“, 1899, № 4, გვ. 82.

<sup>4</sup> Д. Э л а ч и ч, Сборник статей по детскому чтению, Тб., 1912, гв. 14.

წარმოებების წინააღმდეგ. რომელსაც „აილებ თუ არა ხელში, ნაშიხვე პირველის გვერდის ჩაეთხზავნდევ გული შეგილონდებათ: თქვენ ჰხედავთ, რომ აეტორს განუზრახავს თქვენი სწავლება, ზნეობით აძალდება, მამულის სიყვარულის გაღვიძება და აი, მისაღწევად შიუქიბ-მოუქიბავს „რალაც-რალაცა-ები“<sup>1</sup>.

ყოველივე ეს იმით იყო გამოწვეული, რომ „საბავშვო ლიტერატურას მეტად ზღუდავდა, ჰკეტავდნენ მეტად ვიწრო მორალის ჩარჩოებში“<sup>2</sup>. ასეთი ნაწარმოები, რასაკვირველია. ბავშვებს ვერ ღაიხტერესებს, ვერ შეაყვარებს ნაწარმოებს და ამდენად მისი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციები მეტად მკაცრად შემოსაზღვრულ ცივ ფარგლებშია მოქცეული.

უმცროსი ასაკის ბავშვთათვის სრულფასოვანი პოეტური დიდაქტიზმის ფუძემდებლად ქართულ საბავშვო მწერლობაში შიო მღვიმელი უნდა მივიჩნიოთ. მის პოეზიაში არ გვხვდება ცივი დიდაქტიზმი, მორალისტური დამოძღვრება, მენტორული შიმბაძველობას გამოვლინებები, მიუხედავად იმისა, რომ პოეტისათვის ახალი თაობის მაღალზნეობრივი აღზრდა, ბავშვებში მაღალ ადამიანურ გრძნობათა გაღვიძება და განვითარება მისთვის ყოველთვის იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.

შიო მღვიმელი იმიტომ კი არ იქცა ბავშვთა საყვარელ პოეტად, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოებები შექმნილია მხოლოდ დიდაქტიკური პრინციპის საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ მან პატარებს შეაყვარა ქართული მხატვრული პოეზია, შეაყვარა მათთვის ხაცხობი თუ ახლობელი გარემო განსაკუთრებული, ბავშვთათვის მისაწვდომი, ხატოვანი ქართული ენით და ბავშვთა სახეები, ხასიათები გამოკვეთა მხატვრული რეალიზმის ძირითადი პრინციპების მიხედვით. ამის გამო ინარჩუნებს მისი პოეტური სამყარო პატარების გულში სიცოცხლისუნარიანობას, ამიტომ უყვართ პატარებს მისი პოეტური ფრაზები, დახვეწილი ენა, აზრის სიციხადე და დიდი ემოციური ძალა, რომელიც თანაბრად გააჩნია მის როგორც პატარა, ისე მოზრდილთათვის შექმნილ ნაწარმოებებს.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ლექსი „ცელქები“, რომელიც აზრობრივი და ემოციური იერით ბავშვებს აღუძრავს სიცელქის საწინააღმდეგო გრძნობას; შინაარსის ბუნებრივ მდინარებას პოეტ

<sup>1</sup> „ივერია“, 1898, № 21.

<sup>2</sup> შ. ზანდუკელი. ი. გოგებაშვილი როგორც მწერალი (იხ. ი. გოგებაშვილას საიუბილეო კრებული, თბილისი, 1940, გვ. 94).

ხელოვნურად არ უკავშირებს გარეგან ორნამენტებს. არც სალექსო ფრაზებს ატყვია ხელოვნურობის ნიშანი. პოეტი სრულიად უბრალოდ, მისაწვდომად, სადად, მაგრამ ოსტატურად ცდილობს მიმართვითი ფორმით ბავშვებში ყურადღების, ინტერესის გამოწვევას ცელქების მოქმედებისადმი

„შეხეთ ცელქებს, როგორ ჩუმაღ  
მიპაროიან მანუნის ქილას;  
ყური უვლეთ, რა ხალისით  
ეუბნება ვანო ილას“.

ცელქების მოქმედება შეიგრძნობა მათი ურთიერთგაბაასების ფოზზე. ბუნებრივად იგრძნობა მათი უბოროტო ცელქობა გულუბრყვობამდე დასული:

„ — ამოვუსვათ, ამოვტყვილივთ,  
რას გაგვიგებს ბებიაო?!  
შეძლევ მურით მოვითხუპნოთ  
ცხვირ-პირი და ყბებიაო“.

საგანგებო ყურადღების ღირსია ის, რომ პოეტი თვითონ არც ერთ სიტყვას არ ხმარობს ცელქების ქცევის სახასიათებლად, არც ჭკუთა სასწავლად იყენებს სალექსო ფრაზებს. უკანასკნელ სტროფში ახრობრივ-ემოციური თვალსაზრისით აღსანიშნავია, ერთი მხრივ, სიცელქის თავისებური შედეგი მოთმენიდან გამომდინარე და, მეორე მხრივ, მათში ბუნებრივად აღძრული საფრთხეც:

„თუ ფისუას დააბრალებს,  
რა სერიო იქნებაო!  
ჩვენ რომ არა შეგვიტყონ რა,  
შენ ნუ გაგეცინებაო!“

აქედან გამომდინარე, ბავშვი თვითონვე ასკვნის ცელქობის არასწორ ქცევაზე, საკუთარი დანაშაულის სხვაზე გადბრალებების საკითხზე. ეს პოეტმა განსჯის, სათანადო ეთიკური დასკვნის გამოსატახად თვით პატარებს დაუტოვა. არ შეიძლება მკითხველმა თვითონ არ შეაფასოს ცელქების მოქმედება.

უარყოფით საქციელს, მსუნაგობისა და ავმუცლობის კონკრეტული გამოვლინების ჩვენას ბავშვთა ქცევაში პოეტური ოსტატობით, ძლიერი ემოციური ზეგავლენის მოხდენით აღწევს პოეტი ლექსში „ნაბია და წკიპა“. არც ამ ლექსში ნახავთ ჭკუის სწავლების შემსველ გამოკვეთილ სტროფს, ვერც ფრაზასა და ვერც სიტყვას. ნაბიასა და წკიპას ბავშვური გულწრფელი ურთიერთობა იგრძნობა ძლიერი კონკრეტული განცდების შესაბამის ფრაზებში ინტონაციური ხაზგასმით.

ეს შეპირისპირებული სიტუაცია კულმინაციურ წერტილს ისე აღწევს, რომ ორთავენი მსუნაგობისა და ავტუკლობის დაპყობელთა როლში გამოდიან. მათი განწყობილებათა სიმწვავეში პატარა მკითხველი გრძნობს როგორც გაცნობიერებულ მიზეზს, ისე ამ ქცევის ბუნებრივად გაკიცხვასაც:

ამ პატარა, მაგრამ საინტერესო ლექსში პატარა მკითხველი სრულიად არ გრძნობს მენტორულ დამოძღვრებას იმის შესახებ, რომ მსუნაგობასა და ავტუკლობას ქურდობისკენ მიჰყავს ბავშვი და ამიტომ მას უნდა გაერიდოს. მნიშვნელოვანი ისაა, რომ საკითხის ხეობრივი მსარე ამ ორი პაწაწა გვირის ურთიერთობაში მთელი თავისი სიწმინდით წარმოგვიდგება ხატოვანი ქართული ენით, შესანიშნავად დაწერილი დიალოგის ფორმაში ხასიათების წარმოსახვით. ესაა მისი ღირსება, რითაც პოეტი გარკვეულ დიდაქტიკურ მიზანსაც აღწევს.

ამ გვარად, პოეტური დიდაქტიზმის საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის მხოლოდ ერთ-ერთი სახე, დარიგების, შეგონების შეცნობისათვის აუცილებელი მხატვრული გამოსახებითი საშუალებაა, რომელიც მხოლოდ გარკვეული ასაკის ბავშვთათვის სპეციალურად შექმნილი პოეზიისათვისაა დამახასიათებელი და არა მთლიანად საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისათვის საერთოდ და აქაც, პირველადი, მაინც მხატვრობაა, ხოლო შეგონება მეორადი.

საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა უნდა წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათს, ვრცელ პანორამას, პროგრესული იდეალებით აშუქებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას, გვიჩვენებდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვთა შრომითს მონაწილეობას, მათს გატაცებებს, განწყობილებებს, მორალურ სახეებს, ამასთან სულიერად ამდიდრებდეს ახალ თაობას. ამით ობიექტური სინამდვილის კანონების სწორად გაგების საფუძველზე საბავშვო მწერლობაც აქტიურად უნდა ებმებოდეს მის გარდაქმნაში კაცობრობის მოწინავე ჰუმანური იდეალების საფუძველზე.

ამ შემთხვევაში მთავარია არა დიდაქტიკური სქემა, საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაზე წინასწარ მოსაზრებებით სწორხაზობრივი, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნა, არა რეცეპტორული ცნობიერების მიღწევა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი თავისი სისრულითა და წინააღმდეგობებით, ადამიანთა მაღალი სულიერი თვ-

სებებითა თუ სიმახინჯით მოცემა, ძველის აუცილებელი სიკვდილისა და ახლის დაბადება-განვითარებისა და საბოლოო გაშარჯვების დიადი პროცესის ჩვენება, ყოველივე ამის სიტყვაკაზმული მწერლობის შრავალსახოვანი ფორმებით ბავშვთათვის ცნობიერებაში მოქცევა, რადგან „ცნობიერება არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არ შეცნობილი ყოფიერება, ხოლო ადამიანთა ყოფიერება მათი ცხოვრებას რეალური პროცესია“.<sup>1</sup> და ეს „რეალური პროცესი“ სწორად უნდა წარმოუსახოთ ბავშვებს მხატვრული სიტყვის საშუალებით.

და, სწორედ, ეს „ცხოვრების რეალური პროცესი“ საბავშვო მწერლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით, სადაც ობიექტური სინამდვილე ახალი თაობისათვის რაციონალური შემეცნების საგანი გახდება. ამ შემთხვევაში ისე, როგორც მხატვრული ლიტერატურისათვის საერთოდ, აგრეთვე საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისათვის ურყევი კანონია „ცოცხალი ჰერეტიდან აბსტრაქტული აზროვნებისაკენ და აქედან პრაქტიკისაკენ — ასეთია ჰეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა“<sup>2</sup>.

ასახვის ლენინური თეორიის საფუძველზე შეიძლება სიტყვაკაზმულმა საბავშვო მწერლობამ შექმნას ბავშვთათვის, ახალგაზრდობისათვის საყვარელი მიმზიდველი, საინტერესო ნაწარმოებები, რომელთა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქცია ბუნებრივად იქნება მოცემული.

მხოლოდ ასეთ ნაწარმოებებს შეუძლია განუვითარონ ბავშვებს მაღალი იდეალებისაკენ სწრაფვა, მხოლოდ ასეთ ნაწარმოებებში შეიძლება მაღალი იდეური ამოცანები ორგანულად დაეუკავშიროთ მხატვრულობის პრინციპებს, ჯანსაღ ფანტაზიასა და საბავშვო მწერლობის სპეციფიკას: „ხელოვნების ნაწარმოებნი სწორედ იმით დგასან ეგრეთწოდებულ „ნამდვილ შემთხვევებზე“ მაღლა, რომ პოეტი თავისი ფანტაზიის გზებით აშუქებს თავისი გმირების მთელი სულის ხვეულებს, მათი მოქმედების ყველა ფარულ მიზეზს, ჩამოაცლის თავის ნაამბობს ყოველივე შემთხვევითს და წარმოგვიდგენს მხოლოდ აუცილებელს, როგორც საკმარისი მიზეზის გარდაუვალ შედეგს“<sup>3</sup>.

ფანტაზია, რომელსაც ფესვები რეალობაში აქვს გადგმული, მხატვრული ოსტატობა, რომელიც საფუძველია დიდი ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედებისა, უნდა ახასიათებდეს ყოველი ჰეშმარიტი ხე-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. М., т. IV, стр. 16.

<sup>2</sup> В. И. Ленин. Философские тетради, М., 1947, стр. 146—147.

<sup>3</sup> ბ. ბელინსკი. რჩ. ფილოსოფიური თხზ., თბილისი, 1948, გვ. 627.



ლოვნებით შექმნილ საბავშვო საწარმოებს. ეს არის უმთავრესი, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დიდაქტიკური მოტივები, რომელიც ნიშნული იქნება ზოგიერთი ნაწარმოებისათვის, რომელიც სპეციალურად იქმნება ბავშვთათვის, ოდნავადაც ვერ შეანელებს მისი ემოციური ზეგავლენის ძალას.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩვენ გავიმეორებდით მაქსიმ გორკის სიტყვებს: „მე არ ვიცი დიდაქტიკას მოკლებული ხელოვნება და აწვევობ დიდაქტიკას შეედლოს დაამციროს ძალა ხელოვნების გავლენისა მკითხველის წარმოსახვაზე, გონებაზე და ნებისყოფაზე“<sup>1</sup>.

მაგრამ ისეთი ნაწარმოებები, სადაც აშკარად ჩანს შეგონება, დამოდგრება, კჟუის სწავლება, დიდაქტიზმის შიშველი ტენდენცია, რომელიც ბავშვებს უკლავს ფანტაზიას, მაღალი იდეალებისაქენ სწრაფვის უნარს, ინტერესს, — განეკუთვნება დიდაქტიკური ლიტერატურის სფეროს და არა სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას.

მ. გორკის სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც ამბობდა: «Наша книга должна быть не дидактической, не грубо тенденциозной. Она должна говорить языком образов, должна быть художественной»<sup>2</sup>.

სწორედ ეს უკანასკნელი უნდა იყოს საბავშვო მწერლობაში მხატვრულ ნაწარმოებთა თავისებურების განსაზღვრის საფუძველი და მათი შეფასების კრიტერიუმი. აქედან გამომდინარე, საბავშვო მწერლობას არ შეიძლება ვუწოდოთ „დიდაქტიკური ლიტერატურა“ ან „დიდაქტიკური მწერლობა“, რადგან იგი სწორად ვერ გამოხატავს სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის დიად არსს, მიზანსა და ამოცანებს.

ამ ჰეშმარიტებას ერთხელ კიდევ ადასტურებს XIX საუკუნის II ნახევარში შექმნილი ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა, რომლისთვისაც უმთავრესი იყო მხატვრული რეალიზმის პრინციპებზე და არა დიდაქტიზმის ცივ არტახებში მოქცეული ნაწარმოებების შექმნა.

ამგვარად, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისა და მხატვრული-დიდაქტიკური ლიტერატურის ურთიერთობის გამოსარკვევად შეიძლება დავასკვნათ:

1. მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურის (ფართო გაგებით) საფუძველია პედაგოგიკური პრინციპები, რომლითაც იგი გან-

<sup>1</sup> М. Горький, Публицистические статьи, М., 1933, гл. 314.

<sup>2</sup> М. Горький. О литературе, сб. статей. М., 1955, гл. 619.

კუთვნილია გარკვეული მორალისტური ჩვევების გამომუშავება-განმტკიცებისათვის. ეს მისი სპეციფიკურობაა;

2. ნენტორული ლიტერატურა დიდაქტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი შენაკადია, რომლისათვის არ არის ნიშნული იყოს იმ თვისებების შემცველი, რაც პირველ რიგში სიტყვის ხელოვნებას ანასიათებს და ამდენად იგი არ არის შექმნილი მხატვრობის პრინციპების საფუძველზე; ნენტორულსა და დიდაქტიკურ ლიტერატურას ეროვნული სპეციფიკა არ გააჩნია;

3. ობიექტური სინამდვილის რეალური პროცესების შესწავლა, ცხოვრების კანონზომიერი ისტორიული განვითარების დასახვა, მასში ისტორიული აუცილებლობისა და ჭეშმარიტების შეცნობა და მისი გრძნობა, იმისი გარჩევა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო, რა არის კარგი და რა არაა ცუდი, კეთილი და ბოროტი, ძველი-წარმავალი და ახალი პერსპექტიული, ამათში ტიპური, ყველაზე დამახასიათებელი, რომელიც ხაწაბ-მოებში გარკვეულ სიტუაციაში ბუნებრივად უნდა გამოჩნდეს, ემოციათა რთულ სამყაროში წარმოისახოს, როგორც მხატვრული განზოგადება, — დამოკიდებულია საბავშვო მწერლის ინტელექტუალურ პორიზონტზე, მწერლობის ამოცანებთან მის დამოკიდებულებასა და მის მხატვრულ ოსტატობაზე. არა დიდაქტიკური სიმშრალე, არამედ საბავშვო მწერლის ჩანაფიქრი და მისი მხატვრული განზოგადება მოქმედებს მკითხველზე მხოლოდ და ეს არის უმთავრესი, გადამწყვეტი;

4. დიდაქტიკური ლიტერატურა შეიძლება არსებობდეს წარმოსახვის რთული სისტემის, ნაირსახოვანი ესთეტიკური ფორმების გამოყენების გარეშეც;

5. პოეტური დიდაქტიკაში, რომელიც განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შექმნილი პოეტური ნაწარმოებების სპეციფიკაა, თავისებური, მაგრამ მეტად ვიწრო, შეზღუდული შენაკადია სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში. იგი შექმნილია დიდაქტიკური ლიტერატურის პრინციპებზე და ამდენად დიდაქტიკური ლიტერატურის სფეროსაც განეკუთვნება;

6. საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა — პოეზია, პროზა, დრამატურგია სიტყვის ხელოვნებაა და მისი საფუძველი მხატვრული რეალიზმია, რომელიც ორგანულად უკავშირდება ეროვნული ლიტერატურის განვითარების პროცესების კანონზომიერებას ცალკეული ეპირის, მხატვრული ნაწარმოების ენის, ლექსთწყობის, კომპოზიციის, სიუჟეტისა და სხვა კომპონენტების განვითარებას, რომელიც თავის მხრივ, განპირობებულია ხალხის ცხოვრების ისტორიული პროცესებით:

7. სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობისადმი სკოლაში სწავლების შინაარსის, მეთოდებისა და ორგანიზაციული ფორმის გამომხატველი პედაგოგიკური ცხელების დიდაქტიკის მიკუთვნება და საბავშვო მწერლობის დიდაქტიკურ მწერლობად ან დიდაქტიკური ლიტერატურის დარგად გამოცხადება არ არის სწორი; «Дидактика есть искусство обучения»<sup>1</sup> და დიდაქტიკური ნაწარმოები არ შეიცავს იმ ნიშანდობლივ თავისებურებას, რაც ახასიათებს სიტყვის ხელოვნებას, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობას.

თუკი ბავშვთათვის განკუთვნილი საკითხავი წიგნების თავისებურებას არსებითად განვიხილავთ ისტორიულ ასპექტში, მაშინ აშკარად განვასხვავებთ ერთიმეორისაგან ზნეთსწავლების (მენტორულ) ლიტერატურას (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) დიდაქტიკური მოტივის შემცველ მხატვრულ, ე. ი. პოეტური დიდაქტიზმის ნიშნულ ნაწარმოებსა და სიტყვის ხელოვნებით შექმნილ საბავშვო მწერლობას, რომლისათვის ორგანულად კუთვნილია მაღალი იდეურობა, ეროვნული სპეციფიკა, მხატვრულობა და ემოციურობა.

მაშასადამე, მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა მისი საირსახეობა — პოეტური დიდაქტიზმის სახით წარმოდგენილი, მეტად შებლულული გზაა საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის და, აქედან გამომდინარე, კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა ამ გზით არ განვითარებულა, არ ვითარდება და მომავალშიც ამ გზით შეუძლებელია რომ განვითარდეს;

8. მენტორული, დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ურთიერთმიმართებაში, — მათი მიზნების და ამოცანების, შექმნის ხერხებისა და სიტყვის ხელოვნების პრინციპების გამოყენების ნიშნების მიხედვით უნდა განვასხვავოთ:

- ა) პედაგოგიკურ პრინციპებზე შექმნილი მენტორული და დიდაქტიკური ლიტერატურა;
- ბ) სპეციალურად უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნილი დიდაქტიკური მოტივების (პოეტური დიდაქტიზმის) შემცველი ნაწარმოებები (პოეზიაში).

<sup>1</sup> Я. А. Коменский, «Великая дидактика», М., 1893.

ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურა  
და ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული  
აზროვნების უნარის განვითარება

ლიტერატურულსა და პედაგოგიკურ კრიტიკაში საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) დიდი მნიშვნელობა თავიდანვე იმით იყო განსაზღვრული, რომ იგი საიმედო საფუძველი უნდა ყოფილიყო ბავშვებში უმაღლესი მიზნის — ადამიანობის აღზრდისათვის. ამ აპოცახაა ექვემდებარებოდა მისი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციები.

მხატვრული სიტყვის ემოციური ზემოქმედების ძალა იყო ერთი მთავარი საშუალებათაგანი ბავშვებში სათანადო შეგრძნებების მისაღებად, მათში სათანადო წარმოსახვის საფუძველზე რეალურ საქყაროზე, ადამიანთა ურთიერთობაზე, სამშობლოს ბედზე გარკვეული დამოკიდებულების შესაქმნელად.

ეს, რასაკვირველია, თავის მხრივ აუცილებელი პირობა იყო ბავშვის გონებისა და გრძნობების გარკვეული მიმართულებით თანმიმდევრულად და მიზანშეწონილად განვითარებისათვის. მათში დამოუკიდებელი კრიტიკული მსჯელობისა და შეხედულების გამოხატულების, საერთოდ, „ახალი ტიპის ქართუელის“ აღზრდისათვის.

ბავშვებში უმაღლესი მიზნის — მათში ადამიანობის აღზრდის მოთხოვნა და ამ მიზნით კონკრეტულად გამოსაყენებელ საშუალებათა მრავალსახეობა ორგანულად უკავშირდებოდა ლოკის, კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, ილიას, აკაკის, იაკობისა და სხვათა მიერ ჩამოყალიბებული აღზრდის ძირითად პრინციპებს.

აქვე ისიც უნდა შევიწინოთ, რომ პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიერ, ამ პრინციპების საფუძველზე, ყველა საშუალება მიმართული იყო იქითკენ, რათა სწორად ყოფილიყო გაგებული საბავშვო ლიტერატურის მიზანი და ამოცანები, რასაკვირველია, ეპოქის მოთხოვნათა მიხედვით და ქმედითი მონაწილეობა მიეღოთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

როგორც პედაგოგიკურსა, ისე საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკურ კრიტიკაში საბავშვო ლიტერატურის მიზნის გაგებაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი თვალსაზრისით ერთი კვშმარიტი დანიშნულების, ერთი კვშმარიტი მიზნის გამომხატველი ფუნქციის განსაზღვრა: საბავშვო ლიტერატურას ხელი უნდა შეეწყოს ბავშვის საერთო განათლებისათვის, აღეზარდა პატ-

რიოტული, ესთეტიკური, ინტერნაციონალური გრძნობისა და შტიკე ნებისყოფის მქონე ახალი თაობა.

ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად საბავშვო წიგნის თაროზე თავს იყრიდა არა მარტო მხატვრული ლიტერატურა, არამედ სათანადოდ შერჩეული, სპეციალური ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური ნაწარმოებები, მონოგრაფიები გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დიდაქტიკასა და მორალურ საკითხებზე, მოგზაურობათა ჩანაწერები, სპეციალური პოპულარული წიგნები ხელოვნების, კულტურისა და ტექნიკის ისტორიიდან თუ უახლოეს მიღწევებზე და სხვ.

ამგვარად, თემატიკურად და ქანობრივად მრავალფეროვან ეროვნულ საბავშვო ლიტერატურას სრულიად სამართლიანად ჰქონდა ძიკუთვნებული ისტორიული მნიშვნელობა და საგანმანათლებლო აღმზრდელობითი ფუნქციის შესაბამისად იყენებდა ამისათვის საჭირო კონკრეტულ საშუალებებს, გზებსა და ფორმებს.

არც სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის (პოეზია, პროზა, დრამატურგია) და არც საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) მიზნებისა და ამოცანების განხილვისას როგორც ქართულ პედაგოგიურსა, ისე ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე კონკრეტულად, მთელი სიცხადით არავინ შეხებია ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორცაა საბავშვო ლიტერატურის როლი ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარება-განმტკიცების საქმეში და სპეციალურად არ მოუცია ამ უმნიშვნელოვანესი ფუნქციის ეფექტურობის შესახებ საჭირო განსაზღვრა, მისი მიღწევისათვის კონკრეტული გზებისა და ხერხების მეცნიერული არგუმენტირება.

საბავშვო ლიტერატურის როლი ახალი თაობის როგორც კრიტიკული, ისე მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების საქმეში, უთუოდ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინებასთან. ეს კი, თავის მხრივ, ორგახულად იყო შერწყმული ისეთი თაობის აღზრდის დიად ამოცანებთან, რომელთა ხელში უნდა გადასულიყო მშობლიური ქვეყნის მომავალი და მათ ექნებოდათ უნარი გაეგოთ ობიექტური რეალობა, ისტორიული პროცესები სწორად შეეფასებინათ.

XIX საუკუნის II ნახევარში, ბავშვთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაში საბავშვო ლიტერატურის როლი როგორც ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, განსაკუთრებული ყურადღების არეში მოექ-

ცა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ბავშვს უნდა ჰქონოდა უნარა ნაწარმოებში ასახული ცხოვრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა და ამის საფუძველზე სწორად ამოეცნო ცხოვრებისეული ქეშმარიტება.

ეს ავალბდა საბავშვო ლიტერატურას „ბავშვს კრიტიკული აზროვნება განუვითაროს, კარგიც გააცნოს, გლახაც, კრიტიკულად ააწონ-დააწონოს... უკრიტიკოთ ამა თუ იმ მოვლენის აწონ-დაწონა შეუძლებელია“<sup>1</sup>.

ბავშვთა კრიტიკული აზროვნების საკითხი, რომელიც პედაგოგიკურ მეცნიერებასა და ფსიქოლოგიის კვლევა-ძიების სფეროში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, არ შეიძლებოდა როგორც წარსულში, ისე დღესაც საბავშვო ლიტერატურის ესთეტიკური კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღების სფეროშიც არ მოქცეულიყო, ერთგვარად განსაზღვრული არ ყოფილიყო საბავშვო ლიტერატურის როლი ბავშვთა აზროვნების, უნარის განვითარების პროცესში; ეს აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც საბავშვო მწერალს უნდა აიხტერესებდეს ბავშვის წარმოდგენა, ცნობიერი მხატვრულ სახეთა სისტემა ეფექტურად ხელს უწყობდეს კრიტიკული და მხატვრული აზროვნების განვითარებას.

აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელია საბავშვო ლიტერატურის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციების სრულყოფილობაზე ვიქონიოთ მსჯელობა ისე, რომ მას კონკრეტულად, სათანადოდ არ უკავშირდებოდეს ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების ხერხები და ფორმები, რომელიც უხდა გამოიხატებოდეს მათს არა მექანიკურ ურთიერთობაში, არამედ ორგანულ ერთიანობაში.

ამგვარად, ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარებისათვის მკვიდრი საფუძველია საბავშვო ლიტერატურა უახრობრივ-თემატიკური მრავალფეროვნებით.

ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უხარის განვითარება აუცილებლად მოითხოვს დ. უხნაძის ექსპერიმენტული მეთოდის. ამასთან ჟან პიაცეს, შაპიროს, გერკეს, რუბინშტეინის თუ სხვათა შეხედულებათა ანალიზის საფუძველზე კონკრეტულ ღონისძიებათა განხილვას. ეს, უქვევლად, ცალკე სპეციალური კვლევისა და განზოგადების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, როგორც ეს საბავშვო ლიტერატურის პრობლემატიკის განხილვისას პედაგოგიკურსა და ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე სრულიად

<sup>1</sup> „კლდე“, 1899, № 14.

უყურადღებოდ იყო დატოვებული, ჩვენ ახლაც უყურადღებოდ დავტოვით.

უდავოა, იგი ორგანულადაა დაკავშირებული საბავშვო ლიტერატურის, სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობის ფუნქციებთან. ამის გამო აუცილებელია, ზოგადად, მოკლედ მაინც შევიჩერდეთ ამ პრობლემის თავისებურებაზე, მის არსებით მხარეზე.

უნდა გავითვალისწინოთ:

ა) ობიექტური რეალობის შესახებ რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნილმა მხატვრულმა სახეებმა, რომლის შეგნებულად გაცნობამ უნდა განსაზღვროს სათანადო მსოფლმხედველობის გამომუშავება, ეს ერთდროულად იმასაც გულისხმობს, რომ ბავშვში ობიექტური სინამდვილისადმი სათანადო კრიტიკული დაშოკიდებულების უნარიც უნდა აღზარდოს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირებისა და შედარების საფუძველზე ბავშვს, ახალგაზრდას შეეძლოს გონებრივი განვითარების შესაბამისად გაარჩიოს, განსაჯოს, შეაფასოს ყოველივე ის, რაც მოცემულ ნაწარმოებშია ასახული, როგორც ობიექტური რეალობის, საზოგადოებრივი შოვლენების უტყუარი ფაქტები და მისდამი იქონიოს გარკვეული დამოკიდებულება;

ბ) გარდა ამისა, მხატვრულ სახეთა სისტემაზე დაკვირვების პროცესში, ბავშვს დაკვირვების ჩვევის საფუძველზე უნდა განუვითაროთ მშვენიერების სწორად შეცნობის უნარი; გამოარჩიოს, შეიცნოს ნაწარმოებში ხორციმსხმულ სახეთა პირადული და საზოგადოებრივი საქმიანობა, მათი ქცევები როგორც მისაბაძი, მშვენიერი, საოცებო ადამიანურობის თვალსაზრისით იდეურად ამალღებული და პერსპექტიული ხალხის სიკეთისათვის ბრძოლაში. ამასთან, შეუცდომლად, ცნობიერად მოახდინოს ნაწარმოებში მოცემული საბავშვო-პერსონაჟების კლასიფიკაცია პორტრეტის, ხასიათის, სოციალური მდგომარეობის, მისწრაფებათა, მიზნების სიცხადის მიხედვით და ამის საფუძველზე დამოუკიდებლად შეძლოს დასკვნების გასწავლება.

გ) მხატვრულ ნაწარმოებში, ასახული ობიექტური რეალობის ცნობიერად შეთვისებას, უნდა დაუკავშირდეს სახეთა სისტემის ანალიზის პროცესში პოეტურ-გამომსახველობით საშუალებათა შეგნებულად გაზრებაც, რომელმაც კანონზომიერად უნდა უზრუნველყოს ბავშვის მხატვრული აზროვნების შესაბამისად განვითარება ისე, რომ პათეტიკურ, მაღალფარდოვან „ბრჭყვიალა ფრაზების“ გარეშე მისი მეტყველება გარკვეული ესთეტიკური თავისებურებების შემცველი იყოს, შეგნებულად გამოიყენოს მხატვრულ ნაწარმოებში მოცემული ეპი-

თეტები, შედარებები, აფორიზმები და სხვა პოეტური, მხატვრული გამოთქმები თუ უმნიშვნელოვანესი ფრაზებიც.

საბავშვო ლიტერატურის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციები საფუძველია ბავშვებში დამოუკიდებელი მსჯელობისა და შეხედულებების გამოსამუშავებლად. აქ არსებითად საქმე გვაქვს მათს უშუალო ურთიერთშერწყმასთან, ურთიერთმტკიცე დამოკიდებულებასთან, რაც ესოდენ აუცილებელია მოვლენათა გააზრებულად, ლოგიკური თანამიმდევრობით არგუმენტირებული კრიტიკული განსჯისა და სწორი დასკვნების ცოდნა-ჩვევის გამოსამუშავებლად. ეს უკანასკნელი კი ბუნებრივად გამოხატავს საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის — კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების დონესაც.

ამ შემთხვევაში ინდუქციური გზა იწყება საბავშვო მხატვრული ნაწარმოებების შეგნებულად პირველადი წაკითხვიდან, რომელთა უნარს ნაწარმოები და როგორი მოცულობისაც არ უნდა იყოს იგი.

ამ პროცესის ლოგიკური თანამიმდევრობის ეტაპობრივი თავისებურება შეიძლება შემდეგი სქემით გამოიხატოს:

ნაწარმოების დამოუკიდებელი შეგნებული წაკითხვა:

დაკვირვება:

ცნობიერი სახეები;

შესწავლა, გაგება, გარკვევა მოქმედ პირთა განსხვავებულ თავისებურებათა თუ საერთო ნიშნების (შეგნებული ქცევის — მისწრაფებათა, მიზნებისა და ოცნების) მიხედვით;

ამის საფუძველზე ცნობიერი სახეების დიფერენციაცია:

თითოეული სახის შესახებ დასკვნების გამოტანის უნარი:

სახეთა განსჯა შედარება-შეპირისპირებით;

ზოგადი დასკვნები.

თუ ზემოხსენებული სქემა გამოხატავს საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშების დამოუკიდებელი წაკითხვის შედეგად მისაღწევ შედეგს, არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ამავე მიზნის მისაღწევად მიმდინარე პროცესის თავისებურება, რაც ფაქტობრივად გვხვდება ბავშვებში სათანადო ზემოქმედებით მანამ, სანამ ისინი საბავშვო წიგნების დამოუკიდებლად შეგნებულ წაკითხვას შეისწავლიდნენ.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს უმცროსი ასაკის ბავშვებში ზეპირი თხრობის, ან მათთვის საგანგებოდ წაკითხვის წესით, ნაწარმოების შინაარსის გაცნობა.

ეს პროცესი პედაგოგიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია; აუცილებელია არა მარტო წასაკითხავი წიგნების წინასწარ სპეციალური შერჩევა, არამედ თვით ბავშვთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებაც, რაც უნდა იყოს მათთვის



წიგნების შერჩევის პრინციპების განმსაზღვრელიც. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, იქნება ბავშვებში შეგნებული ცნობიერების საფუძველიც.

საბავშვო წიგნების ამ ასაკის ბავშვებისათვის ზეპირი თხრობისა ახ წაკითხვის პროცესში შეგნებულად ცნობიერების საფუძველი, პირველ რიგში, არის საბავშვო წიგნების ირგვლივ სათანადო ისტერესას აღძვრა, რასაც ბუნებრივად მოსდევს ბავშვთა ყურადღება. ხაწარმოების ყურადღებით მოსმენით ბავშვებში წარმოისახება ცნობიერი წარმოდგენა იმაზე, რასაც საბავშვო წიგნი შეიცავს. ეს კი საფუძველია, თავის მხრივ, მონათხრობის, მოსმენილის დამახსოვრებისათვის. ეს უკანასკნელი კი აუცილებელი პირობაა მოქმედი პირების ქცევითა შიზეზებში გარკვევისათვის, სათანადო ნიშნების მიხედვით დიფერენციაციისათვის, ამ აქტის სათანადო ახსნა-განმარტებისა და იმის არგუმენტირებულად შეცნობისათვის, თუ რა არის მოსაწონი მოქმედი პირის მოქმედებაში და რატომ, ან რა არ არის მოსაწონი და რატომ.

ეს უკანასკნელი (იმის გარკვევა, თუ რა არ არის მოსაწონი, ან რა არის მოსაწონი, ე. ი. პასუხის გაცემა კითხვაზე — რა და რატომ?) ბავშვთა კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების მარტივი სახის საწყისია, რომელიც შემდგომ, ასაკისა და გონებრივი განვითარების შესაბამისად, პედაგოგიკური პრინციპების გამოყენების საფუძველზე, თანდათან რთულდება.

ამგვარად, ბავშვებში კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების პროცესი საბავშვო ლიტერატურისადმი, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისადმი მიმართებაში მის მრავალწახანაგოვან ენაობრივ თავისებურებათა ორგანული ფუნქციების შესაფერისად, შეიძლება შემდეგი დეტალური სქემების (№ 1, № 2) მიხედვით წარმოვიდგინოთ:

### სქემა № 1

I. კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისადმი მიმართებაში პროცესის თანმიმდევრობა

1. საწყისი:

კონკრეტული შინაარსობრივი სახეები

1. ა) ზეპირი თხრობით ან წაკითხვით შინაარსის ყურადღებით მოსმენის მიღწევა;
- ბ) დამოუკიდებელი შეგნებული წაკითხვა ნაწარმოების შინაარსის გაცნობისათვის.

2. დაკვირვების ობიექტი
2. ა) ცხოვრებისეული პრობლემა: საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი მხარეა ასახული — ყოფითი, სოციალური, პოლიტიკური, ესთეტიკური და ა. შ.
3. ცნობიერი სახეები:
3. ა) მოქმედ პირთა განსხვავებულობის გარკვევის უნარი;
- ბ) მათი შეპირისპირების უნარი სათანადო არგუმენტებით;
- გ) ამ მიზნით, ტექსტიდან ციტირებით ან პერიფრაზირებით საჭირო მასალების გამოყენების უნარი;
- დ) მოქმედ პირთა ქცევის, მიზნების განსაზღვრა და შეფასება-განსჯის უნარი ბავშვის მიერ სიმპათიებისა თუ ანტიპათიების სიცხადით წარმოდგენა და მისი მტკიცება.
4. საბოლოო მიზანი:
4. ა) დამოუკიდებლად შესაბამისი კრიტიკული დასკვნების გამოტანის უნარი;
- ბ) განზოგადების ცოდნა-ჩვევა.

## ს ქ ე მ ა № 2

II. მხატვრული აზროვნების უნარის განვითარებისადმი მიძარბებაში პროცესის თანმიმდევრობა

1. საწყისი:

კონკრეტული შინაარსობრივი სახეები

1. მხატვრული ნაწარმოებების:

- ა) ზეპირი თხრობით ან წაკითხვით შინაარსის გაცნობისას ყურადღების გამახვილება მიზნობრივად წინასწარ მონიშნული ნაწყვეტებისადმი;

ბ) იგივე, დამოუკიდებლად შეგნებული წაკითხვის პროცესში.

2. ა) მოქმედი პირის პორტრეტი;

ბ) პეიზაჟი;

გ) აღწერითი აღვლევები;

2. დაკვირვების ობიექტი:

### 3. ცნობიერი სახეები:

- დ) ენა;
  - ე) პოეტური ხერხები: ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები, ალეგორიები, ჰიპერბოლები და ა. შ.
3. ა) ბუნების აღწერის, მხატვრული სახეების ზეპირად დასწავლა;
- ბ) პოეტურ მხატვრულ გამოთქმათა, სახეთა შეგნებულად გამოყენება აზრის სიციხადისა და არგუმენტირებისათვის;
- გ) ენის მუსიკალურ-ფონეტიკურ, ინტონაციურ და ემოციურ შინაარსში პირველი გარკვევა. ენა, როგორც გრძნობის, აზრის გამოხატვის საშუალება. შეცნობა, როგორც ინტელექტუალურისა და ემოციურის, იდეურ მიმართებათა და განცდათა ერთიანობის გამომხატველი. ამავე მიზნით, მისი პრაქტიკულად გამოყენების უხარისხი განვითარება.

### 4. საბოლოო მიზანი:

4. ა) პოეტური ნაწარმოების ინტელექტუალური და ემოციური მხარეების შედეგად პოეტური ენის დაუფლება და შეგნებულად მისი გამოყენება.

ამგვარად, საბავშვო ლიტერატურის მიმართება ბავშვებში კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარებისადმი, ერთდროული, ერთიმეორისაგან განუყოფელი პროცესია, რომელიც შენაკადურია საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ფუნქციათა ერთობლიობაში.

საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) კითხვის პროცესში შეგნებულად წაკითხვისა თუ მოსმენილის ზეგავლენით, ამასთან ცხოვრების პირობებისა და აღზრდის მიხედვით, ახალ თაობაში ყალიბდება სინამდვილისადმი გარკვეული დამოკიდებულება, მისიდან გარკვეული შეხედულება; ამ შეხედულებათა, მოსაზრებათა საკირო არგუმენტირებით, მხატვრული აზროვნების უნარის შედეგად გარკვეული ფორმით გამოთქმის ჩვევა.

ბავშვის გონებრივი, ასაკობრივი განვითარების შესაბამისად მრავალ-

ვალფროვანი სინამდილისადმი დამოკიდებულება, ცხოვრებისეულ საკითხებზე შეხედულებათა კომპლექსი, მეტნაკლებად. მრავალმხრივი შეიძლება იყოს, რომელშიც გამოხატულია ამა თუ იმ სოციალური ძალის ინტერესები; ამასთან, იგი შეიძლება შეცვალოს დროთა ვითარებაში ბავშვებზე ინტელექტუალური და ემოციური ზეგავლენის შედეგად, ან კიდევ მყარად ჩამოყალიბებულად დარჩეს.

ყოველივე ეს დამოკიდებულია, აგრეთვე, იმაზე, თუ ბავშვებს როგორ შევურჩევთ საბავშვო ლიტერატურის სფეროდან საკითხავ წიგნებს, რადგან ბავშვის წარმოდგენებზე, მათი კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ იმ იდეებით, რომელიც მწერალმა ჩააქსოვა მოცემულ ნაწარმოებში. წიგნში.

შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ საბავშვო ლიტერატურის (როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული) ნიმუშების როლი ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების საქმეში მეტად დიდია, რადგან მრავალყანროვანი, თემატიკურად მრავალფეროვანი საბავშვო ლიტერატურიდან შეიძლება:

1. ბავშვმა მიიღოს ნამდვილი ცხოვრების შესახებ კვამარიტი ცოდნის საფუძველი;

2. მისგანაც შეისწავლოს ცხოვრების გაგება;

3. ნაწარმოები გახდეს ცხოვრების ახსნა-განმარტების ერთ-ერთი საშუალება, რომელიც მოითხოვს მასში ასახული სინამდილის კრტიკული თვლით განხილვას, მსჯელობას, დასკვნასა და განზოგადებას;

4. სიტყვაკაზმული მწერლობისათვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეთა სისტემა, პოეტური მეტყველების ფორმები და გამომსახველობით საშუალებათა შეგნებულად შეთვისება ბავშვთა მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების აქტიურ ფაქტორად გახდეს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

1. არც პედაგოგიკურსა და არც ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე კონკრეტულად, სპეციალურად, არავის გადაუწყვეტია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორცაა ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარება-განმტკიცების საქმეში მრავალყანროვანი საბავშვო ლიტერატურის როლი;

2. საბავშვო ლიტერატურის საგანმანათლებლო და აღმზრდებლობით ფუნქციებს დღემდე განიხილავდნენ. ისე, რომ უგულებელყოფდნენ ამ ფუნქციებთან უშუალოდ, ორგანულად დაკავშირებულ ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების საკითხებს. რომლის საწყისები უმცროსი ასაკიდან დაწყებული ზეპირი თხრობის, წაკითხულის მოსმენის გზით, თანდათან რთულდება უფრო-

ბი ასაკის ბავშვებში ნაწარმოების დამოუკიდებლად. შეგნებულად წა-  
კითხვის ჩვევის განმტკიცებით;

3. ბავშვებში კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უხარის  
განვითარების პროცესი საბავშვო ლიტერატურისადმი, სიტყვაკაზმუ-  
ლი საბავშვო მწერლობისადმი მიმართებაში გულისხმობს დაკვირვე-  
ბის საფუძველზე დაპირისპირებისა და შედარების გზით შეფასების,  
განსჯის საგნად იქცეს ნაწარმოებში მოცემული ობიექტური რეალო-  
ბა, ადამიანთა ხასიათები, იდეები. ამან ხელი უნდა შეუწყოს, როჲ  
ბავშვმა ცნობიერად მოხდინოს სახეთა სისტემის არგუმენტირებუ-  
ლი კლასიფიკაცია. შეიძლება გადაკრით ითქვას, რომ ბავშვთა კრიტი-  
კული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარება ქართულა  
ეროვნული საბავშვო ლიტერატურის უაღრესად დიდი მნიშვნელობის  
ამოცანაა;

4. არ შეიძლება ქანრობრივად და თემატიკურად შრავალფეროვა-  
ნი საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) საგანმანათლებლო და  
აღმზრდელობითი ფუნქციებიდან გამოთიშულად, იზოლირებულად  
წარმოვადგინოთ ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების  
უნარის განვითარების პროცესი, არამედ იგი ფაქტიურად მასთან 'შერ-  
წყმულია და ჰარმონიულ ერთობლიობაშია;

5. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში XIX საუკუნის  
II ნახევარში პირველად დაისვა საკითხი (და სწორადაც გადაიკრა)  
ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების განვითარების 'შესა-  
ხებ საბავშვო ნაწარმოებების შეგნებულად შეცნობის პროცესთან და-  
კავშირებით, რასაც მეტად დიდი ისტორიული მნიშვნელობა ეხიჲება  
ახალი თაობის აღზრდის პრობლემების თვალსაზრისით.

## თ ა ვ ი მ ა რ ვ ა

### ეროვნული და სოციალური პრობლემები XIX საუკუნის II ნახევარის ქართულ კლასიკურ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში

უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული სა-  
ბავშვო მწერლობის, როგორც აღორძინების, ისე მისი შემდგომი გახ-  
ვითარების ძირითადი ტენდენციების მხატვრულ სახეებში სრულყო-  
ფის რთული პროცესები გაპირობებული იყო XIX საუკუნის სოცია-  
ლური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების ისტორიული კა-  
ნონზომიერებით.

ორიგინალური საბავშვო ნაწარმოებების შექმნა, ქართული გლუხის, ქართული ოჯახის ყოფა-ცხოვრების რეალისტური სურათების წარმოსაცვა. ეროვნული დღესასწაულების სანახაობათა ჩვენება, ქართული პეიზაჟის, სოციალური უსამართლობისა და ეროვნული ჩაგვრის ასახვა, ჰუმანიზმის დიადი იდეებისა და მგზნებარე პატრიოტიზმის მხატვრულ სახეებში ხორცშესხმა, თარგმნითი საბავშვო ლიტერატურის მიზნობრივი თავისებურება ეროვნული ინტერესებით გაპირობებული და სხვ., აი, რა იყო ის დიადი მამოძრავებელი სასიცოცხლო მიზანსწრაფვა, რომელიც ქმნიდა მაღალიდევური და მაღალმხატვრული ეროვნული კლასიკური საბავშვო მწერლობის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის მკვიდრ ნიადაგს.

ქართული საბავშვო ლიტერატურისა და, კერძოდ, სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარი ყველაზე რთული, ღრმა ისტორიული მნიშვნელობისა და მრავალმხრივ საინტერესო პროცესების შემცველი პერიოდია.

მართო ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში, წინა საუკუნეებისაგან გასხვავებით, სრულყოფილი სახე მიიღო ეროვნულმა საბავშვო ლიტერატურამ, რომელიც ორგანულად შეუთავსდა ამ ეპოქაში წარმოქმნილ კრიტიკული რეალიზმის დიდი ლიტერატურის განვითარების პროცესს, ბუნებრივად აძლევს მას განუმეორებელ ისტორიულ მნიშვნელობას,

მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამ პროცესის საწყისები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შორეული საუკუნეებიდან იწყება, კერძოდ, თუნდაც ყრმათათვის საკითხავი წიგნების შექმნის დღიდან, რომელიც თემატიკურად და ქანობრივად სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი სახით იქმნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთათვის საკითხავი ნაწარმოებები, შექმნის მიზნობრივი ხასიათით, ხშირ შემთხვევაში რელიგიურ, ძორალურ ჩარჩოებს ვერ სცილდებოდა, ბევრი მათგანი მხატვრულად ძლიერ სუსტია, ზოგს კიდევ რეზონული ხასიათი უკარგავდა ემოციურობას, ესთეტიკურ ტკბობას, ისტორიულ ასპექტში ყველა ამათი თბიქტურად განხილვა, შეფასება, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ მათი სახით ეროვნულ საბავშვო მწერლობას თანდათან მაინც ექმნებოდა სათანადო ლიტერატურული საფუძვლები, ხოლო XIX საუკუნის II ნახევრიდან კი ქართული საბავშვო ლიტერატურა განვითარების სრულიად ახალ, თვისებრივად განსხვავებულ, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტისათვის დაწყებულ ბრძოლის ფართო გზაზე გავიდა.

ასეთ ვითარებაში იმისი „მტკიცება“, რომ „1883 წლამდე და შემდეგაც ქართული საბავშვო ლიტერატურა

იზრდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თარგმანებით (ხაზი ავტორისაა. ა. ჩ.). ორიგინალურს ვხვდებით ანბანს (სშირად ამა-საც ნათარგმნს), ამათაც არავითარი სისტემა და მეთოდი არ ემჩნევა, უფრო შემთხვევითი ხასიათს ატარებს, ლიტერატურული ღირებულება სრულიად არა ქონდა,<sup>1</sup> — რას კვირველია, არაა სწორი.

არ შეიძლება დაეთანხმოთ იმ აზრს, რომ 1883 წლამდე და შემდეგაც (sis) ქართული საბავშვო ლიტერატურა იზრდებოდა მხოლოდ და მხოლოდ თარგმანებით. ეს ნებით თუ უხებლით, ეწინააღმდეგება ისტორიულ კემპარიტებას, რომელიც ფაქტიური ვითარებით საკმაოდ ცნობილია.

ამ მხრივ, საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ვახტანგ VI-ის „სიბრძნე მალალობელი“<sup>2</sup>, თეიმურაზ II-ის „ხილთა ქება“, დ. გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, ჟურ. „ციცკის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ლექსები ბავშვების შესახებ და საკითხავი მასალები „სასაზამოენო წალკოტის“ (1842 წ.) გ. იოსელიანის „ქართული წიგნის“ (1842 წ.). ი. კერესელიძის „ყრმათა მეგობარი“ ანუ საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლე ყრმათათვის“ (1852 წ.), აგრეთვე „ვარდ-ყვავილოვანი“<sup>3</sup>, სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულები, სადაც ჩვენი კლასიკური მწერლობიდან ბავშვთათვის შერჩეული ნაწარმოებები, ლექსები, მოთხობები, იგავ-არაკები, მთლიანად ან კიდევ ნაწყვეტების სახით დაბეჭდილი, ამასთან თარგმნითი ლიტერატურიდან მკაცრად შერჩეული ნაწარმოებებია წარმოდგენილი<sup>4</sup> და სხვა, რომ ცხადი გახდეს ზემოხსენებული აზრის უსაფუძვლობა.

გარდა ამისა, გაოცებას იწვევს ის მოსაზრება, თითქოს 1883 წლამდე „ორიგინალურს (ე. ი. მშობლიურს, ქართულს ა. ჩ.) ვხვდებით ანბანს ხშირად ამასაც ნათარგმნს“, რომელსაც არავითარი სისტემა და მეთოდი არ ემჩნევაო.

წარმოუდგენელია, ორიგინალური, მშობლიური, ე. ი. ქართული ანბანი ხშირად ნათარგმნი, ან კიდევ ასეთ ქაოტურ მდგომარეობაში ყოფილიყო.

მართალია, მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს ქართული ანბანის ორიგინალობას, მაგრამ ის უცნაური აზრი, რომ ანბანს ხშირად ნათარგმნის სახით ვხვდებითო, სხვა არა იყოს რა, მეტად უცნაური გა-

<sup>1</sup> ან. ლეინიაშვილ ი. ქართული საბავშვო ლიტერატურა, თბილისი, 1934 წ., გვ. 38. 1

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე. „ვახტანგ VI“. თბილისი, 1947 წ., გვ. 17.

<sup>3</sup> იხ. გ. თავზიშვილი ი. „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია“, თბილისი, 1948 წ.

<sup>4</sup> იხ. თ. ქიბლაძის „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის“, თბილისი, 1959 წ.

უგებრობაა, თუ არა უხეში შეცდომა. რასაკვირველია! თუ ანბანი ორიგინალურია, როგორ შეიძლება ამავე დროს, ისიც ხშირად იყოს ნათარგმნი? როგორ შეიძლება, ნათარგმნი ანბანი იყოს ეროვნული საბავშვო მწერლობის ბურჯი! ხომ ცნობილია, რომ „ენა გრძობა-გოხების გზა და ხილია და სიტყვიერება მისივე უტყუარი სარკეა... გინდა შეისწავლო ისტორიულად რომელიმე ხალხი? — გამოიკვლივე და გარკვეე მისი ენა“<sup>1</sup> და ამ ენაზე შექმნილ მხატვრულ სახეებში არის გამოხატული როგორც ეროვნული, ისე საკაცობრიო იდეალებიც, „რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.<sup>2</sup> ყოველივე ამას და საუკუთესო საბავშვო თუ არასაბავშვო ნაწარმოებებს ბავშვები. მოზრდილები პირველ რიგში კითხულობენ დედა ენის, მისთვის შექმნილი ეროვნული ანბანის შესწავლის საფუძველზე?

როდესაც ვლაპარაკობთ XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის განვითარების შესახებ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ უგულვებელყოთ წიხა საუკუნეებში, თუნდაც საბავშვო ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის თავისებურებათა ნიშან-თვისებების განსაზღვრასთან დაკავშირებით, წარმოქმნილი საკირო პროცესების როლი და მნიშვნელობა, რომელიც შემდგომში ისტორიული კანონზომიერებებს საფუძველზე თავისებურ განვითარებას პოულობს XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ საბავშვო ლიტერატურაში.

აქედან გამომდინარე, წარსული საუკუნეების ლიტერატურული ტრადიციებისა და XIX საუკუნის თავისებურებათა პარძონიული მთლიანობა ლიტერატურული პრობლემების გადაწყვეტაში ის უმხიბვნილოვანესი ფაქტორია, რომელიც ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ.

ქართული მხატვრული სიტყვის ცნობილმა ოსტატებმა თუ ქართულ საბავშვო მწერლობაში ახლად გამოჩენილმა პროფესიულმა საბავშვო მწერლებმა სწორედ ამის შედეგად XIX საუკუნის II ნახევარში შექმნეს ისეთი ორიგინალური საბავშვო ნაწარმოებები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ დიდი სიცოცხლისუნარიანობას. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, ზოგიერთი მათგანი დღესაც მსოფლიო საბავშვო ლიტერატურის ღირსეულ მონაპოვარსაც შეადგენს. ამ მხრივ, საკმარისია დავასახელოთ დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას შეუღარებელი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და საბავშვო მწერლის იაკობ გოგებაშვილის ბრწყინვალე მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“, რომლებიც ეროვნულთან ერთად ზოგადკაც-

<sup>1</sup> „ივერია“, 1901, № 198.

<sup>2</sup> „ქლდე“, 1913, № 6.



ცობრიული გრძნობის შემცველი შეუდარებელი მონუმენტური ძეგლებია.

ამასთან ერთად, არა ერთმა პროფესიონალმა და არაპროფესიონალმა საბავშვო მწერლებმა გაამდიდრეს ქართული საბავშვო მწერლობის საგანძური საუკეთესო ნაწარმოებებით, რომლებიც ინარჩუნებენ არა მარტო ისტორიულ მნიშვნელობას, არამედ თანადროულობისათვის გარკვეულ ინტერესებს შეიცავენ.

ასეთი ნაწარმოებები ნათლად გვიჩვენებენ ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების მაგისტრალურ ხაზს, რომელიც მიმდინარეობს ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტისათვის წარმოებული ბრძოლიდან. ამ ისტორიულ ბრძოლაში ქართველ ხალხს ყოველთვის გვერდში ედგნენ, თავიანთი მხატვრული სიტყვით აქტიურად იბრძოდნენ, როგორც დიდი მხატვრული ლიტერატურის, ისე სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ნიჭიერი წარმომადგენლები.

ამაზე შესანიშნავად მეტყველებენ ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აღორძინებისა და განვითარების მაგისტრალური ხაზის ნიშანდობლივი თავისებურებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეებში ჩაქსოვილი ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის შთამბეჭდავი სურათები, რომლებიც XIX საუკუნის II ნახევარში შეიქმნა.

\* \* \*

ეროვნული გრძნობის დიადი და უძლიერესი გამოვლინება კოხკრეტულ პატრიოტულ ქცევებში, მოქმედებაში მქლავნდება და ხორციელდება.

სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში საოცნებო გაბედულების მკვიდრი საფუძველი ყოველთვის იყო ეროვნული გრძნობა, ძალაღალი პატრიოტიზმი.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის აყვავების პირველი დღეებიდანვე პატრიოტიზმის კეთილშობილური ძალაღალი გრძნობა იყო როგორც პროფესიონალურ, ისე არაპროფესიონალურ საბავშვო მწერალთა შთაგონების ცხოველყოფილი წყარო.

ილია, აკაკი, ვაჟა, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი, გ. წერეთელი, პ. ცახელი, გ. ჭალადიძე, დ. მეგრელი, თ. რაზიკაშვილი, სოფ. მგალობლიშვილი, ალ. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი, შ. მღვიმელი, ი. დავითაშვილი და სხვ. ოსტატურად ქმნიდნენ დიდი ემოციური ძალის შემცველ მხატვრულ სახეებს, როგორც ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან, ისე თანადროული ცხოვრების სინამ-

დვილიდან თავიანთი მხატვრული სიტყვით აყვარებდნენ მშობლიურ ქვეყნის ზუნებას, უღვიძებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისაკენ მძაფრ ლტოლვას.

ისინი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე, აკაის სიტყვებით რომ ვთქვათ, მტკიცედ მოითხოვდნენ „ჩვენი მწერლობაც უტყუარი სარკე უნდა იყოს ქართველობისა; შიგ უნდა ისახებოდეს საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება მისის ძიწა-წყლით, მთა-ბარით, ტყე და ველით და სხვანი. ქართველის გრძობა-გონება ხორც შესხმულად უნდა მოძრაობდეს შიგ უმეტესად, ზომიერად აწყო წარსულს უნდა ეთახარებოდეს და ორივე ერთად კი მიიწევდეს, თუ ეს არ იქნება, ჩვენი მწერლობაც უმნიშვნელო იქნება, როგორც უბრალო რამ, — უსახო ლანდი...“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

და კიდევაც, ყოველი პატარა ლექსი თუ მოთხრობა, რომელიც მშობლიურ სოფელს, მის მთებს, ნაკადულებს თუ მდინარეებს, მის ფლორასა თუ ფაუნას აგვისახავდა, გვიჩვენებდა უზადო ქართული ენითა და ფერთა სიუხვით, ბავშვებს, მოზარდ თაობას აყვარებდა მშობლიური პეიზაჟის მომხიბვლელობას, ამავე დროს, ამის შედეგად აღძრული ემოციები ბუნებრივად შეერთვოდა ეროვნულ გრძობას, ხელს უწყობდა პატრიოტიზმის აღზრდას.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ცდილობდნენ საბავშვო ხაწარმოებებში განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ეროვნული თავისებურებისათვის, შეიძლება ერთ-ერთ ნიმუშად ცნობილი საბავშვო პოეტის ცანელის ლექსი „გაზაფხული“<sup>2</sup> დავასახელოთ.

პოეტი სამშობლო ქვეყნის მომხიბვლელ პანორამას წარმოუსახავს მკითხველს; სურათებს სურათები ცვლის:

ლავეარდოვანი ცა,  
მოკაშკაშე მზე,  
დილის ნამის კრთომა,  
აყვავებული ხეივანი,  
ფუტკრების ზუზუნი,  
ფრინველთა სტენა,  
ყელ-სედიანი მტრედების სიმღერა,  
გვრიტთა ჭიკჭიკი,  
მფრინავ-ფრთოსნების ღულღუნი,  
ზურმუხტოვანი ველის ფურჩქენა,  
მწვანედ მობიბინე ქალები,  
მწერების ზუილით მიმოფრენა,

<sup>1</sup> „ივერია“, 1901, № 57.

<sup>2</sup> „ჭეჭილი“, 1854, № 3.

ზეჩქნარებზე ნახირის გადასევა,  
 ცხვრების ფარებით ველთა აფერადება,  
 ბატყების სიცილე, თხების სირბილი,  
 კავეების ხტომა,  
 -ქ მთესვარის თესვა,  
 იქ მსენელის ხენა,  
 სახნის-საკეთის ლესვა  
 დილის ნამისა და მუშების შუბლის წვეთის ერთი მეორეში შერევა,  
 ეახების გამოფურჩქვნა,  
 ნორჩი ტოტების იყვავილება,  
 ზედ საყნოს-საწუნად მოდებული ფუტკრების ზუზუნი,  
 ტოროლების სტენა, შაშვთა ვალომა,  
 იიმღერა შროშანის, ბულბულის...

აი, როგორ აქვს პოეტს დახატული გაზაფხული საქართველოში და  
 ამავე დროს ის გრძნობს, ამ მომხიბვლელი ქვეყნის გაზაფხულით გა-  
 ცოცხლებული ბუნების გადმოცემა მას არ შეუძლია:

„ამ დროს ვინ ასწრებს, ამ დროს ვინ აქებს!  
 ეს საქართველოს გაზაფხულია“ —

ასე ამთავრებს პოეტი ლექსს და მკითხველი წარმოიდგენს ჯერ  
 კიდევ მიუწვდომელ სიმშვენიერეს, რომელსაც მოუცავს მშობლიური  
 მიწა-წყალი და ზეცა გაზაფხულის მცხუნვარე დროს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხალხური შემოქმედებიდან ბაკ-  
 შეთათვის საკითხავად არჩევდნენ ისეთ ნაწარმოებებს, სადაც ქართუ-  
 ლი ყოფისათვის დამახასიათებელი ნიმუშები იყო წარმოდგენილი.

საკმარისია, ამ მხრივ, დავასახელოთ ქართველი გლეხის სასოფლო-  
 სამეურნეო იარაღების თავისებურებაზე შექმნილი ხალხური ლექსე-  
 ბი, რომლებიც ბავშვებს ამ მხრივ აცნობიერებდნენ და ეროვნულ გა-  
 რემოზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, გარკვეულ წარმოდგენებს უქმ-  
 ნიდნენ.

ნიმუშისათვის დავასახელოთ ხალხური ლექსი „გუთნის ძიძარ-  
 თვა“<sup>1</sup>, რომელიც ბავშვს ცოცხლად წარმოუდგენს ქართულ გუთანს  
 როგორც მოქმედებაში, ისე მის განსაკუთრებულ თავისებურებას,  
 კერძოდ, იმას, თუ რა ნაწილებისაგან შედგება იგი.

აი, ისიც, თუ რა ნიშან-თვისებებზე მიუთითებს ლექსი:

თელის რვილი,  
 შუაზე მოჭერილი სახლზე,  
 ხელ-კუდის გაკეთება,  
 ღირღიტის მორგვის კაკლის გულიდან გამოთვლა,  
 წნელებით გადაბმული საყვერები,  
 ტაბიკები დათლილი შვინდის გულიდან,  
 ახალი დაგრებილი აძულები და სხვ.

<sup>1</sup> „ჭეჭილი“, 1901, № 6.

ქართული საბავშვო მწერლობის ეროვნული სპეციფიკა უფრო სრულყოფილად, უფრო გამოკვეთილად ჩანს საბავშვო პროზაში არა მარტო ქართული პეიზაჟის, არამედ მოქმედ პირთა პორტრეტების, ხასიათების, ყოფითი სურათების (ტანისამოსი, სახლ-კარის აღწერით, სხვადასხვა ქართული რელიგიური დღესასწაულს ადათ-წესების ჩვენებით და სხვ.) მსატრულად გადმოცემისას, მოქმედ პირთა მეტყველებაშიც სათანადო დიალექტების, კილოების, როგორც დიალექტის „ყველაზე მსხვილი ერთეულის“<sup>1</sup> გამოყენებით, სადაც, აგრეთვე, თვით ამ კუთხის თავისებურებაც კი მეღავენდება, ქმნის თავისებურ კოლორიტულ სახესაც.

ნიმუშისათვის შეიძლება დავასახელოთ ქართლის ცხოვრების სინამდვილიდან შექმნილი ზოგიერთი საბავშვო ნაწარმოების მოქმედ პირთა მეტყველება:

- ა) „ნათლი ყაყიტავ, ვერ გაათავე ე სიმინდის რწყვავი?“  
„იიი, გამოჭრა!.. დაახველებს კი არა, დააქუშებს!“  
„იცი, ნათლი? მე მივუნაკადლებ ბოლოში... აღარ ჰკლებია რა და მე ჩაუვგდებ ჩემს სიმინდში. ერთი კვირაა, თან დაედევ მერუეებსა“

(ს. მგალობლიშვილი „ყაყიტას ჭურდი“)  
„რალა რისთვისა! ამ ოხერ სოფელში ხომ წყალი სულ სარწყავებშია გაყვანილი, ერთი ჩანახი სიმინდი ვერსად გამოუქვრი, წისქვილები არა ბრუნავენ...“

(მ. მგალობლიშვილი „სიყმაწვილის მოგონებანი“)

- ბ) „ე ვისი ოხერ-ტილები შეგროვილან აქა!“

„აი დასწყევლოს ღმერთმა ი გოგოი!“

„ი რას გეყოფა, ბიჭო, მერე!“

„ძან იმედი კი მამცა და არ ვიცი!“

(ნ. ლომოური „ქაჯანა“)

- გ) „მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე!“

„ე ოხერი ქალამნები სულ შემომეგლიჯა“...

„უი, ქა, წითელი ხელსახოცი უნდა მოვიხვიო სამი შვილის დეღამა!“

(ე. გაბაშვილი „ღვინია გადაიჩეხა“)

- დ) „ხარიც რო ისეთი ჰყავს, ი დალოცვილი! ქედ-მადლიანი, ისე მუყაითად ეწევა, რო ტოლი არ ჰყავს მთელ გუთნეულში“...  
„ეე, შენი მამა ცხონდეს, თეკლე, ე რა გემრილი რძის კორკოტი გაგიკეთებია?“

(შ. არაგვისპირელი „ჩემო შვინდავ!“)

<sup>1</sup> „ქართული დიალექტოლოგია“, I, თბილისი, 1961, გვ. 19.

და აი, ეს ნაცნობი, მშობლიური გარემო თავისი წარსულითა და აწმყოთი, თავისი ბუნებით, შრომა-საქმიანობით, ცხოვრების მატერიალური და მორალური თავისებურებით, იდეური მიზანსწრაფვითა და ადამიანური ცხოვრების პირობებისათვის ბრძოლის რთული პროცესებით იყო საბავშვო მწერალთა შთაგონების, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების მხატვრულ სახეებში გადაწყვეტის საფუძველი.

ქართველ ხალხს კი ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია. აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უძველეს ღროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს!.. ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალეობდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირათ, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ დაუძლიერებული და ქაფათქეუული უკანვე იქცევიან“.<sup>1</sup>

ამის გამო, ქართველ გმირთა თავდადება სამშობლოს დახსნისათვის ბრძოლებში დიდი იმედების შთამნერგავი იყო. ყველა ქეშპარიტი პატრიოტისათვის ბევრის მთქმელი იყო პოეტის სიტყვები: „არა! ტყუილად არ მიყვარს ჩვენი წარსული! მიყვარს ისე, როგორც დედის კარგი შვილი და მიტომაც გულგაუმძღარს მსურს, რომ ის გადატანილი ვნახო მომავალში დრო და ვითარების შეხამებით კიდევ უფრო ძლიერად და ბედნიერად“<sup>2</sup> (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.).

პოეტის ამ სიტყვებში გენიალურად იყო განპყვრებული საქართველოს მომავალი „დრო და ვითარების შეხამებით“ რუსეთის ერებთან ძმობის, ერთობისა და მეგობრობის საფუძველზე. რომლის საწინდარი იყო „ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული. არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“<sup>3</sup>.

როგორც მოწინავე პროგრესული ქართული ლიტერატურისათვის, ისე, კერძოდ, მისი ეროვნული ნაწილის მაღალიდებული საბავშვო მწერლობის განვითარებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსულმა ლიტერატურამ. რადგან ილიას სიტყვებით უკვე ცნობილია, „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი, კაცო მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე რომ თავისუფალი

<sup>1</sup> აკაკის თეიური კრებული, 1897, № 3, გვ. 5.

<sup>2</sup> აკაკის თეიური კრებული, 1897, № 2, გვ. 46—47.

<sup>3</sup> „კლდე“, 1913, № 6.

იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან<sup>1</sup> და ამის შედეგად „მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩინეთ“<sup>2</sup>.

ერთი მხრივ, მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობის კლანკებში მოქცეული საქართველოს მიმე მდგომარეობა, მეორე მხრივ, „ახალგაზრდა რუსეთთან კავშირის“ პერსპექტივები, თავისებურად განსაზღვრავდა ქართველი მწერლის მოვალეობასაც, რომელიც შექმნილი მდგომარეობით იყო ნაკარნახევი: „თავის თავს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მოციქულსა და ქვეყნის მოძღვარს: უშიშარი უნდა იყოს, შეუპოვარი, მტერ-მოყვარეობის გადაუყოლებელი, რასაც ხალხს ეუბნება, ის უნდა გულისწმინდით იყოს ნათქვამი... პირადობა შესწიროს საზოგადოს და მზათ იყოს, რომ გაჭირვება და უსამართლობა აიტანოს ხოლმე“<sup>3</sup>. ამის გამო მწერლის ვალი იყო ქართველი ხალხის სულიერი სამყაროს, მისი ყოველდღიურობის კარგად შესწავლა: „მე რათ მინდა მალა-მალა არწივივით ვიფრინო, იმ დროს, როცა დაბლა სამწყსო ჩემგან თანხლებას მოითხოვს?“<sup>4</sup>

ამგვარად, ცარიზმის სასტიკი რეჟიმის შედეგად გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება ბევრ რამეს ავალებდა როგორც საერთოდ, დიდ ქართულ ლიტერატურას, ისე საბავშვო მწერლობას და სწორედ აქან ვანაპირობა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აღორძინება-აღმავლობა, ეროვნული და სოციალური პრობლემების „შერწყმა მხატვრულ სახეებში. ეს ის დრო იყო, როდესაც, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველი ხალხის წინაშე ახალი საბრძოლო პერსპექტივები გადაიშალა „სამთავროების ერთმანეთთან შეერთებით“<sup>5</sup>.

ყოველივე ამის შედეგად, გამოჩენილი მწერლების მიერ კრიტიკული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნილი ნაწარმოებები, რომლებიც კანონზომიერად უკავშირდებოდა მშობლიური ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის ამოცანებს, საბავშვო მწერლობაშიც, რასაკვირველია, შესაბამისი ფორმითა და შინაარსით, სათანადო მხატვრული სახეებით იქმნებოდა, რაც ახალ თაობას შეაცნობდა ეროვნულსა და სოციალურ პრობლემათა თავისებურებას, უქმნიდა მათ, ამ მხრივ, გარკვეულ შეხედულებებს, განწყობილებებს.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ნაწ. სრ. კრებული, თბილისი, ტ. VIII, გვ. 285.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> აკაკის თეიური კრებული, 1897, № 4

<sup>4</sup> აკაკის თეიური კრებული, 1897, № 10.

<sup>5</sup> „დროება“, 1967, № 43.

ქართულ საბავშვო მწერლობაში ილია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროვე მკვიდრ საფუძველს უქმნის პატრიოტული ლირიკის განვითარებას.

ამ მხრივ, ილია იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც ჯერ კიდევ 1859 წლის 13 აპრილს ქართულ ეროვნულ საბავშვო პოეზიას "შესანიანი ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი "ნანა". ეს ლექსი მთელი სიცხადით მიანიშნებდა ქართველ საბავშვო პოეტებს საბავშვო ლირიკის განვითარების თემატიკურ განფენილობაზე, მის თემატიკურ მრავალფეროვნებაზე, მის იდეურ მიზანსწრაფვაზე, რომელიც ქართველ ბავშვს, დედის ტკბილ ძუძუსთან ერთად, ივენანას ტკბილ ხმებთან ერთად უნდა ჩაესმოდეს.

"ნანა" იძლევა იმის კონკრეტულ სახეებს, რომელიც მგზნებარე პატრიოტის განუყრელ თვისებას უნდა შეადგენდეს. მან, ახალი ეპოქის ამოცანების შესაბამისად, ყველაზე ადრე, პირველმა, კონკრეტულად, სრულყოფილ მხატვრულ სახეში წარმოგვისახა "ახალი ტიპის ქართველის" სახე, ამოცანები და ამავე დროს ქართველი დედის პატრიოტული ვალი<sup>1</sup>.

აი, სწორედ მაშინ, როდესაც საქირო იყო როგორც საბავშვო მწერლობაში, ისე პედაგოგიკურ კრიტიკაში ქვეყნის სამსახურში მთლიანად ჩამდგარიყო ერის რეალური და მატერიალური შესაძლებლობა, როდესაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაქპროლა ცხოვრების განახლების მძლავრმა ქარიშხალმა.

ილია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც "მამულის მსხვერპლი პაწაწინა ქართველის" პერსპექტიულ სახეში ვასაოცარო სისადავითა და დიდი ემოციური ძალით წარმოგვისახა იმ თაობის წარმომადგენელი, რომლის დავაყვაცება, ქართული ხასიათები ისტორიულად ნაკარნახევი იყო თვით მრავალჭირნახული ქართველი ხალხის ცხოვრებიდან.

ეს ნაწარმოები მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში უნდა შექმნილიყო და ისიც ილიას მიერ, რადან მისი ფესვები (თუ შეიძლება ამ შემთხვევაში ეს გამოთქმა ვიცნაროთ) იდეურ საზრდოს მხოლოდ ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი პრობლემებიდან იღებდა, ხოლო ამ იდეების მებაირახტრე კი ილია იყო.

<sup>1</sup> ეს უკანასკნელი ილიამ შემდეგში, კერძოდ, 1860 წელს თავის დიდ პოეტურ სამუაროში წარმოგვისახა პოემით "ქართლის დედა" (იხ. გ. ჯიბლაძე, ილია ქავეკაძე, 1966 წ. გვ. 287). ეს მეტად საგულისხმო ფაქტია იმ მხრივაც, რომ ილია პატრიონისათვის და დიდი ლიტერატურისათვის ისტორიული ვითარებით განპირობებულ მხატვრულ სახეს ერთდროულად და ერთი და იმავე მხატვრული სიძლიერით ქმნიდა.

ამის გამო, სწორედ ამ პოზიციებიდან ვიხილავთ მას ჩვენ და ვთვლით ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ფორმირების ისტორიაში პატრიოტული ლირიკის სრულყოფილი სახის პირველ უძნიშვნელოვანეს ნაწარმოებად აკაკის მიერ მეტად ორიგინალურად დაწერილი და ამავე იდეებით შთაგონებულ „ქართული ანბანის“ გვერდით, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ შეიქმნა.

რით არის ილიას „ნანა“ მნიშვნელოვანი? რა სიახლე ჩანს ამ პოეტურ ნაწარმოებში? არის თუ არა იგი იდეურად და მხატვრულად მაღალი ქართული პატრიოტული საბავშვო ლირიკის განვითარების ერთ-ერთი მკვიდრი საფუძველი ან კიდევ როგორ უკავშირდება ეს ლექსი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იმ პროგრამას, რომლის სულისჩამდგმელი ილია იყო?

ყველა ამ კითხვას ლექსის ტექსტუალური მრავალფეროვნება ნათელს მთელი სიცხადით ჰვენს, სადაც ნაჩვენებია „ქართველთაღმიღვთის ვალის“ მქონე ყრმის მრავალსახეობრივი ნიშან-თვისებათა ჰარმონიულობა, რომელიც მკაცრ პირობად არის ჩათვლილი სამშობლოს ბედის გადაწყვეტის საქმეში.

ამავე დროს ლექსი „ნანა“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ საბავშვო პოეზიაში სხვა მხრივაც: თუ მიმართვითი ფორმით მიღწეულია „ქართველთაღმიღვთის ვალის“ მქონე ყრმის ყველა თვისების ერთ სასურველ და უფრო კი აუცილებელ მთლიანობაში ჩვენება, მეორე მხრივ, მკითხველის თვალში პოეტური ფრაზების უღერადობით თანდათან წარმოისახება შეუდრეკელი, უსპეტაკესი, სიკვდილზე ძლიერი, მტკიცე ნებისყოფის მქონე ქართველი დედის მონუმენტური სახე.

ყოველივე ის, რაც ასულდგმულებს დედას, ყველა ის თვისება, რომელიც ნიშნული უნდა იყოს მშობლიური ქვეყნის მოსიყვარულე, თავდადებული ადამიანისათვის, ერთიმეორესთან მკიდრო ურთიერთკავშირშია ნაჩვენები. ამით პოეტმა ისიც თქვა, რომ ხასიათები და მიზანსწრაფვა ერთიმეორისაგან გაუთიშავად ყოველ „ახალი ტიპის ქართველში“ უნდა იყოს აღზრდილი. აი, რა არის დედის უპირველესი ვალი, ყველა ჰეშმარიტი პატრიოტის საზრუნავი.

ილიამ თავისი სიცოცხლე ხომ მსხვერპლად მიიტანა თავისი მამულის აყვავებისათვის ბრძოლაში, რომელზედაც მრავალმნიშვნელოვნად ამბობდა:

„აყვავებულა მდგლო,  
აყვავებულა მთები;  
მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები!“



და აი, მის ფიქრებში, ბრძოლასა და მოქმედებაში თავიდანვე გახსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნორჩი ყრმის აღზრდის პრობლემა. პოეტი მიგვანიშნებს, რომ ნორჩ ყრმას აკვნიდანვე უნდა შთაუნერგოთ სამშობლოსადმი უნაგაროდ თავის შეწირვის მაღალი გრძნობა.

ლექსის დასაწყისშივე პოეტი ხაზს უსვამს, რომ დედა გრძნობს შეშინებულ, შემკრთალ და მტირალ ყრმაში ერთგვარ წინათგრძნობას იმ ღვთიური ვალისას, რომელიც მას ჭერ კიდევ ჩვილს გააზრებული არ აქვს, გრძნობა წინამორბედი მას „ჭერეთ არ უხატავს ქართველთადმი ღვთიურს ვალს“, რომელიც მას მოსახდელი აქვს. ამ დიდი ვალის შესრულებისთვის:

„ჭერ მინამ ხარ ყმაწვილი,  
მინამ დრო მოგესწრება,  
ისწრაფე, შეილო ძილი,  
ისწრაფე განსვენება!“

დედის სიტყვებში თითქოს თვით დედა-სამშობლოს გულისფეთქვაც მოისმის, დავაჯკაცებული შვილის მიმართ იმედიანი მზერა, დედის ძალას მმატებს, რადგან „ღვთიური ვალი“ მას მოსახდელი ექნება და ამის გამო დედა ტკბილად ჩაასმენს შვილს:

„შოვა დრო, გაიზრდები,  
მკლავი გაგიმაგრდება,  
შეილო, ყრმობის სიზმრები  
ბრძოლაზედ გაგაცვლება“.

დედის მოწოდება, რომ ამ დროს არ შედრკეს, რასაკვირველია, სამშობლოს ბედთან სასიცოცხლოდაა დაკავშირებული, იგი შესისხლხორცებულია მშობლიური ხალხის ბედთან, მშობლიური ქვეყანა დაჩაგრულია და კენესის, მწუხარე ხმა მოითხოვს შევლას. და აი, შოვა დრო და დედის ნანა შვილს ხმლის ქლერად უნდა შეეცვალოს.

დედა ობიექტურ რეალობას მეტად მუქ ფერებში ხატავს, რათა გააზრებული იქნეს საქმის ნამდვილი ისტორიული ვითარება და იგი სათანადო შემართებისათვის დიდი ემოციური ძალის მქონე გახდეს.

ლექსში ნახმარი გამოთქმები „ბედშობა“, „ერთობა დაკარგული“, „წამხდარი გმირობა“, „მამული დაობლებული“ წარმოგვიდგენს ობიექტური რეალობის ნამდვილ სურათს.

ყოველივე ეს დედის გულს საბრძოლო განწყობილებით ავსებს, რასაც უნერგავს შვილსაც:

„აინთე ცეცხლით გული,  
მტერსა დაეცი მეხად,  
ან, ვით შვილი ერთგული,  
დააკვიდ მამულს მსხვერპლად!“

მამულისათვის შვილის გამოზრდა, მშობლიური მიწის, მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი შვილის გაზრდა, აი, რა არის ქართველი დედის პირველთაგანი საქვეყნო „ღვთიური ვალი“. სწორედ ამიტომ აწოვებს თავის ძუძუს და მამულის სიკეთისათვის დედამ შვილი უნდა გაწიროს:

„უკვლავი არის შვილი,  
მამულისათვის მკედარი!“

მაგრამ ეს მოქმედება მიზეზების შეგნებულად შეცნობის შედეგად მისაღწევ ამოცანად არის დასახული.

ამ მიზეზების შეგნებულად შეცნობა დედის ტკბილ ხანასთან დაკავშირებით, ყრმათათვის, აკვნიდანვე შთამაგონებლად უნდა ჟღერდეს, ქართველი დედის სიტყვებთან და ცრემლებთან ერთად.

ამ დიდი ვალისა და მორალის სიწმინდის ცნობიერების პროცესა ლექსში შემდეგი თანმიმდევრობითაა მოცემული:

1. აღრეული ასაკის თავისებურება:

- ა) „ქართველთაღმე „ღვთიური ვალის“ გამო ჯერ ნუ ჰკრთი;
- ბ) „გრძნობა წინამორბედი“ ჯერ სრულიად ვერ გამოხატავს ამ ვალს;
- გ) ჯერ ისწრაფე „განსვენება“, ყმაწვილი ხარ და მოვა დრო, გაიზრდები, დავაჟაკადები;
- დ) მაშინ ყრმობის სიზმრებს ბრძოლა შეცვლის და აი, მაშინ არ უნდა შედრკე.

II. ცნობიერი მოქმედების საფუძველი ობიექტური რეალობაა:

- ა) ბედ-ქვეშ დაჩაგრული მამულის კენესის მწუხარე ხმა;
- ბ) შველის ძახილი;
- გ) ჩემგან დალოცვილმა დედის ნანა ხმლის ჟღერად უნდა შეცვალო.

III. საბრძოლო შემართების მიზეზები:

- ა) ჩვენი ბედშაობა;
- ბ) ძველი ერთობის დაკარგვა;
- გ) ჩვენი წამხდარი გმირობა;
- დ) დაობლებული მამული.

IV. დედის მტკიცე მოწოდება:

- ა) გულის ბრძოლის ცეცხლით აანთე;
- ბ) მტერს მეხად დაეცი;
- გ) დააკვდი მამულს მსხვერპლად.

V. ქართველი დედის ხასიათი:

- ა) ჩვილი დედის გული, მაგრამ იგი მამულისათვის მაგრდება;

- ბ) არ სურს ჰყავდეს ისეთი შვილი, რომელიც როცა საჭიროა, მამულისათვის არ მოკვდება;
- გ) შვილისა და მამულის სიყვარული განუყოფელია: იმ ვაგლახ დედას შვილი არ ჰყვარებია, ვინაც სამშობლოს დახსნისათვის ძე არ შეუტლავს. ქართველი დედა ასე არ წახდება.

VI. ქართველი დედის მტკიცე, შეგნებული და წინასწარი გადაწყვეტილება:

- ა) შვილს ძუძუს მხოლოდ მამულისათვის აწოვებს;
- ბ) მამულის სიკეთისათვის წირავს:  
„მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისათვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!..“

VII. სიკვდილი და უკვდავება:

- ა) ამ შეგნებით სიკვდილი „მეტად დიდი რამ არის!“; რადგან უკვდავია შვილი, რომელიც მამულისათვის მკვდარია;
- ბ) დედა ნუგეშს მაშინ იცემს, როცა შვილი მამულს ზედ დააკვდება, როცა კაცი კვდად კვდება;
- გ) სიკვდილის წინ ის მამულს გაუღიმიებს იმ შეგნებით, რომ მისგან მოცემულ სისხლს მასვე გმირულად ჩაუბრუნებს;
- დ) შენ შენი სიკვდილით მამულის სიკვდილი უნდა დასთრგუნო და მაშინ გაიხარებ.

VIII. მამულის მსხვერპლისადმი დედის პერსპექტიული „შთახაგობები“:

- ა) „ნუ გინდა ნურა ძეგლი“, გარდა მამულისათვის სიკვდილისა;
- ბ) „მამულისათვის მკვდარი, — უკვდავია „ვით დედის შენის ცრემლი“;
- გ) მამულს უერთგულე და რაც მე სიტყვა გითხარი, საქმით აღასრულე შენ, მამულის მსხვერპლო პაწაწინა ქართველო!

აღსანიშნავია, რომ ილია ამ ლექსს წერს „მგზავრის წერილების“ შექმნამდე რამდენიმე წლის წინ. ეს საუკეთესოდ მეტყველებს იმაზე, რაზედაც პოეტი ამბობს: „აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა“, რადგან სიყრმიდანვე არის ნაგრძობი მამულის სიყვარულის მარადიულობა, რომელიც მან ჯერ კიდევ პეტერბურგში სასწავლებლად გამგზავრებისას მშობლიური მთებისადმი მიმართავი საუკეთესოდ გამოხატა: „თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასო“. ის მასთან მავალია, მისგან განუყოფელია, ვით საკუთარი გული, რადგან ეს გული მშობლიურ მიწა-წყალთან, მშობლიურ მთებთან ბუნებითაა შეუღლებული.

ეროვნული საბავშვო პოეზიის მარგალიტია აგრეთვე ილიას „ბაზალეთის ტბა“, რომელიც ჟურ. „ჩეჩილში“ დაიბეჭდა ამ უკანასკნელი ექვსი ტომის გარეშე:

„იქნებ აქვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღე და ღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი? თუ ესე არის, ნეტა მას ვაეკაცა სახელოვანსა, ვისიცა ხელი პირველად დასწვდება იმა აკვანსა! თუ ესე არის, ნეტა მას დედასა სახელდებულსა, ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის თვის ძუძუს, მაღლით ცხებულსა!“

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ „ჩეჩილში“ დაბეჭდილი ვარიანტი ი. გოგებაშვილს შეტანილი აქვს „ბუნების კარში“ ზოგიერთი ცვლილებით. ეს ცვლილება შეეხო ლექსის პირველ, მეორე და მესამე სტროფს შემდეგი სახით: „ბუნების კარში“ ილიას ზიტყვა „გაჩემო“ შეცვლილია სიტყვით „გარშემო“, „არას დროს“ — „არასდროს“, „ყვავის“ — „ჰყვავის“, „ახვევიან“ — „ეხვევიან“ და „ამღერიან“ — „დამღერიან“, „დაუდგამს“ — „ჩაუდგამს“ და სხვ. აქვე ისიც შეიძლება შევნიშნოთ, რომ პუნქტუაციის მხრივაც, უმნიშვნელო ცვლილება განიცადა ტექსტმა, მაგრამ ამ ცვლილებას ლეგენდის იდეური არსსათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია<sup>1</sup>.

ლეგენდაში მინიშნებული ეროვნული გმირის პოეტურ სახეში წარმოსახვა ექსოვება ქართველი ხალხის ეროვნული ტრფიალის, ამ მხრივ ნატურის აღსრულებას.

აქაც, როგორც „ნანაში“, პოეტი ეტრფის ეროვნული გრძნობით გულანთებულ იმ ქართველ დედას, „ვინც იმ ყრმას პირველი მიაწვდის თავის ძუძუს მაღლით ცხებულს!“.

ახალგაზრდის მხატვრული სახე პოეტური დიდაქტიზმის მიმართებით ფორმის მეტად ორიგინალურად, სადად და შთამბეჭდავად გამოყენებით, ქართულ საბავშვო პოეზიაში მოცემულია დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლექსში „ქართული ანბანი“<sup>2</sup>.

ეს ლექსი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია არა მარტო იმიტომ, რომ იგი პატრიოტულ თემას ეხება, არამედ იმ ხერხითაც, რაც პოეტს ჩანაფიქრის გადმოსაცემად გამოუყენებია პატრიოტის წმინდათაწმიდა მოვალეობისა და ხასიათების მტკიცე ერთიანობაში გამოსახატავად.

ვფიქრობთ, აკაკის იდეური ჩანაფიქრის მხატვრულად ხორცშესხმისათვის შემთხვევით არ გამოუყენებია ქართული ანბანი. ეს შეპირობებული იყო იმითი, რომ მშობლიური ქვეყნის მგზნებარე შვილის

<sup>1</sup> შლრ ა. ღვინიაშვილის მიერ შედგენილი ქართული საბავშვო ლიტერატურა, ქრესტომათია, I, 1955, გვ. 53. „ჩეჩილის“ ვარიანტიდან ტექსტში უცვლელად დატოვებულია მხოლოდ ერთი სიტყვა „ახვევიან“, ხოლო დანარჩენი ასეა შესწორებული: „არას დროს“ — „არასდროს“, „მზიან-ჩრდილებში“, — „მზიან ჩრდილებში“ „შუა გულშია“ — „შუაგულშია“, „თამარ-დედოფალს“ — „თამარ დედოფალს“)

<sup>2</sup> „ღროება“, 1875, № 3.

თვისებები და ვალდებულებანი ბავშვთათვის მეტად ადვილი, მისაწვდომი და ცნობიერი გაეხადა.

თუ ილია ქართველ დედას (ამ შემთხვევაში) ავალბდა ტკბილ ძუძუსთან ერთად, ყრმისთვის იავნანას ტკბილ სმასთან ერთად, შთაენერგა უწყმინდესი და უმაღლესი გრძნობა, აკაკი ამავე გრძნობის აღზრდას ყრმის შემდგომ ასაკში, ასობის შესწავლას უკავშირებს და ამით ორი დიდი ქართველი პოეტის დიადი მიზანი წარმოდგენილ ორ ლექსში იდეურად ბუნებრივ ურთიერთკავშირში ერთ მთლიანი სახით ყალიბდება და სახიერდება.

აკაკის ლექსის „ქართული ანბანის“ განსაკუთრებული თავისებურება იმითაც გამოიხატება, რომ, როგორც ცნობილია, ქართული ანბანი 33 ასოსაგან შედგება და პოეტმა იგი გამოიყენა კონკრეტული მიზნისათვის. ამ ასობის ურთიერთკავშირი ქმნის მარცვალს, სიტყვებს, სიტყვათა ჯგუფს, წინადადებებს და ამის საფუძველზე სრულყოფილ ქართულ მეტყველებას, რომელიც ქართველ ტომთა ურთიერთობის აზროვნების, იდეური მიზანსწრაფვის, იმედიანი ოცნების გამოხატვის გულის ვარამისა თუ მძიმე ტკივილების გაგებინების შეუცვლელი საშუალებაა.

საკმარისია ანბანიდან ამოვარდეს რამდენიმე ასო, რომ მაშინ ანბანმა თავისი ფუნქცია დაკარგოს.

და ეს რომ არ მოხდეს, ამიტომ მთავარია ანბანის მთლიანობის შენარჩუნება, ყოველი ასოს შეგნებულად შესწავლისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების გზით, როგორც ერის ერთ-ერთი პირველი ხიზანისა, როგორც ეროვნების ბურჯისა.

ქართული ანბანის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესაბამისად ლექსი „ქართული ანბანიც“ საგანგებოდ შეიცავს 33 სტროფს და თითოეულ სტროფში შესანიშნავადაა ჩაქსოვილი ის ხასიათები. ის თვისებები, ქცევის თუ მოქმედების ის მოსაწონი სახეები, რომელიც ყოველ ქართველს უნდა ახსოვდეს, ახასიათებდეს, გზას უნათებდეს როგორც მამულიშვილს, თავისი ხალხის მოყვარეს, მისი ბედნიერებასათვის მებრძოლს.

ისე, როგორც ქართული ანბანის ყოველი ასო ფრიად მნიშვნელოვანია და არ შეიძლება, რომელიმე მათგანი ამოვადო ხმარებიდან, ასევე, აღნიშნული ლექსის ყოველ სტროფში მოცემული თვისებებზე მიზანსწრაფვის მთლიან სახეს, მათს პარმონიულ ერთობლიობას უხდა წარმოდგენდეს ყოველი მამულიშვილი და მხოლოდ მაშინ შეიძლება მან პირნათლად მოიხადოს ვალი სამშობლოს წინაშე, მხოლოდ მაშინ შეიძლება ხალხი იმედით შესცქეროდეს თავის შვილს.

აი, ქართული ანბანის — ასობის თანამიმდევრული დალაგების

საფუძველზე ცალკეულ სტროფებში რა აზრია პოეტის მიერ გამოთქმული:

- „ა“ — სთან დაკავშირებულია სამშობლოს სიყვარული, მაგრამ აპი სათვის ჭერ წიგნი უნდა ისწავლო;
- „ბ“ — სწავლით ამადლებათა საქირო, რომ მამულს მტრისაგან მოდებული ჩირქი მოჰბანო;
- „გ“ — სამშობლო ყოველთვის და ყოველგან ერთგულ შეილს ითხოვს და შენს მშობელს არ უნდა უმტყუხო;
- „დ“ — ვალი ერთგულად უნდა აასრულო, სიკვდილმა არ უნდა შეგაშინოს;
- „ე“ — პირად სარგებლობას უნდა დაეხსნა, უნდა იყო ქვეყნის მუშა;
- „ვ“ — თავგანწირულ მუშას ვერ შეაშინებს ვერავინ. — ვერც ცეცხლი; ვერც წყალი, ვერც ტყვია;
- „ზ“ — საქმეს მაღალი შთაგონებით უნდა მოეკიდო და ხაზრომას შენი ბეჭედი უნდა დააჩნიო;
- „თ“ — სხვებიც მოგბაძავენ და მამულის მკურნალები გამრავლებიან;
- „ი“ — უნდა მიბაძო იმას, ვისაც თავზე ეკლის გვირგვინი ედგა, გვირგვინი ახალი აღთქმისა;
- „კ“ — სწორე იარე, შენგან კვალი მრუდე არ დარჩეს, უხდა გახდე სწორმხედველი;
- „ლ“ — სოფლის ბრუნვის მსხვერპლი ნუ გახდები;
- „მ“ — სუსტის მჩაგვრელმა ძალამ ვერ შესძლოს მტარელობა;
- „ნ“ — ეძებდე კეთილ ადამიანს და მას დაეძმობოდე;
- „ო“ — შენმა მოძმეებმა შენით შეება იპოვე, ამას უნდა ეძებდე ამ ქვეყნად;
- „პ“ — მხოლოდ მაშინ შენი სახელი იბრწყინებს, როგორც შარადის გაუქრობელი ლამპარი;
- „ჟ“ — მტრის ღალატი თუ შეგხვდა, ნუ შეშინდები;
- „რ“ — ჰირსა და ლხინში ყოველთვის შენს მოძმეებზე იფიქრე და არც ერთი არ უნდა გიკვირდეს;
- „ს“ — შენს ნაღვალს მგოსანი ჩანგზე უნდა დაძღვრდეს და იმ ხმით ძვერდეს თანამებაღეთა გულები;
- „ტ“ — ვისაც ეს წილად ერგება, ის არის ნეტარი, სამაგალითო;
- „უ“ — ურგებ კაცს ბნელი ადევს უკუნი და საშვილი შეილოდ წყევლა-კრულვის საგანი იქნება;
- „ფ“ — ასეთ ადამიანს წყევლისაგან ვერ იხსნის ვერც დიპლომი (ცოდნა), ვერც ფარი (მფარველი), ვერც მოჭედილი საყულო (თანამდებობა);

- „ღ“ — არ უნდა დაივიწყო ის, რაც უკვე გითხარი და თავიდან გაიმეორე, რომ კარგად დაიმასსოვრო;
- „ქ“ — ხალხის განჩინებას ვერ დააბრკოლებს სრიკებით ნაჭედი მანქანები;
- „ყ“ — რაც წაიკითხო, ჩაუფიქრდი, ბეჯითად შიამყარი გული და მერე კიდევ განვაგრძოთ საუბარი;
- „შ“ — თუ დაიღალე, თქვი, ხვალამდე შეისვენე და ხვალ რომ მოხვალ, შეიტყობ, თუ რა არის შემდეგი;
- „ჩ“ — ამდენს ასოს (მასთან იგულისხმება შესაბამისი ხიშახ-ქცეულები) რომ ისწავლი, მერე დანარჩენს უჩემოთაც მიხვდები::
- „ც“ — ხომ უკვე გაგიადვილა, საცნობი უჩემოთაც გამოიცანი;
- „ძ“ — თუ მოგეწყინა ან დაიღალე, ხვალამდე გადავსდეთ შეძღომის სწავლა;
- „წ“ — მაგრამ მცირე ნაწილი დაგვრჩა ჩვენი „ანა-ბანისა“ (ე. ი. სასურველი და სავალდებულო ჩვევების სფეროდან) და რაც შესასწავლია, იმის გადადებას ვერ გირჩევ;
- „კ“ — გამოფხიზლდი, ძალა მოიკრიბე, ამოქმედდი და კიდევ უფრო მკვირცხლად ისწავლე;
- „ხ“ — და თუ მართლა დაიღალე, მაშინ სასურველია ხახდასახ შეისვენო, რომ შესვენებულზე უფრო შეიცნო ის, რაც კიდევ უნდა იცოდე;
- „ჯ“ — „ან-ბანის“ შესწავლით ჯანი გემატება და ხვალ კი შესძლებ განზრახულის შესრულებას;
- „პ“ — მაგრამ ვინც სულაც არა სწავლობს, იმათ დარჩებათ ბევრი რამ გამოუცნობი;

ამგვარად, ქართული ანბანის თანამიმდევრობის პრინციპის საფუძველზე კრიალოსანივით ასხმული შთამაგონებელი აზრების გასაგებები, მისაწვდომი ფორმით პოეტს ახალი თაობა მიჰყავს იმ დასკვნაზე, რომ ცოდნის წყარო წიგნია და ცოდნასთან ერთად ქართველი პატრიოტიკისათვის გარკვეული ადამიანური ღირსებების, კონკრეტული თვისებების, ხასიათების, ჩვევების, პარამონიული მთლიანობა უნდა იყოს ნიშანდებული, ღირსებისა და ღიდეების საფუძველი.

\* \*

ილიასა და აკაკის პოეტური სიტყვები ყრმისადმი მიმართულ მასში ჩაქსოვილი სურვილები და ნატვრანი, აღზრდის მიზნობრივი განკერძოება შეილთან დედის განუყრელი, მარადიული სიყვარულითა

და სამშობლოსადმი თავდადების მაღალი გრძნობის საფუძველზე, ქართულ ეროვნულ საბავშვო პოეზიაში თავისებურ მსატერულ განვითარებას ჰოულობს. ამ მხრივ, შეიძლება სანიმუშოდ დავასახელოთ რაფეელ ერისთავის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „ნეტა რას სტირი დე დილო?“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“, 1881 წლის № XII (გვ. 126) და არ შეიძლება აქ მთლიანად არ მოვიტახოთ.

ქართველი დედის მიერ მზრუნველობით აღზრდილი, დავაჟკაცებული, დედის უანგარო სიყვარულით, გულის სითბოთი სიყრმიდანვე გამთბარი და დედის ტკბილ ძუძუსთან ერთად პატრიოტული აზრებით შთაგონებული მტერზე მოლაშქრე შეილის მრავალშეტყველი მსატერული სახე არაჩვეულებრივი ემოციური ქალით აი, როგორ არაა გადმოცემული:

ნეტა რას ტირი, დედილო? რას ჩამომქდარხარ კერასა?  
ასი მკრან გულში, მირჩვენის მტირალი ქალის ცქერასა.  
ნეტა რას ტირი, დედილო? რას ტირი ძუძუს ჰირიმიე?  
ქარს იძახიან, დედილო, — სად არის ჩემი ხირიმიე?  
თათარი შემოგვესევია, სწოვს და ახვრებს ქვეყანას,  
ემა ქოსს თავზე დაგაქევეს, მოგვითელს ვენახს და ყანას.  
ხეტა რას სტირი, დედილო? — რა დროს გლოვია შეილისა?  
გულში მკრეს, ორგან გამხვრიტეს ჩემი პერანგი შალისა.  
ნეტა, რას ტირი, დედილო? დაე, აქ ვეგლო ლელოში,  
სომ ვერა ჰნახავ ურჯულოს ველარსად საქართველოში?  
ნეტა რას ტირი, დედილო? — ჯერ ვერ წამოვალ შინათქენ,  
მე აქ ვიგერებ ყვაე-ყორანს, თვალი მიჰირავეს იმათქენ.  
ნეტა რას ტირი, დედილო? — სახლზე იყავი ფრთხილადა  
ირმა-ხარს მოუარევი, მარილს ალოკდე ხშირადა;  
ყანა გამარგლეთ ბეჯითად, არ მოერიოს ჰიოტა,  
ე ჰაჟა არ დამიმშიოთ, ფოცხვერს არ შემიჰმიოთა...  
ჯერ ნურას ეტყვი შენს რძალსა, ბაღლია ამიტირდება,  
შობამდის დავაეიწყებდი, აღდგომას გამიფრინდება!..  
„ნეტა რას ტირი, დედილო? რას ჩამომქდარხარ კერასა?  
ასი მკრან გულში, მირჩვენის მტირალი ქალის ცქერასა!..“

ასეთსავე მებრძოლ პატრიოტად ესახებოდა ვაჟას ყრმა, ლექსში „ბავშვის“, სადაც პოეტს ბავშვის სახის პერსპექტიული განჭკრეტა როგორც ხალხის ღვიძლი შეილისა, უმაღლეს ვალდებულებასთან აქვს დაკავშირებული.

„დაჰვაჟკაცდები პატარავ,  
იწყებ ულვაშის გრეხასა;  
წელზე შეიბამ გორდასა,  
ეტრფობი აბჯრის ეღერასა,

<sup>1</sup> „ჩეილი“, 1896, № 2, გვ. 15.



თავა შეაკლავ, თუ ვინმე  
აწად გიხსენებს დღდასა.  
მწობელი მიწის დარაქსა  
გნახავ მტრისავენ მხერალსა“.

ამ დიდ გრძნობას შესაბამის მხატვრულ სახეებში გამოხატავდა XIX საუკუნის II ნახევრის ყველა საბავშვო მწერალი, რადგან ეროვნული პრობლემა მათთვის იყო ერთ-ერთი უმთავრესი სასიცოცხლო პრობლემა.

ამის გამო, ბუნებრივად გაისმოდა „დედის ლოცვა“<sup>1</sup> დუბუტე მეგრელის პოეტური სიტყვებით:

ღმერთო, ღმერთო, გვედრებო  
გამიზარდვ სასახლო,  
რომ მით ერთად ვაყაობდეთ  
მე და მჟელა საქართველო“

და ცნება მთელი საქართველო „პატარა ქართველს“<sup>2</sup> უბრწყინვალეს სტრიქონებში წარმოდგენილი, ღრმად იდგამდა ფესვებს ბავშვების გულში:

„მე პატარა ქართველი ვარ,  
კავკასიის მთების შვილი,  
და განცხრომით სხეგან ყოფნას,  
მირჩეენია აქ სიკვდილი  
ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო—  
ყველა ჩემი სამშობლო  
საყვარელი საქართველო“...

პროფესიონალი საბავშვო მწერლობიდან პ. ცახელის პოეტურმა ნიჭმა ქართველი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია და განსაკუთრებით კი ეროვნული მოტივის შემკველმა ბრწყინვალე ლექსმა „მარინემ“ ი. გოგებაშვილის ქება-დიდება დაიმსახურა.

მტრის ურდოებთან ბრძოლაში მხნე დედაკაცმა მარინემ დაკარგა ერთადერთი შვილი, მაგრამ მისი საბრძოლო განწყობილება უტეხია:

„გაუმარდებო კაჩიეთა  
მინამ მე არ გადაუხდდი, ველად ვიღო ქაჩიეთა...  
და, რომ მტერზე ჭავრს ავიყრი, შეემუსრავ და ვუმბატოვებ,  
მაშინ, შვილო, შენთან ერთად სამუდამოდ მივიძინებ“.

ეს ლექსი პირველად გამოქვეყნდა საბავშვო ჟურნალში „ნობათი“ და ი. გოგებაშვილმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა მისი დიდი

<sup>1</sup> „ჩეჩილი“, 1894, № 6, გვ. 3.

<sup>2</sup> „ჩეჩილი“, 1901, № 10.

მხატვრული და იდეური ღირებულება. -ლექსი „მარინე“ შეადგენს „ნობათის“ მეორე თვალს, მეორე მარგალიტსაო, ვსთქვით ჩვენა. დიად, ღირსეულს ლეგენდას ხალხისას ღირსეული კალამი შეხვედრია და მშვენიერი ნაწარმოები შეუმატნია ჩვენი ლიტერატურისათვის. მკითხველი, რასაკვირველია ამ ლექსს უკვე წაიკითხავდა, თუ თვით „ნობათში“ არა, „დროებაში“ მაინც, რომელშიაც გადმობეჭდილი იყო. ამიტომ შინაარსის გადმოცემა საჭიროდ არ მიგვაჩნია. მაღალი პოეტური კილო, ხელოვნურად დახატული შეკუმშული სურათები, ისე ხელოვნურად, თითქო თვალწინ ხედავდე მათ, ღრმა დრამატიზმი და თავ-განწირული სიყვარული მამულ-ისადმი შეადგენენ უმთავრესს ღირსებას ამ ლამაზი ქმნილებისას, რომელიც ბევრს, ძალიან ბევრს ეუბნება კაცის გონებასაც და გულსაც“<sup>1</sup>.

ცახელი მშობლიური ქვეყნის მძიმე მდგომარეობას ალეგორიული ფორმით გვიხატავს ლექსში „გაზაფხული“. ბუნება ხარობს, ირთვება ათანაირის ფერებით, მაგრამ წუხს პოეტი:

„გაზაფხულს მხოლოდ ვერა გრძნობს ჩემი მიწა და საღვური,  
თავს ყინვა-თოვლი აყრია, სუსტდება მის ქვეშ უძლური“<sup>2</sup>

მიუხედავად ამისა, პოეტა გამოთქვამს რწმენას:

„მაგრამ დადნება ყინული და ბუნებისგან შეკველი  
ხელ-ახლად ამიყვავდება ჩემი ძვირფასი მამული“.

ასეთსავე რწმენას ბავშვებს უნერგავდა ვაჟის სიტყვები:

„თუმცა კი მტრისა სიმრავლით  
მისი დიდება დაიქცა...  
ერთხელც იქნება მორჩება,  
ყელს მოიღერებს გმირია“<sup>3</sup>.

სამშობლოს მარადიულ სიყვარულს შთააგონებდა ბავშვებს დიდი აკაკი:

„კრულია მისი ხსენება  
ვინც დაგმობს დედა ენას;  
თვის ტომს ღალატობს და მით  
თვით პფიქრობს მალა ფრენასა“<sup>3</sup>.

პატარებისათვის საყვარელი პოეტი შიო მღვიმელი ამავე შეგონებას თავისი შესანიშნავი პოეტური ჩანგიდან შთამაგონებლად გამოსცემდა:

<sup>1</sup> „დროება“ 1884, № 13, გვ. 1.

<sup>2</sup> „ქეჭილი“, 1890, № 1.

<sup>3</sup> „დროება“, 1875, № 66.

„ვით მე არ ვცელი ვარდს ეკალში,  
და ვინატრი მისსა ლხენას,  
ნურც შენ ვასცელი ნურაფერში  
სამშობლოს და დედა ენას“<sup>1</sup>.

სასწავლებელში პირველად მიმავალ ყრმას გ. ქალადიდელი დედის სიტყვებით შთამაგონებლად ეუბნებოდა:

„გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,—  
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,  
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა  
სამშობლოს რადმე გამოადგება...“

მაშასადამე, სამშობლოსათვის შრომა, სწავლის შეძენა, ქალადიდელის სიტყვებით, ყრმისათვის უმთავრესი ვალია, მაგრამ იქვე დასძენს „ამას გთხოვ ყველაზე უფრო, არ დაივიწყო სამშობლო ენა“, რადგან „სამშობლო ენა არის საძირკველთა საძირკველი „მერწმუნე, რომა გამოცდილია, — თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა დაკარგულია!“

პოეტს, უყვარს ფაცხა, სადაც ცხოვრობს კეთილი, საწყალი და დაჩაგრული ადამიანი. მას უყვარს ეს ღარიბული ფაცხა იმიტომ, რომ უფიცრო და უყავრო ფაცხაში გამოიზრდება პაწაწინა, რომელსაც ექნება მამულ-დედულისა და შრომის სიყვარული.

მშობლიური ენის სწავლების სურვილი, ცოდნის შეძენის მძაფრი წყურვილი დიდი ემოციური ძალითაა გადმოცემული ნ. ლომოურის პატარა გმირის ქცევაში, რომელიც სუსხსა და ყინვას ძღვეს.

მაღალი ეროვნული გრძნობის აღზრდას ემსახურებოდა საბავშვო ეურნალებში სისტემატურად დაბეჭდილი ისტორიული ხასიათის აკროსტიხები, თუმცა ეს გრძნობა აკროსტიხში მოცემულ საქართველოს მხატვრულ სახეში მხოლოდ ერთი ნიშნითაა ჩამოყალიბებული:

„საუკუნეთა განმავლობაში  
არ ღირსებია მას დასვენება,  
ქრისტეს რჯულისთვის იბრძოდა მარად,—  
ასეთი იყო ზენარის ნება!  
რჯევა და შოთი მოსულ მტერთგან,  
თაფლისთვის მოსულ ვით ბუზთა კრება...  
ვერ აიტანა, დაშვრა... თქმულია;  
ერთხელ წყალსაც—კი დაეძინება!..  
ლომი კვლავ ლომობს, მის სიყვარული  
ოპ, ბავშვნო! ნურვის დაგვიწყდება!“<sup>2</sup>

მართალია, ეს აკროსტიხი, რომელიც ბავშვებს აცნობს დედისამშობლოს საქართველოს ტანჯვას საუკუნეთა განმავლობაში, პოეტური

<sup>1</sup> „ქეილი“, 1895, № 2.

<sup>2</sup> „ქეილი“, 1901, № 11.

ოსტატობით მაინცდამაინც ყურადღებას არ იქცევს, მაგრამ, აკროსტიხის ფუნქციის თვალსაზრისით იმ დროისათვის იგი მეტად სასარგებლო და მიზნობრივი მოვლენა იყო.

სამშობლოსათვის თავდადებულ ისტორიულ პირებზე არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებებში მოცემული მხატვრული სახეები ქმნიდნენ დიდ შეგონებას, არამედ ამავე მიზნით სათანადოდ სხვა მომენტებსაც იყენებდნენ საბავშვო ჟურნალების ფურცლებზე. მაგალითად, ს. მესხის შესახებ აკაკის მეტად მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველ წერილში „სანსოვრად“ — ბავშვები ცოცხლად წარმოსახავდნენ მაშულისათვის თავდადებული პირის სახეს:

„ბევრი გეყოლია ჩვენ მოწამეები და მამულისათვის თავდადებულები.. მათი ტანჯვა და მოწმობა მწარაფლი ყოფილა: ისინი რამდენიმე საათში დაწურულან სისხლად ბრძოლის ველზე და ან საკირეში ჩადულლებულან თვალსაჩინოდ და სათანადო ბოძოდ. ქება და დიდება მათ!“ (ხაზის გასმა ჩემო, ა. ჩ.)

ამავე იდეებს აუღერებდა პოეტის ჩანგი ბავშვებისათვის შექმნილ ნაწარმოებშიც:

„ვინც თვის მამულზე მარად ჰფიქრობდა  
და სამშობლოსათვის უძებრდა გული.  
მისი სახელი უკუნისამდე  
იყოს მაღალი და კურთხეული“

(„ვარდი და ეკალი“)

პოეზიაში ეროვნული გმირის მხატვრული სახის მშვენებას რ. ერისთავის პოეტური ტალანტის უბრწყინვალესი ქმნილება „სამშობლო ხევსურისა“ წარმოადგენს, რომელიც ქართულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაშიც თავიდანვე მტკიცედ დამკვიდრდა.

ცნობილია, რომ ქართული მწერლობის ისტორიას მრავალი საამაყო სახელი ამშვენებს. მათ შორის რ. ერისთავს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, რომელიც თავიდანვე დიდებით გამოჩნდა ჭარბველი ერის სულიერი კულტურის დიდ ტაძარში, როგორც მისი ერთ-ერთი ხუროთმოძღვარი. სწორედ ამიტომ იყო, მის ყოველ ნაწარმოებს მკითხველი იღებდა როგორც საინტერესო საჩუქარს, რადგან ეს ნაწარმოები ყოველთვის იყო რაღაცით ახლებური, საინტერესო, ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხზე თავისებური განაჩენი მხატვრულ სახეებში გამოხატული. მას ჰქონდა უაღრესად ინდივიდუალური სტილი, უბრალო, სადა, მისაწვდომი, ბევრის მთქმელი, ბევრის

<sup>1</sup> „ნობათი“, № 5—6, გვ. 59.

საჯაროდ მღალადებელი, სულის ამაფორიაქებელი, გულში ცეცხლისა და წუხილის გამჩენი.

დიდსა და პატარას იტაცებდა, ხიბლავდა ქართული მწერლობის წესანიშნავი ტრადიციების საფუძველზე აღზრდილი მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი, ქართული პოეზიის ახალი ელვარება ფორმის, თემატიკისა და იდეების მხრივ, ადამიანის სულიერ სიღრმეში წვდომის გასაოცარი ოსტატი.

ამ მხრივ ბევრის მოქმელია 1892 წ. 17 ივლისს რ. ერისთავისადმი არტურ ლაისტის მიერ ფრანგულ ენაზე მოწერილი ბარათი:

„ჩემო თავადო!

ათასჯერ მადლობელი ვარ იმ ამანათებისათვის, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, რომლითაც დიდათ მასიამოვნეთ.

თქვენი ლექსები მშვენიერია და მე ზოგიერთი ვეცადე მეთარგმნა პოლონურ ენაზე. ყველაზე ძალიან მე მომწონს „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც უკვე გადათარგმნილია პოლონურ ენაზედ.

ჩემი მიზანი სწორედ ის არის, რომ გადავთარგმნო, რაც უფრო უკეთესია თქვენს ლიტერატურაში, რომ დაეუმტკიცოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ ნამდვილად ჰყავს თავის გამაფრთხილებელი კავკასიის გარეთაც და რომ ქართული ერი ბევრს გვპირდება მომავალში.

კუმღერი თქვენს შესანიშნავ ქვეყანას და თქვენს შესანიშნავ წარსულს — ეს არის ჩემი ამოცანა და აქედან გამომდინარე, მე გადაწყვეტილი მაქვს ჩამოვიდე რამდენიმე თვით. მე ვიქნები თბილისში აგვისტოს ბოლოს, უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩემი პატივისცემა დავით ერისთავს (ავტორი „სამშობლოსი“).

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რ. ერისთავმა შექმნა ხევსური, ეროვნული გმირის განზოგადებული მონუმენტური სახე, რომელიც დიდად შთამაგონებელი და კეთილშობილი ადამიანის ამამაღლებელი, მაღალი ზნეობის მარადიული, ყველა ეპოქისათვის დიდი პატივისცემისა და სიყვარულის აღმძვრელი გმირია.

რ. ერისთავის მდიდარი შემოქმედება ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ განიცდის თვითონ და მკითხველსაც განაცდევინებს ადამიანის ბედს, მის სულიერ ძრწოლვას და იმასაც, რასაც ეტრფის, რაც სწამს როგორც ადამიანს ამ სიტყვის მაღალი გაგებით.

ადამიანისადმი დიდი სიყვარული, მისდამი თანაგრძნობა, უკუღმართი ცხოვრებით გამოწვეული გულისძახილი, კენესა მის ზოგიერთ ნაწარმოებში სათაურიდანვე სევდიანად ჟღერს, როგორც ვედრება, როგორც დანანება, როგორც შეზიზღება, როგორც გულისწყრომა და ზოგჯერ კი, როგორც გაოცება; ზწორედ, ამის გამო, დიდმა ილიამ რაფიელ ერისთავის პოეტურ ნიჭს მაღალი შეფასება მისცა: მან „პირველმა დაძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსები-

სათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“, — ასე დაახასიათა ილიამ პოეტის მადლიანი ნიჭის სიდიადე.

სერგეი მესხიცი მთელის ხმით ამბობდა, რომ „ამჟამად ჩვენ ორსამ მწერალს გარდა არავინ გვეგულუბა ისეთი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რაფიელ ერისთავზე უკეთ იცნობდეს და უკეთ ხატავდეს ამ ცხოვრების სურათებსა და ხასიათს“.

პოეტის მღელვარე სიცოცხლე სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე სამშობლოს ბედს უკავშირდებოდა: ცხოვრების უღმობელობა, არსებული სოციალური სისტემა, ადამიანის აბუჩად აგდება და განადგურება, ამ მძიმე განცდებთან პარონიულად შერწყმული პესიმისტური პეიზაჟიკ ზრდიდა ხალხში სათანადო განწყობილებას, გულისწყრომასა და მთელი არსებით განაწყობდა მიზეზების ასახსნელად, მსჯავრის დასადებად.

ამ ქვეყნად მაღალი დანიშნულებისათვის მოვლენილი ადამიანი არ უნდა იყოს ტანჯვის მარწუხებში სულის მლაფავი, არამედ უნდა იყოს თვით ბუნების მეფე, მბრძანებელი, თავისუფალი, ადამიანური მაღალკეთილშობილებით ამალღებული. ასეთი ადამიანისათვის სიცოცხლის აზრი და ბედნიერება დაკავშირებულია თავის სამშობლოს მშვენიერებასთან, რომელიც განუშეორებლად და უბადლოდ ლექსში ასე ოსტატურად ჩააქსოვა პოეტმა ხევსურის სახეში. სწორედ, ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა იგი აიტაცა, თავის გულისძგერას ააყოლა, თავისი გულის სითბოთი მარადიული სიცოცხლე მიანიჭა და ყოველი ქართველის ცხოვრების მარადიულ თანამგზავრად იქცა.

და ეს სრულიად ბუნებრივად მოხდა, რადგან ყოველი ქართველი ხევსურის ხასიათში თავის თავს ხედავდა და, რაც მთავარია, ხევსურის დიდი ტრფიალი იმ მიწისადმი, სადაც შობილა, სადაც გაზრდილა, სადაც მამაპაპათა კუბოს ფიცარი ეგულება, არნდომა სხვა ქვეყნის სამოთხისაც კი, სხვა ქვეყნის სიმდიდრისა და მშვენიერებისა, ძალუმაღ ეხმაურება საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობას. ამ პატრიოტიზმის ჭეშმარიტის სიდიადეზე სამართლიანად ითქვა საბჭოთა მწერალთა ყრილობის ტრიბუნიდან: „როცა ჩვენ მთელი ხმით ვამბობთ ჩვენს ეროვნულ გრძნობაზე, საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარულის გრძნობაზე, ჩვენ მასთან ერთად გვახსოვს თუ რა საგულისხმოა, რომ შენმა სიყვარულმა შენი სამშობლოსადმი არასოდეს და არაფრით არ მიაყენოს შეურაცხყოფა არცერთ სხვა ეროვნებას, არც ერთ სხვის სამშობლოს. ამავთა ის მთავარი, რითაც განსხვავდება ნამდვილი ინტერნაციონალისტი მოჩვენებისაგან, ის მთავარი, რომელიც სპობს ყოველგვარ წინააღმდეგობას ეროვნულ გრძნობასა და ინტერნაციონალურ გრძნობის შესახებ, შეგნებულად თუ შეუგნებლად არის სხვისი ღირსებე-

ბის დამცირება. შეუძლებელია გიყვარდეს საკუთარი ისე, რომ დაამცირო სხვისი. შეუძლებელია გიყვარდეს საკუთარი ხალხი, ამ სიყვარულით შეურაცხყო სხვა ხალხები...

დიახ, ჩემი სამშობლო ჩემთვის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასია. ჩემთვის ის ყველაზე უკეთესია, ყველაზე ლამაზია.

მაგრამ საკმარისია ამ ფრაზიდან ამოვადოთ სიტყვა „ჩემთვის“ და იგი პატრიოტულიდან ნაციონალისტურად გადაიქცევა.

ჩემთვის ყველაზე ძვირფასია და ყველაზე უკეთესია, ყველაზე მეტად ლამაზია. მაგრამ ეს ჩემთვის და არა სხვისთვის, არა ყველასათვის, არა სხვა ხალხების ადამიანებისათვის, არა სხვა ქვეყნების ხალხებისათვის“.

რაფიელ ერისთავმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში ხევსურის სახით მაღალი საკაცობრიო იდეალებით ანთებული სიტყვეებით აამღერა ქართველი ხალხი მისთვის ჩვეული ვპირობით:

„მე მიჩვენია შავი კლდე, თოვლიან-ყინულოვანი“. — მას მხოლოდ იქ ურჩვენია შავი სიკვდილი, არ გასცვლის თავის ქვეყანას სხვა ქვეყნის სამოთხეზედა. მას არ უნდა ბარად არაფერი, როგორი მომხიბვლელიც არ უნდა იყოს იგი. დიახ, „რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია, სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია, არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია“, „სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა“.

ი. გოგებაშვილი მეტად დიდად აფასებდა რაფიელ ერისთავის ნიქს, მის დიდ ღვაწლს ეროვნული ლიტერატურის აღმავლობის საქმეში. ი. გოგებაშვილის უკვდავ „ბუნების კარში“, „დედა ენაში“ ყოველთვის აქვეყნებდა პოეტის ლექსებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 80-90-იან წლებში ვერ იპოვიტ ქართულ საბავშვო პერიოდულ გამოცემათა არც ერთ ნომერს, სადაც რ. ერისთავის საბავშვო ნაწარმოებები არ იყოს დაბეჭდილი.

რაფიელ ერისთავის პოეზიის ცხოველმყოფელობაზე მეტყველებს ვაყას სიტყვები: „ყველაფერი რაც კარგია და ხელოვნური რამ დაწერილია, — ზემოქმედება, ძალა ჰქონია, ალტაცებაში მოუყვანია, მომწონებია. რა თქმა უნდა, რაფიელის ლექსებმა, როგორც საერთო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებური მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, — სხვანაირად შესძრა იგი“.

რ. ერისთავი, როგორც გულმხურვალედ ჩაბმული ქართველი ერის ეროვნული თავისუფლებისათვის, ქართული ენის შენარჩუნებისათვის წარმოებულ ისტორიულ ბრძოლაში:

„ენით ცოცხალ ვარ,  
მიყვარს ლხენა,  
მიყვარს ს:მშობლოს მე დედა ენა“—ამბობს პოეტი.

რ. ერისთავის ორიგინალური საბავშვო ლექსები ეროვნული სიტყვაჯამული მწერლობის ოქროს ფონდში აღიარებულია, როგორც განუმეორებელი პოეტური სიტყვის ნიმუშები.

რაფიელ ერისთავმა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა საოცარი ოსტატობით თარგმნილი და გადმოკეთებული საბავშვო ნაწარმოებებით გაამდიდრა, ისე, რომ მას ორიგინალური ნაწარმოებებიდან ძნელად თუ გამოარჩევთ.

რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ რომ ქართული ეროვნული საბავშვო პოეზიის სისხლხორცეული ნაწილი და ახალ თაობაში „ხელითხელ საგოგმანები მარგალიტია“, ამაზე მეტყველებს ჟურ. „ჯეჯილის“ ფურცლებიც, სადაც პოეტის 50 წლისთავთან დაკავშირებით შემდეგია აღნიშნული: „ყველა თქვენგანს ჩემო პატარა მკითხველებო, წაკითხული გექნებათ მშვენიერი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“. ბევრმა უთუოდ ზეპირათაც იცით და კიდევაც გიმღერიათო“<sup>1</sup>.

„ჯეჯილის“ საიუბილეო ნომერში ეროვნული გრძნობის აღზრდის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ეკ. გაბაშვილის „ინგლისელი მეომრის წერილი ტრანსვაალიდან“, სადაც სქოლიოში მეტად საგულისხმოდ განმარტებაა მიწერილი: „ძლიერმა ინგლისმა ომი აუტეხა სუსტ ბურებს... ომის მიზეზი ისეთი მცირე და მასთან ისეთი უსამართლო იყო, რომ ბურები ვეფხებად აქცია ამ უსამართლობამ“. იქვე საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ტრანსვაალი წარმოადგენს მთა-გორიან ქვეყანას გაუვალი ტყეებით, უსწორმასწორო გზებით. მთა-გორების უკან ჩასაფრებული ბურები მოულოდნელად ესხმიან ინგლისის გაწვრთნილ ჯარებს და ამარცხებენ. ბურების გამარჯვებას „ტაშს უკრავს მთელი განათლებული კაცობრიობა, რომელიც ყოველთვის სიმართლეს და სამართლიანობას თანაუგრძნობს“.

ეს მინაწერი მრავალმხრივია საყურადღებო, რადგან ეროვნული ჩაგვრის მძიმე ვითარებაში მყოფ ქართველებს ბევრ რამეს მიანიშნებდა: ა) ძლიერი ქვეყანა პატარა, სუსტი ერის წინააღმდეგ უსამართლოდ იბრძვის, მტაცებლურ ომს აჩაღებს; ბ) ბურები არ უშინდებიან მძლავრ მტერს, ძლიერია მათი ეროვნული გრძნობა და უსამართლო ომმა ისინი ვეფხებად აქციეს; გ) ბურები მოხერხებულად იყენებენ თავისი ქვეყნის ადგილ-მდებარეობას ძლიერი მტრის დასამარცხებლად; დ) განათლებული კაცობრიობა ბურების ინტერესების დამცველად გამოდის, რადგან ინგლისის მოქმედებაში ჩანს დამპყრობლური, უსამართლო სისხლიანი ომი.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა მკითხველებში სათანადო ასოცი-

<sup>1</sup> „ჯეჯილი“, 1895, № 5, გვ. 42.



აციები არ გამოეწვია საქართველოს ბედთან, ცარისტული რუსეთის ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად.

ყოველივე ეს—ეროვნული გრძნობის, პატრიოტული ბრძოლის ცეცხლის გამაღვებელი ნაპერწკალია.

ეროვნული პრობლემის მხატვრული სიტყვით ბავშვთათვის, მოზარდი თაობისათვის მისაწვდომ ფორმებში დასამახსოვრებელი მხატვრული სახეები საბავშვო პროზაშია მოცემული.

ახალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მიზნით საბავშვო პროზის სფეროში შესაბამისი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის უმაღლესი და უწმინდესი მოვალეობაა.

ამის შედეგად XIX საუკუნის II ნახევარში არაერთი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა დაიწერა, რომელიც დღესაც ინარჩუნებს სათანადო ცხოველყოფელობას, დიდ სააღმზრდელო და საგანმანათლებლო ფუნქციებს. საილუსტრაციოდ, ამჯერად, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიტანდით, რაც ნათლად წარმოგვიდგენს, ამ მხრივ, ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების ტენდენციის თავისებურებას საბავშვო პროზაშიც.

ილია ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან საგანგებოდ ქმნის საბავშვო მოთხრობას „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. პოეტი მას უწოდებს საახალწლო მოთხრობას; მარტივი სიუჟეტი, ამბის საინტერესოდ განვითარება, გასაგები ენით მიმზიდველი თხრობა, ყოფითი სურათები და გმირის შთაქმეკდავი სახე მძლავრი იდეურ-ემოციური ზეგავლენის შემცველია, რაც მკითხველს აღუძრავს პატრიოტულ სულისკვეთებას.

ამბავი იწყება ახალი წლის წინაღამით ოჯახის სამზადისისა და ბავშვთა არაჩვეულებრივი განწყობილების რეალისტური ხატვით. ამის შედეგად მკითხველი კარგად გრძნობს, რომ პოეტის ხედვა ბავშვთათვის ცნობიერი, ტიპური ყოფითი მოვლენების წრეში ტრიალებს.

ახალი წლის მოლოდინში ბავშვთა ამაღლებული განწყობილება საოჯახო ფუსფუსთან ბუნებრივადაა წარმოქმნილი. აქ არც ერთი შტრიხი არ არის ზედმეტი ან გაზვიადებულად წარმოდგენილი; აღტაცებისა და მხიარულების განცდები, რომელსაც იწვევს შინ მოტანილი „ხილხული და ტკბილეულობა“, გოზინაყისათვის ნუშისა და ნიგეზის რჩევა, უცეცხლო თაფლი, დედის ტყუილად ჭავრობა, ისე ცოცხლად დახატული, რომ ბავშვი თითქოს თითოეულ მათგანს ხედავს, ხელით ეხება და ასოციაციებით საკუთარ განცდებსა და განწყობილებას ექსოვება; საახალწლო განცდების გამო ბავშვთათვის იმ დღეს „აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა, აღარც თოვლში ხტომა და სირბილი“.

ბავშვობის ამ ტკბილი ამბის გახსენება სწრაფად გაიღვებებს და მას უპირისპირდება ცხოვრების ავბედითობით გამოწვეული ჭალარა აღმანიანის მძიმე განცდები, რის გამოც „ახალი წელი რომ მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე“—ამბობს ანბის მთხრობელი.

მართალია, ის ჭალარაა, მაგრამ ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილება ისე ძლიერადაა ჩაბეჭდილი გონებაში და გულთან შეზრდილი, რომ მაინც, ყოველ ახალ წელს, ახალი სიძლიერით თვალწინ წარმოუდგება თავისის ბავშვობა, რითაც გული კვნესის „რალაც სხვანაირ ტკივილისა, რალაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ აღმანიან სასრჩობელაზედაც არ გასცვლის ხოლმე“.

საახალწლო მოთხრობის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად იზრდება, ნაწარმოების შექმნის ძირითადი მიზანდასახულობისადმი ბავშვთა ყურადღების გამახვილებისათვის, მწერლის მიერ მოთხრობის დასაწყისიდანვე ჩვეული გარემოს, ხალხში დამკვიდრებულ საახალწლო სამზადისის ცოცხალ ფერადოვან ფონად გამოყენებასთან დაკავშირებით.

მოთხრობის ამგვარად დაწყება მტკიცედ ექვემდებარება საბავშვო ნაწარმოების შესაქმნელად ფუძემდებელ პედაგოგიკურ პრინციპს—ნაცნობიდან უცნობისაკენ, ახლობლიდან შორეულისაკენ.

მოთხრობაში დამაჯერებლადაა გადმოცემული ბავშვის გატაცებული ცნობისმოყვარეობა ფანტასტიკურისადმი, მაგრამ ბავშვებში პატრიოტული გრძნობის აღზრდის მიზნით, მწერალი ზღაპრის მოყოლას არჩევს, რათა მძაფრი დაინტერესება გამოიწვიოს შორეული წარსულიდან ეროვნული გმირის სახის გაცოცხლებით. ეს ის გმირია, რომლის შესახებ მას თვითონ ბავშვობის დროს მოუსმენია, მასში მგზნებარე პატრიოტული გრძნობა აღუძრავს და ბავშვობაში მიღებული მძლავრი შთაბეჭდილება თან გაჰყოლია სიცოცხლის მთელ მანძილზე, გაუხდია იგი ცხოვრების თანამგზავრად.

ჭალარა მოხუცი დიდი შთაგონებით უყვება ბავშვებს იმავე ამბავს, თითქოს მწერალი ამ კონკრეტული მაგალითით უთუოდ გვევლინება ეროვნული გმირის მოქმედებით გამოწვეული მაღალი გრძნობის თაობიდან თაობაზე გადაცემის მიმნიშნებლად და მოქმედებლადაც.

სწორედ ამ მიზნით მწერალი, სანამ წარსულიდან გმირის სახეს ვეჩვენებდეს, მოთხრობაში გვამცნობს მამის სიტყვებით შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტს: „მე აღრევაც მიაბნნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ექტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ ხან აქედან, ხან იქიდან მოგვესეოდნენ ხოლმე. ჩვენც რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვექონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით. ყველას უყვარს შეილები, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმ-

ტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გათქვა თავისი ვაჟაკობითა და ქვეყნისათვის თავდადებით. აი, ერთი ამისთანა ვაჟაკის ამბავს ვეტყვით და კარგად დაიხსომეთ“.

და, მართლაც, მეტად დამამახსოვრებლადაა მოთხრობილი ყიზილ-ბავშვებთან ბრძოლაში ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის გმირობა. მეტად ლაკონურად, სადად, დინამიკურადაა ნათქვამი ქართველ მებრძოლთა კრიტიკულ სიტუაციაზე, გმირზე, რაც ბავშვთა საერთო აღტაცებაში, ახალი წლის მოლოდინით გამოწვეულ მხიარულ მიზანსწრაფვას შეერწყმის პატრიოტული გრძნობის ამამაღლებელი გრძნობით და თავდადებული გმირის ქცევის მოწონებას, ბუნებრივად უკავშირდება ადამიანის უმაღლესი გრძნობის აღზრდა-განმტკიცება.

\* \*

პატრიოტული გრძნობის დიდი ძალის შემცველი უკვდავი მხატვრული სახე შექმნა იაკობ გოგებაშვილმა მარადუკნობ მოთხრობაში „იანანამ რა ჰქმნა“, რომელიც მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებების გამო დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილთა შორისაც.

მოთხრობის დასაწყისში მწერალი მკითხველისათვის ცნობიერს ხდის მოქმედების გეოგრაფიულ არეს; ამ კუთხეს თავისებურებათა მიხედვით შერქმეული აქვს ნიშნეული სახელწოდებაც „სამშობლო ღეინისა“.

მწერლის პოეტური ხედვა მკითხველს ნათლად წარმოუხსნავს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს, რომელიც თბილისის აღმოსავლეთით, ცივის მთის იქით მდებარეობს, სადაც გაღაქიმულია ვეებერთელა ვაკე-კახეთის ველი. ამ ველს მდინარე ალაზანი ორ ნაწილად ყოფს: გაღმა მხარეს საზღვრად უძევს დიდი და მაღალი მთები. ეს მთები კახეთს დაღესტნისაგან ყოფს. გარემოს დინჯი აღწერით მკითხველი თავიდანვე თითქოს სხვათაშორის ეცნობა დაღესტანს, რომელიც შემდეგში ამბის განვითარების უმთავრესი ფონი ხდება.

მწერალს გარემოს აღწერის გზით მკითხველი თანდათან გადაყავს წარსულში; ძველ დროში იქ, სადაც ახლა ქვეითკარის ნაშთებია ჩანს, „ჰყვავოდა კარგა მოზრდილი სოფლები, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. აქვე ეცნობა მკითხველი თავად ზურაბ ქართველადის მდიდარ ოჯახს, ზურაბის მეუღლეს — მაგდანას, რომელიც „იყო სწორედ ოქროს გულის პატრონი... უხვად უგზავნიდა თავის სახლიდან სანოვაგეს ყოველს ავადმყოფსა, ღარიბსა და გაჭირვებულს“.

ავტორი საგანგებოდ ხაზს უსვამს მაგდანას მშვენიერ ხმას, მის მო-

მაჯადოებელ სიმღერას: „მაგდანას ჰქონდა საოცარი ხმა და განთქმული იყო მთელს იმ მხარეში თავისი მშვენიერი სიმღერით. მისი ხმა და სიმღერა ისე ღრმად მიდიოდა კაცის გულში, ისეთი სიამოვნების ქრუანტელს დაასხამდა, რომ ვინც კი მას მოისმენდა, თავის სიცოცხლეში აღარ დაავიწყდებოდა“.

მწერალი სხვა გარემოებასაც თავიდანვე საგანგებოდ გამოყოფს: „ზურაბმაც მშვენიერად იცოდა თარზე დაკვრა, როცა ქმარი უყრავდა თარზე და ცოლი დამღეროდა, ყური ამაზე უკეთესს ვერას გაიგონებდა“.

ამ მომხიბვლელობას ავსებს სამი წლის ქეთო, მათი ერთადერთი ქალიშვილი, რომელსაც „უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირადაც ამღერებდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით“.

ამგვარად, მწერალმა მოთხრობის დასაწყისშივე კონკრეტული გეოგრაფიული გარემო წარმოუსახა მკითხველს კახეთის ველის სახით, „რომელსაც ჰვარავს მთელი მწვანე ზღვა ვენახებისა და ზვრებისა, ძვალწინ გადაუშალა ვაშლოვანის სანახები და თავად ზურაბ ქართველადის გულთბილი, კაცთმოყვარე ოჯახის ცოლქმრის მშვენიერი სიმღერით, ამ სიმღერის გულისყურით მიპყრობილი სამი წლის ქეთოთი, რომელთა მშვიდი და სიმღერით მოღულუნე ტბილი ღლები, სიმბოლიურად მათი ბედნიერების მიმნიშნებელიც იყო.“

ყოველივე ამას შემდეგში შეერწყმის საპირისპირო განწყობილება; პირველ რიგში, რამდენიმე სიტყვით მოცემულია საქართველოსა და დაღესტნის ისტორიული წარსული: „ძველის დროიდან დაღესტანის და საქართველოს შორის ტბილი განწყობილება არსებობდა, — დიდი მეგობრობა სუფევდა, ყოველის საქართველოს მტერს დაღესტანი მტრობას უწევდა, ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა, არავის არ ახსოვდა, რომ ლეკები როდისმე საქართველოს დასცემოდნენ და ჩხუბი აეტეხათ ქართველებისათვის“ და ამის შედეგად მათ შორის მტრული განწყობილება განვითარებულიყო.

ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ის შეგნება, რომელსაც იაკობი ეპიური სიღინჯით აღწევს: „ლეკები მტრები გაუხდნენ ქართველებს შემდეგში, როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლმადიდებლის რუსეთისკენ გაიწია“. მაშასადამე, სარწმუნოებამ ამ ორი ძეგობრულად მცხოვრებ ხალხთა შორის მტრობის ამოუქსები უფსკრული გააჩინა.

ერთი მხრივ, მტრობა, რომელიც ამ მეზობელ ერთა შორის შეიქმნა და, მეორე მხრივ, ამ მდგომარეობით ისარგებლეს ვაჭართა წრის წარმომადგენლებმა, რომელთათვისაც სხვა ინტერესი არ არსებობდა, გამდიდრების ეგოისტურა სულისკვეთების გარდა, მათში ადამიან-

ნური გრძნობანი ჩაკლული იყო, რაც ზურაბ ქართველადის ოჯახის დიდი უბედურების მიზეზი გახდა. სწორედ ამ ნათქვამებმა, რომელთაც ასულდგმულებდათ იოლად გამდიდრების ავი ზრახვები, ქეთო გაიტაცეს და დაღესტანს წაიყვანეს.

ამგვარად, მოთხრობის ამ ნაწილში მინიშნებულია, რომ ხალხთა გადაქმნებისა და პირადი უბედურების მიზეზი ორი გარემოებაა: 1. სარწმუნოება, რელიგიური შრწამსი და 2. ვაჭართა გაიძვერული, ვერაგული ბუნება.

ამ გარემოებათა შედეგად მშობლიურ კუთხეს მოშორებული ქეთო, რომელიც ლეკებისაგან მდიდარმა ნაიბმა შეისყიდა და იშვილა, ახალ გარემოში მოექცევა: „დედობრივმა აღერსმა მალე მოასთღიერა მიბნედილი ბავშვი. მას თუმცა ყველაფერი ეუცხოვა, მაგრამ, იმოდენა წვალების შემდეგ ბრყვის ლეკების ხელში, ნაიბის ცოლის მისაყვარლება და ზრუნვა სწორედ შეებად ეჩვენა. პირველ ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზე გულცივად იყო და ხშირად სტიროდა. თავის დედ-მამას, სხვა შინაურებს და თავის სიყვარულით, მოფერებითა და აღერსით ექცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დაავიწყებინეს ეს წინანდელი ყველაფერი“.

მაგრამ გარემომ თავისი ძალა მაინც მოახდინა: „ორი-სამი წლის შემდეგ ქეთოს თავის ნამდილ მშობლად მიაჩნდა ნაიბი და მისი ცოლი: იმათით ცოცხლობდა, იმათით ჰხარობდა... ქეთო დიდხანს ჰგრძნობდა მხოლოდ ერთს დანაკლისს; მაგდანის მშვენიერი ხმა, დამატკბობელი სიმღერა ქეთოს ყურს აღარ ასიამოვნებდა. ნაგრამ ესეც დაივიწყა, თუმცა ყველაზე გვიან“.

მწერალი მოხერხებულად იყენებს ბავშვის (განსაკუთრებით, ამ შემთხვევაში, უპიტროსი ასაკის) ფსიქოლოგიურ ბუნებას, მისი ცნობისმოყვარეობის უნარის, გარკვეული ვითარებით მაინც. ერთგვარად შეზღუდულობას და ქეთოს მოქმედებას მას უქვემდებარებს: „ბავშვი აწმდგომით სცხოვრობს, ის შეუწყვეტილყ ყოველდღე იზრდება, სულითა და ხორციტ წინ მიდის, მატულობს, გრძნობს ამ თავის ზრდას, წინსვლას და ბუნებასა და ადამიანს. რადგან ბედნიერია აწმდგომით, ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზე. ამის გამოწარსულის ნაშთი — სოვნა, მოგონება, მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და, თითქო სრულიად იშლება, აწმდგომი კი სრული ძალიტ მოქმედებს მასზე და იჭერს წარსულის ადგილს მთლად, განუყოფლად“.

ამ დებულების მხატვრულსა და ფსიქოლოგიურ დასაბუთებას ჩვენ ვხედავთ, როგორც ქეთოს ნაიბთან ცხოვრების პერიოდში, ისე დედ-მამასთან დაბრუნების შემდეგაც.

ბავშვის სულის მესაიდუმლე დიდმა პედაგოგმა და საბავშვო მწერალმა დიდი დამაჯერებლობით გამოიყენა ყველა დეტალი „იმ ვარაუდით, რომ ბუნებრივი და გასაგები გახდეს, როგორც ბავშვობის მოგონებათა სრული დაკარგვის, ისე მათი კვლავ დაბრუნების რეალური შესაძლებლობაც... ავტორი აქ ზუსტად მოაზროვნე ფსიქოლოგია: ე. ი. სწორედ ისეთ ასაკში, როცა ბავშვი ინტენსიური ზრდისა და განვითარების პერიოდშია, როცა მისი წარმოდგენათა მარაგი და ლექსიკონი დღით-დღე მდიდრდება, როცა იგი გარემოში არსებულის შესახებ განუწყვეტლივ „შეკითხვებს“ იძლევა, როცა მართლაც წინამდგომით ცხოვრობს, სულდგმულობს და მთლიანად გარემოს შეილია, როცა მას ჯერ კიდევ არაფერი აქვს თავისი და ამ გარემოსთანაც მხოლოდ ქვრეტის დამოკიდებულებაშია. მართალია, მას ამ დროს მოგონებებიც უჩნდება, მაგრამ ჯერ კიდევ საგრძნობლად მცირე ლატენტური პერიოდით და ამასთანავე მხოლოდ ისეთი მოგონებები, რომლებშიც ჯერ კიდევ ვერ არის საცხებით გაცნობიერებული საკუთარი პიროვნების ან „მე“-ს ისტორია“<sup>1</sup>.

ამასთან მეტად საინტერესოა მწერლის ჩანაფიქრის უმნიშვნელოვანესი ხასიათი, რომელიც დროის ფაქტორის მიმართებაში სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს; ათი წელი, ეს დროის ის დიდი ფაქტორი იყო, რომელმაც პატარა ბავშვის მეხსიერებაში წაშალა ყოველივე, რაც კი მშობლიურ ქვეყანასთან ცნობიერად აკავშირებდა და მისი ადგილი თითქოს მკვიდრად დაიკავა „აწმდგომმა ცხოვრებამ“.

მაგრამ მწერლის ჩანაფიქრი, ცხოველმყოფელი მიზანი სულ სხვა იყო; მას სურდა იმის ცოცხლად ჩვენება, რომელიც მარადიული ცხოველმყოფელობით ხასიათდება და ახლაც ამ მძიმე სულიერს ვითარებაში, რასაკვირველია, ბუნებრიობაში უნდა გამოჩენილიყო კიდევ უფრო შთაბეჭებითად, კიდევ უფრო ძლიერად, რაც პატრიოტული აღზრდის მძლავრ საშუალებად გამოდგებოდა „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის საქმეში. ეს ყოველივე დაუფიქვარი სურათებითაა მოცემული, როცა ზურაბი დაღესტნიდან მოიტაცებს თავის შვილს და შინ მოიყვანს.

ათი წლის განმავლობაში ნაიბის მამობრივ მზრუნველობას უკვალოდ როდი ჩაუვლია; ფსიქოლოგიურად სრულიად გამართლებულ სულიერ ვითარებას გვიხატავს მწერალი შეუფარავად, აქ ყოველი დეტალი, ყოველი მომენტი მშობლიურ გარემოსთან ქეთოს ახალი კონტაქტის ყოველი შტრიხი რეალისტის მკაცრი სიზუსტის არეშია მოქცეული, მაგრამ „ყმაწვილი ქალი დედ-მამას ხელიდან ეცლებოდა,

<sup>1</sup> ზ. ხოჯავა. ფსიქოლოგიური სისწორე მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“, ი. გოგებაშვილი. საიუბ. კრ. 1940, გვ. 114.

უვადშყოფოდ ქენებოდა, დნებოდა და სიკვდილამდე პატარა მანძილი-  
ლა ედო“.

გარემოსა და დროის ფაქტორის ძალას მოთხრობაში მეორედ იყე-  
ნებს ავტორი ამბის ბუნებრივი განვითარების საფუძვლად; აყვავებუ-  
ლი მშობლიური მიდამო, გამშვენიერებული ბუნება, სიყვარულით გამ-  
თბარი ირგვლივ მყოფნი, ყოველივე, რაც მასთან წინმდგომი იყო  
თვალსაზრისწინადად, ხელშესახებდად, ყოველივე ეს კვლავაც ახდენდნენ ქე-  
თოს სულიერ განწყობილებაზე სათანადო ზეგავლენას. „ბუნება შე-  
უდარებელი მკურნალია კაცის ვარამისა და დარდისა. შვება მისცა  
მან ქეთოს ნაღვლიან გულსაც, და სახეზე მას აშკარად დაეტყო შემ-  
ცილება იმ საშინელის მწუხარებისა, რომელიც აქამდის მაჭლავუნა-  
სავით აწვა მის გულსა და გონებას და ნებას არ აძლევდა გარემო-  
ცულ ცხოვრებაზე დაფიქრებულობით. ამასთან, ქეთომ პირველად და-  
იწყა ფიქრი იმაზე, რისთვის და რად მიჩვენებენ ამ სიყვარულს უცხო  
ადამიანები და რადა სწუხან ჩემს მწუხარებაზეო“.

ამ განწყობილებას ბუნებრივად უკავშირდება ქეთოს დედის პირ-  
ველი ამღერება თავისთვის ღიღინის სახით დაწყებული: „ეს პირ-  
ველი სიმღერა იყო ათის წლის ღუმლის შემდეგ“.

დედის სიმღერამ ბუნებრივად აღძრა მოგონებები, რის გამოც ქე-  
თოს „ბუნების სიღრმეში დღი ხნის დამარხული ხსოვნა აღვიძებდა,  
მაგრამ ვერც-კი გამოედევდა, გონების ძირიდან რაღაც სანატრელი მო-  
გონება აპირებდა ამოხეთქვას, მაგრამ ზევიდან კეც-კეცად აწვენენ სხვა  
წარმოდგენანი და უშლიდნენ მალა ამოსვლასა“.

მწერალი ღრმად სწვდება ქეთოს სულიერ სამყაროს, ძლიერი მხატ-  
ვრული საღებავებით გადმოგვცემს მის განცდებს, მშობლიური ხმის  
ძალასა და შთაგონების სიძლიერეს; მშობლიური ხმის მშვენიერებამ  
და ძალამ მთლიანად დაიპყრო ქეთოს არსება—შვება და სიხარული,  
სიყვარული და მშობლებისადმი განუსაზღვრელი გატაცების, მისი  
ტკბობის უძლიერესი გრძნობა უკვე ცხადი შეიქნა; ქეთო „გაუმაძღ-  
რად ეწაფებოდა დედის სიმღერას და მაგდანას მოსვენებას არ აძ-  
ლევდა. ერთ ხმას რომ გაათავებდა მაგდანი, ახლა მეორეს ათქმევინებ-  
და, მერე მესამეს, მეოთხეს, ხშირად მაგდანა ეტყოდა ხოლმე:—გე-  
ნაცვა, შვილო, ცოტა დამასვენე, თორემ არაქათი აღარ მაქვსო. მაგ-  
რამ ქეთომ უებარი წამალი იცოდა ამ დაღლილობისა: მხურვალე ხევე-  
ნა და კოცნა დედისა. ქეთო თანა სტკბებოდა დედის მშვენიერი სიმ-  
ღერით და თან თვითონაც სწავლობდა სიმღერას“.

მაგდანას მხიარულება, სიმღერა და უსაზღვრო აღფრთოვანება  
სიმბოლურად გამოხატავს არა მარტო მშობლიური კერის ბედნიერე-  
ბას, სიხარულსა და აღტაცებას შვილის—ქეთოს ოჯახში დაბრუნების,  
კარგად ყოფნის გამო, არამედ ამასთან ერთად. ქეთოს სახით ამ გრძნო-

ბას შეერთების მშობლიური ოჯახის მომავლის, იმედიანობის ამდლებული გრძნობაც; ოჯახი ბედნიერია არა მარტო იმიტო, რომ მას ბედნიერი დღე გაუთენდა, არამედ იმიტაც, რომ ხვალინდელი დღის ბედნიერებას დღეს მტკიცედ ეყრება საფუძველი. ეს იგრძნობა ზურაბისა და მაგდანას სულიერ ცხოვრებაში, ერთი მხრივ, და ქეთოს განცდებში, მეორე მხრივ; აქ თითქოს მამათა და შვილთა ურთიერთობის პრობლემატაა გადაწყვეტილი: მშობლიური სიყვარული, მშობელთა საუკეთესო თვისებათა მომავალ თაობაში გაგრძელება-განვითარება, რომელსაც ხალხი, მშობლიური კუთხეც სიყვარულით ეხმაურება.

ის ფაქტი, რომ „ყოველი ვაშლოვანელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი გახარებული იყო ქეთოს გონზე მოსვლით, მოდიოდნენ და ულოცავდნენ მაგდანასა და მის ქმარს და შეჰხაროდნენ ქეთოსა“ ბევრი რამის მიმნიშნებელია სწორედ ზემოთქმულის თვალსაზრისით.

„ქეთოს გონს მოსვლა“ მკითხველს შთააგონებს იმ უმტკიცეს თვისებაზე, რომელიც კუთვნილი უნდა იყოს ჭეშმარიტი პატრიოტისათვის: მშობლიური ქვეყნისადმი ერთგულება არის ადამიანისადმი უმაღლესი და უწმინდესი გრძნობა, მშობლიურისადმი სიყვარული ამავე დროს მშობლიური ქვეყნისადმი, მშობლიური ხალხისადმი სიყვარულია, რომელიც მარადიული სიყვარულის გრძნობასთან სასიცოცხლოდაა დაკავშირებული. „გონს მოსულმა ქეთომ ეს უკვდავი გრძნობა საჭევეწოდ გამოამჟღავნა და ამ გრძნობამ დააწყებინა მას ახალი ცხოვრება“. ქეთოს ხასიათში საბოლოოდ გამოჩნდა მშობლიური ქვეყნისადმი, მშობლიური გრძნობისადმი ჭეშმარიტი მარადიულობა, ამ გრძნობას ვერ შეეცლის (და არ უნდა შეეცვლოს) „სტვა ქვეყნის შვილთა“ დამოკიდებულება, როგორი „ტკბილიც არ უნდა იყოს იგი“. არაფერმა უცხომ არ უნდა წაგართვას გონი.

ამ ჭეშმარიტი პატრიოტული გრძნობის გარდა, რომელსაც მწერალი თავისი უკვდავი მოთხრობით უნერგავდა ახალ თაობას, მეორე უმნიშვნელოვანეს მაღალ გრძნობასაც უღვივებდა—ეს არის ხალხთა შორის ძმობისა და ჰუმანიზმის, ხალხთა შორის სოლიდარობის გრძნობის აუცილებლობა<sup>1</sup>, რომელიც მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების საფუძველი უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი სცილდება ეროვნულ შეზღუდულობას და დიდი საკაცობრიო მომავლის მაღალ იდეებს შეერთების; ზურაბისა და ნაიბის დამეგობრება იდეურად მწერალმა სწორად გაიაზრა. ამ შემთხვევაში მწერლის სუბიექტურ შეხედულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში, ახალი თაობის აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეში.

<sup>1</sup> მ. ზანდუკელი. „იაკობ გოგებაშვილი, როგორც მწერალი“, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1940, გვ. 107—108.



მწერალი აგრძნობინებდა მკითხველს, რომ ზურაბისა და ნაიბის დამეგობრება მხოლოდ დროებით არ იყო. ეს გრძნობა, ე. ი. ერთა სოლიდარობის ურთიერთმეგობრობისა და პატივისცემის გრძნობა, მათი მშვიდობიანი თანაარსებობის მუდმივი თანამგზავრი უნდა ყოფილიყო. ასეთია ამ საკითხის პერსპექტიული გადაწყვეტა მწერლის მიერ: „მაგდანამაც გულით შეიყვარა ნაიბის ცოლი და ამიტომ ყოველ შემოდგომაზე მათი რთველში მოწვევა წესად დასდეს. ეს წესი არ შეცვლილა მას უკან, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ქეთო გათხოვდა დედის სამშობლოში და ჯვარი დაიწერა ერთს ღირსეულ ქართველ ვაჟაკზე. ყოველს ენკენისთვეში ქართველადქს ქართლიდან ეწვეოდნენ ხოლმე ქალი და სიძე, დაღესტნიდან ნაიბი ცოლით და ამალით“.

ეს იმ გრძნობას კეშმარტი ზეიშია, რომელსაც განიცდიდა ქეთო და როგორც მოთხრობაშია აღნიშნული: „ქეთოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგანაც ერთად ხედავდა ოთხ ძვირფას თავისიანს, რომელნიც გულითა და სულით უყვარდა“. ეს კეშმარტიად ხალასი და უანგარო მეგობრობა თვით ავტორშიც კი იწვევს შესაბამის პათოსს. „არა გვგონია, რომ ვისმე თვეის სიცოცხლეში რთველი ისეთი სიამოვნებითა და ბედნიერებით ეტარებინოს, როგორც ატარებდა ქეთო“.

ამ შემთხვევაში მწერალმა წინა პლანზე წამოწია მოსიყვარულე გულის დიდი ღირსება, ამ უაღრესად მაღალი ადამიანური გრძნობის, როგორც უანგარობა ხალხთა შორის მშვიდობიანი, ხალისიანი ცხოვრების უმთავრესი პირობა: „ბრძენნი ამბობენ: საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე გულიაო. ძლიერი, წმინდა სიყვარული მოყვასისადმი, თვით მოსიყვარულესაც უტკბობს სიცოცხლესა და მოყვასსაცაო“. ქეთოს „ღრმა გრძნობანი გულისა ჯერ დედამის სიყვარულზე აღიზარდნენ და შემდეგ განცილმა მძიმე ამბებმა მისი „გული გახადა დაუშრობელი წყარო კაცთ მოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი“.

აქ ავტორი სრულიად ბუნებრივად, გასაგებად მიანიშნებს პატარა მკითხველს იმ მაღალ განზოგადებულ გრძნობაზე, რაც ადამიანურობის უზენაესი სიკეთის წყაროა და იგი მხოლოდ მშობლიურისადმი უანგარო სიყვარულში იღებს სათავეს; მშობლიურისადმი სიყვარულის შედეგად წარმოქმნილი ეს უზენაესი სიკეთის გულის გრძნობანი მოყვასისადმი სიყვარულის გზით კაცთმოყვარეობის უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი გრძნობის განმტკიცებისაკენ მიემართება.

ამის შედეგად ქეთოს „ყოველთვის და ყოველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის“.

მოთხრობაში ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტსაც უნდა გაესვას ხაზი, — ჰუმბარტი პატრიოტული გრძნობა ხელს კი არ უშლის სხვა ხალხებისადმი მეგობრულ სიყვარულს, პირიქით, ამტკიცებს, აძლიერებს მათდამი პატივისცემას და ურთიერთნდობის ატმოსფეროს ქმნის. ეს კი აუცილებელი პირობაა ამქვეყნიური ცხოვრების სილამაზისა, სიხარულისა და მისგან გამოწვეული ალტაცებისა და ბედნიერების განცდისათვის.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ იაკობ გოგებაშვილის მიერ ასე ბრწყინვალედ დახატული ეს დიდი გრძნობა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იღებს სათავეს: „ქართლის ცხოვრებამ არ იცის ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული შუღლის ან რაიმე გაუგებრობის თითქმის არცერთი შემთხვევა, პირიქით, ფოდალურ ისტორიაგრაფიაში ძნელად თუ მოიძებნება ანალოგიური ძეგლი, რომელსაც სხვა ხალხთა მიმართ სოლიდარული განწყობილება მასზე უფრო ძლიერად ახასიათებდეს. უპირველეს ყოვლისა, ქართლის ცხოვრებაში თვალსაჩინოა მეგობრობა, რომელიც ქართველებს კავკასიის სხვა ხალხებთან ისტორიულად აკავშირებდა, არა ერთი ფაქტია აღბეჭდილი აქ კავკასიელ ხალხთა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურული თანამშრომლობისა მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ სიგრძეზე.“<sup>1</sup>

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მრავალერიანი კავკასიის ისტორიაში ცნობილია მოძმე ხალხების შეგობრობის საფუძველზე საშიში და ძლიერი მტრის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება, რაც იქვე დამოწმებულია გასაოცარი მხატვრული სახეებით: „იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტუერი ფერჯისა მათისა — ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა აბჯარისა მათისა — ვითარცა ელვა ცისა, ამა პირისა მათისა — ვითარცა ჯრხმა ქუხილისა, სიმრავლე ისართა და ტყორცნა ქვისა მათისა — ვითარცა სეტყუა ვშირი, და დათხვეა სისხლისა მათისა — ვითარცა ღვარი სეტყვათა“...

და აი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ეს ძლიერი გრძნობა იაკობ გოგებაშვილმა ახალ ვითარებაში კვლავ წარმოგვიდგინა მთელი თავისი სიდიადით მარადიული გრძნობის, — პატრიოტიზმის კეთილშობილურ თვისებებთან შესისხლხორცებულად.

მწერალი მკითხველს შთააგონებს, ხალხთა შორის ურთიერთნდობის უქონლობა, მტრობა თუ ვისთვის არის სარგებლის მომტანი, ამით ვინ ითბობს ხელს; ზუსტად აცნობიერებს, ამ მხრივ, ურყევ ჰუმბარტი-

<sup>1</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1959, გვ. 53.

ტებაში, კეშმარიტება კი, როგორც ლენინი გვასწავლის, იქმნება სინამდვილის მოვლენის ყველა მხარის მთლიანობით და მათს ურთიერთდამოკიდებულებაში<sup>1</sup>; ამ თვალსაზრისით მოთხრობაში ასახული სინამდვილის, სახეთა ურთიერთდამოკიდებულებისა და მოვლენების განვითარების ურთიერთკავშირში.

კარგადაა გამოკვეთილი ისინიც, „ფულის წურბელები, იოლად სიმდიდრის მძივებელი“, სხვის უბედურებაზე თავიანთი ბედნიერების შემქმნელი, რომლებიც შორს დგანან პატიოსნებისაგან, სიკეთისა და ადამიანურობისაგან. ამას მწერალი კარგად გადმოგვცემს დიალოგით, რომელიც მიმდინარეობს მოვაჭრე ორ ჩაჭკუნა ლექს შორის. სწორედ ეს ხორცმეტები სარგებლობენ საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობით, რასაც ისინი პირადი გამორჩენის მიზნით იყენებენ:

„ერთხელ ერთმა ამ ლექთაგანმა თავის ამხანაგს უთხრა:

— იცი, რა აზრი მომივიდა! რამდენი ხანია, რაც ჩვენ სავაჭროდ დავიარებით, მაგრამ რა გამოვიდა? ისევე ისეთივე ძალღური ცსოვრება გვაქვს, როგორიც გვექონდა. სხვაფრივ კი რომ მოვიქცეთ, ერთბაშად გავმდიდრდებით და მოვრჩებით ამდენ ვაივავლასსა და ლაწლასსა.

— როგორ? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ზურაბ ქართველადე ხომ ძლიერ მდიდარია? — ჰკითხა მან.

— ჰო, მდიდარია, მაგრამ რას გვარგებს ჩვენ იმის სიმდიდრე? — უპასუხა იმან.

— გვარგებს, თუ ჰკუთით მოვიქცევით. ამ მდიდარ კაცს ხომ ვაგივებით უყვარს თავისი ერთადერთი ქალი?

— უყვარს, მაგრამ რა გამოვიდა მანდედან?

— ის გამოვიდა, რომ თუ ჩვენ იმ ბავშვს როგორჩე მოვიტაცებთ და ტყვედ წაიყვანთ დაღესტანში, როგორ გგონია, ქართველადე განა თავის შეძლებას დაიშურებს, რომ ტყვეობიდან დაიხსნას შეილი? ჰაი, ჰაი, რომ არ დაიშურებს.

ამხანაგსაც მოეწონა ეს აზრი და გადასწყვიტეს, რომ თვალი ადევნონ და რა წამს იგდონ ხელში მოხერხებული დრო, მოსტაცონ ჩუბად ქართველადეს ქეთო და ტყვედ წაიყვანონ დაღესტანში<sup>2</sup>.

აქედან აშკარად ჩანს ორი რამ: 1. ხალხთა შორის შუღლის გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით; 2. ამისათვის მათ ადამიანის სიცოცხლე არაფრად მიაჩნიათ (გამდელის „ლეკმა თავში კეტი დაარტყა და უსულდგმულოდ დასცა მიწაზე) და მტრულად განწყობილ ხალხთა შორის მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებენ.

ამ ბოროტებას უპირისპირდება სიკეთის გრძნობა, ხალხთა შორის მეგობრობის დიადი გრძნობა და ეს დაკავშირებულია ქეთოს სახელ-

<sup>1</sup> В. И. Ленин. Философские тетради. М., 1947. стр. 169.

თან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ გრძნობის გამარჯვების საქმე ახალ თაობაზეა მინდობილი; სწორედ ახალ თაობას ეკისრება, ისტორიულად მომდინარე ეს ბოროტება შეცვალოს ახალი განწყობილებით, ახალი მეგობრული ურთიერთობით, ურთიერთდღობითა და პატივისცემით. ქეთოს „თავისიანად მიაჩნდა ქართველებიც და ლეკებიც. საქართველოც და დაღესტანიც, და რადგან სიყვარული შობს სიყვარულსა, ამიტომ ქართველები და ლეკები, თითქოს ეჭიბრებოდნენ ერთმანეთსა, ვინ უფრო მეტს პატივისცემას, მეტს ხათრსა და მეტს სიყვარულს უჩვენებდა ქეთოს... ყველას შეჰხაროდა და ყველას უყვარდა ქეთო, რომელიც ერთსა და იმავე დროს სტკებოდა თავისი სიყვარულით მოყვასისადმი და მოყვასთა სიყვარულით თავისადმი. უკეთესი ბედნიერება განა იქნება ამ ქვეყანაზე?“

ამგვარად, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“ მარადუქვნობი პატრიოტიზმის ცხოველყოფელი გრძნობა გამოჩნდა შთელი თავისი სიდიადით; ჭერ კიდევ გასულ საუკუნეში, როდესაც ქართველი ხალხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდა ამ დიდ საზოგადოებრივ მოძრაობაში საუკეთესოდ ჩანს ხალხთა შორის მეგობრობის აუცილებლობა, მისი კეთილყოფელი ძალა: მან დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა, „რომ ქართველებსა და შეზობელ ერთა შორის უნდა იყოს კეთილ-მეზობლური განწყობილება“<sup>1</sup>. პირველად ი. გოგებაშვილმა ჩამოხადა ნიღაბი ბოროტ ძალებს (ვაჭრების სახით), რომლებიც არსებობენ, მდიდრდებიან, სარგებლობას ელიან ხალხთა შორის შუღლის, მტრობის გაჩაღებით. ყოველივე ამით ცხოველყოფლად ეხმაურება მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“ დღევანდელობას, ხალხთა შორის სოლიდარობის იდეის გამარჯვებას.

\* \* \*

პატრიოტული გრძნობის აღზრდის ამოცანებს დიდი მხატვრული ღირსებებით შთამაგონებელი სახეებით პასუხობს აკაკის საბავშვო მოთხრობა „პატარა ტარიელი“.

პოეტის კეთილშობილური ჩანაფიქრი პატარა დიტო ცალქალამანიძის ბავშვური ქცევისა, მისი სულიერი განწყობილების იშვიათი ზომიერებით, დიდი ემოციური ძალით წარმოსახვაში თავიდანვე იმგვარად ვითარდება, რომ ახალგაზრდა მკითხველში გასაოცარ დაიტერესებას იწვევს.

ეს ინტერესი ამბის ფართო პლანში ისეა განვითარებული, პოეტის ჩანაფიქრის უკეთ გამოხატვისათვის ყოველივე წვრილმანი ნაწარმო-

<sup>1</sup> მ. ზანდუკელი. „ი. გოგებაშვილი, როგორც მწერალი“ (იხ. ი. გოგებაშვილის საიუბილეო კრებული, თბილისი, 1940, გვ. 108).

ებში ისე ზომიერადაა გამოყენებული და ისე ბუნებრივადაა ჩაქსოვილი ამბის ეპიურ თხრობაში, რომ პოეტის მთავარი მიზანი არ შეიძლება მკითხველმა ისე არ შეიგრძნოს, როგორც ეს ნაწარმოების შექმნის პროცესში თვითონ მას ჰქონდა წარმოდგენილი.

ეს, უპირველეს ყოვლისა, მიეწერება მოთხრობის მაღალ მხატვრულობას. მხატვრულობა კი არის საშუალება,—როგორც ამას დოსტოევსკი აღნიშნავს,— რითაც ისე ცხადად გამოთქვამს მწერალი მხატვრული ნაწარმოების მოქმედ პირებსა და სახეებში თავის აზრს, თავის შეხედულებებს, მიზანსწრაფვას, რომ მკითხველი წაიკითხავს რა ნაწარმოებს, მწერლის აზრს ისე გაიგებს, როგორც ეს ესმოდა მწერალს, როდესაც ქმნიდა იგი თავის ნაწარმოებს<sup>1</sup>.

ეს უდიდესი სიმართლე, პირველ რიგში, დამახასიათებელი უნდა იყოს ყოველი მაღალ-იდუური მხატვრული საბავშვო ნაწარმოებისათვის, იმიტომ რომ ბავშვის გონებრივი განვითარება მოითხოვს მათთვის მისაწვდომ ფორმებში სადად, გასაგებად იყოს წარმოდგენილი ყოველივე ის, რაც საბავშვო მწერალს განუზრახავს; ნაწარმოების დედააზრი, მაღალი მორალისა და პროგრესულ შეხედულებათა ცნობიერად შესაცნობად მწერალმა ოსტატურად უნდა შეაჩიოს სიტყვები, ფერები, სახეები ბავშვთათვის ნაცნობი ყოფითი გარემოდან, რითაც შესაძლებელი ხდება ბავშვმა კონკრეტულად წარმოადგინოს, განიცადოს და ამის შედეგად სათანადო გრძნობებიც განუვითარდეს.

ამის მიღწევა კი საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ურთულესი და უპირველესი ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრა მხოლოდ რჩეულთ შეუძლიათ. სწორედ ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს ქართულ სიტყვაკაზმულ საბავშვო პროზაში აკაკის ეს მოთხრობა წაროდგენს.

თავიდანვე მკითხველს წარმოუდგება პატარა დიტო თავისი ახლო წარსულით, საუკეთესო თვისებების მქონე ბავშვად, რომელსაც მეოთხე კლასიდან „გუნება შეეცვალა, სწავლაზე გული აიყარა, ახირებულობას მისცა თავი და აღრინდელი დიტოსი ნიშანწყალიც აღარ შერჩენია, თითქოს თვალი ჰკრეს და გადალესო—აღერლილი დადიოდა!..“

ამგვარად, თავიდანვე პატარა მკითხველის დაინტერესების საგნად იქცევა დიტოს ქცევაში გამოწვეული ცვლილება, რაც გაოცებით წარმოუდგება წამკითხველს—რა მოხდა, რამ გამოიწვია დიტოში ასეთი ცვლილება? აი, ის კითხვა, რომელიც ქმნის დაინტერესებას პატარა გამირისაღში.

ამ დაინტერესების, ცნობისმოყვარეობის მძაფრი სურვილი ბავ-

<sup>1</sup> Русские писатели о литературе, т. II, М., 1939, стр. 183.

შეში, რასაკვირველია, წინასწარ განუზღვრეტლად, სრულიად ბუნებრივად მიემართება იმ კეთილშობილური გრძნობის აღზრდისაკენ, რომელიც შემოქმედის უპირველესი ამოცანაა. იგი თავიდანვე გაშიშვლებულად კი არ ეძლევა ბავშვს, არამედ ნაწარმოების ბოლოს, პატარა გმირის ხასიათის ლოგიკური განვითარების შედეგად ხდება ცნობილი.

ასეთ დასკვნამდე პატარა მკითხველი ძალდაუტანებლად თვითონვე მიდის და ეს არის ნაწარმოების ღირსებაც. მაგრამ ამ დასკვნის გამოტანამდე ბავშვის გრძნობა და გონება კონკრეტულ სახეთა შორის ტრიალებს; ყველა დეტალი, ყველა ყოფითი სურათი გამოკვეთილად პოეტმა იმ მიზნით მოიყვანა, რომ მხატვრულ სახეს მეტი სიცხადე შემატოს, გასაგები გახადოს ის უმთავრესი, ის იდეური მიმართება, რომელიც პატრიოტული გრძნობის, „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდასთანაა დაკავშირებული.

აი, ეს ახალი საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ ახალ სიტუაციაში ახალი თაობის აღზრდის უპირველესი ვალი, ის, რასაც ქართველი ერის ჰომეოსი მისგან მოითხოვდა, ნაწარმოებში დიდი შთაგონებითაა გაცოცხლებული.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ეპოქა, ახალი ცხოვრება მოითხოვდა ახალი თვისებებით, ახალი გრძნობითა და მიზანსწრაფვით ახალგაზრდობის სწორ გზაზე დაყენებას, რისთვისაც გმირობისა და მეგობრობის ის დიდი ძალა და სურვილი, რომელიც იტაცებდა მათ, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ინტერესების მიხედვით უნდა განვითარებულიყო, ამ ამოცანების განხორციელებას მოხმარებოდა.

ამ ისტორიული ამოცანებისა თუ ვალდებულებების ჩვენებას აქა-კი თავისი მოთხრობით აღწევს საბავშვო მწერლობაში მშრალი დიდაქტიკის, ზნეთსწავლების, რეზონირობის იმ პრინციპების საწინააღმდეგოდ, რომელიც XIX საუკუნის II ნახევრამდე იყო დამკვიდრებული საბავშვო მწერლობაში, რაც ამ მოთხრობაში და, საერთოდ, პოეტის საბავშვო ნაწარმოებებში მხატვრული რეალობის ცხოველყოფილი პრინციპების ოსტატურად გამოყენების გზითაა განხორციელებული.

მოთხრობის დასაწყისშივე ჩანს, ზნეკეთილი დიტოს ხასიათში მოხდა გარდატეხა არასასურველი მიმართულებით. უჩვეულო ახირება თანდათან უფრო ეტყობოდა. ამის მიზეზი მოთხრობაში ახსნილია. ეს სულმნათი შოთას „ვეფხისტყაოსანი“ გამოდგა, რომელიც დიტოს ხელში ჩავარდნილია, როცა მეოთხე კლასში ახლად გადასული ყოფილა. ორი დღის განმავლობაში გატაცებით წაუკითხავს და აქედან დიტოს დაინტერესებაც სათანადოდაა მოტივირებული (ნაწარმოების მომხიბვლელი შინაარსი და უფრო კი მისი ზღაპრული მხარე). რის შედეგად დიტოს „თავსა და გულში სულ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები

ტარიელი უტრიალებდნენ“... „ღმერთმა ნუ ჰქნას, თუ ერთ დროს მეც ტარიელი არ გავხდეთ“.

მაგრამ ეს დადებითი სურვილი ერთია, რომელიც ნაწარმოებმა აღძრა და მეორეა, გმირობის გააზრება, გმირობის თვისებების გამოძღვანება შეგნებულად და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისად გამოყენება.

პატარა დიტოს ჯერ მხოლოდ გმირობის სურვილი იტაცებს, ტარიელობა ხიბლავს და ამის განხორციელებას თავისებური გაგებით ცდილობს: „ერთი თვის შემდეგ თავი მართლა ტარიელად წარმოიდგინა“.

ემირობის გამოჩენისადმი მძაფრი სურვილი, რომელიც დღითიდღე დიტოსათვის შეიქმნა უმთავრეს საზრუნავად, აღვივებს მეორე კეთილშობილურ გრძნობასაც—მეგობრობისაკენ ლტოლვას, რაც აქ თითქოს ერთიმეორის გარეშე წარმოუდგენელია.

მაგრამ ამ გრძნობის განვითარება-განმტკიცება ბავშვობიდანვე ზრუნვის საქმედ უნდა გამხდარიყო, რათა ისეთი სასაცილო „გმირობით“ არ შეზღუდულიყო, რომელიც დიტოს მიერ ბავშვური გულუბრყვილობით ხდებოდა.

ერთი მხრივ, გმირობისადმი დიდ ტრფიალს, მეორე მხრივ, თავისთავში ღრმად, დამარწმუნებლად შთაგონებულ აზრს, რომ ის უკვე გმირია, პოეტი გვიჩვენებს როგორც წარმოდგენას და არა სინამდვილეს. ეს კი მკითხველში იწვევს დიტოს ქცევისადმი საწინააღმდეგო განწყობას. ეს განწყობილება გმირობის ნამდვილი ქცევისკენ მიმართავს მკითხველის გრძნობას; ემირობით გატაცებული დიტო მკითხველის წინაშე წარმოდგება სასაცილო მდგომარეობაში იმის შედეგად, რომ ეს შესანიშნავი მიზანსწრაფვა, მასში არასწორ განვითარებას პოულობს.

ამის შედეგიც მალე იჩენს თავს, რაც თავის მხრივ პატარა მკითხველს მიანიშნებს დიტოს შეცდომაზე. ეს ბუნებრივად იწვევს მკითხველში დიტოს შეცდომის საწინააღმდეგო აზრების შემუშავებას და საჭირო დასკვნების გამოტანას.

ორი პატარა გმირის სასაცილო ვითარება, რომელიც შეიქმნა სასაფლაოზე ბაყაყის ხმაზე, კიდევ უფრო აძლიერებს დიტოსა და თინას „გმირობის“ გაკიცხვის გრძნობას. მოთხრობაში ცოცხალ ფერებშია მოცემული ეს მომენტი, რაც საფუძველი გახდა, დიტოს აეწონდაეწონა თავისი საქციელი და იმ დასკვნამდე მისულიყო, რომ ეთქვა: „ჩემი თავი გმირთა-გმირი მეგონა, ტარიელობას ვჩემობდი და ნაცარქექია კი გამოვდექიო“.

მიზანშეუწონელ „გმირობას“ მოჰყვა სწავლაზე გულის აკრუება როგორც დიტოსაგან, ისე პატარა თინასაგანაც, რაც მასწავლებელში

სათანადო გულისწყრომას იწვევს; თინას მიერ სწავლაზე გულისაც-რუების მიზეზად დიტო ჩანს, რომელზედაც მასწავლებელი ქალი ეუბ-ნება ერისთავის ქალს „მეტად ხშირად მოდის თქვენსა, თამაშობენ, ცუქობენ და ველარ ასწრებენო“. თინას დედის სიტყვებში მინიშნე-ბულია პრივილეგირებული სოციალური წრის ქედმაღლობა: „ჩემი ბრალია, რათა მივეცი ნება, რომ ვიღაც ცალქალამანიძის შვილს ჩემ ქალთან ტოლ-ამხანაგობა დაეჭიროს!—დაიკრა მუხლებზე ხელი და ზრძანა დიტოს დათხოვნა“.

აკაკის—სოციალური უკუღმართობით გამოწვეულ შედეგს, რაც კნენინას ჯეკეითაა გამოხატული — ნაწარმოების ტექსტშივე შეპირის-პირებული აქვს სწორი ახსნა: „ჩვენში როგორც ერისთავის, ისე ცალ-ქალამანიძის ქალებიც ყველა ერთგვარად თინათინ-ნესტანად არიან გაჩენილი, მაგრამ დრო აუკუღმართებთ“...

„უკუღმართი დრო“, „მრუდე გზა“ აკაკის დამლუპველად მიაჩნია, „უგუნურობა და უმეცრობა“ ეს დიდი შეცდომაა... დღევანდელი უკ-უღმართი აღზრდის ბრალია“ და რა თქმა უნდა აუცილებელი „ვა-ლია, რომ დაუხვედეთ ხოლმე გზაში, შეაჩეროთ და სწორზე გადაახვე-ვინოთ“.

მოთხრობის პირველმა ნახევარმა ერთგვარად შეამზადა ახალ-გაზრდა მკითხველი იმ განწყობილებით, რომ ნამდვილი გმირობა სულ სხვაა, ვინემ დიტოს ჰგონია.

დიტოს ცდუნება, ვმირობის ტრფიალით გამოწვეული, სხვათა სი-ცილსა და აბუჩად აგდებას იწვევს, მას მხარის დამკვიერი არავენ ჰყავს, მაგრამ ის დიდი ლტოლვა გმირობისაკენ, მეგობრებისაკენ, რომელიც პატარა დიტოში რაღაც საოცარი ძალით ფეთქავს, საჭიროებს ხელ-მძღვანელობას, ხალხის სასარგებლო საქმეებისაკენ შეგნებულად წარ-მართვას.

თვით ის, ვისაც შეუძლია ახალი თაობის ეს დიდი ლტოლვა გმი-რობისაკენ საზოგადოების სასარგებლო საქმედ აქციოს, პირველ რიგ-ში, თვითონ უნდა იყოს ასეთი მაღალი იდეალებით აღჭურვილი.

სწორედ ეს აზრი კარგად გამოსტყვივის მოთხრობის მსვლელობი-დან; ყველა მასწავლებელი როდი იყო ამ მაღალი გრძნობით აღჭურ-ვილი. ისინი თითოთროლა თუ იყვნენ. მაგალითად, „სადაც დიტო სწავლობდა, იმ გიმნაზიაში ერთი ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი იყო, რომელიც სხვებს არ ჰგავდა. ის იმიტომ კი არ მსახურობდა, რომ ჭამაგირი აედო და უფროსების გული მოეგო, — თავის პირდაპირ მოვალეობად სთვლიდა, რომ ნორჩი მოწაფეების გულში კეთილი სურვილი აეძრა და ახალგაზრდუ სწორ გზაზე დაეყენებინა“ (ხაზის გასმა ჩემია, ა. ჩ.). მა-



შასადამე, თვით მასწავლებლის პატრიოტული ვალია, ახალგაზრდობას პატრიოტული სულისკვეთება განუმტკიცოს, მთელი მისი გატაცება, სულიერი ძალების მთელი შესაძლებლობა იქითკენ მიმართოს, რომ ამ მხრივ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მებრძოლი ტიპური გმირების საქმიანობას შეგნებულად მიბაძოს: „ის ახალგაზრდა, რომელსაც ტარიელი არ მოსწონს, არ ცდილობს, რომ მას მიჰბაძოს, ჩაღადაც არა ღირს და მისგან სახეიროც არა გამოვა-რაო“.

მწერლის შეხედულება გმირობასა და გმირის თვისებებზე მოთხრობაში მეტად საინტერესოადა მოცემული, რისთვისაც პოეტი იყენებს დიალოგს, სადაც ახსნით ხასიათის ფრაზებს კატეგორიული ტონიც შეფერილად თან ერთვის. ეს აზრთა მსვლელობას, დასკვნებსა და განზოგადებას მეტ დამაჭერებლობას ჰმატებს.

დიალოგში კარგად ჩანს აგრეთვე აღმზრდელის მოალერსე, გულთბილი ტონი და ბავშვისადმი უაღრესად ფაქიზი სიყვარული, რომელიც შთაგონებისათვის ერთერთი საშუალებაა. და, მართლაც მხოლოდ ასეთი განწყობილება უქმნის ბავშვს მძლავრ ემოციებს, რომელიც შემდეგში შეგნებული მოქმედების საფუძველიც ხდება.

მასწავლებლის გმირობის შეგნება სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლასთან. ეს შეგნება ზოგადი განმარტებიდან თანდათან კონკრეტული სახითაა გადმოცემული ასე:

ა) ხალხის ბედნიერების საფუძველი:

„ის ხალხი, რომელიც ტარიელ-ავთანდილებს ვერ წარმოშობს და ვერ გამოზრდის, ხალხადაც აღარ იხსენება, უბედურია და გაჰქრება დედამიწის ზურგზე. ჩვენს ქვეყანას ღმერთმა აშოროს ეს სევერი“.

ბ) სამშობლოსათვის ბრძოლის აღრინდელი ხასიათი:

„ჩვენს ქვეყანას ღმერთმა აშოროს ეს სევერი, ვყოფილვართ და კიდევაც უნდა ვიყოთ. ერთი საუკუნე მეორეს აღარა ჰგავს. დრო სხვადასხვა არის და ამიტომაც გმირები თავ-თავის შესაფერი ჰყავთ. აღრინდელი რუსთაველის დრო, სხვა იყო და ახლანდელი, ჩვენი, კიდევ სხვაა, ერთმანეთს აღარა ჰგვანან ფერშეცვლილობით; მაშინ ფიზიკურ ძალაზე იყო ყველაფერი დამყარებული; მახვილ-იარაღით შემოესეოდა ქვეყანას მტერი და თუ დამხვდურად ტარიელ-ავთანდილები ვერ მიეგებებოდნენ ფარ-ხმალით, რაღა გადაარჩენდა ქვეყანას? მაშინ ვაეკაცობა და მკლავის ძალა საჭირო იყო, — მტაცებლობისა და სისხლის ღვრის დრო იყო, დღეს გრძნობა-გონების ძლიერებად შეიცვალა, ფარ-ხმალის ადგილი ენამ დაიჭირა და მშვილდ-ისრისა—საწერ-კალამმა“.

გ) საგმიროდ გამოსვლის პირობა ახლანდელ დროში:

„დღეს გარეშე მტრები აღარ გვესევნიან, ვეღარც ქაჩებსა ვხედავთ

და ვეღარც ხატაელებს, მაგრამ ის უგუნურობა და უმეცრება, რომელიც ჩვენ ხალხს გარს არტყია, იგივე ქაჩები და ხატაელები არ არიან?..

„როგორც ტარიელი იმ დროს ბურთაობით, ცხენოსნობით და ნადირობით იწუნებდა, იღიღებდა და იმაგრებდა ძალ-ღონეს, სანამ არ ჯავაჯავსდა, და მერე გამოვიდა ბრძოლის ველზე, ისე თქვენც დღეს-ვე. ამ თავითვე უნდა ავარჯიშოთ ჭკუა-გონება სატარიელოდ. თქვენი სანადირო ტყე-ველი, თქვენი საბურთაო მოედანი სასწავლებელია. როგორც პატარა ტარიელი იჭერდა და ერეოდა სხვადასხვა მხეცებს, ისე თქვენც უნდა დაიჭიროთ ზოლმე ხელში და სძლიოთ, მოერიოთ სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებს, გაიმტკიცოთ, გაიმაგროთ გრძნობა-გონება და მერე გამოხვიდე ქვეყანაში სავარჯიშოდ, სავაგროდ“.

ღ) სამშობლოს ბედნიერებისათვის პრინციპის შეურყეველი საფუძველი:

„ჩვენი ქვეყნის მზე და მთვარე მარტო ქართლ-კახეთში კი არ ამოდის: მრავალკუთხიანია საქართველო. უნდა გამოხახოთ ყველგან ავთანდილ-ფრიდონები, დაიმეგობროთ და შეთანხმებული სურვილით, შეერთებული ძალით იმოქმედოთ, რომ მათი თანაგრძნობით ღირს აღვირვალად მოიქარვოთ და ლხინში თავი დაიჭიროთ“.

აქედან ნათლად ჩანს, თუ აკაკის როგორი ტაქტიკითა და პედაგოგიკური ალლოთი, შედარების ხერხის გამოყენებით მიჰყავს ბავშვი ახალი დროის შესაფერის ქვემარტებამდე, იმ რწმენამდე, თუ რა უნდა მოიმოქმედოს, რას მოჰკიდოს ხელი ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის გამირული საქმიანობით რომ ცხოვრობდეს და მოქმედებდეს.

ამ შემთხვევაში, აკაკი შედარების ობიექტად იღებს კონკრეტულ შემთხვევას, შოთას უკვდავი პოემის წაკითხვის შემდეგ, გმირობის მრბაქვის შედეგად, ბავშვის კონკრეტულ განცდილთან შედარება-შეზიარისპირების გზით. აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბავშვის უშუალო განცდებთან, მის მოქმედებასთან, ნაცნობ გარემოში მის ქცევასთან დაკავშირებით წარმოსახულია არა მარტო სამშობლოს ისტორიული წარსული, არამედ ცნობიერი ხდება სამშობლოს ბედნიერი მომავლის საწინდარის შეგნებულად გააზრება და ამ მხრივ ყოველი პატრიოტის მოქმედების პერსპექტიულობაც, ერთსულოვნება მტკიცე ერთიანობის გზით.

ამგვარად, სინამდვილისა და მისგან წარმოქმნილი მიზნობრივ-ლტოლვის, ამ მხრივ, ბავშვის ცნობიერების რთული პროცესის დინამიკური გაგება. უკავშირდება ობიექტურ სინამდვილეში მიზვნისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულებას, მათს კანონზომიერ მთლიანობას.

ყოველივე ეს ნაწარმოებში გამოხატულია ბავშვთათვის ცნობიერი

დეტალების შთამბეჭდავად დახატვით; მწერალი, როგორც ცნობილია, ტიპური მოვლენისათვის დამახასიათებელ არც ერთ დეტალს არ უნდა ტოვებდეს უყურადღებოდ. ტოლსტოის სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგჯერ რომელიმე ნახევრადაგლეჯილ ფოლაქს შეუძლია გააშუქოს ზოცემული პირის ცხოვრების განსაზღვრული მხარე და ამ შემთხვევაში ფოლაქიც და ყველა საშუალება განსაკუთრებულად უნდა იქნეს გამოყენებული საქმის შანაგანი არსის ნათელსაყოფად. და გაჰოიწვიოს მთავარიდან ყურადღების ჩამოცილება<sup>1</sup>.

და, მართლაც, ყოველი დეტალი, რასაც იყენებს პოეტი დიტოს გულუბრყვილო და უპერსპექტივო ატაცების, მოჩვენებითი გმირობის ჩვენებისათვის, უშუალოდ უკავშირდება იმ პრინციპულად განსხვავებულ კონკრეტულად სამოქმედო პროგრამას, რომელიც ყოველი ჰემარიტი პატრიოტისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდათარეგის მიზანია. ამავე დროს მწერლის თვალსაზრისი, საკითხის მწერლისეული გადაწყვეტა, ახალი თაობის ცხოვრებისა და მოქმედების კონკრეტული გზა, — კარგადაა ნაჩვენები მოთხრობაში ი დ ე უ რ ი ა ს პ ე ქ ტ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ:

ა) ნაწარმოების სახეთა სისტემაში მწერლის ჩანაფიქრს — იდეური მიზანსწრაფვის ბავშვთათვის ცნობიერად გამოხატვით; ბ) სიუჟეტის საინტერესოდ განვითარებაში, სადაც მოქმედი პირების ცხოვრება, მოქმედება ნაჩვენებია არა მარტო ახსნით, არამედ მისი შეფასებითაც, მასზე შესაბამისი მსჯავრის დადებით;

გ) იდეურ-ემოციური ზეგავლენის ძლიერ გრძნობაში, რომლითაც ეძლევა მას საზოგადოებრივ-შემეცნებითი ღირებულება, მნიშვნელობა საზოგადოებაში ახალი თაობის პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისით.

სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის აღზრდას ხელს უწყობდა მშობლიური სოფლის, მრავალფეროვანი ბუნების მომხიბვლელი სურათები, რომელიც უხვად იყო წარმოდგენილი, როგორც საბავშვო პოეზიაში. ისე პროზაში. თუ იგო, ერთი მხრივ, ესთეტიკური აღზრდის, მშვენიერებისადმი, სილამაზისადმი ტრფიალის გრძნობის აღმძვრელი იყო, მეორე მხრივ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ითვლებოდა ეროვნული გრძნობის აღზრდა-განვითარებისათვის.

სიყვარულის აღძვრა მშობლიური კუთხისადმი, მშობლიური ბუნებისადმი, მდინარე-ნაკადულებისადმი, ტყე-ქალებისადმი, სადაც ბავშვურ სილადეს ფრთები გაუშლია, ბავშვური გატაცება და მხარულდება მთელი თავისი გულუბრყვილობით ყოფილა ფრთაგაშლილი.

<sup>1</sup> Русские писатели о литературе, т. II, М., 1939, стр. 139.

წელიწადის დროების მიხედვით ფერშეცვლილი მშობლიური გარემო გასაოცარი ძალით რომ იტაცებდა ბავშვის გონებას, ბუნებრივად ამტკიცებდა, ავითარებდა პატრიოტიზმის კეთილშობილურ გრძნობას.

ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი, ალ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, თ. რაზიკაშვილი. შ. არაგვისპირელი, პ. ცახელი, ს. მგალობლიშვილი ნ. ლომოური, ეკ. გაბაშვილი, ი. რევიშვილი, დუტუ მეგრელი, გ. ჭალადიდელი, შიო მღვიმელი და სხვები, ბავშვთათვის სისტემატურად ქმნიდნენ წარმატებულ მხატვრულ სურათებს, სადაც ოსტატურად იყო ჩაქსოვილი მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულში შეუზღუდველი სწრაფვა სიცოცხლისაკენ, ტრფიალი და წყურვილი სიცოცხლის მშვენიერებით ტკობისაკენ, ჰუმანიზმის გრძნობის აღზრდისაკენ, რითაც მიღწეული უნდა ყოფილიყო იმ აზრის განმტკიცება, რომ წუთისოფლის უბედურების მოშუშება, დანგრეულის აღდგენა ძლიერად სამშობლოსადმი სიყვარლის გრძნობით შეიძლება.

ვაჟას დიდი პატრიოტული გული ვერ ითმენდა, ეროვნული ტკივილით გამოწვეული განწყობილებანი, მშობლიური ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან შერწყმული ვითარებანი ახალი თაობისათვის თავისი მხატვრული სიტყვით არ უთაგონებინა, მათშიაც არ აღეძრა საპირო გრძნობანი ან პირდაპირი სიცხადით („პატარა მწყემსის ფიქრები“), ღან კიდევ ალეგორიული ფორმით — „იის ამბავი“<sup>1</sup>, „ფესვები“<sup>2</sup>, „ჩხიკვთა ქორწილი“<sup>3</sup>, „ქუდოვანი“<sup>4</sup> და სხვ., მაგრამ მათ შორის „შვლის ნუკრის ნაამბობი“-ს ადგილი და მნიშვნელობა სულ სხვადასხვაგვარია, იგი თავისი მნიშვნელობით ეროვნულ ჩარჩოებს გასცდა.

ვაჟას პროზის იდეურ-მხატვრული ღრმა ანალიზის შედეგად შესანიშნავად აღნიშნავს ცნობილი კრიტიკოსი დ. ბენაშვილი: „ეს პატარა მოთხრობა ერთი გრძელი კვნესაა ნატკენი გულისა. აქა ჩანს, თუ რა მძივე და ძნელია ცხოვრება ბუნების განუსაზღვრელ სამეფოში, თუ რამდენი სისხლი და ცრემლი იღვრება იმისათვის, რომ არსებობა შეინარჩუნოს სიცოცხლემ, როგორც ბუნების ყველაზე დიდმა ფენომენმა. ვაჟას აზრით, მხოლოდ იქ შეიძლება სიცოცხლის დაცვა, სადაც სიყვარული და სიბრალული მეფობს. ეს შეეხება არა მარტო ადამიანს, არამედ ცხოველთა სამეფოს, ფაუნას, ფლორას და საერთოდ მთელ სამყაროს“<sup>5</sup>.

1 „ქეჯილი“, 1890, № 11.

2 „ქეჯილი“, 1893, № 3.

3 „ქეჯილი“, 1893, № 6.

4 „ქეჯილი“, 1898, № 4.

5 დ. ბენაშვილი. ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1961. გვ. 229.

კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, სოციალური რღვევის შემდგომმა პროცესებმა, ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის კიდევ უფრო გამწვავებულმა ურთიერთობამ, მეფის რუსეთის სუსხმა, როგორც დიდი მწერლობის, ისე საბავშვო ლიტერატურის წინაშე საზოგადოებრივი გარდაქმნისათვის ახალი კონკრეტული ამოცანები დააყენა.

ეს ის კარგად ცნობილი დრო იყო, როდესაც აკაკი არა მარტო დიდ მწერლობაში შექმნილი ბრწყინვალე სახეებით, არამედ ქართველ ბავშვებს, მოზარდ თაობას მათთვის საგანგებოდ შექმნილ, საბავშვო ჟურნალში დაბეჭდილი ნაწარმოებებიდან შთამაგონებლად ეუბნებოდა:

„გალიაში მის არწივი  
ველარ ახერხებს ნაწარსა,  
ველარც სჭერეტს ატეხილ ქალებს  
ვერც ყნოსაეს ია და ვარდსა“<sup>1</sup>,

ხოლო ქართველ ხალხს, ილიასთან ერთად, ბრძოლის ყინს უნებდება ვაჟის სიტყვები:

„არწივი ვნახე დაჭრილი,  
ყვავ-ყორნებს ეომებოდა...“

ამას ერთვოდა „შრომის ახსნის“ დიდი პრობლემა, სესიას მწარე მოთქმა, ბერუას ჩივილი ნაშრომ-ნაოფლარის ძარცვის გამო, სოფლის წურბელების, ჩარჩ-ვაჭრების, მოხელეების თვითნებობა და იოსებ დავითაშვილის სიცოცხლეგამწარებული გლეხის ალალი სიტყვები: სწავლის გზა ფართო. მომეციო, არ დამიკეტოთ კარები; გლეხი ვარ, მაგრამ კაცი ვარ, მეც ქვეყნად დავიარები“ და ჭეჭილისადმი მიმართული მრავალმეტყველი სიტყვები: „შრომის შეილი ვარ ყარიბი, არავინ გამიტანაო“ და გულწრფელი ნატვრა: „იზარდე, მწვანე ჭეჭილო, დაპურდი, გახდი ყანაო; იკურთხოს იმის მარჯვენა, ვინც გთესა, მოგიყვანაო!“... და მისაღწევარი ოცნება — „იმისი საზრდო შეიქენ, ვინც გთესა, მოგიყვანაო“, მაგრამ ჭერ კიდევ ძალაში რჩებოდა ხალხის ნათქვამი „გლეხი კაცის გაჩენაში არ გაუნათია მზესა“.

„ღარიბთა სამფლობელოში მიყვარს მე სელა და გარება,  
იმათის მწარე ბედ-იღბლის კალთით ზიდვა და ტარება;  
მე იმათ ცრემლთან ცრემლი მდის, მათს ჰირს ესთვლი ჩემდა ჰირადა,  
თავი მაქვს მათს იმათთვის სამსხვერპლოდ, გასაწირადა“.

<sup>1</sup> „ჭეჭილო“, 1890, № 11, გვ. 20.

ასე შთაგონებდა ბავშვებს ნიკიერი საბავშვო პოეტი პ. ცაგელი ღარიბების ტანჯული ცხოვრების შესახებ. მაშინ მძიმედ დაავადყოფებული“ საზოგადოებრივი ცხოვრების ფსკერზე მოქცეულ მშრომელთა აუტანელ არაადამიანურ ცხოვრების პირობების გამო. პოეტს სურდა იმათ ცრემლთან ცრემლის ღვრა, მათი ჭირის საკუთარ ჭირად მიღება და სიცოცხლე მოჰქონდა მათთვის სამსხვერპლოდ.

ასეთი ვითარების გამო ყველა ჯანსაღად მოაზროვნე თვლიდა, რომ მწერლობას, დიდსა და პატარას, ვალად ადევს ხალხის წინაშე თავისი უშუალო ჰოვალეობა შეასრულოს: „მწერლობა არის ექიმობა მთელი ხალხის ავადმყოფობისა“<sup>1</sup> და ამავე დროს სამართლიანი ბრძოლისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროშის ამფრიალებელიც.

საზოგადოებრივი ცხოვრების მძიმე ატმოსფერო თუმცა ახშობდა თავისუფლებისაკენ ლტოლვის ყოველგვარ ცდას, მაგრამ ისტორიულმა კანონზომიერებამ ხალხთა შეების დამხშობი ჯებირები თანდათან გაარღვია და, გ. მიაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზრმა გაიღვიძა, სამშობლოსათვის მოღვაწენი გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზედ, საზოგადო საკიროებამ მოითხოვა მათი გამოსვლა“<sup>2</sup>.

და, მართლაც, ისინი ქართული ლიტერატურის უანგარო მოღვაწეები — თერგდალეულები, ხალხოსნები თავიანთი კონცეფციით ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ.

ამის შედეგად, ქართულ საბავშვო მწერლობაში, სათანადო მხატვრულ გადაწყვეტას მოითხოვდა ქართველი ხალხის როგორც ეროვნული, ისე სოციალური პრობლემებიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია გ. წერეთლის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები მოთხრობაში „ჩვენი ცხოვრების ყვაილი“.

\* \* \*

ვჯამ სოციალური უთანასწორობის მეტად ამაღლებელი სურათი დაგვიხატა ისეთ პატარა მოთხრობაში, როგორიცაა „პატარა მწყემსის ფიქრები“, რომლის ცენტრალურ გმირს პატარა თილო წარმოადგენს: „რაც ფეხზე სიარული შევიძელ, სულ სხვის შვილად (მოჯამაგირედ) ვარ“—ასე ნაღვლიანად იხსენებს ის თავისი ცხოვრების უსიხარულო დღეებს.

შვიდი წლის იყო, როცა მამამ დიდყურაანთ მოჯამაგირედ დააყენა.

ხუთი წლის განმავლობაში ძლივს ეღივსა შინ მოსვლა. დედა ამჩნევს, რომ შვილი მეტად მძიმე სულიერსა და ფიზიკურ მდგომარეობაშია.

<sup>1</sup> „იმედი“, 1881, № გვ. 99.

<sup>2</sup> „ივერია“, 1882, №, VII, VIII, გვ. 116.

რეჟისორი იანვარდნილი. თილოს აცვია „დაგლეჯილი ტყავ-ნაბადი“, რაც წმინდა პური აღარ უჭამია და დედამ გადაწყვიტა, მისთვის კვერძი გამოეცხო, მაგრამ საამისო პურის ფქვილი კი აღარ ჰქონდა. დედის გული მაინც თავისას აკეთებს: „წმინდის ფქვილი მოლოდინათაგან ისესხა“, „ჩაახურა“ ერბოში და შვილს აჭამა.

თილოს გული სავსეა ბოღმით, სევდით „მომავონდება წითელკაზიანი ქალებზე თამაში, ჩემი სწორების ლხინი, და გული მომიკვდებაო“.

მოჯამაგირებაში მძიმე ფიზიკურ შრომას თან სდევს უპერსპექტივობა. დღედაღამ შრომამ მას ცხოვრებაში გასახარებელი არაფერი არგუნა: „ამ ორი წლის შემდეგ დიდუფრანთ დამითხოვენ შინ და ხელცარიელი როგორ მიუვიდე დედას, რომ ერთი სატყავე მაინც არ მივუტანო?“ — ოცნებობს თილო, მაგრამ ამ ოცნებაში ჩანს მისი ნაღველიც, სხვისთვის შრომის მწარე შედეგი.

ვაჟა კონტრასტული ხერხების გამოყენებით პატარა მკითხველებს შთააგონებს, თუ როგორია სოციალურად სხვადასხვა წრის შვილთა ბედები. ამ შემთხვევაში საბრალო თილო, რომელსაც დაგლეჯილი ტყავ-ნაბადი აცვია, წმინდის პურიც არ უჭამია, ლხინი, სიმღერა, თამაშობა, ბავშვური გულუბრყვილო გატაცება და ხალისი არ ღირსება; ბავშვობაში მარტოდ ყოფნა უხდება, სიმარტოვეში რწმუნდება რა თავის უძლურებაში, შიშის მძიმე განცდებს აუტანია, ნატრობს დამბაჩასა და ტყვია-წამლის ყიდვას, დედას ეხვეწება, ერთი ვარიანტი ტყვია-წამალი ეყიდა, მამის დამბაჩა წაეღო და მწყევსობისას მარტოდ ყოფნისას იმედად ჰქონოდა.

მოთხრობაში თილოს უპირისპირდება მღვდლის შვილი ვასო, რომელიც ქალაქში სწავლობს, აცვია ლამაზად, ჭამარ-ხანჯალიც აქვს და თოფიც.

პატარა მკითხველი კარაგად გრძნობს თითოეული მათგანის ცხოვრების პირობებს, მათს სულიერ განწყობილებებს, ბავშვთა საპირისპირო მხატვრულ სახეში დამაჯერებლად ჩანს, თუ როგორ საშინლად იჩაგრება თილო, ის საბრალოა, დედის გარდა არავის ეცოდება. ეს კი ქმნის მისდამი სიმპათიას, შებრალების, თანაგრძნობის ბუნებრივ განწყობილებას.

ამ კეთილშობილურ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს მწერლის ჩართული ეპიზოდები თვით ფრინველთა შორის მტაცებლობის, სხვისი სიცოცხლისადმი დაუნდობლობის ცოცხალი სურათის ჩვენების მიზნით. ამ მხრივ მოთხრობაში სამი სხვადასხვა სურათი, მაგრამ ერთი იდეური ხაზით ასახული, ისეთი სისწრაფით, ისეთი დამაჯერებლობითა და ემოციური ძალით ვითარდება, რომ თილოს ჩაგვრასა და ბედის უკუღმართობას თავისებურად ეხმაურება, ენიშნება, აძლიერებს თილოს ბედით აღძრულ თანაგრძნობის უაღრესად ფაქიზ გრძნობას.

ამით თითქოს ნაგრძნობიკ არის საერთოდ სამყაროში და თვით ადამიანთა ურთიერთობაში მტკიცედ ფესვგადგმული მტაცებლობის, ძლიერის მიერ სუსტის ჩავერისა და მისი მსხვერპლად გადაქცევის მძიმე სურათი; თუ როკოსა და შევარდენის სახით მწერალი გვაგრძნობინებს საცოდავად აკანკალებული როკოსადმი თანაგრძნობას, არწივისა და ყორნების კამარაში შეფარფატებაში აშკარად ჩანს ძლიერი, ამაყი, თავმომწონე არწივი, რომელიც ყორნებს „თავს არ უყადრებდა“, ხოლო რომ დასკირდა „დაპკრა გაზი; ყორანი მხარგაშლილი თავქვე წამოვიდა, თან ბუმბულის კვალი გამოპყვა, ერთი კუმში იმისი ბუმბულისა ქარმა ცისკენ წაიღო. აღნიშნული ეპიზოდი ცოცხლად წარმოგვიდგენს ძლიერის მსხვერპლის ტრაგედიას.

განსაკუთრებით დამამახსოვრებელი ეპიზოდია ორბისა და ყურშას ამბავი; მწერალი აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ თვით მტაცებელთა შორისაც მეტად ძლიერადაა ფესვგადგმული ეგოიზმი, მიტაცება, წართმევა; მეტად დამაჯერებლადაა გადმოცემული, თვით მტაცებლებიკ როგორ სტაცებენ ერთმეორეს ნადავლს.

ეს დაუვიწყარი ეპიზოდები ნაწარმოების საერთო თხრობას იმავე ინტონაციით ბუნებრივად ექსოვება: „ახლა უხუნიდამ გამოჩნდა ერთი ორბი, კლანჭებში ძვალი ეჭირა, ორბი ძვალს ათამაშებდა, ჩამოაგდებს დედაშიწახედ და დაეტანება; მერე ისევ წაიღებს, წავა, წავა მაღლა, გაუშვებს კლანჭებიდან და ჩამოპყვება თვითონაც თანა; ესე რამდენჯერმე ჩამოაგდო ძვალი და წაიღო. მალე მეც დამიახლოვდა, მაგრამ ვერც კი დამინახა. ცირცელი მეფარებოდა, ყურშიაც გვერდზედ მეწვა, აფხუშოს კულები კლდიან-რიყიანები არის, ორბი უფრო რიყეს უგანებდა ძვალს. აკი გაუწყრა ღმერთი და ჩვენს ახლო ჩამოაგდო ორბმა ძვალი, ყურშია გადაეტანა და, მ ა ნ ა მ ო რ ბ ი ა ი დ ე ბ ღ ა, ყ უ რ შ ი ა მ დ ა ა ს წ რ ო ა ღ ე ბ ა, ო რ ბ ს ე წ ყ ი ნ ა, გ ვ ე ლ ი ე ი თ ს ი ს ი ნ ი დ ა ი წ ყ ო დ ა თ ო ფ - ნ ა ს რ ო ლ ი ე ი თ ს ა ჩ ქ ა - რ ო დ შ ე ა ფ ა რ ა კ ლ დ ე ე ბ შ ი“.

ამ საერთო ფონზე თილოს ბავშვობა დიდყურაანთ მბრძანებლობით მარტოობის, დაბეჩავების, შიშისა და შიმშილის მძიმე განცდებშია ჩაქსოვილი.

ასეთ ყოფაში ჩავეარდნილ პატარა ბავშვს ორი ნატვრა, ორი ოცნება გონებიდან არ შორდება: 1. „ახ, ნეტავი მეც ნასწავლი ვიყო!“, 2. „ახ, ამ ორი წლის შემდეგ დიდყურაანი დამითხოვენ შინ და ხელცარიელი როგორ მიუვიდე დედას, რომ ერთი სატყავე მაინც არ მივუტანო?“, მაგრამ ცხოვრების პირობები მკაცრია და თილო შესძლებს თუ არა ამას, მწერალი მოთხრობის მიხედვით ამ კითხვაზე პასუხს არ იძლევა.

პატარა მკითხველი უნდა ჩაუფიქრდეს თილოს ბედს, მისი ცხოვ-



რების პირობებს, პარალელი გაავლოს ამ მხრივ მინიშნებულ მოვლენებთან და თვითონ გამოიტანოს სათანადო დასკვნა.

ეს შეცნობის, ცნობიერების აქტიური ფორმის, ბავშვთა გონების წარმართველი ფაქტორი ხდება. რა თქმა უნდა, მის ირგვლივ შექმნილი ვითარებით გამოწვეული პატარა ინწყემსის ფიქრები იმ ხანად, მართო მისი ხვედრი როდი იყო.

ამისი ცნობიერად შეცნობა ხელს უწყობდა ახალ თაობაში მაშინდელი სოციალური უკულმართობის მძიმე პირობებში ბავშვის ბედისაღმძიმე, ადამიანის ბედისაღმძიმე გარკვეული შეხედულებების ფორმირებას, გულისწყრომასა და ზიზღის გრძნობის აღძვრას მჩაგვრელი ძალისაღმძიმე, სხვისი სიცოცხლის დამორგუნველისაღმძიმე.

მოთხრობის ღირსებას ისიც შეადგენს, რომ მას დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობაც აქვს. ეს ამბის თხრობის ბუნებრივ მდინარებაშია მოქცეული; ბავშვებს ბუნებისმეტყველებიდანაც გარკვეულ ცოდნა ეძლევათ: 1. ორბის თვისებებზე („ორბა ეგრე იცის, როცა ევალს ნისკარტით ვერ გატეხს, რომ ტვინით ჩაიპოხოს ყელი, რიყეზედ ჩამოაგდებს მალლით ძვალს, დაამსხვრევს და მერე ტვინს ისე შეაქცევავო“); 2. გაზაფხულზე ზეაგების დადნობაზე და ნაზოვრებში მთის მცენარეების შესახებ („ნაზოვრებში კენკეშა და ჩადუნა ამოჩნდება, მოვკრეფ ნორჩ ჩადუნას, მოვიტან ბინაში, მოხსარშავ რძეში, იმაზე გემრიელი განა კიდევ რამე იქნება?“); 3. დოლობის შესახებ („დოლობაც ამ დროს არის, გვიჩნდება ბატყებში“); 4. ბუნების სილამაზეზე — ჭიხვებისა და როჭოების სილაღეზე („სადაც არ მგონია, გადმოყოფდნენ ჭიხვები რქებს კლდისთავეებზე, ხან ხროდ შეყრილები დააქანებენ ქვიშის ზეაგს, და როჭოები ჩემს წინ მოიღებენ ფრთხილს“ ან კიდევ შეეარდენის „ქექასებრ ხმა“ ხუილით რომ ჰკვეთს სიერცეს, ან „ის იყო მზემაც გააწითლა მთის წვერები...“

გამოჩნდა არწივი, თავმოწონებით, ამაყად მიიზღაზნებოდა; „...ხანგამოშვებით შააფრაშფრაშებდა მხოლოდ მხრებს და ერთი მხრივ, მიიწვედა... თავისთვის დინჯად მიდიოდა და უფსკრულებს თვალს ავლებდა“. — ყოველივე ეს მსგავსი მისნი მთებისა და ტყეების ბურვილობაში ლამაზად ახმაურებული წარუშლელ შთაბეჭდილებებს ქმნის და უვითარებს ბავშვებს ესთეტიკურ გრძნობას.

ამგვარად, მოთხრობა „პატარა მწყემსის ფიქრები“ შეუღარებელ მხატვრულ ფერებში დიდი ემოციური ძალით შთააგონებს ბავშვებს: 1. სოციალური უკულმართობის შედეგად მოჭამაგირედ მყოფ თილოს წაერთვა ხალისიანი ბავშვობა, ცხოვრების სიტკბო და თავისუფლების ლაღი გაცდანი; 2. ჩაგვრის, მტაცებლობის წინააღმდეგ და 3. დაინტერესებას მშობლიური ქვეყნის ფლორისა და ფაუნის მრავალსახეობისა და თავისებურებათა შესახებ.

სოციალური უთანასწორობის შედეგად ჩაგრულთა არსებობის უმძიმესი პირობების ასახვა, მშრომელ ადამიანთა უმწეო ბედის ჩვენება. ამ მხრივ ცხოვრებისეული სიმართლით თქმა, იყო ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ის მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე ტენდენცია, რომელიც მშრომელთა ვონების გამოფხიზლებას, თვალის ახელას ემსახურებოდა.

ეს ერთ-ერთი წარმართველი ტენდენცია კარგად იგრძნობა ეკ. გაბაშვილის საბავშვო ნაწარმოებებშიც. ავჭერად მწერლის შემოქმედებიდან მხოლოდ ერთ განსაკუთრებულ მდგომარეობას მივაქცევთ ყურადღებას, რომელიც ქართული საბავშვო პროზის ისტორიულ ასპექტში განხილვასთან დაკავშირებით შეუძლებელია საგანგებო ყურადღების საგნად არ ვაქციოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამავე თემაზე მწერალს სხვა მრავალი შესანიშნავი მოთხრობაც მოეპოვება.

საქმე ისაა, რომ აშკარად იგრძნობა მწერლის დიდი ემოციური ზემოქმედებისათვის გამიზნული ტენდენცია, რომელიც განწყობილებათა ისეთი საზოგადოებრივი ფონის შერჩევას, ადამიანთა ჯგუფების, ხალხის განცდებს, მაღალ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას, იმედიაანობასა და ჯერ კიდევ შეუცნობელი მომავლისაკენ ხალისიან სწრაფვას უპირისპირდება.

ეს ის განსაკუთრებული მოვლენაა, როდესაც დიდი და პატარა შეუპყრია ერთგვარ სიხარულს, ტრადიციულად მომდინარე სახალხო დღესასწაულს. რომელიც ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით საერთო-სახალხო საზეიმო განწყობილებას ქმნის: ახალი წლის დადგომა ახალი იმედების, ტკბილი ოცნების, უკეთესი მომავლის ნატერის სურვილებს უსახავს ადამიანს.

მწერალს, სწორედ, საგანგებოდ შეურჩევია ასეთი საერთო ტრადიციული დღესასწაული იმისათვის, რომ ასეთ ვითარებაში კიდევ უფრო მკვეთრად ეჩვენებინა ორი ცხოვრება, ორი ერთიმეორის საპირისპირო განწყობილებანი, ხასიათები; ერთი მხრივ, ფუფუნებაში მყოფნი და ცხოვრებით დამტკბარნი, მეორე მხრივ, შრომით არაქათ-გამოლეულნი, დატანჯულნი, უპერსპექტივო ცხოვრებით გულმოკლულნი, უნუგეშონი, ცხოვრების გერები.

ახალი წელი, როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციულად რაღაც ახალს, უკეთესს, საიქედოსა და საოცნებოს განხორციელების ამამაღლებელ გრძნობას ჰგვრის ადამიანს, მაგრამ მწერლის მსატერული სახეები

მკითხველს იმაში აჭერებს, რომ სოციალური უკუღმართობის პირობებში დაჩაგრულთათვის, მათი ბავშვებისათვის ახალი წელი უსიხარულოდ, უიმედოდ და კვლავაც არსებობისათვის ტანჯვა-წვალებით დგება.

ამ ცხოვრებისეული მწარე სინამდვილის შემადრწუნებელ სურათებს მწერალი დიდი მხატვრული დამაჭერებლობით გადმოგვცემს სწორედ საახალწლო სახალხო ალტყინებასთან შეპირისპირებით, რაც დიდი ემოციური ძალის შემცველია. ამ თემაზე დაწერილ მხოლოდ ორ მოთხრობაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომლებიც საუკეთესოდ მტყველებენ მწერლის ჩანაფიქრზე, ნაწარმოების იდეურ-ემოციურ მიზანდასახულობაზე.

ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“ გვიხატავს ათ-თერთმეტი წლის სვიმონიკას მწარე ბავშვობას, მაშინდელი საზოგადოების გულცივობასა და გულქვეობას პატარა ბავშვის ბედისადმი. მწერალი გვამცნობს აგრეთვე სოციალური უკუღმართობის პრობლემისადმი თავის დამოკიდებულებას, მის შეფასებას. ეს ორგანულად გამომდინარეობს თვით ნაწარმოების სახეებიდან, სტილიდანაც, რითაც წარმოსახულია სოციალური ცხოვრება, მაშინდელ საზოგადოებაში ახალგაზრდის ბედის გადაწყვეტა დამლუპველი შედეგებით.

მოთხრობის იდეურ-ემოციური ზეგავლენა ამბის განვითარების პროცესში თანდათან ძლიერდება შემადრწუნებელი სურათების შთაბეჭდვად წარმოსახვით, რითაც მწერალი მკითხველში ობოლი სვიმონიკასადმი თანაგრძნობას თანდათან აძლიერებს და ასევე ძლიერდება გულისწყრომა და ზიზღი იმათ მიმართ, ვინც მას არაადამიანურად ექცევა და იმათ მიმართაც (ე. ი. იმდროინდელი საზოგადოებისადმი, კერძოდ, მაღალი ფენისადმი), რომლებმაც სვიმონიკას ტირილს „ყურიც არ ათხოვა“ და საახალწლო განწყობილებებით „სუყველანი მიეჩქარებოდნენ, სუყველას თავისი ოჯახის ბედნიერება მიელოდათ თბილ სადგურებში და პატარა ტიტველი ბიჭის ვაგლახს ვერც კი ნიშნავდნენ“.

ობოლი ბავშვის სახის წარმოსახვისა და ამ სახის მხატვრული ჩვენების ევოლუციის პროცესი, შთაბეჭდილების მიზნობრივად გაძლიერების თვალსაზრისით, მუქი ფერების სიუხვითა და ამის შესაბამისი კონკრეტული შედეგებით ასეთი თანმიმდევრობით ქმნის მძიმე ფსიქოლოგიურ განწყობილებას, ძლიერ ემოციურ განცდებს:

## მწერლის ჩანაფიქრი

### 1. პორტრეტა

### 2. ობლობა, სილატაკე

### 3. ბიძის მიერ ქალაქად წაყვანის მიზანი

### 4. ბავშვის განცდანი

სახის წარმოსახვა-ჩვენებების იდეურ-მოციური თავისებურებანი (ყოფა, სულიერი ცხოვრება-განცდები).

1. „სვიმონია იქნებოდა ათის ან თერთმეტი წლის, მალხაზი, პატარა, შავთვალა და ცოცხალი სახის ბიჭი“.

2. „ერთი საცოდავი ობოლია, დედა არსადა ჰყავს და მამა. თქვენი ღვთის გულისათვის მალე ჩააცვიოთ რამე: ზამთარია და სიცივიოთ მოკვდება ე უბედური“.

3. „ბიძამ მეორე დღესვე მიაბარა სვიმონია წიგნის სასწავლებლად ერთს აესა და უგულო ბებერ დედაკაცს სიონის ქუჩაზე.

—ერთ წელიწადს გაზღვს, შენი ჰირიმე, — მოწიწებით ეუბნებოდა ივანე-ხაბაზი მოკუზულ ელისაბედს, ასწავლეთ წიგნი და მერე, რაკი წიგნს ისწავლის და სამსახურში გაიწვრთნება, თქვენ თვითონ დაუნიშნეთ ცოტაოდენი ჯამაგირი“.

4. „სვიმონია მანამ ბიძასთან იდგა, ყოჩაღად გამოიყურებოდა თავისი პატარა მალხაზა თვალებით, მაგრამ, როცა მან კარები გაიხურა, ბიჭს ამ სახლში სუყველაფერი ისე ეუცხოვა — ელისაბედის ბორბოტი თვალებიცი და ჰაერშეგუბებული ოთახიცი, — რომ გული აუღულდა და მდუღარე ცრემლები გადმოჰყარა“.

5. შებრალების ნაცვლად გულცი-  
ვობა და სწავლის ნაცვლად  
აუტანელი ფიზიკური შრომა,  
ცემა-ტყევა

5. „სუს, სუს! — შეუტია ელისა-  
ბედმა: სუს! აღარ დაინახო  
შენ თვალზე ცრემლები! გეს-  
მის? — და მაშინვე საქმეს შე-  
უყენა“. „დილიდან საღამომდე  
ჰაპანს ეწეოდა. „სვიმონიკა,  
მოიტა, სვიმონიკო, წაილე“,  
„სვიმონიკო, წადი, იყიდე“,  
„სვიმონიკო, გახეხე, გარეცხე,  
სამოვარი დადგი, ცეცხლი აან-  
თე, წყალი ამოილე“. — შეუწყ-  
ვეტივ მოესმოდა ბრძანება  
პატარა ბიჭუნას“.

„საღამოზე, როდესაც დაღ-  
ლილ-დაქანცულს მუხლებში  
წყალი ჩაუდგებოდა, ელისაბე-  
დი დასევამდა იმას იატაკზე,  
თვითონ კი ახლოს წინდით  
ხელში, ჩამოუჯდებოდა ტახ-  
ტზე და დაუწყებდა წიგნის  
სწავლებას“.

„თუ შესცდებოდა, ვაი იმის  
ბრალი — თ ხ ლ ა შ ა ნ ი თ ა ე-  
შ ი; მეორე შეცდომაზე —  
ჩ ქ მ ე ტ ა და მესამეზე —  
უ ვ ა ხ შ მ ო ლ და ძ ი ნ ე ბ ა  
გ ა ყ ი ნ უ ლ ს ა მ შ ა რ ე უ-  
ლო შ ი“.

„გავიდა ორი თვე, ანბანში  
ასო გ (ტარამდის) გაეზეპირე-  
ბინა სვიმონიკას და ამის ჯილ-  
ლოდ ტ ა ნ ი ლ უ რ ჯ ა დ  
ჰ ქ ო ნ და ა კ რ ე ლ ე ბ უ ლ ი  
და თ ა ე ი გ ა მ ო ბ რ უ ე ბ უ-  
ლი თ ა ე ვ ი ც ე მ ი თ“.

6. ამაო ფიზიკური შრომა და  
ტანჯვა

6. „ამის ტანსაცემელს შეადგენდა  
გრძელი გახუნებული ქალიძ  
კურტკა მაუდისა, ალაგ-  
ალაგ ამოკერებული სხვა ფერი

7. „საბუნდოვანი შემთხვევა“

8. არაადამიანური, შეუბრალებელი დასჯა, ქუჩაში გაგდება

9. ბედის ანაბარა ხეტიალი და ცრემლი

მაუდის ნაპრებით; ფეხზე ეცვა დიდრონი ქუსლებმომგრეხილი ქალის ბაშმაკები“.

7. „საშინელი საქმე შემთხვევა საცოდავ სვიმონიკას, როდესაც ვაჭრობის შემდეგ, შინ ბრუნდებოდნენ. ეს ნელ-ნელა მისდევდა უკან ქალბატონს; ცალხელში ეჭირა სალფეთქში გახვეული თაფლით სავსე საქსონის ჯამი და მეორეში ქალბატონის პარკით ნიგოზი. ეს პირდაპირი შეპყვრება ხილით აკრელებულ შუაბაზრის დუქნებს და ვერც კი შენიშნა, თუ როგორ მიუახლოვდა იმისი ტოლა ბიჭი, ქალაქის კინტო, და გამოჰგლიჯა ხელიდან სალფეთქი“.

8. „ელისაბედი საშინლად გაკერპდა... წაავლო კისერში ხელი უბედურ სვიმონიკას... შეითრია თავის სახლში. წაიგდო ფეხქვეშ, თმები სულ ბლუჯაბლუჯად აგლიჯა, ყურები სრესით სულ დაუსისხლა... სვიმონიკას ღრიალი ცამდინ ადიოდა... ბოლოს, როდესაც ელისაბედი მოიღალა, გაალო ქუჩის კარები და ისე ღონიერად გასტყორცნა იქიდან სვიმონიკა, რომ `ის საცოდავი პირქვე განერთხა ქვეით მოკირწყლულ ქუჩაზე... ალაყაფის კარები მაგრად მიკეტა“.

9. „სვიმონიკა დიდხანს ეგდო გარეტებული ქუჩაზე. მერე ნელა წამოდგა, თვალები მუჭით ამოიწმინდა და წაეიდა.“

10. ქვეყანა, რომელსაც სვიმონია ხედავდა და ჯომელმაც ის გარიყა

11. მხოლოდ თანაგრძნობა და ისიც არაფრის მქონე, ცხოვრებისაგან დაჩაგრული ადამიანისაგან

წავიდა სად, ვისთან? თვითონაც არ იცოდა.

უზარმაზარ ქალაქში მარტო და უპატრონოდ დაეხეტებოდა.

10. „პირველად ხედავდა ქალაქს ღამით და გოცეხული შესცქეროდა დიდრონი მალაზიების განათებულ ფანჯრებს; ნერწყვის ყლაპვით აკვირდებოდა შუშებთან გამოწყობილ ათასნაირ საახალწლო სანუკველს...“

პატარა ყმაწვილები, თავით ფეხებამდე თბილებში გახვეულნი, თავიანთ დედ-მამასთან მხიარულად ჭიკჭიკებდნენ და დაუყოვნებლივ შედიოდ-გამოდოდნენ მალაზიებში. იქ თავის ნებით ირჩევდნენ, რაც სურდათ და დატვირთულნი მრავალის საჩუქრებით, ალტაცებით მიილტვოდნენ შინისაკენ“.

11. „ღუქნების წინ ასასები გამოვიდნენ... ერთმა მათგანმა რამდენჯერმე გადაავლო თვალი ამ პაწია. უპატრონო ქმნილებას და გულში ბევრი რამეები გაახსენდა. ამას მოაგონდა თავისი ღარიბი ოჯახი არზრუმის მაზრაში, ნახევარზე დანგრეული ქოხი, სიცივისაგან დაღურჯებული თავისი პატარა შვილები და გულიანად ამოიხრა: — არშაკ, შეილო! ვინ იცის, შენც ამ ბიჭივით გშიან და გცივა, და მე კი ვერას გშველი!“

12. განწირულის  
ნაესაყდელი

უკანასკნელი

12. „ყველას დაეძინა. ყველგან  
სანთლები ჩაქრნენ... იანვრის  
ქარის ზუზუნი შიშით გულს  
უესებდა გზადანუელს, საცო-  
დავს და ობოლ-ობერ პაწაწი-  
ნა სვიმონიკას... ბოლოს, ძალა  
სრულიად წაერთვა, შიმშილ-  
მაც ძალზე მოუჭირა და ფეხ-  
ზე დგომა აღარ შეეძლო...  
პატარა ლეკვივით დუქანთან  
ასასის ლოგინს წააწყდა, ორ-  
ად მოიკუნტა, ხელფეხი და თა-  
ვი ასასის სახურავ ტყავს მიაკ-  
რა და ზურგი იანვრის ყინვას  
მიუშვირა...“

ამგვარად, მწერლის ჩანაფიქრი, ეჩვენებინა სოციალური უკუღ-  
მართობის შედეგად ობოლი ბავშვის მწარე ხვედრი, მისი ფიზიკური  
და მორალური გათელვის პროცესი, მიღწეულია დიდი მხატვრული  
დამაჯერებლობით; მწერალი საგანგებოდ არჩევს ფერებს, სიტყვებს  
როგორც გარემოს, ყოფითი სურათების, ისე პატარა სვიმონიკას, აგ-  
რეთვე, სხვა პირების სულიერ განწყობილებათა გარკვეული მიზნით  
უკეთ გამოხატვისათვის. ამასთან, ყოველივე ამაში იგრძნობა თვით  
მწერლის შეფასება-დამოკიდებულება ამ პირებისადმი და ისიც, რაც  
მას სურს შთააგონოს პატარა მკითხველებს; მწერლის სიბრალოლი  
სვიმონიკასადმი იმ სიტყვებშიც კარგად ჩანს, რომლითაც მწერალი  
ამ უიღბლო ბიჭს იხსენიებს ან კიდევ აცოდებს. მაგალითად, სვიმო-  
ნიკას დასახასიათებლად სიტყვას „საცოდავს“ მის სახელს მწერალი  
5-ჯერ თან ურთავს, „უბედურს“-2-ჯერ, „ობოლ-ობერ პაწაწიკინას“ —  
ერთხელ. ამით ხაზს უსვამს რა სვიმონიკასადმი გულწრფელი სიბრა-  
ლოლის გრძნობას, მკითხველში სათანადო ემოციების გამოსაწვევად  
და სვიმონიკას სახის სრულყოფილად ჩვენებისათვის ხაზს უსვამს  
ობიექტური გარემოსადმი პატარა ბიჭის დამოკიდებულებას (— პირ-  
დალბული შეპყურებდა ხილით აქრელებულ შუაბაზრის დუქანებს“...  
-ნერწყვის ყლაპვით აკვირდებოდა... საახალწლო სანუკველს... კამფე-  
ტებით სავსე კალათებს“), ექსპლუატაციას („დილიდან საღამომდე  
ჭაბანს ეწეოდა“, „დადლილ-დაქანცულს მუხლებში წყალი ჩაუდგა“).  
შემწეობას („ძალა სრულიად წაერთვა“, „უპატრონოდ დაეხეტებოდა“,  
„ძილშიც წკმუტუნებდა“) და სხვ. ამით მიღწეულია პატარა მკითხ-  
ველში ობოლი ბავშვისადმი შებრალების, თანაგრძნობის აღზრდა და



გულისწყრომა ობიექტური სინამდვილისადმი, სოციალური უკუღმართობისადმი, რაც ამ ნაწარმოების ტენდენციურობის აშკარა გამოხატეველია.

მართალია, სოციალური ყოფის რეალიზმის პრინციპებით გადმოცემამ მიუდგომლად გადმოგვცა სვიმონიკას ცხოვრების, სულიერი მდგომარეობის უმძიმესი განცდების უტყუარი სურათები, მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, ასეთი მძიმე მდგომარეობიდან დახსნის გზა მწერლის მიერ მინიშნებული არ არის.

მიუხედავად ამისა, ის კი უდავოა, რომ მოთხრობის მთელ იდეურ-ემოციურ საშუალებებს მკითხველი მაინც მიჰყავს იმდროინდელი ობიექტური გარემოსადმი, საზოგადოებრივი წყობისადმი უარყოფით განწყობილებამდე. ეს თავისთავად მაინც იყო მწერლის პროგრესული ტენდენციის აშკარად ამტკიცებელი, მხატვრული სიტყვით დიდი ემოციური მინიშნება იმაზე, რომ არ შეიძლება საზოგადოების მხრივ ასეთი გულცივობა, ბავშვის ბედით დაუინტერესებლობა, ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის ეგოისტური მიზნით შეუბრალებლად გამოყენება, მისი ფიზიკურად და მორალურად გათელვა.

რასაკვირველია, ყოველივე ამის მხატვრულად წარმოსახვა იმ დროისათვის, ნაწარმოების იდეურ-ემოციური მიზანდასახულობით, ბუნებრივია, პროტესტია არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ.

მარქსიზმის კლასიკოსები ეხებიან რა მხატვრული ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულების განსაზღვრის საფუძველს, სხვა საკითხებთან ერთად იპასუხ ალნიშნავენ, რომ ზოგჯერ ნაწარმოებში დასმულია რა გარკვეული საზოგადოებრივი საკითხი, მწერალი მასზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა, ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ გავიხსენოთ ენგელსის სიტყვები იმის შესახებ, რომ მწერლისათვის არ არის სავალდებულო მოგვცეს მის მიერ ნაწარმოებში გამოხატული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავლისათვის მზამზარეული გადაწყვეტა<sup>1</sup>.

მწერლის მეორე მოთხრობაშიც („საახალწლო ფეშქაში“) კონტრასტულ ფერებში მოცემულია ორი ოჯახის საახალწლო განწყობილება: ერთი მხრივ, ყველაფრით სავსე, ხეავითა და ბარაქით ავსებული, შეძლებული, გულგახარებული ოჯახი და მისი პატარები ხალისიანი, სიხარულისაგან სახეაწითლებულნი შეჰხარაინ ხილულობას, ძვირფას ჩასაცმელებს, ხოლო, მეორე მხრივ, ოჯახი, რომლის მინგრეულ-მონგრეული და სრულებით ცარიელი მიწური სახლის ოთახის

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. XXIII, М., 1935, стр. 505.

კუნძულში რალაც გაგლესილი გოდორი დგას და გამქვართლულ თა-  
როზე ორიოდე თიხის ჯამ-ქურტკელი აწყვია, იქვე კვარი ოდნავ თუ  
ბეუტავს და კერიის მახლობლად დაგლეჯილ ლოგინზე სიკვდილს ებ-  
რძვის ცხოვრებისაგან ქაპანგაწყვეტილი მელანო, რომლის „ფერ-  
ხით ცარიელ ქილობზე ეგდო შვიდი-რვა წლის გოგონა ფეფო“.

ყოფის კონკრეტულ სურათებს მწერალი ისეთ ფერებში, ისეთი  
ემოციური ფრაზებით გადმოსცემს, რომ ყველაფერი ცნობიერი ხდე-  
ბა. ამის შედეგად იქმნება შესაფერისი განწყობილებანი, რომელიც  
მწერლის ჩანაფიქრს სწორად წარმოსახავს, თვით მწერლის შეფასე-  
ბაც გასაგები ხდება და მკითხველს შედარება-შეპირისპირებით სათანა-  
დო მორალური დასკვნა ადვილად გამოაქვს.

მომაკვდავი მელანოს უკანასკნელი ნატერაა საცოდავი, ობოლი  
შვიდი-რვა წლის ფეფო ქალბატონმა მოახლედ მაინც გამოიყენოს,  
რადგან „ლუკმის მკმეველიც არ ეყოლება“.

მელანო კვდება. ფეფო კი ახალ ოჯახში მიჰყავთ, სადაც ელის  
მზრუნველობა, სადაც უდედ-მამობას არ შეამჩნევენებენ.

ეს უაღრესად ადამიანური, კეთილშობილური გრძნობა კარგად  
ნიანიშნებს მკითხველს ჰუმანური გრძნობის აღზრდა-განვითარებისა-  
კენ. მაგრამ ეს მხოლოდ შედეგი უნდა იყოს იმ გაუხარებელი ცხოვ-  
რებისა, რომელმაც მელანოს ახალი წლის წინა ღამეს მხოლოდ სიკვ-  
დილი მოუტანა, ხოლო პატარა ფეფოს ობლობა.

ობოლი ბავშვის აღზრდა, მისთვის სიმკაცრის გულის სითბოთა  
მოშუშება მწერალმა უმაღლეს და უწმინდეს ვალად მიიჩნია: „ახლა  
შენთვის ჩამიბარებია ეს უსუსური ბავშვი, ვინძლო რიგიანად გაზარ-  
დო ეს საცოდავი ობოლი, ნამდვილი დედობა გაუწიო და მით ასარუ-  
ლო უდიდესი მოვალეობა ამ სოფლად“.

ეს ადამიანური, კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობის შედეგიც  
ნოთხრობის დასასრულს პატარა ფეფოს გარეგნობის წარმოსახვით  
ქნის ერთგვარ შთაბეჭდილებას, მის ცხოვრებაში ერთგვარი ცვლი-  
ლების შესახებ („იმის ტანზე, დაფხრწილი ჩითის კაბის მაგიერ, მი-  
ხაკისფერი კაბა დავინახეთ“), მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული შთა-  
ბეჭდილებაა, თორემ მისი შინაგანი ბუნება, მისი სულიერი განცდები  
ობიექტური სინამდვილისადმი, რომელიც ახალი გარემოს სახით წარ-  
მოუდგება მკითხველს, ფეფოს მომავლის თვალსაზრისით მაინც ამო-  
უცნობია. და თუ მწერალმა მასზე არაფერი თქვა, მხოლოდ ფეფოს  
გარეგნობის სიახლეზე რამდენიმე სიტყვით აღნიშვნის შემდეგ ამბავს  
საბოლოო წერტილი დაუსვა, მწერლის იდეური ტენდენცია მაინც  
გარკვეულია: 1. სოციალურად მძიმე პირობებში მყოფთათვის, ახალ  
წელს, როგორც სხვებისათვის, „ბედნიერი დღე“ არ მოაქვს და 2. მხო-  
ლოდ კეთილ ადამიანებს შეუძლია მათ დახმარება გაუწიონ.

მწერალს ასეთ დასკვნამდე მიჰყავს მკითხველი ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით საერთო-სახალხო სადღესასწაულო განწყობილების ფონზე.

ამგვარად, ე.კ. გაბაშვილი მოთხრობაში „როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ წელიწადს“ სანტიმენტალური დეტალებით ერთხელ კიდევ ცდილობს ახალგაზრდა მკითხველთა გულში სათანადო გრძობები აღძრას დაბეჭავებული, ცხოვრების მკაცრი პირობების გამო გაუხარებელი ათი-თორმეტი წლის სვიმონიკასადმი.

აღსანიშნავია მწერლის მიერ დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით გამოკვეთილი ბავშვის სახე, მისი განცდები და სულიერი სამყარო. შეუფერებლად, გადაუჭარბებლად, გადმოგვეცემს მწერალი ბავშვის გაოცებას, სოფლიდან ქალაქში პირველად ჩამოსვლასთან დაკავშირებით ახალ გარემოში პირველად მოქცევის შედეგად. სვიმონიკას ცვაობა ბუნებრივად ექსოვება, პირველ რიგში, სივრცის ხედვით აღქმას: იმერეთში... „სახლები ისე შორს სდგანან ერთმანეთზედ, რომ ძალზე დაიღლებოდნენ ხოლმე ამის პაწია ფეხები, როდესაც მას სამეზობლოდ გაგზავნიდა ხოლმე ბებია ბიცოლასთან<sup>1</sup>, ხოლო ქალაქად კი ვერ გაერკვია, „თუ რა იყო მიზეზი, რომ სახლები, საყდრებო და სხვა ქალაქის შენობები ისე ჭერებებივით ეყარნენ ერთმანეთზედ“.

მოთხრობა კარგად უჩვენებს პატარა მკითხველს, რომ სვიმონიკას კეთილშობილური განზრახვა, მისი სანეტარო ოცნება სოციალური უკუღმართობის პირობებში მისთვის, როგორც გლეხის შვილისათვის, განუხორციელებელია.

მოთხრობის მიხედვით, სოციალური გარემო იმგვარადაა დახატული, რომ სვიმონიკას ხსნა შეუძლებელია: არ არის არავინ, რომელიც მას დახმარების ხელს გაუწვდის. შეიბრალებს, შეიფარებს. თვალთაგან ცრემლს მოსწმენდს, აგრძობინებს ადამიანურ გულის სითბოს

მწერალი არა მარტო დიალოგის გამოყენებით, არამედ მოქმედების დახატვით არწმუნებს მკითხველს, რომ ელისაბედის მიზანს სრულყოფით არ წარმოადგენდა, სვიმონიკას წიგნი ესწავლა. მის უპირველეს მიზანს შეადგენდა, პატარა ბიჭის ფიზიკური ძალა გამოეყენებინა, მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი ენახა, ამიტომ ძლიერ ასაქმებდა, ცემდა მაშინ, როცა ბავშვური მიაშიტობით ელისაბედისათვის არამოსაწონი რამ შეემთხვეოდა.

მძიმე ფიზიკურმა მუშაობამ, არაადამიანურმა ცხოვრების პირობებმა, აბუჩად აგდებამ და ცემა-ტყუებამ ბავშვი სიკვდილის პირამდე მიიყვანა.

<sup>1</sup> „ნობათი“, 1885, №1, გვ. 5.

პატარა მკითხველი გრძნობს, განიცდის პატარა სვიმონიკას უყულ-მართ ბედს, იმას, თუ როგორ იტანჯება ჯერ გაუხარელი პატარა სი-ცოცხლე და ამით გულისწყრომით ივსება იმათ მიმართ, ვინც სვი-მონიკას ტრაგედიის მიზეზად ესახება.

\* \* \*

სოციალური უსამართლობის, ეგოისტური ზრახვების, ადამიანთა ღირსების აბუჩად აგდების, ამის შედეგად ცხოვრებიდან გარყვას შემზარავი სურათები, ღარიბების, ობლების, მძიმე შრომისაგან წელ-მოწყვეტილ ადამიანთა ტიპური სახეები, მეტ-ნაკლები მხატვრული სიძლიერით, სისტემატურად იქმნებოდა ქართულ საბავშვო მწერლო-ბაში.

მეტად დიდი ემოციური ზეგავლენა ჰქონდა ამ მხატვრულ სახეებს ახალ თაობაზე, მათი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე, მჩაგვრელ-თა და ჩაგრულებისადმი სათანადო გრძნობების აღზრდის თვალსაზრი-სით.

შრომისმოყვარე გლეხის ტიპური სახე შემატა ქართულ საბავშვო მწერლობას სოფ. მგალობლიშვილმა ყაყიტას სახით, რომელსაც მდი-ნარე ფრონის პირზე სიმინდი ჰქონდა დათესილი. „ყაყიტას ისე გამო-ეწმინდა სიმინდი თოხით, რომ ადამიანი სათითაოდ დასთვლიდა ყო-ველ სიმინდის ღეროს“.

ეს მისი დიდი შრომის შედეგად იყო. ამაზე თვითონ ასე ამბობს: „ნახევარი დღის სიმინდი მაქვს ქალაზედ, ჩემი ნაღვაწ-ნადაგი, ჩემი ფეხით გადაბარული, სისხლი შიგ ჩამიწვიმებია“.

ეს სიტყვები კარგად მეტყველებენ ყაყიტას მძიმე შრომაზე, ხო-ლო მწერლისეული სიტყვები: „ზის ყაყიტა ქოხში, ჯამზე ცივი წყა-რის წყალი დაუსხამს, რომელიც იქვე კაკლის მახლობლად გამოჩხრია-ლებდა. ჩაუგდია სიცხისაგან გამომხმარი პური, ალბობს და ქამს. ილ-ოდნება მოხუცი ყაყიტა, რომელიც ცალი იდაყვით დაყრდნობილა ნოკეცილ ფეხებზე და მეორე ხელი ჯამში ჩაუყვია და პურს ამტე-რევს“, — მეტად ცოცხლად წარმოუსახავს გლეხკაცის გაუხარელ სი-ცოცხლეს.

ნ. ლომოურის ქაჯანას მამა კიკოლა „იყო ერთი ჩვენი გონიერი და გამოცდილი გლეხთაგანი... რაღაც საცოდავი სამიოდ დღის მიწა ჰქონ-და და ერთი პატარა ვენახი... წელებზედ ფეხს იდგამდა, ამ ცისმა-რე დღე და ღამე სულ განუწყვეტლად მუშაობდა, მაგრამ წლის სარ-ჩო მაინც არ მოსდიოდა“.

„უბედურ და ბუნების მხრით განწირულ სოფლის სუსხი სიცოცხ-ლეს უმწარებდა ქვრივ მაგდანას. ოთხი ბავშვის ტირილმა და შიმშილ-მა ქვრივი ქალი „იარმუქის“ ორომტრიალში მოაქცია: „საშინლად

იტანჯებოდა საცოდავი ქერივი, რომ ასე აშკარად, გაშლილ მოედანზე იჯდა ახალი მგლოვია რე შევებით და გამკლელ-გამოქვლელს იწვევდა საყიდლად“.

„მაგდანას აუტანელი გაუხდა ჯათა ზაფხულში. მკათათვის მზის მწვევე სიყვება უღმობლად სწევდა საცოდავს თავ-პირს, ცეცხლს უკიდებდა მუდამ ფეხშიშველობით დაფათრულ ფეხებს“.

მოზარდებს ებრალებოდათ დ. მეგრელის მოთხრობის პატარა გმირი მიხა, რომელიც დღენიდაც გრძობდა მამის წუხილს: „რა ვქნა, რა მოვახერხო, რომ არ ვიცი? ავადმყოფს მოეუარო, სადილი ვაკეთო, თუ ეთოხნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!.. მარტოხელა კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზე მაწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძლევ? ამ დღეებში „ბორჩიკი“ მომადგება კარზე ფოსტის ფულისათვის და მე კი ორი გროშიც ვერ მიშოვნია, ქინაქინა ვიყილო, იქნება, დედა-კაცს ციებამ თავი დაანებოს“...

და თანატოლებს თვალწინ ეხატებოდათ პატარა მიხა. რომელსაც სკოლაში მოსული სტუმარი მასწავლებელს ფულს მისცემს მისასათვის საჩუქრის შესასყიდლად. მასწავლებლის კითხვაზე, ამ ფულით რა გიყიდო, მიხა არ დააყოვნებს და წამოიძახებს ქინაქინაო.

„დედას აციებს და მამა წუხს? უფულობას რა ვუყო, თორემ „ქინაქინას“ ვიყიდდი და მოვარჩენდი“.

ამ პატარა ამბითაც პატარებისათვის ცხადი ხდება ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა მიხას ოჯახი, მწერალი მიანიშნებს მშრომელი გლეხის უსიხარულო დღეებზე. მისი ოჯახის მეტად მძიმე მატერიალური და სულიერი მდგომარეობაზე.

თედო რაზიკაშვილმა პოეტური პროზის საუკეთესო ნაწარმოებებით გაამდიდრა ქართული საბავშვო პროზა. აქ მხოლოდ განვიხილავთ ერთ შესანიშნავ პოეტურ მოთხრობას, რომელიც ალეგორიულ ფორმებში საუტყბოდ გავიხატავს პარაზიტული ცხოვრების მოყვარულის უდარდელ ყოფას. ეს არის მოთხრობა „ფითრი“, სადაც კარგად მინიშნებულია, თუ როგორ ირჩენს თავს სხვის ხარჯზე: „თუ არ მზამზარეული საკვები, ჩვენი გვარი ვერ ხეირობს. თუ სხვას არ ვასხედვართ, დედამიწაზე ჩამოყრილები ერთ დღეს ვეღარა ვცოცხლობთ. რამდენსაც განვიბნევით, იმდენი ვმრავლდებით და ვსუქდებით“...

„ფითრი კი აზის ზურგზე მსხალს და დღე და ღამე სწოვს და სწუწმს“.

ათი-თხუთმეტი წლის წინათ ფითრი მომაკვდავი იყო, როცა მსხალს თავშესაფარს თხოვდა, ხოლო ახლა კი საბრალო მსხალი ისე დაწუწუნა, რომ უღროოდ დაბერდა, მოიკაკვა, დახავსდა, დაიღმეჭა, დაედრიჯა ქერქი, დაუსკდა ტანი, ტოტები დაუკოპიტდა, ზოგაც დაემტვრა. აი, ასეთ მომაკვდავ მდგომარეობაში ჩაადგო იგი ფითრმა, რომელიც „თუ

სხვა წლით იზრდებოდა, ფითრი დღითა. ღერს ღერი ემატებოდა, ტოტს ტოტი, ფოთოლს ფოთოლი. გასუქდა, გალალდა... გაშალა შორს თავისი ბრჭყალები. ფესვებიდან მომდინარე წვენს წვერებისკენ აღარ უშვებდა, სწოვდა როგორც ობობა ბუზსა, სწუწნიდა, როგორც ბაღლი შაქარსა. ძღებოდა, როგორც სვავი სისხლითა“.

ფითრის სახით ბავშვებს ესახება საზოგადოების მუქთამჰამელი ნაწილი, რომლებიც სხვისი ნაოფლარის მიტაცებით ცხოვრობდნენ და ფუფუნებდნენ.

და აი, როდესაც ფითრიანი ტოტები გადაიკაფა (ეს კი ბავშვებს უთუოდ მიანიშნებდა იმაზე, რომ მუქთამჰამელები, პარაზიტები, მშრომელთა ოფლით ნამაგარის მიმთვისებლები უნდა მოეშორებინათ თავიდან), ძირიდან, ჯურღმულიდან რალაცა ხმაურობა და დუღუნი ისმოდა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

რა ხმაური იყო ეს? რა სიტყვები მოისმოდა?

„ჩვენ ისევ ცოცხლები ვართ, არ მოგკვდებით, ჩვენახდე ჯერ სიკვდილს არ მოუღწევია, სასოებას ნუ ჰკარგავო“ — იძახოდნენ ფესვები ისევ ღონიერი, მძლავრი, მრავალნი, უთვალავნი იყვნენ“.

ეს შესანიშნავი პოეტური მოთხრობა შედარებებითა და ეპითეტებით შემკული, მშობლიური ბუნება ულამაზესი ფუნჯით მიმოხატული. აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ ცხოვრების ხე მშობლიური მიწის წიაღიდან ღონიერი, მძლავრი, მრავალი და უთვალავი ფესვებიდან კვლავ აყვავდებოდა.

ეს უთვალავი, ღონიერი მშრომელი ხალსია, რომელიც მიწასთან სასიცოცხლოდაა დაკავშირებული, თავისი ოფლით რწყავს მას, მოჰყავს ქვეყნის სარჩო და გაძარცვული ხან სევდიანად ჩივის, ხანაც უსამართლობისაგან გაავეებული თვითონვე ბრძოლით აღიმართება ბოროტების წინაშე.

საბავშვო მწერლობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია ის ბნელი ძალები, რომლებიც თვალთმაქცურად მილოდავდნენ გლეხკაცის ნამაგარის საწუწნავად. ისინი მშრომელ გლეხობას უკანასკნელ საარსებო საშუალებებს მოტყუებით ხელიდან გლეჯდნენ, გაიძვერობით, თაღლითობითა და ხშირად საოცრად საზიზღარი ხრიკებით ქმნიდნენ თავიანთთვის ცხოვრების პირობებს. ესენი იყვნენ ვაჭრები, ჩარჩები. სამართლიანად წერდა ვაჭრებზე თეოფ. ხუსკივაძე: „დაიწყება თუ არა მკა, ზილებენ თავს ვაჭრები და პურის გაღეწამდი ასობით დაეხეტებიან სოფელ-სოფელ. მიადგებიან მოსახლეს კარზედ და ძალაუნებურად აჩეჩებენ ჯელში დამპალს და დეარდნილს საქონელს ორ-სამ ფასად“.. სოფლის კაცს „რამდენი ისე ატყუებს, რომ თვალებს უბრმავეებს! ორი ოქროს-მკედელი წასულან გორიდან, წაუღიათ ყალბი

ქამრები, დაუტარებიათ სოფელ-სოფელ და ოქროს ქამრად დაუყრილიათ“<sup>1</sup>.

დაუნდობელი. გაიძვერა ვაჭრის ტიპური სახე დამაჭერებლად წარმოგვისახა ეკ. გაბაშვილმა საბავშვო მოთხოვნაში „ღეთის შვილი“, სადაც მეტად ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩაეარდნელი პატარა ბავშვის უსინათლო ლექსოს სიცოცხლეც კი ადამიანური მორალისაგან დაცული ვაჭარ დარჩო მარტიუხიანს თავისი შემოსავლის წყაროდ გაუხდია. დარჩომ მოტყუებით წაიყვანა უსინათლო ლექსო, ბიძას პირობა მისცა. კარგად ჩააცმევდა, გამოჩენილ ექიმსაც უჩვენებდა და თვალებს აუხელდა. შაგრამ მოთხოვნაში კარგად ჩანს მისი არაადამიანური ბოროტი განზრახვა: „ბრმა ლექსოს დანახვაზე წაბლოვანში, ამას თავში ერთმა ფიქრმა გაუელვა და კიდევაც შეუდგა იმის ასრულებას. ამან ფიქრა: ოთხი-სუთი ბრმა ბიჭს შევავროვებ, ვასწავლი სიმღერას და ჩონგურსაო და გავგზავნი ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში საგლახაოდო. და თავისი ახალი ვაჭრობა ლექსოთი დაიწყო“. ამის შედეგად ლექსო სიკვდილის კარებამდე მიიყვანა.

ქართული ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების მხატვრულ გადაწყვეტას საბავშვო მწერლობაში ბუნებრივად ექსოვებოდა ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ძიება მშვიდობისა და უშიშროებისათვის<sup>2</sup> (ალ. ყაზბეგის „მტრედები“<sup>3</sup>), ობლებისადმი სიბრაღულისა და სიყვარულის გრძნობის აღზრდა (აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, გ. ორბელიანი, პ. ცახელი, შ. მღვიმელი და სხვ.). ბავშვებში კაცთმოყვარეობის აღზრდა ერთ-ერთ უმთავრეს და მნიშვნელოვან ამოცანად იყო მიჩნეული, რაც გოგებაშვილმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ბავშვებში, თავის-თავის მოყვარეობის გარდა, ჰუმანიური მხარე, კაც-მოყვარეობაც ძლიერია და ყოველმა საბავშვო მწერალმა უნდა აძლიოს შემთხვევა ბავშვებს აღმოაჩინონ ეს საუკეთესო მხარე თავიანთ ბუნებისა და დაბადონ პატარა მკითხველში სურვილი მიბაძვისა“.

ამასთან ერთად, საბავშვო პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა საბავშვო ნაწარმოებები შრომისადმი სიყვარულის აღზრდის მიზნით, რადგან შრომა იყო საფუძველი ცოდნის, მატერიალური დოვლათის შესაძენად და იგი უნდა ყოფილიყო „ახალი ტიპის ქართველის“ ნიშნული თვისებაც.

1 „დროება“, № 875, № 91.

2 დ. ბენაშვილი. ვაჟა-ფშაველა, თბილისი, 1961, ვ. 233.

3 „ნობათი“, 1883, სანიმუშო ნომერი.

ეს მოთხოვნა საბავშვო მწერლობას მისი განვითარების შემდგომ პერიოდშიც წითელი ზოლივით გასდევს. გავიხსენოთ ლ. ბოცვაძის სიტყვები: „შრომა მკრთალი ლამპარია ადამიანის ცხოვრებისა, მაგრამ ჩააქრობ თუ არა, მთელი ქვეყანა წყვილიადით მოიფინება, როგორც ფარვანა სანთელს სიამოვნებითაც გარს უტრიალებს ამ ლამპარს, მაგრამ ჩააქრობ თუ არა, ეს ოქროს ფერი ჭრელ-ჭრელი პეპლები მტაცებელ ფრინველებად გადაიქცევიან, სწრაფად გამოუღრღნიან ადამიანს გულსა და უმწეოდ დასტოვებენ“<sup>1</sup>.

ამგვარად, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების მხატვრულ სახეებში გამოძერწვისას ქართულ ეროვნულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში აგრეთვე უმნიშვნელოვანეს ამოცანად იყო მიჩნეული ბავშვებში ადამიანობის მაღალი გრძნობის აღზრდა, ყველა კეთილშობილური ქცევა-თვისებათა გამოშუშავება ცხოვრების მართალი სურათების შეცნობის საფუძველზე.

ამის გამო, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის მიმართაც თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ დობროლუბოვის სიტყვები: „ლიტერატურა იქცევა საზოგადოებრივი განვითარების ელემენტად, მისგან მოითხოვენ იყოს საზოგადოებრივი ორგანიზმის არა მარტო ენა, არამედ თვალი და ყურიც“<sup>2</sup>.

ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი მტკიცედ იღწვოდნენ ამისათვის და მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებები ბავშვთათვის, ახალი თაობისათვის თავისი დანიშნულებით იმავე ამოცანების შემსრულებელნი უნდა გამხდარიყვნენ, რაზედაც ჩერნიშევსკი ამბობდა: „დაე, ხელოვნება იყოს ადამიანისათვის ცხოვრების სასწავლო წიგნი“<sup>3</sup>.

და, მართლაც, საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების გამო, ქართულ საბავშვო მწერლობაში შექმნილი მხატვრული სახეები არა მარტო ეროვნული და სოციალური პრობლემების შესახებ გარკვეულ განწყობილებებს უქმნიდნენ ბავშვებს. არამედ ამ დიდ ამოცანებთან ორგანულად შერწყმული მათი ზნეობრივი ფორმირებისა და კეთილსასურველი გრძნობის აღზრდისათვის სისტემატურად ქვეყნდებოდა მეტ-ნაკლები მხატვრული ღირებულების, მაგრამ უტილიტარული ხასიათის ნაწარმოებები, როგორიცაა ვ. ბარნოვის „სესე“<sup>4</sup> (სხვისი ქონების მიმთვისებლის საწინააღმდეგო გრძნობის აღზრდა), მ. დემურიას „ნალიტა და ფეთება“<sup>5</sup> (მეგობრისადმი

<sup>1</sup> „განათლება“, 1912, გვ. 352.

<sup>2</sup> Н. А. Добролюбов, Полн. собр. соч., т. IV, М., 1937, гв. 141.

<sup>3</sup> В. Г. Чернышевский, Раб. философияри თხზულებანი, თბილისი, 1945,

<sup>4</sup> „ქეჩილი“, 1882, № 11.

<sup>5</sup> „ქეჩილი“, 1889, № 12.



სიყვარულისა და დახმარების გრძნობის აღზრდა), პ. ცახელის „ჩიტი და ყმაწვილი“<sup>1</sup>, შ. მღვიმელის „ჩიტი“<sup>2</sup> (თავისუფლებრისაქენ ლტოლვა) და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს ცახელის „შალვას თავგადასავალი“ (1885 წ.), რომელიც ქართულ საბავშვო პოეზიაში უსიუყვეტო პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, სადაც ფრაგმენტული სურათების კომპოზიციურ ხვეულში ოსტატურადაა ჩაქსოვილი სიცელქის, ჭიუტობის, დაუჭერებლობის, გაუფრთხილებლობისა და სხვა მსგავსი არამიზანშეწონილი ქცევის შედეგები დამოძღვრების გარეშე.

3. ცახელის „შალვას თავგადასავალი“ მიგვაჩნია წანამძღვრიდ ქართულ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში პირველი ნოველისტური პოემის შესაქმნელად: პირველ ნოველისტურ პოემას კი წარმოადგენს ცახელის დიდი მხატვრული გემოვნებით მოგვიანებით შექმნილი პოემა „საბრალო ბაბუა“, რომლის იდეური, მხატვრულ-ემოციური და ჟანრობრივი მნიშვნელობა განუზომლად დიდია: პატარა გიგოლას სახის დიდი მხატვრული ოსტატობით ჩვენება, ბაბუა ზალიკოს ტრაგიკულ ბედთან ერთად, ბავშვებს შთააგონებს:

„ვხედავთ, რომ მტარვალთ გუნდები  
ჩვენს ტანჯვას აღარ კმარობენ,  
ჩვენს ქედით ნაკრებ სიმდიდრეს  
ჩვენს ასალაგმად ხმარობენ!“

განსაკუთრებული აღნიშნავს ღირსია პოემაში ზამთრის პერიოდის გასაოცარი ექსპრესიულობით გამოხატვა. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის ქართულ საბავშვო პოეზიაში არ შეიძლება მოინახოს მეორე ისეთი მხატვრული ნაწარმოები, სადაც ასე მაღალი, ბრწყინვალე ოსტატობით იყოს დახატული ზამთრის ბუნება, რომელიც შესისხლხორცებულა ნოველისტური პოემის იდეურ მიმართებასთან. ამ მიზნით პოეტი უხვად იყენებს მხატვრულ შედარებებს, მარტივ ეპითეტებს, გამეორებას, რიტორიკულ შეკითხვას, რაც ხელს უწყობს სათანადო ემოციების აღძვრასა და შეხედულებათა ფორმირებას.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის როგორც აღორძინების, ისე მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების მხატვრულ სახეებში სრულყოფის რთული პროცესები უკავშირდება XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას. ამის შედეგად, სწორედ XIX საუკუნის II ნახევარში, იქმნება ახალი ორიგინალური საბავშვო ნაწარმოებები,

<sup>1</sup> „ნობათი“, 1884, № 3.

<sup>2</sup> „ჭიჭილი“, 1897, № 1.

რომლებიც გვიჩვენებენ ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარების მავისტრალურ ხაზს და ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტილათვის წარმოებულ ბრძოლებიდან გამომდინარეობენ;

2. ბავშვებში, მოზარდ თაობაში ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ გრძნობის აღზრდისათვის პროფესიული და არაპროფესიული საბავშვო მწერლები ოსტატურად ქმნიდნენ დიდი ემოციური ძალის შემკველ მხატვრულ სახეებს როგორც ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან, ისე თანადროული ცხოვრების სინამდვილიდან;

3. ქართულ საბავშვო მწერლობაშიც ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის პრობლემების მხატვრულად ჩვენებასა და გადაწყვეტას უკავშირდებოდა ალეგორიული საბავშვო ნაწარმოებების შექმნა ცხოველთა და მცენარეთა სამეფოდან, იგავ-არაკული ქანრის განვითარება და საბავშვო პოეტური ეპოსის დამკვიდრება.

## თ ა ვ ი მ ე ტ ს რ ა

### ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის პროგრესული ტრადიციების გამოყენებისა და ნოვატორების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ქართულ საბავშვო მწერლობაში

ეროვნული საბავშვო ლიტერატურა XIX საუკუნის II ნახევარში, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების შესაბამისად, ბუნებრივად დადგა ახალი ეპოქალური ამოცანების წინაშე; მშრომელთა რევოლუციური გაქანება, რეაქციის გაათრება, ახალი სოციალისტური წყობის დამკვიდრება — საბავშვო ლიტერატურიდან, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობიდანაც მოითხოვდა ახალ თაობაში სათანადო გრძნობის აღზრდას, ცხოვრებისეული საკითხებისადმი გარკვეული დამოკიდებულების, განწყობილებების, შეხედულებების ფორმირებასა და მოწინავე იდეების აქტიურ ბრძოლაში ხალხთან ერთად მათს აქტიურად ჩაბმას.

ამ დიდ ისტორიულ ბრძოლაში, რასაკვირველია, მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ყოველივე იმის შემოქმედებითად გამოყენებას, რასაც პროგრესული ტრადიციები თავის ბუნებაში იტევდა ახალი ეპოქისათვის სასარგებლოს და განავითარებდა მას ახალი მოტივებით, ახალი თემებით და მაღალი იდეურ-მხატვრული სახეებით.

უდავოა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ცალკე სერიოზულ მეცნიერულ კვლევასა და ლოგიკურ დასკვნით შესაბამის განზოგადოებას საჭიროებს, რადგან მეცნიერებრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული სიტყვაჯამული მწერლობის პროგრესული ტრადიციების განმტკიცება და შემოქმედებითად გამოყენება ნიშნეულია, როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდგომი პერიოდის ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიასა, პროზასა და დრამატურგიაში.

რასაკვირველია, ეს მრავალასპექტოვანი, დიდი მნიშვნელობის მქონე პრობლემა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, უთუოდ ცალკე მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ შეუძლებელია მას ზოგადად მახინჯ არ შევეხოთ, რადგან ჩვენი ეპოქის ახალი თაობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდისათვის ძლიერი ემოციური ზეგავლენის ძალას წარმოადგენს ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობაში მხატვრული რეალობის პრინციპების საფუძველზე ლიტერატურული ტრადიციებისა და თანადროულობის ჰარმონიული მთლიანობით განვითარებული უახლესი საბავშვო მწერლობა.

სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების შექმნაში ახალი თაობის — ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობამ საბჭოთა საბავშვო მწერლობის განვითარების ტენდენციები ბუნებრივად დაუკავშირა ეროვნული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს: ქართველი ხალხის გმირული ისტორიული წარსულის შეცნობა, ეპოქის სიახლეთა სიდიადის სწორად გაგება, ხალხთა შორის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის განმტკიცება, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის კეთილშობილური გრძნობის აღზრდა, ბუნებრივად მოითხოვდა ინტელექტუალური ძალების გაერთიანებას ეპოქისეული მეცნიერების, ტექნიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, კოსმოსის დაპყრობის, ჰუმანური მიზნით მის გამოყენების პერსპექტივების ჩვენებას, როგორც მწერლობაში, ისე პოპულარული მეცნიერული ხასიათის წერილების, წიგნების სპეციალურად ბავშვთათვის, მოზარდთათვის, ახალგაზრდობისათვის შექმნის საქმეში.

ყოველივე ეს, განსაკუთრებით უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, სრულიად ახალი ძალით გამოჩნდა, თვისებრივად ახალ, მაცოცხლებელ წყაროდ იქცა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მეცნიერებისა და საბავშვო მწერლების შემოქმედებით თანამეგობრობაში. ამის შედეგად ცხადი გახდა, რომ საბავშვო წიგნი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს საბავშვო მწერლობის მონოპოლია. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ეანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი მაღალიდეურ-მხატვ-

რული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის შექმნა და დიდი ლიტერატურის დონემდე აყვანა საბავშვო მწერლობის მიერ, ძირითად შემოქმედებით მიზნად იქნა დასახული.

ამის შედეგად, უკანასკნელი ათეული წლების ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობა თემატიურად და ჟანრობრივად კიდევ უფრო მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი გახდა; შეიქმნა მთელი რიგი საბავშვო ნაწარმოებები საბჭოთა პატრიოტიზმის, მოსწავლეთა ყოფის, შრომა-სწავლისა და მორალური სახის თემებზე, რომლებშიც მოცემულია მეგობრობის, მშვიდობის, გმირობის, სიკეთის და საერთოდ, მაღალი ზნეობის გამარჯვების ცდუნების, სიბილწის, სიყალბის, ბოროტების, უსამართლობის, უფიცობისა და უკულტურობის წინააღმდეგ.

ამის შეგნებულად შეცნობა, სულიერ ცხოვრებასთან შეთავისება ბავშვებისათვის, მოზარდთათვის, ახალგაზრდობისათვის, რასაკვირველია, მიმდინარეობს საბჭოთა პედაგოგიკური პრინციპებისა და მხატვრული რეალიზმის პარამონიული მთლიანობის საფუძველზე, სადაც ასაკობრივი პრინციპების შესაბამისად უზრუნველყოფილია მისაწვდომობა.

ჩვენი ეპოქის თავისებურებების ასახვისა და ჩვენების არე განსაკუთრებით გაფართოვდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ურყევ ქეშმარიტებას წარმოადგენს ის აზრი, რომ საბჭოთა სინამდვილისათვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული სიასლეთა მხატვრული სახეებით წარმოჩენა იმ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი, ზემოქმედების ეფექტური საშუალება, როდესაც მწერლის მიერ წინასწარ იქნება გათვალისწინებული ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური თავისებურებანი, მათი ცხოვრების ინტენსივობა.

უდავოა, რომ ჩვენს ეპოქაში მეცნიერ-ტექნიკური პროგრესი, ამ დარგში შეუწინაღებელი აქტიური კვლევა-ძიების შედეგები, ბუნებრივად იწვევს ბავშვში აქტიურ დაინტერესებას, მათთვის შეუცნობი ბუნების ძალებისადმი ცნობიერი დამოკიდებულების გააქტიურებას, მეცნიერულ-ტექნიკური საოცრებათა — რაკეტების, დროის მანქანების, რობოტების — საიდუმლოების ამოცნობისადმი დიდ სწრაფვას, ადამიანური ცხოვრების სამსახურში ჩაყენებისათვის გაზრდილ ცნობისმოყვარობას, ეს კი ჰქმნის იმის რეალურ პირობებს, რომ აღეზარდოთ აქტიური, შემოქმედი, პარამონიულად განვითარებული, მაღალი სულიერი კულტურის მქონე პიროვნება — ჩვენი დიადი თანამედროვეობის ახალი ტიპის ადამიანი, რომელიც არა მარტო დღევანდელი დღით ცხოვრობს, არამედ უკეთესი მომავლისათვის იბრძვის საკაცობრიო იდეალების მიხედვით.

ამ დიდი ამოცანების განხორციელებისათვის თემატიურად, ჟანრობრივად მაღალ იდეურ-მხატვრულ საბჭოთა საბავშვო მწერლობას,

განსაკუთრებული როლი აქვს დაკისრებული, რისთვისაც აუცილებელია ლიტერატურული ტრადიციებისა და თანადროულობის ურთიერთდამოკიდებულებაში მოწინავეის, პროგრესულისა და ნოვატორული საწყისების ჰარმონიული ერთიანობა.

ის ფაქტი, რომ დღეს, როგორც არასდროს, ქართულ მწერლობაში პატარებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა აღმავლობის გზაზეა. მისი სათავეები იმ პროგრესულ ტრადიციებშია, რომელიც ქართულმა სიტყვაკაზმულმა საბავშვო მწერლობამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნა და, ბუნებრივად, დღესაც ინარჩუნებს ცხოველყოფილობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება ქართულ საბავშვო მწერლობაში (ამ სიტყვების ფართო გაგებით ე. ი. მხატვრული და არა მხატვრული ნაწარმოებები, რომელიც ასაკობრივი პრინციპების საფუძველზე საგანგებოდ იქმნება ახალი თაობისათვის) საუკეთესო ტრადიციებისა და თანადროულობის პრობლემებს, აუცილებელია მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპების საფუძველზე თავიდანვე ზუსტად, სწორად განესაზღვროთ ამ ტრადიციების ნიშანდობლივი თავისებურებანი და გავარკვიოთ, თუ რა უარყო და რა განავითარა თანამედროვეობამ ეპოქის შესაბამისი იდეალების საფუძველზე საბავშვო მწერლობის, როგორც უანრობრივი, ისე თემატიკურ მრავალფეროვნებაში.



ახალი თაობის ეთიკური, ესთეტიკური და იდეური აღზრდა, შესაბამისი მსოფლმხედველობის ფორმირება საბჭოთა საბავშვო მწერლობას დღეს გაცილებით მეტ მოთხოვნებს უყენებს, ვინემ ოდესმე ჰქონია წაყენებული. მართალია, ეპოქის კანონზომიერი ისტორიული პრობლემები ყოველთვის უკავშირდებოდა თაობათა ეთიკური, ესთეტიკურისა და ინტელექტუალური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ მათი ჰარმონიული ერთიანობა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილისათვის გახდა განსაკუთრებით სისხლხორცეული. ამის შედეგად საბჭოთა საბავშვო ლიტერატურამ (ფართო გაგებით) უკუაგდო ყოველივე ის, რაც წარსულში ზღუდავდა, მენტორულ-დაქტიკურ ჩარჩოებში კეტავდა და მოქალაქეობრივი გრძნობის აღზრდის ნაცვლად, ხშირ შემთხვევაში, მომბეზრებელ დოგმებს თავს ახვევდა. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად იბადება კითხვა, რა უმთავრესმა ფაქტორებმა განსაზღვრეს და რა თავისებურებით პოულობენ გაგრძელებას წარსული ლიტერატურული ტრადიციები თანამედროვე საბავშვო სიტყვაკაზმულ მწერლობაში, რა გავლენას ახდენენ მისი ეფექტურად განვითარების ძირითად ტენდენციებზე? აღნიშნული პრობ-

ლემების გარკვევისას ბუნებრივად გარკვეულ ისტორიულ ინტერესს შეიცავს ქანრების განვითარების თუ ჩამორჩენილობის, საბავშვო მწერლობისა და დიდაქტიზმის, საბავშვო ნაწარმოებებში პეიზაჟის, სიუჟეტის, მკაფიო კომპოზიციის, მოქმედების დინამიკური განვითარების, პერსონაჟების ფსიქოლოგიური გაცდების გამოსახვა, ენის სიმდიდრე და სიმარტივე, ილუსტრაციები, ამასთან ლირიკული და ეპიკური პოეზიის, საბავშვო დრამატურგიის, ფანტასტიკის, ზღაპრის, იგავ-არაკის, ანდაზა-გამოცანის შექმნის ისტორია სკოლამდელთათვის, სკოლის დაბალი კლასის მოსწავლეთათვის და ახალგაზრდობისათვის.

თუ ყოველივე ამას ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ ქართული საბავშვო მწერლობის ქანრობრივი განვითარების თავისებურებით, მაშინ ცხადი გახდება ის ფაქტი, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებიდან აღორძინდა რა ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობა, ამ საუკუნის დასასრულს განვითარების შესაბამის დონეს მხოლოდ საბავშვო პოეზიამ და პროზამ მოაღწია, ხოლო რაც შეეხება საბავშვო დრამატურგიას, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება ითქვას, ამ უნარის პირდაპირი, მაღალი გავებით, იგი ამ დროისათვის არც კი არსებობდა.

ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის საერთო აღმავლობის ერთ-ერთ პირველ ძირითად ფაქტორად და საფუძველთა საფუძველი გახდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ შესანიშნავი ტრადიციის შემოქმედებითად გამოყენება, რომელიც მომდინარეობს გასული საუკუნის სამოციან წლებიდან და რომელიც თვალნათლივ, ცხადად წარმოჩინდა ქართული მწერლობის აყვავებისა და აღორძინებისათვის ეროვნულ სიამაყეთა: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ეკატ. გაბაშვილის და სხვათა შემოქმედებით თანამეგობრობაში თავისდროინდელ პროფესიულ საბავშვო მწერლებთან. სწორედ ამის საფუძველზე, მათ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის ეპოქისეული ამოცანების შესაბამისად განვითარება, ერთ საერთო საბრძოლო ამოცანად დაიხსნა.

ეს შესანიშნავი ტრადიცია, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებიდან, განსაკუთრებული სიძლიერად განვითარდა ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაში, ხოლო სრულიად ახალი ძალით გამოჩნდა, თვისებრივად ახალ მაცოცხლებელ წყაროდ იქცა უკანასკნელ ათეულ წლებში გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, მეცნიერთა და ცნობილ საბჭოთა პროფესიულ საბავშვო მწერალთა შემოქმედებით თანამეგობრობაში: სწორედ, ამის შედეგად გახდა შესაძლებელი ქანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი, იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი ახალი ეროვნული საბავშვო ნაწარმოებების შექმნა: არა

მარტო ასახვის არეა გაფართოებული, არამედ ლირიკული და ეპიკური ჟანრები უფრო სრულყოფილი შინაარსითა და ფორმით გვხვობავენ, ეროვნული საბავშვო მწერლობის დიდოსტატის ასახვის საგნად დღესაც რჩება ბავშვთა განცდა-განწყობილებანი, დაჩაგრულისადმი თანაგრძნობა, ამქვეყნად მშვიდობიანობისათვის სწრაფვა, სკოლისაკენ მოწოდება, მეგობრობა, ჰუმანიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, ბუნების სამყაროს გაცნობა და სხვა, რომელთა აღმსრულებლობითი და საგანმანათლებლო ფუნქციები განსაზღვრავენ ამ თემაზე შექმნილი საბავშვო ნაწარმოებების სიუჟეტით სირთულეს, გამომსახველად სამშალე-ბათა სპეციფიკურობას, ენობრივ ქსოვილს.

ახალ თაობაში საბჭოთა პატრიოტული გრძნობის აღზრდა თანამედროვე საბავშვო მწერლობის უმაღლესი და უკეთილშობილესი მოვალეობაა: „საბჭოთა პატრიოტიზმის ქადაგება არ შეიძლება მოწყვეტილ იქნეს, დაკავშირებული არ იყოს ჩვენი ხალხის წარსული ისტორიის ფესვებთან, იგი აღსავსე უნდა იყოს პატრიოტული სიამაყით თავისი ხალხის მოღვაწეობის გამო. საბჭოთა პატრიოტიზმი ხომ პირდაპირი შემკვიდრეა წინაპართა მოქმედებითი საქმეებისა, წინაპართა, რომელთაც წინ მიჰყავდათ ჩვენი ხალხის განვითარება... საბჭოთა პატრიოტიზმი თავისი სათავე ღრმად წარსულში აქვს, დაწყებული ხალხური ეპოსით. ის იკრებს თავისთავში ყოველივე კარგს, რაც ხალხს შეუქმნია, და უდიდეს ღირსებად მიაჩნია გაუფრთხილდეს ყველა მის მიღწევას“<sup>1</sup>. (ხაზის გასმა ჩემი ა. ჩ.).

პატრიოტიზმის თვისობრივად სრულიად ახალი, უმაღლესი და უწმინდესი გრძნობა ქართველმა პროფესიულმა თუ არაპროფესიულმა საბჭოთა საბავშვო მწერლებმა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით, ძლიერი ემოციური ძალით ჩააქსოვეს თავიანთ საბავშვო ნაწარმოებებში.

ის, რაც ამ თემაზე უახლოეს ათეულ წლებში შექმნილი ნაწარმოებების მაღალი იდეურობასა და მაღალმხატვრულობას ეპოქის შესაბამისად გამოხატავს, ეს ისაა, რომ მათში გმირული წარსული წარმოდგენილია ახალი პატრიოტული შთაგონების წყაროდ, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ახალი შემართებისათვის. ამ მიზნით საბჭოთა პოეტებმა გამოიყენეს ქართული ეროვნული საბავშვო პოეზიისათვის უცნობი პოეტური ხერხი — დროის ფაქტორების მხატვრული შედარება-შეპირისპირების ფორმა, რომელსაც ორგანულად ერწყმის საბავშვო მწერლობისათვის დამახასიათებელი პედაგოგიური პრინციპები ნაცნობიდან უცნობისაკენ, ახლობლიდან შორეულისაკენ, ორი სამყაროს პოლუსური განწყობილებანი და ამ გზით მიღწეულია პოეტური წარმოსახვით მიზნობრივი ჩანაფიქრის ეფექტურობა.

<sup>1</sup> მ. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1953, გვ. 112 — 113.

ამ მარადიულსა და მაღალ გრძნობას ქართულ საბავშვო მწერლობაში, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოებები მიეძღვნა. ამ მხრივ, აღსანიშნავია გამოჩენილი პოეტების გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, შ. ლებანიძის, მ. მაჭავარიანის, ჯ. ჩარკვიანის, ი. ნონეშვილის, გ. ქუჩიშვილის, შ. მღვიმელის, ი. სიხარულიძის, მ. მრეკლიშვილის და სხვათა მიერ შექმნილი ლირიკული თუ პოეტური ეპოსის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები.

დიადმა თანადროულობამ სამშობლოსადმი სიყვარული, საბჭოთა პატრიოტიზმის თავისებურებები, ორგანულად დაუკავშირა მოძველებთან კეთილმყოფელ ცხოვრებას, რაც საფუძველთა საფუძველია იმ წარმატებებისა, რომელსაც კი მშობლიური ქვეყანა აღწევს.

ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიაში (და არამარტო პოეზიაში, არამედ პროზაში, დრამატურგიაშიც) პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი ს ა ს ე თ ი გ ა გ ე ბ ა, ე რ თ ა თ ა ხ ა მ ე გ ო ბ რ ო ბ ა ს თ ა ნ და კ ა ვ შ ი რ ე ბ ა, საბჭოთა კომუნისტების ორგანულ გრძნობად იქცა. სწორედ ეს ქმნის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი საბავშვო მწერლობის პატრიოტიზმთან შედარებით, თანამედროვე საბავშვო მწერალთა პატრიოტიზმის თვისობრივ განსხვავებულობას.

ქართულ საბავშვო პოეზიაში დიდაქტიკური მოტივი, რომლის პოეტური ფორმის სახე — პოეტური დიდაქტიზმი — მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩაისახა, შემდგომ პერიოდში თანდათან განვითარდა; საბჭოთა საბავშვო სიტყვაკაზმულ საბავშვო პოეზიაში უკანასკნელ ექვსათწლეულში შექმნილ პოეტურ ნაწარმოებებში ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად, რომელიც ლექსის მუსიკალურ ელემენტობით, რიტმით, მხატვრული სახეებითაა გამოწვეული, ბავშვებს ბუნებრივად წარმოესახებათ ეს ხასიათი, ის სახე, რომლის შეგნებული შეცხოებისა და ამის შედეგად ძალდაუტანებლად განსჯის საფუძველზე ექმნებათ გარკვეული განწყობილება, დამოკიდებულება და შეხედულება. ასე მაგალითად შრომისადმი ბავშვების დამოკიდებულება შრომითი ცხოვრებისადმი გრძნობის აღზრდა, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებიდან ეროვნულ საბავშვო პოეზიაში მრავალფეროვან თემატიკურ სახესხვაობით ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს (ილია, აკაკო, იაკობი, ვაჟა, რ. ერისთავი, შიო მღვიმელი და სხვა), საბავშვო პოეზიის განვითარების შემდგომ ეტაპზედაც, და, კერძოდ, საბჭოთა საბავშვო პოეზიაში თვისებრივად სრულიად ახალ განვითარებას პოულობს. ეს თავისებრივი განსხვავებულობა განავითარა სოციალისტურმა წყობამ, რომელმაც შექმნა საფუძველი თავისუფალი



შრომის გამარჯვებისა, თავისუფალი შრომის პათოსისა, რაც თავის მხრივ ახალი ხასიათების, ახალი მორალის, ჩვენი საუკუნის მოწინავე აღამიანთა იდეურ-მორალური აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველთაგანია.

ის, რაც ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიაში დამახასიათებელია შრომითი ცხოვრებისადმი გრძნობის აღზრდის თემაზე დაწერილი ლექსებისათვის, ის არის, რომ მხატვრულ სახეთა სიუხვის გარეშე, ლექსის რითმულ რხევადობაში მოცემულია ბავშვთა შრომითი საქმიანობის სურათები.

განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შრომითი პროცესისადმი შიბაძვის შთამაგონებელი სურათები, ბავშვური მიამიტობით გატაცების, ფანტაზიისა და რეალური შესაძლებლობის სრულ პარმონიულობაშია გადმოცემული, წარმოჩენილი: მშენებლობის პათოსი საუკეთესო საბავშვო ლექსების ძელოდიურობასა და დინამიკაში ტონისა და რიტმის ცვალებადობით, დიდი ემოციური ძალით იგრძნობა: სოციალისტური გარემოსათვის დამახასიათებელი მშენებლობის მაღალი ტემპების დონეზე, საბჭოთა პოეზიისათვის საგულისხმო განსხვავებულობას ქმნის ის ნიშნული თავისებურება, რომ მასში არ არის მშრალი დიდაქტიკური მოწოდება შრომისაკენ, სალექსო სტროფებში აზრობრივ-ემოციური ფრაზების გამოკვეთით იგი ექვემდებარება შრომის პროცესების ჩვენება-წარმოსახვას. ეს განსხვავებულობა დამახასიათებელია როგორც არაპროფესიულ, ისე პროფესიულ ქართველ საბავშვო მწერალთა როგორც ლირიკულ, ისე პოეტური ეპოსით შექმნილ ნაწარმოებებისათვის.

მაღალმხატვრული და მაღალიდეური ქართული საბავშვო პოემა, რომლის შექმნა დაკავშირებულია დიდი ვაჟას, პ. ცახელის, შიო მღვიმელის და სხვათა პოეტურ სიტყვასთან, თანდათან მაღალი მხატვრული თავისებურებებით ვითარდებოდა; შიო მღვიმელი, რომელიც ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელია, მთელი თავისი პოეტური შემოქმედებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეცხრამეტე საუკუნის ქართული საბავშვო პოეზიიდან თანამედროვე საბჭოთა პოეზიის ფართო გზაზე გადამყვან მარადიულ „ნიღს“ წარმოადგენს; მისი საბავშვო პოეზია, რომელიც დიდი ელვარებით გამოჩნდა საბჭოთა საბავშვო პოეზიის სამყაროში, ახალ ნათელს, ახალ ფერსა და სურნელებას იღებს. ყოველივე ეს იგრძნობა არა მარტო მის ლირიკულ ლექსებში, არამედ საბავშვო პოემებშიც.

თანამედროვე საბავშვო მწერლობის უნარობრივ მრავალფეროვნებაში ობიექტური რეალობის ღრმად, ემოციურად, იდეურად, დასამახსოვრებელი პოეტური სახეებით, ფრაზებით, სიტუაციით წარმოჩენა, ჩვენი საუკუნის მტკიცე მოთხოვნას წარმოადგენს.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბავშვო პოეზიაშიც ყოველივე იმის შემოქმედებითად გამოყენებას, რასაც პროგრესული ტრადიციები თავის შინაგან ბუნებაში იტევდა სოციალისტური ეპოქისათვის სასარგებლოს და გახავითარებდა მას ახალი მოტივებით, მხატვრული გამომსახველობითი საშუალებით.

ასეთი პოეტური სამყაროს შექმნა იმით იყო გაპირობებული, რომ სოციალისტური ეპოქის მრავალსახოვანი და არაჩვეულებრივი სიზნაღი, შრომითი ენთუზიასტების გმირული საქმიანობა, რევოლუციური ენერჯია, ახალ თაობაში განუნახლვრელ ცნობისმოყვარეობის გამომწვევი ყოფილიყო, რაც სათანადო ზეგავლენას მოახდენდა ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, რწმენაზე, ხასიათზე. ამის გამო დიადი თანამედროვეობა, დიდი ოქტომბრის რევოლუციის ქარ-ცეცხლში შობილი სოციალისტური სამშობლო, ჩვეულებრივად მოითხოვდა შექმნილიყო ისეთი პოეტური ნაწარმოებები, რომლებშიც შთამაგონებლად იქნებოდა ნაჩვენები პროგრესულის რევოლუციური დინება, იდეალი და სინამდვილე, ორი სამყარო ისტორიული სიძარითით შეპირისპირებული, სოციალისტური ყოფის პერსპექტიული სიდიადე როგორც პოეზიაში (მიკროლექსებში, ლირიკულ თუ პოეტურ ეპოსის მაღალ მხატვრულსა და იდეურ ნაწარმოებებში), ისე პროზასა (მიკრო მოთხრობებში, ნოველაში, მოთხრობასა თუ საბავშვო რომანში) და საბავშვო დრამატურგიაში (დრამისა, ტრაგედიისა თუ კომედიაში).

ეს უაღრესად დიდი ისტორიული ვალდებულება, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის სამოციანი წლებიდან ორგანულად, ეფექტურად დაუკავშირდა ბავშვობის ასაკიდანვე ახალი ტიპის ადამიანის ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტუალური აღზრდა-განვითარების ეპოქალურ მიზნებსა და ამოცანებს.

რაც ამ მიზნით შექმნილია ქართული საბჭოთა მწერლობაში, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ჰეშმარიტებას, რომ თანამედროვე საბავშვო მწერლობაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა კონსოლიდაციის სათავე შიო მღვიმელისა და გალაკტიონის საბავშვო პოეზიით („ბავშვები კაფეში“, „უბინაო ბავშვი“, „საახალწლო“, „გაზაფხული“, „წიგნი“, „პიონერული“, „პიონერო, იყავ ღირსი“, ახალი თაობისადმი მიძღვნილი ლექსი“, ახალგაზრდობას“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“) იწყება, ხოლო საბჭოთა საბავშვო პროზაში კი ლეო ქიაჩელისა და ნინო საკაშიძის საბავშვო მოთხრობებით.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნათლად გამოჩნდა უაღრესად ეფექტური შედეგებით. ამის შედეგად შეიქმნა დაუვიწყარი პოეტური

სახეებით მდიდარი საბავშვო ლირიკა, პოეტური ეპოსი, ბელეტრისტიკა... დღეს, ქართულ მწერლობაში იშვიათია პოეტი, მწერალი, რომლის შემოქმედებაში ბავშვის თემას ადგილი არ ეპოვოს. ამ ჭეშმარიტების დადასტურებაა პოეტთა მეფის (როგორც მას თავის დროზე უწოდეს) გალაკტიონის პოეზია. გალაკტიონი რევოლუციის პირველ დღეებიდანვე გამარჯვებისკენ, ბრძოლაში ერთიანობისკენ მოუწოდებდა მშრომელ ხალხს — „შერთდით, შერთდით, შერთდით!... ამ ძლევამოსილ იდეას შთაავონებს პოეტი, აგრეთვე, პატარებსაც, როდესაც იგი პიონერებს მიმართავს.

„აბა, ჰე, აბა, ჰე,  
აბა, მიეცეთ მხარი მხარს,  
მშვიდობის დიდი დღე  
დასძლევს გრიგალსა და ქარს.  
აბა, ჰე, აბა, ჰე,  
პიონერო, მხარი მხარს!“

გალაკტიონი ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდობის შთამბეჭდავი ესთეტიკი სახეების შექმნით, ამ სახეთა მასშტაბურობის წარმოჩენით, საუკეთესო მაგალითს იძლეოდა ახალი ეპოქის დიად მიზნებთან როგორ უნდა წარმართულიყო თანამოკალმეთა შემოქმედებითი პათოსი.

ეს მეტად საგულისხმოდ, დროით ნაკარნახევი ვალდებულება; ერთხელ კიდევ ცხადად ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ეროვნული საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურა იქმნება არა მხოლოდ განსაკუთრებულად შემოსაზღვრულ შემოქმედთა, პროფესიული გატაცების მქონე ვიწრო წრის მიერ, არამედ იგი მთელი ეროვნული მწერლობის საპატიო ვალდებულებად იყო და არის აღიარებული, რის შედეგად ასახვის ჰორიზონტი, უანრობრივი მრავალსახეობა თანდათან შესამჩნევად გაფართოვდა.

ამ ჭეშმარიტებას ქართულ მწერლობაში, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, კლასიკურ პოეზიასთან ერთად გალაკტიონის მიერ ახალი თაობის ესთეტიკური სახეების შექმნითაც უახლოეს ქართულ მწერლობაში მყარი საფუძველი დაედო, რადგან მან დიდ მწერლობიდან ერთმა პირველთაგანმა უთაკილოდ მოჰკიდა ხელი სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა სულიერი სამყაროს თავისებურებათა მხატვრულ სახეებში ჩამოძერწვას; მათზე და მათვის დაწერილ ლექსებში პოეტი ჩვეული ოსტატობით იყენებს მოხდენილ ფრაზებს, მიმართევებს, შედარებებს, ეპითეტებს, რაც კონტრასტების ძლიერი ვანცლია და გააზრების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

სოციალისტური შეგნებულობის მაღალი გრძნობის აღზრდა ბუნებრივად ერთვის ხალხის სიკეთისათვის ბრძოლას; ხალხის ოცნება, ხალხის ფიქრები და ბრძოლის წყურვილი ყოველთვის იყო ადამიან-

თა შორის უსამართლობის მოსპობის, მტრის დათრგუნვის, მამათა ჯა პაპათა გმირული შრომისა და ბრძოლის სასახელოდ გაგრძელების ერთი უმთავრესი პირობათაგანი. ეს კარგად არის გამოხატული გალაკტიონის შიერ ახალგაზრდობისადმი მიმართებითი ფორმით დაწერილ ლექსში „ახალგაზრდობას“:

„ახალგაზრდა ახალ გზებით  
სალხში უნდა ტრიალებდეს,  
გრდემლსა სცემდეს და მინდვრადაც  
მერანს მიაქრიალებდეს.  
სადაც იგრძნობს უმართლობას —  
შურისგებით იალებდეს,  
კვლავაც რწმენის და სიმართლის  
დროშას ააფრიალებდეს...  
რომ ხელმარჯვედ მოქნეული  
ომში ხმალი წყრიალებდეს,  
რომ მტერს მისგან სასიკვდილოდ  
ტანში გააქრიალებდეს.  
რომ მშვიდობის დროს წიგნებზე.  
ტყის ფოთლები შრიალებდეს,  
რომ უხუცესთ მიმავალ გზით  
ახალს გააქრიალებდეს,  
რომ სამშობლოს ერთგულებს  
ფიცის სიტყვა გრიალებდეს“.

პოეტებიდან, რომლებმაც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე თავიანთ შემოქმედების ძირითად მიზნად საგანგებოდ ბავშვთა სულიერი სამყარო აირჩიეს, როგორც აღვნიშნეთ, არის ბავშვთა სულის მუსაიდუმლე შიო მღვიმელი.

შიო მღვიმელმა კლასიკური ეროვნული პოეზიის ტრადიციისა და დიადი თანამედროვეობის იდეურ-ესთეტიკური პრინციპების ჰარმონიული ერთიანობით, ასაკობრივი პრინციპების დაცვით, ქართული საბავშვო პოეზიის სრულფასოვანი ესთეტიკურ-მორალური და მალალი იდეური ნაწარმოებებით განვითარების ახალი ეტაპი შექმნა; ახალ თემებისა და მოტივების უკეთ წარმოჩენისათვის პოეტი გულდაგულ არჩევს ფრაზის სიტყვიერ მასალას, ლექსიკურ შედგენილობას, მარტივ ეპითეტებსა და შედარებებს, რათა ამან სათანადო გავლენა მოახდინოს ლექსის ინტონაციაზე და ნორჩ თაობაში განწყობილების, მისწრაფების, რწმენის, გატაცების მაგიურ ძალად იქცეს. მან პირველმა შეძლო რევოლუციამდელი პერიოდის საბავშვო პოეზიის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციები, საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების მიღწევების მარჯვედ გამოყენებით, თვისებრივად დროის სიხლით შეეცსო და უახლოეს ქართულ საბავშვო პოეზიაში ახალი ყდერადობით წარმოეჩინა. შიო მღვიმელი დიდი შემოქმედებითი ჰათოსით ამდიდრებდა ეროვნული საბავშვო პოეზიის საუნჯეს.

პოეტი სიფაქიზით და სიყვარულით გვიხატავდა საბჭოთა ბავშვების ახალ ისტერესებსა და მათ საზეიმო განწყობილებებს, ქცევებსა და განუსაზღვრელ ცნობისმოყვარეობას, სიკეთისა და სიმართლის ძალას; ბუნების მშვენიერებას და ბავშვთა აღტაცებას, მათ თამაშსა და შრომა-საქმიანობას ზოგჯერ მსუბუქი ჰუმორით გამოსატყდა. ყოველივე ამის გამოც შიო მღვიმელი უახლოეს ქართულ საბავშვო პოეზიაში გახსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შიო მღვიმელის დიდი დამსახურება საბავშვო პოეტური ეპოსის განვითარებაში. მართალია, პოეტის საბავშვო პოემები პოეტური ხერხით ქართულ ფოლკლორთან მჭიდრო კონტაქტშია, მაგრამ ფოლკლორული საწყისების შემოქმედებითად გამოყენებით სრულ ორიგინალობას მაინც ინარჩუნებს.

შიო მღვიმელი პატარებს ამქვეყნად ყველაზე საყვარელი ადამიანის — დედის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას უნერგავს. იგი ასწავლის მათ, რომ დედაზე მზრუნველი, დედაზე საყვარელი ამქვეყნად არავინ არის; დედა ზრუნავს ბავშვებზე, უფრთხილდება მათ სიცოცხლეს, უმღერის მათ იავნანას, დედა ღერის ცხარე ცრემლებს შვილის უბედურებაზე. ეს აზრია გატარებული ლექსში „დედა-შვილი“:

„უფრო მეტად ვის უყვარხართ,  
ვინ გფენთ, შვილო, გულს სიამეს,  
ვინ ატარებს თქვენს ზრუნვაში  
მოუსვენრად დღეს და ღამეს?  
დედა ჩვენი საყვარელი.  
ვინ მოგიტორობთ ღამით ზღაპრებს  
ვინ დაგმღერით ტკბილად ნანას,  
ვინ გავედრებთ გულმხურვალედ  
მალლა ცას და ძირს ქვეყანას?  
დედა ტკბილი, სანატრელი“.

პოეტი ნორჩებს ბუნების, ცხოველთა და ფრინველთა სიყვარულს უნერგავს, ასწავლის, რომ საჭიროა მათი დაცვა. პოეტის აზრით ადამიანს არ უნდა დაეხოცა ნადირი, არ უნდა გაენადგურებინა ტყე. ეს აზრია გატარებული ლექსში „შველი“, სადაც პოეტი ამბობს, რომ

„ბუნება იმ დროს ბოროტი  
კაცისთვის, ვიცი მწყურალია,  
თუ ჩახმახს ფეხზე შემოსვამ  
ტყვილად აეწვის ფალია“...

პოეტი კიცხავს ზარმაც, უქნარა ბავშვებს და ამით შეაგონებს, რომ განუძრვილონ ასეთ ქცევას, აი, როგორ ახასიათებს პოეტი ზარმაცს;

„რანაირად გამიძნელდა  
ღღეს სწავლა და გაკეთილი?!

დავიღალე, მომეწონა,  
სამსაქნარებს და მომდის ძილი.  
...დავიღალე, სიჩუმეა,  
რა რიგ გინდა კარზედ გავლა!  
რა ძნელია, რა ძნელია  
სკამზე ქდომა, კლასში სწავლა“.

ქართული საბავშვო პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებლის შიო მღვიმელი მდიდარ შემოქმედებაში პოეტური ეპოსი ხასიათდება თემატიკური მრავალფეროვნებით, ტიპური პერსონაჟებით, ენის სისადავით, ხალხურობით, მაღალი იდეურ-მსატერული ღირებულებით. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი საბავშვო პოეტური ეპოსის სპეციფიურობის ოსტატურად წარმომჩენი ნაწარმოებები, როგორცაა „ოთხი ძმა პეპელა“, „ოქროს თავთავი“, „ზამთარი და ნიბლია“, რომლებშიც შენარჩუნებულია ლექსის ბუნებრივი მდინარეობა, მისი რიტმულობა და ინტონაცია, რაც ბუნებრივად შეიცავს დიდ ესთეტიკურ-ემოციური ზეგავლენის ძალას.

უდავოა, რომ შიო მღვიმელმა კლასიკური ეროვნული პოეზიის ტრადიციისა და დიადი თანამედროვეობის იდეურ-ესთეტიკური პრინციპების ჰარმონიული ერთიანობით, ასაკობრივი პრინციპების დაცვით, ქართულ საბავშვო პოეზიაში სრულფასოვანი ეპიკური ნაწარმოებების განვითარების ახალი ეტაპი შექმნა.

ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიაში დიდი შემოქმედებითი პათოსითა და პოლიტიკური სიმახვილით გამოირჩევა რევოლუციის მქუხარე პოეტი გიორგი ქუჩიშვილი. რომლის საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები კარგად გამოხატავენ ხალხთა შორის სოლიდარობის გრძობას, ორი სამყაროს თავისებურებას. გიორგი ქუჩიშვილი იყო ერთი პირველთაგანი, დიდი ქართული პოეზიიდან შემოქმედებითი პათოსით რომ იღვწოდა ქართული საბჭოთა საბავშვო პოეზიის აღმავლობისათვის და ვისთვისაც დამახასიათებელია ახალი იდეური მგზნება; სიმღერა საბჭოთა ქვეყნის ბავშვთა ძლიერი ოჯახის შესახებ („ჩვენში და-ძმურად არიან შვილები სხვადასხვა ტომისა“), რომელიც ბუნებრივად ექსოვება საბჭოთა ბავშვის ინტერნაციონალურ ბუნებას („ყველა ქვეყნის ბავშვთა შორის გაბმული გვაქვს მტკიცე ძმობა და ბრძოლებში მოღლილ მამებს მყისვე შესცვლის ჩვენი ყრმობა“), ამავე დროს, სასიცოცხლოდ უკავშირდება ახალი თაობის საბრძოლო შემართებას და ამ მხრივ მათ წრთობას ცხადად გამოხატავს პოეტის შემდეგი სიტყვები:

„ქარიშხლის შვილები ვართ,  
არ გვჩვევია შიში, დაღლა,  
ოქტომბერის ამაყ დროშებს,  
ვაფრიალებთ ლაღად, მაღლა“.

გ. ჭეჭიშვილი ბავშვებისათვის გასაგები ენით, აზრს სიქსადით, პატარა მკითხველებს უმტყიცებს რწმენას, რომ აუცილებელია სოციალურად დაჩაგრული მსოფლიო ხალხთა შეილება მშობა („გაუმარჯოს ყველა ქვეყნის პროლეტარულ ბავშვთა მშობას“), რათა ჩვენს პლანეტაზე საერთო სახალხო ბედნიერება იქნეს მოპოვებული.

პოეტის საბავშვო ლექსი არაჩვეულებრივი მუსიკალური ელერადობით და რიტმულობით, პიონერებისათვის სასიძღვრო ჰიმნად არის გადაქცეული, სადაც ბრძოლისათვის განწყობილი ახალი თაობის სულისკვეთება ბუნებრივი ელერადობით მოედინება.

საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძობის შემცველი, პოლიტიკური ხასიათის ლექსების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ილია სიხარულიძეს. ამ მხრივ საყურადღებოა პოეტის ლექსები „ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწა“, „ოქტომბრის ყვავილები“ და სხვ.

აღაპიანში საერთაშორისო სოლიდარობის, ინტერნაციონალური გრძობის აღზრდა, სათავეს იღებს საკუთარი ხალხისადმი სიყვარულში. ეს მაღალი გრძობა შეუთავსებელია შოეინიზმთან. ამ აზრის პოეტური დიდაქტივიზმის აქტიური ფორმით შეგონება, უმცროსი ასაკის ბავშვის მიამიტურ ბუნებას კეთილსასურველ გრძობის აღზრდისაკენ წარმართავს, ამასთან ბავშვებში კერძომესაკუთრული, ეგოისტური ინსტინქტებისადმი საწინააღმდეგო განწყობილების აღძვრა, ბუნებრივად ექსოვება ინტერნაციონალური სულისკვეთების აღზრდა-განმტყიცებას, კერძოდ იმ ჰემარიტებას, რომ მშრომელი ხალხისათვის უცხოა ვიწრო ეროვნული კარჩაკეტილობა, ვიწრო დანტერესება, რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც ადამიანისათვის სიძულვილის დემონსტრაციაა.

ქართულ საბჭოთა საბავშვო პოეზიის განვითარებაში გამოჩენილ პოეტს იოსებ გრიშაშვილს დიდი დამსახურება აქვს; პოეტის საბავშვო პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებში ესთეტიკური სიამოვნებასთან ერთად, რომელიც ლექსის მუსიკალური ელერადობით, რიტმით, მხატვრული სახეებით არის გამოწვეული, ბავშვებს ბუნებრივად წარმოესახებათ ის ხასიათი, ის სახე, რომლის შეგნებული შეცნობისა და გახსჯის საფუძველზე ძალდაუტანებლად ექნებათ გარკვეული განწყობილებანი, დამოკიდებულება და შეხედულება.

სოციალისტური მშენებლობის პათოსი, სწრაფვა ცოდნის შეძენისაკენ, სიზარმაცის დაგმობა, მეგობრობა, საბჭოთა ბავშვების ყოველდღიური საქმიანობა დიდი ემოციური ძალით იგრძნობა, ისე, რომ მასში არ არის მშრალი დიდაქტივიზმი. ეს თავისებურებანი საუკეთესოდ არის გამოვლინებული ისეთ ლექსებში, როგორცაა „ეთერიკოს

თაიგული“. „გოგია და მურია“ „პატარა ოსტატები“, „ჩემი წიგნი“ და სხვ.

ისტორიული წარსული, სოციალისტური მშენებლობა, დიდი სამსახულო ომი, საბჭოთა ბავშვების ყოველდღიური საქმიანობა, უარყოფითი ჩვევების მხილება, კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა ცხოვრება, შეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, რწმენა ი. გრიშაშვილის საბავშვო პოეზიაში გადმოცემულია სადად, გასაგებად, საინტერესო სიუჟეტით, სურათოვნებით, პოლუსური დაპირისპირებით. იუპორით. პოეტს მხედველობიდან არ რჩება არცერთი საკითხი, რომელიც დიადი თანამედროვეობის ახალი ტიპის ახალგაზრდას უნდა ახასიათებდეს:

„ჩენს ქართულ ხელთნაწერებს  
რა სქობია, აბა. მითხარ?  
წაკითხეაუ რომ არ გინდოდეს  
დაგაწაფებს წასაკითხად.  
ამიტომაც ვიღრე, შეილო,  
მოსწავლე ხარ. ახალგაზრდა,  
უნდა ლამაზ წერით შეძლო  
შეჯიბრება ლამაზ აზრთან.“

აღსანიშნავია, ამავე დროს, პოეტის მიერ ახალი ტიპის ახალგაზრდის გონებრივი განვითარების ჰორიზონტის გაფართოებისათვის მზრუნველობა, ფართო ინტელექტუალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შეგნებულად გააზრება და აღზრდა-განმტკიცება. ამ მიზნით, პოეტი შთააგონებს ახალ თაობას, რომ ის უნდა დაეუფლოს ძმობის ენას — რუსულ ენას და მიმართვის ფორმის ოსტატურად გამოყენებით მოზარდს შეაგონებს, რომ ენდოს მის სიტყვებს, მის რჩევას და სხვა ენებზე უფრო მეტად რუსულ ენას დაეუფლოს, რადგან სხვა ქვეყნებში მოგზაურობის დროს ცოდნის, ნიჭის გამოჩენისათვის, მეგობრებთან შეხვედრისას საუბრისას, აზრის გაზიარებისას არ შერცხვები, თუკი გეცოდინება რუსული ენა.

„პუშკინის ხმა! ლენინის ხმა! მთელ მსოფლიოს ჰქარგავს,  
სწავლას მოსდევს სიხარული! დაიხსომე კარგად,<sup>1</sup>  
ამიტომაც ახალგაზრდავ, სხვა ენებზე უფრო  
რუსულ ენას, რუსულ ენას უნდა დაეუფლო!“

ი. გრიშაშვილი განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს და მხატვრულ სახეში წარმოაჩენს უარსაყოფ, დასაგმობ ჩვევა-საქმიანობას. სწორედ ის იღეა აცისკროვნებს მის ისეთ პოეტურ ნაწარმოებებს, როგორცაა „ძილისგუდა“, „ონავარი“, „მიყიდე“, „ლაზლანდარა“, „ზარმაცი“.

საინტერესო სიუჟეტით, ნაირფეროვანი მხატვრულ ხერხთა ოს-



ტატურად გამოყენებით, იუმორით განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა ქართულ საბავშვო ეპოსის სამყაროდან ი. გრიშაშვილის საბავშვო ზღაპრები: „ბაბაჯანას ქოშები“, „მუსტაფას ვირი“.

ახალ თაობაში საბჭოთა პატრიოტული გრძნობის აღზრდა თანამედროვე საბავშვო პოეზიაში მწერლობის უმაღლესი და უკეთესობილესი მოვალეობაა; ის, რაც ამ თემაზე უახლეს ათეულ წლებში შექმნილი ნაწარმოებების მაღალ იდეურობასა და მაღალმხატვრობას ეპოქის შესაბამისად გამოხატავს, ეს ისაა, რომ მათში გმირული წარსული წარმოდგენილია ახალი პატრიოტული შთაგონების წყაროდ, სამშობლოს საკეთილდღეოდ ახალი შემართებისათვის.

ამ მიზნით პოეტური სიტყვის ოსტატებმა, ვიმეორებთ, გამოიყენეს ქართული ეროვნული საბავშვო პოეზიისათვის უცნობი პოეტური ხერხი — დროის ფაქტორების მხატვრული შედარება-შეპირისპირების ფორმა ამბავის ეპიზოდური თხრობით, რომელიც ორგანულად ერწყმის მწერლობისათვის დამახასიათებელ პედაგოგიკურ პრინციპებს — ნაცნობიდან უცნობისკენ; ახლობლიდან შორეულისაკენ, ორი სამყაროს პოლუსური განწყობილებანი და ამ გზით მიღწეული პოეტური წარმოსახვით მიზნობრივი ჩანაფიქრის ეფექტურობა.

ამ მხრივ საბავშვო-პოეტური ეპოსის ისტორიაში განსაკუთრებული ეტაპობრივი მნიშვნელობის მქონეა გამოჩენილი საბჭოთა პოეტის ირაკლი აბაშიძის პოემა „რას გადაურჩა თბილისი“, რომელიც საგანგებოდ მოზარდი თაობისათვის არის დაწერილი.

ამაზე მეტყველებს ცალკე წიგნად გამოცემულ პოემას წამძვარებული პოეტის შემდეგი სიტყვები: „ეს საყმაწვილო წიგნი ლექსად იმ აზრითა და იმედით კი არ იწერებოდა, რომ იგი უთუოდ პოეტური სიტყვის დიდებულ საგანძურში მოხედებოდა, არა, ეს დიდძო მიზანი მას არც შეიძლება ჰქონოდა: იგი მხოლოდ ლექსის სტრიქონებად ქცეული ჩვენი დედაქალაქის წარსულია, მტრის ცეცხლითა და მახვილით უმოწყალო შემოტევებით აღსავსე წარსული.“

ლექსად ამღერებული ეს მწარე წარსული იქნებ უფრო ღრმად აღიბეჭდოს ჩვენი მოზარდი თაობის გულსა გონებაში. სხვა მიზანი ამ პატარა წიგნს არა ჰქონია“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. ჩ.).

ირაკლი აბაშიძის აღნიშნული პოემა საინტერესოა არა მარტო იმით, რომ იგი წარმოადგენს ქართულ ეროვნულ საბავშვო მწერლობაში არც თუ ისე ფეხმოკიდებული ეპიკური ჟანრის — ისტორიული პოემის თავისებურებათა განვითარებას, არამედ იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი საბჭოთა საბავშვო პოეზიაში, პროგრესული ტრადიციებისა და თანადროულობის ჰარმონიული მთლიანობის საფუძ-

ველზე, ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის პათოსის ფრაგმენტირებულ ჩვენების, მხატვრული ფორმით გადმოცემის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს; ის, რაც პოემაში მხატვრული განსახიერების საგნად არის გადაქცეული და ეპოქის თავისებურება ბავშვის ცნობიერებამდე მხატვრული სიტყვით არის დაყვანილი, ეს მიღწეულია პოემის ორი ელემენტის ფორმისა და შინაარსის პარამონიული ერთიანობით... ამ უკანასკნელს, პოეზიაში ყოველთვის ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რაზედაც ლიტერატურული კრიტიკა განსაკუთრებული მინიშნებით შეაგონებდა მხატვრული სიტყვის ოსტატებს: „რა მშვენიერი აზრებითაც არ უნდა იყოს აღსავსე ლექსი, რა მძლავრადაც უნდა გაისმოდეს მასში თანამედროვე საკითხები, თუ მასში პოეზია არ არის, მასში არ შეიძლება იყოს არც მშვენიერი აზრები და არც არავითარი საკითხი, და მასში შეიძლება შეამჩნიოთ მხოლოდ ჩინებული განზრახვა, ისიც ცუდად შესრულებული“<sup>1</sup>.

პოემის შესავალში წარმოსახულია პოეტის ხედვის არეში მოქცეული თანამედროვე ქალაქის მომხიბვლელი პანორამა, თანამედროვეობის სიდიადე, სიასლეთა მრავალფეროვნება, ინდუსტრიალური პეიზაჟის რიტმულ არეში მოქცეული სანახები ავჭალიდან ნავთლულამდე; ძველი ქალაქის ქართული წარსულისა და თანამედროვეობის ტიპური შეპირისპირებით პოეტს მკითხველი ცნობიერად შეჰყავს ისტორიული წარსულის შევბედილობის მწვავე განცდებში, რომელსაც იმედიაანობის, ხალისიანობის განწყობილებას უქმნის მხოლოდ დიადი თანამედროვეობა:

ბრწყინავს ახალი თბილისი.  
ძველი ქალაქი ქართული,  
სახლებს ეკვრიან სახლები,  
სართულს აწევა სართული.

გამზირს მიჰყვება გამზირი,  
ფალავანივით განთქმული;  
ბოლავენ ქარხნის მილები,  
მშვიდად. შრომაში გართულნი

ავჭალიდან ნავთლულამდე  
გაუშლია თბილისს მხარი,  
არც ის ძველი კედლები ჩანს.  
არც ქალაქის ძველი კარი...

მტკვარზე ხიდი ჩელუსკინი  
მოჩანს, როგორც დიდი ნავი,  
ქალაქს თავზე დაგუგუნებ!  
გასარკული თვითმფრინავი...

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბ., 1948 წ.

პოემაში შთამაგონებლად არის წარმოსახული ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული სავეც სიახლითა და ნაცეცხლარის ფერფლით, აოხრებით, ცრემლითა და გმინვით, მუხანათობით და მზაკვრობით, დანგრეული ფუძეების აღდგენითა და განაწლებისაკენ სწრაფვით.

პოეტი მხატვრულ სახეთა რკალური თანმიმდევრობით (სპარსი — მტერი სამხრეთელი, ხაკანი და კეისარი, არაბობა, თურქობა, ხვარაზმელები, მონღოლები, ლეკი, ოსმალო, სპარსელი, ისევ სპარსეთი), მკითხველს თვალწინ გადაუშლის საქართველოს ისტორიის მძიმე სურათებს, წინაპართა გმირულ ბრძოლებს მუხანათი მტრების წინააღმდეგ, რითაც უღვივებს რა წინაპრებისადმი პატივისცემის გრძნობას, ბუნებრივად უკავშირებს დღევანდელ, ახალ თბილისს — სიმშვიდით, სიმდიდრით, თავისუფლებით დამშვენებულს.

პოეტი შთამაგონებლად წარმოგვიდგენს წარსულის მძიმე სურათს:

„ქართლი თბილისს აშენებდა,  
აწყობდა და აარსებდა.  
მტერი თბილისს აოხრებდა,  
წაწდა ვინც ვის დაასწრებდა,  
ოქროთი და განძეულით  
აოცებდა იგი მნახველს...“

ან კიდევ:

„ვერ აღწერდა კაცის ხელი  
მის სიმდიდრეს აურაცხელს.  
მოილტვოდნენ, ამოეგლოთ  
მისი ფუძე, მისი ფესვი  
მოილტვოდნენ, გაეძარცვათ  
პალატები უმდიდრესი“.

პოემის შესავლისა და ბოლოსიტყვის მხატვრულ სახეში, ამ სახეთა პოეტურ ქდერადობაში იგრძნობა თბილისის სიახლით გამოწვეული აღტაცება, აღმაფრენა.

ეროვნული ტკივილები პოეტის მიერ გადმოცემულია თხრობითი ინტონაციით რიტმულ ცვალებადობაში, რაც გაპირობებულია რეამარცვლოვანი და თორმეტმარცვლოვანი ტაეპების მონაცვლეობით. ეს დიდ ესთეტიკურ განცდებს იწვევს და მშობლიური ხალხის წარსული გმირული ცხოვრების დაუვიწყარ სურათებს ნათლად წარმოადგენს, რაც პატრიოტული გრძნობის დამამკვიდრებელი ფაქტორია.

პოემის შესავალსა და ბოლოსიტყვაობას პოეტის მიერ მიკუთვნებული აქვს შედარების ფუნქცია, თანამედროვე „ოქროსფერ თბილისისა“ მრისხანე და სისხლიან დროში იავარქმნილ დედაქალაქთან.

პოეტური ენის ცხოველმყოფელობით, ამბის დინამიკურად გადმოცემით მიღწეულია რთული შინაარსის ადვილად აღქმა, კონკრეტულის ცოცხლად წარმოსახვა („არაბობა“, „ბრძოლა თბილისისათ-

ვის“, „სისხლიანი წვიმები“ და სხვ.), რაც დიდ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. ყოველივე ეს შედეგია მხატვრული რეალიზმის პრინციპების პედაგოგიურ პრინციპებთან ორგანულად შერწყმისა.

პოემის ბოლოსიტყვაობაში პოეტი გვიხატავს ახალი თბილისის მშვიდ და თავისუფალ ცხოვრებას, დედაქალაქის განახლებას, ვერაგი და ცბიერი მტრების საბოლოო განადგურებას და ახალი სიცოცხლით სავსე თანადროულობის ფერად სურათებს ლაკონურად — „გადაწყდა ბედი ქართლისა“, ხედვა მიმართულია „ჩრდილოეთისაკენ ნუგეშით“, რითაც პოეტი მიანიშნებს მკითხველს საქართველოს რუსეთთან დაკავშირების იმედიაზრობისაკენ.

ქართული საბჭოთა საბავშვო პოეტური ეპოსის საგანძურში ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ირაკლი აბაშიძის „მღერის მხოლოდ ადამიანი“, რომელიც სადად და დახვეწილი ფორმით შთააგონებს მკითხველს ყველა სულიერთა შორის მხოლოდ ადამიანია განუმეორებელი, მხოლოდ მისთვის კუთვნილი უმაღლესი მომხიბვლელობით ჰქმნის ამქვეყნიურ სულიერს, ეთიკურსა და ესთეტიკურ კმაყოფილებათა პარმონიას.

პოემაში სულიერთა სამყაროს შვილების მეტყველებაში შიგადაშიგ ჩართული დიალოგები, რომლებიც დიდი სიკეთის ძიებისაკენ რაღაც მომაჯადოებელი ძალით არის მიმართული, მეტად მიმზიდველად. საინტერესოდ იპყრობს მკითხველის ყურადღებას და სათანადო განსჯის უნარის შეუცვლელი სტიმულატორია.

პოემაში განსაკუთრებული პოეტური ორნამენტებით არის მოცემული ხალხურ შემოქმედებაში დამკვიდრებულ პერსონაჟთა ხასიათები, თხრობის მანერა ზღაპრისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ნიშან-თვისებით არის წარმოდგენილი, რაც პოეტის იდეურ მიზანდასახულობასთან ბუნებრივად არის დაკავშირებული, რის შედეგად პოემა გასაოცარი დაინტერესებით სასიამოვნო საკითხავ და ადვილად შესაცნობ ნაწარმოებად გვევლინება; პოეტი შეგნებულად მიმართავს ქართული ფოლკლორის ცალკეული სახეების — ბულბულის, შაშვის, ლომის, სპილოს, ყირაფის, ირმის, დათვის, ცრუ მელას, ტურის, ცხვრის, კურდღლის, დინოზავრის და სხვათა სახეების გაპიროვნების ხერხით წარმოდგენას სადად, გასაგებად და საინტერესოდ.

ამ სახეთა შინაგან სულიერ ბუნებას მათთვის დამახასიათებელი თავისებურების თუ მათში არსებული სწილუმლოების გამომწვეურებით გვიჩვენებს მათი ხასიათების გამომსახველობას და ამავე დროს ცხადად არის გამოხატული თითოეული მათგანის მაღალ ადამიანურ სიკეთესთან, ცხოვრების მშვენიერებით ტკბობისათვის ახალი ხასიათის, ახალი შინაგანი შესაძლებლობის შექმნის წყურვილის შეუსაბამო მათ ბუნებასთან.

პოემა არწმუნებს მკითხველს, მხოლოდ კეთილშობილი ადამიანი დგას ბუნების თვალწარმტაც მრავალფეროვნებაში ამაყად, უწყინარ ბულბულის დამატკობ ხმასთან ტკბილ განცდებში ამაღლებულად და თვითონაც სიმღერად ქცეული, ხოლო სიმღერა სიცოცხლეა და სიცოცხლე თავად სიმღერაა, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ცხოვრების მშვენიერებით ტკბობისათვის.



ქართული საბჭოთა საბავშვო პოეტური ეპოსის თანამედროვეობის ეპოქისეული მოთხოვნის მიხედვით შემდგომი აღმავლობისათვის მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნ. ჩაჩავამ, ი. სიხარულიძემ, გრ. აბაშიძემ, მ. მრეელიშვილმა, მ. ფოცხიშვილმა, ხ. ბერულავამ, ოთ. ქვიციანიძემ, მარიჯანმა და სხვ.

მათ მიერ თანამედროვეობის წინაშე დასმულ აქტუალურ ცხოვრებისეული აქტუალური საკითხები, საგანგებოდ ბავშვთათვის, მოზრდილთათვის, ახალგაზრდობისათვის შექმნილ პოემებში დიდად შთამაგონებლად არის წარმოსასული ასახვის სოციალისტური რეალიზმის მეტოდის ეფექტურად გამოყენებით, რითაც დაიწყო ქართული საბჭოთა საბავშვო პოეტური ეპოსის განვითარების ახალი ეტაპი.

საბავშვო პოეტური ეპოსის მრავალსახეობაში (ნოველისტური, ლირიკული და ა. შ.) ტრადიციული თემებისა და მოტივების შემკველი ნაწარმოებების შექმნელ მხატვრული სიტყვის ოსტატობის წინაშე დიადმა თანამედროვეობამ დასვა საკითხი ობიექტურად დასამახსოვრებელ მხატვრულ სახეებში წარმოეჩინათ სოციალისტური მშენებლობის, ერთა თანამეგობრობის წინააღმდეგობებით აღლევებული ცხოვრების ტიპური სურათები — სამართლიანობა და უსამართლობა, ბედნიერება და უბედურება, ადამიანთა ბრძოლა თავისუფლებისათვის, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და სხვ.

ქართულ საბავშვო პოეზიაში პოეტი მ. მრეელიშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომლის მდიდარ შემოქმედებაში ბავშვებისადმი სიყვარული არაჩვეულებრივი სიძლიერით ჩქეფს, მის საბავშვო ლირიკაში თუ კომპოზიციურად სისადავით შექმნილ ეპიკურ ნაწარმოებებში გულწრფელ და მაღალ პოეტურ სახეებში გასაგებად, ემოციურად ძლიერად არის გამოხატული საბჭოთა სამშობლოს სიდიადე, საბჭოთა ბავშვების ცოცხალი და მართალი სახეები იმგვარად, რომ შეუძლებელია უმცროსი ასაკის ბავშვის მიამიტურ გულის ძგერის თანაზიარი არ გახდეს.

როგორც ამას დიადი თანამედროვეობა გვკარნახობს, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის აღზრდა ერთ-ერთი აქტუალური საკი-

თხია. სწორედ ამას უძღვნა მ. მრეელიშვილმა კომპოზიციურად თავისებურად ჩამოძერწილი პოემა „გოგია და ტოლია“.

ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი თემა პოეტს საბჭოთა ბავშვების ტიპურ ცხოვრებისეულ სურათებთან პარამონიულად აქვს ჩაქსოვილი ქართველი და უკრაინელი ბიჭუნების მაგალითზე:

„ჩვენი ორი ბიჭუნა ერთმანეთის ტოლია.  
ერთსა ჰქვია გოგია, მეორეს კი ტოლია...  
ერთი არის ქართველი, ერთი უკრაინელი,  
ძმებს რომ ჰგვანან არ არის ჩვენთვის გასაკვირველი“...

ორი ეროვნების ბავშვთა ხალასი მეგობრობა, ძმური სიყვარული ნაჩვენებია პიონერთა დიდ კოლექტივში ყველგან — გზაზე, აგარაკზე, ექსკურსიაზე, ყანაში, კალოზე მუშაობისას თუ დროის ტარებაში, ბუნების მრავალნაირ მშვენიერებაში, სადაც საუკეთესოდ იგრძნობა ერთიანი კოლექტივის სული. მათ შორის დიდი სიყვარულით განმტკიცებულია აზრი — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.

ამ აზრის განმტკიცებას ემსახურება ზნეთსწავლების მშრალი ფრაზების გარეშე, უსიამოვნო განწყობილების გამომწვევი მიზეზების ერთიანი ძალით მოსპობა, რის სიმბოლური მინიშნება ტიპურია. სურათების გადმოცემით კარგად არის გადმოცემული: „ავგიტირდა ივლიტა, სატირალი რა იყო? მერე ყველა ბიჭუნამ თითო წყეპლა აიღო, გამალებით ეძებენ გოგონები, ბიჭები, რომ სულ მოსპონ, რაც არის ეკალი და ღიჭები“.

სამამულო ომის თემაზე შექმნილ საბავშვო პოეტური ეპოსის ისტორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ხ. ბერულავას ნოველისტური პოემა სამამულო ომში გამირულად დაღუპული ოცი წლის ქართველ გოგონაზე — თინა თორტიზელის ცხოვრების, ბრძოლისა და ოცნების, რწმენისა და თავდადების შესახებ, რომელიც პოეტმა პოეტურ თხრობაში ზოგჯერ ლირიკული ნიუანსის შერწყმით ჩამოძერწა.

თინა თორტიზელი იმ გოგონათა ტიპური სახეა, რომლებსაც საბჭოთა ხალხი, ყველა კეთილი ადამიანი, ჩვენი დიდი სამშობლო არასოდეს დაივიწყებს. ეს არის ის გოგონა, ვიზედაც პოეტი გულწრფელად ამბობს, რომ ის ოცი წლის ახალგაზრდა სიცოცხლითა და ხალისიანი ოცნებით ცხოვრობდა უხილავი ბედნიერების მძაფრი წყურვილით, მშვენიერებით გულანთებული ზღაპრის ჩიტივით ჩიორა ქალით.

თინა თორტიზელის მხატვრულ სახეში საოცარი ძალით იგრძნობა ადამიანისა და ქვეყნის ბედი, ბნელ ძალებზე გამარჯვების მტკიცე რწმენა, ორიგინალურად, კომპოზიციურად თავისებურად აგებულ

პოემის სიმფონიურ ელერადობაში კარგად იგრძნობა გოგონას გმირობით გამოწვეული ავტორის აღტაცება. ამასთან ერთად, ღრმა თანაგრძნობაც და ბოლოს კი დიდი გულისტკივილი.

ქართული საბჭოთა საბავშვო პოეტური ეპოსის თემატური მრავალფეროვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანია გრიგოლ აბაშიძე, რომელმაც ასახა საბჭოთა ხალხის გმირობა — მამაცობა ფაშისტებთან ბრძოლაში („ავი ღლავი“), კაპიტალისტური ქვეყნების ცხოვრების ტიპური მოვლენები, ჰუმანზმი, მეგობრობა, ურთიერთდახმარება, („მეცამეტე გოჭი“, „ნაბოლარა წიწილა“, „ფისოს გასეირნება თვითმფრინავით“).

ქართული საბჭოთა საბავშვო პოეტური ეპოსის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოემაა „რუსთავის მერცხლები“, სადაც დიდი ეპოციური ძალით ცოცხლადაა წარმოდგენილი კაპიტალისტურ სამყაროში მძვინვარე რასობრივი სიძულელი, რის შედეგად ბავშვები უმძიმეს მორალურსა და ეკონომიკურ მდგომარეობაში ვარდებიან.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისა და იქ მოინდარეთა ცხოვრების შედარება-შეპირისპირების ხერხით ორი სამყაროს ცხოვრება საუკეთესოდ არის წარმოჩენილი სწორედ ზემოაღნიშნულ პოემაში: გაზაფხულზე სამხრეთიდან დაბრუნებული „მეგობრივი ჯირის მნახელი“ მერცხლები ხედავენ მანამდე არასცხულ გარემოს: „ამ ადგილას ქალაქი როდის გაჩნდა ამხელა, ნეტავ რა ქალაქია, ან რა ჰქვია სახელად?“... ქალაქს ჰქვია რუსთავი, გახლავთ ქვეყნის მშვენიება“...

აღნიშნულში ბუნებრივად არის შეპირისპირებული მეორე სამყაროში ყოფნისა და ცხოვრების მძიმე სურათების ხატვა: „ვნახეთ ზევრი ავდარი, თბილ ქვეყნებში ჩაგვმწარდა წლევანდელი ზამთარი“.

პოემა მოგვითხრობს მშრომელი ზანგის ტრაგიკულ ზედზე, რასისტულ დევნა-შევიწროებაზე; თეთრკანიანები არბევენ ზანგის ოჯახს: „საბრალო ზანს დაუწყეს ცემა გაბოროტებით. თავად თეთრკანიანი იყო ყველა მათგანი, აქვე მოვკლათ ზანგიო, გაისმოდა ყაყახი, ყველაფერი დაღეწეს, სკამიც, ბავშვის აკვანიც, ბავშვთა ტირილს ფარავდა მათი ურცხვი ხარხარი, ერთმა წამოიძახა: „დავწვათ ზანგის სახლ-კარი“. ესა თქვა და სახლს ეცა მთელი გუნდა ყაჩაღთა, წამსვე ბოლი ავრდა, წამსვე ცეცხლი გაჩაღდა... ასე დასწევს სახლ-კარი ზანგის მამა-პაპათა, ფერფლი დარჩა ქონისგან, ისიც ქარმა გაფანტა“...

რუსთავში მოფრენილმა მერცხლებმა მხოლოდ აქ იგრძნეს შვება, მეგობრული მხარდაჭერა, მზრუნველობა...

ახალი ყოფა, ინდუსტრიალური მშენებლობის სიდიადე, ხალისიანი "როჰა და კმაყოფილება მხოლოდ სოციალისტურ სამყაროში იხილეს და განიცადეს, ხაამოდ იგრძნეს... ყოველივე ამის გამო, პოემის აღშრდებლობითი და საგანმანათლებლო ფუნქცია უაღრესად მნიშვნელოვანია, რომელიც ბუნებრივად თან ახლავს პოემის იდეურ-ესთეტიკურ თავისებურებას თბრობის დინამიკურ პროცესთან მუსიკალურ კეთილზმოვნებასთან შეთავსებით.

ქართულ საბავშვო პოეზიაში პრობლემეტიკის ისტორიული ასპექტით განხილვასთან დაკავშირებით, ლიტერატურულისა და პედაგოგიკურ კრიტიკის აქტიური ყურადღების არეში ბუნებრივად უნდა მოექცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნა, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით საბჭოთა ხალხის გმირული შრომითი ცხოვრება, მეცნიერულ-ტექნიკური ძლიერების წარმატებების შედეგად სიახლისაკენ სწრაფვის, რწმენის, ნების სიმტკიცის მქონე საბჭოთა ქვეყნის ინტელიგენციის, მუშათა კლასის კოლმეურნე გლეხობის მიერ სიახლეთა დახერგვაში გამოჩენილი ტიპური სახეების შთამავონებელი წარმოჩენა.

და აი, როცა უახლეს ეპოქისეულ ამოცანებთან დაკავშირებით ტიპურ ცხოვრებისეულ პრობლემებზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, პეტიონებისა და სიკეთის დანერგვაზე, სოციალისტურ ინტერნაციონალიზმზე მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებების შექმნა საბავშვო ლიტერატურაში უაღრესად მნიშვნელოვან, პირველხარისხოვან პრობლემას წარმოადგენს, ისე, როგორც საერთოდ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას, ასევე საბავშვო მწერლობას (თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით) ახალი თაობისათვის კუთვნილი ნაწარმოებების შექმნისათვის უნდა ახსოვდეს ცნობილი მოთხოვნა, რომ კარგია და სასარგებლო ბავშვებისათვის დაწერილი ის ნაწარმოებები, რომლებსაც ხალისით წაიკითხავენ მოზრდილი ადამიანებიც და მათ მოსწონთ ის არა როგორც საბავშვო ნაწარმოებები, არამედ როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები ყველასათვის დაწერილი"¹.

ამასთან დაკავშირებით, დიადმა თანამედროვეობამ სწორად განსაზღვრა სოციალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი ზრუნ-

¹ В. П. Беллнский, Н. Г. Чернышевский, Н. Д. Добролюбов, о детской литературе, М., 1954.



ვის სავნად ის ფაქტი, რომ ლიტერატურა ბავშვებისათვის და ახალგაზრდობისათვის არ შეიძლება იყოს მხოლოდ საბავშვო მწერლობის შემოქმედების საქმე<sup>1</sup>.

ცხადია, თემატურად და ჟანრობრივად მკვეთრი განსხვავება „დიდ“ ლიტერატურასა და ასაკობრივ პრინციპის საფუძველზე შექმნილ საბავშვო ლიტერატურას შორის, ლიტერატურის მატერიალისტური ესთეტიკის კონცეფციიდან, ხელოვნების მარქსისტული გაგებოდან გამომდინარე, არ არსებობს და ამის შედეგად ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში (რომელ ჟანრსაც ის არ უნდა ეკუთვნოდეს) მოცემული აზრი უშუალოდ უკავშირდება მწერლის მსოფლგაგებას, მწერლის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ფორმასთან, საზოგადოებრივი წყობის სტრუქტურას, ეპოქის სიახლისათვის ენთუზიასტთა ბრძოლებს, მეცნიერულ აღმოჩენებს, რაც ბუნებრივად შეთავისებულად უნდა იქნეს წარმოჩენილი ადამიანთა სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესთან, მიზნულ გატაცებასთან. ბავშვებისათვის ყოველივე ეს, ე. ი. ის საკითხები, რომლებიც აღუღებებს საზოგადოებას და ბავშვებს, შეხვდებათ მაშინვე, როცა ისინი შედიან ცხოვრებაში.<sup>2</sup>

ეს მოთხოვნა, საბავშვო პოეზიის მიმართაც დღეს, კატეგორიულ მოთხოვნად აქცია დიადმა თანამედროვეობამ. უნდა შევნიშნოთ, რომ საბავშვო პოეტური ეპოსი ქართული ლიტერატურული და პედაგოგიკური კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღების არეში უნდა მოიქცეს.

ცხადია, ლირიკულ ლექსებს უთუოდ განუსაზღვრელად დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა აქვს ბავშვებზე: მაგრამ ისიც უდავოა, რომ საინტერესო ამბის თხრობას, პოლუსური ხასიათების გამომხატველ ტიპური ცხოვრებისეული მხატვრული სურათების შექმნას, პოემის საინტერესო კომპოზიციას, თხრობის დინამიკას მუსიკალური რიტმისა და ჰანგების ჟღერადობაში მიმდინარეს, ბუნებრივად შეთავისებულს პოეტური სტროფების განსხვავებულ მონაცვლეობას, უაღრესად დიდი შემეცნებითი, აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ფუნქციის როლი ეკისრება.

ფაქტიური ვითარების გამო, შეუძლებელია ლიტერატურულმა კრიტიკამ ასეთი დასკვნა არგუმენტირებულად არ წარმოგვიდგინოს, რადგან ფაქტია, რომ ჯერჯერობით ქართულ საბავშვო პოეტურ ეპოსის სფეროში არ არის შექმნილი ისეთი პოემა, სადაც საინტერესო თხრობით, პერსონაჟთა ხასიათებით, ეპიზოდური თხრობის დინამიკური მონაცვლეობით წარმოდგენილ იყოს საბჭოთა ბავშვის ტიპური

<sup>2</sup> «Правда», 1960, 18. XII.

<sup>1</sup> И. ДОНДЮКОВ, Иза. саз. ссч. М., 1936, т. 3.

სახე. ამ მხრივ ბავშვებისათვის საყვარელი, მისაბადი პოპულარული გმირი, უდავოა, რომ ქართულ საბავშვო პოეტური ეპოსის ისტორიაში უდიდეს პრობლემად დღესაც რჩება.

ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ქართული საბავშვო პოეტური ეპოსის ფაქტიურ მდგომარეობიდან გამოვალთ და ზემოთაღნიშნულ პრობლემას საბავშვო ლიტერატურას კლასიფიკაციის პრინციპების პოზიციიდან განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი ქართული საბავშვო პოემა, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებული ფანტასტიკური სიუჟეტის გამოყენებით, რომელიც საგანგებოდ ახალი თაობისათვის იყოს დაწერილი, ამასთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ისეთი საინტერესო სიუჟეტისანი საბავშვო პოემა თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებიდან, რომლის მთავარი გმირი ბავშვი კი არ არის, არამედ საბჭოთა ადამიანი თავისი იდეური, ზნეობრივი მიზანსწრაფვით ეპოქის მოთხოვნის მიხედვით სათანადო ცოდნა-ჩვევები, რომლის მთავარი მოქმედი პირი ხმ. მხრივ იდეალად ჩნდება მიჩნეული.

გამომდინარე ზემოაღნიშნული ვითარებიდან, ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატების წინაშე დღეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემა დგას — მხატვრული რეალიზმის პრინციპების საფუძველზე შექმნას თანამედროვეობის აქტუალური საზოგადოებრივ-ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირებული ახალი მაღალხარისხიანი ქართული საბავშვო პოეტური ეპოსის ისეთი პოპულარული ნაწარმოები, რომელიც ეროვნულ ზღუდეებს გადალახავს და მსოფლიო საბავშვო პოეტური ეპოსის ისტორიაში კუთვნილ ადგილს დაიკავებს.

\* \*

ქართული საბჭოთა დრამატურგიის საკითხები მრავალსპექტოვანია; ჩვენ ეროვნულ საბავშვო დრამატურგიის მხოლოდ ზოგიერთ სადღეისო საკითხზე მოკლედ შევჩერდებით; შეუძლებელია არ აღვნიშნოს ის კეშმარტება, რომ საბავშვო დრამატურგია დიდი ეროვნული დრამატურგიის განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც საბავშვო თეატრი თავისი სპეციფიურობით დიდი ეროვნული თეატრალურა კულტურის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. ამის გამო როგორც საბავშვო დრამატურგიის, ისე საბავშვო თეატრის შემდგომი აღმავლობის პრობლემა საერთო ეროვნული დრამატურგიის, ეროვნული თეატრალური კულტურის განვითარების ეპოქისეულ პრობლემებს სისხლხორცეულად უკავშირდება.

უდავოა, რომ თეატრისა და მწერლობის შემოქმედებითი კონტაქტები ყოველთვის განსაზღვრავდა თეატრის იდეურ-ესთეტიკურ პრო-

გრამას, მის პრინციპებს, მის იდეალებს: დრამატურგის, რეჟისორის, მსახიობის, მხატვრისა და კომპოზიტორის თანაშემწეობით შექმნილ სპექტაკლებს, სცენიდან წარმოჩენილ ეპოქის იდეალებს, სამართლიანობის გამარჯვების რწმენას სცენაზე თვალწარმატად ხილულსა და არამართო მხედველობით აღქმულს, არამედ გონებით შეცნობილს, გრძობით განცდილს, მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებულს მაყურებელის, ბავშვის, მოზარდის, ახალგაზრდის სულიერ ცხოვრებაში ღრმა წვდომის ფენომენალური ძალა გააჩნია, რაც თავის მხრივ ქართული საბჭოთა საბავშვო დრამატურგიის აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდ შემოქმედებით პათოსს მატებს მხატვრული სიტყვის ოსტატებს ახალ-ახალ დრამატული ნაწარმოებების შესაქმნელად. გუშინდელი დღე ისტორიის კუთვნილებდა თავისი წარმატებებით თუ ნაკლოვანებებით. ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელი დღისა და უახლოესი მომავლის ამოცანები წარმოჩინდეს საბავშვო დრამატურგიაშიც იმგვარად, რომ პასუხობდეს წინსვლის, რევოლუციური გაქანების დიად სულისკვეთებას.

ცხადია, ქართული საბავშვო დრამატურგიის განვითარება მკიდროდ არის დაკავშირებული საბავშვო თეატრის აქტიურ შემოქმედებითი ცხოვრების რთულსა და მეტად საინტერესო პროცესთან და პირიქით. ამიტომ საბავშვო თეატრისა, როგორც მოზარდი თაობის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალების. სრულყოფისა და თანამედროვეობის იდეალების მიხედვით განვითარების ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი ყოველთვის იყო, არის და იქნება მხატვრულობისა და პედაგოგიური პრინციპების ჰარმონიული ერთიანობა. ეს ყველაზე მეტად დღეს არის გასათვალისწინებელი. რადგან ამის საფუძველზე საბავშვო დრამატულ ნაწარმოებებით, საბავშვო თეატრალური კულტურა ეპოქალურ მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს.

ქართლი საბჭოთა საბავშვო დრამატურგიისა და საბავშვო თეატრის შემოქმედებითი ურთიერთობის უახლოეს წარსულს თუ გავიხსენებთ, ძაშინ შეუძლებელია არ აღინიშნოს შ. დადიანის, ს. მთვარაძის, გ. ნახუცრიშვილის, ქ. ქუჩუკაშვილის, კ. გოგიაშვილის, გ. ბერძენიშვილის, ვ. დარასელის, რ. ქორჭიას, ა. აგლაძის, მ. ჭაფარიძის და სხვათა დრამატული ნაწარმოებების საბავშვო სცენებზე წარმოჩენილი მეტ-ნაკლები სიძლიერის სახეები, რომელთაგანაც ზოგიერთი (გ. ნახუცრიშვილის, ქ. ქუჩუკაშვილის) პიესები დიდი ხანია, რაც ეროვნულ ფარგლებს გასცდა. მაგრამ ეს იყო ახლო წარსულში, ხოლო შემდეგ ქართულ საბავშვო თეატრის რეპერტუარს მიემატა ვ. იაქაშვილის, კ. დევდარიანის, თ. მაღალაშვილის, ქ. ჭილაშვილის პიესები. უკანასკნელ ხანებში ახალი მცირე ფორმის პიესები შექმნეს გ. ივანიშვილმა, დ. ხუ-

როქემ, გოგიაშვილმა, გ. ჭიჭინაძემ, ე. ახვლედიანმა და სხვ. რესპუბლიკურმა კონსტრუქტორმა გამოავლინა, აგრეთვე, ახალგაზრდა დრამატურგების საიმედო კადრები, რაც მეტად სასიხარულოა.

ცხადია, ქართული საბავშვო დრამატული ნაწარმოებების სცენური ისტორია ნათლად წარმოგვიდგენს ამა თუ იმ საბავშვო დრამატურგიის ქმნილების სცენურ ინტერპრეტაციას, ამასთან თავისთავად მეტად საინტერესოა საბავშვო თეატრის მსახიობის თამაშის ესთეტიკური პრინციპებისა და განცდათა მეთოლოგიის განსჯაც, რომელიც ცხადყოფს ზნეობრივი იდეალების გრძნობის წარმოჩენის ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც უაღრესად დიდი პრობლემაა.

სათანადო ტრადიციის მქონე ქართული საბავშვო დრამატურგია სასურველ დონემდე ვერ ამაღლდა. კიდევ მეტიც, ქართული საბავშვო ლიტერატურის სხვა ჟანრებთან შედარებით ჩამორჩენილია. თანამედროვეობის თემაზე არ შექმნილა არც ერთი ისეთი ტიპური მხატვრული სახე, იდეალი მხატვრული სახე, რომელიც ჩვენი დროის მოზარდი თაობის იდეალი განხდარიყოს. ცხადია, საბავშვო დრამატურგიაშიც მთავარია პრობლემური კონფლიქტი იყოს ბავშვთათვის მისაწვდომი, მკაფიო და შთამაგონებელი. ეს უნდა იგრძნობოდეს მთელი სისრულით, ბუნებრივობით, დაკავშირებული იყოს გმირის სულიერ ცხოვრებასთან, მის განწყობილებასთან, ცხოვრება-საქმიანობასთან. ასეთი გმირი უნდა იწვევდეს არა მარტო თანაგრძნობას, არამედ გატაცებას, მისადმი დიდ სიყვარულს, მთელი მისი იდეური ცხოვრების ლოგაქურად ემოციურად გააზრებას, მიმბაძველობას. სწორედ ასეთი უხდა იყოს ქართული საბავშვო თეატრის, სცენის პოპულარული გმირი, რომლის სცენური სიცოცხლე მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრების შეცნობისა და მისთვის ბრძოლის კანონების გაგების დაუფასებელ წყაროს წარმოადგენს. ჯერ კიდევ არ შექმნილა ხუთწლედების, დიადი კომუნიზმის მშენებლობასთან დაკავშირებით საბჭოთა ინტერნაციონალისტის ტიპური სახე, რომელიც ახალი თაობისათვის მიბაძვის მარად სახსოვარ სახედ გამხდარიყოს.

ნოდარ დუმბაძის ზურიკელა, ეს ერთადერთი გმირია, რომელმაც ქართული პროზის სამყაროდან თეატრში და კინოშიც გადაიტანა თავისი სიცოცხლე და ეროვნულ საზღვრებს შორის გასცა მისი სახელი, ქართული საბავშვო დრამატურგიის აღმავლობის საკითხებს თუ შევეხებით, ეს მაგალითი ბევრ რამეზე მიგვანიშნებს და სათანადო მოთხოვნებს წაუყენებს როგორც საბავშვო თეატრს, ისე საბავშვო დრამატურგიასაც.

უდავოა, რომ თეატრისა და მწერლობის შემოქმედებითი კონტაქტი უკველთვის განსაზღვრავდა მათ პრინციპებს, იდეალებს;

საბავშვო დრამატურგიის ოსტატები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხალხურ შემოქმედებას. და თავისი სპეციფიკურობის გამო, ყოველთვის პირველხარისხიან მნიშვნელობას აძლევდნენ. ზღაპრებით ბავშვების გატაცება, ყურადღების გაჩეხვა არ დარჩენილა ქართულ საბავშვო დრამატურგიაში. ამის შედეგად ქართულ საბავშვო დრამატურგიაში ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, რომელიც ფოლკლორში უხვად არის წარმოდგენილი, ცხოვრებისეული საკითხების მრავალსპექტრულ პრობლემებთან დაკავშირებით ზრდიდა საბავშვო დრამატული ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური და ზნეობრივი ზეგავლენის ეფექტურობას.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კლასიკური ეროვნული საბავშვო მწერლობის განვითარებებს რთული ისტორიული პროცესებისა და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ზოგიერთი აქტუალური პრობლემების კვლევის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ:

ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის წარმოშობა-ჩამოყალიბება და შემდგომში მისი განვითარების უაღრესად რთული პროცესები ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან, დიდი თანამედროვეობის ეპოქალური ამოცანებისათვის გმირულ ბრძოლასთან.

მართალია, ამ ბოლო წლებში შეიქმნა მნიშვნელოვანი შრომები ქართული საბავშვო ლიტერატურის ზოგიერთ პრობლემატურ საკითხზე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ამისა, ჭერჭერობით არ არის ერთ მთლიანი სისტემაში მოყვანილი ის ხანგრძლივი და უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე ისტორიული ლიტერატურული პროცესები, რომლებიც გვხვდებოდა ჯერ კიდევ ჰორეულ წარსულში ძველი ქართული მწერლობის მხარდამხარ: სპეციალური მეცნიერული ნაშრომი დაწერილი არ არის ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის წარმოშობისა და ჩამოყალიბების შესახებ, ხოლო ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის საფუძველზე ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას, შესწორებას, ახლებურად გაგებას. ყოველივე ეს ინტენსიურ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, რათა შესაძლებელი გახდეს ქართული საბავშვო ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის შექმნა, სადაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონეზე განხილული იქნება საბავშვო ლიტერატურის მრავალსახეობა, მისი იდეურ-ესთეტი-

კური სამყაროს თავისებურებანი, სახეთა სისტემა; ამასთან, ლოგიკური და ისტორიული მიდგომის პარმონიულობით განხილული იქნება სტილის, ჟანრობრივი სპეციფიკის, ესთეტიკური თეორიისა და კრიტიკის შექმნის მეთოდოლოგიური პრინციპები ისტორიულ ასპექტში.

\* \* \*

მართალია, ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია, ახალი ეპოქის შესაბამისი ამოცანები მტკიცედ განსაზღვრავენ ახალი საბავშვო ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებს, მის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, პრინციპებს, მაგრამ ამავე დროს საკითხის ისტორიულ ასპექტში კვლევა ობიექტურად მოითხოვს იმის გარკვევასაც, თუ რას შეიცავს ისეთს, რომელიც წარსულ ლიტერატურულ პროცესშია წარმოშობილი და ლიტერატურულ მემკვიდრეობას შეუნარჩუნებია, როგორც პროგრესული, ცხოველმყოფელური, ამასთან, რა თვისებრივი განსხვავებულობითაა იგი განვითარებული. ამიტომ XIX საუკუნის II ნახევარში ქართული კლასიკური სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის განვითარების პრობლემების მეცნიერულად შესწავლა, შედეგების განზოგადება ნაკარნახევია არა მარტო ქართული საბავშვო ლიტერატურის სრულყოფილი ისტორიის შექმნის ინტერესებით, არამედ იმითაც, რომ კლასიკური საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით) ღირსეული მემკვიდრეა თანამედროვე საბავშვო ლიტერატურა; იგი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ახალი აღმაშენების, ახალი ხასიათების, ახალი შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის;

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ეროვნული ლიტერატურის ობიექტურმა ანალიზმა, ერთი მხრივ, ცხადყო, თუ რამდენად ემოციური, უშთაბეჭდავი სახეებითაა გამოსახული ობიექტურისა და სუბიექტურის, ზოგადკაცობრიულის ეროვნული და კლასობრივი თავისებურებანი, რაც ისტორიული კანონზომიერების საფუძველზე ორგანულად უკავშირდება მწერლის ღრმა ინდივიდუალობას, ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ-ფილოსოფიურ, ისტორიულ ვითარებას, რითაც გაპირობებულია თვით მწერლის მსოფლმხედველობა, იდეური მიზანსწრაფვა, შემოქმედებითი მეთოდი, სტილი, გამომსახველობით საშუალებათა ნოვატორობა, მეორე მხრივ, მეცნიერულად გარკვეული იქნა თვით საბავშვო მწერლობის არსი არა მარტო ტერმინოლოგიური კვალსაზრისით, არამედ მისი კლასიფიკაციის, ისე თვით საბავშვო მწერლობის დიფერენცირებული სახეების მიხედვით, რითაც შესაძლებელი გახდა გაგვერკვია მათ შორის ზღვარწაშლილობის დღემდე არსებული პრაქტიკის მიზანშეუწონლობა. ეს

აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ ქართული ეროვნული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის სრულყოფილი მეცნიერული ისტორიის შექმნის წინაპირობაა მტკიცედ დადგენილი საბავშვო ლიტერატურის არსის, მისი სახესხვაობათა, გავრცელების საზღვრების ზუსტი განსაზღვრებანი. ეს აუცილებელი იყო ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის წარმოშობისა და განვითარების გზების, ტენდენციების, ეტაპების, მეცნიერული ქეშმარტებით საბოლოო განსაზღვრისათვის.

ცნებათა მტკიცე რეგლამენტირება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს, როგორც საბავშვო ლიტერატურის (ფართო გაგებით), ისე ქართული ეროვნული საბავშვო მწერლობის საწყისები, განვითარების ტენდენციები;

ქართული საბავშვო ლიტერატურის რთული პრობლემატიკის გადასაწყვეტად წარმოებულმა კვლევა-ძიებამ და მეცნიერულმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურა ფართო გაგებით სათავეებს იღებს VIII საუკუნის II ნახევრიდან, უფრო ზუსტად VIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, ხოლო ეროვნული საბავშვო მწერლობა კი IX საუკუნიდან;

შრომაში ნაჩვენებია, რომ ზოგადი (საერთო) და საბავშვო მწერლობისათვის ნიშნულია თემატური იდენტურობა, ფორმისა, და შინაარსის ჰარმონიული ერთიანობის პრობლემის შესაბამისად გადაწყვეტა, რადგან ასახვის საგანი მათთვის განუსხვევებელია. იგი ობიექტური სინამდვილეა; ცხოვრებისეული საკითხების საზოგადოებრივი იდეალების სწორად გადმოცემა მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის დაურღვეველ ერთიანობაში სავალდებულოა, როგორც ზოგადი (საერთო), ისე საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისათვის, მაგრამ მათ შორის განსხვავებულობის ნიუანსის შემტანია საბავშვო მწერლობისათვის დამახასიათებელი სპეციფიურობა;

იმის გამო, რომ XIX საუკუნის II ნახევარი საქართველოში ახალი ვითარების, ახალი ძალების, ახალი აზრთა ჭიდილის, სოციალური უსამართლობის, ძალმომრეობისა და ჩამორჩენილობის წინააღ-

მდეგ ბრძოლის რთული პროცესებით ხასიათდებოდა, „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდა იყო ერთ-ერთი უდიდესი პრობლემათაგანი არა მარტო XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში, არამედ აგრეთვე საბავშვო სიტუაციას მჭიდროდ მჭიდროდ მჭიდროდ, ფართო გაგებით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საბავშვო მწერლობის, როგორც ეროვნული მწერლობის ორგანული ნაწილის აყვავებაში, მისი თეორიული საფუძვლების, ესთეტიკური კრიტიკის გარკვეულ სისტემით ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო პროფესიული საბავშვო მწერლები, არამედ ქართული მწერლობის საყოველთაოდ აღიარებული უდიდესი წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები.

ამის შედეგად დაიწყო დიდი ქართული ლიტერატურის შენაკადური საბავშვო მწერლობის განვითარების რთული პროცესები სხვა შიშართულებითაც: ისტენსიურად ითარგმნება რუსული და საზღვარგარეთული საბავშვო მწერლობის, საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იგავარაკული ჟანრის განვითარებას, ხალხური სიტყვიერების მიზნობრივად გამოყენებას.

უნდა დავსძინოთ, რომ ყოველივე ეს მტკიცედ ექვემდებარებოდა ეროვნულ ისტერესებს, რაც კონკრეტულად უკავშირდებოდა, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნით ნაწარმოებებში მხატვრული სახეებით გამოთქმულ იდეებს, რომლის საფუძველს თავის მხრივ წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარება;

\* \*

XIX საუკუნის II ნახევრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების კრებულების გამოშვებას, საბავშვო პერიოდულ გამოცემათა დაარსებას.

საბავშვო ჟურნალების წინაშე ორი ძირითადი ამოცანა იდგა:

ა) განვითარებინა ეროვნული საბავშვო ლიტერატურა არა ერთი კერძო ნიშნით — მხატვრული, ისტორიული, მეცნიერული და ა. შ., არამედ პერიოდული საბავშვო გამოცემანი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა თემაზე, სხვადასხვა ჟანრისა და ფორმათა მრავალსახეობის შექმნისა და ბავშვთა გონებრივი განათლების, მათში ესთეტიკური და მორალური ჩვევების აღზრდა-განვითარების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ინტელექტუალური და ემოციური ზეგავლენის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი;

ბ) მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა მდიდარი ქართუ-



ლი ზალხური ენის შესწავლის, ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის კეთილ-შობილური გრძნობის აღზრდაში.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის აყვავებისა და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციების განსაზღვრაში დიდი ისტორიული როლი შეასრულა ჟურნალებმა „ნობათმა“ და „ჭეჭილმა“.

ჟურნალ „ნობათს“ ფართო გეგმით ჰქონდა გათვალისწინებული ეროვნული ლიტერატურის შექმნა-გავრცელება, ამით ახალი თაობის გათვითცნობიერება, გონებრივი განვითარება, ცხოვრების საუკეთესო გზის ჩვენება ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ჟურნალი დასახული მიზნის განხორციელებას ორი საშუალებით ცდილობდა: ა) მხატვრული სიტყვითა და ბ) პედაგოგიკური მოძღვრების პრობაგანდით. პედაგოგიური ფუნქცია ჟურნალმა ორი ძირითადი პრობლემის გადაჭრით განისაზღვრა. ეს იყო მშობლიური ენის სწავლება და ზნეობრივი აღზრდა.

დღემდე უუურადღებოდ იყო დატოვებული „ნობათის“ რედაქტორის ან. ლულაძის ღვაწლი, როგორც პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლისა და უგულვებელყოფილი იყო საცენზურო კომიტეტთან კონფლიქტის მნიშვნელობა. რაც მას ახასიათებს ეროვნული საბავშვო ლიტერატურისათვის თანამიმდევრულ მებრძოლად.

ეს დასტურდება ჩვენ მიერ ახლად მიკვლეული დოკუმენტებით. სხვა მოსაზრებანი, რომლებიც მასთან განაწყენების საფუძველზეა წარმოქმნილი და ასე თუ ისე გამოყენებულია ან. ლულაძის, როგორც რედაქტორის აუგად მოსახსენებლად, უნდა მივიჩნიოთ ტენდენციურად.

ჟურნალი „ჭეჭილი“ თავისი წინამორბედის „ნობათი“-საგან განსხვავებით გაემიჯნა „წმინდა პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიურ სტატიებს“, ხოლო პედაგოგიური იდეები მხატვრული რეალიზმის პრინციპებს დაუქვემდებარა და ამით მტკიცედ დადგა სიტყუაქაშული საბავშვო მწერლობის განვითარების რეალისტური მიმართულების გზაზე.

ამგვარად, „ნობათმა“ და „ჭეჭილმა“ თავის გარშემო შემოიკრიბა ქართველ მწერალთა რჩეულნი; ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნასა და განმტკიცებაში, მის თემატურსა და ჟანრობრივ მრავალსახეობასა და შემდგომ განვითარების ისტორიულ საქმეში, მათ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს;

ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურის განვითარებასთან სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მისი ლიტერატურული

კრიტიკის წარმოშობა და განვითარება; XIX საუკუნის II ნახევარში ვითარდებოდა რა ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურა, ამ დიად საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს იაკობ გოგებაშვილმა, როგორც სახალხო განათლების მეთაურმა, და ილია ქავჭავაძემ, როგორც ქართული მხატვრული ლიტერატურის მეთაურმა; მხატვრული რეალიზმის პრინციპებისა და პროგრესული პედაგოგიკური მოძღვრების ჰარმონიული მთლიანობა გასდა ქართული საბავშვო ლიტერატურისა და კერძოდ, ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ესთეტიკური კრიტიკის წარმოშობისა და განვითარების საფუძველთა საფუძველი.

XIX საუკუნის II ნახევარში საბავშვო მწერლისა და კრიტიკის წინაშე იმაზე უფრო დიდი პრობლემა არ იდგა, როგორც იყო ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის, საბავშვო მწერლობის აღორძინება და განვითარება.

ამ ისტორიულ საქმეში მწერალთა და კრიტიკოსთა ურთიერთდამოკიდებულება, ბრძოლა საერთო-სახალხო ინტერესების საფუძველზე, კრიტიკის მიერ საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკაზე შეხედულებათა ჩამოყალიბება გარკვეული სისტემის სახით, საბავშვო ლიტერატურის განვითარების გზების ჩვენება პედაგოგიკურ მენიერებაში ახალი თაობის აღზრდის საკითხთან დაკავშირებით წამოჭრილ ეპოქისეული მოთხოვნილებების გათვალისწინებით, ქვეშარიტად იყო უდიდესი ისტორიული ვალდებულება;

\* \* \*

ბავშვთათვის შესაფერისი ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა მოითხოვდა მხატვრული ოსტატობის პედაგოგიკურ აღდგომასთან შერწყმას, რადგან საბავშვო ლიტერატურა, მხატვრული ნაწარმოებების გარდა, ფართოდ შეიცავდა საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიულ, ისტორიულ-ტექნიკურს ჯა მეცნიერულ-ფანტასტიკურსა ჯა სხვა სახის ნაწარმოებებს, რაც აუცილებელი იყო ჰარმონიულად განვითარებული ახალი თაობის აღზრდისათვის.

\* \* \*

ძოწინავე ქართული საბავშვო მწერლობის ლიტერატურული კრიტიკა საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად თვლიდა მხატვრული რეალიზმის პრინციპების დიდაქტიკის პრინციპებთან ორგანულად შერწყმას; ამ ორი საწყისის დიალექტიკური ერთიანობა განსაზღვრავდა საბავშვო ლიტერატურის როგორც პედაგოგიკურ საზღვრებს დიდაქტიკის პრინციპ-

ბის საფუძველზე (ნაცნობიდან უცნობისაკენ, ადვილიდან ძნელისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ), ისე ასახვის მხატვრული ხერხების გამოყენების სპეციფიკის მტკიცედ დაცვას; დიდაქტივში საბავშვო მწერლობაში მხატვრულობის პრინციპებისადმი დაქვემდებარებული უნდა ყოფილიყო, ე. ი. მხატვრული სახეები, სურათოვანი ენა, გმირთა სულიერი სამყაროს ბუნებრივი თხრობით გადმოცემა, ყოფითი სურათების ცოცხლად, სახიერად, შთამაგონებლად შექმნა თვითონ თავისთავად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად უნდა ყოფილიყო ბავშვთათვის გარკვეული მორალური დასკვნების გამოტანის საშუალება;

\* \* \*

ლიტერატურული კრიტიკა გადაჭრით მოითხოვდა საბავშვო ნაწარმოებებში ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული ერთიანობით ნაჩვენები ყოფილიყო ცხოვრების რეალური სურათები, სიცხადით გამოჩენილიყო იდეური მიზანსწრაფვა, რაც საფუძველი იქნებოდა ბავშვთათვის გარემოს გაცნობის, მისი გონებრივი განვითარებისა, ზნეობრივი აღზრდისა და შეხედულებათა ფორმირებისათვის.


\* \* \*

საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა პირველი რიგის ამოცანად სახვდა საბუნებისმეტყველო ცოდნის შექმნას არა მარტო თეორიულად, არამედ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით; საბუნებისმეტყველო ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრებოდა ბუნების დამორჩილებისათვის საჭირო ჩვევის გამომუშავებით თვით ბუნების კანონების საფუძვლიანად შესწავლას.

\* \* \*

ეროვნული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკამ განსაზღვრა როგორც საბავშვო ლექსის თავისებურება (ის უნდა ყოფილიყო შესათვისებლად როგორც შინაარსით, ისე ფორმით - ფრიად ადვილი, ხალხური ენით, პოეტური ყილოთი და თბილი გრძნობით დაწერილი), ისე საბავშვო მოთხრობის განსაკუთრებული შინაარს-თვისებანი (შინაარსით მარტივი, პირველი ადგილი უნდა დაეჭირა მოქმედების დახატვას, დრამატიკულს, მოკლე პლასტიკურ აღწერას. ისტორიული ხასიათის მოთხრობის შინაარსი უნდა ყოფილიყო სამშობლოს ისტორიიდან ამოღებული და სხვ.) და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა სპეციფიკა;

ლიტერატურული და პედაგოგიკური კრიტიკის მიერ ბავშვთა კითხვის არის გაფართოების მიზნით მოწინავე ხალხების „საუკეთესო გონებითი ნაწარმოებების“ თარგმნა, შერჩევის მტკიცე პრინციპების საფუძველზე, მიჩნეული იყო ახალი თაობის აღზრდის ამოცანებთან დაკავშირებით მეტად აუცილებელ და სასარგებლო საქმედ;



ლიტერატურულმა კრიტიკამ სწორედ XIX საუკუნის II ნახევარში გადაწვევითა ისეთი პრობლემები, როგორცაა რელიჯიის დამკვიდრება საბავშვო მწერლობაში, საბავშვო მწერლობისა და დიდაქტიკის, ლიტერატურის ტენდენციურობის, კლასიკური მხატვრული და მცენიერული ლიტერატურის ყმაწვილთათვის საკითხავად თარგმნისა და გადაკეთების მეტად რთული პრობლემები. ]

ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საბავშვო ნაწარმოებებში ეროვნული სპეციფიკის მხატვრულ სახეებში გამოკვეთას, სადაც ეროვნული ხასიათები, ყოფა-ცხოვრების ცოცხალი სახეები, მშობლიური ქვეყნის სიყვარული, მისი კერძობითი და ზოგადი მნიშვნელობის პარმონიული ერთიანობა მაღალი ზნეობრივი პრინციპების საფუძველზე ეროვნული საბავშვო მწერლობის შედგომი განვითარების საფუძველიც უნდა გამხდარიყო.



ქართული საბავშვო ლიტერატურული კრიტიკა და პედაგოგიკური აზრი სწორად აფასებდა საბავშვო ფოლკლორის აღმზრდელობით ფუნქციას, სამართლიანად გამოდიოდა რეზონირული რეციდივების წინააღმდეგ; მორალისტური მშრალი ფრაზები, როგორც ეს წინა პერიოდში გვხვდებოდა, ტექსტს მექანიკურად არ უნდა აქონოდა „მიკერებული“, არამედ სათანადო ეთიკური დასკვნებით ნაწარმოების შინაარსიდან, მოქმედებიდან, სახე-პერსონაჟების ხასიათებიდან ბავშვებს თვითონვე უნდა გამოეტანათ.

ზღაპრების, იგავ-არაკების, ლეგენდების, ანდაზებისა და გამოცანების ართ ლიტერატურული და პედაგოგიკური კრიტიკის დიდი ყურადღება იმით იყო გაპირობებული, რომ მათში საინტერესოდ, ბავშვთათვის სახალისოდ ოა მიმზიდველად, სადა ხალხური ენით გადმოცემული იყო ხალხის გამოცდილება, ცხოვრების მოვლენებზე.

დაკვირვების შედეგები, საზოგადოებრივი ძალების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საყოფაცხოვრებო პირობების საფუძველზე შექმნილი შეხედულებები, განწყობილებები, სიბრძნე.



XII საუკუნის XI ნახევარში, საბავშვო მწერლობის ლიტერატურულმა და პედაგოგიურმა კრიტიკამ სწორად გადაჭრა მენტორული დიდაქტიკური ლიტერატურისა და საბავშვო მწერლობის პრობლემა.

აღნიშნულის საფუძველი იყო ის კეწმართება, რომ მენტორული დიდაქტიკური ლიტერატურის საფუძველი პედაგოგიური პრინციპია. იგი ერთ-ერთი შენაჯადია საბავშვო ლიტერატურისა, რომლისათვის ნიშნული არ არის ის თვისებები, რაც პირველ რიგში, სიტყვის ხელოვნებას ახასიათებს და ამდენად იგი არ არის შექმნილი მხატვრულობის პრინციპების საფუძველზე. ამასთან, მენტორული დიდაქტიკურ ლიტერატურას ეროვნული სპეციფიკა არ გააჩნია. დიდაქტიკური ლიტერატურა შეიძლება არსებობდეს წარმოსასვლის რთული სისტემის, ნაირსახოვანი ესთეტიკური ფორმის გამოყენების გარეშეც.

საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობა სიტყვის ხელოვნებას წარმოადგენს და მისი საფუძველი მხატვრული რეალიზმია, რომელიც ორგანულად უკავშირდება ეროვნული ლიტერატურის განვითარების პროცესების კანონზომიერებას ცალკეული ქანრის, მხატვრული ნაწარმოების ენის, ლექსთწყობის, კომპოზიციის, სიუჟეტისა და სხვ. კომპონენტების განვითარებას; იგი, თავის მხრივ, გაპირობებულია ხალხის ცხოვრების ისტორიული პროცესებით.

პოეტური დიდაქტიკაში, რომელიც განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შექმნილი პოეტური ნაწარმოებების სპეციფიკას წარმოადგენს, თავისებური, მაგრამ მეტად ვიწრო, შეზღუდული შენაჯადია საბავშვო მწერლობაში. იგი შექმნილია დიდაქტიკური ლიტერატურის პრინციპებზე და ამდენად დიდაქტიკური ლიტერატურის სფეროსაც განეკუთვნება.

რეზონიორული, მენტორულ-დიდაქტიკური ნაწარმოებე წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო საქართველოში XIX საუკუნის II ნახევრიდან და საფუძველი ჩაეყარა პოეტურ დიდაქტიკაში უმცროსი ასაკის ბავშვთათვის შექმნილ სიტყვაკაზმულ მწერლობაში;



ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში პირველად XIX საუკუნის II ნახევარში კატეგორიულად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ქანობრივად და თემატურად მრავალფეროვანი საბავშვო ლიტერატურის საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ფუნქციიდან იყოს გამოთიშული ბავშვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარება.

ბავშვებში კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარების პროცესი საბავშვო ლიტერატურისადმი, საბავშვო სიტყვაკაზმული მწერლობისადმი მიმართებაში, ლიტერატურული კრიტიკის მტკიცებით, გულისხმობდა უშუალო დაკვირვების საფუძველზე, დაპირისპირებისა და შედარების გზით, ბავშვებს შესძლებოდათ განსჯის, შეფასების საგნად ქცეულიყო საბავშვო ნაწარმოებში მოცემული ობიექტური რეალობა, ადამიანთა ხასიათები, იდეები;



ეროვნული საბავშვო ლიტერატურა XIX საუკუნის II ნახევრიდან ორგანულად შეუთავსდა ამ ეპოქაში წარმოქმნილი კრიტიკული რეალიზმის დიდი ლიტერატურის განვითარების პროცესს, რომელიც თავის მხრივ შესისხლხორცებული იყო ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების სამართლიანად გადაწყვეტისათვის წარმოებულ ბრძოლასთან.

ქართული საბავშვო მწერლობის აყვავების ისტორიული პროცესის პირველი დღეებიდანვე პატრიოტიზმის კეთილშობილური მაღალი გრძნობა იყო როგორც პროფესიული, ისე არაპროფესიულ საბავშვო მწერალთა შთაგონების წყარო და, სწორედ, ამის შედეგად ისინი ქმნიდნენ დიდი ემოციური ძალის შემცველ მხატვრულ სახეებს, როგორც ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან, ისე თანადროული ცხოვრების სინამდვილიდან; ისინი ახალ თაობას თავიანთი მხატვრული სიტყვით აყვარებდნენ მშობლიური ქვეყნის ბუნებას, უღვიძებდნენ უსამართლობის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლებისაკენ მძაფრ ლტოლვას.

ამ მიზნით, ეროვნულ საბავშვო მწერლობაში მტკიცედ მოითხოვდნენ საბავშვო ნაწარმოებებში ნაჩვენები ყოფილიყო ქართული პეიზაჟი, ქართული ყოფა, ხასიათები, ეროვნული ნიშან-თვისებანი მთელი თავისი მრავალფეროვნებით — თავისი წარსულითა და აწმყოთი, შრომა-საქმიანობით, ცხოვრების მატერიალური და მორალური თავისებურებებით, იდეური მიზანსწრაფვითა და ადამიანური

ცხოვრების პირობებისათვის ბრძოლის რთული პროცესებით, რაც თავის მხრივ იყო ქარადული ეროვნული საბავშვო მწერალთა შთაგონების, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების მხატვრულ სახეებში წარმოსახვის საფუძველიც.

ერთი მხრივ, მეფის რუსეთის ბიუროკრატიულ მმართველობაში მოქცეული საქართველოს მძიმე მდგომარეობა, მეორე მხრივ „ახალგაზრდა რუსეთთან კავშირის“ პერსპექტივები, თავისებურად განსაზღვრავდა მხატვრული სიტყვის ოსტატების მოვალეობას, მშობლიური ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი „ახალი ტიპის ქართველის“ აღზრდის საქმეში; მამულისათვის შვილის გამოზრდა, მშობლიური მიწის, მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი შვილის გაზრდა, საბავშვო მწერლობაში წარმოსახული ქართველი დედისათვის იყო „ღვთიური ვალი“. ამის გამო საბავშვო პოეზიაში, როგორც პროფესიულმა და არაპროფესიულმა საბავშვო მწერლებმა პოეტური დიდაქტიზმის, ალევორიული ფორმების, ლეგენდების გამოყენებით, სისტემატურად წარმოსახეს ეროვნული გმირის პოეტური სახე, ხოლო ლირიკული ლექსებით ბავშვებს შთააგონეს სამშობლოს მარადიული სიყვარული, სამშობლოსათვის შრომა, ცოდნის შეძენა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის გამოყენება და სხვ.

მაგრამ ეროვნული პრობლემა მხატვრული სიტყვით ბავშვთათვის, მოზარდი თაობისათვის მისაწვდომ ფორმებში დასამახსოვრებელი მხატვრული სახეებით მაინც საბავშვო პროზაში უკეთაა მოცემული ჩვენების შრავალსახეობის თვალსაზრისით. რასაკვირველია, ახალი თაობის პატრიოტული სულსკვეთებით აღზრდის მიზნით საბავშვო პროზაში შესაბამისი მხატვრული სახეების შექმნა საბავშვო მწერლობის უმადლესა და უწმინდეს მოვალეობას წარმოადგენდა. ამის შედეგად, XIX საუკუნის II ნახევარში ეროვნულ საბავშვო პროზაში არა ერთი შესანიშნავი მოთხრობა დაიწერა, რომელიც იდეურ-მორალური მხატვრულ-ესთეტიკურა ღირსეუბებით დღესაც ცხოველყოფილობას ინარჩუნებს.

ბავშვებში, მოზარდებში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის აღზრდას ხელს უწყობდა მშობლიური სოფლის, მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნას მომხიბვლელი სურათები, რომელიც უხვად იყო წარმოდგენილი როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც; იგი, ერ-

თი მხრივ ესთეტიკური აღზრდის, მშვენიერებისადმი, სილამაზისაჲ-  
ში ტრფიალის გრძნობის აღმკვრელი იყო, და მეორე მხრივ, ერთ  
ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ითვლებოდა ეროვნული გრძნო-  
ბის აღზრდა-განვითარებისათვის;

\* \* \*

რეფორმის შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების  
განვითარების პროცესებმა, ჩაგრულთა და მჩაგვრელთა შორის გამ-  
წვავებულმა ურთიერთობამ, მეფის რუსეთის სუსხმა, როგორც დი-  
დი მწერლობის, ისე საბავშვო ლიტერატურის წინაშე საზოგადოებ-  
რივი ცხოვრების გარდაქმნისათვის აქტიური ბრძოლის გასაჩაღებ-  
ლად ასალი კონკრეტული ამოცანები დააყენა. საზოგადოებრივი  
ცხოვრების მძიმე ატმოსფერო ცდილობდა ჩაეხშო თავისუფლება-  
საკენ და სოციალური უკუღმართობიდან თავდასაღწევად ლტოლ-  
ვის ყოველგვარი ცდა.

სოციალური უთანასწორობის შედეგად ჩაგრულთა არსებობის  
უმძიმესი პირობების ასახვა, მშრომელ ადამიანთა უმწეო ბედის ჩვე-  
ნება, ამ მხრივ, ცხოვრებისეული სიმართლის თქმა, იყო ქართული  
ეროვნული საბავშვო-მწერლობის მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე  
ტენდენცია, რომელიც მშრომელთა გონების გამოფხიზლებას, თვა-  
ლის ახელვას ემსახურებოდა;

\* \* \*

ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური პრობლემების  
მხატვრულ გადაწყვეტას საბავშვო მწერლობაში ბუნებრივად უკავ-  
შირდებოდა ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ძიება მშვი-  
დობისა და უშიშროებისათვის, ობლებისადმი სიბრალულისა და  
სიყვარულის გრძნობის, კაცთმოყვარეობის შალალი გრძნობის აღ-  
ზრდა;

\* \* \*

ქართული ეროვნული საბავშვო ლიტერატურა XIX საუკუნის  
II ნახევრიდან, ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და  
კულტურული ცხოვრების განვითარების შესაბამისად, ბუნებრივად  
დადგა ასალი ეპოქალური ამოცანების წინაშე.

ამ დიდ ისტორიულ ბრძოლაში, რასაკვირველია, მეტად დიდი  
მნიშვნელობა ეძლეოდა ყოველივე იმის შემოქმედებითად გამოყე-  
ხებას, რასაც XIX საუკუნის II ნახევარში განვითარებული ქართუ-



ლი ეროვნული საბავშვო ლიტერატურა თავის შინაგან ბუნებაში იტყუდა, როგორც პროგრესულს, ახალი ეპოქისათვის სასარგებლოს. აჰან კიდევ უფრო გაზარდა ეროვნული საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობა. უკვე ცხადი გახდა, რომ ახალმა ისტორიულმა ეპოქამ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული კანონზომიერებით განვითარების შედეგად, კატეგორიულად დააყენა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე. ყველაზე იდეურად, საუკუნის მაღალი იდეალების შესაბამისი ეროვნული საბავშვო ლიტერატურის შექმნისა და აღმავლობის საკითხი.

\* \* \*

ქართულ საბავშვო პოეზიაში საბჭოთა ბავშვების ახალი ინტერესები, საზეიმო განწყობილება, სიკეთისა და სიპართლისადმი სიყვარული, მეგობრისადმი უნაგარო დახმარება, გმირობა და ოპტიზმი, პატარების დანტერესება გარემო სამყაროს შეცნობით, იუმორი, გართობა, გახალისება შთამავგონებელი მხატვრული სახეებითა მოცემული გამოჩენილი ქართველი პოეტების ლირიკულ ლექსებსა თუ პოეტურ ეპოსში.

\* \* \*

თანამედროვე ქართული საბავშვო პროზა ტრადიციული თემებისა და მოტივების თვისებრივად განსხვავებულ განვითარებასთან ერთად, გამდიდრებულია საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებისეული ახალი მოტივებით, ახალი თემებით; პატარა გმირების მოქმედების არეს სამი სინამდვილის (წარსული, აწმყო და მომავალი) ფარგლებში წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით, პერსპექტივებით წარმოსახავს. საბავშვო მოთხრობების პერსონაჟებს ვხვდებით სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, სოფლად, საწარმოში, სწავლაში, შრომაში, პიონერთა ბანაკში და სოციალისტური ცხოვრების სხვა უბნებზე ინდივიდუალური ხასიათებით, ოცნებებით და მისწრაფებებით მაღალი ჰუმანური გრძნობითა და მომავლის ღრმა რწმენით. ბავშვთა ტიპური სახეები, როგორც მორალური მიმართებით, ისე მხატვრული შესრულებით პროგრესული ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითად გამოყენებას უკავშირდება, რაც კარგად ჩანს ქართული კლასიკური საბავშვო პროზასთან თემატურსა და იდეურ-მხატვრული შეხვედრებში.

საბჭოთა საბავშვო პროზაში ბავშვთა მორალური სახის ჩვენება პრინციპულად ეწინააღმდეგება წარსულში ტრადიციულად დამ-

ვიდრებულ ხელოვნურ სქემებსა და პატარა გვირგვინის არაბუნებრივ მეტყველებას, რომელიც კარგადაა ცნობილი არა მარტო ქართულ. რამედ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ საბავშვო ნაწარმოებებში (ფრანგი მწერლის მირვალის მოთხ. „კეთილი ძმობილი ფანფანი“), რაც რეცეპტორულობის იშვიათი მაგალითია.



უდავოა, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური პროგრესი. რომლის წარმმართველი ძალა ადამიანია, თავის მხრივ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს თვით ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე, პიროვნების ფორმირებაზე, შრომითი ცხოვრების ახალ პირობებში მის ყოველმხრივ განვითარებაზე. დიდი მნიშვნელობა ეძლევა საბავშვო ლიტერატურაში (პროზასა და დრამატურგიაში) ახალი ტიპის გვირგვინის პრობლემას, იმ გვირგვინისა, რომელსაც ცხოვრება და მოქმედება უხდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში და, რომელიც ბავშვისათვის, მოზარდისათვის, ახალგაზრდისათვის იქნება იდეალი, რწმენის განმამტკიცებელი, სულიერი ცხოვრების ნიმუშის მიმცემი.

პლანეტის მოზარდი თაობის ინტელექტუალურ, ესთეტიკურ და იდეური აღზრდის თვალსაზრისით ფანტასტიკას, მეცნიერულ-ფანტასტიკურ ლიტერატურას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა ფანტასტიკა და ფანტასტიკური ლიტერატურა უნდა იქმნებოდეს ჩრასტანდარტული მეცნიერულ-ტექნიკური, ფსიქოლოგიური სიტუაციებით და მასში წარმოსახული ადამიანების სულიერი სამყარო, საქმიანობა ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული პროგნოზირებასთან, მძაფრ პრობლემებისა და აღმოჩენების წინახედვასთან.

## ლიტერატურა

1. კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. 1956.
2. ვ. ი. ლენინი. ახალგაზრდობის კავშირთა ანოცანები, სახელგამი, 1958.
3. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოცემა მეოთხე. თბილისი, ტ. 2.
4. ი. აბულაძე. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX — X სს-ში, 1044.
5. ა. ბარამიძე, ეახტანგ VI, 1947.
6. ი. ბოცვაძე. ქართული ეურნალისტიკა, 1967.
7. ბ. ბელინსკი, რჩ. ფილოსოფიური თხზულებანი, 1948.
8. ბ. ბელინსკი, რჩ. პედაგოგ. თხზულებანი, 1950.
9. დ. ბენაშვილი. ეფა-ფშეველა, 1961.
10. თ. ბეგიაშვილი. ქართული პოეტური ფოლკლორი ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოში („კომ. აღზრდისათვის“, 1940, № 10).
11. დ. გამეზარდაშვილი. ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, 1957.
12. დ. გამეზარდაშვილი. ქართული კრიტიკა და ქართული კრიტიკოსები, 1965.
13. ი. გოგებაშვილი. რჩ. ნაწერები, 1948, ტ. II.
14. ი. გომართელი. „მარშანდელი „ჩეჩილის“ კრიტიკოსი“ („კვალი“, 1899, № 14).
15. ლ. გვარამაძე. ნინო ნავაშიძე და ქართული საბავშვო მწერლობა, 1955.
16. გ. ერისთავი. თხზულებანი, 1884.
17. მ. ზანდუკელი. იაკობ გოგებაშვილი, როგორც მწერალი (საიუბ. კრებ. 1940).
18. გ. თავზიშვილი. ეკ. გაბაშვილი, 1963.
19. გ. თავზიშვილი. იაკობ გოგებაშვილი, 1952.
20. გ. თავზიშვილი. ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება, 1949.
21. გ. თავზიშვილი. სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში, 1948.
22. პ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 9.
23. ი. კომენსკი. რჩ. პედაგოგიური თხზულებანი. 1949.
24. კ. კეკელიძე. დიდი მოამაგის ხსოვნას („კომ. აღზრდისათვის“, 1940, № 10).
25. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, ტ. I.
26. კ. კეკელიძე. ნაწყვეტი ქართული პაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა). ტფილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, 1919.
27. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, ტ. I.
28. შ. კალინინი. კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1953.

29. ი. კერესელიძე. „ყრმათა მეგობარი“, 1852.
30. გ. ლომიძე. ზოგადლაცობრიულის, ინტერნაციონალურის და ეროვნულის ღიალექტიკა მწერლობაში (ეურ. „მნათობი“, 1967, № 8).
31. თ. ლომოური. სუბატ დავითისძისა და გიორგი მერჩულის ცნობები IX—X სს ქართულ ბაგრატიონთა შესახებ, „არლი“, გვ. 47—56.
32. ი. მანსვეტაშვილი. მოგონებანი, 1931.
33. დ. ლორთქიფანიძე. ი: გოგებაშვილის დიდაქტიკა (საიბ. კრ. 1940).
34. პ. მეტრეველი. ი. გოგებაშვილის ბუნებისმეტყველების შესახებ (საიბ: კრ. 1940).
35. ნ. ნაკაშიძე. რჩეული, 1961.
36. უ. ობოლაძე. აკაკი და ახალგაზრდობა, 1955.
37. ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, 1884.
38. 5. სკანდელი. ახალგაზრდობის აღზრდა. („კრებული“, 1871).
39. ქ. სიხარულიძე. ქართული საბავშვო ფოლკლორი, 1938.
40. გ. სამხარაძე. ვ. გუგუშვილი, „ი. გოგებაშვილის ესთეტიკა“ (იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული, 1940).
41. კ. დ. უშინსკი. თხზულებანი, 1950, ტ. II.
42. კ. ქარელიშვილი. უკედავი სიციცხლე, 1960.
43. ა. დლონტი. ქართული ხალხური ნოველა, 1966.
44. ა. დვინიაშვილი. ქართული საბავშვო ლიტერატურა, 1934.
45. ა. დვინიაშვილი. ქართული საბავშვო ლიტერატურა, 1937.
46. ა. დვინიაშვილი. ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, 1962.
47. ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1946, ტ. I.
48. ა. შანიძე. ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ 1944, ტ. 5).
49. არნ. ჩიქობავა. „ი. გოგებაშვილის დედა ენა“ („კომ. აღზრდისათვის“, 1940, № 10).
50. ა. ჩაჩიბაია. „ნობათი და მისი რედაქტორი“ („ლიტ. საქართველო“, 1966, № 9 (1490)).
51. მ. ჩიქოვანი. ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.
52. შ. ძიძიგური. მწერლის ენა, 1957.
53. ა. წერეთელი. რჩეული ნაწერები, 1940.
54. გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, 1930.
55. ვ. წოწელია. ერთი უცნობი ფსევდონიმის გამო („ლიტ. გაზეთი“ 1965, № 24 (1453)).
56. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1941, ტ. II.
57. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III.
58. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. IV.
59. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. V.
60. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. VI.
61. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. IX.
62. ჯ. კუმბურიძე. ნარკვევები ქართ. ლიტ. და კრიტიკის ისტორიიდან, 1958.
63. ზ. კიკინაძე. „გოგებაშვილი“, 1900.

64. მ. ხოჭავაძე. ფსიქოლოგიური სიწორე მოთხრობაში „იანანამ რა ქვბნა“ — (ი. გოგებაშვილი, საიუბ. კრ. 1940).
65. ს. ხუციშვილი. მხატვრული ლიტერატურა „ბუნების კარში“ (საიუბილეო კრებული, 1940).
66. მ. ხელთუბნელი. საბავშვო ლიტერატურის მოაზრე, 1941.
67. ი. ჭავჭავაძე. საქართველოს საზღვრები, 1919.
68. ი. ჭავჭავაძე. „ილი პედაგოგი“ („კომ. აღზრდისათვის“, 1940, № 10).
69. ი. ჭავჭავაძე. ქართული საისტორიო მწერლობა, 1945.
70. გ. ჭიბლაძე. ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1966.
71. თ. ჭიბლაძე. ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიისათვის, 1959.
72. ვ. ჭიბუტი. ქართული საბავშვო მწერლობა, 1954.

1. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. I, 1935.
2. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. III, 1935.
3. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. XXIII, 1935.
4. К. Маркс и Ф. Энгельс. Об искусстве, 1937.
5. К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, 1956.
6. Э. Маркс-Эвелинг. К. Маркс. Беглые заметки, 1933.
7. В. И. Ленин. Сочинение, т. XVI, 1930.
8. В. И. Ленин. Сочинение, т. XVIII.
9. В. И. Ленин. Философские тетради, 1947.
10. Е. А. Аркин. Особенности школьного возраста, 1903.
11. О. В. Алексеева. Е. П. Брандис и др. Детская литература, М., 1959.
12. А. П. Бабушкина. История русской детской литературы, М., 1948.
13. О. Бальзак. Избр. произведения, 1929.
14. В. Г. Беллинский. Пол. соб. соч., т. 2, 1953.
15. В. Г. Беллинский. Избр. пед. соч., 1948.
16. В. Г. Беллинский. Н. Г. Чернышевский, Н. А. Добролюбов. О детской литературе, 1954.
17. G. W. F. Hegel. «Asthetik», 1955.
18. А. И. Герцен. Полное собрание сочинений, 1919.
19. Гете. Статьи и мысли об искусстве, 1936.
20. М. Горький. О литературе, сб. статей, 1955.
21. М. Горький. Публицистические статьи, М., 1933.
22. М. Горький. О детской литературе, М., 1953.
23. Н. А. Добролюбов. Пол. соб. соч., т. III, 1936.
24. Н. А. Добролюбов. Пол. соб. соч., т. IV, 1937.
25. К. Дондуа. Творение Мерчула в латинском переводе бельгийского ориенталиста. Тексты и разыскания по кавказской филологии, ч. I, Спб., 1924.
26. Э. Элаич. Сбор. стат. по детскому чтению, 1912.
27. Г. Волгаст. Проблемы детского чтения, 1912.
28. Я. Коменский. Великая дидактик, 1893.
29. М. Коган. Лекции по марксистско-ленинской эстетике, ч. II, 1946.
30. К. Клоусти. Детские сказки со всего белого света, 1911.
31. П. Лафарг. Воспоминания о Марксе. Перевод с немецкого под ред. В. В. Адоратского, 1933.

32. В. Либкнехт. Воспоминания о Марксе, 1918.
33. Т. Лансон. История француз, литературы, 1896.
34. Д. Левитов. Детская и педагогич. психология, 1964.
35. Г. Мопасан. Предисловие к роману «Пьер и Жак», лит. манифесты реалистов, 1935.
36. Н. Марр. Георги Мерчули, Житие Григория Хандзтийского, тексты разыскания по армянско-грузинской филологии, кн. УП, СПб, 1911.
37. А. Маргет. История немецкой детской литературы, 1867.
38. Н. В. Острогорский. Выразительное чтение, М., 1886.
39. Н. В. Острогорский. Беседа о препод. словестности, Педагогический листок, 1895.
40. И. Рубакни. Этюды псих. читательства, 1919.
41. Д. Писарев. Изб. педагог. высказывания, 1938.
42. P. Peeters, S. Hilarion doberie «Analecta Bollandiana», том XXXIII.
43. А. С. Пушкин. Пол. соб. соч. 1937.  
литература, М., 1923.
44. А. С. Пушкин. Пол. соб. соч. 1937.  
литература, М., 1923.
45. М. Сабинин. Полное жизнеописание святых грузинских церквей, ч. ш, 1873.
46. А. С. Соболев. Об. ком. воспитании и сов. лит. для детей, 1961  
сборник стат. по детск. чтению П. 1912.
47. Н. Савин. Принципы критики детских книг, 1924.
48. Л. Н. Толстой. Пол. соб. соч. т. VIII, 1936.
49. Ф. Толль. Наша детская литература, 1862.
50. Л. И. Тимофеев. Основы теории литературы, 1959.
51. К. Д. Ушинский. Избр. пед. соч. т. I, 1948.
52. А. П. Чехов. Пол. соб. соч. т. VIII, М., 1936.
53. А. П. Чехов. Полное соб. соч. и писем, т. IV. 1949.
54. А. П. Чехов. Введение в изучение детск. литературы, М., 1915.
55. Н. Г. Чернышевский. Полное соб. соч., т. II, 1949.
56. Н. Г. Чернышевский. Соб. соч., ГИХЛ, 1936.
57. Русские писатели о литературе, 1939.
58. Тезисы о 300-летию воссоединения Украины с Россией (1654—1954), 1954.
59. Детская литература, 1936, № 19.
60. Детская литература, 1940, № 10.
61. Вопросы литературы, 1961, № 1.
62. Новый мир, 1963, № 8.
63. «Родное слово», 1867.
64. «Правда», 1960, XII.
65. Журнал для воспитания, 1858, № 2.
66. ЖМНП, 1861, № 1.
67. ЖМНП, 1861, сентябрь, 68.
68. «Северное сияние», П., 1919, № 1—2.
69. Вопросы детской литературы, 1954.
70. Ж. Література і містацтво, 1941, № 1.
71. «Учитель», 1870.
72. Материалы по истории русской детской лит-ры (1750—1853), М., 1927.
73. Сборник статей по детск. чтению, П., 1912.

74. «Новое обозрение», 1890.
75. «Тбилисский листок», 1890, № 3.
76. «Л а с т і в კ ა».
77. ДЧ, 1785, № 1.
78. «Друг», 1876, № 2.
79. «Дзвანок».
80. «Азбука» кн. II изд., 1872.
81. ЦГИА. СССР. Ф. 776.

პერიოდული პრესა, კრებულები, შურნალები, სასწავლო წიგნები,  
საარქივო მასალები

- |                              |                               |
|------------------------------|-------------------------------|
| 1. „ღროება“, 1867 წ. № 43.   | 36. „ღროება“, 1886 წ. № 266.  |
| 2. — 1871 წ. № 22.           | 37. „განათლება“, 1910 წ. № 9. |
| 3. — 1875 წ. № 3.            | 38. — — — — № 10.             |
| 4. — 1875 წ. № 24.           | 39. „იურია“, 1881 წ. № 12.    |
| 5. — 1875 წ. № 26.           | 40. — 1882 წ. № 7.            |
| 6. — — — — № 26.             | 41. — — — — № 8.              |
| 7. — — — — № 35.             | 42. — 1884 წ. № 1.            |
| 8. — — — — № 40.             | 43. — — — — № 4.              |
| 9. — — — — № 50.             | 44. — — — — № 11.             |
| 10. — — — — № 66.            | 45. — 1886 წ. № 6.            |
| 11. — — — — № 91.            | 46. — — — — № 29.             |
| 12. — 1882 წ. № 30.          | 47. — — — — № 151.            |
| 13. — — — — № 51.            | 48. — 1889 წ. № 262.          |
| 14. — 1883 წ. № 36.          | 49. — — — — № 74.             |
| 15. „ღროება“, 1883 წ. № 39.  | 50. — — — — № 161.            |
| 16. — 1883 წ. № 52.          | 51. — — — — № 236.            |
| 17. — — — — № 54.            | 52. — — — — № 262.            |
| 18. — — — — № 57.            | 53. — 1890 წ. № 1.            |
| 19. — — — — № 87.            | 54. — 1891 წ. № 57.           |
| 20. — — — — № 88.            | 55. — — — — № 198.            |
| 21. — 1884 წ. № 7.           | 56. — 1892 წ. № 68.           |
| 22. — — — — № 12.            | 57. — — — — № 77.             |
| 23. — 1885 წ. № 65.          | 58. „იურია“, 1893 წ. № 44.    |
| 24. — 1886 წ. № 10.          | 59. — 1894 წ. № 10.           |
| 25. — — — — № 13.            | 60. — — — — № 60.             |
| 26. — — — — № 41.            | 61. — 1896 წ. № 67.           |
| 27. — — — — № 42.            | 62. — 1898 წ. № 21.           |
| 28. — — — — № 141.           | 63. — — — — № 71.             |
| 29. „ღროება“, 1886 წ. № 192. | 64. — — — — № 78.             |
| 30. — — — — № 200.           | 65. — — — — № 91.             |
| 31. — — — — № 203.           | 66. — — — — № 111.            |
| 32. — — — — № 237.           | 67. — — — — № 133.            |
| 33. — — — — № 243.           | 68. — — — — № 141.            |
| 34. — — — — № 261.           | 69. — — — — № 161.            |
| 35. — — — — № 269.           | 70. — — — — № 209.            |

71. „თეატრი“, 1886 წ. № 23.  
 72. ——— 1890 წ. № 8.  
 73. ——— ——— № 10.  
 74. ——— ——— № 12.  
 75. თბილისის უნივერსიტეტის „მო-  
 აბე“, 1919.  
 76. „იმედი“, 1881 წ. № 1.  
 77. „ისანი“, 1907 წ. № 143.  
 78. „კლდე“, 1899 წ. № 14.  
 79. ——— 1913 წ. № 6.  
 80. „კვალი“, 1889 წ. № 14.  
 81. ——— 1892 წ. № 2.  
 82. ——— 1893 წ. № 11.  
 83. ——— 1894 წ. № 6.  
 84. ——— 1895 წ. № 6.  
 85. ——— 1895 წ. № 36.  
 86. ——— 1895 წ. № 48.  
 87. ——— 1899 წ. № 2.  
 88. ——— ——— № 14.  
 89. ——— ——— № 16.  
 90. „კვალი“, 1899 წ. № 17.  
 91. ——— ——— № 19.  
 92. ——— 1902 წ. № 4.  
 93. ——— ——— № 14.  
 94. „კრებული“, 1873 წ. № 7.  
 95. „კოკორი“, 1900 წ.  
 96. „კომუნისტური აღზრდისათვის“,  
 1940 წ. № 10.  
 97. „მნათობი“, 1929 წ. № 11—12.  
 98. ——— 1934 წ. № 1—2.  
 99. ——— 1939 წ. № 9.  
 100. „მოამბე“, 1884 წ. № 1.  
 101. ——— 1894 წ. № 10.  
 102. ——— 1896 წ. № 9.  
 103. ——— 1899 წ. № 3.  
 104. ——— ——— № 12.  
 105. „მწვემსი“, 1893 წ. № 7.  
 106. ——— 1890 წ. № 12.  
 107. ——— ——— № 23.  
 108. ——— ——— № 24.  
 109. აკაკის თეიური კრებული, 1827 წ. № 1.  
 110. ——— ——— 1828 წ. № 9.  
 111. ——— ——— ——— წ. № 8.  
 112. „საქართველო“ 1908. № 3.  
 113. ——— ——— № 10.  
 114. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 1942 წ. ტ. II, № 7.  
 115. ——— ——— ——— 1944 წ. ტ. V: № 9:  
 116. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1967 წ. № 2.  
 117. ქართული დიალექტოლოგია, I, 1961.  
 118. „ცნობის ფურცელი“, 1902, № 22.  
 119. „ცნობი“, 1883 წ. სანიმუშო ნომერი.  
 120. ——— 1884 წ. № 1.  
 121. ——— ——— № 2.  
 122. ——— ——— № 3.  
 123. ——— ——— № 4.  
 124. ——— ——— № 5—7.  
 125. ——— ——— № 8—9.  
 126. ——— ——— № 10—11—12.  
 127. „ჭეჭილი“, 1890 წ. № 1—6.  
 128. ——— 1891 წ. № 1—6.  
 129. ——— 1892 წ. № 1—6.  
 130. ——— 1893 წ. № 1—6.  
 131. ——— 1894 წ. № 1—6.  
 132. ——— 1895 წ. № 1—6.  
 133. ——— 1896 წ. № 1—12.  
 134. ——— 1897 წ. № 1—12.  
 135. ——— 1898 წ. № 1—12.  
 136. ——— 1899 წ. № 1—12.



137. ი. გოგებაშვილი. „დედა ენა“ 1278 წ.
138. — — „ბუნების კარი“, 1268 წ.
139. პ. იოსელიანი. „ანბანი ქართული სასარგებლო ქართულთა ახალმოსწავლეთა ყრმათა“, 1863.
140. ი. კერესელიძე. „ყრმათა მეგობარი“, 1852 წ.
141. ს. მდივანოვი. „ანბანი ქართული“, 1863.
142. პ. უმიკაშვილი. „ანბანი ქართული“, 1863.
143. დ. ფურცელაძე. „ანბანი და საკითხავი მღაბიო ხალხთათვის“, 1863
144. დ. ჩუბინიშვილი. ქართული ქრესტომათია, ან გამოწერილი სტატეები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, 1863.
145. ა. წიფჩივაძე. „სასიამოვნო წაღკოტი“, 1842.
146. საქართველოს ცსსა ფონდი 480.



ს ა რ კ ი ვ ი

წინასიტყვაობა 3

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიული დანიშნულება . . . . . 6  
 თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის პრობ-  
 ლემატიკის კვლევის მიზანი და ამოცანები . . . . . 6  
 თ ა ვ ი მ ე ო რ ე — ქართული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის პრობლე-  
 მათიკის კვლევის ძირითადი პრინციპები . . . . . 17

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული კლასიკური სიტყვაკაზმუ-  
 ლი საბავშვო მწერლობის განვითარების წანამძღვრები 88

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — საბავშვო ლიტერატურის სახე-სხვაობანი ისტორიულ  
 ასპექტში 36  
 თ ა ვ ი მ ე ო რ ე — საბავშვო ლიტერატურის კლასიფიკაციის ასაკობრივი  
 პრინციპი 61  
 თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — საბავშვო მწერლობის დიფერენცირებული სახეები და  
 საერთო ლიტერატურასთან ურთიერთობის ძირითადი ნიშნები 76

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული კლასიკური სიტყვაკაზმუ-  
 ლი საბავშვო მწერლობის განვითარების ძირითადი პრობლემები 93

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — ქართული საბავშვო ლიტერატურისა და ეროვნული  
 სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის სათავეები, განვითარების ტენ-  
 დენციები 93  
 თ ა ვ ი მ ე ო რ ე — XIX საუკუნის II ნახევრის ქართული კლასიკური სი-  
 ტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის განვითარების ისტორიული  
 წანამძღვრები 110  
 თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე — საბავშვო პერიოდულ გამოცემათა („ნობათი“, „ჩეჩილი“)  
 როლი ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში 122  
 თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე — ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურის კრიტი-  
 კის ძირითადი პრობლემები 182  
 თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე — ფოლკლორი და ქართული ეროვნული სიტყვაკაზმული  
 საბავშვო მწერლობა 266  
 თ ა ვ ი მ ე ე ქ ე ს ე — მენტორულ-დიდაქტიკური ლიტერატურა და ქართული  
 კლასიკური საბავშვო მწერლობა 298  
 თ ა ვ ი მ ე შ ე ო დ ე — ქართული კლასიკური საბავშვო ლიტერატურა და ბავ-  
 შვთა კრიტიკული და მხატვრული აზროვნების უნარის განვითარება 324  
 თ ა ვ ი მ ე რ ვ ე — ეროვნული და სოციალური პრობლემები XIX საუკუნის II  
 ნახევრის ქართულ კლასიკურ სიტყვაკაზმულ საბავშვო მწერლობაში 333  
 თ ა ვ ი მ ე ო ხ რ ე — ეროვნული სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის პროგ-  
 რესული ტრადიციების გამოყენებისა და ნოვეატორობის ზოგიერთი  
 საკითხი თანამედროვე ქართულ საბავშვო მწერლობაში 402  
 ლიტერატურა 443

რედაქტორი ნ. ნარსია  
მხ. რედაქტორი გ. ზაკალაშვილი  
ტექ. რედაქტორი მ. ოსიტაშვილი  
უფ. კორექტორი ლ. კობახიძე  
კორექტორი ლ. შვანგირაძე

ИБ № 3073 Учебное издание

გადაეცა ასაწყობად 12.11.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.01.90 ქალაქ-ს  
ზომა 60×90<sup>1/16</sup>. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მალაღი.  
ნაბეჭდი თაბახი 28,25. საღებავგატარება 28,5. სააღრ. საგამომ. თაბახი 2წ.ბ.  
ტირაჟი 3000. შეკვ. № 1026

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.  
Издательство «Ганатლება», Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.  
1990

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის  
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება  
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.  
Кутанское полиграфическое производственное объединение  
Государственного комитета по печати Грузинской ССР  
г. Кутанси, пр. И. Чавчавадзе, 33.